

V 14 / 2  
1936



# მნათობი

10-11

ს ა ხ ე ლ ბ ა მ ი  
ტფილისი 1936



# ენათმეცნიერება

სტრუქტურის საფუძვლები. მწერლობის  
კვლევისათვის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სასკოლო და საზოგადოებრივ-სამეცნიერო  
ქორწილი

წელიწადი მცხრამეტი

## 10-11



ოქტომბერი-ნოემბერი



ს ა ხ ე ლ ბ ა

ტფილისი 1936



1873

1873




საკლავო კოლეგია:

იკაკლი აბაშიძე  
ნიკო ლორთქიფანიძე  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
ზა. მუშიშვილი  
შალვა ჩაღიანი  
გალაქტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლომ ღიაჩელი  
კანტალინიონ ჩხიკვაძე  
დემნა შინგელაია

---

კლავის მისამართი: ტფილისი, მანაზის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.  
გ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სახელე.  
კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერაოდსეკტორი.

---



ნახ. სიბეგოვი ოსტროვსკი



საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

ლავრენტი ბერია

## ურჩევი მუშაკონი და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის

ამხანაგ ორჯონიკიძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა! ცხოვრების ამ საეალი ვზიდან ოცდაცამეტი წელი მან მოანდომა მუშათა კლასის გმირულ რევოლუციურ ბრძოლას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, სსრ კავშირში პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მუშათა მოძრაობაში თავისი მონაწილეობის პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა, მგზნებარე რევოლუციონერი ამხ. სერგო მტკიცედ დადგა ლენინ-სტალინის მხარეზე, ბოლშევიკთა მხარეზე.

ამხ. სერგოს პირველი მასწავლებელი და ხელმძღვანელი იყო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი — დიდი სტალინი.

ამხ. სერგო გამოსქედა ბოლშევიკურმა პარტიამ, იგი აღზარდეს პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა — ლენინმა და სტალინმა.

მეფის თვითმპყრობელობის ეპოქაში ამხ. სერგო ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი მშენებელი იყო. განვლო რა ბოლშევიკური არალეგალიზმის სუსხიანი სკოლა, მან დაიკავა ადგილი საუკეთესო მებრძოლთა შორის ბოლშევიკთა ძველ კოპორტაში.

სამოქალაქო ომის ეპოქაში, ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ამხ. სერგო იყო რუსეთის თეთრგვარდიელთა კონტრ-რევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ურდოებზე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებათა ორგანიზატორი.

ამხ. სერგოს მუშაობასთან დაკავშირებულია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების განადგურება და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში.

მთელი რიგი წლების მანძილზე ამხ. სერგო ხელმძღვანელობას, უწევდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობას. მისი რესპუბლიკური-ლობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება აღმოსავლეთის მიჯნაზე, შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, მიაღწიეს ამიერ-კავკასიის ხალხთა მტკიცე ნაციონალურ მშვიდობიანობას და ძმურ თანამშრომლობას.

ამხ. სერგო არის ლენინურ-სტალინური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელი, კაცობრიობის უდიდესი გენიის, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი.

ამხ. სერგოს სახელს სიყვარულით და მადლობით წარმოსთქვამენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბოლშევიკები და მშრომელები.

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იჩენდა ამხ. სერგო დიდ ინტერესს საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი.

1903 წელს ამხ. სერგო გახდა რ.ს.-დ.მ.პ. წევრი ტფილისში.

1904 წლის დამლევს და 1905 წლის დამდეგს, როცა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ამხ. სერგო მიემხრო რ.ს.-დ.მ.პ. ბოლშევიკურ ფრაქციას.

ამიერ-კავკასიაში 1905 წ. დამდეგიდან ჩაღდება რუსეთის პირველი რევოლუციური საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ფართო ხასიათს იღებს. რევოლუციური მოძრაობის სათავეში დგანან ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია და მისი შემქმნელი და ხელმძღვანელი, ბოლშევიკური პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ლენინური სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღებულებმა, მოაწყეს მუშათა და გლეხთა ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებისათვის, თვითმპყრობელობის დამხობისათვის და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის.

ახალგაზრდა სერგომ, რომელმაც ტფილისში ბოლშევიკთა სტალინური სკოლა გაიარა, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მუშაობა ჩაატარა გუდაუთსა და სოხუმში, სადაც აწყობდა რევოლუციურ პროპაგანდას გლეხებში და ხელმძღვანელობას უწევდა მათს რევოლუციურ გამოსვლებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ამხ. სერგომ გუდაუთში მოაწყო შეიარაღებული გამოსვლა.

1905 წლის 24 დეკემბერს სოფელ ბოშორში, გუდაუთის მახლობლად, ბარკასიდან ნაპირზე საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღის გადმოტვირ-



თვის დროს, ამხ. სერგო წითელ რაზმელთა ჯგუფთან ერთად დააპატიმრა ყაზახთა რაზმმა.

დაპატიმრებული ამხ. სერგო გუდაუთიდან გაგზავნეს სოხუმის ციხეში. სადაც იგი ოთხ თვეს იჯდა.

ბაქოში 1907 წელს ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამხ. სერგო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში, შედიოდა ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში.

იმავე წელს, სტეფან რაზინის გორაზე საპირველმართო დემონსტრაციის დროს, ამხ. სერგო მეორედ დააპატიმრეს და ბაქოს ციხეში იჯდა კუჩხი-შვილის გვარით.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი აქტიურ პარტიულ მუშაობას განაგრძობდა რომანაში, ბალახანის რაიონში.

1909 წლის გაზაფხულზე ამხ. სერგო გადასახლეს პრიანგარის მხარეში.

ორი თვის შემდეგ იგი გამოიქცა გადასახლებიდან და დაბრუნდა ბაქოში, ხოლო აქედან 1909 წლის შემოდგომაზე, რ.ს.-დ.მ.პ. ბაქოს კომიტეტის დავალებით, ირანში გაემგზავრა სამუშაოდ.

ირანიდან ამხ. სერგომ დაამყარა კავშირი ლენინთან ნ. კ. კრუპსკაიას საშუალებით, აწარმოებდა მასთან მიწერ-მოწერას, მოაგვარა ბოლშევიკური ლიტერატურის მიღება საზღვარგარეთიდან და მისი შემდგომი გადაგზავნა ბაქოთი რუსეთში.

1910 წლის დამლევს ამხ. სერგო ირანიდან გაემგზავრა პარიზს, სადაც მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკთა მუშაობაში.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910-1912 წლები) მუშაობა მოძრაობის ძირითადი, გადამწყვეტი საკითხი იყო პარტიის განმტკიცება, მისი რევოლუციური მუშაობის გაძლიერება მასებში. მენშევიკები და ტროცკისტები საბოლოოდ დაექანენ ლიკვიდატორობის, მოლაღატეობისა და გამცემლობის გზაზე. ამ პირობებში განსაკუთრებით საჭირო იყო პარტიული კონფერენციის მოწვევა, რომელსაც უნდა დაესახა ახალი რევოლუციის მომზადების ტაქტიკა და გაეწმინდა პარტია ლიკვიდატორებისა და ტროცკისტებისაგან.

მაშინ ლენინმა ბრძოლა მოაწყო სრულიად რუსეთის საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. ლენინის დავალებით 1911 წლის აგვისტოს ამხ. სერგო გამოემგზავრა რუსეთში, როგორც პრალის საერთო პარტიული კონფერენციის მომწვევი საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმუნებული.

იმავე პერიოდში ამხანაგი სტალინი ლენინის დავალებით რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში დიდ მუშაობას ეწეოდა პრალის კონფერენციის მოსაწვევად. 1911 წელს ამხანაგ სტალინი სპეციალურად ჩამოვიდა ბაქოსა

და ტფილისში, რათა მოეწყო ბრძოლა ბოლშევიკთა პრადიკატორების მოწვევისათვის.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და დახმარებით შემოდგომის დამდეგს ამხ. სერგომ შესძლო სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მომზადებელ საორგანიზაციო კომისიის მოწვევა. ამ კომისიის პირველი სხდომა შესდგა ბაქოში, სადაც ჩამოვიდნენ ურალის, კიევისა და ეკატერინოსლავის წარმომადგენლები. მოსკოვისა და პიტერის დელეგატები, რომლებიც ბაქოში მიდიოდნენ, ვაში დააპატიმრეს. პირველი სხდომის შემდეგ, კონსპირაციის მიზნით, ბაქოში მომხდარ ჩავარდნასთან დაკავშირებით, კომისია გადავიდა ტფილისში და აქ დაამთავრა თავის მუშაობა.

პრალის კონფერენციაზე ამხ. სერგო გამოდიოდა პრალის კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ანგარიშით და არჩეულ იქნა რ. ს. დ. მ. პ. (ზ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში.

კონფერენციის შემდეგ, ლენინის დავალებით, ამხ. სერგო დაუყოვნებლივ დაბრუნდა რუსეთში და გაემგზავრა ვოლოგდას ამხანაგ სტალინთან, რომელიც მაშინ სოლვიჩევოდსკში იყო გადასახლებული. მაშინ ლენინმა დაავალა ამხანაგ სტალინს შეექმნა რ. ს. დ. მ. პ. (ზ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო.

ამხანაგი სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან.

გამოქცევის შემდეგ ამხანაგი სტალინი, ამხ. სერგოსთან ერთად, ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში (ბაქო და ტფილისი), სადაც მოაწყო ბრძოლა პრალის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის და ხელმძღვანელობას უწევდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლას მენშევიკლიკვიდატორთა წინააღმდეგ.

1912 წლის მარტში ლენინის დავალებით, ამხანაგი სტალინი ამხ. სერგოსთან ერთად პარტიული მუშაობისათვის გაემგზავრა პეტერბურგში. აქ ამხ. სერგო მალე დააპატიმრეს ჰუსეინოვის გვარით. პეტერბურგის ობრანკამ მოახერხა ამხ. ორჯონიკიძის პიროვნების გამოკვლევა და იგი სამართალში მისცეს გადასახლებიდან გამოქცევისათვის.

წინასწარი პატიმრობის ციხეში ექვსი თვის ჯდომის შემდეგ ამხ. სერგოს მიუსაჯეს სამი წლის კატორღა, რომელიც მან შლისელბურგის ციხეში მოიხადა.

1915 წლის შემოდგომაში ამხ. სერგო გადაასახლეს ციმბირში, ალექსანდროვსკის საეტაპო ციხეში, სადაც მან 1916 წლის გაზაფხულამდე დაპყო, რის შემდეგ იაკუტსკში გადაასახლეს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ამხ. სერგოს მოუსწრო გადასახლებაში შორეულ იაკუტიაში, სადაც



ბოროტსადაც. ნავიგაციის დაწყების შემდეგ ამხ. სერგო, მაშინ იაკუტიში გადასახლებაში მყოფ ამხ. ანდრეევთან, პეტროვსკის რაიონის სლავსკისთან და სხვებთან ერთად, პირველივე გემით გამოემგზავრა იაკუტიიდან და 1917 წლის ივნისში ჩამოვიდა რევოლუციურ პეტროგრადში. ამხ. სერგო არჩეულ იქნა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, შევიდა რ. ს. დ. მ. პ. (ბ) პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის შემადგენლობაში და შეყვანილ იქნა რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკთა) პეტროგრადის კომიტეტის წევრად.

ამხანაგი სტალინი იმყოფებოდა პეტროგრადში და ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტიის მთელ მუშაობას. ამხანაგ სტალინის დავალებით ამხ. სერგო წავიდა ლენინთან სესტრორეცკში, ხოლო შემდეგ ფინეთში, აწვდიდა მას ინფორმაციას პეტროგრადის საქმეთა მდგომარეობის შესახებ, იღებდა მისგან დირექტივებს ამხანაგ სტალინისათვის გადასაცემად.

1917 წლის 26 ივლისს — 3 აგვისტოს პეტროგრადში შესდგა ბოლშევიკური პარტიის ისტორიული მეექვსე ყრილობა. ლენინი ყრილობას არ დასწრებია, VI ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამ ყრილობაზე ამხ. სერგო იყო მომხსენებელი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის სასამართლოში ლენინის გამოცხადების საკითხზე. იგი მტკიცედ იცავდა ამხანაგ სტალინის პოზიციებს.

როგორც ცნობილია, VI ყრილობამ მიიღო ამხანაგ სტალინის წინადადება, რომ ლენინი არ გამოცხადებულყო სასამართლოში.

1917 წლის სექტემბერში ლენინისა და სტალინის დავალებით სერგო ჩამოვიდა საქართველოში, სადაც 1917 წლის 17 ოქტომბრამდე დაჰყო.

24 ოქტომბერს ამხ. სერგო პეტროგრადში დაბრუნდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში.

1918 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ანტანტის ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. სახელმწიფოში გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

სამხრეთ რუსეთში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში ცარიცინის დაცვა, ლენინის დავალებით, რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მინდობილობით, ამხანაგმა სტალინმა იკისრა.

1918 წლის ივნისიდან ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა ცარიცინის ფრონტს. მან შექმნა რევოლუციური სამხედრო საბჭო, მოაწყო რევოლუციური წითელი არმია და გამანადგურებელ ლახვარს სცემდა კონტრრევოლუციურ და მტრულ ელემენტებს წითელი არმიის ზურგში.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1918 წლის აგვისტოში წითელმა არმიამ ამხანაგ სტალინის სახელოვანი მებრძოლი თანამესაგრის ამხ.

ვოროშილოვის სარდლობით, გაანადგურა კრასნოვისა და შამონტოვის თეთრგვარდიელთა ჯარები და შორს მირეკა ისინი დღემდე.

ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან უაღრესად გააღმამებული ბრძოლის ამ პერიოდში ამხ. სერგო პროლეტარული რევოლუციის მებრძოლ ძალთა დაუღალავი, უშიშარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ჩრდილო-კავკასიაში.

ჩრდილო-კავკასიაში ამხ. სერგომ უდიდესი მუშაობა შეასრულა: იგი ამავრებად რევოლუციის თავდაცვას, მან მოახდინა გარღვევების ლიკვიდაცია და მოაწყო წითელი არმიის გამარჯვებანი სერებრიაკოვის, ბიჩერახოვის, შკუროს, პოკროვსკის თეთრი არმიების ბანდებზე. იგერიებდა რა კონტრრევოლუციის ძალთა შემოტევას, იგი ჰქმნიდა და ანმტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს მრავალერიანი ჩრდილო-კავკასიის განსაკუთრებით ძნელ და რთულ პირობებში.

წითელი არმიის ბრძოლას თეთრი ბანდების წინააღმდეგ ამხ. სერგოსთან ერთად აქ ხელმძღვანელობდნენ ამხანაგები ს. კიროვი, გიკალო, ლევანდოვსკი და სხვ.

1918 წლის დამლევს გენერალმა დენიკინმა მოახერხა მრავალრიცხოვანი თეთრი რაზმების გაერთიანება თავისი სარდლობით. ჩრდილო-კავკასიაში მომქმედი წითელი არმიების სარდალმა სოროკინმა უღალატა საბჭოთა ხელისუფლებას, და თეთრმა არმიებმა იწყეს წითელი ჯარების შევიწროვება. მე-XI წითელი არმია განიცდიდა ყუმბარების, საჭურველის, სურსათის ნაკლებობას, მძევინვარებად პარტახტიანი ტიფი, არმია დღითიდღე დნებოდა.

ამ სასიკვდილო საფრთხის შეაბნელ დღეებში ამხ. სერგო რაზმავდა ბოლშევიკებს და რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს, აწყობდა პარტიზანულ რაზმებს, ანმტკიცებდა რაზმების დისციპლინასა და მებრძოლ სულს.

მე-XI არმიის ძირითად ნაწილთა ასტრახანისაკენ დახვევის შემდეგ ამხ. სერგო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჯგუფთან ერთად წავიდა ბნეუშეთისა და ჩეჩნეთის მთებში, სადაც ღარიბი მთიელი გლეხობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კვლავ აგროვებდა მებრძოლ ძალებს თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1919 წლის გაზაფხულზე ამხ. სერგო თოვლით დაფარული კავკასიონის ქედით არალეგალურად გაიქრა მენშევიკურ საქართველოზე გავლით ბაქოზე, შემდეგ თურქმენტო სათევზაო ნავით გაემართა ასტრახანს და იქიდან მოსკოვს გაემგზავრა.

მოსკოვიდან ამხ. ორჯონიკიძე გაიგზავნა დასავლეთის ფრონტზე ამხანაგ სტალინთან და დაინიშნა მე-XVI არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს წევრად.



მამონტოვის მიერ სამხრეთის ფრონტის გარღვევის შემდეგ შემსრუ-  
გო ლატიშთა დივიზიის სათავეში გააქანეს სამხრეთის ფრონტის წინა-  
ნიშნის მე-XIV არმიის რეკვამხედრო საბჭოს წევრად.

სამხრეთის ფრონტზე უდიდესი როლი თამაშა ამხანაგ სტალინის  
ძიერ წამოყენებულმა სამხედრო ტაქტიკის ცვლილებამ — დამკვერი  
ჯგუფების გამოყენებამ.

ამ პერიოდში ამხანაგმა სტალინმა ამხ. სერგო სათავეში ჩაუყენა  
მე-XIII და მე-XIV წითელი არმიებისაგან შემდგარ დამკვერელ ჯგუფს.

ამხ. სერგო, ამხ. კიროვთან და ტუხაჩევსკისთან ერთად, ხელმძღვანე-  
ლობდა დენიკინის არმიების ნაშთთა შემდგომ განადგურებას ჩრდილო-  
კავკასიაში.

ჩრდილო-კავკასიაში ამხ. სერგო მტკიცედ ანხორციელებდა ლენინურ-  
სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ამხ. სერგო ჩრდილო-  
კავკასიაში აშენებდა ნაციონალურ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებს.

1920 წლის აპრილში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ბაქოს პრო-  
ლეტარიატი აჯანყდა მუსავატისტთა და ინგლის-საფრანგეთის ინტერ-  
ვენტთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის პირდაპირი მითითებით აზერბეიჯანის მუ-  
შებსა და გლეხებს დახმარება გაუწია გამორულმა მე-XI წითელმა არმიამ  
ამხანაგების ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მეთაურობით. ამ არმიას  
მაშინ ამხ. ლევანდოვსკი სარდლობდა.

ამხ. სერგო აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების  
შემდეგაც, 1920 წელს, ბაქოში ყოფნისას, კვლავ ხელმძღვანელობდა  
თეთრგვარდიელთა ნაშთების განადგურებას ჩრდილო-კავკასიაში, მან მო-  
აწყო ყუბანში გენერალ ულაგაის დესანტისა და ჩრდილო-კავკასიაში  
თეთრგვარდიელთა ცალკეული ბანდების ლიკვიდაცია.

1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სომხეთში.  
ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ  
ქართველმა მენშევიკებმა, უცხოეთის იმპერიალისტებთან დაკავშირებუ-  
ლებმა, მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს და გადააქციეს  
იგი უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული  
კონტრრევოლუციის პლაცდარმად.

მინშევიკურმა დიქტატურამ საქართველო სრულ ეკონომიურ გაჭიან-  
გებამდე და კულტურულ დეგრადაციამდე მიიყვანა, მუშებსა და გლეხებს  
წარმოუდგენელი ვაჭირება და ტანჯვა-წამება განუშხადა.

მენშევიკებმა მოაწყეს საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა —  
ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა სისხლისმღვრელი რბევა-აწიოკება. დაწნა-  
კებთან ერთად მათ მოაწყეს ქართველ-სომხთა სისხლისმღვრელი, ძმათა-  
შველელი ომი.

საქართველოს მშრომელნი აჩაღებდნენ ბრძოლას მენშევიკებზე და ინტერვენტო ბატონობის წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის მითითებებით ამხანაგების ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს მუშები და გლეხები 1921 წლის თებერვალში აჯანყდნენ მენშევიკებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ და გმირული წითელი არმიის დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.



1921-დან 1926 წლამდე ამხ. სერგო იყო ამიერ-კავკასიის პარტიული ხელმძღვანელი (რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კავბიუროს, ხოლო შემდეგ საკავშირო კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი).

ამხ. სერგოს უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულების საფუძველზე, ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების ნამსხვრევებთან უღმობელ ბრძოლაში, ნაციონალიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან შეუპოვებელ ბრძოლაში განამტკიცეს პროლეტარიატის დიქტატურა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში — საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანში, შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც უზრუნველყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური მშვიდობიანობა და მეგობრობა.

პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების, საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ნაციონალურ რესპუბლიკათა აყვავების, სოციალისტური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაშლის ვადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი ვატარება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მიერ, ამა. ორჯონიკიძის მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის და საესებით გადასჭრა მის წინაშე დასმული ყველა ამოცანა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა ყველა ამ წარმატებაში დიდი როლი ეკუთვნის დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხ. ორჯონიკიძეს.



მე-X ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრად.

1926 წელს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ც. საკ. კომისიის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის



თავმჯდომარედ და დაინიშნა სსრ კავშირის მუშ. და ვლ. ენქეპტე (კოეს-სკა-ხალხო კომისრად.

1930 წლის ნოემბერში ამხ. ორჯონიკიძე დაინიშნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შერე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის შემდეგ, მძიმე შრეწველობის სახალხო კომისრად.

1930 წლიდან ამხ. სერგო უცვლელად არის საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი.

უდიდესია ამხ. ორჯონიკიძის დამსახურება, როგორც მძიმე შრეწველობის არმიის სარდლისა.

მძიმე შრეწველობას, ამხ. სერგოს ხელმძღვანელობით, ძღვევამოსილად მიჰყავს წინ სსრ კავშირის მთელი სოციალისტური ეკონომიკა.

ამხ. სერგო სსრ კავშირის მძიმე შრეწველობის ხელმძღვანელობაში განუხრებლად, თანმიმდევრობით ანხორციელებს დიდი სტალინის მითითებებს; იგი ჰქმნის და ჩვენი პარტიის სტალინური ც. კ-ის გარშემო რაზმავს საუკეთესო სამეურნეო კადრებს.

ამხ. სერგო მოქმედების ადამიანია, რომელსაც უნარი შესწევს მოაწყოს გამარჯვება გაშლილი სოციალისტური შეტევის ყველა სიძნელეზე; იგი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სტალინური სკოლის გამოჩენილ ოსტატია.

ამხ. სერგო ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესი, საიმედო და ერთგული თანამემკვიდრეა.

იგი არის ლენინურ-სტალინური პარტიის ერთ-ერთი საყვარელი ხელმძღვანელი.

მთელ თავის ბოლშევიკურ გონებას, უძრევ ნებისყოფას, ენერჯიასა და ენტუზიაზმს ამხ. სერგო ყოველდღიურად, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და დიდი-სტალინის ხელმძღვანელობით, ანდომებს ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

„პრავედა“, 28 ოქტომბერი.



ბიჭიან ბაბიქმ

## აღავერობა

ჩარდახიანი სდგანან ურმები,  
კამეჩი კამეჩს ლანდით აშინებს.  
გამოუცლიათ ღვინის რუმბები  
ხატობას მოსულ ვაქას აფშინებს.

კავკასიონსაც შესცვლა გვერდი.  
და სიყვარულის დასხმია რეტი.  
სურს მოიტაცოს ეს ალავერდი,  
ბარში დაბმული ტაძარი მტრედ.

დღემ შოატანა ალაზანამდე,  
ნისლის შავი ზღვა რუმ გადათელა;  
— დღეო, ნეტავი აღარ დაღამდე,  
თუ დაღამდეში არ გაგათენა.

მეორე მხრიდან ალაზანს უწევს  
მთვრალი ფარები ღამე ნათევი,  
თითქო მინდიას სუფრა გაუწყვეს,  
გველის მჭაპელი დევს აწევს დევა.

სინაზე ცეკვით ჭანკმილელთ  
ცეცხლს მიჯდომია ქისტი ჯამბაზი,  
ზალხიც ისეა აქ არეული,  
როგორც არღანი და მუხამბაზი.

მაგრამ ამ კახეთს სხვა სმაც ევალა  
თეთრი ტახისა და თეთრი ბატის  
მღერის ახალი დედას ლევანა  
ხმა ალავერდის, საძირკველს ჩადის.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ზედ რომ მიუშვა ამოთხრის ძელქვას  
ეხლა კი სეირს უნდა უფურო  
დაუთოვია სიკვდილის წელკავს  
სვეტზე მიმბული კურატი კურო.

ნეტა რამ სწვიმა, ანდა რამ სთოვა  
ამდენი ხალხი და ჯამაათი.  
შესმენ ალაზანს, ლენით თუ მოვა  
და ეხლა კიდევ, ჰამა თქვი მათი.

ტკილო კახეთო, მაღლი შენს გამჩენს  
შენ ბარაქიან და რძიან ცურებს  
ღრუბელი ცაზე მიაგავს კამჩის  
და კამეჩივით ღამე მოსცურავს.

სდგას 'ობშივარი და ორთქლი მწვადის  
კაცი ამ ბოლში თვალს ვერ გაახელს.  
ირემი ირემს ბალახს მიაწვდის  
სავსე ღვინის ჯამს კახელი კახელს.

სდგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას  
და ჩარდახიან ურმების მორცხს.  
ვაჟა ფშაველა უქებს ხელობას  
ჯიხვი მხარით შესცვლის მეორეს.

ზეიბნენ ერთად შაშვი კაკაბი  
ბესიკის გაფი და საიათნოვა,  
კიდევ ბევრია ლხინის საბაბი  
ეხლა კახეთში რთველი შემოვა.

აიღებს გლეხი ხელში სავსე ჯამს  
ოთხკუთხივ ასე დაილოცება:  
— იყოს დღეგრძელი აწ და მარად ეამს  
ვინც აგვიხდინა ქვეყნად ოცნება.

ამრავლა ხალხი, ამრავლა ვაზი,  
უკვდავების ხეს უდგას მებაღეთ.  
პყვავის ქვეყანა ჩვენი ღამაზი,  
ბედნიერების კარი შევადეთ.

რაც ქვეყანაზე გაჩნდა ვენახი  
და ურძის ტევანს დაღინდა წვენი —  
სხვა ძე კაცისა ჩვენ არ გვინახავს,  
ასე ყელამდე რომ იყოს ჩვენი.

საწყალ ბეჩავ ხალხს მოგვცა სამშობლო  
და შეგვასწავლა ქვეყნის ანბანი,  
ვკოცნით იმ მიწას, სადაც საობლო  
დაირწა მისი დიდი აკვანი.

მთელ დუნიაზე კაცი და ქალი,  
რაც ხეს კვირტი აქვს გამოტანილი  
რაც ჰყვავით ქვეყნად: მიწა და წყალი  
ყველას ერთი გვყავს მამა სტალინი.

ასე ვიფიცავთ მის მზეს და მთვარეს  
და დაულოცავთ მას მშობელ დედას.  
ჰყვოდეს ჩვენი საბჭოთა მხარე,  
სანამდის სტალინს დიდ ბურჯად ხედავს.

სანამ საწყალ ხალხს ის გვიმაგრებს გვერდს  
ქვეყნად არავის დავეუჯაბნებით.  
ალავერდიდან მივალთ ალავერდს  
სავსე ცხოვრების დიდი ჯამებით.

სექტემბერი  
1936 წ.  
თბილისი





ლევო ჭიაჩავლი

## გვერი ბიგვა

რომანი \*)

XIII

გონა და ნაია კარგა ხანს მიდიოდნენ ხმის ამოუღებლად. გონა ახლა უფრო დაწყნარებული სჩანდა, მაგრამ ბრაზი მაინც ჯერ კიდევ ვერ მოენელებია. ეს ჯიუტურ სვლაში ეტყობოდა. ისევ რალაც დაჩემებულად მიაბიჯებდა. ნაიას იქეთკენ ჰქონდა გულისყური მიქცეული, თუ მამასთან გასაუბრებას როდის შესძლებდა. გრძნობდა, რომ ამის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. თვითონ ნაიაც შეტად გაჯავრებული იყო და, რაც დრო გადიოდა, ჯავრი მით უფრო ემატებოდა. მამაზე კი არ ჯავრობდა იმდენად, რამდენადაც გერაზე და თავის თავზე.

— ეს რა მიყო, ან შე რატომ დაუჯერეო, მამას ასე როგორ წამოყვევიო.

თავს დამცირებულად და მოტყუებულად გრძნობდა. უთუოდ შვერქებიო, ამბობდა გუნებაში.

მართლა ბავშვი ხომ არ იყო.

მამის ჩხუბის მიზეზიც კარგად არ იცოდა ნაიამ. ვერამ საჩქაროდ რალაც კი გააგებინა კამეჩზე, მაგრამ მისი წარმოდგენით ეს არ კმაროდა იმისთვის, რომ იმდენი ამბავი ატეხილიყო. ძალიან უნდოდა რომ მამას გამოლაპარაკებოდა.

როცა სოფლისკენ დაეშენენ, ნაია უფრო მიუახლოვდა გონას და თვინიერი, მორჩილი თვალებით ახედა მთასავეით მალლა ტანაზიდულ მამას. გონას კისერი გაეშეშებინა და სულ პირდაპირ იცქირებოდა, თითქოს ერთ წერტილს უმიზნებს და მისკენ მიიჩქარისო მთელი გზა ნაიასთვის ერთხელაც კი არ შემოუხედავს.

— მამა, რა მოხდა მაინც იმისთანა, რომ ყველას წაეჩხუბეო, — შეეკითხა ბოლოს ნაია მამას, დაბალი, ფრთხილი და მორიდებული ხმით.

\*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ №№ 7, 8, 9.

გოჩას სახეზე არავითარი ცვლილება არ დასტუვობია, თითქოს შეიქმნა შეკითხვა არც კი გაუგონია. ახლაც არ შეხედა, არც რამე უთქვამს. კოჭა კიდეც წაიარეს.

— არ ვარგა ასე, მგონია, მამა! — უფრო დაიდაბლა ხმა ნაიამ და ისე განაგრძო. — რა მოხდა ისეთი მაინცა და მაინც. აღბათ, შემთხვევა რაიმე მიეცათ ისეთი, რომ ნიკორა ჯირკვს შეაბეს. — სთქვა თუ არა ეს დაბლად, მაშინვე მტკიცე და უფრო მაღალი ხმით დასძინა: — პასუხს მაინც ვაგებინებთ, რა თქმა უნდა, ეს ცხადია... — და ისევ ხმის დაწვევით განაგრძო: — მაგრამ ამხანაგობაში ამისთანა პატარა რამემ ასეთი უსიამოვნება არ უნდა გამოიწვიოს.

გოჩა შესდგა. მთელი ტანით მობრუნდა ნაიასკენ და ერთხანს ასე უცქირა.

— კეკის სწავლებას მიწევს კიდე? ხმა გაკმინდე, გირჩევენია! — შეუღრინა გოჩამ და თითით გზა უჩვენა, იარეო.

ეს მოულოდნელი იყო ნაიასათვის. შეურაცხება იგრძნო. ბრაზისა და ჯავრის ნელი ცეცხლი რომ გულში ენთო, მამის უდიერმა პასუხმა უფრო გაუღვივა. მაგრამ თავს ძალა დაატანა, არაფერი უთქვამს. ხოლო ძალაუნებურად, მისგანვე შეუმჩნეველად რამდენიმედ ჩამორჩა მამას. ცოტა რომ გაიარეს, მოთმინება მოიკრიბა და ისევ თვინიერად შეეკითხა გოჩას:

— მე რატომ მიგყავარ შინ, მამა? ვერ გამოვიია...

— იქ, შინ გაიგებ! — გააწვევტინა გოჩამ ისევ შეღრენით და კვლავ ხელისგაშვერით უბრძანა მიაბლოცებოდა.

ახლა კი მართლა ჩაიკმინდა ხმა ნაიამ. ხოლო გულში კი გადაწყვიტა მამას გაშორებოდა და უკან დაბრუნებულყო. ცოტაზე მიყვა კიდეც და თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა განიზრახა. მაგრამ იგრძნო, რომ ვერ გაბედა, უფრო კი ის იგრძნო, რომ ძალა არ ეყო. არც ფეხი დაემორჩილა, არც ტანი. თითქოს უზილავე თოკით ყოფილიყო მამაზე მიკრული, ისე შებოკვილად გრძნობდა თავს. შიში კი არ იყო, რომ წასვლას არ აბედვინებდა. სხვა რაღაც ძალა იყო მიზეზი, რომელიც მამისგან გამომდინარეობდა და მას ხელფებს უკრავდა.

ახლა ზიზღით შეხედა მამას.

გოჩას თავისი ზორბა ტანი, მართლა, ისე შეეკრა და შეემკვრივებინა, რომ ვეება ლოდივით მიჰქონდა, — მძიმე, ცივი და შეუფალი. იგი საშინელ და უდრეკ ნებისყოფას ამქლავებდა, რომელიც ნაიას მთელითავისი უხეში სიმძიმით დასწოლოდა და გასაქანს არ არღვედა. ნაიას კიდევეც აკვირვებდა ეს გარემოება: რატომ იყო, რომ იგი იმ ძალას ემორჩილებოდა, როცა არ უნდოდა, რომ დამოკრიბებოდა. ესეც ზედმეტად ამრავებდა მას.



როცა სოფელში შევიდნენ, შინ მყოფ მეზობლებს ცნობიერად  
რამა აღეძრათ: იამაშვილი ამ დროს ერთად რამ შეჰყარა  
რად რატომ მოდიანო. ეუცხოვათ. ზოგმა მოიწადინა გოჩას გამოლაპარაკებოდა. ლობეს შოადგნენ, მაგრამ გოჩა რომ ახლოს დაინახეს, სიტყვა ვერ შეუტყდნენ, ისეთი შესახედობა ჰქონდა.— ასე გაიარეს სოფელი.

შინ ტასიას გარდა მამა და შვილს გოჩას უმცროსი დაც დახვდა, სალომე რომელიც ორკეთშივე იყო გათხოვებული, ძმისას შემოველო. ქალები ძველი სახლის აივანზე ისხდნენ, და ახალ ლობიოს მარცვლავდნენ.

დაინახა თუარა ეზოში შემოსული ქმარ-შვილი, ტასიამ მაშინვე იგრძნო, რომ ისინი კარგი განწყობილებით არ მოდიოდნენ. მულს გადახედა და უთხრა:

— მიშველუ სალომე უთუოდ წახუბებულანო.

წამოდგნენ. სალომე უფრო ეთამამებოდა გოჩას. იგი წინ დაუხვდა ძმას.

— რა ამბავია, გოჩა? ფათერაკი რამე ხომ არ შეგემთხვათო, ჰკითხა და თავისებური კისკისა ხმით შეეგება. გოჩა არ შესდგა. მაშინ სალომე გზიდან გადადგა და ნაიასკენ მიიქცა:

— გენაცვალოს მამიდა, რამდენი ხანია არ მინახავხარ! სადა ხარ, გოგო? ასე უნდა, თვე ისე გაივლის, ერთხელაც არ მნახავ? მოდი აქ! — გადაეხვია, გადააკოცა, გულში ჩაიკრა

— შენთვის როდის უნდა მოიკალოს, ჩემო დაია! დღეს მინდორში აღამებს, ღამეს კი კრებაზე ათენებს! მაგრამ ამიერიდან ამასაც ბოლო მოუღე. მე თუ გოჩა ვარ, მის შესაფერ სამყოფელს მიეუჩნე! — სიტყვა გოჩამ, მერმე ცოლისკენ მიბრუნდა და თვალები შეანათა, ხმა ასწია: — ეს აქამდის უნდა გექნა! შენი საქმეა! აკი გითხარი, მე ნუ ჩამრევ მეთქი! რას გეუბნებოდა ის კაცი დღეს?!

ტასიას ხმა არ ამოუღია.

მის მაგიერ ისევ სალომემ შეუტია გოჩას,

— ჰო და, რა მოხდა, შე კაცო, აღარ იტყვი? ბავშვს ფერი აღარ ადევს! —


გოჩამ უყურადღებოდ დასტოვა დის სიტყვები, ნაიასკენ პირი იბრუნა, სახლზე მიუთითა და ბრძანებით მიმართა:

— შედი! ამ სახლიდან ფეხგადგმული არ ვნახო!

ტასიამ და სალომემ ნაია შუაში ჩაიყენეს და აივანში შეიყვანეს, სკამზე დასვეს. კრუხებივით თავს დაადგნენ.

გოჩა კი სახლის საძირკველს უკმაყოფილოდ დაინახა. თავზე მიიმედ და ეშეა. ფეხი ფეხზე გადაიღდა და ეუფრანს დაეხრებოდა. მერმე თითქოს თავის-თავს ესაუბრებოდა, დაბადრშიმ ნაიასკენ

— ვაჟი არ მომცა განგებამ, ჩალი მაინც ხომ უნდა მეთქი. ვინ ნუგეშებდი თავს. მიხაროდა, რომ შეიდი კლასი ისწავლა! ვინ არ იცის,





რომ ნასწავლი შეილი ბედნიერებაა. პატივსა და სიყვარულს არ ვაყლებდი. ნაადრევი აღმომჩნდა სიხარული. არ გასულა ხანი, არც კი მოვიქმინო ვარო გამომიცხადა, ეს უნდა მოვაწყო, ის უნდა გავაკეთოო. ნებას მივეღვი, რაკი ეხალისებოდა, ტოლ-ამხანაგს არ ჩამორჩეს მეთქი. ვაი დედასა, სად იყო მაშინ პატრონი! მერე სულ ბიგვებში დაიწყო ტრიალი და მალე პირაქით დამიწყო ჭკუის სწავლება. კოლექტივი რომ შემოვიდა, დამიჩემა, გინდა თუ არ გინდა, უნდა შევიდეთო, ავშენდებითო. ეს დედაკაციც აიყოლია. არ მომეშენენ... და, აჰა, ჩემო დაია, ხომ ხედავ, რაცა მჭირს!

— რა გჭირს, კაცო, იმისთანა, სხვას რომ არ სჭირს? კოლექტივში არ ვართ ყველა? ამას რატომ ამბობ? აბა, დაფიქრდი: როდის იყო რომ წინად ოდის იშენებდი! ეს გჭირს და ეს, შე კაი კაცო! — ტკბილ-ხშიანი საყვედურით შეესიტყვა სალომე.

მუხლზე გადადებული ფეხი ძირს დაუშვა, მკერდი წამოზნიქა და დონჯი შემოიყარა. — კულაკი ხარ და არ გეკუთვნისო! ფურ-კამეჩხედაც ხელი უნდა აიღოო. წაიყვანეს კიდევაც არც კი უკითხავეთ!

— უიმე! ეს რა მესმის! — წამოიკივლა ტასიამ.

— მაგას ვინ დაიჯერებს, გოჩა, გენაცვალე! ალბათ, თუ ვინმე გეხუმრა! — განაცხადა ჭკუიანმა სალომემ.

გოჩამ განაგრძო:

— შეილიც გამიდგა, შემარცხვინა. ცრუბენტელა ონისეს გვერდში ამოუდგა, ბიგვებში ჩადგა. ძლივს გამოვეგლიჯე ხელიდან! პაა, არა და არა, არ ვაპატიებ! ამას მაინც მოვერევი.

აღგა. აივწის წინ გაიარ-გამოიარა. ისევ შედგა და ნაიას მიუბრუნდა ისევ უყვირა:

— აქედან ფეხგადადგმული არ განახო მეთქი!

საწყალ ტასიას უნდოდა ჭმრის ლაპარაკში ჩარეულიყო. რამე სიტყვა ეთქვა დასაწყნარებლად. მაგრამ თავის თავის იმედი არ ჰქონდა. ეშინოდა, უფრო არ გაეაჯავროვო და უარესი არ გამოვიდესო. მაგრამ გოჩამ რომ გაიარა და მათგან პირი იბრუნა, მცურე ხნოს სიჩუმე ჩამოვარდა. ამან წააქეზა ტასია. ნაიას თავზე ხელი გადაუსვა და მიუაღერა.

— მაშას გაუგონე, შეილო, ჭკუის მასწავლებელი სხვა ვინა, გყავს? ამხანაგები სხვაა გენაცვალოს დედა... — ეს რომ კარგა ნათქვამი შეეჭნა, წახალისდა. ახლა უფრო თამამად განაგრძო: — შინ დარჩიო რომ გეუბნება მაშა შენი, დაუჯერე. მეც ამას არ გეხვეწები. შინ იყავი, შემოგველე! შენს თავს მიხედე, გასათხოვარი ქალი ხარ. ბევრს მოსწონხარ. გკითხულობენ. შენი ნახვა ენატრებათ. შენისთანას ორკეთში ვის ნახვენ სხვას. აი, დღეს საჩუქარიც კი მოგიტანეს. უცხო და ძვირფასი რამეა. გინდა ვიჩვენო? მოგეწონება, ვიცი.

და უცებ დატრიალდა ტასია. სახლში შეცუნცულდა და არჩილ ფრ-  
რიას მიერ მოძღვნილი კოლოფი დიდის ამბით გამოიტახაყრქვესული

— კარგ დროს მომავიანდაო. ეს უსიამოვნება იქნება ამბავსადაცხვესტა  
კიქრობდა გუნებაში ტასია და ბავშვივით უხაროდა.

თავი ახადა კოლოფს და ნაიას ისე გაუწოდა, თვალთან ახლოს მი-  
უტანა.

გაკვირვებული ნაიას პირველადვე თვალში მოხვდა კოლოფის თავზე  
შვინიდან ბეჭედივით მოხატული რუსული წარწერა „ტეფე“. მერმე უცხო  
სურნელებაც შეეფჷვია.

— შე ანის სახელები არც კი ვიცი, შვილო, რანაირი რამეებია შიგ! —  
დაიწყო ისევ ტასიამ — მაგრამ ე მანდ კუთხეში რომ ბამბის ბუდეშია  
ჩაფლული, ის უთუოდ ხელის საპონი უნდა იყოს. აბრეშუმის ქალაღღშია  
ვახვეული. შეხედე ზედ რა ლამაზი ქალი ახატია. ერთ ქალად მაგის მარ-  
ტო თმა ღირს. ასე არ არის, სალომე? მოდი ახლოს, შე ქალო, შენი თვა-  
ლით დაინახე. იფ, იფ, რა კარგი სუნი აქვს ამ დასაქცევს.

— ეს ვინ მოიტანა? — მოკლედ და სწრაფი წართქმით შეეკითხა ნა-  
ია ტასიას და სიტყვა გააწყვეტინა. უცებ ისეთი მოუთმენლობა დაეტ-  
ყო, რომ კახკალმა აიტანა.

შეფიქრიანდა ტასია. სალომეს მალულად გადახედა, რა ეუპასუხოვო.

— არ უთხრაო, მთხოვა, მაგრამ რა დასამალავია? მამამაც იცის, შენ  
კი შემოგველე. მამიდაშენისთვისაც არ დამიმალავს. არჩილმა მოგიძღვნა  
შვილო, არჩილმა. სხეას ვის ვავაბედვინებდი. ჰა, გამომართვი!

მოხდა ის, რასაც იქ არავინ მოელოდა. როგორც კი არჩილის სახელი  
ახსენა ტასიამ, ნაია ცეცხლის ალივით ავარდა სკამიდან და გამოწვდილ  
კოლოფს ხელი შემოუქნია. ისე ძძღავრად ჰკრა, რომ დედას ხელიდან  
გააგდებინა და შორს აიენის კუთხეში მიანარცხა. ამოვარდნილი ოდეკა-  
ლონის შუშები კედელს მიემსხვრენ, ხოლო ტასიას მიერ მოწონებულ სა-  
პონს მოხატული ქალაღღი შემოეცალა, აიენიდან გადავარდა და გოჩას  
ფეხებთან შიგორდა.

— არ გაბედო მეორედ! — შესძახა თავზარდაცემულ ტასიას ნაიამ,  
მიტრიალდა და ოთახში შეიქრა.

მთელი ეს ამბავი თვალის ერთ დახამზამებაში დატრიალდა. პირვე-  
ლად ხმაც კი ვერავინ დასძრა. გოჩაც კი დაიბნა, არ მოელოდა. იგი ხან  
შის ფეხთან შიგორებულ ვარდისფერ საპონს დახედავდა, ხან კიდევ თავს  
კარისკენ მიატრიალებდა, სადაც ნაია მიიშალა. ნესტოები წამდაუწუმ ებე-  
რებოდა და ვამალებულად ქშინავდა.

და უცებ წამოიგმინა:

— აიღე ახლავე, გოგოვ, მე შენ გიბრძანებ!

საჩუმე ჩამოვარდა.

— აიღე მეთქი ახლავე! — კვლავ იყვირა გოჩამ და კარისკენ ნაბიჯი გადასდგა.

— სუ, კაცო, მერე აიღებს! — გზა გადაუღობა სალომემ, შეკრდზე ხელი შიადვა და შეაყენა.

ტასია თითქოს ძილში ლოცვას ამბობსო ისე ჩურჩულებდა.

— ჩემი უბედური თავის ბრალია. ვაიმე, ეს რა ექენიო!

გონება დაკარგული ხან ცარიელ კოლოფისაკენ მიიწევდა ბანდალით, ხან შუშის ნაშხრევეებისაკენ. მერმე აიენიდან გასვლაც დააპირა, რომ საპონი აეღო, რაკი გოჩას სწორედ საპნისაკენ დარჩენოდა თითო გაწვერილი.

— ხელი მეთქი! — საპონთან მოუსწროა ქმრის რისხვამ ტასიას და ისიც იქვე გახვედა.

— გოჩა, ნამეტანია, შენ ნუ მომიკვდები. სულ ერთი არ არის ვინც აიღებს. რა მოგაციდა კაცო? დამშვიდდი. — აწყნარებდა სალომე გოჩას.

— როგორ დავმშვიდდებ სალომე, რას მეუბნები? ამ ახალმა დროს ის საკეთე მაინც მომიტანა, რომ სალანდია ფორიასთან გამათანასწორა. ზურაბ ფორია ქვეყანას აზანზარებდა, ეს შენც კარგად იცი და არ გიკვირს, რომ მისი ვაფი ჩემთან ახლა ძღვენით მოდის, მეხვეწება ქალი მომათხოვეო. საპონი რა არის, შე ქალო! ყურადღებაა საქმე! ამ ოხრის შვილს კიდევ რა ჰგონია თავისი თავი, რომ ქედმაღლობას იჩენს? არა როგორ ვაბედა!

ისევ სახლისაკენ გაემართა. სალომეს ჩამოცილება მოინდომა და ისევ იბღაეღა.

— აიღე მეთქი, მე შენ ვიბრძანებ!

სალომემაც იძალა, არ მოეშვა.

— ჰო, აიღებს, აბა რა იქნება, კაცო! ამ წამში თუ არა, მეორეში ზომ აიღებს! აცალე.

— აბა, რატომ გადაეყვევ ამ ოდას, ჩემო დიაი. ჩემთვის მინდოდა თუ? სამოცი წელიწადი ამ ქოხში გამიტარებია და დანარჩენსაც ვავატარებდი! მაგრამ ქარვასლებში ნაცხოვრებ კაცს უჭერო სახლი როგორ შეეკადრო მეთქი. თვითონაც მეხმარებოდა, ათასწაირად ხელს მიწყობდა. მეც ხელი გამოვიღე. რაბან მიკადრა, პირს არც მე შევიტყებენ მეთქი. გლეხობა რომ ვარ და ნაყმევი, კაცობა არ დამშვენდება თუ? რა ეყოთ მერე, რომ ფორიას სახლი და მამული ჩამოართვეს, მე შენ გეტყვი და მოხერხება არა აქვს. ჭკუა აქლია და გამოცილილება. ტანი არ უვარჯა თუ სახე. ორ იმდენს შეიძენს. არც ჩემ ქალზედ ნაკლები სწავლა აქვს მიღებული. ვინ არის მეთქი ეს ბარტყი, რომ ამისთანა კაცს მიწუნებს? ჩემივე ხელით დავკლავ. გოგო, გამოდი მეთქი აქეთ! არ გესმის?

— კი, მაგრამ ძალით ვათხოვება არც ძველათ იყო, *სერჯის ნიჭი*  
გვადრება? — უსაყვედურა სალომემ.

— არამც და არამც იმ უსახლკარო ბიგვას ჩემს სახლში არ შემოუშვებ, სალომე. მაგას ტყვილა მეუბნები. მოჯამავირობაში ნათრევი ბიჭი და ფორია, ნუთუ ერთმანეთში ვერ გაგვიჩვევია? თუ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა და ამიტომ ლაპარაკობ?

— რატომ მამრალებ ამას, გოჩა? შე არ მითქვამს შე კაცო მაინცდამაინც ბიგვა იყოს მეთქი, მაგრამ თუ ფორია არ უნდა?

— რას მიქვიან არ უნდა. მაგას ვინ ჰკითხავს. ზედსიძედ სახლში შემოვიყვანო, მამა-პაპეული კერია დაეულოცო და ბიგვა ავირჩიო? აბა, ერთი გაბედოს და მაგაზე სიტყვა დაძრას! დღე რომ იყოს არ დაეუღამებ და ღამეს არ გავუთენებ... არ გესმის მეთქი, გოგოე? აილე ახლავე შენი ხელით...

მაგრამ ნაია არც გამოსვლას აპირებდა სახლიდან და არც რაიმე პასუხის გაცემას.

არაფერ იცოდა რით გათავდებოდა ეს ამბავი და გოჩა კიდევ რა ღონისძიებას მიმართავდა შვილის დასამორჩილებლად, რომ ამ დროს ყველას ყურადღება მიიქცია ჭიშკრის გაჭრიალებამ, რომელსაც მალე გვადის ხმაც დაერთო:

• — შედი, ხო, ჭირიმე! შენი სახლია...

ყველამ იქით გაიხედა.

ნიკორა ჭიშკარში შემოდიოდა, ხოლო მის უკან გვალი ცერებზე შემდგარიყო, კისერი წაეგრძელებინა და იძახოდა:

— ჰო, გოჩა უი! გამოიხედე ერთი!

ეტყობოდა, გვალი ეზოში შემოსვლას არ აპირებდა.

სალომეს განსაკუთრებულად გაუხარდა კამეჩის დანახვა. იქნება, გოჩამ აზრი კამეჩს გადააყოლოს და ნაისთან ჩხუბი შესწყვიტოსო.

ჰა, გოჩა შენი კამეჩი, წამართვესო რომ ამბობდი! მიდი, კაცო, ნახე ერთი რა ამბავია? — და უბიძგა, რომ იქაურობას მოშორებოდა.

ტასიასაც სული ჩაედგა.. კაბის კალთით ცრემლი შეიმშრალა თვალებზე, აფრუტუნდა.

— ნიკორა... დმერთო მიშველე! — სთქვა და კამეჩისაკენ გაეშურა.

— რაო? — დაიბროტინა ბოლოს დაგვიანებულად გოჩამ და ისე, როგორც იყო ნაისთან საჩხუბრად ტანმომართული, ადგილიდან დაიძრა.

— გერამ მიბრძანა: ახლავე მიჰგვარეო გოჩას თავისი კამეჩი! — და იწყო ძახლის ხმაზე შორიდან გვადიმ, როგორც კი კამეჩისაკენ წამოსული გოჩა დაინახა. — უთხარიო, არაფერი ეწყინოსო. შენი მტრები კი ყველა დაიჭირა. უთხრა: დედას გიტირებთო. ჩემი ყურით გავიგონე.

ჩაიბარე, კირიმე, კამეჩი, თორემ მეც შეეს დღეს დამაყვამე...  
იქ დავეიწყებოა. ეს ზოსიმემ გამოგიგზავნა, მთართიოზ...  
გოჩამ გულდასმით მოუსმინა გვადის. ეამა, რაც გაიგონა. გვადი გან-

საკუთარებულად მორიდებულად ლაპარაკობდა და ისე დამაჯერებლად,  
რომ გოჩას ექვიც კი არ შეპარვია მისი სიტყვებისადმი.

— ჰოო, — ფარული კმაყოფილებით ჩაილაპარაკა გოჩამ და ნიკო-  
რასთან მივიდა. პირველადვე კისერზე გადაუსვა ხელი და ნაუღლარი  
ადგილი გაუსინჯა, ხომ არ დაკორძებია ან დაშავებულია. შერმე სალომეს  
მიუბრუნდა.

— ხომ გაიგონე, სალომე, რაც ამ კაცმა ამბავი მოიტანა? აბა რა ეგო  
ნათ? მაგრამ მაგ სიტყვებითა და საქციელით ბიგვა მაინც მე უკან ვერ  
დამაბრუნებს. ესთქვი არ მინდა კოლექტივი მეთქი, და გათავდა.

ნიკორა ეზოს სუფთა ბალახს ხარბად დაწვედნოდა.

— შეხედე, როგორ მოშივებია საწყალ პირუტყვს. აბა რა იქნებოდა,  
მთელი დღე უღელში ებათ. ჭამე, ჭამე, შემოგვეღე. — ეფერებოდა კამეჩს  
გოჩა და მთელ ტანზე ხელს ვარდიგარდმო ავლებდა.

ტასიაც მოეფერა ნიკორას. კულზე მიმხმარი ტალახი მოსწმინდა და  
შერმე ცურზედაც ხელი შეუსვა. უცებ განზე გადგა და შეჰკივლა:

— ნანაია, მგონი, კიდევაც მოუწველავთ წყულებს! ცური ჩვარივით  
ჰკილია, კაცო!

გვადიმ რომ ტასიას სიტყვები გაიგონა, ჭიშკარში შემოდგა ფეხი და  
ისე ხმა მალლა გაიციანა, რომ ყველამ მისკენ გაიხედა. მაშინ გვადიმ ტა-  
სიას ასე მიმართა:

— ჩემო ტასია, რძეს ბალახი იძლევა და არა უღელი, კირიმე. ხარ-  
კამეჩს რძე იმიტომ არა აქვს, რომ უღელში აბია... ასეა, ჩემო მეზობელო.  
თუ ფურს მთელი დღე უღელში შეაბამ, ისიც ხარბად გადაიქცევა და არც  
მოიწველის. აბააა!

გოჩას მოეწონა გვადის სიტყვა. უღვაშებში ჩაიციანა ჩემად.

— დედაკაცო, ვერ შეხედე, პირუტყვი ბალახს როგორ მიეიტანა? მში-  
ერია და რძე საიდან ექნება. — შენიშნა თავის მხრით ტასიას. — მაგრამ  
ვანებებ მე მაგათ თუ გოჩა ვარ! ვაი დედასა, ეს როგორ გამიბედეს!

ნიკორას გავაზე მიაწვა, უბიძგა, ეზოს კუთხისკენ გარეცა, სადაც უფ-  
რო მეტი ბალახი იყო. შერმე ისევ ტასიას მიუბრუნდა:

წადი ერთი, დედაკაცო, შენ შეიღს უთხარი აქ მოვიდეს. ნახოს, რაც  
შამაძის ძალა და გველენა ჰქონებია! ეს ჯერ კიდევ რაა თქვა? ბევრს  
სხვასაც უკან დააბრუნებოდა. წადი მოიყვანე...

სალომემ ხმაზე შეატყუო ძმას, რომ იგი ნაიასთვის ახლა საშიში არ იყო  
ცხადი იყო, რომ გოჩა ფორიას საჩუქრის ასაკრეფად არ ეძახოდა შეიღს.  
ამას ტასიაც გრძნობდა.



მაგრამ წასვლა შიშით მაინც ვერ გადაეწყვიტა, სანამ სალომეს დასტურიც არ მიიღო. სალომემ კი თვალი ჩაუკრა და ანტიპატიათა დასაწყისი იქნება, შევარდოვით. ტასიასაც აღარ დაუყოვნებია.

ნაია დარბაზში არ იყო. ტასია არც მოელოდა იქ შეიღოს. დარბაზი გვერდით, უკან აივნის კუთხეში, პაწაწინა ოთახი ჰქონდა ნაიას ბუდესა-კით შიდგმული. ტასიას შეიღო ამ ბუდეში ეგულებოდა. კარი დარბაზიდან ჰქონდა შესასვლელი და ღია იყო. სანამ იმ ოთახში შევიდოდა, ტასიამ უხმო ნაიას. პასუხი არ იყო. არც ეს გაჰკვირებია ტასიას.

— კარგი, ახლა! გეყოფა, ნუ ხარ მამაზე უფრო ჯიუტი. გამოდი, მამა აღარ გერჩის! — შეაძახა ოთახში და მერმე შევიდა.

ნაია იქაც არ დახვდა. ახლა კი ცოტა შეოცდა ტასია. ეჭვმა გაკრა, ხომ არ წავიდა სადმეო. ისევ დარბაზში დაბრუნდა. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება, რომ დარბაზის უკანა კარი ღია იყო. ეჭვი შიშად გადაექცა. კარს მივიარდა, გარედ გაიხედა. ჯერ ახლოს მიმოავლო თვალი, მერმე შორსაც გაიხედა. ძლივს შეიკავა თავი და არ იკივლა: ეზოს გარეთ, სახლიდან კარგა დამორებით, ნაია გამალებული მიდიოდა უკან მოუხედავით.

კინალამ ჰკუთხე შეირყა ტასია. ეს რა დაინხეს მისმა თვალებმა. უკანა ეზოში გავიდა. სახლს აეფარა და ალაგესკენ გაიქცა. დამახებებს ვერ ბედავდა.

— შეიღოს ასე გაქცევა რომ გაიგოს გოჩამ, ქვეყნას დააქცევსო. რა თქმა უნდა, ტასია ნაიას ვერ დაეწვოდა. სული შეეხუთა. ახლა ფეხებიც შეეკრა და ალაგემდესაც ვერ მიიღწია.

— რა ექნა, რა შეშველებოაო, იმ კაცს რა უთხრაო? — ჯერ ხელზე იჩქმიტა და მერმე მოტირალივით ფრჩხილებით ლოყა ჩამოიკაწრა.

ამდენ ხანს იქ დაყოვნებაც არ შეიძლებოდა და გოჩას უბაზოდ დატოვება. ვერაფერი მოიანზრა ტასიამ. ისევ უკან დაბრუნდა უაზრით. დარბაზი ჩქარი ნაბიჯით გაიარა და წინა კარით ეზოში გავიდა.

ნაიას მოლოდინში სალომე დასახვედრად სახლისაკენ წამოსიკლყო. მაგრამ დედა უშვილოდ რომ დაინახა, სახტად დარჩა. ტასიას ხმა ვერ ამოელო. არც იცოდა რა ეთქვა. ამოტელა უბედურება როგორ გაემზო-ლა, ხოლო დაფარვაც ვერ მოეხერხებინა. ხელი ასწია კი და სალომეს უარის ნიშნის გამოსახატავად დაუქნა. თვითონ ამ ნიშანში უთუოდ გულისხმობდა ნაიას შინ არ ყოფნას, მაგრამ სალომემ კი ეს ასე გაიგო: ნაია არ წამოვიდაო. ახლა სალომეს შეეშინდა, ისევ ჩხუბი დაიწყებოდა და მაშინვე გოჩას მივიარდა — უთხრა:

— თუ ჩემი ხატრი გაქვს, გოჩა, დაანებე მე გოგოს თავი, ბაღლია, ნუ აყვები. ალბათ რცხვენია და შენთან მოსვლას ვერ ბედავს. მერე მოელაპარაკე, შე კაცო. იჯდეს სახლში, თუ ასე უნდა.



სალომეს გვადიც შეეშველა:

— სწორედ კარგი შეილი გყავს, გოჩა, ბედნიერი კაცისაა შენაა. მოგესწრო. ღმერთმა მის ვაჟსაც შეგასწროს ბედნიერად. რამე: ანბობენ შეილის შეილი შეილზე უფრო საყვარელიაო. ჰეე, არ იქნა ეს ჩემი ბარდღუნია თორმეტ წელიწადს ვერ გადაცილდა ამდენი ხანია, თორემ ტოლი რომ ყოფილიყო... თუმცა შენ ბიგეები არ გიყვარს, ვიცი, მაგრამ ჩემი ბარდღუნია დასაწუნარი სიძე არ იქნებოდა, ისეთი ბიჭია, ჭირიმე! ჩიტის რძეს არ დააკლებდა შენს ქალს! ხე-ხე-ხე...

ყველას გაეცინა.

შიძისაგან დამბლი-დაცემულ ტასისაც კი სახე გაეხსნა.

— მიწა კი დაგაყარე მაგ ენაზეო! — ჩაილაპარაკა თავისთვის და სალომესთან მიბაჯბაჯდა.

ბაიტ, შე მასხარავ! აქედან დამეკარგეო, — შეპყვირა გოჩამ გვადის და შესაშინებლად ერთი ისეთი მოხდენილი ნახტომი გააკეთა მისკენ, რომ ჯველსაც კი დაამშვენებდა.

— ბიგეა რა არის, და შენი ბარდღუნისა კიდევ რა მცოდნიაო.

სალომე გაბარებული იყო, რომ ნაიას გამოუცხადებლობა გოჩას გულიდან გადაუვიდა.

ტასიას გულში კი ცეცხლი ენთო: გაემზილა თუ არ გაემზილა შეილის სახლიდან წასვლის ამბავი.

უენაურება რამ სჭირდა საწყალს: ვერც ერთი ვაებენა და ვერც შეორე.

#### XIV

შინ დაბრუნებული გვადი, სანამ ეზოში შევიდოდა, ერთი ხნით ალაგესთან შესდგა. ბავშვები ამ დროს სახლში ეგულვებოდა და მიაყურა, თუ წესიერად არიანო. ჯარგვლის უკნიდან ბარდღუნისა ხმა მოესმა. ყვირილად მოეჩვენა. სიტყვა კი ვერ გაარჩია.

— ნეტავი, ასე ვის უყვირისო. გაიკვირა გვადიმ და ალაგეზე ფრთხილად გადავიდა, რომ მიახლოვებოდა და უფროსი ვაჟის სიტყვა კარგად გაეგონა.

საღამოვდებოდა და ორკეთზე ღამის ჩრდილი წამოწოლას აპირებდა. შემოდგომის ნელი და გრილი სიო ფარფატებდა.

— მწყრივო, სწორდი! — მოესმა გვადის მკაფიოდ ბარდღუნისა მკაცრი ძახილი. დადგა. ყურები დასცქვიტა.

— კუჭუნია, გცემ იცოდე! ჭირიმია, ხელი ჩამოუშვი! მარჯვენა მხარე სადა გაქვს? არ იცი... საითკენ კიტუნია გაიხედავს, შენც იქეთ გაიხედე... დასტოვე, არ ვარგა! — უწყრებოდა უნტროს ძმებს ბარდღუნია.

წერთნის ბიჭებსო, გაიფიქრა გვადიმ. — ესიაშოვნა. უყვარდა ცქერა, როცა ბარდლუნია ძმებს ავარჯიშებდა, სამაგალითო წესრიგს უყვანდა. ზეგები დაჩვეული და ყველანი, სულ პატარა ჭირიშიაც კი, მისი წესების რის-კაცივით ემორჩილებოდა მის ყოველ სიტყვას.

გვადი ჯარგვალთან მივიდა და ლაფარეში დადგა, რომ ახლაც ეცქირნა ვარჯიშობისათვის და ესიაშოვნებინა.

ოთხი ბავშვისაგან შემდგარ მწყრივს ბარდლუნია ეზოს უკანა კუთხეში ავარჯიშებდა, სადაც ხუთ ძირს მანდარინის ხეს ეზოს მთელი კუთხე მქონდა დათმობილი. ამან კი ცოტა არ იყოს გააოცა გვადი. რატომ აქ მოემწყვდა მაინცდამაინც, წინ ხომ მეტი არეაო. მაინც უხაროდა, რამე მისი ლექვები მწყობრში კარგად იდგენ.

— სმენა! — გაისმა ახლა ბარდლუნიას ახალი ძახილი. — მააარჯენი-საკენ!

არ გამოუვიდათ მწყობრად.

— დასტოვე, არ ვარგა! — გაჯავრდა ბარდლუნია. შოლტი გაატლა-შუბა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ლარივით გაიმართა და ძახილი ახლა უფრო მკაცრად გაიმეორა.

— სმენა!.. მააარჯენისა-კენ — ბავშვები მწყობრად მიბრუნდნენ მარჯვნივ. ბარდლუნიათ განაგრძო: მარცხნივ ნაბიჯით იარ! ერთი, ორი... ერთი, ორი!... პირდაპირ!... ერთი, ორი!..

მწყრივი მანდარინის ხეების ირგვლივ შემოატარა.

— მწყობრო, სდექ! — და ისევ ძველ ალაგას დააყენა. მერმე შოლტიანი ხელი მალლა შეისროლა, ძმებს პიონერული სალამი მისცა და შესძახა:

— იყავით მზად!

— მზად ვართ! — უპასუხეს ძმებმა, მაგრამ ხმა აერიათ..

— ჭირიშია, ნუ აგვიანებ. — გაუწყრა ბარდლუნია.

— დასტოვე, არ ვარგა!

მერმე ისევ შესძახა:

— იყავით მზად!

— მზად ვართ!

ახლაც ჩამორჩა ძმებს ჭირიშია, მაგრამ ბარდლუნიათ ხელი ჩაიჭნია და პასუხი მაინც დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ამის შემდეგ მწყრივის წინ სახის მრისხანე გამომეტყველებით ჩაიარა. თითოეული თავით ფეხამდე შეათვალიერა და თვალეზშიც შეაღებდა. დღეს განსაკუთრებით შეუპოვრად ეჭირა ბარდლუნიას თავი, თითქოს უმცროსების შეშინება სწადიაო, ისე იქცეოდა. თამაშობას არ ჰგავდა რალაც დღეს მისი ვარჯიშობის გაკვეთილი. ძმებიც გრძნობ-

დნენ ბარდლუნის ასეთ უცნაურ განწყობილებას და ცდნენ არ აეკლებინათ, რომ ვარჯიშობა კარგად ჩაეტარებიათ.



ბარდლუნია ახლა ცოტა განზე გადავა.

— ქირიმია! — გამოიძახა ყველაზე უმცროსი. — წინ გამოდი!

— ლატომ! — შეეკითხა ამდენხანს თავდაპირველი ქირიმია, რაკი ბრძანება ბარდლუნიათ მხოლოდ მას მიაკეთებდა გამოჩვევით. მაგრამ მოაგონდა თუ არა, რომ ლაპარაკი აკრძალული ჰქონდა, პირზე ხელი აიფარა და მაშინვე ბარდლუნისკენ წაბაჯბაჯდა.

— მანდ დადევ! — უთხრა უფროსმა ძმამ და ახლოს არ მოუშვა. როცა დადგა ქირიმია, უთხრა:

— აბა თუ ვარგხარ, მოსწყვიტე მანდარინი და აქ მომიტანე. სულერთია, რომელ ხეზედაც გინდა! ოღონდ ჩქარა!

ქირიმია პირველსავე ხესთან მივიდა და ახედა. ხე მალალი იყო. დარწმუნდა რომ ვერ შესწვდებოდა. თითი პირში ჩაიჩარა და დაფიქრა.

— ქირიმია ვერ შესწვდება. — შენიშნა ოთხში ყველაზე უფროსმა ლუტუნიათ და თვალეზი გამოჰქლიტა, ვითომ მე მიმიშვი და ხელად შევსწვდებო. ქირიმიათ იუკადრისა შენიშვნა. უფრო დაბალ ხესთან მიიჭრა და მის ტოტებს წაეპოტინა. შორს დაურჩა ტოტი. დამარცხებდას მაინც არ შეურიგდა. ყველა ხე შემოიარა, მაგრამ ცდამ უშედეგოდ ჩაუარა.

— დადექ შენს ადგილზე! — უბრძანა ბარდლუნიათ. ქირიმიათ ცრემლი მოადგა თვალეზზე. ზედ მუშტები მიიტანა და შეისრისა. ასლუკუნებული დაუბრუნდა თავის ადგილს.

— კუჭუნია, აბა, შენ სცადე! — მიმართა უფროსობით შემდეგ ძმას ბარდლუნიათ.

კუჭუნიათ ჩამოუარა ხეებს, ხოლო მასაც ცდამ ფუჭად ჩაუარა, მაგრამ არ ატირებულა, თავი ვაკეცურად შეიკავა. დამარცხებულ ძმას გვერდში ამოუდგა.

კიტუნია ახლა შენი რიგია! მიმართა შემდეგ ძმას ბარდლუნიათ.

კიტუნია ორ მოდიდო ხეს ვერ შესწვდა. მესამის ტოტი კი დაიჭირა და მოხნიქა. ის-იყო ხელი წააელო ნაყოფს მოსაწყვეტად, რომ ბარდლუნიათ დაუყვირა:

— შესდეგ! არ მოსწყვიტო!... შეგძლებია! მოდი, ცალკე დადეგ. — უთხრა და განცალკევებით განზე დააყენა.

როცა რიგი დანარჩენებზე უფროს ლუტუნიათმდე მივიდა, აღმოჩნდა, რომ მას ყველა ხეზე შეეძლო მანდარინის მოწყვეტა, მაგრამ ბარდლუნიათ მასაც აუკრძალა ხელის ხლება და ცალკე მდგარ კიტუნის გვერდით დააყენა. მერმე ერთხელ კიდევ შესძახა:



— სენა!

და როცა ბავშვები გასწორდნენ, ჯიქურ მიიჭრა ლუტუნისათვის, ქორივით თავს წამოადგა. ლუტუნისა უცაო იელ საყელურზე წაავლო ხელი და აკითხა:

— იცი, ეს რის ნიშანია, ამხანაგო?

— ვიცი, ამხანაგო ხელშეძვანელი! — რიხით უპასუხა ლუტუნამ. როშელიც სკოლის პიონერთა წრეში იყო გაწაფული.

— პიონერმა ტყელი არ უნდა სთქვასო, ესეც იცი? — და ბარდლუნამ ძმას მცდელი თვალეზი შეანათა.

— ვიცი! — ბეჯითად მიუგო ლუტუნამ.

— თუ იცი, მაშ სთქვი ახლავე: შემწიფებული მანდარინები შენ მოსწყვიტე და შექამე, თუ არა?

ბარდლუნის მოულოდნელმა შეკითხვამ უღიდესი გაცვირვება გამოიწვია ძმებში. ყველამ პირი დაალო და ისე შეაძქერდა უფროს ძმას. ლუტუნისაც ენა მუცელში ჩაუვარდა. დაიბნა.

ბარდლუნის გაუხარდა: ქურდის კვალს მივაგენიო, გაიფიქრა. ახლა უფრო სასტიკად გაუმეორა შეკითხვა.

— შენ მოსწყვიტე მანდარინები თუ არა! გამოტყდი ახლავე!

— არა! — უპასუხა ლუტუნამ და გაცვირვებული სახე უჩვენა.

— სტყუი.

— არ ესტყუი!

— სტყუი შეთქი.

— არა!

ბარდლუნია გახელდა.

— მოიხსენი საყელური! ღირსი არ ხარ! — შოლტი ილლიაში შეიგდო და ორივე ხელით მიწვდა ძმის საყელურს. თვითონ დაუწყო შეხსნა. ასეთი უსამართლობა ვერ მოითმინა ლუტუნამ.

— გამიშვი! — იკვივლა, მთელი ღონე მოიკრიბა და ბარდლუნის საყელურიანად ხელიდან გაუსხლტა. მოკურცბლა.

— დადექ! — მიამახა ბარდლუნამ, მაგრამ ლუტუნია მაინც გაეცარდა. ბარდლუნია კიტუნის მიუბრუნდა. დროზე შეატყო, რომ ისიც ვაჭყევას აპირებდა. პირდაპირ ყურზე წაავლო ხელი.

— შენ მოსწყვიტე!

— არა, ღმერთმანი!

— რამდენჯერ გითხარი, ღმერთს ნუ ფიცულობ მეთქი!.. სთქვი!

— მე არ მომიწყვიტავს! — გააბა ბლავილი კიტუნამ.

— მაშ, ეინ?

— არ ვიცი!

— იცი!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— არ ვიციი...

— სთქვი, თორემ ჰა... —

გვადი ლაფარედან უცქეროდა მთელ ამ ამბავს. სანამ ბავშვების ვარჯიში ჩვეულებრივი თამაშობა ეგონა, მისი ცქერით ერთობოდა. ხოლო როცა ბარდლუნამ მანდარინის მოწყვეტის განკარგულება გასცა, ამან ცოტა შეაკვირვა, ეს რა შუაშიაო. მაგრამ ესეც ვარჯიშად ჩასთვალა. შეხტომას ასწავლისო, ალბათ.

მაგრამ როცა ბარდლუნამ ძმას კითხვა პირდაპირ და უეცრად დაუყენა, შენ მოსწყვიტე თუ არა მანდარინებიო, მაშინ კი მიხვდა თუ მის უფროს ვაჟს რა მიზნით მოეწყო მანდარინის ხეების წინ ვარჯიშობა და მთელი ეს ისტორია რისთვის დაეტრიალებია. მეტი არ შეიძლებოდა. ისე გაოცდა.

დიდი კაცი დადგება ეს მამაძაღლიო, — გაიფიქრა გვადიმ, — რამდენი შოსაზრება ჰქონებია და რა ხერხები სცოდნიაო.

საქმე რომ უდანაშაულო კიტუნისა ყურის აწვევამდე მივიდა და ბრაზმორეულ ბარდლუნისა შეეტყო, რომ ყურის აწვევითაც არ დაჯერდებოდა, გვადი სირცხვილში ჩაეარდა.

ლაფარე დააგლო და, ვითომ ახლა შემოსულიყოს ეზოში, ისე ჩქარი ნაბიჯით ბავშვებისაკენ გაემართა.

— ჰუ, ამას რას შერები, ბაბაია? — შესძახა ბარდლუნისა და გასაშველებლად მივიდა. — შენ დიდი ხარ, ეს კი პატარა! ცოდგაა, ქირიმე, გაუშვი!

— ქურდია, არ გაუშვებ! ამას და ლეტუნისა მანდარინები დაუკრეფიათ, ბაბაია. რაც კი მწიფე ესხა, სულ შეუქამიათ... გიოსთან შეჯიბრება მქონდა, ვისი უფრო ადრე დამწიფდებოდა. ახლა რა ვუყო, ვიო რომ მაჯობებს? ამათი ბრალია. არ გაუშვებ. უნდა გამოვტეხო, მეორედ მაინც არ გაბედონ. — შესჩივლა გულდაწყვეტილმა ბარდლუნამ მამას.

— შე მომანდე, ბაბაია, ეს საქმე. მე არ დამიმალავენ, თუ რამე იცულღუტეს. — უთხრა გვადიმ შვილს და ძმის ყურზე ხელი. გააშვებინა. მერმე კდევაც ჩამოაშორა და ატირებული კიტუნია თვითონ წინ დაიყენა. თავზე ხელი გადაუსვა.

— ნე სტირა, ბაბაია! შეშინება უნდოდა.

კიტუნამ უმატა ტირილს, რაკი მოფერება იგრძნო.

— მაჩვენე, აბა, სად გტკივა. — ხელი შეუსვა ყურზე გვადიმ. დაიღუნა, პირი ახლოს მიუტანა და შეუბერა. — ახლა ხომ არ გტკივა? ჰოო, ასე იცის ბაბაიას მოფერებამ. ხომ ხედავ რა უტბად გაიარა.

კიტუნისა წინ მუხლებზე ჩაცუცქდა. პირდაპირ თვალბში შეხვდა.



— აბა, შემოხედე ბაბაიას!... ასე... ყოჩაღ, ცრემლს რომ მოეორე ვაქ-  
კაცობა შეგძლებია! ჰო, არ უნდა იტირი, ჩემო ბაბაია! ეროვნულ-  
კულტურული

შერძე განზე მდგარი ქირიშია და კუჭუნიაც თავისთან მოიხ... სამ-  
თავეს ერთად მკლავი შემოხვია წინ დაიყვნა. დაცუტული რომ იყო,  
ისიც იმათი ოდენა სჩანდა. ძალიან სერიოზული სახე მიიღო. წარბები  
შეკრა, თვალები გამაფრთხილებლად მოკუჭტა და ბავშვებს ასე მიმართა:

— ბარდღუნია უფროსია, ბაბაია. უნდა გაუგონოთ ყველაფერი.  
კუჭუნს გარიგებთ: ქურდობა არ ქნათო, ტყუილი არ სთქვათო... არ ავი-  
გონო, ბაბაია, თქვენი ქურდობა და ტყუილისთქმა!... არამც და არაპყ-  
გულშიც კი არ უნდა გაივლოთ არც ერთი და არც მეორე... არაი-  
დეს... თუ არა, არ გაიზრდებით, ბაბაია. ასეა. თუ მაინცდამაინც გაი-  
ზარდეთ, გლახა და ცუდი კაცის სახელი დაგერქმევით. აი, ცუდი კა-  
ცები რომ არიან, არავის უყვარს იმისთანა... ჰაბაბა, ჯვარი აქაურობას.  
ცხრა მთას იქით და კიდევ სულ იქით მატყუარა და ქურდი კაცი... აბა.  
ახლა მითხარით ბაბაიას! მოსწყვიტეთ თუ არა ბარდღუნიას მანდარი-  
ნები? რაც უნდა მითხრათ დაგიჯერებთ... იქნება, ერთი მოსწყვიტეთ  
ან ორი... იქნება ყველა თქვენ არ მოგიწყვიტიათ...

— არა, ბაბაია... აი, არა... არც ერთი. — ისეთი გულწრფელობით,  
სახლო ხმით და ბეჯითოდ უბაძუბა მამის კტუნიათ, რომ წინააღმდეგში  
დაჯერებულ, მის უკან მდგომ ბარდღუნიასაც კი ეჭვი აღუძრა თავის  
რწმენისადმი. ამიტომ ბარდღუნიათ საჭიროდ დაინახა ერთხელ კდეც  
ძიებართა ძმისთვის:

— მართალი სთქვი, კიტუნია! სულ ერთია, არ დაიმალება. შენ თუ  
არ სთქვი, ლუტუნია იტყვის... გარეშე ქურდი აქ არ მოვიდოდა.

მაგრამ გვადიმ სიტყვა ჩამოართვა ბარდღუნიას:

— მართალი უნდა სთქვან, ხომ ბაბაია? მართალს თუ ამბობენ არაო,  
კი რომ სთქვან ხომ ტყუილი იქნება!... დამაცადე, ბაბაია, ნუ ერევი... —  
შერძე ისევ ბაღლებს მიუბრუნდა და გადაამჭრელი ხმით მიმართა:

— აბა, ახლა მაჩვენეთ მუცელი! მუცელზე შეგეტყობათ, თუ გი-  
ჰამიათ...

არც ერთი წამითაც არ შეფიქრებულან უდანაშაულო ბავშვები. სამ-  
თავე ერთად მამის წინადადების გაგონებისთანავე პერანგის კალთები  
შეკრდამდე აიკეცეს და ბაბაიას წინ შიშველი ტიკინა მუცლები გამოს-  
კიშეს. გვადიმ ზედ ხელი შეუსვა თვითუფლს, მიუთათუნა.

— ნეტავი, თქვენს მუცელში ჩასულიყო ის მანდარიანები, ბაბაიებო...  
თქვენ მაინც შეგერგებოდით! ვინ ოხრებმა ჩახეთქეს, ვინ მამაძაღლებმა  
შეირგეს! — სთქვა თუ არა ეს გულამოსკენილად, გვადიმ ყველაზე უფ-  
რო მუცელგამობურთულს ქირიშია ახლოს მიიზიდა, სახე კაპზე მიაქლო  
და ლოშნით აკოცა. მიეხუტა.

— განა არ ვიცი, რომ არ შეგიუბამიათ... გულიც ამიტომ მტკიცე, ბაბაია! — რაღაც უცნაური აქურქურებით წარმოსთქვა და ტყვედ წაიყვანა ცელში პირისახე კიდევ უფრო ჩარგო. არ გასულა წამიც, ~~წამიც~~ რომ სჩვეოდა, იმნაირი ხმა მოუშვა ჭირიმიას მუცელთან. მაგრამ იგი ალუქსლუქსაც ჰგავდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია ამას.

კიტუნებამ კი გვერდიდან ფრთხილად ჩაზედა ბაბაიას 'ახეში, რა ემართებაო. ნახა, რომ მამას ორივე თვალრიდან ცრემლი ჩამოსდიოდა. გაუჯვირდა. მერმე უცებ მოსწყდა თავის ადგილს და ბარდღუნუნიას მივიარდა. ხელი ბაბაიასაკენ გაიშვირა და მიმართა:

— აი, ბაბაია სტირის, შენ რომ გვეცემე!.. ახლა? — ქარხალივით გაწითლდა და ძმას მამხილებელი თვალები შეაშტერა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



ილო მოსაზვილი

## ბ ე რ ე ლ ს

მზე ბნელს ჩააქრობს და ათბობს მთა-ველს,  
მისი სხივების დიდებით მოსელა,  
როგორც შენ მიწის თვითეულ მტკაველს:  
ხეს, ადამიანს და საესე თაველს,  
შენი გენიის სინათლით მოსაე.

ხე წაქცეული, ხე — შრებდახრილი,  
პირველ განთიადს ვაუწყდის ხელებს,  
გააღებს ცას და შენი სახელიც,  
დილის შეჭივით მოვილის ხმელეთს.

დგება ბალახი, აცახცახდება,  
მოვარდნილ სითბოს წყალივით დაღვეს:  
ტკბილი სიზმარი ცხადად ახდება  
და შენი სახე ცაზე დახვედება  
კაცის პირველად გახელილ თვალებს.

დახვედება მხედარს, მეზღვაურს ქარში,  
თოვლიან ზღვაში დამწყვედეულ ჩობანს,  
ამოუდგება ძმასავით მხარში  
და ატკიებულ კრილობას მობანს.

ამოუდგება დამზრალ უბეში  
უძრავ ყამირებს მამაპაპეულს,  
და ხარს — შავთვალას, მძიმე უღელში,  
როგორც სულდგმულის მხსნელი ნუგეში,  
მადლიან ხელით შეხსნის აპურს.

ვინა ყოფილა — როგორც შენ იგრძნე  
დარდი, რომელიც ქვეყანამ ზიდა,  
ამდენი გული, ამდენი სიბრძნე,  
ჩვეთვის გაედო გზათა და ხიდათ.

ხალხის იმედათ ვინა შობილა  
და გადასულა მერმისში ზღაპრად,  
ვინ მოაშორა, ვინ ამყოფინა,  
ოაც ქვეყანაზე ტანჯვა ყოფილა  
და სინამდვილეთ უქცია ნატვრა!

სხვა, სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,  
მიწაზე დადის — არა აქვს მიწა,  
ჩვენ კი, ბედნიერ სამშობლოს პატრონს,  
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად.

ზეცაში — მფრინავს, ბრძოლაში მხედარს;  
ვაეკაცს — ზღვასავით გაშლილ ყანაში,  
და ბავში, როცა შესცქერის დედას,  
უსმენს და თითქოს სიზმარში გხედავს,  
შენებრ მშობლიურ იავენანაში.

და როცა დილა, მთების ფიწალზე,  
ღრუბლის ბულულებს ლურჯად შეღებავს,  
იგრძნობს სულდგმულ დედამიწაზე,  
წენი გულის და ხელის შეხებას.

დგება ბალახი, აცახცახდება,  
მოვარდნილ სითბოს წყალივით დაღვეს,  
ტკბილი ოცნება ცხადადა ზდება:  
და შენი სახე ცაზე დახედება  
ქვეყნის პირველად გახელილ თვალებს.



ვლ. მანიაკოვსკი

## ს ა ი უ ბ ი ღ ე ო

ალექსანდრ სერგეის ძე,  
ნება მიბოძეთ გაგეცნოთ.  
მანიაკოვსკი.

მომეცით ხელი!

აი, მკერდი.

ისმინეთ უკვე

არა ძგერა

არაზედ კენესა,

ჯავრი მაქვს ღომის

მორცხვი ლეკვის რომ სძინავს ტყავში.

თურმე ამდენი

ათასი ტონა—

მე თოქმის დღესაც

კი არ ვიცოდი,

რომ ყოფილა ჩემს მსუბუქ თავში.

მე თქვენ მივათრევთ.

გიკვირთ, არა, რომ ასე მაგრად

ხელს გიჭერთ?

გტკივართ?

მაპატრევთ მე დღეს ეს ერთი.

მეც და თქვენც,

ორივეს,

მარადისობა გვაქვს ხომ მ.ჩაგად.

განა რა არის

ერთი ორი

საათი ჩვენთვის?!

ვითომ წყალია—

გაფეხუროთ

ბაასით ცისკენ.

გაზიფხულია ვითომ —  
 ვიყოთ

ლაღად და ფართოდ!

ხედავთ,

დღეს მოვარე  
 ახალგაზრდაა ისე,

რომ საერთობილოა

მისი გარეთ  
 გაშვება მარტოდ.

მე

დღეს  
 სიყვარულს  
 და პლაკატებს  
 თავი გავართვი

ქვევებს დათვი

დავაწყყნარე  
 ურჩი აქამდე.

თუ გსურს

დარწმუნდე,  
 რომ ეს მიწა არის დაღმართა, —

დაჯექ

საქუთაი საჯდომზე  
 და გასწი, დაქანდი!

მელანქოლიას

ჩაბნელებულს არ გავუყურებდი,

და არ ე ვისთანვე ლაპარაკი

მსურს მე საცხებით.

მხოლოდ ხშირ-ხშირად

ფართხალებენ  
 ჩითმების ლაქუნები

პოეტურ ქვიშაზე

ჩენი მსგავსების.

უსარგობლოა ოცნება და

მაკნეა დიდათ,

უნდა შესრულდეს

სამსახურის  
 ყველა ვალები.

მაგრამ ზღვება კი,

რომ ცხოვრება  
 დგება სხვა წხრიდან,

და დიდს  
 მივხედები  
 სულ პატარას საშუალებით.

ჩვენ  
 არა ერთხელ  
 შევეტაკეთ  
 ლირიკას ხიშტით,

გვეჭირდება  
 სიტყვა  
 ზუსტი და შიშველი.

მაგრამ კოეზია  
 (ნელი რამეა:  
 არაებობს მისთვის,  
 არსებობს —  
 და შენ არც კი გიშველის.

მაგალითად ეს —  
 წარმოითქმება  
 თუ იბღანდება?

ნარინჯისფერა  
 და ლურჯი სახე აქვს,  
 ბიბლიური  
 ნაბუქდონოსორის  
 მოაქვს ლანდები —  
 „კოოპშაქ“.

კიტები მოგვეცით!  
 ეს ხერხი ხომ  
 ძველი არის:  
 ლეინოში ჩაცვლავთ  
 ჩვენ  
 ამ სევდის მიზეზს —  
 მაგრამ, ხედავთ,  
 მისცურავენ Red და White Star-ი  
 და არხევენ  
 შრაველნაირ ვიზებს.

მე მსიამოვნებს  
 მაგიდასთან  
 აქ თქვენთან ყოფნა.

მუზა  
 თქვენ ენას  
 ამოძრავებს მარჯვე და ანაზღაოთ.

როგორ ამბობდა

ის თქვენა

ოლგა?...  
 ოლგა კი არა!

ონეგინი

წერილში ტატიანასთან!

— მოხუცი არის

თქვენი ქმარი,  
 ჩერხეტი

მუდამ,

მე თქვენ მიყვარხართ,

დამიბრუნდით, ნულარ ხართ მისი,

მე ახლავ. დილით

დავრწმუნდე უნდა,

რომ უსათუოდ შეგხვდებით დღისით.

იყო ყოველი:

ფანჯრის აბლოს დიდხანს იცდიდენ,

წერილები,

და ნერვიული ჯანჯლარის ძილე.

მაგრამ

როდესაც მწუხარებაც არ შეგიძლია —

ეს,

იღუპიანდრე სერგეის ძევ,

გაცილებით ღფროა ძნელი.

ჰეი, მაიაკოვსკი!

გასწი სამხრეთისაკენ!

და ვააწვალე

გული რითმებით —

აი,

დასრულდა შენი სოციალისტის საქმეც,

ძვირფასო, ალბათ თვითონ მიხედვები.

არა,

არ ჰქვია ამას სიბერე!

არ არის სიბერე

ამის სახელი.

ვასალაბავად

სიამოვნებით

ორს შევიფერებ,

სამს—

გაეახელებ

ამბობენ—

მე თემა მაქვს

ი-ნ-დ-ი-ე-ი-დ-უ-ა-ლ-უ-რ-ი!

Entre nous...

რომ ცენზორმა არ გვითხრას ბევრი,

გადმოგცემთ—

თითქოს—

უნახავთ ორი

შეყვარებული

საკუკის

წვერი.

გულებს

იფხანენ

ასეთი ჭორით,

ალექსანდრ სერგეის ძე,

მათი მსმენელი ნუ ხართ!

რომ

თქვენ

არა ხართ

დღეს ცოცხლებს შორის,

იქნებ მე ერთი

ნამდვილად ვწუხებარ.

მე

ახლავ

უნდა

შევთანხმდე თქვენთან.

მალე

გავივლი

ცხოვრების

მანძილს.

სიკვდილის შემდეგ

უნდა ვიდგეთ

ჩვენ თითქმის ერთად;

თქვენ

ასო პართან,

და მე კი

მანზე.

ვინ არის ჩვენ შორის?  
 ვინ დაიბურო ჩვენ შორის ასო?  
 ჩემი ქვეყანა  
 პოეტებით  
 არის ღარიბი.  
 ჩვენ შორის  
 ადგილი  
 ჩაუგდია უბედურ ნაღსონს.  
 ჩვენ ვთხოვთ  
 და სადმე  
 მას ბოლოსკენ გააპარებენ.  
 მაგრამ ნეკრასოვს,  
 განსვენებულს ალიოშას ვაჟს,  
 მეტად ნიჭიერს,  
 ბანქოს ქალაქდშიც,  
 ლექსებშიც  
 და ისედაც მარჯვეს,  
 არ იცნობთ განა?  
 აი, ხედავთ, —  
 კარგი ბიჭია,  
 გამოგვაღებთა—  
 გავუშვათ  
 დარჩეს.  
 თანამედროვე?  
 თქვენში.  
 ნახევარ ასიც რომ მისცენ ხვედრათ,  
 მინც ბაგენი  
 გამეხსნება  
 მე მოქნარებაში!  
 დოროგოიჩენკოს,  
 გერასიმოვს,  
 კირილოვს —  
 ხედავთ  
 რა ერთფეროა ეს პეიზაჟი!  
 ან ესენინი!  
 მდაბიოთა მსგავსების ხროვა.  
 სასაცილოა!  
 ძროხას ეცვას  
 თათმანი ლიკის.  
 ერთხელ მოისმენ...  
 და ხოროდან ყურთან ხმა მოვა





მებალაღაიკის!  
 პოეტისათვის  
 საჭიროა,  
 ცხოვრებაშიც რომ იყოს მტკიცე,  
 და როგორც სპირტი პოლტავეურ ბოთლში  
 ჩვენ მაგარი ვართ ყველანი თავად.  
 მაგრამ როგორია თუნდ ბეზიმენსკი?!  
 ისე...

არა უშავს—რა...  
 სტაფილოს უავა.\*  
 მართალი არის,  
 გვყავს ჩვენ  
 ასევე  
 კოლქა.  
 და ამას

კი შეუძლია.  
 გაქანება აქვს  
 იმას ჩემი.  
 მაგრამ რამდენი  
 აქვს საშრომი ოჯახში მამას.  
 თუნც პატარაა,  
 მაგრამ მიინც მისი სარჩენი.  
 ცოცხალი იყოთ—  
 მე გავზდიდით  
 თანარედაქტორს,

კაცი  
 აგიტებს  
 თქვენც მოგანდობდათ.  
 ერთხელ ავხსნიდი:  
 —ასე უნდა დაწეროთ  
 ამ დროს...

თქვენ შეიძლებდით  
 თქვენ ხომ  
 კარგი წყობანი გქონდათ.  
 მე თქვენ მოგცემდით  
 მაუღს, მელანს  
 და კიდევ ნარდათ

გავცემდი  
 თქვენი რეკლამისთვის  
 მე გუმის დამებს,

(მე  
 იამბებსაც კი მოვიხმარდი,  
 მემეზინა  
 რომ თქვენთვის  
 ამით).  
 მიატოვებდით  
 დღეს იამბებს.  
 ისინი მიდიან.  
 ორთითას კბილი  
 და ხიშტია  
 ასლა  
 მოსული,  
 რევოლუციის შეტაკებანი,  
 „პოლტავაზე“ უფრო დიდია  
 და სიყვარულიც—  
 ოკეინის სიყვარულზე  
 გრანდიოზული.  
 პუშკინის ტემის გეზინოდეთ.  
 ძველი პუშკინი,  
 ჭანგთან კალმით  
 გამოიწვეს  
 თქვენსკენ ბედშაე,  
 —ხედავთ,  
 ლეფელებს  
 გამოუჩნდათ  
 თავის პუშკინი.  
 არაბია და  
 ეჯიბრება  
 მაინც დერ-ჯავინს...  
 მე თქვენ მიყვარხართ,  
 ცოცხალი და  
 არა მუშია  
 კრესტომატიის  
 თუმც ბრწყინვა აქვთ შემოტანილი,  
 თქვენს სიციოკხლეში  
 (დღეს  
 თქვენს მხარეს  
 თუმც სიჩუმეა)  
 თქვენც ბობოქრობდით,  
 ეფიქრობ, ალბათ, აფრიკანელი



ძალიშვილ დანტესს,  
 უმაღლესი წრეების პირშოს,  
 ვკითხავდით ჩვენ დღეს,  
 ვინ არიან შობილები თქვენი?  
 რას აკეთებდით 17 წლამდე?  
 თქვით, ნულარ შიშობთ!  
 ვაოქმეინებდით და ვიცოდით მისი საქმენი.  
 თუმცა რას ვუბელობ!

სპირიტუზმის  
 სენსის მსგავსად.

ასე ესტქვათ,  
 ბედის ტყვე...  
 დაეცა ტყვიით დაჭრილი...

ჩვენი დროც არის  
 მისი მსგავსი  
 კაციებით სავსე.

ხელი ფარულად  
 ცოლებსიკენ  
 რომ აქვთ გაწედილი.

კარგია ჩვენი საბჭოების  
 დიდი ქვეყანა,  
 ცხოვრებაც კარგი.  
 მუშაობის ყველა პირობა.

პოეტები კი  
 სამწუხაროდ,  
 ჩვენში არ ვკვყვანან

თუმც შეიძლება,  
 ეს ამბავი არც საჭიროა.  
 უკვე დრო არის:

გარიყრაფის  
 სხივები ცეცხლა.

მილიციონერს  
 არ დაკირდეს  
 ჩემი მოაქებნა.

ტვერის ბულვარზე  
 მეტის მეტად მე შეგეჩვიეთ,  
 და ჩამოვფდები  
 აქ კვარცხლბეკზე  
 ახლაც თქვენს ძეგლთან.

ძეგლი მეკუთენის  
 მე ხარისხით  
 ჩემს სიცოცხლეში.

ისევ შევდებდი  
 შიგ დინამიკს—  
 რომ ქვებიჯ  
 მიეცეს!

მე მძულს მსგავსება  
 ყოველგვარი გაბრუნული ლეშის!

მე ყოველგვარი  
 სიცოცხლე მიყვარს!

სთარგმნა ზივი ზაჩუჩილაძემ



## 8. ჯავახიშვილი

# ქალის გვირგვინი

რომანი \*)

ზამთრის ღამეა. ზურაბი დანჯღრეულ მაგიდას მისჯდომია და საგაზეთო წერილს სწერს. მხრებზე მსუბუქი პალტო წამოუღებია და ფეტრის გაცვეთილი შავი ყურებამდის ჩამოუფხატია. გარეთ ჰყინავს. ბუხარში ცივი ჭარი შხუის, ხრიალებს, სისინებს.

გურგენიძეს გაყინულ თითებიდან ხშირად უვარდება კალამი. ის ხელებს იფშენებს, უბერავს, ფეხებს იატაკზე აბაკუნებს, ვითომ თბება და ისევ სწერს. ზურაბი გესლსა და რისხევას უთვლის იმ მზდალთა და ორგულთა, ვინც უკვე დაჰყარა იარაღი და ერთობის მტრებს ელაქცება, ეჭურჩულება.

წერილს წელანდელი დინჯი პათოსი და ლოლიკური ძალა დააკლდა. ავტორი ამას ჰგრანობს, თავს ძალას ატანს, ხშირად შლის დაწერილს, ხელახლს იწყებს და ლამობს უკვე შეთხლებული დუღაბი ხელახლა განამტკიცოს, მაგრამ ველარ აბერბებს: აზრები ცალცალკე ჰყრია, შედეგი მიზეზს გაუბრბის, წერილმანი სბჟილმანობს, სბჟილმანი წერილმანდება და წერილის ღერძიც თითქო მრუდდება.

ეს ქეთოს ბრალია: წელან ერთხელ კიდევ შემოუვარდა მოულოდნელად და ზურაბი გააბრაზა. მან ქალი მკვებედ დატუქსა და კინაღონ გააგდო, მაგრამ ქეთოს ცრემლმა და ცხარე კოცნამ გული მოუღებო, რისხვა სიტკბოზე შეაცვლევინა.

ქეთომ ზურაბს რამდენიმე ახალთახალი ცნობა და უამრავი ცხარე საყვედური მოუტანა. გურგენიძე იმართლებდა თავს, არ მეცალაო. მაგრამ შეცვარებულ ქალისთვის „არა მეცალაო“ ჩინური ანბანივით გაუგებარი იყო და ამიტომ სანამდიღ არ მოისვენა, მანამ არ დარწმუნდა, რომ ზურაბის სიყვარული არ შენელებულიყო, და პატიოსანი სიტყვა მისცა მას, სანამ შენ თვითონ არ დამიბარებ, მანამ აღარ მოვალო. მერქე უთხრა:

\*) იხ. „მნათობი“ № 9.



„აქ ყველიც კი გაიყინება. რატომ ცეცხლი არ გინთია?“  
 „მეტისმეტად ბევრი შეშა მაქვს და მეშინიან არ ჯიშხაფიყუხაქა  
 დიმილით მიუვო ზურაბმა.

„ალბათ კიდევ გეშვიება. — უთხრა ქეთომ და, პასუხი რომ არ მი-  
 ილო, ჩანთაში ჩაიყო ხელი და განაგრძო: — ცოტა ფული მაქვს და...“

„არ მინდა, არ გაბედო!“ — გააწყვეტინა ზურაბმა.

ქეთოს ხელი ჩანთაშივე გაუშეშდა. გაოცებული შესცქეროდა ზუ-  
 რაბს და ლულლულეზდა:

„რატომ არ გინდა? რად გეწყინა? — მერმე მწვავე აზრმა გაჰკრა და  
 მწარედ წამოიძახა: — მაშ მე მარტო საყვარელი ვყოფილვარ და მეტი  
 არაფერი?“

„ეგ რა წამოგცდა, ქეთო! ჩვენ საყვარლები კი არა, სამუდამო მე-  
 გობრები ვართ“.

„მაშ უარი რად მითხარი? არ გაბედო რას ნიშნავს? ჩემი მეგობარი  
 ერთობისათვის იყინებოდეს, მშვიერ-მწყურვალე იყოს და ნებას არ მა-  
 ძლევდეს დავებმარო?“

„კარგი, ქეთინო, კარგი“. — დაამშვიდა ზურაბმა.

ქეთომ ორი ოცდახუთ-მანეთიანი დაუდო მაგიდაზე, ერთხელ კიდევ  
 მოეხვია და წავიდა. ზურაბმა წერა განაგრძო. მერე რაყდენი მოვიდა  
 და ახლა მან შეაწყვეტინა. ლაპარაკში ხანი გავიდა. შემდეგ რაყდენი  
 ბუნრის ხერელში ჩაძვრა. გურგენიძემ ფილაქანი გაასწორა და ისევ  
 საქმეს შეუდგა.

ზურაბი მოუსვენრად იყო. წერილი თავით-ბოლომდე ჩაიკითხა, ყვე-  
 ლაფერი ამოშალა, რაც ქეთოს წასვლის შემდეგ დასწერა. მერმე თავი  
 ხელებში ჩაიღო, ხელები მაგიდას დააყრდნო და ჩაფიქრდა. გულში ეკვის  
 მატლი შეეპარა და ღრღნი დაუწყო. ნუ თუ ერთობა მართლა დამარც-  
 ხდა? ბევრი, სალდათი გადაუდგა მთავრობას. იარაღი გაიტაცეს და ერ-  
 თობას მიუდგნენ, მაგრამ ჯარი, გულში რომ ყოყმანობდა, საბოლოოდ  
 ერთგული დარჩა მთავრობისა. მან იმძლავრა, რკინის გზა დაიბრუნა,  
 ქალაქებსა და დებებს შეერია და დაკარგულ სახელს და ძალაუფლებას  
 ცეცხლით და მახვილით იბრუნებდა. მეზობლონი დაიქაქნენ, მცირე  
 რაზმებად დაიყვნენ და შუა ზამთარში მთასა და ღრეს შეაფარეს თავი.

ზოგიერთმა მაშინვე ასტეხა ყვირილი: იარაღი არ უნდა აგველოო.

აჯანყების გულშიდელი მტერმოყვარენი მარტო შიშველ სინამდვი-  
 ლეს უწყევდნენ ანგარიშს და ბრმად ემონებოდნენ მას, როგორც გაჰყლე-  
 ტილი ემონება ხოლმე უზარმაზარ ლოდს, ხოლო ზურაბი და მისი მე-  
 გობრები უსაზღვრო რევოლუციონერი ნებისყოფით გატენილნი, ახლაც  
 გაშმაგებულნი იბრძოდნენ, რათა ავი სინამდვილე მოედრიკნათ და ახალი  
 სანატრელი სამყარო შეექმნათ.



„გვლალატობენ, მირბიან, გეტოვებენ“. — ფიქრობდა ბუჩქნარში უწყველი ზურაბი და თან ჰგონებოდა, რომ ამ საზარლობის აფეთქებას სიტყვა არ ჰყოფნიდა და რომ იგი ბუნებაში სულაც არ არსებობდა.

რამდენიმე დღის უძილობით დათენთილმა ჯიქმა ჯერ ჩასთვლიმა, მერმე ჩააძინა და სიზმარში შესცურა.

ტივლ მინდორში ქეთო და მართა მოშორებით დგანან ერთმანეთისგან. შუაში ზურაბი ჩამდგარა. ქეთო საზღაპრო დედოფალივით მორთულა და ზურაბს უცინის, ხელს უქნევს, აქეთ წამოდისო. მართა კი ივივ მართაა: უბრალოდ აცვია, ოდნავ მიბრუნებულა და ნაღვლიანად შემოსტეპრის ზურაბს, თითქო ეკითხებოდეს, წამომყვები თუ მარტო წავიდეო. ზურაბი ფართხალობს. ხან ქეთოსკენ მიიწევს და ხან მართას ეტანება. მას სურს ორივე დაიჭიროს, ორივე ჩაიხუტოს, ორივე დაიჩემოს, მაგრამ ორივენი ვაურბიან და უსიტყვოდ მოითხოვენ, ან მე ამირჩიე, ან ისაო. ზურაბი წვალობს, ისევე აქეთ-ეკით დარბის და ეპუღარება, ნუ გაიტყვევით, ამ უდაბნოში მარტო ნუ დამტოვებთო. ქალები გაეზურტნენ. უცებ ფრთები გამოიბეს და კისკისით ვაფრინდნენ. მალე ქორის-ოდენადა მოსჩანდნენ, მერმე მერცხლად გადაიქცნენ და ბოლოს ცის ლავარდში მიიმალნენ. ზურაბი გულდამწვარი იდგა და ბალღივით სლუჯუნებდა. უცებ ეს ჰვარტლივით გაშავდა, ჩამოწვა, საზარლად დაიკეკა და ზურაბს თავზე ჩამოეწვრა.

თვალეები გაახილა, წამოხტა და გონს მაშინდა მოვიდა, როცა მკერდზე რამდენიმე რევოლვერი დაადეს.

— არ გაინძრეთ, თორემ ახლაცეე გავათავებთ! — ყორანივით დასჩხავლა მას ავშაროვნა და ლულა ზედ საფეთქელზე შიადო.

იარადაყრილი ზურაბი მავიდასთან დგას და დინჯი ღიმილით ათვალეირებს ვანდარმებს და პოლიციელებს, რომელნიც იჭაურობას აქოთებენ. შემანგრეული კარი და ორი ფანჯარა იატაკზე ჰყრია.

ავშაროვი თავდაპირველად ხელნაწერს ეცა, პირველი ფურცელი ჩაათვალეირა და გესლიანად ჩაიხითხითა:

— ეს თქვენი ყელისგამოსატრული დანა გახლავთ. ზოგი ახლაც გამეჭვებით.

მერმე ყველა ფურცლები აკრიფა და ორს ოცდახუთ-მანეთიანს დააფრინდა.

— აი სად ყოფილა! ამასაც ვეძებდი. აქ უყურეთ. — და ზურაბს ფულის კუთხეში ნიშანი აჩვენა — „ა. ა.“ — არტემ ავშაროვი. — ვანდარმები ჭირივით გძულთ, მაგრამ იმათ ცოლებს ელამუნებით და იმათი ფულით ცხოვრობთ, ვანა!

ზურაბმა გაიციხა და მიუჯო:

— კმარა, თქვენი საქმე შეასრულეთ, ხოლო ეგ ფუნქციონირებო, თორემ ისევ თქვენ მოგეჭობათ თავი. — ცივად მოუჭრა მისი ხელი გრეულ ტახტზე ჩამოჯდა.

აეშაროვმა ბრაზიანად გაიარ-გამოიარა, ისევ ზურაბის წინ შეჩერდა და ურჩია:

— ტყუილად ნუ გვაწვალებთ. ხომ იცით, რომ უთუოდ ვიპოვით, ამიტომ სჯობს თქვენვე გვითხრათ, სტამბა სადა გაქვთ?

— აელაბარშია. — უპასუხა გურგენიძემ.

— მაშ წავიდეთ და გვაჩვენეთ.

— სანამ კარგად არ გამოვიჩინებ, მანამ არსადაც არ წავალ. — მიუგო ზურაბმა.

მას იმედმა გაპკრა: დილამდის დავიძინებ, მერმე ეანდარმებს შუადღემდის აელაბარში ვახეტილებ და სანამდის ჩემი მეგობრები ყველაფერს დამალავენო.

— სულელი ხომ არა გგონივართ? — სთქვა აეშაროვმა და თავისიანებს მიადანა: — იატაკი აპყარეთ! სტამბა აქ უნდა იყოს.

„გათავდა!“ — გაიფიქრა გურგენიძემ, თან ხელი გამხმარ პურის ნაჭერს დაავლო, რომელიც მაგიდაზე ეგდო, და მადიანად დაუწყო ჭამა.

ქეთომ გვიან გაიღვიძა, მატინე მოისხა, პირი დაიბანა და საუზმეს შეუდგა. მისი ქმარი ჯერაც არ მოსჩანს. სრული ერთი თვეა რაც ქეთაისსა და ბათომში მუშაობს. ხალხს აპატიმრებს და მძვინვარობს.

ქეთო ამას შეეჩვია და თავისუფლად ცხოვრობს. გუშინ ქეთომ დეპეშა მიიღო ქმრისგან, აქ ერთ თვეს კიდევ დავრჩებით. მიიღო და ის სალამო გამოიყენა: ზურაბს ეწვია.

ეკამ სუფრა ააღაგა. ქეთომ თუთიყუშს გაუცინა:

-- თუთო როგორა ხარ?

— ქეთო, სულელი! ჩაუყრანტალა ფრინველმა.

გარეთ ეტლი გაჩერდა. ქეთომ ფანჯრიდან გაიხედა და თავისი ქმარი დაინახა, რომელიც სწრაფად გადმოხტა. მისი მხლებელი ჩაჩანი ეტლის კოფოზედ დარჩა.

აეშაროვი პირმოლუშული შემოვიდა, პორტუგელი სკამზე დაავლო და უკმუნად უთხრა ეკას, რომელიც ოთახს ჰგვიდა:

— წადი, სამხარეულოს მიხედე და ჯერ ნუ დაბრუნდები.

ქეთოს არც კი აყოცა, არც ხმა გასცა, ხელები უკან დაიწყო და მკვახე ნაბიჯით ამორიალდა ოთახში. სამახტურში მარცხი რომ შეემთ-



ხეოდა ხოლმე, შინ სევდიანი დაბრუნდებოდა, ქეთოს შესჩველებდა და იმისგან ელოდა ნუგეშსა და რჩევა-დარიგებას, ახლა კი მარტო მისი დასაშინებელი დასაშინებელი და საჩხუბრად ემზადება. ქეთო მაშინვე მიუხედა და თქვა: — თონაც მოეშადა. ფანჯარასთან ჩამოჯდა, ნებისყოფა მოიკრიფა და მცირე დღეების შემდეგ თამამად ჰკითხა:

— რა მოხდა? ხომ არაფერი შეგემთხვა?

— ავშაროვი შედგა, პაპიროსი ამოიღო, მართოლევარე ხელებით მოუკიდა ცეცხლი, ერთი გააბოლა და ქეთოს დააშტერდა. ხანგრძლივმა დღე-ღამემა და ქმრის მბურღავმა ფოლადისებურმა თვალეებმა ქალს ნებისყოფა მოუღუნა. მან მაშინვე მოაშორა თვალეები, მხრები აიჩეჩა და ფანჯარაში გაიხედა.

ქმარი ცოლს პირისპირ დაუჯდა, ცალი ხელი მაჯაში წაავლო, მეორე ხელით სახე მოუბრუნა და გაყინული ხმით ჰკითხა:

— მართალი მითხარი, შეხვდი თუ არა გურგენიძეს მას აქეთ, შენს სახლში რომ დამალე?

— არ შეგხვედრივარ. — შტკიცედ მიუგო ცოლმა.

— არც ერთხელ?

— არც ერთხელ.

ქმარმა პორტფელიდან ილია ჭავჭავაძის წიგნი ამოიღო, გადაშალა, ჯიქის ხელით ხონაწერი ლექსი უჩვენა და უთხრა:

— აი თარიღიც. სწორედ იმ დღეს დამარხეს მუშა და შენც სწორედ იმ დღეს წაგიყვანეთ შანტანში. გახსოვს თუ არა, მე რომ გითხარი, დასაფლავებას შენც დაესწარი მეთქი. შენ ცივი უარი მომარტყი. ახლა რას იტყვი?

— ბევრს არაფერს. — გაიღიმა ქეთომ. — მაშინ შენ მხოლოდ ეანდარში იყავი და ამიტომ...

— შესმის, ვაგიგე. — გააწყვეტინა ავშაროვმა და თვითონვე დაასრულა: — მაშინ შენ ერთობის მონა-მოსამსახურე ბრძანდებოდი და ამიტომ მოვალე ვიქნებოდი ეანდარში მისთვის ტყუილი გეთქვა, მაგრამ როცა ჩემი ცოლი გახდი და ოცდაერთ ოქტომბერს... ჩვენი ქორწილის მეორე დღეს... მე რომ სამსახურში დამიძახეს და შენ კი სასიეროდ გახვედი... — ავშაროვი თითქო იხრჩობოდა. საყულო შეისწორა და ხრიალით დაასრულა: — იქ, პურღვინოს დადგე...

— ტყუილია! — წამოიძახა გაფითრებულმა ქეთომ.

ხმაშივე გატყობ, რომ სტყუი, მაგრამ სჯობს გაჩუმდე, ვეღარ მომატყუებ. შენი საზიზღარი დალატი გვიან ვაგიგე, თორემ... შენ გითქვამს, ყიფიანის ოთახში დავიმაღეო. ესეც ტყუილია. ყიფიანი იმ სასტუმროში არა ცხოვრობს. იმ დღიდან შენ გურგენიძეს საყვარლად დაუღეპი.

— ტყუილია, ტყუილი. — ძლივსა ამოიკენესა ქეთომ და ხელები სახეზე აიფარა.

ერქონესული

— მაგასაც ახლავე გაიგებ, ტყუილს მე ვამბობ თუ მტკიცად მოზღაოდ განაგრძო ავშაროვმა. — შენ ორნაირად მჭრიდი თავს, როგორც ქმარს და როგორც მეფის მსახურს. სუსტმა და გამოუცდელმა ქალმა ჩემი მოტყუება განიზრახე და ისიც კი ვერ იანგარიშე, რომ შენ შეგირდათაც კი არ გამოდგებოდი. ღალატი რომ შეგატყე მაშინვე საფაზგი დაგიგვით და კიდევ გაგაბიით. წუხელ ორ საათზე საწყალი ივან ივანიჩი მომიკლეს. შენც იცნობდი მას, ჭერა, მაღალ კაცს, ფული და ბეჭედი რომ აჩუქე. აი შენი ნაჩუქარი ბეჭედი და ფული.

ავშაროვმა ის ბეჭედი სახეში მიახალა, თვითონ კი ახალ პაპიროსს მოუყიდა. დიდხანს იყუჩა და მერმე ჰკითხა:

— იცო საწყალი ივან ივანიჩი ვინ მოჰკლა? აბა საიდან გეცოდინება! მეც ეს-არის ახლა გავიგე. შენმა ძმამ ნიკომ და მისმა მეგობარმა ლევან დოვლათაშვილმა მოჰკლეს. დიად, მათ მოჰკლეს. მაგრამ სად წამივლენ! ორივეს მალე ჩამოგვიდებ ორთაქალაში. შესანიშნავი ოჯახიშვილი კი ყოფილხარ. ჩემი ცოლი მკვლელის დაი აღმოჩნდა.

ქეთოს ელდა ეცა. მთელ ტანში ერთანტელმა ჩაუბრინა. ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა ქმარს და ვრძნობდა, რომ ძალაა ჰყარავდა და თვალზე მომდგარ ცრემლს ძლივსა უჭერდა თავს.

მაშ ზურაბი დაუჭერიათ, სტამბაც აღმოუჩენიათ, ნიკოც კაცის მკვლეელი გამხდარა! ქმარმა უთხრა: კვალის მიტანისთვის საჩუქარი გერგებო. მაშ ქეთო გამცემი ყოფილა, უნებური გამცემი! მას სისხლი გაეყინა, თავზარდაცემულე წამოდგა, კალთიდან ბეჭედი და ფული ხალიჩაზე ჩაუტყვიდა. ქეთომ არც კი დაინახა. უნდოდა რაღაც ეთქვა, დაეცვირნა, მაგრამ ხმაც ვერ ამოიღო, ხელები თვალებზე აიფარა და ისევე სკამზე დაეცა. მისი ქმარი კი განძვინებული დააბოტებდა და ამბოიდა:

— ჩაიცვი... ჩქარა ჩაიცვი მეტეო და წამომყე.

ქეთოს ვერ გაეგო, რად უნდა ჩაეცვა, სად უნდა წაყოლოდა.

— ჩაიცვი მეტეო, თორემ აგრე ჩაუტმელს წაგიყვან. — დაეშუქრა ქმარი.

— სად უნდა წამიყვანო, არტემ? — ძლივს ამოიღო ხმა ქეთომ.

— ამას რა გაგება უნდა! დაბატიმრებული ხარ, როგორც მეფის მოღალატე და ერთობის ჯამშეა.

ქეთო თითქო ახლავა გამოფხიზლდა. ქმრის ნათქვამი თითქო ესმოდა და არც ესმოდა, ყურით ესმოდა და გონებით კი არა სჯეროდა. განცვიფრებული შესცქეროდა ქმარს და განმარტებას ელოდა. ავშაროვმა აღარ დააყოვნა და განუმარტა:



— რამ გაგაოცა! მოლაღატე ხარ და პასუხი უნდა ავო. მაშ თავი რომ მჭრიდი და მეფეს ღალატობდი, რა გეგონა? აქაო და ენდასა... ვარ. ამიტომ ღალატს მპატიებენ და საჩუქარსაც მომცემენ? ჩაიცივს მეთქი!

— არტემ, გონს მოდი. ჩემი ღალატი შენს გარდა ჯერ არავინ იცის. ახლა გაიგებენ და თავი მოგეჭრება.

— სამაგიეროდ ჩემს ერთგულებასაც გაიგებენ. ვინც მეფის მოლაღატეს ხელს აფარებს, ის თვითონაც მოლაღატეა. სულ ერთია, მე შენი ქმარი აღარა ვარ, მაშ შენი დანაშაულის მოზიარე რად უნდა გავხდე? შენ ჭკუათხელი ხარ და მეც სულელი გგონივარ. სცდებით, ქალბატონო. ჩაიცივით მეთქი, თუ არა და მაგრე წამომყევით. აბა, ჩქარა! — უდიერად შესძახა ავშაროვმა და ხალიჩიდან ფული და ბეჭედი აკრიფა.

ქეთო უცებ მუხლებზე დაეცა, ფეხებზე მოეხვია ქმარს და ცრემლით შეპლალადა:

— არტემ, რას მიშვრები? შემობრაღე, მპატიე... იქ ნუ წამიყვან, ჯალათების ხელში ნუ ჩამაგდებ.

მას შორეთში საბრძოლველად ელანდებოდა, რომელზედაც თვითონ ქეთო ეკიდა. ამ სურათმა ახლავე შეაზარა და ცრემლი და ვაება ამოჰკლიჯა. ავშაროვი შეუნძრევლად იდგა, დემონური ღიმილით დასცქეროდა ბევიდან და ამბობდა:

— ტყუილად სწუხარ... გაათავე... ვინც მე არ შემობრაღა, იმას არც მე შევიბრაღებ...

ქეთო უცებ წამოდგა, თავი შეარხია, ცრემლი მოიწმინდა და მტკიცე ხმით სთქვა:

— შენ მართალს ამბობ. ნურც შენ შემობრაღებ. ჩემი მუდარა უკანვე მიმაქვს... სამუდამოდ დაივიწყე... ახლავე მზად ვიქნები.

დაფაცურდა. პაწია ჩემოდანში საცვალი, ოდეკოლონი, ცხვირსახოცები, სავარცხლები, საპონი და ამგვარი წერილმანი ჩაჰყარა, თბილი პალტო ჩაიცივა, შაპოც დაიხურა და სთქვა:

— მე მზად ვარ, წავიდეთ.

ავშაროვი თავჩალუნული იჯდა. ქეთოს ხმა რომ გაიგო, თავი ასწია და ახედა. მერმე ღრმად ამოიოხრა. წამოდგა, ტალანში პალტო ჩაიცივა და ქეთოს გამოჰყვა, რომელმაც წინ გაუსწრო და კარი გააღო.

— ქეთო, სულელო! — მიჰყვა შორიდან თუთიყუშის ჩხავილი.

ეტლში რომ ჯდებოდა, ქეთომ ნიკოს და ლევანს მოჰკრა თვალი, რომელნიც ალყაფის კარს ამოჰფარებოდნენ და გაფაცოცებით იყურებოდნენ. ქეთო შეკრთა. უნდოდა დაეყვირა რამე მათთვის, უნდოდა გაეფრთხილებინა, მაგრამ გვიანდა იყო.

გამოვიდა თუ არა ავშაროვი, იმათაც გამოჰყვეს თავები და ზედზედ ორჯელ გაეარდა რევოლვერი. ეანდარმი ზურგით კედელს, მისწვდა იმანაც იძრო რევოლვერი და ესროლა. ავშაროვს მხლებელმა შესწვდა ის ამბავი ისე სწრაფად დატრიალდა, რომ ქეთომ ესღა დაიხსომა: ავშაროვი ტროტუარზე პირქვე გაიშორა. ლევანი გულაღმა ეგდო და წამოდგომას ლაშობდა. ჩაჩანი ნიკოს დაეწია და ხაჯლით სტეხავდა. ქეთო უცებ გაჩნდა ტროტუარზე, უცებ გადააღაჯა თავის ქმარს და ძმისკენ გაიქცა კიდილით:

— ნიკო, მიშველეთ! ნიკო!

ღამ დაიგვიანა. სისხლში მოსვრილი ნიკო უსულოდ წაიქცა.

ქეთომ სასოწარკვეთით შეჰკივლა და ძმის გვამზე უგონოდ დაეცა.

ჩემო ერთადერთო, დაუვიწყარო, სამუდამო მეგობარო!

ეს ხუთი სიტყვა დიდხანს ვეძებე და ძლივს ვიპოენე. მინდოდა დამეწერა „ჩემო ერთავ, ჩემო თვალის სინათლე, სანატრელო, უძვირფასესო“, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუება ველარ გავებდე და ისევ გულწრფელობა ვამჯობინე. ახლა შენ სხვისი თვალის სინათლე ხარ და სანატრელ და ძვირფას მეუღლედ სხვა ვინმე აგირჩევია. მაგრამ ამას ქვეით დაუღბრუნდები, ახლა კი სჯობს შორიდან დაევიწყო.

იმ საშინელმა ამბავმა კინაღამ მეც გადამიტანა. ყველაფერი თანდათან გამახსენდა და იმ საზარლობის მონელებაში ეს გარემოება დამეხმარა. მართას უცვე ყველაფერი უამბნია შენთვის და მე აღარ გავიმეორებს. ორი რამე მაინც მუდამ თვალწინ მიდგას და მგონი საფლავშიც ჩამყევება. მე ახლაც ცხადლივ ვხედავ ჩემს საწყალ ძმას ნიკოს და იმის შველელ ჩაჩანს. ნიკო მოხრილი სდგას და თავბირს ხელებით იფარავს, ჩაჩანი კი უწყალოდ უჩახუნებს ხანჯალს. იმის პრიალს ახლაც ვხედავ, მისი ჩაიფნი ახლაც ყურებს მატკივებს. საბრალო ლევანს ტყვია გულში მოხვედრია და უცებ გარდაცვლილა. მე ისიც მახსოვს, რომ ჩემ ქმარს ზედ გადავახტი და ნიკოსკენ გავიქეცი. მერმე წყვდიადში ჩავეარდი და ყველაფერი დაიკეტა, ვათავდა.

ამ სისხლიანო სურათის გარდა მეორე ამბავიც მზარავს. ჩემმა ქმარმა დამაპატიმრა და სატუსალოში მიეყავი. საბრალო ლევანმა და ნიკომ შური იძიეს და ის კი არ იცოდნენ, რომ მეც გადამარჩინეს. საბრალონი რამე ცალკალკე დაესაფლავებინათ. ეს რომ გავიგე, სანამდის იონიანობდი, მანამ ჩეენიანებს არ მოვტეხავდი. მართაც დაიითანხმე, ლევანის ნეშტი გადმოვასვენეთ და ნიკოს გვერდით მოვუწვინეთ.

ერთი რამეც მაწვალებს. ჩემმა ქმარმა რომ მითხრა, გააპატიმრებ და წამომყვეო, უცებ მოვტყდი. სულმოკლეობამ მომღუნა, ჩემ ქმარს მტყ-



ლებზე მოვეხეიე და ხეყნა დავუწყე. კიდეც კარგი, რომ მან ჩემს ვიწრო-  
ნება ვერ გასოიჩინა და არ მაპატია, თორემ უაღრესად დედასავე ვიწყო  
მან დამცოხე, გამათახსირა. ამან თავმოყვარეობა გამოიღვიდა და ჩემი ადა-  
მიანური ღირსება გამახსენა. მაგრამ ეს ნაგვიანები აფეთქება ჩემს დამ-  
ცირებას მაინც ვერ მავიწყებინებს. მე იმის ფეხქვეშ ვეგდე. ვტიროდი  
და ვეაჯებოდი. ვაი სირცხვილო!

მართა არასდროს. არასოდეს ჩემებურად არ მოიქცეოდა. ორ თვეს  
იყო დაპატიმრებული. ვირთაგვებით, სიბნელით, შიშნით აწამეს და  
ორი სიტყვაც ვერ დააძვრევენეს. თურმე პიროსპირ წაგიყენეს და ისიც  
კი ვერ ათქმევინეს, რომ ერთმანეთს იცნობდით. მეტი გზა აღარ ჰქონ-  
დათ და გამოღშვეს. ეს რომ მიაშბო, ჩემი შერცხვენა გამახსენდა, გუ-  
ლი ამიწყედა, გულში ჩავებუტე და დიდხანს ვიტირე. აი რანაირად დამ-  
ტკიცდა, რომ მართა სხვაა და მე სხვა ვარ. მე მანამდისაც ვიციოდი, რომ  
ართა შენი ღირსი იყო... ვიციოდი მეთქი, მაგრამ მხდალი ვიყავი. ჩე-  
მივე თავს ვუმალავდი და მეშინოდა გამოვტეხილიყავი, იმიტომ მეში-  
ნოდა, რომ მიყვარდი (ახლაც მიყვარხარ, უწინდელზე მეტად მიყვარ-  
ხარ) და არ მინდოდა. არ შემეძლო შენზე ხელი ამელო (არც ახლა მინდა  
და, არც ახლა შემოძლიან, მაგრამ არ ვიცი რა ვქნა და ეს უბედურო  
თავი რომელ ქვას ვახლო).

გონს რომ მოვედი, დიდხანს ვათვალიერებდი იმ ოთახს, სადაც ვი-  
წეჭი, მაგრამ ვერ ვიცანი. არც რაიმე გამახსენდა. წინ ერთი ხნიერი  
დედაკაცი მეჯდა. შავები ეცვა და ჭალარა ხშირად ერია. საწყალი დედა-  
ჩემი ვერც კი ვიციანი. რა მალე გათეთრებულიყო!

მომეხვია და ატირდა, თან მეუბნებოდა: „დედა-შენი ვარ, შვილო,  
დედა-შენი. ნუ თუ ვერ მიციანი?“

მაშინლა გამახსენდა, რომ დედა მყავდა. მაინც ვერ ვიცანი. მერმე  
სხვებიც მოდიოდნენ, სხვადასხვა დროს მოდიოდნენ. თვალხილული ვი-  
ყავი და მაინც ვერა ეცნობდი. გონს თანდათან მოვდიოდი. ყველაზე ად-  
რე სამი მოკლული გამახსენდა, მერმე შენ მოგიგონე. მომაგონდა უკა-  
ნასკნელი საღამო. ის ზანმოკლე ტკბილი საღამო, რომელმაც ესოდენ  
ხანგრძლივი სიმწარე გამოიწვია.

სუნთქვა და ლაპარაკი მომწყლდებოდა. ათას სისულელეს ებოდავდი.  
ვიკრუნჩხებოდი და მაცებდა. ჭახსოვს თუ არა ჩემი სუფთა პიროსკანი?  
ახლა წითლად ამღლეწა გახსოვს თუ არა ჩემი ანკარა კრიალა თვალები?  
მიმღერა და გუგები განიდიდდა. ერთხელ შეჭურაულმა მითხრა, შენი  
პირი მარწყვის წვენით მოვირწყავსო. ახლა ის ტუჩები, შენ რომ ვაგი-  
ყებით გიყვარდა, გამეცრია, დამელმიკა და თოვლივით თეთრი ნასთიცი  
გამინაცრისფერდა.

ჩემი ბიძაშვილი მიტო ექიშია. ლამის თან გადამყვეს. ხელნელა მასუ-  
ლიერებს და შეფიცება, მალე უწინდელივით დამშვენდეს, რომ  
მატყუებს, მაგრამ თან მინდა დაეიჯერო, ამიტომ მეც უწინდელს  
თავს და იმ დღეს ენატრულობ, რომ ერთხელ კიდევ დაგენახვო, ერთ-  
ხელ კიდევ ჩაგეკონო, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას არ წამოროშავს ხოლ-  
მე ავადმყოფი ქალი, ხელ-ნაკრავი სწული ქალი, სატრფო რომ წაართ-  
ვეს და დავრდომილი რომ მიაგდეს! მე ნატერისა და ბოდვის მეტი აღა-  
რაფერი დამრჩენია და ამიტომ ნება მაქვს ზოგჯერ მაინც დაევიწყო  
ხოლმე მართა და შენი თავი ჩემად მივიჩნიო, ან ჩემი თავი უწინდებურად  
მართას მოზიარედ წარმოვიდგინო.

ამ რამდენიმე ფურცელს ორ დღეს ვწერ და მთელ წერილს ალბათ  
ერთ კვირას მოვუნდები. თავი მტკივა, თავბრუ მესხმის, უძილობა მა-  
წუხებს და ძლივსა დადვიფარ. დღეს უკეთესობა დამეტყუა და წერას  
კავრძელბ.

სანამ სულ მოვიდოდი გონს, მანამ დედას ვკითხე, ვის ოთახში ვართ  
მეთქი. დამიძალა. ჩვენს სახლს რემონტს უკეთებენ და დროებით და-  
ვიშალენით, მე და შენ ცალკე დავსახლდითო. მეც დავუჯერე. თურქე  
ნუ იტყვი, მატყუებდა. საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. ერთხელ შენც  
გიაშბე, რომ საწყალ მამა-ჩემს უამრავი ვალი დააწვა. კაბუკობიდანვე  
სულ ამას ჩიჩინებდა: ხელმომჭირნედ იყავით, მამაპაპეულ ქონებას ნუ  
ჰვლანგავთ, ხუთ მანეთს რომ იშოვნით, ოთხი დახარჯეთ და ერთი შე-  
ინახეთო. ახლა კი გამოირკვა, რომ თვითონ ანდრია მუდამ უკულმა იქ-  
ცოდა, ხუთის ნაცვლად თუმანს ხარჯავდა, საკუთარი მამაპაპეულიც  
გაჰვლანგა და ძმისწულების ქონებაც თან მიაყოლა. დაწერილებით არ  
ვიცი, რა მოხდა, როგორ მოხდა, ის კი ვიცი, რომ ერთ უბედურ დი-  
ლას ყველანი მშრალზე დავრჩით. ბანკმა თავის ვალი გაინაღდა, ვა-  
ჭარმა წვერაძემ თავის წილი წაიღო, ხოლო ვილაც არამიანცმა ჩვენი  
მამაპაპეული მამულიც დაიჩემა და აქაური სახლიც წაგვართვა. ამას წი-  
ნათ გრიგოლი გვეწვია. დაჯდა და იმოდენა ვაჟკაცმა ქალივით იტირა.  
სულ დავილუბე; აქამდის პატრონი ვიყავი, ახლა კი არამიანცმა მო-  
ჯამაგირედ მიმიღო, ჩემივე მამულდედულის მოურავად დამაყენა და მე  
მადლობაც კი მოვახსენეო. მეორე დღეს გრიგოლი სოფელს დაუბრუნდა.  
რომ ყაზახების ხელით იქაურობა საბოლოოდ დაემშვიდებინა და გლე-  
ხები ორმაგი იჯარის უღელში შეება.

ეს ამბავი სატირალიც არის და სასაცილოც. სასაცილო ის არის, რომ  
მამა-ჩემი და წვერაძე მუდამ ამას გაპკიოდნენ: ჰარიჭა, გაისარჯენით,  
სომხებს ხელიდან ერთი სახლიც წავევლიჯოთო, ბოლოს კი ზედმეტი ათა-  
სი მანეთისთვის არსობის პრინციპი დასთმეს და საკუთარი სახლკარიც  
გასწირეს მართალია ეს ჩვენი მოძღვრების გამართლებათა, მაგრამ რა



ბედნაა! ჩენი მოძღვრების სიმართლემ ნუგეში ვერა მცა, ვერ დამწმენდა. გრიგოლს რომ ცრემლი მოერიდა, მე ბლავილი ავტებუ. ჩემი მკაცრება ამას მარტო ჩემს დასუსტებას ნუ მიაწერა. ეს რომ მახსენდება, ახლაც ცრემლი მომაწვება ხოლმე. ტყუილად კი არ მითხარი ერთხელ: სიტყვით ჩვენი ხარ, სისხლში კი მაინც გეაროვნული სიამაყე და საკუთრების თაყვანისცემა გიდუღსო. მაშინ ფიცხელი კამათით გიპასუხე. სანამ ყველაფერი მქონდა. არ დაგიჯერე, ახლა კი თითქმის ყველაფერი დაგეარგე და შევიგნე, რომ შენ ცამდის მართალი იყავი. ტყუილად კი არ უთქვამთ: სანამ გაქვს, არ აფასებ, როცა დაგეარგება, მაშინლა დააფასებო.

დიად, მუდამ ბურჯუა ვყოფილვარ, მაგრამ ნუ გგონია ვნანობდე, რომ ერთობას ავეცივი, რომელმაც ახალნაირი სული ჩამბერა, გონება გამიხსნა და შენი თავიც მაშოვნინა. სულ ერთია, ჩვენი მამულდედული მაინც ხელიდან წაგვივდოდა. მე რა მხსნელი ვიყავი მისი? ამას ჩემ ყოფაქცევასთან არავითარი კავშირი არა აქვს დ ამიტომ ამ მხრივ სასინანულოც არაფერი მაქვს. მე სხვა რამეს ვნანობ. ამას მერმე მოგწერ, ახლა კი მიტოს ხმა მესმის. დედას რალაცას ეჩურჩულებდა. მე მიმაღავენ, ისევ მიმაღავენ, ყველაფერს მიმაღავენ. დედა ტირის.

მიტომ წერა-კითხვაც ამიკრძალა. ახლა ამ წერილს მოჰკრა თვალი, დამტუქსა, გამსინჯა, უკეთესობა დამატყო, მერმე უვნებელი ჰორები მაიმბო და წავიდა. მის მიერ მოტანილი ამბავი დედას ძლივს დავციწყლე ჩემი ძმის ილიკოს პარპაშს თურმე ბოლო მოელო მისი ძმაბიჭები რუსეთში გადაასახლეს. დედა-ჩემი ვარანცოვთან მისულა, უტირნია და პატიოსანი სიტყვა მიუცია, ამიერიდან ჩემი შვილის ხმასაც კი აღარ გაიგებთო. ვარანცოვს შეუწყნარებია და ილიკო დაურჩენია. ჩემმა გიქმა ძმამ ერთი კვირაც ძლივს გასძლო. გუშინწინ ვილაც ქალს გაპყოლია და ბინაში მიუცილებია. ქალს ერთი ოთახი ჰქონია და იმ ოთახში ერთი გერმანული ნაგაზი ჰყოლია. ძალლი ქალის ქმრის ერთგული დარაჯი ყოფილა. ილიკო რომ ქალს მოეხვია, ნაგაზმა თურმე ყეფა ასტება და ილიკოზე მიიწია. ილიკო მაშინვე მოშორდა. ქალს უთხრა, ძალლი გარეთ გაიყვანეო. ქალმა უარი უთხრა, ძვირფასი ძალლია და მომპარავენო. ილიკო ველარ ითმენს და ქალს ეტანება. ქალი ნებდება, ძალლი კი ბრაზობს, არ აცლის და ზედ უბობდება. ბოლოს ილიკომ ვაჰბედა და, უღელტეხილზე რომ ავიდა, ძალლმა სწორედ იმ დროს ჩაუქირა კბილები ბარკალში და მწარედ ააბღაველა. ახა-ხა! ახლაც გიყვივით მეციუნება. „გაიცინე, შვილო, გარგებს, გაიცინე“. — მეუბნება დედა და თვითონ კი ტირის.

სატირალლი მერმე მომხდარა. ძალლმა თურმე კბილები არ გაუშვა. გამწარებულმა ილიკომ რევოლვერი იძრო და იქვე გაათავა. ტყვიამ იატაკი ვახვრიტა და ქვემო სართულში ბალლი დასჭრა. ატყდა წივილი-კივილი. რასაკვირველია, პოლიციაც მოვარდა. ყველაზე მეტად თურმე ის

ქალი შეწუხებულა. ხვალ ჩემი ქმარი დაბრუნდება, ყველგანს გაიგებს და მომკლავსო. იმ ქალს რა დაემართა, ეს არ ვიცი, ილიქარა მტკიცედ ილილით მატარებელში ჩასვეს და რუსეფისკენ უკრეს თავი. მტკიცე მსასრულო მიდიოდა, იჭნება ჩემმა ადელმა ახლა მაინც დამანებოს თავიო. მაგრამ დახე მის უბედურებას! ადელი ბარგი-ბურხანით გასულა სადგურზე, ბირკივით მიპკრობია ქმარს და თან გაჰყოლია. ისე წავიდა ჩვენი რძალი, რომ ერთხელაც ვერა გვნახა. ბევრჯელ გვეწვია სადარბაზოდ, მაგრამ ჩემიანებს არ მიუღიათ.

დღეა ტირის, შე კი ისევ მეცინება. მეც ვიცი, რომ ეს ამბავი უცხო რამ სოლივით ჩაერჭო ჩემ სევდიან წერილში, მაგრამ რა ვქნა, სიცილი მომწყურდა და მინდოდა შენც გამეცინებინე. გარდა ამისა, ჩემი მახლობლების ამბებს გწერ და ამ მასხრის მასხრული დასასრულის აწერას თავი ვერ ავარიდე.

ლიმიტრი მთაწმინდის უბანში დარჩენილა, ეჭიშობით ირჩენს თავს და ბედის მადლიერია იმის ვაპო, რომ ცოლი არ შეირთო. არჩევნების დროს დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ფედერალისტი არ აღურჩევიათ და ამის გამო გულგატეხილია. ხშირად ამბობს: ქართველმა ხალხმა სოციალ-დემოკრატებმა ამჯობინა და რაც მოიგოს, შერმე ნახოსო.

სამაგიეროდ აკაკი სიხარულით ცას ეწევა. ახლა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია და ისე იბერება, რომ პრემიერ-მინისტრი გეგონება, თანაც მოურიდებლივ ამბობს: ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ბოლშევიკები რას მოქმედებენ. ახლა ისინი ციხეში და ბნელ სოროში ჰყრიან, ჩვენ კი ხალხმა დეპუტატებად აგვირჩია და ქვეყნის სვებელი ჩავგზაბარაო. ერთხელ მეტისმეტად ვათავებდლა და შენ ავად მოგიხსენია. მე ვუთხარი: „აკაკი, რამდენიც უნდა ილაპარაკო, ზურაბი მაინც პროლეტარიატის გმირი იყო და გმირივე დარჩება. შენ კი შედამ ლობემჭვრალა იყავი“...

— „შენ მაინც გაჩუმდი. შენოდენა სისულელე ჯერ არც ერთ ქალს არ ჩაუდენია. ვანა ზურაბი და რაქდენი შენ არ დააქერიან? საწყალი ნიკო და ლევანი შენი მეოხებით არ დახოცეს? სტამბაც შენი ქარაფშეტობის წყალობით არ იპოვეს? ხალხი მხოლოდ შენზე ლაპარაკობს.“ — მომიჭრა ჩემმა ძმამ და წამოდგა. — „მართალია. მთელი ქალაქი მხოლოდ შენზე ლაპარაკობს.“ — დაუდასტურა თამარამ და აბრეზილი გაჰყვა თავის ქმარს. მე უარესად გავხდი. რამდენიმე დღეს ვტიროდი. აკაკი რომ პეტერბურგს მიდიოდა, გამოსამშვიდობებლად შემოიხედა, მაგრამ დედამ არ შემოუშვა. ძლიერ კარგადაც მოიქცა, თორემ თავლაფდასხმულს გავისტუმრებდი.

შენც იცი აკაკი რა კაცია, ამას წინათ კი ისეთი სიხარბე და ისეთი სიყვარული გამოუჩენია საკუთრებისა, რომ მისი ამხანაგებიც კი შეშფოთებულან. საწყალი მამა-ჩემი რომ სულთმობრძავი იწეა, აკაკი თურმე მაშინაც კი უშვერი სიტყვებით ლანძლავდა და ბოლოს პირში უთხრა:





„ადრევე უნდა ჩაძალღებულყავი, ამოდენა მამული და ეს სახლი შეგე-  
რჩებოდაო“. მიტომ და გრიგოლმა გარედ გააგდეს, ილიკო მარცხენა  
სილაყ კი აჭამა. მამა-ჩემი საშინლად აღელვებულა, გულსს ტუმსა ტუმსა  
ტნია და სალამო ემას სული განუტყევებია. ამასაც დიდხანს მიმალავდნენ.  
ახლა აყავი პეტერბურგშია, გაუთავებლივ ყბედობს იქ და ჰგონია, ქვე-  
ყანა ავაშენეო. ნეტა სამუდამოდ იქ დარჩებოდეს.

წარმოიდგინე, ვაქრუჯანა წვერაძეს ჩემი დაქერივება ძლიერ გახარე-  
ბია. თურმე უთქვამს: თუ ახლაც მომეწონა, არაფერს დავიშურებ, მოვარ-  
ჩენ და შევირთავო. ეს რომ ადრევე გამეგო, სულაც არ შემოვეუსვებდა.  
მამინ კი თამამად შემოვიდა, წინ დამიჯდა და ცხენივით დამიწყო სინ-  
ჯვა და ჩხრეკა. ცოტახანს ილულულა, ალბათ დამიწუნა და წავიდა.

გახსოვს თუ არა კლიმიაშვილი, შენ რომ ჩემ ოთახში შემოგავადო?  
ისიც მეწვია, იმანაც გამჩხრეკა, იმანაც დამიწუნა და წავიდა. რალა კ  
გმირობა, ჩაუდენია, მგონი ბლომად დაუხოცნია ერთობის ხალხი და ამი-  
ტომ ისევ გრენადერთა პოლკში დაუბრუნებიათ და კაპიტნობა მიუციათ.

შექურაულიც მეწვია. ყველაზე პატიოსნად ის მოიქცა. დაჯდა, შემა-  
თვალეირა, თავი ჩაჰქინდრა და ატირდა. მერმე სლუკუნით მითხრა: „ქე-  
თევან, ავი გეუბნებოდი, ბროლის კოშკიდან ნუ გამოხვალ მეთქი. არ და-  
მიჯერე და ახლა რა ვქნა, რა გიშველო?“ მე მადლობა გადაეუხადე და  
უთხარი: „თუ რამე შეგიძლიან, შენივე თავს უშველე“. მას ძლიეს შე-  
უგნია, რომ ლექსს საქართველოში ჯერ პოეტი არ უტხოვრებია და გა-  
დაუტრია ისევ მოსკოვში დაბრუნდეს, სწავლა დაასრულოს და, მანამდე  
მოუეცდი, მე შემირთოს. მე გამეცინა. „ნუ იცინი, შენი გულისთვის კი-  
ნალამ ტყვია დავრტყი“. — მითხრა მან გულწრფელად. კანკალი ამივარ-  
და. მან შემატყო და გამანთავისუფლა:

„შე ძალას არ ვატან, თუ არ გინდევარ, პირობას ნუ მომცემ. მოიფი-  
ქრე, მაგრამ თუ მერმის ამ დრომდის არ გათხოვებულხარ და თანახმა  
იქნები, შეგიერთავ მეთქი. ამაზე მეტი რა გინდა?“

თვალეებზე ცრემლი მომერია და მიუგე: „მაგაზე მეტი არაფერიც არ  
მინდა. ვმადლობ, ჩემო ელიზბარ, ვმადლობ. მშვიდობით, გენაცვალოს ქე-  
თინო, მშვიდობით“.

ხელები დამიკოცნა და წავიდა. თქმა არ უნდა, რომ მე ელიზბარს ცო-  
ლად არ გავყევი, მაგრამ მაინც მადლიერი ვარ, რომ გულწრფელად შე-  
მიბრალო, არც ჭირში გადამიდგა ნუგეში მცა და გამამხნევა.

მას შემდეგ ერთხელაც აღარ მოსულა. აღარც სხვები მოდიან. ნათე-  
სავებმაც დამივიწყეს. ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა თითქო შემაჩვენეს, ცო-  
ცხალი დამმარხეს.

ერთი კვირა იქნება, რაც მეტი მომჯობინება დამეტყო, თავის ტკი-  
ვილმა იკლო და ძილიც მომივიდა. სახეზე სიწითლე თითქმის აღარ მეტ-  
ყობა და პირიც მისწორდება. ექიმებმა მონად გამიხადეს და მეც საესე-

ბით დავენებდი. მე და დედა გავმარტოვდით. ისევ მთაწმინდის უბანში ვცხოვრობთ. ჩვენი პაწია ბინა მთელ ქალაქს გადასცქერის! სიბრძნეობით დედა-ჩემი ეტლში ჩაძსევამს ხოლმე და ქალაქში მასწავლებს. დღისით ფართო აივანზე დავდივარ იქიდან ჩვენი ნასახლარი და ის პაწია სახლიც მოსჩანს, სადაც შენთან ერთად რამდენიმე ბედნიერი საათი გამიტარებია, და სადაც ბოლოს უბედურება დაგატყბე. ზოგჯერ იმ ქობს ერთ საათს დავცქერი ხოლმე 'ხევიდან და ვფიქრობ, რა მოხდა? რად მოხდა? ვისი ბრალია?

ჩემთვის ხშირად უთქვამთ, ოდნავ ფუქსავატი ქალი ხარო. სრული სიმართლეა. ზოგი შამაკაცი მაქეზებდა კიდევაც. მეუბნებოდნენ, ზომიერი ქარაფშუტობა ქალს ძლიერ ამშვენებსო. მეც ავეყვებოდი ხოლმე. ზოგჯერ განგებაც ვიგიჟიანებდი თავს. ის ახალგაზრდები (იმათში ავშაროვიც ერია) თვითონაც ჭკუათხელნი იყვნენ და მეც მასულელებდნენ. მათ მხიარულება და ფუქსავატობა ერთმანეთში ვერ გაერჩივნათ. წუ გგონია, თითქო ყველაფერს სხვას ვაბრალებდე. სულაც არა. პირიქით, ყველაფერი ჩემი ბრალია და მეტი არავისი. ფუქსავატი ხალხი ალბათ მართასაც ეხვია, მაგრამ არ აპყვია, შორს დაიქირა და უმწიკვლოდ გადაჩრა. ერთხელ გრიგოლმა მითხრა: ყველა იმ ალაგის ღირსია, სადაც თვითონ დაჯდებაო, და ხალხური ანდაზაც გამახსენა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენივ თავითო. ამ ანდაზების სიმართლე ახლალა გავიგე. ახლა მესამე სიბრძნეც მახსენდება: ურემი რომ გადატრიალდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. ურმის გადატრიალებამ სიბრძნე მასწავლა, მაგრამ როდემდის მეყოფა იგი, ეს მე თვითონაც არ ვიცი. „ზოგი ჭირი მარკებელია. ჭკუას ისწავლიო“. — მითხრა ერთხელ მიტომ. მართალია, ადამიანი ერთსა და იმავე ალაგს შეორეჯერ აღარ წაიქცევა, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი ნაბიჯი წასაქცევი ალაგია და ამიტომ ნურავინაც ნუ დაიფიცებს, ამას იქით აღარ წაიქცევიო. მაგრამ ამას თავს ვანებებ და უმთავრეს მიზეზს ვუბრაუნებდი.

რა მჭონდა საერთო ავშაროვთან? არაფერი. მაშ რად გადავები იმ კაცს? იმისთვის გადავები, იმისთვის გავწირე ჩემი ახალგაზრდობა, რომ ერთობისთვის სამსახური გამეწია. კეთილი, მაგრამ რალა ეს გზა ავირჩიე? იმატომ ავირჩიე, რომ უყვეთესი არ დამანებეთ, არ მენდეთ, ხელთ ეს გზალა დამჩრა და მეც გავყვევი.

ერთ დროს ხმაც კი დაუყრიათ, ქეთო თავის ქმრის ჯაშუშიც იყო და ზურაბი იმან დააპერინაო. რა სისულელეა! რა საზიზლარი ქორია! ამ ცილისწამებამ კინალამ თავი მომაკვლევეინა. შენ და მართამ დროზე გადამარჩინეთ. შენ შემოგითვლია მეტეხიდან, მტკნარი სიყალბეა და არ დაუჯეროთო. მართა რომ ციხიდან გამოვიდა, მთელი ქალაქი დაიარა, ყველგან გააფთრებით გამომესარჩლა და ეს ჩირქი მგონი საბოლოოდ ჩამომრეცხა. გმადლობთ მეგობრებო. ეს მადლიც ჩემზე იყოს, იგი სამუდამოდ

დამახსოვდება და ოდესმე გადაგიხდით. მაგრამ ჩემმა ქარაფმეტრებმა მეტად ბევრი მსხვერპლი შეიწირა და ამას სიკვდილამდე არ დაგვიწყნებენ. მე შრც შენი და არც მართას რჩევა დამავეწყდება. გათხოვებან რომ ვაპირებდი, მართამ თავის მხრივ და შენი მხრივაც გამაფრთხილა: მეტად მძიმე ტვირთი აგიკიდნია, შესაძლოა დავარდე და ურთხელ კიდევ იფიქრეო. მე არ დავუჯერე, ჩემ ძალას ვენდე, და თვალდაბუქული გადავეშვი მორევში, რომელმაც დამახრჩო. ჯერ ცოცხალი ვარ. მაგრამ იმ მორვეიდან ჯერაც არ გამოვსულვარ. უღონოდ ვფართხალობ და ზოგი რამე დღესაც ვერ გადამიტრია. ერთი რამე კი მკაფიოდ და სამუდამოდ გადავეპერი: მე აღარა მჯერა, თითქო ყოველი მიზანი ყოველ საშუალებას ამართლებდეს.

ამას წინათ ქალაქში ჩამოსული გრიგოლი მეწვია. ცოტა ხნის შემდეგ მართაც მოვიდა. მე მიზანზე და საშუალებაზე ჩამოვუგდე საუბარი. ბევრი რამე ვთქვით და უამრავი მავალითი დაეასახელეთ. მართა ამბობდა, უზენაეს მიზანს ყველაფერი უნდა შეეწიროსო.

გრიგოლი თითქო მოულოდნელად კედელს მიაწყდა: გაშრა, ჩაფიქრდა და მერმე მიუგო:

„თუ მიზანი გამართლებულია, მაშინ საშუალებაც გამართლებულია. მაგრამ მხოლოდ თავისუფალ ერს აქვს უფლება სოციალიზმზე იზრუნოს. ჯერ ერი და მერმე სოციალიზმი“.

„აი სად გავიყარენით. — სთქვა მართამ. — თქვენ ეროვნული თავისუფლება თავისთავადი გგონიათ. თქვენი იდეალი აქ თავდება. თქვენა ხელში სოციალური ჩავერა და უსამართლობა უცვლელი დარჩება. სოციალიზმი თქვენ ეროვნული ყოფნის ნაწილად მიგაჩნიათ“.

„უეჭველად აგრეა“. — დაუდასტურა გრიგოლმა.

მართას სიწითლემ გადაჰკრა, რომელიც აღუღებების ნიშანი იყო.

„ძლიერ სცდებით, ბატონო გრიგოლ. — უპასუხა მან. — მონაგარე ის კი არ არის, ვინც ყველაფერს ჰქმნის და მანც მშვიდია. შიშველია და მწყურვალე. მონაგარე ის ერთი მუქა ხალხია, ვინც მშრომელი კაცობრიობა დაიმორჩილა და ახალნაირი მონობა დაამყარა, ვინც ყველაფერი დაიჩემა და ხალხს კი ძინძები, შიმშილი და ხუნდებილა დაუტოვა. სოციალიზმი უზენაესი და უსპეტაკესი იდეალია. კაცობრიობას მისი მსგავსი ჯერ არაფერი მოუგონია. იგი უმშვენიერესი სიმართლეა ამ ქვეყნად. ის მყინვარის წვერამდის აამაღლებს ხალხს ზნეობრივად, ფიზიკურად და გონებრივადაც.“

თქვენ სოციალიზმი ერის ქვემდებარე ნაწილად მიგაჩნიათ. არც ეგ არის მართალი. პირიქით, სოციალიზმი ასჯერ უფრო მტია: ვინაიდან იგი ყველა დამავრულ ერსაც და მთელ მშრომელ კაცობრიობასაც გაანთავისუფლებს“.

„ნეტარ არიან მორწმუნენი“ — ჩაილაპარაკა გრიგოლმა გაცვეთილი სიტყვები და მალე წავიდა.

გრიგოლი რომ წაეიდა, მართამ თითქო ჩემ გულში ჩაიხედა; მომეფედა, თმაზე ხელი გადამისვა და გამამხნევა:

„მე ავი ფიქრი მოიშორე. შენ არაფერსაც არ გაბრალებთ. რა შენ ბრაღია, რომ ავშაროვმა გაჯობა და უბედურება დაატრიალა. დამშვიდდი, ნულარ შფოთავ“.

მე უწინაც ვიცოდი, ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართა დიდსულოვანი ქალია. ჩემი ქარაფშუტობის გამო ერთადერთი ძმა მოუკლეს, შენც დაგაპატიმრეს და სტამბაც დაიღუპა, ის კი საყვედურის მაგიერ გულწრფელად მამართლებს და მამხნეებს. მამხნეებს, მაგრამ შენს ამბავს არ მატყობინებს. ერთხელ თუ ორჯელ ვკითხე და მიპასუხა: ზურაბს თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯესო. კინალამ ვული წამივიდა, მაგრამ თავი იმით ვინუგეშე, რომ ჩამოხრჩობას გადაარჩი. შერმე ვკითხე. შენ რაღას აპირებ მეთქი? არაფერსათ, მიპასუხა. მე აღარ მოვეშვი. მთაპირი მიიბრუნა და მითხრა:

„რას უნდა ვაპირებდე! როგორც აქამდის ვცხოვრობდი, ამას იქითაც ისე ვიცხოვრებ“.

თურმე დამიმალა, მაგრამ არა ვძრახავ. ყველას თავის ხვედრი შეერგოს. მართა რომ წაეიდა, უცებ მოვდუნდი და შავმა ნალველმა შემიბყრო. ედლიდან ივლითის მკაცრი სილამაზე მაშტერდებოდა. მე თვალი თვალში გავუყარე მას და ფიქრებს გავყევი. უცებ მწვავე წადილი ვიგრძენი, რათა ივლითის სურათი გამამებრუნებინა, ან სხვაგან სადმე დამემალნა, ან დანით დამეტრა. ავდექი, გავიარე, თვალი მოვაშორე, მაგრამ მაინც ვერ მოვიშორე. ივლითი თან დამდევდა, მისი თვალები გულს მიბურღავდა. წინ მიმიძლოდა, თითქო მამხელდა, თითქო დამცინოდა, რაღაცას მაყვედრიდა. რომ ველარ გავუძელი, დედას დავუძახე და ვუთხარი:

„დედი, ეს სურათი მომაშორე“.

„რათა, შეილო, რას გერჩის?“

„მომაშორე მეთქი, თორემ ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევ“.

„ახლავე, გენაცვალოს ჩემი თავი, ახლავე“.

სკამი მიიდგა, სურათი ძლივს ჩამოიღო, აივანზე გაიტანა, იქ მიაყუდა და პირი კედლისკენ უყო, მე კი თითქოს შვება ვიგრძენი და თანდათან დაეწყნარდი.

ახლა რაღა დამრჩენია? რით ვავიმთელო გატეხილი სახელი? რით ვუფანტო ხალხს საზარელი ეჭვი? დიდხანს ვიფიქრე და ჩვენი საოპარო გამახსენდა; გამახსენდა შენი მოხსენება, გმირ ქალებზე რომ ლაპარაკობდი, გამახსენდა ივლითი და დეკაბრისტის ცოლები. ივლითობა ჩამეფუშა, მაშ ზურაბს ციმბირში გავყევი მეთქი. ამ აზრმა მუხასავით გაიდგა ფესვები და სულ გამავსო. ჯერ მინდოდა საამისო კანონის გასაგებად ვინმე ვეჭილთან წავსულიყავი, მაგრამ მოვერიდე. არ მინდოდა ვეცნე ვინმეს და ჩემი ზრახვა გამელაენებულოყო. ვიფიქრე და ერთხელ პროკურორს ვე-



წივე. სანამ მდივნის ოთახში ვაცდიდი, კარი გაიღო და პროკურორის ოთახიდან მართა გამოვიდა. მან ვერ დამინახა. ელდანაკრავს მისი მზრუნველი პირი და გავხევედი.

„შებრძანდით“ — მითხრა მდივანმა.

მე რაღაც ვიცოდელილე და ურთი წუთის შემდეგ ფრთხილად მივიხედე. მართა გასულიყო. პროკურორი თავაზიანად დამიხვდა. მე ჩემი ვინაობა არ დავუსახელე და მაშინვე ეუთხარი:

„ჩემი მოახლის საქმროს თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯეს. ახირებულა, ჯვარი უნდა დავიწერო და თან გავყვეო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ხელი ვერ ავადებინე. ბოლოს შევპირდი, კანონებს გავიგებ მეთქი, და ახლა ამისთვის გეახელით“.

„ქალბატონო, ვირჩევთ ხელი ააღებინოთ. დიდ მადლს უზამთ. მიპასუხა კანონის დარაჯმა. — მას კვიატი შეჰყრია და მკურნალობა აჭირდება. მაგისტანა ცოლები მუდამ ნანობენ ხოლმე“.

„დეკაბრისტების ცოლებმაც ინანეს?“ — უნებურად ვკითხე მე.

„ღიაღ, მე ღრმად მწამს, რომ იმათაც ინანეს, მაგრამ გვიანლა იყო სინანული. საოცარი ის არის, რომ უკანასკნელ დროს ამგვარი ცოლები ძლიერ გამოავლდა. წელან რომ ქალი გავიდა აქედან, ისიც მაგისტანის იყო მოსული. გურგენიძეს მისთხოვდა. გუშინ დაიწერეს ჯვარი და... ქალბატონო, რა გემართებათ?“

გონს იმავე ოთახში მოვედი, პროკურორი წყალს მაპკურებდა, ყურებს მისრესავდა და მარიგებდა:

„ციმბირში გადასახლება რა თქვენი საქმეა! ციმბირი კი არა, მკურნალობა გჭირდებათ. გონს მოდით... თორმეტი წელიწადი უნდა იცადოთ, თეთრი დათვის ბუნაგში უნდა დაბერდეთ. გურგენიძე სათქვენო არ არის. არც თქვენ გამოადგებით. ის ქალი კი, გუშინ რომ შეურთავეს, რკინას ჰგავს და გაუძლებს. მაშ აგრე, ჩემო ქალბატონო. ისევ დედა-თქვენს შეაფარეთ თავი და არხეინად იცხოვრეთ“.

შეშინებულმა შევხდე, ხომ არ მიცნო მეთქი. მან წამომაყენა, დამსვა, წყალი დამალევიანა და განაგრძო:

„შორიდან გიცნობთ. განსვენებული ავშაროვის ქვრივი ბრძანდებით“.

პროკურორის მდივანს მოვეყავდი. ლასლასით მოვდიოდი, კედელს ვებლაუქებოდი. გრძელი კიბე ძლივს დავლიე, ეტლში ჩავჯექი და ჩენსა კიბეზე ძლივს ამოვედი. იმ დღეს ყველაფერი დამიშრა: ახალი გმირობაც, შენი ცოლობის იმედიც და სასიცოცხლო ნიშანაც. წინ შავი ფარდა ჩამომეფარა და უკან უმწარესი მოგონებალა დამრჩა. შიგ რამდენიმე წვეთი სიტკბოც ურეეია, მაგრამ იმის ნატამალსაც ველარა ვგრძნობ. ასე მეგონა, თითქოს სულღ დამიცალიერდა და ბალღამით გამეცსოო. დიდხანს ვეგდე თვალდახუტული და ღონემიხდილი. რაღაც მინდოდა, რაღაც მა-

წვალებდა. მერმე მიეხვდი და დედას ვთხოვე, ივლითის სურათი მომიტანე მეთქი.

„აქ მოიტა“. — ვუთხარი მას, როცა სურათი ოთახში შემოიტანა.

მე ტახტზე ვიჯექი. სურათი ტახტზე მივაყუდებინე და დედას მკვახედ მივმართე:

„რალას უცდი? წადი, შენს საქმეს მიხედე“.

გაოცებული დედა ფეხბაკრეფით გავიდა. მე მაკრატელი ავიღე, ივლითს ელვარე შავ თვალში დავატაკე და დავატრიალე. მერმე მეორე თვალს გამოვთხარე და უცებ ისეთი შვება ვიგრძენი, თითქო ბალაღამისგან დაეცლილიყავი და ისევ უწინდელი სუფთა სისხლით გავსილიყავი. მერმე ივლითს საუცხოვო ცხვირი ამოვჭერი, შემდეგ ვარდის კოკორივით წითელ-ლამაზი ტუჩები ჩაეპერი და ჩემსავით დაგონჯებული, დაკუწული სურათი ბრახუნით გადავაგდე იატაკზე.

მას აქეთ ათიოდე დღე გავიდა. ამ წერილს თითქმის ერთ თვეს ვწერ და ვერ გამოთავებია. უკანასკნელ ათ დღეში საოცრად მოვეკეთდი, ფერი დამედო, მუხლი გამიმავრა, ცოცხლად ვკითხულობ, ხელესაქმობ და სასიერნოდ მარტო ვავდივარ.

დედაჩემი მეუბნება, ამ სიტყვს თავი გავაცილოთ, ბორჯომი საბოლოოდ გამოგაკეთებსო. მაგრამ მე სანამდის არ წავალ, მანამ ერთხელ კიდევ არა ვნახავდე გუშინ მართამ მითხრა, ზურაბს კატორღაში ერთ კვირაში ვაპყზავნიანო. მეც იმ დღეს ველოდები, სადგურზე გამოვალ. შორიდან მაინც დაგინახავ. მერმე მე ჩემი სიყრმის მეგობარს და მეტოქეს უუთხარი:

„მათიკო, შენ და ზურაბს ჯვარი დაგიწერიათ და ღმერთმა ხელი მოგიმართათ. გულწრფელად ვისურვებთ, ბედნიერ ცხოვრებას, მომრავლებას...“

მართა ატირდა. ხელები სახეზე აიფარა და უხმოდ ტიროდა. მე ხელი მოეხვიე და ვანუგეშე:

„მართალია, თორმეტი წელიწადი უნდა იცადოთ, მაგრამ შესაძლებელია ზურაბს ვადა შეუშოკლონ. ან ციხიდან გამოიქცეს, ან მანიფესტი გამოვიდეს. ან ერთობამ გაიმარჯოს“.

თორმეტი წელიწადი! ღმერთო დიდებულო, ეს ხომ სიცოცხლის ნახვარია! შენ მაშინ თითქმის ორმოცს შიალწევ, მართა კი ოცდა-ხუთმეტისა შესრულდება. შენ კატორღა დაგადნობს, მართას კი შიშშილი და უქმრობა დააპყნობს. ვაი თქვენ, უბედურნო! თქვენი წამება რომ წარმოვიდგინე, მართას გვერდით მიეუჯექი და მეც ატირდი. მილოცვა და სიხარული გლოვად გადაგვეტევა. გული რომ ვიჯერეთ, ცრემლი მოვიწმინდეთ. გაქრმდით და საერთო კავშანს ვინელებდით.

უცებ ერთმა აზრმა ამკრა ალივით: „მართა რომ ავად ყოფილიყო. ან აღრევე გადაესახლებინათ, ახლა ზურაბის ცოლი, მე ვიქნებოდი და იმ



გოლგოთაზე მე უნდა აესულიყავი. მაგრამ ავიდოდი? გავუქვებდი... გულმა უწყობანოდ მიპასუხა: — „ვერ გაუძლებდი, დავარდებოდი“ ნებდი.“

ანაირმა პასუხმა შველა მომცა, თითქმის გამახარა. იედილობამ დამლუპა, ხოლო ეს ნაბიჯი უეჭველად ბოლოს მომიღებდა. ახლა ის მიხაროდა, რომ ამ საზარელ უღელში ჩემ მაგიერ მართა შეება. ძალაც მეტი აქვს. ის ნამდვილად გაიტანს, მე კი ბაღე წაიქცევოდი. მე ვერ დავიჯერებ, რომ მას ჩემზე მეტად უყვარდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე მართაზე უფრო ნახი და უფრო ნებიერი ვარ. მე ახლავე დავილაღე და გამოვიფიტე.

მართას რომ ჩემი უბედურება დამართოდა, მას ჩემსავით წვეთი არ დაეცემოდა, გულიც კი არ შეუღონდებოდა. უფრო მეტსაც გეტყვი: მე და შენ ერთ ზორც და ერთ სისხლზანი ვართ, შენ და მართა კი ერთ-ზორც, ერთსისხლ და ერთი რწმენისანი ხართ. მე ეს რწმენა მაკლია და ამიტომ ჩამოგრჩით და მართასაც ამიტომ დავანებებ შენა თავი.

გუშინ ერთად ვიტირეთ მეთქი. აღრევაც მინდოდა ერთი რამე მეთქვა მართასთვის, მაგრამ ვერ ვუბედავდი. ახლა კი თვითონ გამოიხატა: მუცელზე ხელი მომისვა, გამიღიმა და მკითხა:

„რამდენი თვისაა?“

„ექვსი თვისაა“ — ვუპასუხე და ისე შემრცხვა, თითქო მართამ მრუშობაზე მომასწრო.

ერთმანეთს ისევ პირი ავარიდეთ და დავდუმდით. მართამ ჩემი შვილის მამის ვინაობა არ იცოდა, არ იცოდა და არც მეკითხებოდა. არც ვეტყვოდი; ან ტყუილს ვეტყვოდი. ჩემო ზურაბ, ჩემო ერთავ, ჩემო თვალის სინათლევ! ეს საიდუმლოება აქამდის შევიჩინებ და ახლა კი გეტყვი, მართო შენ გეტყვი: ჩემი შვილის მამა შენა ხარ, შენა მეთქი. ვახსოვს თუ არა სტრინდბერგის „მამა“? პიესის გმირი საშინლად იტანჯება იმის გამო, რომ მან არ იცის დანამდვილებით, ვისი შვილია ბაღლი იმისი თუ სხვა ვინმესი. დედა კი არხეინად არის, ვინაიდან მან გააჩინა თავის შვილი და ისიც დანამდვილებით იცის, თუ ვისგან ეყოლა იგი. შესაძლებელია შენც დაექვდე, ვინაიდან იმ დროს ჩემი ქმარი ცოცხალი იყო, მე კი ექვსი ნატამალიც არ მეპარება: ის შენია, შენია მეთქი.

თუ ვაჟი დაიბადა, ზურაბს დავარქმევ, და თუ ქალი გაჩნდა, გადავწვიტე მართა დავარქვა. შენგან შვილისა და მოგონების მეტი არაფერი მრჩება, სულ არაფერი, არაფერი. დედა მეუბნება, შვილი ავშაროვისაა და იმის გვარი დავარქმევთ: მე ხმას არ ვიღებ, მაგრამ მტკიცედ გადავწვიტე იმ უბედურის გვარი არ დავარქვა, მოუნათლავს დავტოვებ და არ დავარქმევ. მაგრამ ვერც იმას ვაღიარებ საქვეყნოდ, რომ ბავშვის მამა შენა ხარ და ამიტომ ვერც შენს გვარზე მოუნათლავ. დაე

ჯერ უკანონო შეილად ითვლებოდეს, დაე შენს დაბრუნებულ ვაჟად ვინ იცის, იქნება გამარჯვებული დაბრუნდე, იქნება ასტონდოვანი ნელი კანონები შესცვალო და მეც თამამად ვალიაო მაშინ, რომ იმის მამა შენა ხარ და შენი გვართ იმანაც იამაყოს. მე შეგერა, რომ ასე მოხდება, უეჭველად ასე მოხდება, მანამდე კი ჩემ ვაჟს შენს სულს ჩაგბერავ და შენსავეთ მებრძოლ ვმირად გავზრდი. ჩაგბერავ და გავზრდი მეთქი, მაგრამ მეც შენი სული უნდა მქონდეს, რომ იგი შეილს გადავცე. მე მტკიცე ფიცი დავდე, რომ აღარ გავთხოვდე და მთელი სიცოცხლე ჩემს შეილს შევსწირო, მაგრამ იმდენი ძალა და რწმენა არა მაქვს, რომ შენებურად ავზარდო, ამიტომ ნიადაგ შენს მოლოდინში ვიქნები. მალე დაბრუნდი და რასაც მე დავაკლებ, შენ შეუსრულე. მართას კი ნუ ეტყვი. შენი ჭირი მე, ნუ ეტყვი, რომ ის შენია და არა ავშაროვისა, ისედაც განაწამებ გულს ნუ მოუკლავ, ნუ დასტანჯავ.

ამ წერილს სახლო კაცის ხელით გივზავნი. მან მითხრა, კატორღოლებს დროგამოშვებით სჩხრეკენ და წერილებსაც ართმევენო. მე არ მინდა, და ალბათ არც შენ გენდომება, რომ ეს წერილი დაიკარგოს, ამიტომ აი რას გირჩევ: თუ დაატყო, რომ მას ხიფათი მოელის, მაშინვე დამიბრუნე. მე შეგინახავ და იქნება ოდესმე ხელახლა წაიკითხო.

გენაცვალოს ჩემი თავი, ზურაბ, ახლა წინ მიდგეხარ და მიღიმი. შენი მყველა თვალბას ციმციმი მატირებს, გენაცვალე მაგ თვალბაში. შენი ჭირი მე, ზურაბ, ვინალო არ დალონდე, გული არ გაიტეხო, მაგ თვალბაში კაეშანი არ ჩაიშვა. მეც ვიცი, რომ უწყალოდ გტანჯავენ, ვიცი და ხშირად ვტირი ხოლმე. ახლაც გული ამიჩუყდა და ეს წერილი ცრემლით დავასველე. ალბათ შენც ამხნვე. ცრემლმა ალაგ-ალაგ მელანი გაშალა, აამღერია. კმარა, წერილი მეტისმეტად გამიგრძელდა. მაშ მშვიდობით იყაჭი. არც მე მწამს ღმერთი, მაგრამ მოვდუნდი და ამიტომ ხშირად ვეაჯები მას, რომ წამება შეგიმოკლოს, ჯანსაღად გამყოფოს, მალე დაგაბრუნოს და გავამარჯვებინოს.

მაშ მშვიდობით, ჩემო ნუგეშო!

მშვიდობით, ჩემო ერთავ!

ნახვამდის, ჩემო თვალის სინათლევ!

უფლება არა მაქვს, მაგრამ მაინც გკოცნი, ისევ ჭურღულად გკოცნი მაგ თვალბაში. ახლა მარტო მართასი ხარ, მაგრამ იქნება ეგ თვალბაში მაინც დამითმოს.

ათასჯერ გენაცვალოს ქეთინო, ისევ შენი და მხოლოდ შენი

ქეთინო.





ქეთო და მართა სადგურზე იყვნენ და ახლა ავჯალის ქუჩით უკახვე მოდიან. მართამ საიდუმლოდ გაიგო, რომ პარტიმართა ეტაპი ბაქო-ციმბირისკენ დღეს წავაო და იმ ეტაპში ზურაბი და რაყედნიც ურევიაო. ორ ქვრივს იმედი აქვს იმ ეტაპს შეხედეს და შორდან მაინც გაუღიმოს.

მართას ადრევე ჰქონდა გადაჭრილი ზურაბს თან გაჰყოლოდა. მას შეეძლო სანამდე მოეცადნა, მანამ ზურაბს საბოლოოდ დანიშნულ საკატორლო ციხეში ჩაიყვანდნენ, შემდეგ პირდაპირ იქ წასულიყო. იქვე სადმე დასახლებულიყო. ეს უფრო იაფად დაუჯდებოდა და თვითონაც ნაკლებ დაიტანჯებოდა. მაგრამ მას გაგონილი ჰქონდა, რომ ტუსალა, მგზავრობა კატორლაზე უფრო საზარელი არისო, და ამიტომ ვადასკრა ზურაბს კვალვდაკვალ გაჰყოლოდა და მრავალ საეტაპო საპარტიზროში ყოფნის დროს გარედნ დახმარებოდა მას.

მართა ადრევე მოეზნადა. რაც ზედმეტი ჰქონდა, სულ გაჰყიდა: ლოგინი, ავეჯეული, ნაქაოე-ნაქარგი, ჭურჭელი და ყველაფერი, რაც ძნელი სატარებელი იყო. ქეთომ ადრევე გაიგო, რომ მართა ზედმეტ ნივთებს ჰყიდდა, და ერთხელ მოულოდნელად ეწვია. საუკეთესო ნაქარგი, ნაქაოვი, აკვანი და ამგვარი ნივთები გადაარჩია, ერთი-ორად გადაუხადა, ორასი მანეთი ცალკე მისცა და უთხრა:

— მეც მინდა შენ და ზურაბს დაგეხმაროთ. ნუ თაკილობ. ვანა ჩვენ მეგობრები არა ვართ? ჯერ ეს ფული იმყოფინე. მერმე მისამართი შეზატყობინე და თვეში სამიოდე თუმანსაც მოგაწოდებ.

მართამ მართლა ითაკილა, მაგრამ რა გაიხსენა ზურაბი, მისი შემზარავი მომავალი და ფულის ძალა, შეყოყმანდა და მოლბა. საჭირო იყო ზურაბის გამოკვება, თორემ სახაზინო ულუფა უცილობლივ დააქლეჭებდა, საჭირო იყო ქრთამის დარიგებაც, რათა ზურაბისთვის წვრილწვრილი შეღვათი მიეცათ, ამისთვის კი საჭირო იყო ფული. ისევ ფული, ძალიან ბევრი ფული: და თუ ზურაბი გაქცევას მოინდომებდა, ფული ციხის კარის საუკეთესო გასაღებად გამოდგებოდა.

მართამ თავმოყვარეობა დასთმო, სიყრმის მეგობარს ზურაბის ცდუნებაც კი აპატია, მზურვალე მადლობა გადაუხადა მას და სთხოვა ნიკოს საფლავთან ერთად ლეგანის საფლავისთვისაც თვალი დაეჭირა. იმ დღეს, როცა ზურაბი უნდა გაეგზავნათ, ქეთო სადგურზე გაჰყვა მართას. ბარგი საბაგავოს ჩნაბარეს და ახლა ზურაბის დასახვედრად მიდიოდნენ.

უცებ შორს, ქუჩის მოსახვევში, ხალხი აჩოჩოლდა. აქეთ-იქით გარბოდნენ, იმალებოდნენ, ქუჩას აცალიერებდნენ. ვაჭრები დარაბებს ჰკატავდნენ, ეტლები უკახვე ბრუნდებოდნენ. ქუჩა სალდათებში ააფორიქეს.

თოფმომარჯვებულ მცირე გუნდს ქუჩა სიგანეზე დაეჭირა, წინ მოიწევდა და ხალხს თოფის დამიზნებით, ყვირილით და მუქარით შეეშინებდა.

— დარაბები მიხურეთ! ფანჯრები დაკეტეთ! დაიშალეთ! — სკე! სკე! ჩაჩე; ვადადით! ჩქარა, თორემ ვესვრით!

შეშინებული ხალხიც ყველაფერს ჰკეტავდა, გარბოდა, იმალებოდა. ქეთო და მართა გამოქცეულ ხალხს ჩამორჩნენ და მალე მთელი ეტაპი დაინახეს, ასიოდე თოფმომარჯვებულ სალდათს შუაში პატიმართა მოზრდილი გუნდი მოემწყვდია და სადგურისკენ მოჰყავდათ. სალდათები გავაციცებით იხედებოდნენ გარშემო და მზად იყვნენ ურჩი და საექვო მგზავრი იქვე გაეთავებინათ. ყავისფერ-ტანისამოსიანი კატორღელები წინ მოდიოდნენ და ბორკილებს ისე მოაყარუნებდნენ, რომ მათი ხმა ორას-სამასი ნაბიჯის მანძილზე ისმოდა. ყველა პატიმარს ზურგზე ყუთი ან ბოხჩა ეკიდა, სადაც კანონით ნებადართული მცოფე რამ ხაბაკა-ზუბაკი ელაგა.

— აგერ ზურაბი. — უთხრა მართამ ქეთოს. — პირველ რიგში ჩაუყენებიათ. გვერდით რაედენი მისდევს.

მართას თავის კატორღელი ქმარი რამდენჯერმე ენახა მეტეხში, უკვე შესხვეოდა მას და ამიტომ თითქმის აღარ ლელავდა. ქეთოს კი ფერი ეცვალა და ერეოლა აუვარდა. ეს ქოთნის-მსგავსი ქუდი, ეს ტომრისებური საკატორღო ტანისამოსი, ეს ბოხჩა და ეს სქელი, მძიმე და ცივი ჯაჭვი რომ დაინახა, შეძრწუნდა და გაშეშდა. ზურაბმაც დაინახა ისინი. შავ წვერულვაშში თეთრად გაუღიმა შორიდან და სალამის ნიშნად ხელი მალლა ასწია.

— გაბრუნდით მეთქი! — მეორეჯელ შესძახა მათ წინ მავალმა აფიცურმა და რევოლვერი დაუმოწნა.

მართამ ხელი სტაცა ქეთოს, უკანვე გააბრუნა და უთხრა:

— წამოდი, თორემ ამისთანა მზეცისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე. ისევ სადგურისაკენ მოდიოდნენ, ხანდახან უკან იხედებოდნენ და ამაყად მიმავალ ზურაბს სევდიანად უღიმოდნენ.

სადგურში რომ მივიდნენ, ტუსალები მარჯვნივ შეაბრუნეს. შორს ცალკე ორი სატუსალო ვაგონი იდგა. მათი ფანჯრები რკინის ლანძვით იყო შეჭედილი. ვაგონებს გარშემო სალდათების ახალი რაზმი ეხვია, რომელსაც ტუსალები ბაჭომდის უნდა მიეცილებინა. ტუსალები ფიცრულ ბაქანზე ჩაამწყრივეს. იმ აფიცურმა, რომელიც მათ მოუძლოდა, ახალი რაზმის მეთაურს სია გადასცა, მერმე ტუსალების გუნდს ჩამოუარეს, დასთვალეს და მწყრივად შეიყვანეს ვაგონებში.

ოციოდე ნაბიჯის მანძილზე ბაქანის გარდიგარდმო სალდათებს გზა გადაელობნად და ხიშტებითაც კი ძლივს უქერდნენ თავს მშობლებს და ნათესაებს, რომელნიც წყველით და გოდებით მიიწევდნენ ტუსალებისკენ და ჰკიოდნენ:



— მშვიდობით, შვილო! მშვიდობით ძმაო! მშვიდობით სამაყვე!

რამდენიმე დედაბერი თმას ივლეჯდა, ზოგნი ისე ჩნდებოდნენ, თითქო მათი შვილები და ძმები სამარეში ჩაასვენესო, ზოგნი კი ჩუმა ხმით ქვითინებდნენ.

ქეთო და მართაც იცრემლებოდნენ. ქეთოს მოეჩვენა, თითქო ასიოდე სულს ერთად მარხავდნენ და მათი ჭირისუფალნი ერთხმად ტიროდნენ.

ზურაბმა ერთხელ კიდევ მოიხედა, გაუღიმა, ერთხელ კიდევ აუქნია ხელი, „მშვიდობით, მათიკო! მშვიდობით, ქეთო! მშვიდობით, ამხანაგებო!“ — გადმოსძახა ვაგონის კიბიდან და მიიმალა.

„მშვიდობით! მშვიდობით! ყოჩაღად!“ — მოესმა ქეთოს აქეთ-იქიდან ზურაბის ამხანაგების ხმა, თვითონ კი ყელში ქვითინი უხრიალებდა და ამიტომ ერთხელაც ვერ გასძახა „მშვიდობით“. უცებ მან კლიმიაშვილს, მოჰკრა თვალი, რომელიც მოშორებით იდგა და ამ სურათს გულჭრილად ათვალეერებდა. იმანაც დაინახა ქეთო და წამოვიდა. ქეთომ ძალა მოიკრიბა, ქვითინი ჩაიხრჩო, ცრემლი შეიშრო და კაპიტანს ღიმილით დაუხედა:

— ბატონო სანდრო, სწორედ დროზე გამოჩნდით.

— ქალბატონო ქეთოევან, თქვენ რაღა გინდათ აქ? — ჰკითხა კაპიტანმა და ხელზე ემთხვია. — სულ გამოკეთებულხართ, უწინდებურად დამშვენებულხართ.

— სანდრო, გენაცვა, უნდა დამეხმაროთ. ერთი ჩემი მეგობრის ქმარი მიპყავთ. საწყალი თავს იკლავს. მეც გამოვეყვი. მეგონა, დავებმარები, ერთხელ კიდევ ვაჩვენებ მეთქი ქმარს, მაგრამ არ გვიშეებენ.

— ადვილი სამსახურია. მომყევით. — მიუგო კლიმიაშვილმა და წინ გაუძღვა.

ქეთო და მართაც მიჰყვნენ. სალდათებმა კაპიტანს და ქალებს გზა მისცეს. კლიმიაშვილმა ეტაპის მეთაურს სამხედრო სალამი მისცა, რამდენიმე სიტყვა უთხრა და ისევე ქეთოს მიუბრუნდა:

— ახლაცე აჩვენებენ.

ქეთოს შეეშინდა. საცაა ტუსადის გვარსა და სახელს ჰკითხავდნენ. გორგენიძის სახელის ვაგონებაზე კლიმიაშვილი გაცოფდებოდა, ამიტომ სწრაფად წაეღო მას ხელი, განზე გაიყვანა და უთხრა:

— სანდრო, მართო ნუ დამტოვებ, შინამდის მიმაცილე.

— დიდი სიამოვნებით. — გაეხარა კაპიტანს.

— მაშ იქ სადმე მომიცადეთ. — და ქეთომ სადგურისაკენ უყო თვალი.

— აგრე იყოს. — მიუგო კლიმიაშვილმა და გაბრუნდა.

ქეთომ შვეებით ამოისუნთქა. ვაგონის კიბეზე ზურაბი ჩამოდიოდა — მოლიმარე, დინჯი და თითქოს უდაჩდელი. მართას ჩაეკონა, ლოყები. კისერი, ყურები დაუკოცნა და აღარ მოშორდა. მერმე ქეთოს მიუბრუნდა.

და, ხელი ჩამოართვა და ისე გადახედა მართას, თითქოს <sup>სიყვარულს</sup> შენ რას მეტყვიო. მართამ იგრძნო და სრულმწარევი ხმით <sup>გულწრფელად</sup>

— აკოცე, ნუ გრცხვენია.

ზურაბმა ქეთოს უფრო ცივად აკოცა, ქეთოს გული დასწყდა, მაგრამ არ შეიშინია.

— ზურაბ, ქეთომ მე და შენ დიდი მადლი დაგვდო. — სთქვა მართამ. — ბევრი რამ გვიყიდა, ფულიც ბლომად მომცა, თვეში სამ თუმანს შემპირდა და მითხრა, თუ ზურაბი გაქცევას დააპირებს, მომწერეთ და კიდევ დაგეხმარებითო.

ზურაბს სახე გაუბრწყინდა. ქეთოს ერთხელ კიდევ აკოცა და უთხრა:

— ძმა მძისთვისა, შავი დღისთვისა. მე იქ დამდგომი არა ვარ. იმეც მალე ვნახავთ. ამზანაგების იმედიცა მაქვს. იქნება თქვენი მოშველება არც კი დამპირდეს, მაგრამ თუ დამპირდა, იმედი მექნება, რომ დროზე მომეწველებით. შენი წერილი მავილე, ქეთინო. დღეს ან ხვალ უკანვე მოგიტანენ. იმ წერილმა სული ამიფორიაჭა. თითქმის გავიზებარე. მე ადრევეაც ვიცოდი და კიდევ მითხარი, რომ ადრე თუ გვიან დაგვივარდებოდი. თურმე ჩემ, დაპატიმრებას და იმ უბედურებას შენ იბრალებ და ძლიერ დარდობ.

— ჩემი ბრალია. — გააწყვეტინა ქეთომ.

— დამშვიდდი, მე არაფერსაც არ ვაბრალებ.

— ჩემი ბრალია მეთქი. — სასოწარკვეთით წამოიძახა ქეთომ. — მე დანაშაული ჩავიდინე და არ შეპატიება.

— გაახრახნე რომ ჩაგედინა, არაფერსაც არ ვაპატიებდა, უნებური შეცდომა კი ბრალად არ დაგედება. — ანუგეშა ზურაბმა. — კიდევ ბევრი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ არ დამაცლიან, საცაა ერთმანეთს დაგვიშორებენ. პო, მართალია: მიზან-საშვალებაზე დავა გქონიათ. მოკლედ მოვკრი: მე მართას აზრს ვიზიარებ. დრო რომ მქონდეს კიდევ ზოგ რამეს დაფუძნებდი. მე და მართას სალაპარაკო თითქოს აღარაფერი გვაქვს. გუშინაც ვნახეთ ერთმანეთი და გზაშიც ხშირად შევხვდებით. შენ კი, ჩემო კეთილო ქეთინო ვაჟის გაჩენას ახლავე მოგილოცავ.

სამივემ გაიციხა. ზურაბმა ქეთოს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და განაგრძო:

— უთუოდ ზურაბი დაარქვი და ჩვენებურად გამოზარდე. მაგრამ ქერა არ გაჩინო, შენსავით მაგვრემანი გამომიყვანე. მე და მართა მალე დავბრუნდებით და მოგინათლავთ.

— აგრე იყოს. — დაეთანხმა ქეთო სიცილით. — ახლა შენზე ელაპარაკოთ. შენს ავ ბედზე მეც ბევრი ვიფიქრე. დაგტანჯავენ, ჯვარზე გაგაკრავენ. ვინ იცის რა დროს გამოგადგეს. აიღე, შეინახე — და ქეთომ ზურაბს თეთრი აბი ჩაუღო ხელში.

ზურაბმა დახედა და გაოცებულმა ჰკითხა:

— ქინაქინი ზომ არ არის?

უარყოფითი

— არა, ის არის... დარიშხანაა. იქნება დაგვირდეს შუკაზე.  
 ზურაბმა ჩაიციანა; აბი დაფშენა, ვაგონის ქვეშ ჩააბნია და ქეთოს  
 უსაყვედურა:

— აკი ვითხარი, ჩვენი ჯიშისა არა ხარ მეთქი. შხამი მტრისას იყოს.  
 რა ჩვენი საქმეა! ვინც თავს იკლავს, ის ჩვენი ოჯახისა არ ყოფილა.

— იქნება მეტისმეტად გაუჭირდეს მეთქი, ამიტომ მოგიტანე. — თა-  
 ვი იმართლა ქეთომ.

— ქირს მხოლოდ ლაპარი ემორჩილება, ჩვენ კი თვითონ ქირს ვი-  
 მორჩილებთ. ეს აქამდისაც უნდა გცოდნოდა, ქეთონო.

— გეყო, ვაგონში შედი. — მკვებელ გააწყვეტინა ზურაბს სალდათმა,  
 რომელიც გვერდით ჰყავდა მიჩენილი.

— მაშ მშვიდობით, ჩემო მართაე. შენც მშვიდობით იყავი, ქეთო.  
 სიმტკიცე გამოიჩინე, ბედს ნუ დაეჩაგვრინები, ნუ მოდუნდები, თორემ  
 შეილსაც უნდილს გამოიზრდი და ძლიერ მაწყენინებ. — გამხსნევა ქეთო  
 იმან, ვისაც თვითონ ესაჭიროებოდა გამხსნევაც და ნუგეშიც.

„თორემ შეილსაც უნდილს გამოიზრდიო“. ამის ვაგონებაზე მართაე  
 ორივენი ვაოცებით შეათვალიერა. ამ ორაზროვანმა სიტყვებმა, უნებუ-  
 რად რომ წამოსცდა, ზურაბიც შეაკრთო. მაგრამ მას აღარ ეცალა.  
 სწრაფად აკოცა ორივეს, სწრაფად გატრიალდა და ვაგონში შევიდა.  
 ქეთო წითლად აიღეწა. მის სახეზე სირცხვილმა სქლად გამოიყონა. მან  
 თვალი მოარიდა მართას და, თვალცრემლიანი, ჩქარი ნაბიჯით წამოვი-  
 და. ჩაფიჭრებული მართა კვალდაკვალ მისდევდა.

ბაქანზე კლიმიაშვილი და შუქურაული იდგნენ, მომავალ ქეთოს დას-  
 ცინავი ღიმილით უცდიდნენ. პოეტი უცებ გატრიალდა და ხალხში  
 შეერია, კლიმიაშვილმა კი ქეთოს გზა გადაუჭრა და ცივად უთხრა:

— ქალბატონო ქეთოვან, თქვენ თურმე გურგენიძის კოცნა გდომებო-  
 ათ და ჩემი დახმარება ამიტომ გინდოდათ.

ქეთომ შუბლი შეიკრა და იმავე კილოზე მიუგო:

— დიად, ბატონო სანდრო, სწორედ მაგიტომ მინდოდით.

— მაშ რაც თქვენზე მითხრეს, ყველაფერი მართალი იქნება.

— აგრეთა, ბატონო სანდრო, ყველაფერი მართალი უაქვამთ. მერმე  
 რა ვნებათ?

მეტი არაფერიც არ მინდა. მშვიდობით იყავით.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

კაპიტანი გატრიალდა და დეზების ელარუნით წავიდა.

— გაიგე? — ჰკითხა ქეთომ მართას, რომელიც იქვე იდგა და ამ მოკ-  
 ლე დიალოგს ყურს უგდებდა.

— გაიგე. ზომ არ გეწყინა? — ჰკითხა მეგობარმა.

— არა, კიდევაც გამეხარდა. ამას იქით ახლოსაც აღარ გამეცხვებია. საპატიმრო ვაგონები სამგზავრო მატარებელს შიბესს მივსვამოქმედებ. მართა ერთ-ერთ ხმელ ვაგონში შევიდა და თავის ალაგზე დაჯდა. ქეთოც შეპყვა და გვერდში მიუჯდა. ზარი ორჯერ ჩამოჰკრეს. მეგობრებს კიდევ ზეერი რამ ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ თითქოს ახლა დაავიწყდათ ყველაფერი. კონდუქტორმა გაიარა და დაიძახა:

— ვინც აცილებს, დროა გავიდეს.

ქეთო და მართა წამოდგნენ.

— მშვიდობით მართაჲ. — სთქვა ქეთომ და გადაეხვია. — მშვიდობით, მათიკოჲ... ჩემო მართაჲ.

— მშვიდობით ქეთო... ჩემო ძვირფასო... ერთადერთო.

ორივემ ერთმანეთს ცრემლით დაუსველა სახე.

— გზაში ფრთხილად იყავი... არ გაცვიდე... არაფერი მოგპარონ... ზურაბს გაუფრთხილდი. — ბუტბუტებდა ქეთო და წამოსვლას აღარ აპირებდა.

მართას თითქმის ძალით მოჰყავდა მეგობარი.

— შენც ფრთხილად იყავი. აგერ მესამეჯერ დაჰკრეს ზარი.

— მომწერე ხოლმე.

— არხეინად იყავი. ხშირხშირად მოგწერ. მართლა, კინალამ დამავიწყდა. დღეს დილით ზურაბისგან შენთვის წერილი მომივიდა. ისეთ ფაცაფუტში ვიყავი, რომ კინალამ თან გავიყოლე.

ქეთომ უკონვერტო წერილი ჩამოართვა, ხელის ქისაში ჩაიღო და ბაქანზე ჩამოვიდა. მატარებელი შეუმჩნევლად დაიძრა. მართა ფანჯარაში გამოჩინდა. ქეთო ერთხანს მატარებელს მისდევდა, მართას ცხვირსახოცს უჭნევდა და თან სატუსალო ვაგონს ადევნებდა თვალს. ეგონა, ზურაბი ერთხელ კიდევ დამენახებებო. მაგრამ ზურაბი და სხვანიც მაგრად იყვნენ ჩაკეტილი და აღარ სჩანდნენ, აღარც მათი ხმა ისმოდა.

მატარებელმა სელას უმატა. ორი ცხვირსახოცი ერთხანს კიდევ ფრთხილად თეთრად. მერმე მართაც, მისი ცხვირსახოციც და მატარებელიც მიიშალა.

ქეთომ თავის ცხვირსახოცი თვალებზე მიიფარა და გაშეშდა. კარგა ხანს იდგა და გულს იმშვიდებდა. მერმე უკან გამობრუნდა, ბაქანი ბოლომდე დაიარა, ისევ უკან წამოვიდა და დიდ დარბაზში შევიდა. იგი ხალხით იყო სავსე. ზოგი სადილობდა, ზოგი რაიმე სასმელს სვამდა. ქეთო ცარიელ მაგიდას მიუჯდა, წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

„ჩემო კეთილო ქეთინო. — სწერდა ზურაბი. — შენმა გრძელმა წერილმა ძლიერ გამახარა. ციხეში გრძელი პასუხის დაწერა შეუძლებელია და ამიტომ მოკლედ მოგპირი. ჩვენი ამბავი შენთვის, ჩემთვის, მართასთვის და ზოგი სხვისთვისაც უბედურად დასრულდა. ივდითობა არ

გაგიმართლდა. შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა და კვალი არ მოგეტანა, ამდენი უბედურება არ დატრიალდებოდა. მაგრამ ამას თან დაგეჯერებოდა. ეხლა ბრალიანის და უბრალოს ძებნა ალარაფერს ვეარგებს. იუკობი: უკველად კიდევ გნახავო. ოცნებამ აქამდისაც ბევრი გავნო და არც ამას იჩით გამოვადგება. კატორღიდან ათასში ერთიც ძლივს გამოიქცევა ხოლმე. ეს ბედნიერება მეც რომ მეწვიოს, ქალაქში მაინც ველარ დაუბრუნდები. აქ ყველანი მიცნობენ და მალე დამიჭერენ. ჩემი ასპარეზი დიდი სამრეწველო ქალაქია. იქ ათი-ათასობით მეყოლებოდა ამხანაგი მუშა და უფრო ადვილდაც დავიმალეობი. გარდა ამისა, ჩვენი მართა საშუალოდ მეგობრად გადამექცა. ეხლა ის ჩემი ცოლია. ვახსოვს თუ არა, ერთხელ დეკაბრისტების ცოლებზე რომ ვლაპარაკობდით. მართა ჩემი გულისთვის რკინის უღელში შევება და სამარემდის გასწევს მას. აი გმირთა-გმირი ეინ ყოფილა, შენ კი... შენც გინდა მსხვერპლი გაიღო, ჩემს დაბრუნებას მოუცადო. მაგრამ ვისთვის, რა საქიროა? მე ნართალულ ლაპარაკი არ მიყვარს და გულახდილად გეტყვი: მართას, რომ ერთხელ ვულალატე, ესეც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის და ამას იჩით ლალატი აზრადაც აღარ მომივა. მაშ რად უნდა მიცადო? ნუ, ქეთინო, ნუ მომიცდი, თავს ცოცხლად ნუ დაიმარბავ. შენი მსხვერპლი ტყუილბრალოდ დაიკარგება და ჩვენს შეილსაც კი ზარალის შეტს არას მოუტანს. მთხოვნელი ბევრი გყოლია: პოეტი შუჭურაული, კაპიტანი კლიმიაშვილი, ვაქარი წვერამე. სხვაც ბევრი გამოჩნდება. გულწრფელად გირჩევ ვინმე მათგანი მოიწონო, თბილი ბუდე გაიჩინო, და ბარტყები მოამრავლო. დღესაც მეგობრად მეგულები და ამიტომ გირჩევ, თორემ პასუხსაც არ მოგწერიდი.

მე რამდენჯერმე მითქვამს შენთვის, ჩვენი ჯიშისა არა ხარ და სადმე დაგვივარდები შეთქი. სანამ ავშაროვს მისთხოვდებოდი, ეს აზრი მართას პირითაც შემოგიტოვალე. აქი კიდევ დავარდი. გირჩევ ვე ერთიც იმყოფინო, თორემ მეორე მარცხს ველარ გაუძლებ და თან გადაჰყვები. შენვე მწერ: კერძო საკუთრებისადმი სიყვარული ვერ მოვიშორეო. ეს სხვისობის და ჩვენიანობის ტალკვესია და აღაშინი ამ ტალკვესით გამოიცილება. გარდა ამისა, შენვე აღიარებ, რომ ციმბირში ვერ წამოგყვები, სადმე შუაგზაზე წავიქცევიო და მიხაროან კიდევაც, რომ შენ მაგიერ ამ უღელში მართა შეება. მე არც მართას მსხვერპლი მახარებს. მაგრამ ის კი მიხაროან, რომ შენ მაგიერ მართა მომდევს. რაკი ორივეს გაგვხარებია, მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

თუ შეილი მართლა ჩემგან გეყოლოს და მე დამემგვანოს. დაპირება შემისრულე და ჩემებურად აღზარდე. ვინ იცის, იქნება ბიძმა მართლა დამაბრუნოს და თქვენი თავი მშვიდობიანად მაჩვენოს. მადლობას მაშინ გადაგიხდი, ეხლა კი იმისთვისაც დიდ მადლობას გიხდი, რომ მართას დაეხმარე. ფულის გზავნასაც შეპირებხარ. ნუ, ქეთინო, ჯერ ნუ

შეწესდები. როცა დაგვეკირდება, მართა მოგწერს და მაშინ გამოგზავნენ. მშვიდობით, ჩვენი კეთილი მეგობარო. გისურვებ, რატი მჭკნოს სახელი მაღე დაგვიწყებოდეს და ახალ გზაზე მრავალზე უმჯობესად შეიძინებო გენახოს.

შენ მიერ მოწერილი წერილი მართას დავებრუნე. მე მასთან დასამალავი აღარაფერი მაქვს წაიკითხავს და დაგიბრუნებს.

შენი მეგობარი ზურაბი.

ქეთოს ზურაბის წერილი მაგიდაზე დაუვარდა. ერთხანს გახევებული იჯდა. აღარც ხალხის ყრიაშული უსმოდა, აღარც ვინმეს ხედავდა. მერამე წვერაძე და ელიზბარი ეცა თვალში. ორივენი შორიხლოს ისხდნენ და ლუდს სვამდნენ. ორივენი ქეთოს უცქეროდნენ, იღიმებოდნენ და ალბათ მასზე ლაზღანდარობდნენ. უცებ წვერაძემ ქეთოს ზურგი შეაქცია. შექტურაულს ხელი წაავლო და ისიც იქით მიიბრუნა, თან ხელი ჩაიჭნია, თითქოს ამბობდა: ამისთანა ქალზე ლაპარაკიც კი არა ღირსო.

ქეთოს თითქო წუმპე შეასხესო: ზე წამოხტა, წერილი დაქმუჭნა და იმ დარბაზიდან აღმოდებულივით გამოვარდა. ხან ვის დაეჯახა, ხან მას წაჰკრეს მუჯღუგუნო, მაგრამ არაფერს იმჩნევდა და თითქმის მიბრბოდა. მოედანზე რომ გამოვიდა, პირველივე ეტლში ჩაჯდა და მიიძახა: — პირდაპირ გასწი.

შეეტლემ ცხენები გარეჯა. ქეთო ეხლაც არავის ხედავს გარდა შავი უფსკრულისა. იგი წინ მიუძღვის და ქეთოს თავისკენ მიიჭანებს. მაშ ასე: ყველაფერი გათავდა. ბეწვის ხიდიც ჩაწყდა და ივდითი ჯურღმულისკენ მიჰქრის. საკუთარ სამყაროს დაშორდა და ვერც მეორე ნაპირს მიიკვდლა. ელიზბარი, სანდრო და ნათესავებიც მოლაღატედ და ჯამუშად სთვლიან მას და ჭირიანსავით გაურბიან, ხოლო ზურაბი და მართა სამუდამოდ დაშორდნენ და ურჩევენ, შენც დაგვივიწყე, ნულარ გაგვიხსენებო. ზურაბს ქეთოს დახმარებაც კი აღარ უნდა. მაშ იმანაც ზურგი შეაქცია. რასა სწერს ზურაბი?

შენ, რომ კვალი არ მოგეტანა; ამდენი უზედურება არ დატრიალდებოდაო, ესე იგი — ამდენი სისხლის დაღვრა და ჩემი გაციმპირებაც შენი ბრალი არისო. სხვებიც ამას აბრალებენ ქეთოს. ალბათ სანდრომ და ელიზბარმა არ დაიჯერეს, წელან კი ქეთოსი და ზურაბის ხევენა და ცრემლი დაინახეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ. ამიტომ შეაქციეს ზურგი, ამიტომ გაანასხარავეს და ამიერიდან ალბათ საღამსაღ აღარ გაიმეტებენ.

„მართა გმირთა-გმირია... მართა ჩემი ცოლია... მართას აღარ ველაღატებ... მაშ რად უნდა მიცადო?“ მართლაც და ქეთომ რად უნდა უცადოს? მისი მსხვერპლ წყალწასადებია, სასაცილოა. ვის რად უნდა? ვის რას არგებს?





— ქალბატონო, საით წავიდე? — ეკითხება ქეთოს მეეტლე.

ქეთოს არ ესმის და ზურაბის წერილს მისდევს. იგი დასწრის მისი უდევს ხელში, მაგრამ მას აღარც კი ახსოვს რა უყო მას წავიდას და ბატონო, გადაიხედო სადმე, თუ ხელის ქისაში ჩაიღო.

— ქალბატონო, საით წავიდე მეთქი?

ქეთომ არ უპასუხა, ეტლი შეაჩერა, მეეტლეს მანეთიანი მისცა, ფეხით წავიდა და ფეითონაც არ იცოდა, რად ჩამოვიდა და საით მიდიოდა. „მთხოვნელი ბევრი გყოლია... სხვაც ბევრი გამოჩნდება.“ — გაასხენდა მას წერილის ერთი ალაგიც. ქეთომაც იცის, რომ ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდება, მაგრამ... რაო, რა ურჩია ზურაბმა? ბუდე გაიჩინე და ბარტყები მოამრავლეო, ახა-ხა! გაიჩინოს, მოამრავლოს... მშვენიერი დარიგებაა! უეჭველად გაიჩენს, ნამდვილად მოამრავლებს, თორმეტს მაინც გააჩენს და თაიგულივით გარშემოიხვევს.

ქალმა მიმოიხედა და კუკიის ხიდი დაინახა. ჰო, მართლა, აგერ იმ სახლში სანდრო კლიმიაშვილი ცხოვრობს.

წელან ერთმანეთს აწყენინეს. სანდრომ ქეთოს ვარამისა არაფერიც არ იცის და ამიტომ მოახალა მწარე სიტყვები — არც ქეთომ დაუთმო და ერთმანეთს ამიტომ დაემდურნენ. ეხლა ქეთო სურვილმა შეიბყრო სანდრო ენახა და გაუგებრობა გაეფანტა. მყისვე ავიდა კიბეზე და ზარი დარეკა. კარი მოახლემ გაუღო. შიდაკარიდან სანდროს დედამ გამოიხედა და ისევ მიიმალა. მერმე თვითონ სანდრო გამოვიდა და გაოცებულად შედგა კარებში.

— ნუ გიკვირთ. მომისმინეთ და აღარ გაგიკვირდებათ. — ბრალიანი ღიმილით უთხრა ქეთომ.

კლიმიაშვილმა ორივე ხელი საზაფხულო კიტელის ჯიბეებში ჩაიწყო, და არც კი მიესალმა, არც შინ შეიპატივა.

— შე წელან გაწყენინეთ. გაუგებრობა მოხდა და მინდა ვაგაგებინოთ, რომ...

— ქალბატონო, ტყუილად შეწუხებულხართ — ცივად გააწყვეტინა სანდრომ. — შე არაფერიც არა მწყენია.

— გაუგებრობა მოხდა მეთქი...

— არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა. ტყუილად შეწუხებულხართ მეთქი.

— საჭიროა მოვილაპარაკოთ, თორემ...

— არა, მეთქი.

— მაშ... მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით იყავით. — დაასრულა სანდრომაც და კარი მოუკეტა. ერთხანს ქეთო გაშტერებული იდგა ბაქანზე, მერმე გამოტრიალდა და ლასლასით დაეშვა კიბეზე. სანდრომ ქეთოს ბოდისიცი კი არ მოისმი-

ნა. მაშ აქაც ყველაფერი გათავდა, აქაც უკანასკნელი ძაფი დაეჭრა...  
 დევ რას იწერება ზურაბი? ჰო, მართლა:

ზინჯღირთქანა  
 ზურაბი იწერება, მართას არაფერს ვუშალავ და შენი წერილი ამას  
 დავუბრუნეო. მართა იმ წერილს წაიკითხავდა და შეიტყობდა, რომ ქე-  
 თოს შვილის მამა ზურაბია და არა ავშაროვი. ქეთო ზურაბს ეხვეწებო-  
 და, მართას ნურაფერს ეტყვიო. მან მაინც არ დაინდო და გასცა. ვაი  
 სირცხვილო! ამას იქით ქეთოს შვილი აღარ უნდა. საოცარი ვინმე ყო-  
 ფილა მართა. ქეთოს არაფერი აგრძნობინა და ეს წერილიც უკანას-  
 კნელ წუთს გადმოსცა.

ქეთომ თვითონაც არ იცოდა რად და როგორ გაჩნდა მტკვრის ნა-  
 პირას. იდგა გახევებული და მღვრიე ზვირთებს თვალს ადევნებდა. არა  
 მეთქი, ქეთოს შვილი აღარ უნდა. მუცელს მოიშლის, მოიშორებს, და-  
 ახრჩობს, თუმცა... ვანა მუცლის მოშლაზე უფრო ადვილი არ არის, რომ  
 აქვე... ეხლავე... თვითონაც და შვილიც...

ვილა დარჩა საზრუნავი? ვილა ჰყავს მზრუნველი? აღარაიენ...

რალა დარჩა ამ ქვეყნად? აღარაფერი. ყოველივე მორჩა და გათავდა.  
 მაშ ეხლავე, აი აქვე... ორივე ერთად, შვილიც და დედაც.

„ღმერთო, მაპატიე“.

ერთი.. ორი... სამი!

ჰაერში კაბამ გაიფრიალა და გარღვეულმა ზვირთებმა მყისვე შეი-  
 კრეს თავი.

დასასრული



გიორგი ქუჩიშვილი

## მთა-კანთაონი

თვალი შევავლე  
 დაკიდულ ბილიკს,  
 (მე ეს აღმართი  
 მიტაცებს მუდამ)  
 მოგონებანი,  
 მწარე თუ ტკბილი,  
 წამომეშალნენ  
 გზადაგზა გუნდათ:

აქ ოცნებობდა  
 ბარათაშვილი;  
 აქ იქარვებდა  
 სულის წამებას;  
 შუბლს უვრილებდა  
 სიო ფრთაშლილი,  
 სწერდა  
 „მთაწმინდის შემოღამებას“.

აქ ასვენია  
 გრიბოედოვი —  
 შორს, მოსკოვიდან  
 ლტოლვილი ჩაქვი, —  
 გაქვევებია  
 მეუღლე გლოვით  
 და თავს ადგია  
 ჭეგლად ახლაც-კი.

აი ილიას  
 დინჯი აჩრდილი, —  
 თითქოს სისხლი სდის  
 მის შუბლს, ნატყვიარს;

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აი აკაკის  
პირბადრი სახე,  
თმათეთრი,  
როგორც თოვლიანი შთა;  
ქნარს ოღნავადაც  
ხელს თუ შეახებს,  
მყის დაირხევა  
ძახილი სიმთა.

იქით კი,  
ვასილ ბარნოვის იქით  
ქართული სუფრა  
მოსჩანს რიერაჟად;  
„ქოსების“ ღვინით,  
სავსე ჯიხვის რქით,  
შიო მღვიმელის  
ტოსტსა სცლის ვაჟა.

თვალი შემასწრეს...  
შიმიპატოეეს...  
ის იყო, ვაჟამ  
სასმისი მტყორცნა. —  
რომ „ძია-შიო“  
გადმომწვდა პირზე,  
მაგრამ შევერთი და...  
პაერს გაჰკოცნა...

გამოვერკვიე...  
ძვირფას აჩრდილებს  
დავემშვიდობე...  
დავჭყევი ქალაქს...  
მთა-პანთუნონი  
თვალით მაცილებს,  
ფიჭრთა ქარავანს  
საზღვარი არ აქვს...

მთაწმინდა  
1936

მ. გორკი

## ივანიუჩი ზღაპრები

VII \*)

საძაგელი ქარი ჰჭროდა იმ დღეს, ნესტიანი სიროკო აფრიკისა. ნერვებს უშლის ადამიანს, ცუდ გუნებაზე აყენებს. ამიტომ იყო, რომ ჩხუბი მოუვიდა ორ შეეტლეს, — ჯუზეპე ჩიროტას და ლუიჯი მეტას. შეუმჩნევლად დაიწყეს ჩხუბი, არაფერ იცოდა, ვინ იყო მიზეზი. ქუჩაში მართოს დაინახეს, რომ ლუიჯი მივიარდა ჯუზეპეს, ცდილობდა ყელში ეტაცა ხელი; იმან კი თავი მხრებში ჩაიმალა, დამალა სქელი წითელი კისერი და წინ დაახვედრა შავი მაგარი მუშტი.

მაშინვე გააშველეს და ჰკითხეს:

— რა იყო? რაშია საქმე?

ბრაზისაგან გაღურჯებულმა ლუიჯიმ შეჰყვირა:

— აბა, ხალხის წინაშე გაიმეოროს ამ მხეცმა, როგორ მიხსენა ცოლი! ჩიროტა გაპარვას ცდილობდა, მაგრამ შეუძლებელი იყო. შეურაცყოფით შეჰყურებდა ლუიჯის თავისი მოკუტული თვალით და უარისყოფით იჭნევედა შავ თავს. მაშინ მეტამა სთქვა ხმამაღლა:

— იკვებოს, შენი ცოლის ალერსის სიტკბოება ვიგემო.

— ოჰო! — შეწრბუნდა ხალხი. — ეს კი მეტის მეტია! ეს ასე ადვილად ვერ ჩაუვლის მაგის მთქმელს! დამწვიდდი, ლუიჯი. შენ აქ უცხო ხარ, შენი დედაკაცი კი ჩვენია; ჩვენ თვალწინ გაიზარდა ქალი, და თუ შენ შეურაცყოფილი ხარ, დანაშაული ჩვენია, ჩვენი ყველასი. ასია, საცა სამართალია!

მიადგნენ ჩიროტას.

— შენა სთქვი?

— ოჰ და რა? ვთქვი, — აღიარა ჯუზეპემ.

— და მართალია, რასაც ამბობ?

\*) იხ. „მნათობი“ № 9.

— როდის შეგინიშნავთ ჩემი „სიცრუე“, რომ ახლა ვერცხვებზე ვსაუბრობ...  
 ავი კაცი არ არის ჩიროტა, კარგი ოჯახის პატრონია. მალიან მწვე-  
 ვდებოდა საქმე. შეწუხებული იყო ხალხი, ჩაფიქრებული. ლუიჯი კი შინ  
 მივიდა და უთხრა კონჩეტას:

— მე მივდივარ. დასანახავადაც კი მეზიზღები, სანამ არ დაამტკიცებ  
 რომ ცილის წამებაა იმ წუბაკის სიტყვა.

ტირილი დაიწყო, რაღა თქმა უნდა, კონჩეტამ, მაგრამ ცრემლი ხომ  
 ვერ გაამართლებდა? ხელი ჰკრა. ლუიჯიმ... და მარტოდ დარჩა დედაკა-  
 ცი პატადა ბავშვით, უფულოდ და უპუროდ.

დედაკაცები გამოექომაგნენ უბედურს, — ყველაზე უწინ კატარინა,  
 მწვენილით რომ ვაჭრობდა. ჭკვიანი დედაკაცი იყო, მელიასავით ცბიე-  
 რი, ძველის-ძველი ხორციითა და ძვლებით სავსე ტომარა და ალაგ-ალაგ  
 უკვე დანაოკებული.

— ხომ გაიგონეთ, ხალხო, რომ ეს საქმე ჩვენ შეგვეხება ყველას სა-  
 ხელს და პატიოსნებას. უბრალო ხუმრობა კი არ არის, მთვარიან ღამით  
 შთაგონებული, ორი დედაკაცის, შეილების პატრონი დედების გაუბედუ-  
 რება. პოდა, კონჩეტა მე ჩემთან მიმყავს და ჩემთან იცხოვროს, ვიდრე სი-  
 მართლე არ გამოჩნდება.

კატარინასთან გადასახლდა კონჩეტა. და მერე თითონ კატარინა და  
 მყვირალა კუდიანი ლუჩია, რომლის ხმა სამი დღის სავალზედაც ყველ-  
 გან გაისმის, ჩააცივდნენ საწყალ ჯუზეპეს. მისცივიდნენ და ისე უწეწავ-  
 დნენ სულს, როგორც ძველ მატყლის ჩულს.

— აბა, გამარჯვებულო, ერთი გვითხარ, ხშირად გყოლია კონჩეტა?  
 ლოყები გაიბერა ლოხმა ჯუზეპემ, ჩაფიქრდა და უპასუხა:

— ერთხელ.

— მაგას რაღა ფიქრი უნდოდა, შე კაი კაცო? — შენიშნა ლუჩიამ.

— როდის მოხდა ეგ გამარჯვება? სალამოხანს, ღამე თუ დღით,? —  
 ჰკითხავდა კატარინა, თითქო გამომძიებელი ყოფილიყოს.

დაუფიქრებლად სალამოხანი აიჩჩია ჯუზეპემ.

— ჯერ არა ბნელოდა? !

— ჯერ არა, — უპასუხა ჭკუის კოლოფმა.

— ძალიან კარგი! მაშ ტიტველი ნახე ქალი?

— რა თქმა უნდა!

— ერთი გვითხარი, როგორი ტანისაა ის უბედური?

ახლა კი მიხვდა, რისთვის ჰკითხავდნენ ამეებს და პირღია დარჩა, რო-  
 გორც ბელურა ჩიტი, ჭერის მარცვალი რომ დაადგება ყელზე. მიხვდა,  
 გაბრაზდა. სისხლით აევსო ვირის ყურები, ვალურჯდა კაცი და დაიწყო  
 ბურტყუნა.

— აბა, რა ვიცი, რა ვქნა? ახლა სინჯვას ხომ არ დავუწყებდი? ექი-  
 მი ხომ არა ვარ, ქალისთვის სინჯვა დამეწყა?!  
 .

მაშ ნუგბარს მიირთმევ და კი არ შეჰხარც? ბრმა ხომ არა ხარ, რომ თვალეში არა გცემოდა ერთი წიშანი კონჩეტინასი? ჰკითხა მან და მან დად კატარინა და თან თვალს უკრავს გველის ღიმილით.

— ისე სწრაფად მოხდა, — უბასუხებს ჯღუზე, — რომ ვერა დაინახე რა. მაშ არცა გყოლია! — დაბეჯითებით უცხადებს კატარინა. გულკეთილი ბებერია, მაგრამ საცა საჭიროა, იმანაც იცის შეტევა.

იმდენი რამ არაშენინეს უბედურს, ერთი მეორის გამაცრუებელი და დამრღვევი, რომ ბზით სავსე თავი დაღუნა და აღიარა:

— არცა მყოლია და არც არაფერი! გაბრაზებული ვიყავი და ჯავრა ამოვიყარე!

არ გაჰკვირვებიათ ბებერ დედაკაცებს ეს სიტყვა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ასე უნდა ყოფილიყო საქმე.

— ჩვენც მაგრე ვფიქრობდით, — უთხრეს ჯღუზებეს და გაისტუმრეს მშვიდობიანად. საქმე სოფლის კომუნას გადასცეს.

მეორე დღესვე შეიკრიბა ჩვენი მუშათა საზოგადოება. მობუზული იდგა ჩიროტა, რომელსაც ბრალსა სდებდნენ, — ცილი დასწამა დედაკაცსაო. — და კაი სიტყვით მიმართა კრებას ბებერმა ჯაკობო ფასკამ, მჭედელმა:

— მოქალაქენო, ამხანაგებო, პატრონებით აღსავსენო! სულ იმისთვის ვიბრძვი, რომ სამართლიანად გვეპურობოდნენ, და, მაშასადამე, ერთმანეთსაც სამართლიანად უნდა ვეპურობოდეთ. დაე, დაინახოს მთელმა ქვეყანამ, რომ ჩვენ, მუშებმა, ძალიან კარგად ვიცით, რასაც მოვითხოვთ და კარგად ვიცით, რომ სამართლიანობა ჩვენთვის ცარიელი სიტყვა კი არ არის, როგორც ჩვენი პატრონებისათვის, სასართლიანობა ჩვენთვის უუსაქიროესი მოთხოვნილებაა თანასწორობის დასამყარებლად. აი, ამხანაგებო, თქვენ წინაშე დგას კაცი, რომელმაც ცილი დასწამა დედაკაცს, შეურაცყო ამხანაგი, დააქცია ოჯახი და მწუხარება შეიტანა მეორე ოჯახში. სიცოცხლე გაუწყალა თავის მეუღლეს, ეჭვით და სირცხვილით წამებულს. სასტიკად უნდა დავსაჯოთ დამნაშავე! რას იტყვით, ამხანაგებო?

სამოცდაშვიდმა კაცმა ერთხმად დაიძახა:

— განვდევნოთ კომუნდან!

თხუთმეტი კაცი არ ეთანხმებოდა, — მეტის მეტია ეგ სასჯელიო, — და იტყდა კამათი. საშინელი ყვირილი იყო, — ადამიანის ბუდი უნდა გადაწყვეტილიყო, ერთის კი არა, — ცოლი ჰყავდა უბედურს და სამი შვილი, ცოლსა და შვილებს ხომ არაფერი დაუშავებიათ? კაი ოჯახის პატრონი იყო კაცი, სახლი ჰქონდა, ვენახი, ორი ცხენი ჰყავდა, ოთხი ვირი უცხოელებისთვის, — სულ თავის წვადაგვით შეეძინა და თავის ოფლით. კუთხეში იჯდა ჯღუზე, მარტოდ მარტო, დაღვრემილი, როგორც ბავშვებში ჩარეული ავსული. მოკუზული იჯდა სკამზე, თავდაღუნული და ქედსა სრესავდა ხელით, უკვე ჩამოუფლოჯა ლენტე, და ისე უკან-

კალებდნენ თითები, როგორც ვილონის დამკვრელს. და რომ კითხვის, — აბა რას იტყვიო, — ძლივსძლივობით წამოდგა, წელსმე დასწვრივ და მიუგო:

— შეწყნარებასა გთხოვთ. ვინ არის უცოდველი? განა სამართლიანობა იქნება, რომ განმდევნოთ იმ მიწიდან, რომელსაც ჩემი ოფლითა ვრწყავ აგერ ოცდა ათი წელიწადია? ამ მიწას შეაბერდა ჩემი მამა-ბაბა. ეგ არის ერთადერთი ჩემი ცხოვრების საღისარი.

დედაკაცებიც წინააღმდეგნი იყვნენ განდევნისა და ბოლოს ფასკამ შეიტანა თავისი წინადადება:

— შე მგონია, ამხანაგებო, საკმარისად იქნება დასჯილი, თუ დამნაშავეს დაევალებთ ლუიჯის ცოლის და შეილის შენახვას. თვიურად აძლიოს იმის ნახვეარი, რასაც ლუიჯინო შოულობდა თავისი შრომით.

კიდევ ბევრი იყაყანეს და ბოლოს ფასკას ნათქვამზე შეთანხმდნენ.

ძალიან კმაყოფილი დარჩა ჯუზეპე ჩიროტა, რომ ასე ადვილად გადარჩა. მუშებიც კმაყოფილები იყვნენ, ყველანი. საქმე არც სასამართლომდე მივიდა, არც ხანჯლამდე, და შინაურულად დაბოლოვდა. არ გვიყვარს, ბატონო, ჩვენ საქმეებს რომ გაზეთში სწერენ, მერე იმისთანა ენით, რომ სანთლით ვერ იპოვი შესაგნებ სიტყვას, როგორც კბილს ასი წლის ბებრის პირში. ან კიდევ, რომ მოპყვებიან მსაჯულები, რომლებმაც ჩვენი ცხოვრებისა არც ანი იციან და არც ბანი, და იმ კილოთი ბჭობენ, თითქო ჩვენ ველური, ტყის ნადირები ვიყვნეთ და ისინი კი ღეთის ანგელოზები! დიახ, ღეთის ანგელოზებად მიაჩნიათ თავი, რომლებმაც არც ღვინის გემო იციან, არც თევზის და არც ლამაზი ქალისა. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ და ჩვენებურად, მარტივად ვსჯით საქმეს.

სთქვეს და დაადგინეს: ჯუზეპე ჩიროტა აცხოვრებს ლუიჯი მეტას ცოლს და შეილს.

მაგრამ ამით არ დაბოლოვდა საქმე: როდესაც გაიგო ლუიჯიმ, რომ ჩიროტას სიტყვა სიტრუე იყო, რომ მისი მეუღლე უმწიკლო იყო, და დამნაშავეს აეკალებდნენ მისი ცოლშვილის შენახვას. მაშინვე თავისთან დაიბარა ცოლიც და შეილიც — მოკლედ მისწერა თავის მეუღლეს:

„წამოდი ჩემთან და ისევ ძველებურად ტყბილად ვიცხოვროთ. იოტის ოდენიც კი არაფერი გამოართვა მაგას და, ფუ გაქვს რამე მისგან მიღებული, შიგ პირში სტკიცე მაგ საზიზღარს. ნურც მე გამამტყუნებ, არა დამიშავებია რა შენთვის: რას წარმოვიდგენდი, რომ იკადრებდა კაცი და ტყუილს იხმარებდა იმისთანა წმინდა გრძნობაში, როგორიც სიყვარულია?“

არც ჩიროტა დაივიწყა, რაღა თქმა უნდა. მოკლედ მისწერა იმასაც:

„სამი ძმა მყავს და ოთხივე შევიფიცენით, რომ ღორივით დაგკლავთ, თუ გადმოხვალ შენი კუნძულიდან და ოდესმე ფეხს დასდგამ სორენტოს, კასტელამარეს, ტორეს მიწაზე, ან სხვაგან სადმე. გახსოვდეს, რო-



გორც კი ვავიგებთ, მაშინვე ჩაგაძალებთ! ისეთივე სიმართლეს არის ეს ჩვენი სიტყვა, როგორც სიმართლეს არის შენი კომუნის პატარა ბავშვების დადგენილება. შენი დახმარება არ ესაჭიროება ჩემს მუხლს. ჩემი ღორიცი კი არ იკადრებს შენგან რისამე მიღებას. იყავ შენთვის, შენს კუნძულს არ მოშორდე, სანამ შე არ მოგვცე ნება.“

ამბობენ ეს წერილი ჩიროტამ ჩვენ მსაჯულს მიართვა და ჰკითხა, — იქნება შეიძლებოდეს ამ მუქარის გამო ლუიჯის დასჯაო.

და ვითომ მსაჯულმა უთხრა:

— შეიძლება კი, შეიძლება, მაგრამ იმის ძმები ხომ აღარ დაგინდობენ. გაუჭირდებათ აქ ჩამოსვლა და შენი მოკვლა? ის არა სჯობია, მოითმინო? სიყვარული კი არ არის გაბრაზება, რომ დიდხანს გასტანოს!..

სხვას ვერაფერს ეტყოდა ჩვენი მსაჯული: ძალიან კეთილი გულის კაცია, მკვიანი და კარგ ლექსებსაც სწერს. შე კი მგონია, ჩიროტა არ მივიდოდა მსაჯულთან და არც იმ წერილს აჩვენებდა, ავი კაცი არ არის ჩიროტა და თავის სამარცხვინო საქციელს ახალს აღარას მიუმატებდა. ქვეყნის სალაპარაკოდ გახდებოდა, ეგ რომ ექნა.

— ჩვენ, ბატონო, უბრალო მუშა ხალხი ვართ; ჩვენ ჩვენი ცხოვრება გვაქვს, ჩვენი ჩვეულებანი და ჩვენი აზრები. მგონია, ჩვენც უნდა გვეჩვენოს უფლება მოვაგვიაროთ ჩვენი ცხოვრება, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც ჩვენთვის უფრო სასიკეთო იქნება.

სოციალისტები? მუშა-კაცი, ამზანავო, სოციალისტად იბადება, დარწმუნებული ვარ, და თუმცა წიგნებს ვერა ვკითხულობთ, ცხრა მთას იქიდან გვეცემა სიმართლის სუნი, — ხომ იცით, რა ძალოვანი სუნი აქვს სიმართლეს, ერთი და იგივე ყველგან და ყოველთვის, — შრომის სუნი.

## VIII

თეთრი რესტორანის კარებთან, ძველი ვაზების ხშირი ტოტებით შეკრულ, ხვართქლისა და ჩინური ვარდის ყვავილებით დამშვენებულ ჩარდახის ქვეშ, მაგიდასთან სხედან ვინჩენტო მღებავი და ჯიოვანი ზინკალი. წინ ერთი გრაფინი ღვინო უდგათ. მღებავი პატარა კაცია, ცარიელი ძვალ-ტყავი, ჩაშავებული; შავ თვალში უკრთის ჩაფიქრებული, კეთილი ღიმილი ოცნებით სულდგმულ ადამიანისა. თუმცა ზემო ტუჩი და ლოყები წმინდადაა აქვს გაპარსული, მაინც გულუბრყვილო ბავშვის გამომეტყველებას აძლევს მის სახეს ეს ღიმილი. პატარა, ლამაზი ბირი აქვს, როგორც ლამაზ გოგოს, გრძელი მაჯა, თითებით ვარდის ყვავილს ათამაშებს, ხანდახან ჩასუქებულ ტუჩებზე იდებს და თვალსა მხუჭავს.

— შეიძლება, იქნება აგრეც იყვეს, შეიძლება, — იძახის ჩემი ხმით, თავს იქნევს და მაღალ შუბლს უფარავს ხშირი ქერა თმა.

— აგრეა, აგრე! რაც უფრო ზევით მიდიხარ, ჩრდილოეთისკენ, მით უფრო მეტ სიმაგრეს ამჩნევ ხალხს, — ამტკიცებს ჯერმანელი, მხარგრძელი, შავბუქუქ-თმიანი ბიჭი. საზე წითელ თითბერისას მიუვაეს. ცხვირი მზისგანა აქვს დამწვარი და აცრენილ-მკვდარი კანით დაფარული; დიდრონი, კეთილი თვალები აქვს, როგორც ხარს და უცერო მარჯვენა ხელი. ლაპარაკობს ისევე ნელა, როგორც ზეთით და რკინის მტვრით გაუღუნთილი მისი ხელის მოძრაობა. ჩაშაგებულ, მომტვრეულ ფრჩხილებიანი ხელებით მაგრა უჭირავს ღვინით სავსე ჭიქა და ხაზობს ბოხი ხმით:

— მილანი, ტურინი — აი საუცხოვო სახელოსნოები, სადაც იქედება ახალი ადამიანი და იზრდება ახალი ტვინი. შენ ცოტა დაგვაცადე, — გაპატიოსნდება ჭვეყანა და დაჰკვიანდება.

— ნეტავი აგრე! — სთქვა პატარა მღებავმა, აიღო ჭიქა, წითელი ღვინით მზის სხივის დაჭერას ცდილობდა და თან ღიღინებდა:

ტკბილი არის ჭვეყანა ჩვენი სიყმაწვილის დროს,  
მაგრამ დაფეკაცებულთ გვეყნავს და აღარ გვინდობს.

— ჰო, რაც უფრო ზევით მიდიხარ ჩრდილოეთისკენ, მით უფრო კარგია შრომა. ჩვენსავით ზარმაცად ჩვენი მეზობელი ფრანგებიც კი არა ცხოვრობენ, მერე გერმანელები და ბოლოს რუსები, — აი, სად არის ხალხი!

— დიას.

— ყოველ უფლებას იყენენ მოკლებულნი და ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო, — დიდებულად მოაგვარეს საქმე, მათი წყალობით იყო, რომ სიცოცხლე დაეტყო აღმოსავლეთს.

— გმირების ჭვეყანას! — წამოიძახა თავდახრილმა მღებავმა, — ნეტავი, მეც იქ ვაყუე!

— შენა? — შეჰყვირა ზეინკალმა და ხელი დაიკრა მუბლზე. — ერთ კვირას ვერ გაუძლებდი იქაურ ყინვას!

გულიანად ჩაიცინა ორივემ.

გარს ლურჯი და ოქროსფერი ყვავილები ეხვიათ. მზის სხივის ღონტები თრთოდნენ ჰაერში გაშქვირვალ გრაფინისა და ჭიქების შინაში. ძვირფასი აღმანდინის ფრად მოჩანდა ღვინო. შორიდან ისმოდა აბრეშუმის მსგავსი შრიალი ზღვისა.

— აბა, ჩემო ვინჩენტო, — ეტბნება ღიმილით ზეინკალი, — მოდო ერთი ლექსადა სთქვი ჩემი გასოციალისტება. ზომ იცი, როგორ იყო?

— არა, — უბასუხა მღებავმა. — ღვინოს ასხამდა ორივე ჭიქაში და ტკბილად შესცინოდა წითელ ჭველს, — შენ ეგ ჩემთვის არ გითქვამს. ისე მშვენივრად გადგას ძვალსა და რბილზე ეგ ტყავი, რომ მე დაბადებითვე თანდაყოლილი მეგონა შენი სოციალიზმი.



— მეც ისეთივე ტიტველი და უვიცი დაეძბადე. როგორც ჩვენს ხალხს ვე-  
ლა ადამიანი. ყმაწვილი ბიჭი ვიყავ და მდიდარ ცოლს ვაძინებდი. კა-  
რისკაცად ვიყავ და ვსწავლობდი, რომ გამოცდა ჩამებარებია და ფე-  
ტრობა მიმეღო; ოცდა სამი წლისა ვიყავი, როდესაც ვიგრძენ, რომ ბევრი  
რამ არის საზიზღარი ამ ქვეყნად და სირცხვილია სულელად დარჩენა.

მაგიდას დაეყრდნო მღებავი, თავი მაღლა აიწია და დააკვირდა მთის  
მწვერვალზე მაღალ ფიჭვის ხეებს.

— ბოლონიაში ვაგზავნეს ჩვენი რაზმი. გლეხკაცების მოძრაობა იყო;  
ზოგნი მოითხოვდნენ — მამულის პატრონებმა იჯარის გადასახადი შე-  
გვიმცირონო; ზოგნი კიდევ იმას გაპყვიროდნენ, რომ შრომის ხელფა-  
სი შეტად მცირეა და შიმშილით ვიხოცებითო. ეს მოთხოვნები ერთი-ცა და  
მეორეც, მე უსაფუძვლოდ მიმაჩნდა; — სისულელე არ იქნება მეთქი, ვფი-  
ქრობდი. — იჯარის ფულის შემცირება, ან ხელფასის მიმატება, რომ და-  
იღუპნენ მამულის პატრონები? მე ქალაქის მცხოვრები ვიყავი და მტკნარ  
სისულელედ და უაზრობად მეჩვენებოდა გლეხების მღელვარება, და ძა-  
ლიან ვბრაზობდი. ამას საშინელი სიციხე ემატებოდა, მუდმივი გადასვლა  
ერთი სოფლიდან მეორეში, ღამით დარაჯობა, რადგან მარტო სიტყვით  
კი არ გვაწუხებდნენ გლეხკაცები, — მამულის პატრონს მანქანებს უმ-  
ტკრევდნენ, ძნას უწვავდნენ და უფუჭებდნენ ყველაფერს, რასაც კი რას-  
მე დაინახავდნენ მებატონეებისას.

მოიწაფა ქიქა, წვრილწვრილ ყლაპად დალია ღვინო, უფრო გამო-  
ცოცხლდა და განავრძო:

— შეგროვდებოდნენ ხოლმე მთელ ბრბოდ და დაწიაღებდნენ შინ-  
დორში, როგორც ცხვრის ფარა, მაგრამ ჩვენც იქ ვიყავით და ხმის ამო-  
უღებლივ, მრისხანედ ვერეკებოდით სოფლისკენ ხიშტის მუქარით და  
ხანდახან თოფის კონდახის ცემითაც. არც შიში ემჩნეოდათ, ფრც აჩქა-  
რება. ჩვენი ბრძანებით გაიფანტებოდნენ და მაშინვე ახლა სხვაგან შეი-  
კრიბებოდნენ. გულს გვიწყალებდა ჩქენი სამსახური, როგორც დიდმარ-  
ხვის წირვა, და ბოლო არ უჩანდა როგორც ციებცხვლებას. ჩამოხმა ჩვე-  
ნი ათისთავი ლუოტო, ზაფრანის ფერი დაედო მღვევივით ახოვან კაცს.  
ამბრუცხელი იყო, ისიც გლეხი, და ერთხელ შემოგვივილა:

— მგონია ამ ცოტა ხანში სროლა დაგვკვირდეს, ბიჭებო. მოდი შე-  
ნა და...

ყვავივით დაგვჩხავლა ათისთავმა და ქირისოფლი დაგვასხა, მით  
უფრო, რომ საფუძვლიანი იყო იმისი სიტყვა: სადაც კი გაიხედავდი, ბუ-  
ჩქებიდან, ღობის იქიდან, სახლის ბანიდან ყველგან ჩამალული გლეხკა-  
ცის ჯიუტი თავი მოჩანდა და გამშავებული თვალი, რომელსაც მოსის-  
ხლე მტრებად მივიჩნდი.

— დალიე, — შესთავაზა პატარა ვინჩენცომ და მეგობრისკენ მისწია  
საცხე ქიქა.

— გმადლობ! მაშ გაუმარჯოს ტალივით მგარ კაცს! — დაიქნა ზენკალმა, ლენო, დალია, ხელის გულით მოიწმინდა უღვაწე და ჩუქურჭუჭყი:

— ვდგევარ ერთხელ პატარა ბორცვზე, ზეთისხილის ხეებთან, — ძალიან აფუჭებდნენ გლეხები — და ვუდარაჯებ. ქვემოთ კიდეც ორი კაცი მუშაობდა, მოხუცებული და ყმაწვილი ბიჭი; რალაცა რუსა სთხრიდნენ. ცხელოდა. ისე გვეცმდა მზის სხივი, რომ ზღვის სიღრმეში გაგრილებულ თევზს შეგნატროდით. მოწყენილი ვიყავი, და ჩემდა შეუმჩნეველად გაჯავრებული სახით დავცქეროდი ორ გლეხკაცს. შუადღისას იქით მისდეს ბარი, დასხდნენ, წინ დაიდეს პური, ყველი, ხელადა ღვინო. — ეგ ლა ნაკლდა, შეთქი! — ვიფიქრე ბრანძმორეულმა, — წყურვილით ვკედებოდა კაცო ამათ კი ლენო დამანახვეს! — და უცბად იმ ბებერმა, რომ ჯერ ერთხელაც არ შემოებნდა ჩემსკენ, რალაც უთხრა ყმაწვილს, იმან უარყოფით გააჭნია თავი, და ბებერმაც დაუყვირა:

— ადუ, ბიჭო, არ გეყურება ჩემი?

ჩემკენ წამოვიდა ყმაწვილა ხელადით. მოვიდა, მომესალმა, და ცოტა არ იყვეს, უკმეხად მითხრა:

— მამაჩემს ჰგონია, რომ უნდა გწყუროდეთ, და ლენო მოგართვით. უხერხულად ვიგრძენ თავი, თუმცა შესიამოვნა, და უარი ვუთხარ: თავი დაუყარ ბებერს, მადლობა ჩავძახე.

იმანაც კა შეჰხედა და ახლა თითონ შემომთავაზა:

— მიირთვით, ბატონო, მიირთვით! ჩვენ მაგ ღვინოს ადამიანს ვთავაზობთ და არა ჯარისკაცს. არც იმედი გვაქვს, რომ ჯარისკაცი კეთილად მოგვექცეს ამ ღვინის გამო.

— ნუ იხველიტები-მეთქი, — ეთქვი ჩემ გულში, ცოტა რამ მოვსკი და მადლობა გადაუხადე. ისინიც შეუდგნენ პურის ჰამას და ცოტა ხანს უკან მეც გამომცვალეს. ჩემს მაგივრად სადარაჯოდ უგო დადგა, საღერტინელი, და წაეჭურჩულე ჩემად, რომ კეთილი გულისანი არიან ქვემოთ მომუშავე მამა და შვილი. იმ დღესვე, საღამოზე, სარაიის კართან რომ ვიდექი, სადაც მანქანები იყო დალაგებული, ბანიდან თავზე კრამიტი დამეცა, — თავს ოდნავ მოხედა, მაგრამ იმას მეორე მოჰყვა, მჭრელი დანასავით დამკრა მხარში, და მოტეხილივით დაეშვა ჩემი მარცხენა ხელი.

ხარხარი დაიწყო ზენკალმა, პირი ღია დარჩა და თვალებდაჭყეტილი ხარხარებდა და ამბობდა:

— კრამიტი, ქვა, ჯოხი, სრულიად დამოუკიდებლად, თავისნებისად იძვროდა იმ დროს და ეს დამოუკიდებლობა უსულო საგნებისა ხან თავს გვიტეხავდა, ხან მკლავს. მიდის თავისთვის ჯარისკაცი ან ღვას სადარაჯოზე, და უცბად საიდანღაც ჯოხი მოხედება შიგ გულში, ან ქვა ციდან. ჩვენც ვჯავრობდით, ვბრანობდით...

თვალი შეუწუხდა პატარა ზეინკალს, ფერი ეცვალა და ჩუმადა სთქვა:

— სასმენადაც კი სამარცხვინოა ამისთანა ამბავი... *ერქენეშული*

— რა გაეწყობა? ნელნელად იკრებს გონებას ადამიანი... *მეზღინძე*

— მიშველეთ მეთქი, დავიძახე, — და ერთ სახლში მიმიყვანეს, სადაც უკვე იწვა ერთი დაჭრილი. ქვა მოხვედროდა შიგ პირში და, რომ ეკითხე, — როგორ შეემთხვა ეს უბედურება, — მწუხარე სიცილით მიპასუხა:

— ბებერი დედაკაცი იყო, ამხანაგო! გადაყრუებულმა კუდიანმა მთხლიშა ქვა და — აჰა, მომკალო, — ჩამაცვიდა.

— დააბატიმრეს?

— არა, მე თითონ წავიჭეცი და ქვას დავკარ პირი, მოვახსენე რაზმის უფროსს. არ დამიჯერა, თვალეში ეტყობოდა, რომ არ დამიჯერა. მაგრამ, დამეთანხმები, როგორ მეთქვა, რომ ბებერმა დედაკაცმა მომაყენა კრილობა? აბა, რა მექნა? მეტად გაჭირებულია ხალხი და რა არის საკვირველი, რომ ასე ვაქულებართ?

— მაშ ასე, — გავიფიქრე, გულში. ვნახოთ, ექიმი მოზრძანდა და ორი ქალი. ერთი ძალიან ლამაზი, თეთრი, ვენეციელი უნდა ყოფილიყო მეორე — აღარც კი მახსოვს, ხელი გამისინჯეს, სამისო არა იყო რა, კომპრესი დამადეს და — მშვიდობით!

მოიჭმუნა ზეინკალი, გაჩუმდა. ამხანაგმა კიდევ აავსო ჭიქები ღვინით და, რომ ასხამდა, მალლა ასწია გრაფინი და ალტაცებით შეჰყურებდა ღვინის წითელ ჭველს.

— ფანჯარასთან დავსხედით ორივე, — განაგრძო დაღერებით ზეინკალმა, — ისე დავსხედით, რომ მზეს ვეღარ დავენახეთ, და ჩვენ ლამაზი ქალის, კომპრესი რომ გამიკეთა, ნაზი ხმა კი შემოგვესმა უცბად. იქვე ფანჯარასთან არიან ის ორი ქალი და ექიმი და ფრანგულად ლაპარაკობენ. მე კარგად ვიცი ფრანგული.

— ნახეთ, როგორი თვალეები ჰქონდა? — ბრძანა ლამაზმა. — ისიც, ცხადია, გლეხი არის, და მხედრულ ტანისამოსს რომ გაიხდის, შეიძლება ისეთივე სოციალისტი გახდეს, როგორც ყველა სხვა. და ამ ხალხს, ამ ნადიროსთვალეიან ხალხს ნებავეს დაიმორჩილოს მთელი ქვეყანა, გარდაჰქმნას ჩვენი ცხოვრება, ჩვენ განგვდევნოს. მიწასთან გაასწოროს ქვეყანა, რომ გაამეფოს რაღაც უსაფუძვლო, უშინაარსო გულის გამაწყალბებელი სამართლიანობა?

— ოჰ, რა ხეპრეები არიან! — ბანი მისცა ექიმმა, — ჭკუით ბავშვები, გულით მხეცები!

— მხეცები, დიახ, მხეცებზე უარესები! მაგრამ, რა აქეთ ამ ოტროველა გლეხებს ბავშვური?

— იმათი ოცნება, საყოველთაო თანასწორობა.

— წარმოგიდგენიათ, — ბრძანებდა ლამაზი ქალბატონი, — თანასწორნი ვართ მე და ის ხარისთვალა ბიჭი, ან მე და ის მეორე, ყვავის ნის-

კარტს რომ მიუგავს ცხვირპირი! თანასწორნი უნდა ვიყვნეთ ყველანი, — თქვენ, მე, ეს ჩემი მეგობარი, და ის მღვრიე სისხლიანი, რომელიც უნდა ვიყვნეთ იმ რეგენებისა, რომელნიც მარტო იმისთვის არიან გაჩენილნი, რომ სისხლი აღდნონ და მოარჯულონ თავისი მზეცი ძმები, თუ გაბრიყვენენ და წინააღმდეგობა გაგვიწიეს!..

— იქვე გაჩერდნენ ჩვენ ფანჯარასთან. ბევრი რამ ბრძანა იმ ქალბატონმა, გაცხარებით და აღელვებით. მეც უფროს ვუგვდებდი და ვფიქრობდი:

— აგრე, ქალბატონო, აგრე! რამდენჯერმე მენახა, და, რასაკვირველია, დამეთანხმებდი, — ისე არავის ენატრება ლამაზი ქალი, როგორც ჯარისკაცს... მე სულ სხვა მეგონა: ჩემი ოცნებით კეთილი გულისა უნდა ყოფილიყო ის ლამაზი, ჭკვიანი... მე მეგონა იმ დროს, რომ ჭკვიანი მარტო აზნაურები იყვნენ. ამხანაგსა ვკითხე:

— ფრანგული არ გესმის? —

— არა, არ ესმოდა. მეც ავდექი და მთლად გადავეცი ლამაზის ნათქვამი. გაბრაზდა ჩემი ამხანაგი, ცოფი მოერია, კედლიდან კედელს ეცა, და თან თვალს აბრიალებდა. მეორე თვალი ახვეული ჰქონდა.

— მაშ აგრე? — იძაბდა კბილების ღრქენით, — მაშ აგრე? ჩემით ირიგებს საქმეს და მე კი ადამიანდაც არა მთელის? მე იმის დასაფარავედ წუმბეში ვაქვლეინებ ჩემს ღირსებას, და იმას კი ადამიანდაც არ ვაჩინივარ, რომ აგრე უარყოფს ჩემს ღირსებას? მე იმის საკუთრებას ვიკავ, სულით ხორცამდე თავგანწირული...

— კაი, ჭკვიანი ბიჭი იყო, შეურაცყოფად. მოხვდა გულში ლამაზის სიტყვა და ცოფსა ჰყრიდა. მეც მომერია ბრაზი და უკვე მეორე დღეს ხმამაღლა, სრულიად დაურიდებლად ელაპარაკობდით ამ ამბავს: ჩვენი ათისთავი ლუოტო კი გვაფრთხილებდა და გვაფრთხილებდა:

— ჩუმაღ, ბიჭებო! ნუ გავიწყდებათ, რომ ჯარში ხარო და ჯარში კიდევ დისციპლინაც არის. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა!

— არა, არც გვავიწყდებოდა, მაგრამ ძალიან ბევრი ჩვენგანი, თითქმის ყველანი, თუ მართალი გინდა, სულმთლად დაებრმავდით და დაეყრუვდით... გლუხკაცები კი... უჩაღად იყვნენ, მამაცხონებულები, — ძალიან კარგად სარგებლობდნენ ჩვენი სიყრუეით და სიბრმავით. და გაიმარჯვეს კიდევ. ჩვენც ძალიან კარგად გვექცეოდნენ. ჩემი ლამაზი ქალბატონიც ბევრ რასმე კეთილს ისწავლიდა იმათგან, მაგალითებრ, ძალიან კარგად ასწავლიდნენ, როგორ უნდა აფასებდეს ადამიანი პატიოსან კაცს. ჩვენ იქ სისხლის საღვრელად მიგვიყვანეს და, რომ ავიბარგენით და წამოვედით, ყვაილებით გამოგვაცილა ხალხმა. სოფელზე რომ გამოვიარეთ, ქვასა და კრამიტს კი არა, ყვაილებს გვესროდნენ და ღირსნიც ვიყავით ამისი, ვარწმუნებ. აჲაღ რომ დაგიხედება კაცი, მაშინვე დაგავიწყდება, თუ კარგად გამოგისტუმრა.



ჩაიკინა და სთქვა:

— აი, ეს ამბავი უნდა სთქვა ლექსად, ჩემო ვინჩენცო.

— მართლა და მშვენიერი პოემა გამოვიდოდა. მგონია, მკვლევარებმა მოკლად ხუთი წლისა რომ გახდებდა კაცი, ძველებურად აღარც ჩაიხილება და აღარც ლექსი.

იქით გადააგდო დასრესილი ყვავილი, მეორე მოკვლიჯა და დაუმატა.

— დედის გულმკერდიდან რომ სატროფოს გულმკერდამდე გზას გაივლის კაცი, მერე კი სხვა სიტკბობებს უნდა ეძებდეს.

ზეინკალი გაჩუმებული იჯდა, კიკით ლეინოს ანძრევდა. რბილად ხმაურობდა ვენახების ქვემოდან ზღვა. ყვავილების სურნელება მოსდებოდა გაცხელებულ ჰაერს.

— სულ ამ შხის ბრალია, რომ ასეთი ზარმაცები ვართ, ასეთი ჩვილები, — ბურტყუნებდა ზეინკალი.

— ისე ადვილად ველარ ვამბობ ლირიკულ ლექსებს... სიბერე მახლავს... — მოსთქვამს ჩუმიად ვინჩენცო წარბის შეკუმბვებით.

— დასწერე რამე?

გვიან აღირსა პასუხი მღებავმა:

— დიახ. გუშინ სისტუმროს „კომოს“ ბანზე.

და წარმოსთქვა ჩუმი ხმით, სიმღერით ჩაფიქრებულმა „შხის ჩასვლა უდაბურ ზღვის პირას“. გაათავა და თავდაღუნული დასცქეროდა მიწას. დიდი, ახოვანი ზეინკალი იღიმებოდა გაჩუმებული და ბოლოს უთხრა:

— ყველაფერს უხდება ლექსი, მაგრამ მე მაინც ის ლექსი მიყვარს, რომელიც კარგ კაცს დამღერის, ხალხისთვის მოღვაწეს.

## IX

რესტორანის შესავალ კართან პატარა რკინის მაგიდას მიუჯდა კარგად ჩაცმული, ამერიკელივით გაპარსული, კაცი და ზარმაცად დაიძახა:

— გაა-რონ!..

ყვავის ყველაფერი მის ირგვლივ, ყველგან მოჩანს თეთრი, ახლად გაშლილი ყვავილი აკაციისა. მზე უხედა ჰფენს თავის სხივებს, დედამიწაზე და ცაზე ჩუმი მზიარულებაა გაზაფხულისა. შუა ქუჩაში ჩლიქების ბაკა-ბუკით მირბიან დიდყურიანი პატარა სახედრები; აუჩქარებლად მიდი-მოდის ხალხი: ცხადადა ჩანს, რომ სულდგმულს ყველას ეხალისება მზეზე ყოფნა, გაზაფხულის ჰაერით და ყვავილების სუნელებით დატკბობა.

დაბტიან ბავშვები — გაზაფხულის მახარობლები — და მზე თავის სხივით აბრწყინებს მათ ტანსაცმელს. რხევით მიცურავენ კოხტად მორთული ქალები, ისეთივე აუცილებლად საქირონი მზიან დღეში, როგორც ვარსკვლავები მთვარიან ღამეში.

უცნაური შეხედულება აქვს ამ კაცს, ბიჭს რომ დაუძახა: თითქო ძალიან მოსერილი იყო და სწორედ დღეს გაჰბანეს, ისე გულმოდგინედ გაგაჰბანეს, რომ მთლად ჩამოაფხიკეს, რაც კი ფეროვანი ჰქონდა. გასუნებული თვალთ იყურება, თითქო მზის მიერ განათებულ ლაქებს სთვლიდეს კედლებზე, გზაზე მოძრავებზე და ბულვარის განიერ ტროტუარზე. დამკვნარი ტურები ყვავილივით აქვს მოკუმული; გულმოდგინედ, ჩუმი ხმით უსტვენს რაღაც უცნაურ, მწუხარე კილოს; თეთრი ხელის გრძელი თითებით რაღასაც აბაკუნებს მაგიდის ხმოვან ნაპირზე — მჭრალად ციალებენ ფრჩხილები; მეორე ხელში თათმანი უჭირავს და შუბლზე იცემს თავის სასტვენის მიყოლივით. ჰკვივანი და გამბედავი კაცის გამომეტყველება აქვს, ოღონდ რაღაც საშინელით და მძიმით შერყეული.

მივიდა ბიჭი, პატივისცემით დაუკრა თავი და ერთი ფინჯანი ყავა მიართვა, პატარა ბოთლით მომწვანო სასმელი და ბისკვიტი. იქვე მეორე მაგიდასთან დაჯდა ერთი ასოვანი ჭაკი; თავპირი, კისერი, ხელება გაშავებული აქვს კომლისაგან, გამოუჯაგავია თავით ფეხამდე. ლითონით მაგარია, როგორც ნაწილი რაღაცა დიდი მანქანისა.

სუფთად ჩაცმული კაცის თვალი რომ მოხვდა ასოვანისას, ოდნავ წამოიწია, ხელი შეახო ქუდს და მიესალმა:

- ბატონ ინენერს ვახლავარ!
- ოჰო, თქვენა ხართ, ტრამა?
- დიახ, მე ვახლავართ, ბატონო ინენერო.
- მაშ გართულებას უნდა მოველოდეთ?
- როგორ მიდის თქვენი საქმე?

პატარა ღიმილი დაეტყო ინენერს გათხელებულ ტურებზე და უთხრა: — მე მგონია, რომ შეუძლებელია მარტო კითხვებით განვაგრძოთ ჩვენი საუბარი, ჰა, მეგობარო?

იმისმა მოსაუბრემაც ქული კეფაზე გადაიგდო, გაიცინა და სიცილით უპასუხა:

- შეუძლებელია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ისე მინდა, ვაგიგო...

ამლავი, ქეციანი ვირი მიათრევდა პატარა საზიდს ნახშირით; გაჩერდა, გაიგრძელა კისერი და მწარედ დაიუროყინა, მაგრამ, ეტყობა, არ მოეწონა თავისი ხმა იმ დღეს, და გაჩუმდა დარცხვენილი, შეიქნია დიდრონა ყურები და გზას გაუდგა ჩლიქების ბაკა-ბუკით.

— თქვენს მანქანას ველი ისეთივე მოუთმენლობით, როგორც ახალ წიგნს, რომელიც იმედს მაძლევს ვონების გახსნისას.

ინენერი ყავას მიირთმევდა და უპასუხა:

- არც ძალიან კარგად მესმის ეგ შედარება.

— განა არ მეთანხმებით, რომ მანქანაც ისევე ათავისუფლებს ფიზიკურ ენერჯიას ადამიანისას, როგორც კარგი წიგნი მის ვონებას?

- აჰა, — წამოიძახა ინენერმა და თავი აიქნია, — ძალიან კარგი.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ცარიელი ფინჯანი დასდგა მაგიდაზე და ჰკითხა:

— მაშ აგიტაციას დაიწყებთ?

— უკვე დაიწყე....

— ისევე გაფიცვები, არეულობა?..

მხრები აიჩეჩა მისმა მოსაუბრემ, ღიმილი მოერია.

— რომ შეიძლებოდეს უმაგისობა...

შეკვამიანმა ბებერმა დედაკაცმა მოლოზანივით მკაცრი სახისამ, ხმისამოუღებლად შესთავაზა ინტენერს პატარა თაიგული იისა. იმან კი ორი გამოართვა და ერთი ტრამას გაუწოდა ჩაფიქრებულმა. მერე უთხრა:

— თქვენ, ჩემო ტრამა, ძალიან კარგი ტენი გაქვთ და, გარწმუნებთ, სამწუხაროა, რომ მაგისტანა იდეალისტი ხართ.

— გმადლობთ ყვავილებისთვის და კომპლიმენტისთვის. როგორა სთქვით, სამწუხარო არისო?..

— დიახ, არსებითად თქვენ პოეტი ხართ და უნდა სწავლობდეთ, თუ გინდათ, რომ ხეირიანი ინტენერი გახდეთ.

ტრამამ სიცილი დაიწყო, გამოშალა თეთრი კბილები და დაუთანხმა:

— ოჰ, ეგ მართალია! ინტენერი პოეტი არის და მე ეს დამიმტკიცა თქვენთან მუშაობამ.

— გმადლობთ! — უთხრა ინტენერმა.

— მე კი სულ იმასა ვფიქრობ... კარგი იქნება, რომ ბატონი ინტენერი სოციალისტი გახდეს, სოციალისტსაც მოუხდება პოეტობა.

სიცილი დაიწყო ორივემ, თან ვინიერულად შეპყურებდნენ ერთმანეთს, საკვირვლად განსხვავებულნი: ერთი გამზმარი, ნერვოსანი, გაფხეკილი, ჩაპქრალ-თვალეზიანი, მეორე — თითქო ტალი იყვეს გამოქედილი, ოღონდ ჯერ გაუთლელი.

— არა, ჩემო ტრამა, მე ის მიჯობს, პატარა სახელოსნო მქონდეს და ერთი ოცი-ოცდაათი ემაგრე თქვენისთანა ხელოსანი მყავდეს. ისე გავჩარხავდი საქმეს, რომ!..

თითი დაჰკრა მაგიდას, ამოიოხრა, თან ყვავილებს იმაგრებდა ლილის კილოში.

— უბედურებაა სწორედ, — აღზნებით წარმოსთქვა ტრამამ, — რა წერილმანი გვიწამლავს შრომას და სიცოცხლეს!

— ეგ რა? კაცობრიობის ისტორიას თქვენ წერილმანს ეძახით? — ჰკითხა ინტენერმა დამკინავი ღიმილით.

— ხელოსანმა ჭედი მოიხადა, შეათამაშა და ფიცხლად წამოიძახა:

— რა არის ჩემი წინაპრების ისტორია?

— თქვენი წინაპრების? — ხელმეორედ ჰკითხა ინტენერმა და უფრო მევეთრი ღიმილით გაუსვა პირველ სიტყვას ხაზი.

— დიახ, ჩემი წინაპრების! თავებდობა მომდის... ჰო, და, თავებდობა იყვეს! მაგრამ ურთი ეს მითხარით, რატომ ჩემ წინაპრებად არ უნდა ვა-

მანდეს ჯიორდანო ბრუნო, ვიკო და მაძინი?.. განა მეც მათ მსოფლ-  
მხედველობაში არ ვიმყოფები? განა მე კი არა ვსარგებლობ ჩემს თავს  
დაგვითესეს დიდებულმა მოღვაწეებმა?

— ჰო, მაგ აზრით!

— რაც კი შესძლენეს ქვეყანას მიცვალებულებმა, მეც ისევე მეკუ-  
თვნის, როგორც ყველას.

— აგრეა, აგრე! — დაეთანხმა ინჟინერი. — მაგას რაღა თქმა უნდა.

— და ყველაფერი, რაც გაკეთებულა ჩემამდე, ჩვენამდე, — მაღანი,  
რომელიც ტალად უნდა გადავაქციოთ, ჩვენი ყველასი, საერთოდ ყვე-  
ლასი!

— რატომ არა? ეგეც ცხადია.

— განა თქვენც, სწავლულებიც, როგორც ჩვენ, მუშები, წარსულის  
გონებრივი მუშაობის ხარჯზე არა ცხოვრობთ?

— მე წინააღმდეგი არა ვარ. — სთქვა ინჟინერმა და თავი დაღუნა.  
პატარა ბიჭი იღვა მის გვერდით, დაფხრეწილ კონკრეტში, პატარა, რო-  
გორც სროლით დახეული ბურთი; ჭუჭყიანი ხელით ყვავილები ეჭირა  
და სთხოვდა:

— იქნება ინებოთ, ბატონო.

— აი, მაქვს, კმარა.

— ყვავილი, ბევრიც რომ იყვეს, თავის დღეში არა კმარა.

— ყოჩაღ ბიჭო! — მოუწონა ტრამამ. — ყოჩაღ! ორი მომეცი. და პა-  
ტარა ბიჭმა რომ მისცა ორი თაიგული, ტრამამ ჭული აიწია და ერთი  
ინჟინერს შესთავაზა:

— თუ ინებებთ.

— გმადლობთ.

— საიანგებო დღეა, არა?

— მაგას მეც კი ვგრძნობ, ორმოცდა ათის წლის კაცი...

რალასაც ჩაუფიქრდა, თვალი მოჭუტა, ამოიოხრა.

— თქვენ მეტად უნდა გრძნობდეთ ვაზაფხულის მზის თამაშს თქვენს  
სისხლში; იმიტომ კი არა, რომ ყმაწვილი ხართ, არა, იმიტომაც როგორ-  
ცა ვხედავ, რომ სულ სხვაა თქვენთვის მთელი ქვეყნიერება, ვიდრე ჩემ-  
თვის. არა?

— არ ვიცი, — უპასუხა ტრამამ სიცილით. — ის კი ვიცი, რომ კარ-  
გია სიცოცხლე.

— თავისი დაპირებებით? — ჰკითხა იმიდმიხდომმა ინჟინერმა. გულს  
ეცა ტრამას ეს კითხვა, ჭული დაიხურა და ფიცხლად მიუგო:

— სიცოცხლე მშვენიერია ყველაფრით, რასაც კი მაძლევს სასურ-  
ველს. რა მოგახსენოთ, იცით, ბატონო ინჟინერო? ჩემთვის სიტყვა არის  
არა მარტო ზგერა და ასო, როდესაც წიგნსა ეკითხვობ, სურათსა ვსინ-



ჯავ, მშვენიერებას შევხარი, — მე ისე ვგრძნობ თავს, თითქო თითონ მე შემექნას ყოველივე ეს.

სიცილი მოყვია ორივეს. ერთი ხმამალა იცინოდა, თითქო თავი მოსწონდა ხარხარით, თავი უკან გადაეგდო, წინ წამოეწია ფართო გულმკერდი; მეორე თითქმის ჩუმად, სლუესლუკით, პირლიად, სადაც ოქროიანი კბილები ჩანდა, თითქო ეს არის ოქროს ღებედა და კბილების გაწმენდა დაფიწყებიაო.

— ყოჩალი ბიჭი ხართ, ტრამა. ყოველთვის სიამოვნებით გზედავთ. — უთხრა ინგენერმა და დაუმატა თვალის ჩაკვრით: — თუ გაფიცვას და აჯანყებას არ ამზადებთ...

— მე ყოველთვის აჯანყების მზადებაში ვარ.

მოკუტა თავისი უძირო 'შავი' თვალი, დარბაისლური გამომეტყველება მისცა სახეს და ჰკითხა:

— იმედი მაქვს, სრულიად ღირსეულად ვიტყვოდი ამასწინად? მხრები აიჩეჩა ინგენერმა, წამოდგა.

— დიახ, დიახ... იცით, ის ამბავი ჩვენ ოცდა ჩვიდმეტი ათას ღირად დაგვიჯდა.

— კეთილგონიერება იქნებოდა, რომ ეგ ფული მუშების ხელფასად გაგელოთ.

— ჰოო? კარგად ვერ ანგარიშობთ. კეთილგონიერება ყველას თავისი აქვს, ტყის ნადირსაც კი.

გაუწოდა გამხმარი გაყვითლებული ხელი და, მუშამ რომ ჩამოართვა უთხრა:

— მე კი მაინც ჩემსას ვავიშორებ — სწავლა გინდათ, სწავლა...

— მე ყოველთვის ვსწავლობ, ყოველ წუთს.

— იმისთანა ინგენერი გამოხვიდოდით... კეთილფანტაზიანი.

— ფანტაზია მე ხელს არ მიშლის.

— ნახვამდის, ჯიუტო!

თავის გზას ვაუღბა ინგენერი ნელი ნაბიჯით, მარჯვენა ხელის თითებზე თათმანს იცვამდა. რესტორანის მსახური, პატარა კაცი, იქვე კართან იდგა და გულმოდგინედ ისმენდა ამ საუბარს. ინგენერი რომ წავიდა, მივიდა ტრამასთან, რომელიც ქისაში შავ ფულს ეძებდა იმისთვის მისაცემად, და უთხრა:

— ძალიან ბერდება ჩვენი სახელოვანი...

— ჯერ კიდევ არა უჭირს რა, — უპასუხა ტრამამ, — ჯერ კიდევ კარგად უნთია ცეცხლი თავისქალას ქვეშ.

— სად იტყვით სიტყვას შემდეგ კრებაზე?

— იქვე, შრომის ბირეაზე. თქვენც დაესწართ?

— დიახ და თქვენი სიტყვაც მოვისმინე, სამჯერ, ამხანაგო.

ამხანაგურად ჩამოართვა ტრამამ ხელი და ტყბილი ღიმილით განშორდნენ ერთმანეთს. ერთი თავის გზას გაჰყვა, იმ მიმართულებით, სადა, საითაც ინკენერი წავიდა. მეორე მოჰყვა ქურქლის ალაგებამს.

მოწაფეების ჯგუფი გამოჩნდა ქუჩაში, თეთრი ხალათით მოსილ გოგოების და ბიჭებისა; მწყობრად მოდიოდნენ, ნაპერწკალივით ისმოდა მათგან სიცილი და სიტყვა. წინ მომავალ ორს ქალაღი დაეხვიათ სტეირებად და საყვირს უკრავდნენ, აკაციებიდან თოვლად დასდიოდათ თეთრი ყვავილი.

ყოველთვის და მეტადრე გაზაფხულზე ხარბად შეჰხარის ადამიანი ბავშვებს და ენის წვერზე ადგას, ლამის შეჰყვიროს:

— თქვენ, ეო, ადამიანებო, გაუმარჯოს თქვენს მომავალს!

## X

— რაღას მოსთხოვთ ადამიანს, თუ ისე გაჰირდა ცხოვრება, რომ ლუკმა პურს ველარა ჰპოვებს თავის ქვეყანაში, თავის წინაპართა წმინდა სისხლით მორწყულ სამშობლოში, და გაჰირვებით დევნილი, იძულებული ხდება გამოეთხოვოს თავისიანებს გულმკვდარი და შორს სადღაც, თავის ქვეყნიდან ოცდა ათი დღის სავალ სამხრეთ-ამერიკაში გადავიდეს საცხოვრებლად?

სულ ერთია, ვინც უნდა იყვეს! ისევე უბედურია ბედკრული, როგორც ბავშვი დედის ძუძუდან ჩამოგლეჯილი. უცხოეთისა ღვინოც კი მწარედ ეჩვენება, და კი არ ახარებს, გულს უწყლავს სევდით, ფაშარადა მხდის, როგორც ღრუბელია და როგორც ღრუბელი წყალს, ისევე ხარბად ითვისებს მისი მშობლიური ქვეყნიდან განდევნილი გული ყოველგვარ ავსა და ბოროტ გრძობას.

ჩვენში, კალაბრიაში, რომ გადასწყვეტენ ყმაწვილი ბიჭები ოკეანის გადალახვას, ჯერ ცოლს ირთავენ, იქნება იმისთვის, რომ ქალისადმი სიყვარულით უფრო მეტად განიმტკიცონ სამშობლოს სიყვარული, — ხომ მოგეხსენებათ, ქალიც ისევე იზიდავს თავისკენ, როგორც სამშობლო, და არაფერი იცავს და იფარავს უცხოეთში მყოფს ისე კარგად, როგორც სამშობლოს და სატრფოს გულზე ნეტარების აღმოქმელი სიყვარული.

მაგრამ ეს ქორწინება უცხოეთში მიმავალ განწირულებისა თითქმის ყოველთვის საშინელ დრამის-ჯაგირის ამოყრის და სისხლის ძიების — მიზეზად ხდება. აი რა მოხდა ამას წინად სენერკიაში, აპენინის მთის ფერდობებზე მდებარე სოფელში.

ეს ამბავი, ბუნებრივი, და საშინელი, თითქო დაბადების ფურცლებიდან იყვეს ამოღებული, ცრტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ამ ხუთი წლის წინად პატარა სოფელ სარაჩენაში მშვენიერი ქალი ცხოვრობდა — ემილია პრაკო; ქმარი ამერიკაში წასვლოდა და მამამთილის სახლში იმყოფებოდა.



ლონიერი ქალი იყო, კარგი მუსიკოსი, სილამაზესთან ერთად მშვენიერად ჰქონდა და მხიარული ხასიათი; სულ იცინოდა, ხუმრობდა და ფრთხილად კეკლუცობდა თავის სილამაზით, აღაგზნებდა სოფელელ ყმაწვილ ბიჭებს და მთიულ მეტყველებს.

კეკლუცობდა. მოსწრებული სიტყვით იბრძოდა, მაგრამ კარგად იცოდა გათხოვილი ქალის სახელის დაცვა. ბევრი ტყბილი ოცნება აღუძრავს იმის სიცილს, მაგრამ მის დამარცხებას კი ვერაფერს დაიკვებებდა.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად შურიანი და შურისძიების მონატრული ეშმაკი არის და ბებერი დედაკაცი. ემილიასთან ერთად მისი დედამთილი ბრძანდებოდა და უშმაკიც ხომ იქ არის ყოველთვის, სადაც ვერაგობა მოხერხდება.

— ძალიან მხიარულადა ხარ, გოგო, ქმარი რომ შინ არა გყავს, — ეუბნებოდა თავის რძალს, — მინდა მივწერო საწყალ ბიჭს. ხომ იცი, მე ვერას ვამომაპარებ, თვალი მიჭირავს შენზე... არ დავავიწყდეს, რომ შენი სახელი ჩვენი ოჯახის სახელია.

ემილიაც ცდილობდა მშვიდობიანად დაერწმუნებინა დედამთილი, რომ უყვარს თავისი ქმარი და იმისთანას არას იზამს, რომ საყვედურის ღირსი იყვეს. ის კი უფრო და უფრო შეურაცკყოფდა თავის ეჭვებით და, ქაჯის შთავგონებით, სულ იმას გაიძახოდა სოფელში — რომ ჩემი რძალი უსირცხვოდ იქცევაო.

ემილიას ყურთამდეც მიღწია ამ ჭორებმა. გული გაუსკდა საწყალს, ტირილით შეევედრა კუდიანს — ნუ მარცხვენ, სახელს ნუ მიტეხავ, მე არაფერი დამიშავებია, ჩემი ქმრის მეტი არაფერი მინდა, ფიქრადაც არ მომსვლია, ოცნებითაც კი, მისი ღალატით, — მაგრამ ის მაინც თავისას იძახდა:

— ვიცი, ქალბატონო, ვიცი! ერთხელ მეც ვიყავ შენსავით ყმაწვილი ქალი. ვიცი, რა ფასი აქვს შენს ფიცსა და ცრემლს! გვიან-ლა არის, მე უკვე მივწერე, რომ დაბრუნდეს და პასუხი აგებინოს თავის სახელის მარცხენელს.

— მაშ მისწერე? — ჰკითხა განცვიფრებულმა ემილიამ.

— მივწერე!

— კარგი.

ეჭვიანები არიან ჩვენებურები, როგორც არაბები, და ემილიამაც კარგად იცოდა, რა საშინელება მოელოდა, ქმარი რომ დაბრუნდებოდა.

მეორე დღეს დედამთილი ტყეში წავიდა ფიჩხის გამოსატანად. ემილიაც უკან გაჰყვა კაბის ქვეშ დამალული ცულით... საცოდავი თითონ მივიდა კარაბინერებთან და მოახსენა, — დედამთილი მოვკალიო.

— კაცის შველელის სახელი გამივარდეს, ის მირჩენია, ვიდრე უნამოსოსი; როდესაც სამრახისი არა ჩამიდენია რა, — ასე ასაბუთებდა თა-



ვის საქციელს. სასამართლოში ნამდვილი ზეიმი გაუმართა ვერცხვით  
მა სოფელმა: ზინჯირთა

— მაგას დანაშაული არა აქვს რა! — გაიძახრდა ხალხი, — აუცია დედამთილის ბრაღია პატიოსანი ქალის დაღუპვა!

მარტოდ-მარტო წმინდა ეპისკოპოსმა გაბედა ხმის ამოღება დედამთილის მკვლელის წინააღმდეგ: ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება უცოდველი იყვეს ქმრისაგან შორს მყოფი ყმაწვილი ქალი, და ამტკიცებდა — საჭიროა ხალხში დატულ იქნას ძველი ტრადიციები. საჭიროა ვაფრთხილებდეთ ხალხს, რომ არ გაიმეოროს ის უდიერი შეცდომა, რომელიც ბერძნებს მოუვიდათ, როდესაც ფრინა გაამართლეს, რადგან აღტაცებულნი იყვნენ აფიყოფაქცივის დედაკაცის სილამაზით... კიდევ სხვაც ბევრი რამა სთქვა, რაც ვალდებული იყო ეთქვა რომ წმინდა ეპისკოპოსის სახელი შერჩენოდა და სულ იმისი ბრაღი იყო, რომ ოთხი წლით დაპატიმრება მიუსაჯეს ემილიას.



ემილიას ქმარივით და იმასთან ერთად იყო ამერიკაში წასული ჩვე-  
ნებური დონატო გვარნასია, ცოლი კი, ყმაწვილი ქალი, სოფელში დაე-  
ტოვებინა, რომ პენელოპის გულსაკლავი საქმე გაეკეთებინა, — უნდა  
ექსოვა ტყბილი სიცოცხლის ოცნება, სიცოცხლე კი მწარი ჰქონოდა.

და დონატომაც ამ ერთი წლის წინად წერილი მიიღო თავის დედა-  
სა. დედა სწერდა, — შენი ცოლი ტერეზა და მამაშენი, ჩემი ქმარი, ერთ-  
მანეთსა ჰყვარობენო... ჰხედავთ, აქაც ერთად მოქმედებენ ბებური დედა-  
კაცი და ეშმაკი.

გვარნასიამაც, შვილმა, ნეაპოლისკენ მომავალ პირველსავე ხომალდ-  
ზე აიღო ბილეთი და, თითქო ციდან ჩამოფრინდაო, მივიდა თავის სახლ-  
ში. გაკვირვებულები დაუხვდნენ ცოლი და მამა, — განძრახ იჩემებდნენ  
გაკვირვებას, მაგრამ ამით ვერას გახდნენ: მკაცრი ხასიათის ბიჭი იყო,  
მოუნდობელი. პირველ ხანს შუეიდობიანად ეჭირა თავი, რადგან უნდოდა  
შეემოწმებია დედის ნათქვამის სიმართლე; იმანაც იცოდა უკვე ემილია  
ბრაკოს ამბავი და მით უფრო ფრთხილად იყო. აღერსით ჩაიკრა გულ-  
ში თავისი ცოლი და რამდენიმე ხანს ისე იყვნენ ცოლ-ქმარი, თითქო  
ზეღმეორედ დაუდგათ ჭორწინების პირველი თვე, ნეტარების თვე, ასე  
ტყბილი და მხურვალე სიყმაწვილეში.

დედამ ურთხელ კიდევ სცადა, უფრში საწამლავი ჩაეწვეთებინა შეი-  
ლისთვის, მაგრამ მან მაშინვე შეაჩერა:

— კმარა! მე თვითონ მინდა შევამოწმო შენი ნათქვამი. შენ ნულარ  
მიშლი.

კარგად იცოდა, რომ შეურაცყოფილისა არ უნდა გვეროდეს, მშო-  
ბელი დედაც რომ იყვეს შენი.



თითქმის ნახევარი ზაფხული გაატარეს ასე ტყბილად დეკორაციულად. იქნება მთელი სიცოცხლეც ასე გაეტარებინათ. მაგრამ შვიდი წელიწადი ტახანიტაც სახლიდან გასვლას თან მოსდევდა მამის ენის აღძვრა: მივარდებოდა რძალს, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა. ეწინააღმდეგებოდა ქალი ბებერი მამამთილის ახირებას და მით უფრო ეწინააღმდეგებოდა გაბრაზებული მამამთილი: მეტად უცბად, მოულოდნელად უსპობდნენ ყმაწვილი ქალის ტანით ტყობას. და რომ ველარა გააწყო რა, თავისებურად გადასწყვეტა თავისი რძლის დასჯა:

— დაიღუპები, — დაემუქრა.

— ვერც შენ გადარჩები! — მიუგო რძალმა.

ჩვენში მოკლედ იციან სიტყვის მოჭრა.

შეორე დღეს მამამ მიმართა შვილს:

— იცი, რომ გლაღატობდა შენი ცოლი?

თვალში ჩააცქერდა მამას ფერმიხდილი შვილი და ჰკითხა:

— საბუთი გაქვს რამე მაგის დამამტკიცებელი?

— ჰქვს. ვინც იგემა მისი აღერსი, იმით მითხრეს — მუცელზე ქვე-  
მოდ დიდი ხალი აქვს. ხომ მართალია?

— კარგი, — მიუგო დონატომ, — რადგან შენ, მამაჩემი მუხნები,  
დამნაშავეა, მოკვდება უნამუსო!

და მამამაც ურცხვად დაუქნია თავი:

— ასია იმაზე! მოსაკლავია უნამუსო ქალი!

— და კაციც, თუ ისიც უნამუსოა! — სთქვა მიმავალმა შვილმა.

მივიდა თავის ცოლთან, მძიმე ხელები დაადო მხრებზე...

— მომისმინე... ვიცი, რომ მლაღატობდი... იმ სიყვარულის გულის-  
თვის, რომელიც ერთსულოვნად გეხდიდა მე და შენ შენს ღალატამ-  
დგ... მითხარი, ვინ იყო შენი საყვარელი?

— ჰოო? — შეჰყვირა ქალმა, — შენ მაგას მარტო შეჩვენებულ მაში  
შენისაგან გაიგებდი! მარტო ის...

— მამაჩემი? — შეჰყვირა ქმარმა და სისხლი მოერია თვალეში.

— ძალა დამატანა! შეტყარით, ძალით დამიმორჩილა. დაე, სრულ-  
სიმართლე იყოს აღიარებული...

სუნთქვა ეკვროდა, ქმარმა შეანჯღრია.

— სთქვი რალა! შერე?

— ჰო, ჰო, ჰო!.. — იძახდა სასოწარკვეთილი ქალი, — ისე ვცხოვ-  
რობდით მე და მამაშენი, როგორც ცოლი და ქმარი... ოცდა ათჯერ, ორ-  
მოცჯერ...

შინ შევიარდა დონატო, აიღო თოფი და გაექანა ყანისაკენ, სადაც  
მისი მამა მუშაობდა. ყველაფერი უთხრა, რაც უნდა უთხრას ვაჟაკ-  
მა ვაჟაკს ამ გვარ შემთხვევაში. ორი ტყვია ჩაუსვა გულში, შიგ პირში  
ჩააფურთხა მკვდარს და თოფის კონდახით ჩაუმტვრია თავი. ამბობდნენ,

დიდხანს დასტრიალებდა და ლანძღავდა მკედარსაო, ვითომ შახტა ზურგზე და ჯავრის ამოსაყრელად ზედ ხტოდა და ცეკვავდა. ზღაპრულად მერე ცოლთან მივიდა და უთხრა:

— იქით დადევ, ოთხი ნაბიჯით, და ლოცვა სთქვი.

ტირილი დაიწყო ცოლმა, ევედრებოდა — რაც გინდა მიყავ, ოღონდ ნუ მომკლავო.

— არა, — უთხრა დონატომ, — მე იმ.ს გიზამ, რასაც სამართლიანობა მთავალბებს, და შენც ასე უნდა მომქცეოდა, აქვე დაწაშავე რომ ვყოფა-ლოყავ შენს წინაშე.

პატარა ქედანივით მოჰკლა თოფით თავისი ცოლი და მერე მთავრობისკენ გასწია — დამიჭირეთ, კაცის მკვლელი ვარო და სოფელში რომ გაიარა, პატივისცემით უთმობდა გზას და ბერმა დაუძახა:

— ყოჩაღ, დონატო, რომ აგრე ვაგაკურად მოიქეც!

აღშფოთებული თავგამოდებით იცაგდა თავს მსაჯულების წინაშე, გაურყვნელი სოფელის გულწრფელი მჭერმეტყველობით.

— ცოლს იმისთვის ვირთავ, რომ მინდა მისი და ჩემი სიყვარულს ნაყოფად შეილი მყავდეს, რომ იმ შეილში შეერთებულად ვიყვნეთ მე და ჩემი მეუღლე. თუ გიყვარს, აღარაც მამა გახსოვს, აღარც დედა, სიყვარული-ლა გაცოცხლებს, უკვდავიც იყვეს წმინდა სიყვარული! და ვინც გაავრის და წაბილწავს წმინდა სიყვარულს, ჭალი იქნება თუ კაცა დაწვევლილია, შეჩვენებული და აუტანელი ტანჯვით და ვაებით სიკვდილი არას მისი ხვედრი!

დონატოს დამცველი ვეჭილი ამტკიცებდა — გაბრაზებული იყო კაცი, გაშმაგებული და სასაჯელი უნდა შეუშმუბუქდესო, მაგრამ ნაფიქმა მსაჯულებმა სრულიად უდანაშაულოდ იცნეს დონატო, და საზღვარა არა ჰქონდა სასამართლოში დამსწრე ხალხის ტაშსა და ვაშას ძახილს. გშირის სხივით და დიდებით მოსილი დაბრუნდა სოფელში დონატო. წინ მიეგება ხალხი, როგორც ერთგულ მორჩილს მამა-პაპურ ძველი ტრადიციებისას, რომელმაც ავალებს ვაგაკაცს სისხლი დაანთხვეინოს იმას, ვინც შეურაცყოფს მის სახელს.

გამართლეს დონატო და ცოტა ხანს უკან მისი სოფლელი ემილია ბრაკოც გამოუშვეს ციხიდან. დაღვრემილი ზამთარი იდგა. ზვალზევ შობის დღესასწაული გათენდებოდა. იმისთანა დრო არის, რომ სულით და გულით ნატრობს ადამიანი თავისიანებთან, თავის აღმზრდელ, საყვარელ ოჯახში ყოფნას. და ემილია და დონატო კი სრულიად მარტონი იყვნენ: ის დიდება არ იყო, იმათი დიდება, რომელიც პატივისცემას შესძენს ადამიანს, რადგან კაცის მკვლელი მაინც კაცის მკვლელია: შეიძლება გააკვიროს და თანაგრძნობაც მოიპოვოს, შეიძლება სრულებითაც



გამართლონ... მაგრამ ვინლა შეიყვარებს? ხელიც სისხლით გასერილი ჰქონდა ორივეს, გულიც დაწყლულებული, და განუკურნავე, ისე მინდვი ტანჯვა იყო მათი წარსული და სასამართლოს წინაშე უსამართლოდ ამატომ იყო, რომ არავენ იუცხოვა, რომ დამეგობრდნენ ავბედით განწირულნი და გადასწყვიტეს ერთმანეთის სიყვარულით დაევიწყათ წარსული და დაეტკბოთ თავიანთი სიცოცხლე. ყმაწვილები იყვნენ ორივენი და აღერსი სწყუროდათ.

— ჩვენ აქ ვერ მოვისვენებთ, — უთხრა დონატომ პირველი კოცნის შემდეგ, — ჩვენ აქ წარსულს ვერ დავევიწყებთ.

— და ჩემი ქმარი რომ დაბრუნდეს, მაშინვე მომკლავს, — ჩიოდა ემილია, — მომკლავს, რადგან დღეს უკვე სხვისი ვარ გულით; ტანით არა, მაგრამ სულით კი ვღალატობ.

და გადასწყვიტეს, ფული მოეგროვებიათ და ამერიკაში გადასახლებულიყვნენ. შეიძლება კადეც აესრულებიათ ეს წადილი და უცხოეთში მანც ეპოვათ მშვიდობიანი ბინა და კოტარამ ბედნიერება, მაგრამ გარს ხალხი ეხვია, და გაისმა ავი ყაყანი:

— შეიძლება ვაპატივით, ვნებიტალგზნებულს რომ შემოაკედეს კაცო: ტაშს ვუკრავთ და თაყვანსა ვცემთ, ვინც სისხლით აზღვევინებს შეურაცყოფას თავის მტერს. მაგრამ რას ჩადიან ეს უსიროცხვილონი? განა დღეს თითონვე არ არღვევენ იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით სისხლს ჰღერიდნენ გუშინ!

ეს შავი და ბნელი მსჯელობა, ნაშთი ძველი, მკაცრი წარსულისა, უფრო და უფრო ხმა მალდა ისმოდა სოფელში და ემილიაც დედის, სერაფინა იმატოს ყურსაც მოხვდა. ამპარტავანი დედაცაცი იყო, მძლავრი და, თუმცა უკვე ორმოცდა ათი წლისა იყო, ჯერ ისევ შერჩენოდა მთიული ქალის სილამაზე.

ჯერ არც კი დაიჯერა ეს მითქმა-მოთქმა და ძალიანაც იწყინა:

— ქორებია, ცილის წამება! — უთხრა მეზობლებს. — ნუთუ დაგავიწყდათ, როგორ იტანჯებოდა ჩემი უბედური გოგო, რომ ავი არა მოსცებოდა რა იმის სახელს?

— ჩვენ არა და იმან კი დაივიწყა.

მაშინ აღვა დედა, კაი მანძილი გაიარა და მივიდა თავის ქალთან.

— მე არ მინდა, რომ შენზე ამბობდნენ, შვილო, რასაც დღეს ამბობენ, — უთხრა სერაფინამ. — ამას წინად შენი საქციელი პატიოსანი და წმინდა იყო, მიუხედავად შენმიერ დაქცეული სისხლისა. წმინდა იყო და წმინდად უნდა დარჩეს მომავალშიც ხალხის პატივსაცემად და მაგალითად.

ტირილი დაიწყო ქალმა და შესჩივლა:

— აღამიანს ეკუთვნის მთელი ქვეყანა, მაგრამ რილასთვის არის აღამიანი, თუ კი თითონ თავისთვის არა გააჩნია-რა?

— ეგ მღვდელსა ჰკითხე, თუ იმდენად სულელი ხარ, რომ ეგის არ იცი, — უპასუხა დედამ.

მერე დონატოსთან მივიდა და თავისებური ბრძანებით *რეკონსტრუქციის*

— თავი დაანებე ჩემს ქალს, თორემ ვაი შენი ბრალი!

— მომისმინე, — ეხვეწებოდა დონატო. — მიყვარს შენი ქალი, ისევე უბედურად, როგორც მე ვარ. ნება მიბოძე წავიყვანო, შორს წავალთ. შორს, უცხოეთში და ჩვენც ბედნიერი ვიქნებით, ეგ მითქმა-მოთქმაც მიჩუმდება.

ც. ცხლს ნავთი გადაასხა ამ სიტყვებით:

— მაშ გაქცევას აპირებთ? — შეჰყვირა გაათრებულმა დედამ, — ენახავ, როგორ წაბრძანდებით!

მხეცური ღმელილით განშორდნენ ერთმანეთს გაცოფებულება, უკვე მოსისხლე მტრები.

მა იყო და ის, თვალს აღარ აშორებდა სერაფინა თავის ქალს და იმის სატრფოს, კვალ და კვალ დასდევდა, როგორც კარგად დაგეშალი ძალლი ტყის ნადირს. ისინი კი მაინც ახერხებდნენ, ჰხედავდნენ ერთმანეთს მის ჩუმად, ღამით. რას იზამთ? სიყვარულსაც აქვს თავისი მოხერხება და ცბიერება.

მაგრამ ერთხელ მაინც ხელითგდო სერაფინამ: დამალული ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს—წასასვლელად ემზადებოდნენ და უკვე გეგმას ადგენდნენ გაპარვისას. და სწორედ ამ საბედისწერო წამს მიიღო დედამ საზარელი გარდაწყვეტილება.

ხალხით საესე იყო კვირას საყდარი, წირვა იდგა. წინ ქალები იდგნენ, ფერად კაბებით და შალებით, როგორც შეეფერება უქმე დღეს. უკან კაცები იყვნენ დაჩოქილი. შეყვარებულებიც მოვიდნენ სალოცავად, მაღონას ავედრებდნენ თავიანთ სიყვარულს.

ყველაზე გვიან სერაფინა ამატო მოვიდა. ისიც ღამაზად იყო მორთული. განიერი აბრეშუპით დამშვენებული წინსაფარი ჰქონდა კაბის ზემოდან და წინსაფარში ჩამალული ცული.

ნელი ნაბიჯით, ლოცვის თქმით მივიდა მთავარანგელოზ მიხეილის ხატთან, სენერკიის მფარველთან, მუხლი მოიყარა, ხელი შეახო მის ხელს და მერე ტუჩებზე მიიღო. მერე შეუმჩნევლად მიიპარა თავის ქალის ნაცდურთან, რომელიც დაჩოქილი ლოცულობდა, და ორჯერ ჩაჰკრა თავში ცულის პირი, ჩაჰკრა ისე, რომ ზედ რომაული ხუთი გამოიყვანა ან ასო V, რაც ნიშნავს: ვენდებ, შურის ძიება.

საშინელება დატრიალდა ეკლესიაში, შიშის ზარი დაეცა ხალხს და ყვირილით და გოდებით მიიწვედნენ ყველანი გასავალ კარისკენ. ზოგს გული წაუვიდა და იქვე დაეცა ფილაქანზე, ზოგი ტიროდა პატარა ბავშვივით. სერაფინა კი თავს ადგა ძირს განართხულ დონატოს და გულშემოყრილ თავის ქალს. ხელში გასისხლიანებული ცული ეჭირა, და ისე



გამოიყურებოდა, როგორც ნემეზიდა სოფლისა, წმინდა სულის ღვთა-  
ება კაცობრიული მართლმსაჯულებისა.

კარგა ხანს იდგა ასე უძრავად და, როდესაც გონს მოვიდა ზალბი და  
ნელი სტაცეს, თვალი აღაპყრო ზეცას, აღზნებული მხეცური სიხარუ-  
ლით, და შეჰღაღადა:

— გმადლობ შენ, წმინდაო მიხეილ! შენ მომანიჭე საჭირო ძალი,  
რომ შური მეძია ქალის სახელის, ჩემი შვილის სახელის გამტეხისა!

და რომ უთხრეს — ცოცხალია დონატო, აფთიაქში მიასვენეს სკამით,  
რომ ქრილობა შეუხვიონო. — საცოდავად ათრთოლდა, შემოლილივით  
აერია თვალი და შეშინებული ხმით წამოიძახა:

— არა, არა! მე მრწამს ღმერთი! უნდა მოკედეს ის საზიზღარი! ჩე-  
მი ხელი კარგადა გრძნობდა, რომ სასიკვდილოდ, მაგრა ვცემდი ცულს.  
მართლის მფარველია ღმერთი და არ აცოცხლებს მისგან განწირულს.

სასამართლოს წინაშე წარსდგება ამ ცოტახანში ეს დედაკაცი, და  
თქმაც არ უნდა, სასტიკად იქნება დასჯილი. მაგრამ, რა უნდა ასწავლოს  
ზალბს იმ კაცის საქციელმა, რომელსაც გულწრფელადა სწამს, — მე უფ-  
ლებსა მაქვს და ვალდებულება ჩემად დავსაჯო ჩემი შეურაცყოფელო?  
ხონ არ დარბილდება რკინა, როდესაც სჭედავენ!

მართლმსაჯულებას გამოაქვს დადგენილება:

— ეს კაცი დამნაშავეა.

და ის კაციც უპასუხებს — მო ან არაო, და ისევ რჩება შეუცვლე-  
ლად ყველაფერი, როგორც წინად იყო.

და, ბოლოს, მე მაინც ჩემსას ვიტყვი, პატივცემულო ბატონებო:

— ადამიანი იქ უნდა იზრდებოდეს და მრავლდებოდეს, სადაც შო-  
ბილა, გაზრდილა, სადაც იგი დედამიწას და დედაკაცს უყვარს.

## XI

სძინავს უსაზღვრო დუმლით მოცულ კუნძულს, სძინავს ზღვიასაც,  
თითქო მომკვდარიყოს, თითქო ვიღაცას მძლავრი ხელით ჩამოესროლოს  
შეციდან ეს შავი, უცნაური ნაკვთის ქვა და იმასაც სიცოცხლე მოეპო-  
ვოს ზღვაში.

შორიდან რომ უყურებდეს კაცი იმ კუნძულს, ზღვიდან, სადაც ირ-  
მისნახტომის ოქროს რკალი შეპხებია შავ წყალს; შემზღვანიერ მხეცად  
ეჩვენება კუნძული. ზევით ამოუფდია თავისი ბანჯგელიანი, ზურგი,  
უზარმაზარი სახით დასწაფებია ზღვას და გაჩუმებულ-გატრუნული სემს  
შიშით გაჩერებულ წყალს. დეკემბერში, ძალიან ხშირია ეს აკლდამებრ  
ჩოქი, შავი ღამე, იმდენად უცნაურად ჩემი და მიღუმებული, რომ ადამი-  
ანიც კი ჩემად ლაპარაკობს, ჩურჩულით, თითქოს ეშინოდეს, — ხმამალ-

ლივ რისიმე თქმა ხელს შეუშლის რაღაც მიუწდომელს, რომელიც საიდუმლოდ იზრდება ქვიურ წყვედიადში ღამის ცის ლურჯ ხედიდან ქვეშ.

და ასე ჩუმი ხმით ლაპარაკობს ორი კაცი, ზღვის პირად ქვის ნამტვრევზე. ერთი საბაეოს ჯარისკაცია ყვითელი არშიით მორთული შავი ტანისამოსით და მოკლე თოფით; დარაჯობს, რომ გლეხკაცებმა და მეთევზეებმა არ წაიღონ კლდის ნაპრალებში დაღეკილი მარლი. მეორე მეთევზეა, ბებერი, თავბირგაპარსული, თითქო ესპანელი იყვეს, შაგვრემანი, და დიდ ცხვირა-თუთიყუშავეთ აქვს ცხვირი მოკაკული.

ჯარისკაცი ყმაწვილი ბიჭია და იმას ვაიძახის, რასაც მისი ხნიერებასიყმაწვილე შთააგონებს. ბებერი უგულოდ აძლევს პასუხს და ხანდახან უკმეხბადაც.

— ეის გაუგონია დეკემბერში სიყვარული? ამ დროს უკვე ბავშვი იბადება.

— სიყმაწვილემ ლოდინი არ იცის...

— უნდა ისწავლოს, უნდა ელოდოს...

— შერე, შენ კი ელოდი?

— მე, ძმავ, ჯარისკაცად არა ვყოფილვარ, მუშა ვიყავ და ყველაფერი ვიგემე, რაც უნდა მეგემა, თავის დროზე სულყველაფერი.

— ვერ გავიგე...

— შერე გაიგებ...

— რატომ არა ვძინავს?

გახუნებული წამოსასხამი გადაწია მოხუცებულმა, სიძველისაგან ფერდაკარგული, და უპასუხა ხველით:

— აქ ბაღე გვაქვს. აგერ ტივტივა.

— ჰოო!

— ამ სამი დღის წინად მოგლეჯილი და გაწეწილი დახვდა ერთ ამბანაგობას თავისი ბაღე.

— ზღვის ღორები იჭნებოდნენ.

— ზამთარში? რასაკვირველია, არა. იჭნებ ზევიგენი იყო... ვინ იცის? ამ დროს ნადირის ფეხმა შეანძრია პატარა ქვა, მოწყდა, ძირს ჩამოგორდა, ააშრიალა გამხმარი ბალახი და ქვაპანი მოიღო წყალში. ეს ხანმოკლე ახმაურებაც კი სიამოვნებით მიიღო მიჩუმებულმა ღამემ, თითქო იამა ეს წამიერი ნიშანი სიციცხლისა და ცდილობს მის დამზობასო.

ჯარისკაცმა ჩუმხმით სიმღერა დაიწყო, სიბერის დაცინვა:

რად გაუტოა ბებერს ძილი?

აბა, ვინ გამოაცნობს?

იმიტომ, რომ სიყმაწვილით

ბერს სეამდა წითელ ღვინოს

— ეგ ჩემზე არ არის ნათქვამი, — უთხრა ბუზლუნით შეთევვემ.

რად გაუკრთა ბებერს ძილი?  
ვინც ბიჭია, მიხედება!  
იმიტომ, რომ გოგოებით  
უნდა და ვეღარ ტყებდა.

— კარგი სიმღერაა, არა ბიძია ბაშკალე?

— შენ ბითონ გაიგებ, როდესაც სამოცი წლისა გახდები... მე რას შკითხავ?

გაჩუმდნენ ორივენი და კარგა ხანს აღარაფრით დაარღვიეს ღამით დამუნჯებული ქვეყნიერების დუმილია. იერე მოხუცებულმა ჩიბუხი ქვაზე გამობერტყა და უთხრა:

ძალიან იცით დაცინვა შენი ხნის ბიჭებმა, და ის კი არ ვიცი, თქვენც იცით, თუ არა, ისეთი სიყვარული, როგორც უწინ ვიცოდით...

— მერე მაგას რა ცოდნა უნდა? მე მგონია, ყოველთვის ერთგვარად უყვარს კაცს...

— გგონია? ცოდნა არის საჭირო! აგერ, მთის გადაღმა ერთი ოჯახი ცხოვრობს, სენცამანე. აბა ჰკითხე მათ პაპის, კარლოს ამბავი, ძალიან სასარგებლო იქნება შენი ცოლისთვის.

— იმ სიშორედ წასვლას და უცნობის შეწუხებას, ის არა სჯობია შენ მიახმო?

შორს საღლაც უჩინრად მიფრინავს ღამის ფრინველი, ჰაერში უცნაური შრიალი ისმის, თითქო შლით საჩქაროდ სწმენდავდნენ მშრალ ქვებს.

უფრო შავად ედება ქვეყანას სიბნელე, ნესტიანად, თბილად, და ზევით იწევენ და უფრო და უფრო მეტად კაშკაშებენ ირმისნახტომის ვერცხლის ღრუბლებში ვარსკვლავები.

— უწინდელ დროში მეტად აფასებდნენ ქალს...

— ვითომ? არ გამიგონია!

— უფრო ხშირი იყო ომი და ბრძოლა...

— მრავლად რჩებოდა დაქვრივებული ქალი...

— ეს ყაჩაღებით, ეს მეკობრეებით, ეს ჯარისკაცებით და ისე ხშირად იცვლებოდნენ ნეაპოლის მმართველები, რომ არეულობის მეტს არასა სძენდნენ ხალხს. ციხე-სიმაგრეში უნდა ჰყოლოდათ ჩაკეტილი ქალები.

— ეგ ეხლაც კარგი იქნებოდა!

— ისე იტაცებდნენ, როგორც ქათმებს...

— თუმცა მელას უფრო ჰგვანან.

გაჩუმდა მოხუცებული, ჩიბუხს მოუკიდა და უძრავ ჰაერში დააყენა თეთრი ღრუბელი ტყბილი კომლისა. პრილებდა ჩიბუხში თამბაქო და შუქსა სცემდა ჩაშავებულ ცხვირს და მოკლედ შეკრეკილ უღვაშს.

— მერე? — ჰკითხა მძინარე ხმით ჯარისკაცმა: შ. მ. ზ. ლ. ი. მ. ე.

— თუ მისძენ, ჩემად უნდა იყვე.

იმისთანა ძაბვითა თრთის სირიუსი, თითქო ცდლობს ამაყი — ჩააბნელოს სხვა ვარსკვლავების ბრწყინება. ზღვის ოქროს მტვერად ედება ციური სინათლე და ეს თითქმის შეუმჩნეველი ანარეკლი ცისა ცოტად მაინც ახალისებს შავ მიჩუმებულ უდაბურს თავისი მკრთალი ლანდურსხვივით. ციდან კი არა, გვეგონებათ ზღვის სიღრმიდან იყურება ცისკენ უთვალავი სიმრავლე ფოსფორივით მბრწყინავი თვალისაო.

— გისძენ, — მოუთმენლად მიმართა ჯარისკაცმა და მათ დაარღვიანაწყენი თევზური დუძილი მოხუცებულისა. ჩემი ხმით, აუჩქარებლად მოჰყვა შეთევზე ერთ ამბავს, რომელსაც ყველანი და ყოველთვის მოისმენენ ყურადღებით.

— ამ ასი წლის წინად, ამ მთაზე, ხშირი ფიქვენარი რომ მოჩანს. ბერძნები ცხოვრობდნენ; გვირად ეკელანი. კუზიანი ბებერი კაცი იყო, ჯადოსანი და კონტრაბანდის მზიდავი. ერთი შვილი ჰყავდა, არისტიდო, მონადირე: მაშინ ჯერ კიდევ იყო კუნძულზე მშველი. იმ ხანად ჩვენს კუნძულზე ყველაზე მდიდრად ითვლებოდა გალიარდი. კარგი გავეთებული ოჯახი ჰქონდა. დღეს გვარი შეცვლილი აქვთ, პაპის მეტასახელით იცნობს ქვეყანა, სენცამენე-უხელური. იმათ ეკუთვნოდა ვენახების ნახევარი. რვა მარანი ჰქონდათ და ათასზე მეტი კასრი. მაშინ ჩვენი ფთორი ლეინო საფრანგეთშიც კი კარგად ფასობდა, სადაც, როგორც მე გამოგონია, არაფრის დაფასება არ იციან, ვარდა ლეინისა. სულ ბანქოს მოთამაშენი და ლოთები არიან ეს ფრანგები. ასე გასაჩნვე, თავიანთი მეფეც კი ბანქოს თამაშში მოუფო სატანამ.

გაეცინა ჯარისკაცს და, თითქო ბანს აძლევს იმის სიცილსაო, სადაც ახლო შესხაბუნდა წყალი. ორივეს ყურადღება მიიპყრო ამ პატარა ხმაურობამ — ზღვას შესცქეროდნენ სულგანაბულნი.

— ქარიყლაპია იქნება, აქ მაინც ვიშოვო რამეო.

— მერე, მერე?

— ჰო, გალიარდი. სამნი ძმანი იყვნენ, ჩემი ამბავი შუათანას შეეხება. კარლონეს. მეტად დიდი პირი თურმე ჰქონდა და საშინელი დიდი ხმა. ერთი ღარიბი გოგო ამოირჩია თავის გულისად, ჯულია, მჭედლის ქალი, ძალიან ჰკვიანი, რადგან ახოვანს და ლონიერს ჰკუა ნაკლებად აქვს. რაღაც იყო, ხელს უშლიდა, ვერ დაქორწილებულიყვნენ და იტანჯებოდნენ ორივე ქორწილის მოლოდინში. ბერძნის შვილსაც თვალი ეჭირა ამ გოგოზე, იმასაც მოსწონდა ჟულია. ძალიან ბევრს ეცადა მოსწონებოდა, შეჰყვარებოდა გოგოს, მაგრამ ვერა გააწყო რა და გადასწყვიტა — უნდა შევარცხენო, სახელი გაუტეხო ჟულიას... კარლონე გალიარდი ნაძრას არ შეერთავს და მე დამრჩება, სხვა გზა რომ აღარ იქნებაო. მაშინ უფრო სასტიკად იტყუოდნენ, ვიდრე ეხლა...

— დღესაც...

— გარყვნილება მდიდრების ხელობაა, ჩვენ კი აქ სულ მდიდრები ვართ, — მკაცრად შეაწყვეტინა მოხუცებულმა და განავრძო თავისი ამბავი, წარსულის გახსენებით.

— ერთხელ ვენახში იყო ჯულია და წალამს აგროვებდა. იმ ბერძნის შვილი, ვითომ ფეხი წაუსხლტაო, ჩამოგორდა. ბილიკიდან, რომელიც მჭედლის ვენახის ღობის ზემოდან იყო, და ფეხქვეშ ჩაუვარდა საწყალო გოგოს. ისიც, როგორც ვულკეილი ქრისტიანი, დაიხარა ჩამოგორებულისკენ, რომ ენახა — მოტეხილი ხომ არა ჰქონდ-რა. ის კი კენესოდა, ის, ბერძენი, და ეხვეწებოდა:

— ჯულია, არავის დაუძახო ჩემ საშველად. მეშინია. შენმა ეჭვიანმა საქმრომ რომ ერთად გვენახოს, ცოცხალი ველარ გადავჩები... მოიცა ცოტა შევისვენებ და წავალ.

თავი მუხლზე დაადო ქალს და ისე ევლო, როგორც ვულწასული, — განგებ, რაღა თქმა უნდა. იმას კი შეეშინდა საცოდავს. — ხელში არ შომიკვდეს ადამიანიო, — და ყვირილი დაიწყო. მაგრამ ხალხი რომ დაინახა ბერძენმა, ფეხზე წამოვარდა უცბად, სალი და უვნებელი, ოღონდ ვითომ სირცხვილით შეკედმილი, და ახლა მან მორთო ყვირილი: გაგიჟებით მიყვარს ეს ქალი... რაც მოგვივიდა, პატიოსანი განზრახვით მომივიდა... ქალზე ჯვარს დავიწერ და მით აღვადგენ მის სახელსაო. ისე მოაგვარა ყველაფერი, თითქო მეტად დამანცულიყო ჯულიას აღერსით და მის კალთაში ჩასძინებოდა. გულუბრყვილო ხალხმა დაიჯერა იმ შერცხვენელის სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვასა ფიცავდა ამ ცილისწამებით გაბრაზებული ქალი. აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ყვილისწამებით გაბრაზებული ქალი, აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ყვირილს არ დაიწყებდა თითონ ქალი, ისე რომ ყოფილიყო საქმე, როგორც ბერძენი ამბობდა. ჯერ არ იცოდნენ მაშინ, რომ ბერძენი ვერავგობა განხორციელებული. ბერძენს თვით ეშმაკი ნათლავს, რომ უფრო კარგად არის ქრისტიანების საქმეები. ფიცავს საბრალო გოგო — ტყუის. ცილსა მწამებსო. ის კი არწმუნებს ხალხს, რომ ეულიას სცხვენია, მართალი ვერ უთქვამს, და თავის დანიშნულისაც ეშინიაო. აჯობა ბერძენმა, დაარწმუნა ხალხი. გოგო-კი, თითქო ჭკუაზე შეშალაო, თავისას გაიძახოდა გაშმაგებული, ქვას წამოავლო ხელი და ისე მივარდა იმ უდიდებულსა და გაშმაგებულს, ქვას წამოავლო ხელი და ისე მივარდა იმ უდიდებულს. შეჭკრეს საწყალი ქალი და ქალაქისკენ წავიდნენ ყველანი. კარლონესაც მოესმა მისი ყვირილი, წინ გამოეგება, მაგრამ როდესაც უამბეს ბერძნის ნათქვამი, მუხლებზე დაეცა იმოდენა ხალხში. მერე წამოვარდა, მარცხენა ხელით სილა ჰკრა თავის დანიშნულს, მარჯვენა ხელით ბერძენს ახრჩობდა. ძლივს გაავადებინეს ხელიდან.

— სულელი ყოფილა. შენი კარლონე! — წაიბუტბუტა ჯარისკაცმა.

— გულშია პატიოსანი კაცის ჭკუა-გონება. ეს ამბავი, როგორც უკვე ვთქვი, ზამთარში მოხდა შობამდე, სულ რამდენიმე დღის წინად. დიდი

უქმეა ჩვენში შობა ქრისტესი და ამ დღესასწაულის აღსანიშნავად საჩუქარს უვზავნიან ჩვენები გაქირვებულთ ღვინოს, ხილს, თევზს, საკლავს, უხვად გასცემენ რაც მეტად მოეპოებათ და, საკვირველია ყველაზე მეტი შეუძლებელთ ერგებათ. ის აღარ მახსოვს საიდან და როგორ გაიგო კარლონემ სრული ქეშმარიტება თავის დანიშნულის თავდასავალისა, მაგრამ ვიცი, რომ გაიგო სრული სიმართლე, და შობა დღეს, როდესაც ქულისა მშობლები, სიბრძნით საყდარშიც კი არ წასულიყვნენ, ქულისა დედ-მამამ ერთად-ერთი საჩუქარი მიიღო: პატარა კალათი ფიჭვის ტოტებით და შიგ კარლონე გალიარდის მარცხენა ხელის მაჯა, მოჭრილი, — მაჯა იმ ხელისა, რომლითაც სილა გაარტყა ქულისა. გულგახეთქილები გაიქცნენ კარლონეს სანახავედ, დედა, მამა, ქულია. კარლონე თავის სახლის კართან დაუხვდათ დაჩოქილი. ხელი შეხვეული ჰქონდა სისხლიანი ტილოთი და უსუსური ბავშვივით ტიროდა.

— რა უყავ შენს ხელს, კარლონე?

— ის ვუყავ, რის ღირსიც იყო: ვინც შეურაცყოფს ჩემს სიყვარულს, ცოცხალი ვერ გადაშირჩება, და კიდევ მოვკალი მყრალი ბერძენი. ხელი, რომელსაც შეურაცყო მადონასავით წმინდა ჩემი დანიშნული, მარცხენელი იყო ჩემი და კიდევ მოვიჭერ! და ეხლა ერთსა ვთხოვ, ჩემო ჯულია, მაპატივეთ ეს შეცდომა, შენცა და შენმა მშობლებმაც...

იმათ, თქმაც არ უნდა, შეუნდეს და აპატიეს, მაგრამ არის კანონი რომელიც სულით ხორცამდე წამხდარს და ბიწიერსაც ესარჩლება. ბერძნის მოკვლისა გამო ორი წელიწადი იჯდა ციხეში გალიარდი და ძალიან ძვირად დაუჯდა ძმებს მისი საპატიმროდან გამოხსნა.

მერე შეირთო თავისი ჯულია, ტკბილად ცხოვრობდნენ ღრმა სიბერემდე და ახალი გვარი შექმნეს კუნძულზე. გვარი სენცამანე-უხელურისა.

გაათავა მეთევზემ და ჩიბუხი ჩაიდო პირში.

— არად ვარგა შენი ისტორია, — უთხრა ჩუმი ხმით ჯარისკაცმა, — ტყის ნადირი ყოფილა შენი კარლონე... დიდი სისულელე მოუვიდა!..

— ამ ასი წლის შემდეგ შენი ცხოვრებაც სისულელედ ეჩვენებათ, — უპასუხა შთაგონებით მოხუცებულმა, წეკოხ კომლი გამოუშვა პირიდან და დაუმატა: — თუ მოაგონდა ვისმე, რომ შენც ბრძანდებოდი ამ ქვეყნად...

რალაც ჭყაბუნი გაისმა დუმილში, ახლა უფრო ძლიერი და აჩქარებული. წამოვარდა მეთევზე, მოიშვლია წამოსასხამი და მიიმალა უცხად, თითქო ზღვამ ჩაყლაპაო: უკვე გაღვიძებოდა აქამდე მიძინებულ წყალს და პატარა ტალღით ეთამაშებოდა ნაპირს.



## XII

 ურკუნულნი  
 ზინზლირთეკა

მინდვრიდან ქალაქისაკენ მიდის ნელნელა ხავერდით მოსილი ღამე და ქალაქი ოქროს ცეცხლებით უხვდება სტუმარს. ორი ქალი და ყმაწვილი კაცი მიდიან ქალაქიდან, თითქო უნდათ, წინ დახედნენ ღამეს, და უკან მისდევთ დღის შრომით დაღალული ცხოვრების ხმაურობა.

ნელა აბიჯებს სამი წვეილი ფეხი ჩაშავებულ ძველებურ გზის ფილაქანზე, რომელიც რომმა მოაკირწყვლინა თავის მრავალტომიან მონებს. თბილ სიმშვიდეში შთაგონებით და ალერსით სავსე ხმა გაისმა ქალისა:

- მკაცრად ნურავის მოექცევი...
- განა შევინიშნავს სადმე, დედა, ჩემი სიმკაცრე?
- მეტად ცხარედ იცი კამათი, შეილო.
- მეტად ცხარედ მიყვარს მართალი და იმიტომ.

ყმაწვილი კაცის მარცხნივ ქალი მიდის, ხის ფეხსაცმელის ბაკაბუკით მოკირწყლულ გზაზე და ცას შესცქერის თავაწეული: ზევით კაშკაშებს ერთი დიდი ვარსკვლავი და მის ქვემოდან — მოწითალო ზოლი დაისისა.

— სოციალისტებს ხშირად ამწყვედევნ ცოხეში, — ოხრავს დედა, დამშვიდებით ანუგეშებს შვილი:

— მაგასაც დაიშლიან. დარწმუნდებიან, რომ უსარგებლოა.

— კი, მაგრამ მანამ დარწმუნდებიან?

— არ არის და არც იქნება იმისთანა ძალა, რომ შეიძლოს ქვეყნის ნორჩი გულის ჩაკვლა.

— ეგა, შეილო, სასიმღერო ლექსის სიტყვებად უფრო გამოდგება.

— მილიონები მღერიან ამ სიტყვიან ლექსს და ცხოვრებაც უფრო და უფრო ყურადღებით ისმენს ამ სიმღერას. აი, თუნდა შენ. განა უწინაც ასე ალერსიფ და მოთმინებით მოისმენდი ჩემს სიტყვას ან პაოლოსას, როგორც დღეს ისმენ?

— მართალია, შეილო, მართალი, მაგრამ ხომ ჰხედავ, რა ძვირად დაგიჯდა გაფიცვა: იძულებული ხარ სხვაგან წახვიდე შენი ქალაქიდან.

— მეტად ვიწროა ორი კაცისთვის, პაოლო დარჩეს აქ. გაფიცვაში ხომ გაემარჯვეთ?

— გაიმარჯვეთ, — სიხარულით შესძახა ქალმა, — შენ და პაოლომ, — და ჩუმად იცინის.

ცოტა ხანი გაჩუმებულნი მიდიან სამნივე. წინ ბნელი ბორცვი მოჩანს, დანგრეული რაღაც შენობა, ზედ გადაშლილი აყვავებული ეკვალიპტით და რომ მიუახლოვდნენ ამ ხეს, თითქო შეირხა მისი ტოტები.

— აი, პაოლო! — შეჰყვირა ქალმა.

— ნანგრევებს ჩამოშორდა მაღალი შავი ნაკვთი და გზაზე დადგა.

— გულით დაინახე? — ჰკითხა ძმამ სიცილით.

წინიდან კი კითხვა მოესმათ:

— მიდიხარ?

— მივდივარ. აი, ჩვენები შენთვის მომინდვია. არა, მეტს ნულარ ვა-  
შომაცილებთ, საჭირო არ არის. ხუთი საათის გზა მაქვს რომამდე და,  
ხომ იცით, განზრახ მივდივარ ფეხით, რომ აზრები მოვიკრიბო გზაში.

გაჩერდნენ. მალალმალალმა ქუდი მოიხადა და უთხრა მწუხარებით:

— დედისა და შენი დისა ფიჭრი ნუ გექნება. დამშვიდებული იყავ.

— ვიცი. მაშ ნახვამდის, დედაჩემო!

დედა ქვითინებს, ჩუმადა კვენესის, მერე გაისმის სამი ტყბილი კოცნა  
და ვაჟკაცური ხმა:

— წადი, გენაცვალე, და კარგად დაისვენე! ისიც გეყოფა, რაც ამ  
დღეებში მწუხარება გამოიარე, წადი, კარგად იქნება სულყველაფერი.  
პაოლო ისეთივე შეილია შენი, როგორც მე. აბა, დაო...

ხელახლად ისმის ცხარი კოცნა და ქვებზე მშრალი შრიალი ფეხსაც-  
მელისა. მწუნავი დუმილი ღამისა ცხადყოფს ყოველ ბგერას, როგორც  
კარგი სარკე.

წყვილიადით მოცული ოთხი ნაკეთი მჭიდროდ არის შეერთებული და  
ველარ განშორებიან ერთმანეთს. ბოლოს შესძლეს, როგორც იყო. სამნი  
ნელი ნაბიჯით წამოვიდნენ ქალაქის სანათებისკენ. ერთი კი გაჩქარე-  
ბით წალმა განაგრძობს თავის გზას დასავლეთისკენ, სადაც უკვე გა-  
ქრა ბინდის, დაისი და მოწმენდილ ცაზე აკაშკაშდა, მრავალი ვარსკე-  
ლავი.

— მშვიდობით! — გაისმის ჩუმი, სევდიანი ხმა. შორიდანაც იგივე  
ისმის, მაგრამ ვაჟკაცური, გამამხნეველები:

— მშვიდობით! არ ინალვლოთ! მალე გნახეთ, ნუ გეშინიათ!

ბაკა-ბუკი გააქვს ზისფეხსაცმელს ქალისას. ახლა პაოლო ცდილობს  
ქალების გამხნეებას:

— ნუ სწუხართ, ქალბატონო ფილიმენა, საშიშა არა ვაქვს რა. მერ-  
წმუნეთ, იქაც არა უშავსრა. ჰკვიანი ბიჭია, კეთილი გულის პატრონი.  
იციის სხვის შეყვარება და თავსაც აყვარებს ყველას. ხალხის სიყვარული  
გახლავთ ის ციური ფრთა, რომელიც უსაზღვროდ ამალღებს ადამიანს.

უახლოვდებიან ქალაქს. უფრო და უფრო მეტად მოჩანს ქალაქის მა-  
ნათებელი სანათურების მკრთალი სინათლე და ნაპერწკალივით ბრჭყე-  
ნავს პაოლოს სიტყვა:

— კაცს რომ გულით სიტყვა მიაქვს, ქვეყნის შემაერთებელი, ყველ-  
გან ნახავს თავის თანამგრძობ ხალხს, ყველგან!

ქალაქის კედელს მიკვრია, მიწაზე ჩატუტებულა დაბალი, პატარა  
თეთრი რესტორანი და — მობრძანდით, მობრძანდითო — გასძახის მიმა-  
ვალთ თავისი კარის განათებული სარკმელებით. კართან სამ მაგიდას მისხ-

ლომიან და ხმაურობენ ამხანაგებო. ისმის კიტარის ხმა. ნურვალყოფიყენ  
კალებს ლითონის ხმა მანდოლინისა.

რომ მიუახლოვდნენ სამნი, მუსიკა ჩაჩუმდა, ხმაურობა მიწყდა, რამ-  
დენიმე კაცი წამოდგა.

— საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო! — მიესალმა პაოლო და ათამდე  
კაცის ხმა გაისმა, მეგობრული, გახარებული:

— გამარჯვება, პაოლო! აქეთ, ამხანაგო, აქეთ! პირი გაისველეო!

— არა, გმადლობთ.

ამოიოხრა დედამ და მიმართა პაოლოს:

— შენც ძალიან უყვარხარ ჩვენებს...

— ჩვენებსაო? მარტო ჩვენებს?

— რას იტყენ? უცხო კი არა ვაო ჩვენი ხალხისა, რომ ევა ვთქვა-

ყველას უყვარხართ ორივე, შენცა და ისიც.

პაოლომ ხელი დაუჭირა ქალს და დაუმატა:

— ყველას და.. კრდევე ერთსაც. არა?

-- პო, პო. — წამოიძახა მორცხვად ქალმა და თავი დალუნა.

დედას სიცილი წასკდა და აღტაცებით უთხრა:

— რა ბავშვები ხართ. ვისმენ თქვენსას, გიცქვრით და მეზრდება-

რწმენა:

— დიახ, თქვენ უკეთ იცხოვრებთ, ვიდრე ჩვენ ვცხოვრობდით!..

და სამივე ერთად შევიდნენ ქალაქის ვიწრო, დაკლავნილ ქუჩაში.

### XIII

შხაპუნა წვიმა მოდიოდა დილიდანვე, მაგრამ შუადღის მოახლოვე-  
ბისას, გამოიწურა ღრუბელი, გაუწვილილდა ბნელი გარსი. მრავალ მომ-  
კრო ნაფლეთად დაირღვა და ქარს გააყვა ზღვისკენ. იქ კი ხელახლად  
მკვრივად შეიკუმშა მტრედისფერ ღრუბლად და ჩრდილად დააწვა წვი-  
მით დამშვიდებულ ზღვას.

აღმოსავლეთისკენ — მობურული ცა, ბნელში თარეში ეღვისა, და  
კუნძულს კი თავს დასცქერის გაკაშკაშებული მთვარე.

შორიდან რომ შემოხედოთ კუნძულს, ზღვიდან, მდიდარ ტაძრად გე-  
ჩვენებათ, საზეიმოდ მომზადებულად: სუფთად, წმინდად გაბანილი. უხვად  
მორთული მრავალფეროვანი ყვავილებით. ყველგან ბრწყინავს მსხვი-  
ლი წვეთი წვიმისა — ბეტემენდად ეაზის მოყვითალო ფოთლებზე, ამე-  
თისტად გლიცინიის მტევნებზე, ლალებად გერანის სიწითლებზე და ზურ-  
მუხტად ყველგან ბალახზე. ბუჩქნარის ხშირ მწვანეზე, ხეების ფოთოლზე.

დამშვიდებულა ბუნება, როგორც ყოველთვის წვიმის შემდეგ. ძლიერ  
ისმის ქვებში და რბიანას, მაყვლის, სურნელოვან დაწეწილ ბალახდაფ-  
ნის ფესვებში ჩამალულ წყაროს კამაკამი. ქვემოთ რბილად იძვრის ზღვა-

შეთავას მალლა ცისკენ აუშვერია თავისი ოქროს ისტრუქციას, რომ ნელნელა დაიბერტყოს თავისი უცნაური ყვავილი.

მბრწყინავ მდელოს მწვანეზე გაჩაღებულა შეჯიბრება სოსანისფერ გლიცინიებისა, სისხლისფერ ყაყაჩოსი და ვარდებისა; ყვითელი ფარჩა რძიანის ყვავილებისა შერევია მიხაკის და იაკოსტას თალხ ხავერდს და ისე კაშკაშებს და ბრწყინავს იქაურობა, გვეგნებათ ვალობენ ყვავილები, როგორც ვიოლინი, ფლეიტა და ვნებიანი ვიოლონჩელი. ტენიანი ჰაერი სურნელოვანია და აღმზუნებელი, როგორც მაგარი ღვინო.

რუხი კლდე მოჩანს, გახეთქილი, დამსკდარი აფეთქებით, ნაპრალებში რკინის სუქან ეანგით დაფარული. კლდის ძირში, ნამტვრევ თეთრ და ყვითელ ქვებში, რომლებსაც მომთავო სუნი ასდის დინამიტისა, პურსა სკამს ოთხი მუშა, ოთხი კლდისმტვრევი მაგარი გლები, დასველებული ფარატინით და ტყავის ქალამნით. წინ უდგათ დიდი ჯამით მაგარი ხორცი რვაფერასი, კარტოფილით და პამიდორით ზეთში მოხრატული, და აუჩქარებლივ გემრიელად შეექცევიან; თან რიგრიგით ეწაფებიან წითელი ღვინის ბოთლს.

ორნი — გაპარსულნი — ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ძმები, იქნება ტყუპებიც იყვნენ. ერთი პატარა კაცია, ტანმოხრილი, ჩამომხმარა და თავისი მოუსვენარი მოძრაობით ბებერ ბუმბულგაცილილ ფრინველსა ჰგავს, მეორე მხარბეჭიანი კაცია, წვერიანი, ცხვირ-კეხიანი, შუახნისა, მაგრამ ძალიან შექალაჩავებული.

მოიტება პურის დიდი ლუქმა, ჯერ მით უღვაშები მოიწმინდა, ღვინით დასველებული, მერე პირში ჩაიღო და აუჩქარებლად დაუწყაო ღეჭვა.

— ზღაპარია, ტყუილია! მე საძრახი არა ჩამიდენია რა, — უთხრა ამხანაგებს.

წაბლისფერ თვალებს ჩამოჰფარება დიდრონი წარბი, და დაღონებით, დაცინვით შეჰყურებს ამხანაგებს. მძიმე, ხრინწიანი ხმა აქვს, სიტყვა-ზანტი და უგულო. ქუდი ბანჯგვლიანი, ავახაკური პირისახე, დიდრონი ხელები და მთელი მისი ტანისამოსი ლურჯი ფერისა გამტვერიანებულია კლდის თეთრი ფქვილით. — ეტყობა, ეს არის, კლდეს რომ ბურლითა ჰხვრიტავს დინამიტით ასაფეთქებლად.

გულმოდგინედ უსმენენ ამხანაგები, არ აწყვეტიანებენ სიტყვას, მაგრამ თვალეში შესცქერიან — ჰა, განაგრძეო.

ისიც უამბობს, თან ქალარა წარბს ათამაშებს.

— ჩვენს სოფელში დამე მოვიდა, თითქო ქურდი ყოფილიყო, ის კაცი. ანდრეა ვრასო — მისი სახელი და გვარი. მთხოვარვით იყო ჩაცმული. ქუდი წაღების ფერისა ეხურა, ქუჭყიან-ტურტლიანი, და წაღებით დაფლეთილი. ხარბი რამ იყო, ურცხვი და მკაცრი. შვიდი წლის შემ-

დღე ჩვენი სოფლის მოხუცებულები თავმდაბლად, მოწინებით უბდი-  
ნენ ქულს, — ის კი თავსაც ძლივს უკანტურებდა. ყველას იმეტი ექვსეული,  
ყველას ჩვენ ხეობაში.

გიორგი

— არის მაგისტანა კაციც, — სთქვა ჩამომხმარმა ოხვრით და თავის  
ქნევით.

მოამბემ დაცინვით გადაპხედა და ჰკითხა:

— შეგხვედრია?

ამანაც ხელი ჩაიჭნია ღიმილით. ცხვირკეზიანმა ღვინო დალია, თვალ-  
გაადევნა ცაში მფრინავ ქორს და სთქვა:

— ცამეტი წლისა ვიყავ და მოჯამაგირედ დავუდეგ. სახლს იშენებ-  
და და მე და კიდევ ერთ ბიჭს ქვა უნდა გვეზიდა შენობისთვის. სამაგ-  
ლოდ გვექცეოდა, უფრო უდიერად, ვიდრე თავის საქონელს, და ჩემმა  
ამხანაგმა, რომ უთხრა — შენ ვირი უფრო გებრალეხა, ვიდრე მეო, მკვა-  
ხედ მოუჭრა: — ვირი ჩემია, შენ ჩემი არა ხარ, რად უნდა მებრალე-  
ზოდო? — შიგ გულში მომხვედა ეს სიტყვა და მის შემდეგ დაკვირვებით  
შევყურებდი მის საქციელს. ერთობ ყველას თავხედურად და ურცხვად  
ეკიდებოდა, ყველას — მოხუცებულს, ქალს, არც დიდი გააჩნდა, არ  
პატარა, და რომ გაუბედავდნენ ხოლმე ჩვენი მოხუცებულები, პატივ-  
ცემული კაციები — ეგ არ გივარგაო, სიცილს დაიწყებდა ხოლმე და შიგ-  
პირში ახლიდა უკმეხად: — მე რომ ღარიბად ვიყავი, არავის შევბრა-  
ლებივარო. მეგობრებად მარტო მღვდლები ჰყავდა, კარაბინერები, პო-  
ლიციელები. სხვას არავის ადამიანად არა სთვლიდა და, თუ ჰხედავდა  
სადმე ღარიბს, მარტო მაშინ, როდესაც გაუჭირდებოდა საწყალ კაცს  
და შეევედრებოდა — მიჭირს და მასესხეო. იმის ხელთ ვიყავით და ტყავს  
აძრობდა ქვეყანას.

— არის, არის, მაგისტანა უდიერი, — კიდევ წამოიძახა ჩამომხმარმა  
და თანაგრძნობით შეხედეს ამხანაგებმა. ერთმა გაპარსულმა ბოთლი მია-  
წოდა ღვინით. იმანაც ჩამოართვა, სხივზე შექლიმა წითელ ღვინოს და  
სთქვა: — წმინდა მადონამ ამოაგდოს ავი კაცი და მისი სახელი!

— და სულ ამას გაიძახოდა: — ღარიბი ყოველთვის მდიდრის სასარ-  
გებლოდ მუშაობდა, სულელი — ჰკვიანის სასარგებლოდ. ასე იყო, ასე  
არის და კვლავაც ასე იქნებაო.

გაეცინა მოამბეს. ბოთლი აიღო, მაგრამ ცარიელი იყო და იქვე მია-  
გლო ქვებზე, სადაც ჩაქუჩები ეყარა, წერაქვეები და ფერმქრალ გველივით  
გაქიმულიყო ბიკფორდის ბაწრის ნაჭერი.

— ყმაწვილი ბიჭები ვიყავით მეც და ჩემი ამხანაგებიც და ძალიან  
გვწყინდა ამისთანა სიტყვა: შიგ ძირში გვიკლავდა იმედს, ცხოვრების  
გაუმჯობესების სურვილს. ჰო, და ერთხელ, მე და ლუკანო, ჩემი ამხა-  
ნაგი, გზაში შევხვდით მინდორში, საღამო ეამი იყო, ცხენით მიბრძანდე-

ბოდა სადღაც შევაყენეთ და ძალიან ზრდილობიანად, მაგრამ მთავო-  
ნებით ვუთხარი: „გთხოვთ, ცოტა კეთილად მოექცეთ ხელსაყრელად“  
გაპარსულებმა ხარბარი დაიწყეს, ჩუმად ჩაიცინა ჩამომხმარებელი და  
მოამბემაც გულიანად ამოიხზრა.

— სისულელე მოგვივიდა, რაღა თქმა უნდა, მტკნარი სისულელე. მა-  
გრამ პატოსანია სიყმაწვილე. სიყმაწვილესა სწამს ძალა სიტყვისა. უფ-  
რო მეტს ვიტყვა: სიყმაწვილე სინიღისია მთელი სიცოცხლისა.

— მერე, მერე? იმან?...  
— იმან ძალიან შემოგვიტია: — გაუშვით ცხენი, თქვე ყაჩაღებო,  
თქვენაო! — ამოიღო დამბაჩა და ხან მე დამიმიზნებდა და ხან ლუკანოს.  
ჩვენც დავაშვიდეთ, ვუთხარი: — რა გაჯავრებთ, გრასო. ჩვენ არც ავა  
გვირგვინდა თქვენი, არც შეშინება, თუ გეუბნებით რასმე, თქვენ სასიკეთოდ  
გვირჩევთ.

— ყოჩაღ, ბიჭო! — წამოიძახა ერთმა გაპარსულმა. მეორემაც თავი  
დაიქნია ნიშნად თანხმობისა. ჩამომხმარებმა მკვრივად მოკუმა პირი და  
ქვეს დაუწყო სინჯვა თავისი მოღრეცილი თითებით.

— პურის ქამა გაათავეს. ერთმა წვრილი წნელი აიღო და ბალახის  
ფოთლებს წაქკრა, დიღანდელ ნამს აშორებდა, მეორეს პწკარი შეედო  
პირში და კბილებს იჩიქნა. შრებოდა დედამიწა, მატულობდა სიციხე-  
სწრაფად ქრებოდა ჩრდილი შუადღისა. ჩუმად იძვროდა ზღვა. ნელა  
მიმიდინარეობდა გრასოს აშშავეი.

— ამან დალუპა ჩემი მეგობარი: ლუკინოს მამას და ბიძას ვალი ედოთ  
იმ სულწაწყმენდილისა და ბედი აწყველინა ორთავეს. ჩამომხმა საწყალა  
ლუკინო. ხმას აღარ იღებდა და თვალი... ის თვალი აღარა ჰქონდა, გო-  
გობს რომ მოსწონდათ. — უპ, ჩვენ თითონვე წაიხდინეთ ჩვენი საქ-  
მეო, — შემომჩვილა ერთხელ, — სიტყვა ვერას გიშველის, თუ მეგელს შე-  
ხვდი ტყეშიო. იმისთანა მწუხარებით მითხრა და აღშფოთებით, რომ მა-  
შინვე ვიფიქრე. — ლუკინო მოჰკლავს მეთქი. მეტრალეობდა მისი პატი-  
ოსანი ოჯახი. მე კი მარტოხელა ბიჭი ვიყავ, საწყალი კაცი. ის იყო  
პიიცივალა დედაჩემი...

ულვაში გაისწორა და წვერი კირიანი თეთრი ხელებით; მარცხენა ხე-  
ლის სალოკ თითზე ვერცხლის ბეჭედი უბრწყინავდა, დიდი, მძიმე ბე-  
ჭედი.

— ძალიან სიკეთეს ეუზამდი ხალხს, რომ მცოდნოდა და შემძლე-  
ბოდა საქმის ხეირიანად მოგვარება და ბოლომდე მიყვანა, მაგრამ მეტად  
ჩილი გულის პატრონი ვარ! ერთხელ ქუჩაში შემხვდა გრასო. მეც თან  
გაგვივი და ლაპარაკი დაეუწყა, თავდაბლოდ. წანარად: „მეტის მეტად  
ხარბი კაცი ხართ, ბატონო, და ავი. საქმე გაუჭირეთ ხალხს, თავბედს  
იწყველის დიდი და პატარა. შეიძლება ხელე წაქკრაო ვისმე, იმანაც და-  
ნა იშიშვლოს და... თქვენ სასიკეთოდ მოუახსენებო. წადით აქედან, მო-

„შორდით ამ ხალხს“. „რა სულელი ყოფილხარ, ბიჭო!“ — შემომიტრიალებდა. მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი. მერე სიცილი წასკდა და მკითხა: „რამდენი მოგცე, რომ თავი დამანებო? ერთი ლირა გეყვარება? ან ოც? ან მეწყინა, მაგრამ თავი შევიკავე. „მოგვშორდით, მეთქი, გუუბნებით.“ მხარდამხარ მოვედიოდით, მე მარჯვნივ ვუდგე, ჩემდა შეუშინველად ამოიღო დანა და ჩამკრა. მარცხენა ხელით ბევრს ვერას იზამს ადამიანი, ოდნავ გამიჭრა მკერდი, წაეპტყე, წიხლი ჩავკარ გულში, როგორც ლორს. „არც ახლა წახვალ, არც ახლა წახვალ, შე ლორო, შენა?“ ვეუბნებოდი მე.

უნდობლად შეხედეს გაპარსულებმა მოამბეს და თვალი აარიდეს. ჩამომხმარი დაკუზულიყო და ქალამნის ბაწარს იკრავდა.

— მეორე დღეს, ჯერ ისევ მეძინა, რომ კარაბინერები დამადგნენ თავზე და მამასახლისთან წამიყვანეს, გრასოს ნათლიმამასთან. იმან პირდაპირ მითხრა: „პატიოსანი ბიჭი ხარ, ჩირო, და, არა მგონია, უარი სთქვა, რომ წუბელის მოკვლას უქალდი გრასოს.“ ბევრი ვიძახე, — არა მეთქი, მაგრამ რას გავაგონებდი? ორი თვე ვიყავე ციხეში, სანამ სასამართლო გაარჩევდა ამ საქმეს და მერე ერთი წლით და რვა თვით დაპატიმრება ვადამიწყვიტეს. „ძალიან კარგი, — მიემართე მსაჯულებს, — მაგრამ მე ეს საქმე გათავებულად არ მიმჩნია-მეთქი“.

ქვებიდან ღვინით სავსე ბოთლი ამოიღო, მოიწაფა და კარგა ხანს ყლაპა. ხარბად იძვროდა თმით მოსილი მისი ყანყრატო, წვერი აებურძგნა. სამი წყვილი თვალი ხმის ამოუღებელივ მკაცრად შესცქეროდა ბოთლს.

— ეჰ, მოსაწყენია ამისი თხრობა, — სთქვა მოამბემ და ამხანაგებს გადასცა ბოთლი, თან წვერს ისწორებდა.

— ჩვენ სოფელში რომ დავბრუნდი, ცხადად დავინახე, რომ მე იქ აღარ მედგომებოდა: ყველას ეშინოდა ჩემი. ლუკინომ მიამბო, ამ ხნის განშავლობაში უფრო გაგვიჭირა საქმე გრასომ, ვიდრე წინადაო. ისე იყო დაღონებული უბედური, თავპირი ჩამოსტიროდა. „ძალიან კარგი“, ვთქვი ჩემ გულში და მივედი გრასოსთან. ძალიან შეეშინდა, რომ დამინახა. „აბა, მე დავბრუნდი, და ახლა შენ უნდა წახვიდე!“. ხელი სტაცა თოფს, მესროლა, მაგრამ საფანტით ყოფილიყო გატენილი ქედანისათვის და ფეხებში მომხედა, არც კი წავტყუულვარ. „კიდევ რომ მოგეკალ, — შეეყვირე, — სამარიდან ამოვძვრებოდი შენი ჯავრის ამოსაყრულად. მაღონას შეეფიცე, რომ გაგამეებ აქედან და კიდევ ავასრულებ ჩემ აღთქმას. თუ შენა ხარ კერპი, არც მე ვარ ნაკლები“. წავეჭიდენით ერთმანეთს და ხელი მოვტეხე ჩემდა უნებურად. არ მიხლოდა, მაგრამ პირველად ის მომეარდა გაცოფებული. ხალხი დაგვეხვია, დამიჭირეს. ახლა იქ ისე კარგად ველარ გადავრჩი, სამი წელიწადი და ცხრა თვე ვიყავი საპატიმროში. დადგა, როგორც იყო, დღე ჩემი განთავისუფლებისა. საპა-

ტიმროს უფროსმა კარგად იცოდა ჩემი ამბავი, ვუყვარდი და და-  
ლიან ცდილობდა ჩაეგონებინა ჩემთვის, რომ არ ევარგებს შინ დაბრუ-  
ნება. აპულიაში გადადი ჩემ სიძესთან, კარგი მამული აქვს, უნდა შე-  
ბიო, მიჩვევდა. მაგრამ დაწყებულ საქმეს თავს ხომ ვერ დავახებინდი?  
მედიოდი შინისკენ და სულ იმას ვფიქრობდი, ფრთხილად გყოფილი-  
ყავ, მეტი არა მეტქვა-რა. უკვე დავრწმუნდი, მაშინ, რომ ათიდან მარ-  
ტო ერთი სიტყვა იყო სათქმელი და ცხრა—ამაო და მეტი. გულში ერთად-  
ერთილა მედო—„მოშორდი!“ სწორედ კვირა დღეს მივედი ჩვენს სოფელ-  
ში, წირვა იდგა და მეც საყდარში შევედი. გრასოც იქა ბრძანდებოდა.  
დამინახა, წამოვიარდა და დაიწყო ღრიალი, — ჩემს მოსაკლავად მოვიდა  
ეს კაცი, მიშველეთ, ხალხო, ეშმაკისაგან არის გამოგზავნილი ჩემი სუ-  
ლის წასაწყმედათო. ჯერ ახლოც კი არ მივსულიყავი, რომ ხალხი შე-  
მომხეხია, ჯერ არც კი მეტქვა, რაც სათქმელი მქონდა. მაგრამ მე სა-  
ჭირო აღარც კი ვიყავი; ფილაქანზე დაეცა უცბად, წვეთი მოერიდა, და-  
უღამბლავა მთელი მარჯვენა მხარე და ენა და შვიდი კვირის შემდეგ  
თქვენი ქირიც წაიღო... აი, როგორ იყო საქმე. ხალხმა კი რალაცა ზღა-  
პარი შექმნა ჩემს შესახებ, საზარელი, მაგრამ ტყუილი, თავით-ბოლომ-  
დე ტყუილი.

ჩაიჯინა, მზეს შეპხედა და სთქვა:

— აბა დავიწყოთ!

ჩუმად, ნელნელა წამოდგნენ მისი მსმენელები. თითონაც აღგა, დაა-  
ცქერდა კლდის ნაპრალს და გაიმეორა:

— ახლა ჩვენს საქმეს შეუდგეთ!

შორს პორიზონტზე ზღვაზე დაეშვა ღრუბელი და უფრო დამშვიდ-  
და და დაწნდა წყალი.

თარ. ი. მაჭავარიანისა.





პატრი სანსონიძე

## სალი თვალით

(ნარკვევით)

მწერნი

გინახავთ ალბათ ეწერი — ფართო, ვრცელი, თვალუწვედნო, ჯაგებით და ძიგვებით მოფენილი. ალაგ ქაობებიანი — დამპალი უემურიტ, ხროკი — გვიმრით და ქაცვია ბალახით შემოსილი. ბერწი ნიადაგი მხოლოდ გვიმრისა, აწლისა და გაუვალი ეკლიანი ბიძგვისთვის იყო თითქოს გაჩენილი.

ხეატა მზის სიცხე კიდევ უფრო მეტ უდაბურობას აძლევდა ვეება ეწერს. სკდებოდა მიწა და ყოველ ნაბიჯზე გაჩენილ ნარვალეებში დასრიალებდნენ უწბილოები.

უწბილო ანჩხლი, შხამიანი. მგზავრი შუადღეს პაპანაქება სიცხეში დიდი სიბრთხილით და სახრით შეიარაღებული თუ გაბედავდა ამ უდაბნოს საცალფეხო გზით სადმე წასვლას.

ჰქროდა ქარი...

ზუზუნებდა იმერეთის ცხელი, სასტიკი ზენაქარი და აფორიაქებული ეწერიც ეხვევოდა ცხელი მტერის ბუჭა და კორიანტელში.

შრებოდა ოლოები და მათ დამსკდარ ყვითელ ფსკერზე, ვერში და ლაქაშებში დალოდადნენ ქუები, დასრიალებდნენ უწბილოები და დღისით და ღამით გულის გასაწყალეებლად ყოყინებდნენ ბაყაყები.

ხანგამოშვებით გაისმოდა ამათუიმ ბაყაყის გააფთარებული ძალმიღებული ყოინი — ეს გველს ენადირა ბაყაყზე, ჩაეგდო პირში გადასაყლაპად.

ქვეწარმავალთ თავს დასტრიალებდნენ ნაირი მწერები და მათ შორის იყო გველმწვემსია. არ ვიცი, მართლა მწყემსავდა გველს ეს მწერი თუ არა, მაგრამ ეს კია, რომ ხშირად ბავშვობისას, როცა მას დაჟინახავდით, იქ უთუოდ გველიც შეგვებდებოდა, და ჩვენც წინდაწინ ვეშხადებოდით უწბილოსთან შესაბრძოლებლად.

ღამით ეწერი მგლების სათარეშო მოედნად იყო გადაქცეული და ვაი იმ ძროხას ან სხვა შინაურ პირუტყვს, თუ მას გზა-დაბნულს ეწერში მო-



მამული დაიყო უბნებად. ყველა უბანში გაჩნდა შენობები: კინო-რეზი, საცხოვრებელი სახლები და ფარდულები, საექიმო პუნქტები, კსენონები, სკოლები, კლუბები, საბავშვო ბაგები და სხვა. ამათგან

ზონიდან მეურნეობამდის მუდამ ტალახიანი, ოღრო-ჩოღრო, ძნელად გასაველელი გზა გადაიქცა მშვენიერ გზატკეცილად. მშვენიერი გზატკეცილებითვე დაუკავშირდნენ ერთმანეთს ორი-სამი კილომეტრით ურთიერთს დაშორებული უბნები.

1932 — 33 წლებში გრძელდება გაათრებული ბრძოლა ეწრის უდაბურ მიდამოებთან. ამ წლებში დაითესა 300 ჰექტარი. სულ ორი წლის განმავლობაში დაითესა 430 ჰექტარამდის. პირველი კრება ჩატარებული იქნა 1934 წელს. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რისთვისაც რესპუბლიკის ჩაის მეურნეობათა შეჯიბრებაში ხსენებულმა მამულმა მეორე ჯილდო მოიღო.

ჩაის კრეფის გეგმა 1935 წელსაც ვადაზე აღრე შესრულდა.

დილაა...

ავტოს სირენის ხმა მღვიძებს.

მივდივართ მეურნეობის გასაცნობად.

ზონიდან ეწრამდის მუდამ ტალახიან და ოღრო-ჩოღრო გზის მაგიერ, ახლა გაყვანილ ხელისგულივით სწორ გზატკეცილზედ მიჰქრის ავტო.

გაცვილდით ქალაქს.

გაცვილდით ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე სოფლებს.

ვუახლოვდებით მდინარე კუხას.

აქ იწყება ყოფილი ეწრის ტერიტორია...

მაგრამ სად არის ის ძველი, ჩემი ბავშობის დროიდან ნაცნობი ტყე-ჩიგვარები, ძიგვარები, ლაქაშები, ოლოები, სადაც მე ბავშობის დროს ვწყემსაედი ძროხებს, ვზოცდი გველებს. ვთამაშობდი კენჭაობიას; ან დილიდან საღამომდის ვბანაობდი მდინარე კუხის ვალზე გუბეში, ან კიდევ ღვილოებში ვიჭერდი კობოებსა და თევზებს?! ოდესღაც იყო ეს ჩემი ძველი ნაცნობი ადგილები, ეხლა კი გამქრალა, ეხლა მათ ნაცვლად ყველგან სიმწვანეა.

მიჰქრის ავტო.

ვუახლოვდებით ზემო-კუხს. აქაც ვეძებ ნაცნობ ადგილებს. მაგრამ სად არიან ისინი? გამქრალან, იყვნენ და აღარ არიან.

ეწრის ყოველ კუთხეში, ყოველ ადგილას ადამიანი დადის, მოძრაობს მუშაობს, ძიგვა-ჯაგვარებისა და ხრიო-გორაკების ყვითელ აყალოს ნაცვლად ყველგან სიმწვანეა: ჩაის პლანტაციები, ტუნგოს პლანტაციები, ბამბუკისა, და იაპონური ხურმის პლანტაციები...

ავტომ გადასერა ყოფილი ეწერი, ამჟამად ოაზისად ქცეული. ჩვენ, თვალწინ გადაიშალა პატარა ქალაქი.

ეს არის მეურნეობის მეორე და მთავარი უბანი. აქაა აგებული მეურნეობის მთავარი კანტორა, მეურნეობის ხელმძღვანელები, ამხანაგების საცხოვრებელი დიდი ორსართულიანი აგურის სახლი, მჭიდროდ შეწყობილი ფარდულები, ქსენონი, საბავშვო ბაგა და სხვა შენობები.

ამ პატარა ქალაქისთვის გაუშენებიათ ლამაზ-ზეინიანი საკუთარი პატარა პარკიც, სავესე სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარეებით და ყვავილებით.

შევედივართ მეურნეობის დირექტორის ამხ. მაკარ ბედიას კაბინეტში. ამხ. მაკარი სიხარულით და საყვედურით გვხვდება:

— რა დაგეშართათ, კაცო... ამდენი რამ შენდება, კეთდება, თქვენ მწერლები კი, იმის ნაცვლად, რომ დაათვალიეროთ, შეისწავლოთ, ასწეროთ, თუ როგორაა აღტყინებით და ენერგიით სცვლიან ბოლშევიკები საქართველოს ეკონომიურ რუქას, ტფილისში განაგრძობთ ქუჩების ტყეპნას.

საყვედური სამართლიანია:

გამოირკვა, რომ ამ ოაზისად ქცეულ ყოფილ უდაბნოში ჯერ არც ერთი მწერალი არ ყოფილა და, მაშასადამე, მის შესახებ ჯერ არც ერთი სტრიქონი არ დაწერილა არსად. ეს საყვედური მით უფრო სამართლიანი იყო ჩემს მომართ, რადგან ადგილობრივმა ამხანაგებმა იციან, რომ მე აქაური ვარ, ბავშობისას ამ ხრიოკ ველმინდვრებში ნათამაშები. რა თქმა უნდა, მაკარის წინაშე თავის გამართლება უხერხულად ჩავთვალე.

### პლანტაციებია თუ ბაღები?

მაგრამ სადაა პლანტაციები? ყველგან მხოლოდ ტყეებია თუ ბაღები — სხვა არაფერი. სადაა პლანტაციები?! — განცვიფრებით ვეკითხები ჩემს ჩიჩერონეს.

— ნუ ჩქარობთ, — მიპასუხებს აგრონომი ე. მაქარაძე, — ცოტა კიდევ და პლანტაციებშიც შევალთ.

მართლაც, სამასი მეტრიც არ გვქონდა გაილილი, რომ შევედით იმ ბაღებში, რომლებიც მე შორიდან ტყე მეგონა, ნამდვილად კი პლანტაციები აღმოჩნდა.

— ამ უბანში, ხომ ხედავთ, ვაკეა, — მიხსნის ვალიკო, — მაშასადამე, სხვა მთავორაკებიანი უბნების სატრანშეო სისტემისაგან განსხვავებით, აქ სამეტეანზაციო სისტემა შემოვიღეთ. ეს იმიტომ, რომ აქ ძლიერი ქარი იცის, და ქარმა რომ ჩაის ბუჩქებს ზიანი არ მიაყენოს, ყოველ ათ მეტრზე თავიდან ბოლომდის, როგორც ხედავთ, ჩამწკრივებული გვაქვს აბრეშუმის აკაციის ე. წ. ქარსაფარები.

მართლაც რა ლამაზია ეს პლანტაცია, რომელიც კაცს უფრო მეტად  
რალო ტყე ეგონება!

ფხვიერ, მშვენიერად, მოვლილ და გასუფთავებულ მიწის თვალუწვდენ  
ნაკვეთებზე გაფურჩქნილან ჩაის საუცხოოდ ნახარი ბუჩქთა ზოლები.  
რომლებსაც ყოველ ათ-თხუთმეტ მეტრზე მისდევს ღრენაეები და აბრე-  
შუმის აკაციის მწკრივები. (ღრენაეები იმისთვის, რომ წვიმის დროს  
ნიაღვარი ჩაიწრიტოს შიგ, ხოლო აბრეშუმის აკაციები იმისთვის, რომ  
ჩაის სათუთი და ნორჩი ბუჩქები დაცულ იქნას იმერეთის მეტად ცხელ  
და სასტიკ ზენაქარისაგან.

პლანტაციებს შესევინ მკრეფაეი ქალები.

გვინდა ვესაუბროთ მათ, მაგრამ ეხლა საამისო დრო არ არის. მათი  
თვალერი თ. თქოს გვიპასუხებდენ:

— „ხომ ხედავთ, რა ვახურებულ მუშაობაში ვართ გართული. ნო-  
რმები გვაქვს შესარულეებელი. მუშაობის გათაეების შემდეგ კი, ბატონი  
ბრძანდებით, რამდენიც გსურთ, იმდენი ვიმასლაათო.“

ჩვენც არ ვუშლით ხელს.

გვესმის რკინის დევის გუგუნვი. მიედივართ მასთან. ეს მუხლუხოვანი  
ჩელიაბინსკელია. მასზე მობმული ორი კულტივატორი, მეურნეობის მე-  
ქანიკოს ამხ. ვაქარაძის მიერ გაუმჯობესებული და სპეციალურად ჩაი  
გასათოხნად მორგებული, ერთ გატარებაზე პლანტაციის ორ სვრელს  
თოხნის.

ამ უბნის პლანტაციების გარშემო, რომელთა სიგრძე-სიგანე რამო-  
დენიმე კილომეტრი იქნება, შემოვლებულია ე. წ. ცოცხალი ღობე, რო-  
მელიც ტრიფოლიატისა და გლედიჩისაგან შესდგება. ეს კიდეც ცოტაა:  
პლანტაციის გარშემო ვხედებით შესანიშნავად გახარებულ სუბტროპიკულ  
მცენარეებს: ტუიას, კრიპტომერიას, კიპარისებს და სხვას.

ხშირად ჩაის ზოლებში ვხედავთ რაღაც ბალახისებურს. ის ძალიან  
გვაკვირვებს, რადგან, რამდენადაც ვიცით, პლანტაციები თითქმის სავსე-  
ბით გაწმენდილია მანე ბალახისაგან.

— ეს მწვანე სასუქია, ე. წ. ლესპედიზა. საერთოდ პლანტაციებს ვა-  
სუქებთ გოგირდოვანი ამონიუმით, რომელსაც უხვად გვაწვდის ჩენი ქი-  
მიური მრეწველობა, მაგრამ საცდელად შემოვიღეთ აგრეთვე ლესპედიზა.  
ამ ბალახს ის თვისება აქვს, რომ მისი ფესვები მიწაში გამოჰყოფენ ისეთ  
ნივთიერებას, რომელიც ნიადაგს ასუქებს და ამნაირად ხელს უწყობს  
ჩაის გახარებას. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს ჯერ კიდევ ცდებია. თუ  
ცდები გამარჯვებით დაგვირგვინდა, შეიძლება მაშინ მთელი პლანტატი-  
ები ამ მწვანე სასუქის სისტემაზე გადავიყენოთ.

## ს ა ნ ე რ გ უ ლ ე

ცხელი ქარი ჰქრის.

ესე შთელი თავისი სიძლიერით გვახვევს თავის მცხუნვარე ალში.  
დაოსებულნი ვბრუნდებით უკან.

არა, უკან კი არ ვბრუნდებით, მივდივართ ე. წ. სანერგულესაკენ, რომელიც იმავე დროს საცდელ მინდვრის მოვალეობასაც ასრულებს. რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული ეს სანერგულე. რა სუბტროპიკული მცენარე გინდათ, რომ აქ არ იცდებოდეს: ტუნგო, მანდარინი, ტუია, იაპონური ხურმა, ბამბუკი, კრიპტომერიები, პალმები, კაპიჭი, აკაციები, კიპარისები და სხვა მრავალი.

ყველა ამ მცენარეს თითქოს მართლაც აქ თავისი ბაღდადი უნახავს. მაღლიანი მზისა, ჰავისა და ნიადაგის წყალობით, ყველას ისე გაუხარია, რომ დამთვალეირებელს ერთგვარ ალტაცებასა და აღფრთოვანებას ჰგვრის.

ამ სანერგულეებთან ვადააქვთ შემდეგ მეურნეობის ყველა უბანში სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარე პარკებისა და პლანტაციების დასამშვენებლად.

აქვე სანერგულეების მახლობლად არის ორანჟერიებიც, ესე იგი სხვადასხვა დეკორატიული ყვავილის სათბურები. აქ ზრდიან, ინახავენ, უვლიან ყვავილებს და შემდეგ მიაქვთ ისინი უბნების პატარა ქალაქების პარკების გასამშვენებლად თუ პლანტაციების თავისუფალი ადგილების გასალამაზებლად.

მრსიანს პატარა ტყე... ეს რა არის? ეს ბამბუკის ტყეა, შვიდ ჰექტარზე გაშენებული და მშვენიერად გახარებული.

მოსჩანს დაბალი, მზისუმზირას მსგავსი ყანა... ეს რაღაა? — ეს ტუნგოს პლანტაციაა, ექვს ჰექტარზე გაშენებული. დიდი ხანი არ არის, რაც ამ მცენარის გაშენებას შეუდგნენ შავი ზღვის ნაპირებზე და, ჰაა, დღეს ხონელებსაც „ოქროს ვერძივით“ გამოუტაცნიათ ეს მცენარე კოლხიდელებისათვის და აქ ყოფილ მწიორ, ხრიოკ და უდაბურ მიწაზე შეუქმნიათ მისთვის ყოველგვარი პარობა ზრდისა, გაფორქვენისა და აყვავებისათვის.

ვათვალეირებთ აგრეთვე ოთხ ჰექტარზე გაშენებულ იაპონური ხურმის პლანტაციას. მანდარინის პლანტაცია ჯერ ღარიბად გამოიციქირება: მისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი ჰექტარი დაუთმიათ, მაგრამ ის, გარემოება, რომ მანდარინი ასე მშვენიერად შეჰგუდება აქაურ ჰავას, საბუთს გვაძლევს ვიდიქროთ, რომ ახლობელი ორი-სამი წლის განმავლობაში იგი რამდენიმე ათეულ ჰექტარზე იჭნება გაშენებული.

ამ სანერგულეებიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით 38 ჰექტარზე გაჭიმულია სუბტროპიკული ტყის და აბრეშუმის აკაციის სანერგეები. მოკლედ: დღეს შავიზღვის სანაპიროზე არ არის ისეთი სუბტროპი-

კული მცენარე, რომელიც ყოფილი ეწრის ყოფილ უდაბურ ადგილებში არ ხარობდეს, არ ყვაოდეს და ეს სასწაული მომხდარა სულ უდაბურ-სადაბურ წლის განმავლობაში.

## ნამაზები

სალამოვდება...

მზე დასავლეთისაკენ ეშვება და შავიზღვის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ჩერდება.

უკანასკნელად აყრის მზე სიციხით გათანგულ მიდამოს თავის სხივთა ძნესი.

მივჭირთ ხელისგულივით სწორ და სუფთა საუბანთაშორისო გზატკეცილზე.

ცოტა კიდევ და ნამაშვეში ვართ.

ეს შიდამოებიც მგლების სათარეშო ყაბახად იყო გადაქცეული. მგელი იმდენად ბევრი იყო აქ, რომ მათი ღმუილი ახლო-მახლო სოფლებშიაც კი ისმოდა.

ამ გელებს წინად სანადიროდ წამოსული წულუკიძის ძაღლები თუ აახმაურებდნენ ხოლმე. ეხლაც არიან იმის ცოცხალი მოწმენი, რომ ამ მიუწვალ ტყე-მინდვრებში შევიღაც დაუჭერიათ, აგრეთვე გარეული ტახებიც.

ეხლა კი ყოველ მხრივ ჩაის მწვანე პლანტაციებია გადაჭიმული. თვალი ძლიერ წვდება ადამიანის ხელით ნალოლიავებ ჩაის სიმწვანეს. ეს უბანიც დავაყებაზეა გაშენებული. ჩაი დათესილია ე. წ. სამექანიზაციო სისტემით, მაგრამ ქარსაფარები (აბრეშუმის აკაციის ზოლები) ჯერ კიდევ არაა გაშენებული.

— მოშავალ წლიდან კი, — ამბობს ამხანაგი ვალიკო, — ეს გეგმაში გვაქვს შეტანილი. მეორე უბნის მსგავსად აქაც იქნება დარგული ქარსაფარები. სანერგეები, როგორც იცით, უკვე გვაქვს. მაშინ სილამაზით პირველი უბანიც ისეთი იქნება, როგორც მეორე უბანი, — ათავეებს ვალიკო ასსნა-განმარტებას.

ამხ. მაკარ ბედიას ფართო სინათლიანი კაბინეტი საესება ხალხით. ეს-ეს არის ამხანაგი მაკარი, რაიკომის სხდომის გათავებისა და ახლო-მახლო სოფლების შემოვლის შემდეგ, დაბრუნებულა მეურნეობაში და მას ჯერ არც კი დაუსვენია ზეირიანად, რომ გაუცია განკარგულება შეკრებილიყვენა ყველა უბნის აგრონომები, აგროტექნიკოსები და ბრიგადორები.

ამხ. მაკარი მხიარულად გეხვდება და, რადგან ჯერ კიდევ კრება არ დაწყებულა, მეკითხება: რა ქენით? სად იყავით დღეს? რა დაათვალიერეთ? როგორ მოგეწონათ? მეც შესაფერ პასუხს ვაძლეე.

ვამხნევ, რამდენიმე ათეული წყვილი თვალი ჩვენ შემოგვეცქერის. ყველას უნდა გაიგოს ის შთაბეჭდილება, რომელიც მე დღეს მრჩენს მშვენიერ ცნობ მათ ჩემს აზრსა და შეხედულებას მეურნეობაზე. შიშლინიძე

— ნაკლზე... ნაკლზე ილაპარაკეთ, — მაწყვეტინებს ამხ. მაკარი და განაგრძობს: თქვენ ამ თქვენ გამყოლს, — მითითებს ვალიკოზე, ყველაფერს ნუ დაუჯერებთ. მან შეიძლება ესა თუ ის ნაკლი დაგვიმალოთ, მაგრამ თქვენ უნდა ეცადოთ ნაზოთ ყველაფერი ის, რაც ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩვენი მუშაობის დადებით მხარედ ჩაითვალოს. იცოდეთ ამიო უფრო მეტს დაგვეხმარებით და უფრო მეტად შეგვიწყობთ ხელს, — ამბობს ამხ. მაკარი-ლიშილით.

ჯერ კიდევ სიტყვა არ დაესრულებია, რომ კაზი იღება და რამდენიმე ამჩანაგის თანხლებით კაბინეტში შემოდის პარტორგანიზატორი კობეშვიძე.

იწყება კრება.

საჭირო არ არის თათბირის დაწერილებით აღწერა. დავმაყოფილდეთ შემდეგით:

ხონის რაიკომის ბიუროს დადგენილებით, მეურნეობამ ახლო-მახლო კოლმეურნეობებიდან უნდა მიიღოს 500 მთონხელი მუშა, რაც საესეზით საკმაოა იმისთვის, რომ მეურნეობა წელს ერთხელ კიდევ (უკანასკნელად) გაითონხას ბალახისაგან. კოლმეურნეობები რომ მუშა ხელს გამოჰყოფენ, ამის იმედი არის, რადგან ამხ. მაკარს თვით დაუვლია დღეს ეს კოლექტივები, რომლებსაც სიტყვა მიუციათ, რომ ხვალისთვის საკმაო მუშა-ხელს მიაწოდებენ.

უნდა ითქვას, რომ ხონის ჩაის მეურნეობას მუშა-ხელი მუდამ აკლია. ის მუშები, რომლებიც დღეს მუდმივად არიან მიმავრებული მეურნეობაზე და იქვე ცხოვრობენ, სრულიად არ არის საკმაო, რომ, ჯერ ერთი, უკვე გაშენებულ პლანტაციებს მოუარონ და მეორე, რომ მეურნეობამ გვემის მიხედვით, განაგრძოს ახალი პლანტაციების გაშენება. ამიტომ მეურნეობას სისტემატიურად ესმარებიან მახლობლად მყოფი კოლმეურნეობები: ისინი საჭიროების დროს საკმაო მუშა-ხელს იძლევიან, მეურნეობის სამუშაოების შესასრულებლად.

კითხვა ისმება: რომელ უბანს რამდენი მუშა ხელი სჭირია, და უბნის უფროსი აგრონომებიც საითითაოდ დგებიან და მოითხოვენ იმდენ მუშას, რამდენიც, მათი გამოანგარიშებით, საჭირო იქნება ხვალისათვის იათეთიანთ უბნებში ყოველგვარი სახის სამუშაოს შესასრულებლად.

ამ საკითხის გათავების შემდეგ, ჯერი მიდგა ბრიგადებზე. ე. ი. როგორ უნდა გაინაწილონ ბრიგადებმა ურთიერთშორის მომავალი მუშა-ხელი. დგებიან ფეხზე აგროტექნიკოსები, ბრიგადირები, საუკეთესო დამკვრელები და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ დინჯად, საქმიანად, დამაჯერებლად.





ხედავ: მარტო მაკარი როდი ყოფილა აქ დირექტორი. კარა მკაცრი მაკარისებური სულით არის გაელენთილი. ასეთია აი ის გვერდისკენი აგროტექნიკოსიც, ბრიგადირიც, რომელნიც ასე დინჯად და ზუსტად ასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნებს, რომელთა ხმასა და ცეცხლისებურ სიტყვაში სჩანს, აშკარად სჩანს, უაღრესი ერთგულება და სიყვარული მეურნეობისადმი, აგრეთვე ის, რომ ისინი მთელი თავიანთი არსებით გადაქსოვილნი, გადადღებულნი არიან მეურნეობის საქმიანობაში.

აი, ეს შავტუხაბიკები, ეს აგრონომები, აგროტექნიკოსები, ბრიგადირები, ტროპიკული მზით და ცხელი ზენაქართ ოდნავ სახედამწვარი, გარუჯულნი, — ესენი არაან დღეს მეურნეობის თვალი და ყური...

დიდხანს არ გაგრძელებულა თათბირი. ორი საათი საკმაო ვახდა იმისათვის, რომ ყველა საკითხი ამოწურულიყო.

ჯერ კიდევ ათი საათვა და ამხანაგი მაკარი, სხდომის დახურვის შემდეგ, მოუწოდებს ყველას დაესწრონ მეურნეობის თვითმომქმედი წრის მიერ გამართულ საღამო-წარმოდგენას.

### ზარმაცი სენაზე.

ჯერ კიდევ არა აქვს მეურნეობას ისეთი კლუბი, როგორიც შეეფერება მას. მაგრამ იმედია, ახლო მომავალში ზონის ჩაის მეურნეობას დამშვენებს ერთი ახალი შენობა კიდევ, რომელიც თავისი არქიტექტურით ალბათ, საუკეთესო იქნება მთელს მეურნეობაში. ჯერჯერობით კი კლუბად გამოუყენებიათ მუშათა საცხოვრებელი ფარდულის ერთი დიდი და მოგრძო ოთახი, რომლის ბოლოში სახელდახელოთ მოუწყვიათ პატარა სცენა.

სალამოს მხოლოდ მეორე ნაწილს მივუსწარი.

კლუბი სავსეა მუშაკაცებით, ქალებით. ყველას სახე უღიმის, კმაყოფილია. ლაპარაკი არეულია: ქართულ-რუსული. დამსწრენი ერთმანეთს უზიარებენ სალამოს პირველ ნაწილიდან მიღებულ შთაბეჭდილებას.

სალამოს პროგრამაც ორ ენაზეა შედგენილი: ქართულ ნომერს რუსული სცელის და ასე შემდეგ.

ესხდებით დარბაზში.

რამდენიმე წუთის შემდეგ იხსნება ფარდა. სცენაზე უჩვენებენ ადგილობრივად მომუშავე აგროტექნიკოსის მიერ დაწერილ ერთმოქმედებიან სკეტს — „ზარმაცს“.

პრიმიტიულადაა დაწერილი ეს სკეტჩი. არაერთარი კანონი ენის, დრამატურგიისა თუ თეატრალური ხელოვნებისა არ არის დაცული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი შინაარსით და, რაც მთავარია, სიმართლით მუშებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორიც ხშირად ჩვენს ოფიციალური დრამატურგების პიესებსაც შეეხარბებათ.



წარმოდგენა ქართულ ენაზე მიდის.

როლებს (სულ სამი მომქმედი პირია) თვით მუშები ვერაფერს ვერაფერს სცენაზე აქა-იქ ჩაის ტოტები და ფოთლებია მიმობნეული — ეს ვითომ პლანტაციია.

თოხით ხელში დგას ზარმაცი და ზანტად, უგულოდ სცემს თოხს მიწას. ხან შესდგება, თავს იფხანს, ამოქნარებს, აზმორებს ხშირად უცქერის მზეს... წუხს, რომ დრო ასე ნელა მიიზღაზნება და არ ახლოვდება შინ წასვლის წუთი. ერთს კიდევ დაამოქნარებს ზანტად და, თოხის ტარზე დაყრდნობილს ჩასთვლიმავს.

შემოდის მეორე, ბეჯითი მუშა, რომელსაც თავისი ნორმა უკვე ერთნახევარჯერ შეუსრულებია. მიეპარება ჩუმათ თოხის ტარზე დაბჯენილ ჩაძინებულ მუშას, სწრაფად გამოაცლის თოხს, და ზარმაცი მთელი თავისი სიმძიმით დაასკდება მიწას.

გალეძებული, შეშინებული და თან შერცხვენილი ზარმაცი მძიმედ წამოდგება. ბეჯითი მუშა კი იციინის... იციინის და ხარხარებს დარბაზიც. აქა-იქ ტაშის ხმაც ისმის. ყველას უხარია, რომ ზარმაცი ასე სასტიკად იქნა დასჯილი.

ბეჯითი მუშა არცხვენს ზარმაცს, ქოქოლას აყრის, რომ ამდენხანა თავისი ნორმის ნახვეარიც ვერ გაუთოხნია.

ზარმაცი გულმოსულია, სახე აღეწილი... თავსლავ დასხმული, ბუზლუნით ჰკიდებს ისევ თოხს ხელს და სცემს მიწას.

ბეჯითი ეუბნება: „ჩვენ სათევზაოდ მივდივართ მდინარე ზემო კუხში. შენ კი, რადგან შენი ნორმა ჯერ არ შეგისრულებია, ვერ წამოხვალ“. ზარმაცს გულით უნდა სათევზაოდ წასვლა, ამხანაგებში გარევა, ხუმრობა, ლაზლანდარობა, თანაში. მაგრამ... მაგრამ ნორმა არა აქვს შესრულებული, ამხანაგები როგორ გაირევენ ჯგუფში?! ბეჯითი მუშა გადის სცენიდან, მაგრამ შემოტრიალდება და ეუბნება: ერთ საათს კიდევ მოგიცდით, თუ შეასრულებ ნორმას, შენც წავიყვანთ სათევზაოთ.

ზარმაციც პატიოსან სიტყვას აძლევს, რომ ერთი საათის განმავლობაში უთუოდ იგიც მორჩება თავის წილ სამუშაოს.

მარტოდ დარჩენილი ზარმაცი მთელი თავისი შესაძლებლობით და სისწრაფით სცემს თოხს მიწას. აი მორჩა სამუშაოს.

ამ დროს შემოდის აგროტექნიკოსი და იგივე ბეჯითი მუშა. სინჯავენ ნამუშევარს, უწუნებენ... აგროტექნიკოსი სასტიკ საყვედურს უცხადებს და მისი გვარი შავ დაფაზე გასაკრავად სიაში შეაქვს. თან ეუბნება: დღევანდელი გათოხნილი ხელმეორედ უნდა გაითოხნოსო.

ამასობაში გამოივლიან სხვა მუშები, რომელიც ბეჯით მუშასთან ერთად მზიარული სიმღერით სათევზაოდ გასწევენ.

ზარმაცი დგას და შესცქერის მიმავალთ. მისი სული ეხლა იმათთანაა, მაგრამ რა ქნას? ისინი ხომ არ მიიკარებენ?

აგროტექნიკოსი კი არცვენს ზარმაცს: ჯან-ლონით საველე ვეჯეტი ისე დაძაბუნდა, რომ გუშინდელი ბავშვიც კი უსწრებს მუშაობას. ზარმაცი ერთხანს ისევ დგას სახე-ამრეზილი, თვალ-ცრემლიანი. ბროს ასწევს თავს ზევით და სიტყვას აძლევს აგროტექნიკოსს, რომ ხეა-ლიდან ის უთუოდ გარდაიქმნება.

აი მთელი სკეტრი.

დამეთანხმები, მკითხველო, რომ იგი უთუოდ საინტერესოდ და გონივრულად არის მოფიქრებული. მეურნეობისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი ზარმაცები აჭა-იქ კიდევ ზედებიან კაცს ამ მეურნეობაში.

პიესის მსვლელობის დროს ხშირად ისმოდა ესა თუ ის სახელი; ადარებდნენ მათ სცენაზე გამოყვანილ ზარმაცს. აქედან ნათელია, თუ რა აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ასეთ პიესებს მეურნეობის მუშებისთვის. ისეთი ხარზარი და სიმზიარულე იყო, რომ ქართული ენის არ მცოდნე რუსი მუშები წამდაუწუმ სთხოვდნენ გვერდით მდგარ ქართველებს — გადაეთარგმნათ მათთვის ესა თუ ის ფრაზები.

დაეშვა ფარდა.

მიღებული შთაბეჭდილების მიზეზით კვლავ ატყდა ყრიაშული. ცხადი იყო, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ უბრალოდ დაწერილმა პიესამ. მაყურებლებზე.

...რა იქნებოდა ჩვენს დრამატურგებს რომ ოდნავ მაინც შეეწუხებიათ თავი და მიეყოთ ხელი ასეთი სკეტრების დაწერისათვის? რამდენად უფრო ძლიერი და გულს-მოსახდომი იქნებოდა ეს შთაბეჭდილება, — ამის ახსნა თვით ამ დრამატურგებისათვის მიმინდვია.

## საგოთა აგრონომი

მეორე დღეა...

ისევ ჰქრის ცხელი ზენაქარი.

ხვატი მზის სიციხე აღმურად ედება დედამიწას.

შევეთრებული სიმინდის ყანების დასამშვიფებლად სწორედ რომ ზედ გამოჭრილია მზის ეს მცხუნვარება, მაგრამ იმერეთისთვის კარგად ცნობილ ცხელ ზენაქარის მავნებლობას ანგარიში არა აქვს. ის თითქმის ნახევრად ხმელ სიმინდის ჩალის ფოთლებს გლეჯს, ზევს, ცხრილავს, მძლავრი მობერიოთ იტაცებს, აფორიაქებს ჰაერში და შემდეგ დაბლა დაშვებულს ლობე-ყორეს მოსდებს ან კვლავ ფანტავს ვრცელ და საფარ მინდვრებზე.

სწორ შარავზაზე მიჰქრის ავტო.

აი, ჩაუვარეთ პირველ უბანს, გავსცილდით მეორეს და გავსწიეთ მესამე და მეოთხე უბნებისაკენ.

მეოთხე უბანი 5-6 კილომეტრითაა დაშორებული მთავარ უბანს. ემ-  
ხუთი-ექვსი კილომეტრის მანძილზე გორაკების ფერდობებზე  
ჩაის და სხვა ციტრუსოვანთა პლანტაციებითაა შემოსილი. მაგრამ  
ჯერ კიდევ ბევრია მაინც აუთვისებული უდაბური ველ-მინდორი და  
გორაკი.

— რამდენიმე წლის შემდეგ კი, — ამბობს ამხანაგი ვალიკო, — ყვე-  
ლა ეს ძიგე-ჩიგენარებით აბუჭვული გორაკი ათვისებული იქნება და  
უბნიდან უბანში მიმავალი გზის ორივე მხრის მიდამოები ჩაის პლანტა-  
ციებით იქნება დამშვენებული. ამნაირად, დღეს ურთიერთს დაშორებუ-  
ლად უბნები ჩაის უზარმაზარი პლანტაციებით იქნებიან ერთმანეთთან და-  
კავშირებული.

— ესე იგი იმის თქმა გინდათ, რომ თორმეტი კილომეტრის მანძილ-  
ზე ეს უდაბური გორაკ-მინდორები ერთ მთლიან ჩაის ოაზისად იქნებიან  
გადაქცეული, — ვამბობ მე და გონების თვალთვლით ვსკვრეტ იმ დროს, რო-  
ცა ეს მწირი და უდაბური ველ-გორაკები მართლა ამწვანდებიან ჩაის და  
სხვა ციტრუსოვან ბუჩქებით.

— ეს მეტად დიდი საქმეა, მაგრამ ვფიქრობთ რომ დაეძლევეთ... სა-  
ბჭოთა ხელისუფლება ამისათვის ფულს და ხარჯს არ იშურებს. გვეგმი-  
თაც მომავალ წელს ას პექტარზე ნაკლები არ იქნება გაშენებული...  
შემდეგისათვის გვეგმები უფრო გადიდდება... მხოლოდ ესაა: მუშა-ხელი.  
გვაკლია. თუ ეს პრობლემა გადავჭვრით, მაშინ გვეგმების შესრულებასაც  
ვერაფერი ვერ დაუდგება წინ...

ამბობს ვალიკო დინჯი, საქმიანი კაცის კილოთა და გიზარია, რომ  
ეს ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი დღეს ისე მსჯელობს, რო-  
გორც შეეფერება ამ უზარმაზარი საბჭოთა მეურნეობის ნამდვილ პარ-  
რონს და მესვეურს.

ვალიკო პარტიელი არ არის. ის არა პარტიელია, მაგრამ რომელ პარტი-  
ელს ჩამოუყარდება იგი ჩვენი დიდი მშენებლობის ჭირისუფლობის საქ-  
მეში. ვანა ასეთ მუშაობებზე არ სთქვა ჩვენმა დიდმა, ბრძენმა ბელადმა  
ამხანაგმა სტალინმა: „გაუმარჯოს არაპარტიელ ბოლშევიკებს“.

როცა ახლად გაცნობილ ვალიკოს პირველად შევევითზე: თქვენ პარ-  
ტიელი ხართ შეთქი, მან ასე მომიგო: არა, მე საბჭოთა აგრონომი ვარო...

ამით მან თავისთავზე თითქმის ყველაფერი სთქვა. სთქვა ის, რომ იგი  
საბჭოეთმა აღზარდა, ასწავლა, დაამთავრებია უმაღლესი სასწავლებელი  
იმ მიზნით, რომ შემდეგ საბჭოთა ქვეყნის მშენებელი გამხდარიყო... და-  
აკი გახდა კიდევ...

ქეშმარიტად უხდის შეილი მშობელს ამავს, მათ უმეტეს, თუ ამავი-  
ეს გადახდა თვით შეილის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდაა მიმარ-  
თული.



## ერთი კალათა აყალოს გუბუღეობი

როცა ახალი  
გინჯილიყთაქა

მაგრამ ეს ხომ ღონძგორიაა.

ეს მთა-გორაკები, წიხთ გაუვალი ჯაგნარით შემოსილი, ხომ მგლე-  
ბის სათარეშოდ იყო გადატყეული...

აქ წელიწადში ერთხელ თუ გაივლიდა ადამიანი.

აქ არც ტყე ხარობდა, რომ ვინმეს შეშით და წყნელით მაინც ესარგე-  
ბლა. ტყეების მაგიერ ეს გორაკები ქაცვია ჯაგნარით და კურკანტელას  
ძიგვებით იყო მხოლოდ დაბურული.

იყო უსარგებლო, მწირი, ხრიოკი ადგილები მაგრამ არა, თითქოს  
ბედის დასაცინად, ეს ღონძგორიაც აკეთებდა თითქოს რალაცას.

საქმე იმაშია, რომ აქ გორაკების მთელი ფენა თავ-საბან აყალოსაგან  
შედგებოდა. ამ თეთრ აყალოს ხონის რაიონის გლეხობა თავის დაბანის  
დროს თმის დასაბუფეებლად ხმარობდა. რა თქმა უნდა, პარფიუმერიის  
ნაწარმის ელემენტარულ საშუალებრსაც ვერ უწყევდა ეს უბრალო თიხა მის  
მოხმარებელს, მაგრამ გაძვალტყავებული გლეხობა მას მაინც ეტანებო-  
და, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, უკულტურობის გამო, მას წარმოდგენაც  
კი არ ჰქონდა პარფიუმერიაზე, მეორე კიდევ იმიტომ, რომ კიდევაც  
სკოდნოდა პარფიუმერიის დანიშნულება, სიღარიბით წელ-გაწყვეტილს  
როდი შეეძლო მისით სარგებლობა. ამიტომ იყო, რომ ხშირად სოფლელი  
დედაკაცი რამდენიმე შაურად ყიდულობდა მთელ კალათა თეთრი აყა-  
ლოს ბურთულებს და ის ყოფნიდა მთელი წლის განმავლობაში.

ღონძგორიის ახლო-მახლო მდებარე სოფლების ზოგიერთი გაჭირვე-  
ბული გლეხი სარგებლობდა ამ გარემოებით და როცა სხვა სამუშაოს ამ  
სხვა წყაროს არსებობისას ვერ გამოიხატავდა, ამოვიდოდა ამ ღონძგორიის  
გორაკებზე, მოთხრიდა თიხას, დაამრგვალებდა პატარ-პატარა ბურთულე-  
ბად, გაახმობდა მზეზე და შემდეგ კალათით გამოჰქონდა ხონში პარას-  
კეობაზე გასასყიდად.

მთელი კალათა აყალო მიწა იყიდებოდა ოთხ-ხუთ შაურად. აქედან  
ნათლად სჩანს, თუ რა გაჭირვებას განიცდიდა გლეხი, რომ ორიოდ  
გროშისთვის ამ სეშორეზე დადიოდა.

ამ თიხასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც  
არ შემიძლია არ მოუთხრო მკითხველს.

ეს ამბავი მოხდა ამ ოცდა-სამი — ოცდა-ოთხი წლის წინად.

ჰქროდა თებერვლის ცივი ქვენაქარი.

ცრიდა გულისგამწყვალენელი წვრილი წვიმა და ქუჩებში ლავი და  
თოვლქყვაი იღვა.

მიუხედავად ცუდი ტაროსისა, ხონის სავაქრო მოედნები და ქუჩებუ  
სავსე იყო პარასკეობაზე ჩამოსული უამრავი ხალხით.

დაირეკა თუ არა მესამე გაკვეთილის გათავების და დიდი დასვენების დაწყების ზარი, ჩვენ, მოწაფეები, ყვილ-ხივლით მოქმედობდა და მოედინებდა.

ერთ ამხანაგთან ერთად მეც გავსწიე იმ მოედნისაკენ, სადაც მხოლოდ ხილული და სხვა წერილმანი სოფლის ნაწარმი იყიდებოდა.

ჩემი ამხანაგი დაწინაურდა.

მეზილემდის ჯერ კიდევ ვერ მიმელწია, რომ ჩემი ყურადღება მიიპყრო სიცივისაგან სხეულ აძივძივებულმა, ფეხშიშველა, დაფლეთილმა, შინ მოქსოვილი იმერული შალის ბლუზაში და შარვალში გამოხვეულმა გლეხის ბიჭმა.

იღვა იგი ხონის მთავარ ქუჩაზე ჩამომდინარე ცხენისწყლის არხის ნაპირად, წინ დაედგა აყალოს ბურთულებით სავეს კალათა და თავის მიმქრალ, თითქმის აცრემლებულ თვალებს უაზროდ აცეცებდა გამვლელ-გამომვლელთ.

სოფლელმა ბიჭმა შემამჩნია მე, მის წინ რაღაც მაშინაღურად შემდგარი, და ეხლა თავისი თითქოს ციებისაგან აცახცახებული თვალები მომამყრო მე. რამდენი ტანჯვა, მწუხარება და წამება გამოიქვირებოდა ამ მიმქრალ თვალებიდან!

ყმაწვილის დახეული შარვალიდან და ხალათიდან მოსჩანდა სიცივისაგან ვალურჯებული, ამუძვული შიშველი ხორცი, რაც აშკარად იმას ამტკიცებდა, რომ მისთვის საცვალი უცხო ხილი იყო.

შარვალი კანკებამდის ჰქონდა დაკოტავებული და ამნაირად, ყველა დასანახად, მოსჩანდა კერაზე შეტრუსული და აფეროვანებული წერილი, გამხდარი წვივები და დაიარებული, თოვლისაგან დამწვარი და გაშაფებული ფეხები. ფეხის ქუსლებზე კამეჩის ტყავის სისქე კანი ჰქონდა გადაკრული, რომელიც ქვებზე ან ჯაგებში სიარულით აქა-იქ დასკდომოდა და დაბალღამებოდა.

მაგრამ მთავარი, რაც ყურადღებას იქცევდა, ეს მისი სახე იყო: გამხდარი, გაყვითლებული, უღროვოდ დაბერებული, დანაოკებული. თავზე ჩამოებლუტა სევანური, იგიც დაგლეჯილი, რუხი-ფერის ქუდი, და წვიმის მომხზო წვეთები ამ ქუდის კალთებიდან სახეს ეცემოდა და ამნაირად, ერთი შეხედვით, იქნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ტირისო.

ხნოვანებით იგი ჩემზე მეტი არ იწნებოდა, მაგრამ იმდენად სუსტი, გამხდარი და მომცრო ტანისა იყო, რომ მხრებამდის თუ შემწვდებოდა მხოლოდ. იღვა და შემომცქეროდა თავისი მიმქრალი, ცრემლ-მორეული თვალებით.

იგი ცნობის მოყვარეობით, განცვიფრებით ათვალეირებდა ჩემს კობტა ფიხსაცმელს, ფორმაზე შეეკრილ ბრჭყვიალა ფოლაჩებიან ძვირფას ივონის შალვარს და გიმნასტიორს, მხრებზე მოვდებულ მაუდის პალტოს

თეთრ-კანტებიან ლურჯ ქუდს და მასზე მიკრულ ფართო ოქროსავერსის ბზინავ ღერბს.

იღგა და სევდიანი თვალებით მიცქეროდა, თითქოს ამბობდა:

— უცნობო, რა ბედნიერი ხარ, რა ბედნიერი... მე კი, ხომ ხედავ? ! მაგრამ მისი თვალები თითქოს ვერ ხედავდნენ შემდეგი აზრის გამო-თქმას და ისევ ცრემლ-მორეული იწყებდნენ უაზროდ ცეცებას.

დამწვა ამ სანახობამ...

გული ამიტირდა... ამიჩუყდა...

მაგრამ რა ბეჭა, გარდა იმისა, რომ ვიდრე გარინდებული, რაღაც შეეფიტებ შებყრობილი და ასე, აღბად, მეც თვალებ-აწყლიანებული შეეცქეროდი მას უხმოდ, უსიტყვოდ.

— რას გაჩერებულხარ? წამოდი, — მოძავნა უკან გამობრუნებულ-მა ამხანაგმა, — და მკრა ხელი, გამომარკვია...

— ჰა, ეხლავე... — ეუბასუხე მაშინაღურად და მისაც აღარ დაუყო-ნებია და შეერია იქვე მოფუსფუსე ხალხს.

ხანგამოშვებით თუ დახედავდა ფეხებთან მდგარ აყალოთი საესე კა-ლათას ან თუ შეავლებდა თვალს იქვე მოფუსფუსე ხალხს, რომელსაც აინუნწიაც არ მოხდიოდა მისი აყალოს ყიდვა.

ყმაწვილი კი იღგა და გალურჯებული, გაყვითლებული სახით, სიცო-ვისა და სისველისაგან მთელი ტანით აცახცახებული, მიმქრალი, ჩაცვივ-ნული თვალებით მიცქეროდა მე...

ამ დროს საიდანლაც გაჩნდა ჭიკოშა.

ის მდიდარი ვაჭრის შვილი იყო... განებივრებული, გაქსუებული.

ერთ კლასში ვისხედით, მაგრამ გაკვეთილების დასასწავლად ის თავა-ეგრე ადვილად როგორ შეიწუხებდა. სამაგიეროდ ცელჭობასა და უკულ-მარაობაში მას, მთელი სასწავლებლის მასშტაბით, ბადალი არ ჰყავდა.

იყო რაღაც მაკვარანცხი და უკულმართი, შაჩუბარი და ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენი.

თუ რომელიმე მოწადეს აითვალისწუნებდა, შეეცდებოდა მის ყო-ველმხრივ დამაგვრასა და გაბიაბრუებას. თუ შეურაცყოფილი მოწაფე ხმას შეუბრუნებდა ან დააბეზლებდა მასწავლებელთან, ჭიკოშა თავისი, მასავით გაქსუებული და მოავარე ამხანაგებით, დახედებოდა სადმე მყუდ-რო ადგილას და იმდენს ცემდა, სანამ გულს არ იჯერებდა.

მასწავლებლებს სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული ამ ვითომცდა მოწაფის საქციელით. რამდენჯერმე კიდევ ცადეს გამოერიცხათ იგი სასწავლებლიდან, მაგრამ ჭიკოშას მდიდარ და, მაშასადამე, ყოვლადშემ-ძლე შაშის წყალობით, ის მეორე დღეს ისევ მოვიდოდა სასწავლებელში, დაჯდებოდა თავის ადგილას და უფრო თავზედად შეუღებოდა სხვადა-სხვა სამაკვარანცხო საქმეების გამოგონებასა და მოწყობას.

...აი, ეს ჭიკოშა მიუახლოვდა ებლა ამ ყმაწვილს და შეამჩნევდა რაღაც სისაწყველეს, სიბერეავე და უბედობა, ანაზღად, ერთი რაღაცა — სწრაფად გადაიხარხარა და დაიხარა კალათისაკენ:

— ეს რა ჯიშის ვაშლებია, ბიჭო, რომ ყიდი...

— ეს ბატონო, თავის საბანი... — მაგრამ თქმაც კი ვერ მოასწრა ყმაწვილმა, რომ ჭიკოშამ ჰკრა ფეხი კალათას და წყლით საესე არხში გადაუძახა. თიხის ხმელი ბურთულები წყალში ჩაცვივდა, დაღობა, დაიშალა, წყლის ზედაპირზე თავდაღმა დამხობილი კალთა წყლის მდინარეებას აპყეა...

ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავ მომხდარ უკუღმართობაში, რომ უცნობი ყმაწვილი რაღაც შესაზარი წივილით მოსწყდა ადგილს და დაეშვა წყალში.

ცივი სუსხიანი ზამთრის დღეს, როცა თბილად ჩაცმულ მოქალაქეებსაც კი ციოდათ, ეს ავადმყოფობით დასნეულებული და სიცივიტო ტან-აქანკალეებული გლეხის ბიჭი მუხლებამდის წყალში მისდევდა კალათს დასაქერად... ბოლოს დაეწია, დაწვდა და კალათით ხელში ხმამაღალი ტირილით გამოვიდა ნაპირს.

გონს მოსული, აღშფოთებით მიეტრიალდი იქით, სადაც ჭიკოშა მეგულეობდა... მინდოდა რისხვით მიეარდნოდი ამ საზიზღარი საქმის ჩამდენ ორფენა მხეცს, მაგრამ სადღა იყო, ის კმაყოფილი, მოხითხითე, რომ ასეთი საგმირო საქმე ჩაიდინა, გაპარულა... წასულა...

შემთხვევის ადგილას ხალხი მოგროვდა.

ყმაწვილი კი ტირის... ტირის... ზღუქუნებს თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის რაღაც სიტყვებს, რომელშიაც გარკვევით ისმის შემდეგი:

— რა უნდოდა? რას მერჩოდა? მე ხომ ჩემთვის ვიდექი? რა ექნა ეხლა, რითი მივიდე შინ? რითი ვუყიდო მამას წამალი? ვაიშე, რაღა ტყუილად ჩამიარა ამოდენა ჯახირმა?!

ვილაცხები მოდიან... ამშვიდებენ...

ის კი ზღუქუნებს, ზღუქუნებს მთელი რაღაცით აცხცახებული. ჩამოჯდება იქვე სველ მიწაზე... ჩაყობს თავს კალათაში და, სასოწარკვეთილებას მიცემული, განაგრძობს ტირილს.

ხალხი მატულობს მის გარშემო. ყველა კითხულობს:

— რა მოხდა?

— რა ამბავია?

— რატომ ტირის?

ყმაწვილი კი არავის არა სცემს ხმას და განაგრძობს გულამოსკვნით ტირილს...

მოვიძებნე ჯიბეები.

ორი კაპიკი აღმომაჩნდა.



ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს... ვიღებ, ვუღებ კალათაში, თან სახუგეშოც მინდა ვუთხრა რამ, მაგრამ ჩემს განცვიფრებას სასწრაფო ვერა-  
პქონდა, როცა ყმაწვილმა ცრემლით სავსე თვალები ზეპირად მისი  
ნათა და ხელი ხელზე მკრა... ფული უკან გადმომიგდო... მტრალი ყმა-  
წვილი არ დარჩა შეუმჩნეველი გოროდოვოის. ის განრისხებით მოიქრა.  
გაფანტა ყმაწვილის გარშემო შეკრებილი თვალის მოსეირენი და ყმაწ-  
ვილიც უზეშად, მუჯლუგუნის ცემით გაიგდო წინ.

დამავიწყდა სასწავლებელი...

დამავიწყდა, რომ დასვენება გათავდა და მეოთხე გაკვეთილი დაიწყო და  
ავედევნე გოროდოვოის და უცნობ ყმაწვილს, რომელიც მუჯლუგუნების  
ცემისაგან უფრო საცოდავად და გულის-მოსაკლავად ტიროდა და ენა-  
ოდა.

თვალის მოსეირენიც აედევნენ მას, მაგრამ გოროდოვოიმ მრისხანე  
თვალების ბრიალით ყველა თავიდან ჩამოიშორა.

შე კი მივდევ უკან შეუმჩნეველად... რატომ? რისთვის? არ ვიცი. იმ  
წუთში ამის შესახებ ვერაფერს ვერ გეტყვოდი, მაგრამ ეს კია, რომ უთუ-  
ოდ მინდოდა გამვოლაპარაკებოდი ამ ყმაწვილს, გამეგო მისი ვინაობა:  
სახელი, გვარი და თუ შევიძლებდი რაიმეთი მეშველა მისთვის.

გოროდოვოი მტრალს რალაცას წყრომით და მრისხანედ ელაპარაკე-  
ბოდა, მაგრამ რას, შე არ მესმოდა.

შორით მივეყვებოდი.

გაშორდნენ ბაზარს. გავიდნენ მათხოჯის ქუჩაზე. აქ გოროდოვოიმ  
ერთი კიდეე ჩაკრა ზურგში მუჯლუგუნი და გამობრუნდა უკან  
ყმაწვილი კი ისევ თავჩალუნული და მტრალი მძიმე ნაბიჯით გა-  
უღდა გზას.

შე აფუჩქარე ფეხი. გზაზე შემომხედარ გოროდოვოის გადავხედე მთე-  
ლი ჩემი ზიზლით და სიძულვილით და დავეწიე ყმაწვილს.

დავეიწე, მაგრამ ხმის ამოღებას მაინც ვერ ვებედავ. მიდის ზღუქუ-  
ნით და მეც მივეყვები გვერდით მთელი მისი საცოდავობით გულამღვრე-  
ული, აცრემლებული.

ასე მუნჯად გავიარეთ რამდენიმე ასი ნაბიჯი.

ყმაწვილმა ტირილს უკლო. მეც ვიხელთე დრო, რბილად მოვკიდე  
მკლავში ხელი და ვუთხარი დაყვავებული ხმით:

— შენთან საქმე მაქვს... შეიძლება რამდენიმე მანძილზე გაგაცი-  
ლო... — ყმაწვილი შედგა, კალათა მხარზე მოიგდო, ამხედ-დამხედა,  
თვალებში ჩამაცქერდა... გამჩნევ თვალებიდან თანდათან გადაერყა ზიზ-  
ლი და მრისხანება. უფრო მეტი: მის თვალებში რალაც სირბილემ დაი-  
ბუდა.

ათრთოლდა და ნელი ხმით, როგორც იყო მკითხა:



— შენ ეინა ხარ?

— მე მოწაფე ვარ... აი ის, თავიდანვე რომ თვალყურს შემდგომად...

— მერე რა გინდა?! ის ბოროტი ბიჭი ხომ შენი ამხანაგია? — სთქვა ეს და თვალეები ისევ ზიზლით და მრისხანებით აეცსო. მე კვლავ ვუყვავებ...

— არა, ის ჩემი ამხანაგი არ არის... არა... მართალია, ჩვენ ერთ სასწავლებელში ვსწავლობთ, მაგრამ იმდენად ბოროტია ის, რომ მე მასთან არავითარი შეგობრობა არ მაქვებშირებს. პირიქით, მე მას მტრულად ვუტყერი და ამ შენი შეურაცყოფისათვის, თუ სადმე ჩამივიარდა ხელში, კიდეც ვცემ...

ესთქვი ეს და, მისი ნდობა რომ სავსებით დამემსახურებია, მკლავი ნელა გაუყარე მკლავში. ვამჩნევ, ყმაწვილს სახე უნათლდება. მის დამკვირვებელს, გაყვითლებულ პირისახეს თითქოს ათბობს მზის შუქი. აღარც თვალეებში სჩანს ის წყრომა და მიუყარებლობის გრძნობა, რომლითაც დამაჯილდოვა ყმაწვილმა პირველი გამოლაპარაკებისთანავე. პირიქით, მისი თვალეები, ვამჩნევ, ჩემდამი ნდობით და ერთგვარი მადლობითაც კი ივსება.

რა ცოტაა თურმე საჭირო სპეტაკი გულისათვის, რომ ზიზლის ნაცვლად უცებ შენდამი ნდობით და სიყვარულით გაივლენთოს ის... და რა ბოროტია ადამიანი, რომ ამ სპეტაკ გულს აგრე უდიერად სერის ტალახით, ბალახით, სიბილწით და სიბოროტით.

მაგრამ კმარა...

ვამჩნევ, ყმაწვილის სახეს უკვე არ ბურავს წყრომისა და ზიზლის ღრუბლები. მხოლოდ ესაა, მის თვალეებში მიანიც ჩამარხულა ღრმად სევდა... სევდა დიდი... ვეებერთელა, მთელი მისი, ალბათ, უმწურო და უბედო ცხოვრების გამომსახველი. მაგრამ მეც ხომ სწორედ ამის გასაგებად აედევნებვიარ მას...

— მერე თუ ასეთი ბოროტია, სასწავლებელში რატომ აჩერებენ? — შეკითხება ყმაწვილი გულუბრყვილოდ და მეც მიხარდა, რომ მასთან ბაასი უკვე ეწყობა.

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ... — ვაგრძელებ მე, რადგან სწორი, ამომწურავი პასუხი ამ შეკითხვაზე უცებ ვერ მომიინახავს... მაგრამ გამახსენდა ანაზღად რუსული ენის ჩვენი ბოროტი და მრისხანე მასწავლებელი და მეც თითქმის მექანიკურად ვაგრძელებ პასუხს:

იმიტომ რომ თვით მასწავლებელია ბოროტი და საზიზლარი.

— როგორ? — შეკითხება განცვიფრებული, — ბოროტ მასწავლებელს რა უნდა სასწავლებელში?..

— ისე, რომ თვით ცხოვრებაა ბოროტი, — ვუპასუხებ მე სადღაც, რომელიღაც წიგნიდან ამოკითხული ფრაზით და ვაგრძელებ: დიახ თვით

ცხოვრებაა ბოროტი და ბოროტ ცხოვრებას აბა ვინ უნდა უხელმძღვანელოს, თუ არა თვით ბოროტმა ადამიანებმა...

უხელმძღვანელებსა  
ზინზლირთესა

ვამჩნევ, ჩემს შობაასეს გაუგებრობა იპყრობს.

მართლაც, როგორ უნდა გავგო მას თუმცა მარტივი, მაგრამ მისთვის მაინც ძნელად გამოასცნობი ფილოსოფია. მისი ცხოვრების ცოდნა, ალბათ, მარტო იმ დუბჭირი და უმწეო მდგომარეობითაა შემორკალული. რომელშიაც მას უხდება ყოფნა-არსებობა... მაშ, საჭიროა მასთან უფრო ადევილად გასაგები საუბარი და მეც განვაგრძობ ასე:

— ეს ჩვენი ცხოვრება მდიდარ და ღარიბ ადამიანებისაგან შესდგება. მდიდრებს აქვთ საშუალება კარვად ქამონ, სვან, დაიხურონ, ჩაიცივან, აგრეთვე ისწავლონ და შემდეგ დიდი კაცები გახდნენ... ღარიბებს კი არა. აი, ის მოწაფე, რომელსაც ჩვენ ჭიკოშას ვეძახით და რომელმაც შენ დღეს კალათა გადაგიგდო, მდიდრის შვილია. ფუფუნებაში და განცხრომაში გამოზრდილი. მან არ იცის, რაა გაქირვება, სიმშლი, სიღარიბე. ამიტომაა რომ ასეთი არამზადები მეტწილად შეუბრალებლები არიან... ბოროტნი და არ გამტანნი. ის შენთან მოვარდა, კალათა გადაგიგდო იმ მიზნით მზროდ, რომ ესიამოვნებია, თვალის სერი ენახა. ის კი რომ შენ ეს აგატირებდა, გაგამწარებდა, მისთვის მაინც და მაინც დიდ ბედენას არ წარმოადგენდა, რადგან მან შენი გაქირვება არ იცის და არცა აქცე უნარი ამის ვაგების; ან და კიდევ რომ გაიგოს მაინც არაფრად ჩაგაგდებს, რადგან მისი სიამოვნებისათვის აბა რას წარმოადგენს ვილაც საუყალი გლეხის ბიჭის ტირილი და უბედურება... მაგრამ დავანებოთ ამათავი. ეხლა ეს მითხარი რომელ სოფლიდან ხარ შენ...

— მე — ? — პაუზის შემდეგ შეკითხება ჩაფიქრებული.

— ჰო! შენ...

— მე ახალ-ბედისოულიდან ვარ ჩამოსული. ამ დილას წამოვედი.

— რა გქვიან?

— მე? — შეკითხება ისევ.

— ჰო, — ვუქნევ თავს.

— ამირინდო...

— გვარი?!

— კინწურაშვილი.

— დედ-მამა გყავს?!

— მყავს.

— მე ძალიან მაინტერესებს შენი ცხოვრება. თუ შეგიყვია მომიყევი. — ეთხოვ და მკლავს უკერ მკლავზე, რითაც ვაგრძნობინე, თუ რამდენად თანაუგრძნობ მას და მაინტერესებს მისი ცხოვრების ვაგება.

ამირინდოც უკვე სავსებით მონდობილი და მოზიბლული ტკბილ-ალერსიანი მობყრობით, იწყებს თავისი ცხოვრების მეტად მწუხარე თავგადასავალს:



— ჩვენ ახალ-ბედისეულში ეცხოვრობთ. მამა ჩემი ძალიან ღარიბია... ისეთი ღარიბი, რომ პირდაპირ მეტი არ შეიძლება. თავისუფალი სახნავე-სათესი მიწა ერთი ჭკევა თუ აქვს მხოლოდ. შეილები სამი ვა- ვართ. ყველაზე უფროსი მე ვარ. ორი დანარჩენი — ერთი ცხრა წლისაა, მეორე შეიღის. ეზო გორაკზე გვაქვს. გვიდგია ერთად-ერთი ბურულღიანი ქოხი. მამა სხვის ყანებს ამუშავებს, შეტწილად მემამულე ლორთქიფა- ნიძის მიწას. ძლივს კვებავს ცოლშვილს. მე წამოვიზარდე თუ არა, კერუ- დით ამოუდექი და, მასთან ერთად ვთოხნი, ვბარავ, ვმუშაობ. შრომიით წელში ვწყდებით, მაგრამ ჩვენს სიღარიბეს მაინც არაფერი ეშველა.

ასე ვიზრდებით ნახევრად მშვიერი, შიშველნი, ტიტველნი. ხომ ხედავ ჩემს გამზდარ სხეულს და სწეულ სახეს — ეს სიმშვილისაგანაა. სიმშვილის ნიადაგზე დავსუსტდი და ციებამ დამიჯაბნა, გამაყვითლა. ქინაქინის ფუ- ლი კი არა გვაქვს, ან საიდან გვექნება, როცა მამას არაერთარი შემოსა- ვალი არა აქვს. არც კვერცხი გვაქვს, რომ ვაყვიდოთ. ან კვერცხი საიდან გვექნება, როცა სიმინდის უქონლობის გამო, დედას ქათმის მოშენებაც ვერ გაუბედავს.

ეს ერთი კვირაა მამაზე ლოგინად წყვს. როგორც ჩიხმა პარჩიელ- ბა სთქვა: უემუტი შეხვედრია... შექარიც კი არა გვაქვს. რომ ჩაი მაინც დავალევიოთ.. ექიმის მოყვანაზე და წამლის ყიდვაზე, ხომ ვიქრიც ზედ- მტია. გუშინდამ ბევრი ვიტირე. მამა ძალიან სუსტად გრძობდა თავს... ავნესოდა... ოხრავდა... ჩემს გულში შავი ბაღლამი დაგუბდა. დაგუბდა და წამოვიდა ცრემლებად... რა მექნა?! მეცოდებოდა მამა, დედა, უმცრო- სი და-ძმები. დაკნკილ საბნის ქვეშ შემძვრალი ვფიქრობდი და ვტი- როდი, ვტიროდი და ვფიქრობდი. მინდოდა რაიმე საშველი გამომენახა. . დაეხმარებოდა მამას, დედას, და-ძმას, რომლებიც ჩემზე არანაკლებ იწვოდნენ მამის საცოდავობით...

გათენდა დილა, ვერაფერი ვერ მოვისაზრე, გარდა იმისა, რომ წაე- სულიყავი ლონძგორიის გორაკზე და ერთი კალათა თავისაბანი აყალო დამეშაღებოდა აქ წამოსაღებად და გასასყიდლად. ეს ჩემი მეზობლების წამშურულობით, რომლებიც ხშირად ერთ კალათა აყალოს აბაზად და ექვს შაურადაც კი ყიდიან ზოლმე. დედას გაუხარდა... მომიწონა... ამ დილით წამოვედი და ათასი რამ სასყიდელი დამაბარეს. დედამ და მამამ ქინაქინა, უმცროსმა და-ძმებმა კი, აბა რა ვიცი რა. თითქოს ერთი კარანჩხა აყალოს საფასურით ყველაფრის ყიდვა იყოს შესაძლებელი. მე კი ხელცარიელი ვბრუნდები. ტყუილ-უბრალოდ ჩამიარა ამდენმა ჯახირმა. შრომას ვინ ჩივა: წყალში მაინც რომ არ გადავეგდე... გოროდოვოს არ ვეცემე... და ყველაფერი ეს იმ საზიზლარი მოწაფის წყალობით მომივიდა, ოხხ! — თითქოს გული ზედ ამოატანაო, მძიმედ ამოიოხრა ამირინდომ.



რითი მეცა ნუგეში? ტბილი სიტყვით? მაგრამ ეს ხომ უმჯობესი კლდის ფხანა იქნებოდა...

რას უშველიდა ეს მის ლოვინად ჩავარდნილ მამას, მის ღრმა სევდით დაწყულულ გულს, მის უმწეო, საშინელ მდგომარეობას... ჯიბეში კიდევ მომხედა ორ-კაპიკიანი გროში, მაგრამ მაშინვე ხელი გაუშვი. თვით შემრცხვა იმ შეურაცხყოფის, რომელიც მოვაცენე მას ამ ათიოდე წუთის წინად ამ გროშის კალთაში ჩაგდებით. სხვა რა შემძლო?!

მაინც დიდხანს ველაპარაკე... ვანუგეშე... ვამშვიდე... რამდენიც შემძლო ვფხანე გული და ბოლოს გამოვეთხოვე ამ სიტყვებით:

— ამირინდო, ესლა სამწუხაროდ ვერაფრით შენიძლია დაგეხმარო, მაგრამ შემდეგ პარასკევს, თუ კიდევ გამოიტან აყალოს გასასყიდლად, იცოდე, მე მოვალ და მთლად შევისყიდი.

აი ამბავი, რომელიც მომავონა მე ლონძგორიის გორაკების ფერდობებზე ნათხარმა აყალომ.

ჩვენ უკვე მეოთხე უბანში ვართ.

როგორც სხვა უბნებში. აქაც სხვადასხვა შენობაა აგებული. აქაც მიუყვითა ხელი ამ შენობების შორიახლოს პარკის გაშენებისათვის.

ჩამოვდივართ ეტროდან.

მივდივართ პლანტაციების დასათვალეიერებლად.

პირველი და მეორე უბნების პლანტაციებისაგან ეს უბანი იმით განსხვავდება, რომ იგი გაშენებულია გორაკების კალთებზე. ვასცქერი გორაკებს და ხედავ: ყველგან ტრანშეებია, რომელთა შუა ჩაის მწვანე ბუჩქებია ჩამწკრივებული.

ტრანშეებსა და ტრანშეებს შუა ყამირის ვიწრო ზოლებია დატოვებული — თავისი ბუნებრივი ძიგვეებით და ქაცვია ბალახით. ეს იმიტომ, რომ წვიმის დროს ნიაღვარმა მიწა არ ჩამორეცხოს და ტრანშეები არ გაასწოროს.

მაგრამ ვამჩნევ აქა-იქ ყამირის ძიგვეებიანი ზოლები ძალზე დაუვიწროებიან.

— თუ ამ ზოლებს ასეთი მნიშვნელობა აქვს, რატომ ვერ დააწვრილეთ?! — ვეკითხები ვალიკოს.

— ეს იმიტომ, რომ ტრანშეებში კულტივატორი გავატაროთ და ამნაირად შრომის ეკონომია მოვახდინოთ, — მიპასუხებს ვალიკო.

— წვიმის ნიაღვრები? — კვლავ ვეკითხები.

— ის წვირილი ზოლებიც საკმაოა, — ეს უკვე გამოცდილებით ვიცი, — ნიაღვრის მანებლობისაგან ტრანშეების დასაცავად, — მიპასუხებ ვალიკო და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძობს: — როგორც ხედავთ, ეს პლანტაციები მთა-გორაკებზეა გაშენებული, მაშასადამე, აქ მუხლუხოვან ტრაქტორის გამოყენება არ შეიძლება. ამიტომ კულტივატორში ცხენებს

ვაბამთ. ხომ ხედავ, რა სუფთაა! — ამბობს ვალიკო და მუშუბის მუშუბის პლანტაციებისაკენ.

მართლაც, ვდგევართ იმ პლანტაციების პირდაპირ, სადაც, წამლადაც რომ გინდოდეს, ერთ ბალახს ვერ იპოვი ჩაის ბუჩქის ქიახლოვეს.

— ეს ჯერ ცხენის კულტივატორებს დავათოხნიეთ, შემდეგ ჩაის ბუჩქებს მუშუბმა ჩამოუარეს და რაც ბალახი დარჩა, თოხით გამოაცალეს. — ისევ მიხსნის ვალიკო და ჩემი თვალი ვერ ძღება იმ ლამაზი სანახაობით რასაც წარმოადგენენ მთის ფერდობებზე შეფენილი პლანტაციები.

ვისვენებთ ცამდე აწვიდით მუხის ჩრდილში. ცოტა კიდევ და მეორე უბნის კლუბში შევხვდებით ამ უბნის საუკეთესო დამკვრელებს.

### შრომის ზმირაბი

არც ისე პატარა ოთახში შეუყრიათ თავი ამ უბნის ათ-თორმეტ საუკეთესო სტახანოველს, დამკვრელ მუშას და მუშა-ქალს.

— აი ესენია საუკეთესო დამკვრელები, სტახანოველები, რომლებიც თავიანთ ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის არა ერთხელ დავგვიჯილდოვებია — აი, თუნდაც ეს ამხანაგი. — ამბობს ამ უბნის აგრონომი ამხ. ლევაკა და მიმითითებს ერთ ტან-მორჩილ, შზით სახეგარუჯულ ახალგაზრდა მუშა-ქალზე.

მისი სახელი და გვარი ანეტა ჩიხლაძეა. ანეტა 29 — 30 წლის თუ იქნება. პლანტაციებში სამუშაოდ ამ სამი წლის წინად მოსულა. ობლობაში აღზრდილა... სიღარიბეში...

— ისე გავიზარდე, რომ აღერსიანი, ტკბილი სიტყვა, — ამბობს ამხ. ანეტა, — ჩემთვის არავის უთქვამს. უკიდურესად ღარიბი მამისა და სიღარიბით კიდევ უფრო გაანჩხლებული ანჩხლი დედინაცვალის ხელში ჩემი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული. დღე-და-ღამ შრომა, მუდამ შრომა და ერთი თბილი სიტყვა არავინ გიტხრას — მადლობას ვინ ჩივა — ეს პირდაპირ აუტანელია!! ვერ წარმოიდგენთ, რა ობლობას, რა სულიერ წამებას განიცდის კაცი ასეთი ცხოვრების კი არა, ჯოჯოხეთის პირობებში. ამ ვაი-უბედურებაში ვიყავი, რომ ამ ადგილებში თოვებით, ბარებით, ნაჯახებით, ჩაქურებით და სხვა ხელსაწყოებით შეიარაღებული მუშები და მუშა-ქალები მოვიდნენ სამუშაოდ. მარტო მე კი არა, მთელი სოფელი იყო გაკვირებული, თუ ისეთ უდაბურ ადგილას, რასაც ეს ლონძგორია წარმოადგენდა. რისი ვაკეთება უნდა ყოფილიყო შესაძლებელი.

ერთ უქმე დღეს ამხანაგებთან ერთად (ეს სამი წლის წინად მოხდა) ჩვენი სოფლიდან, რომელიც აქედან ორი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, გამოვსწიეთ აქეთ ამბის გასაგებად. იმ დღის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ მეც მოვეწყე აქ სამუშაოდ. ამ დღიდან იწყება ჩემი



ნამდვილი ცხოვრებაც. რაში გამოიხატება ეს? იმაში, რომ შერთყუდა ამკვი არ შეკარგება და ეს კი მთავარია. აკი ვითხარი, ჩემს საკულტურულ ცხოვრებაში ძუღამ-დღე მძიმე მუშაობისათვის არა თუ ტკბილ სიტყვას არავინ მეტყუოდა, არამედ მუდამ ლანძღვა-ვინებას ხშირად ცემასაც კი ვლებულობდი ჯილდოდ. აქ კი ერთგული შრომისა და სიბეჯითის წყალობით მათასებენ... შემიყვარეს... მეალერსებიან... სხვებისათვის მაგალითის მიმცემად მთვლიან. მოკლედ: გამხადეს სრულყოფილებიანი მოქალაქე, ადამიანი, რა უფლებასაც მე წარსულში მოკლებული ვიყავი. არას ვამბობ შრომის საფასურზე და იმ ხშირ პრემიებზე, რომლებითაც ჩვენი დორექტია ხშირად შაჯილდოვებს ხოლმე. დღეს მე სრულიად დამოუკიდებელი მუშა-ქალი ვარ და ჩემი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად (წერა-კითხვა აქ მოსვლის შემდეგ ვისწავლე) ვცდილობ ჩემი გონებრივი ჩამორჩენილობა რამენაირად გამოვასწორო, და თავისუფალ დროს დიდი ხალისით ვუდგები სხვადასხვა წიგნების კითხვას. ჯერჯერობით მხოლოდ იმას მივალწიე, რომ ჩვენი კედლის გაზეთისთვის ვწერ პატარა-პატარა წარჩლებს, აგრეთვე გამოვდივარ სხვადასხვა კრებაზე ჩემი აზრის სხვისთვის გასახიარებლად. ჩაწერილი ვარ პარტიის თანამგრძობთა ჯგუფში. მაიმედებენ ამხანაგები, რომ პარტიაში ახალ წევრთა მიღების დროს, მეც ვიქნები მიღებული. ენახოთ... ხუ ეს დაპირება ამხანაგებმა შემისრულეს, მაშინ ალბათ უფრო გავშლი ფრთებს, რომ სავსებით გავხედე ჯირსე ჩვენი დიდი პარტიის წევრობისა.

— ეს მუშა-ქალები, თუმცა მათ შორის კიდევ გვეყვანან საუკეთესო დამკვრელები, ისეთები, როგორც არიან მაგალითად, შურა ქელბაქიანი, პელანგო მაქსიმენკო და სხვანი. ეხლა საუკეთესო დამკვრელი მუშა გაიცანით, — ამბობს ამხანაგი ლევა და განაგრძობს: — აი, საუკეთესო ტრაქტორისტი და ბრიგადირი ამხ. ამირინდო კინწურაშვილი, — და მიძითითებს მაგიდასთან მყოფ 35 — 37 წლის კაცზე.

ამირინდო კინწურაშვილი?! ეს სახელი და გვარი ხომ მეცნობა?! უფრო მეტის ყურადღებით ვაკვირდები იმ კაცს, რომლის სახელი და გვარი ესაა გავიგონე. მაგრამ განვცვიფრდი, როცა შევაშინიე, რომ ეს კაციც ცნობის-მოყვარეობით და გაკვირვებით მიცქერის.

იგი საშუალო ტანისა თუა. აცვია მტვრით და ქაცვით ბალახის პარკუჭებით სავსე სამუშაო ტანისამოსი. ეტყობა სამუშაოდან ახალი მოსულია, სახე გარუჯული აქვს, მზისა, წვიმისა თუ ქარისაგან. აქერცლილი, სპილენძის-ფერ გადაკრული. წვერ-გაპარსულ სახეზე თხელი უღვაშები უფრო სქლად და გრძლად მოსჩანს. თვალები კი ისევ განცვიფრებით და დაყინებით მიცქერაან.

დიდი ფართო თვალები! არც შავი, არც ცისფერი, უფრო ხორბლის ფერი.

მაგრამ ეს თვალები რაღაც მეცნობა...

სახელი და გვარიც რომ მეცნობა... ისიც ვგრე ცნობისმოყვარეობით ჩამცქერის. რა ექნა, ვინაა ეს კაცი?! თითქოს სადღაც მინახავს... მასთან კიდევ მისაუბრნიაა!.. მაგრამ სად? როდის?

ამ ფიქრებში ვიყავი ვართული, რომ ვხედავ, გამილიმა.

— უკაცრავად, თითქოს მეცნობით და ვერ მომიგონია კი საიდან, — ეამბობ მე და კიდევ უფრო ვაცქერდები მისი ღიმილით კიდევ უფრო გააკვირვებული...

— ამირინდო. ამირინდო... მივხვდი... გიცანი... მოვიგონე! — ვიძახი მე და უცებ თვალწინ წარმომიდგა პატარა, ფეხშიშველა, დაფხრეწილ ტანისამოსში გახვეული სნეული სახის, სიცივისაგან მთელი ტანით ააგდამგებული ამირინდო, რომელსაც საზიზღარი ჭიკოშა ვგრე ბოროტად მოექცა, როცა აყალოს ბურთულეებით სავსე კალათას ჰკრა ფეხი და ცხენისწყლის არხში გადაუგდო.

ამ აზრის თავში გავლები და ჩემი ფეხზე წამოდგომა ერთი იყო. ვუახლოვდები ამირინდოს, რომელიც ჩემზე არა ნაკლებ ალტაცებით წამოიჭრა ფეხზე და მაგრა ვართმევთ ერთმანეთს ხელს... ვეხვევით... ვკოცნით.

— მაშ შენ ამირინდო ხარ? ამირინდო?! — ვლულულუღებ და ისევ ვაცქერდები თვალბში.

— მე ამირინდო ვარ, მაგრამ თქვენ, თქვენ რატომ დამაბნით? გვარი რატომ გამოგიცვლიათ? — მიპასუხებს ამირინდო ათრთოლებული ხმით და ვამჩნევ სიხარულის ცრემლები მასაც მორევია თვალში.

— როგორ, ნაცნობებიც ყოფილხართ?! — მოგვესმა ამხ. ლევაყას შეკითხვა.

— ვართ და მერე როგორი?! — ეუპასუხებ მე და მერე ამირინდოს მკლავში ხელჩაჭიდებული ვეუბნები: — აბა, დაესხდეთ ამირინდო, მოუთხროთ ერთ მანეთს ჩვენ ჩვენი თავგადასავალი. გახსოვს, ბავშობისას გულდათუთქული გავშორდი. დაგპირდი, შემდეგ პარასკევს შეგვხვდები და რაიმეს დაგეხმარები მეთქი. ვერ შევასრულე ეს ჩემი სიტყვა. ვერ შევასრულე იმიტომ, რომ სიღარიბემ არც მე მომცა ნება, მეორე პარასკევს მქონოდა ის რამდენიმე გროში, რომელიც საჭირო იყო შენი აყალოს შესასყიდად.

— ეჰ, მახსოვს, მახსოვს... მეც იმიტომ იყო, რომ გავურბოდი შენთან შეხვედრას: უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენო მეთქი. მაგრამ რაც იყო, იყო. შენთან პირველი შეხვედრა მაინც მთელს ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. უპირველესად იმიტომ, რომ შენ პირველი იყავი, რომელიც თბილად და თანაგრძობით მომეხმარა და მეორე კიდევ იმიტომ, რომ შენ იყავი იმის მიზეზი, რომ მე თვალეში აჩენილა და საშუალება მომეცა ავისა და კარვის გაცნობისა, როგორც სოფლად იტყვიან ხოლმე.



ღარიბი და გაძევალტყავებული იყო სოფელი, მაგრამ კარდევ უფრო უარეს დღეში იმყოფებოდა ამირინდო კინწურაშვილის ოჯახი. მამა მალე გარდაეცვალა და წერილ და-ძმებისა და დედის შენახვა 16 — 17 წლის ამირინდოს დააწვა კისერზე. რა უნდა ექნა ცხოვრებაში გამოუცდელ, წერა-კითხვის უცოდინარ, ჯერ კიდევ ჯან-ლონით დაუმწიფარ კბაუკს, გარდა იმისა, რომ როცა თავისი ოჯახის საქმეებს მორჩებოდა, ლორთქიფანიძის მამულში მუშაობდა რამდენიმე გროშად დღეში, ან და დღიურ მუშად მზარზე თოხ-გადებული ვადიოდა ზონის ბაზარზე, რითაც იმდენს შოულობდა მხოლოდ, რომ სიმინდი ეყიდნა და ასე ერჩინა თავისი ოჯახი.

ეს ზაფხულობით.

ზამთრობით კი, როცა სამუშაოს მოძებნა მეტად ძნელი ხდებოდა, თავის ცალ ხარს შეუბამდა ასეთივე მეზობლის ცალ-ხარს მთიულ პატარა ჩოჩიალა ურემში... მეზობელთან ერთად წაეიღოდა საღმე ტყეში, დატვირთავდა შეშით ურემს და გაჰქონდა პარასკეობაზე ხონში გასასყიდად. ჩოჩიალა ურემზე დატვირთული შეშის ფასი არასდროს არ აღემატებოდა მანეთს — ექვსაბახს. ამ ფულის ნახევარს (მეორე ნახევარი მეზობელს მიჰქონდა) ჩაიდებდა რა ჯიბეში, გასწევდა პირველი მოთხოვნილების საჭირო საგნების — ნავთის, საპონის, მარილის — შესაძენად.

ასე ტანჯვითა და წამებით მიიზღაზნებოდა წლები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ამ სოფლამდინაც მიიღწია.

გლეხებმა ინსტიტუტურად იგრძნეს, რომ დადგა დრო თავად-მემამულის ლორთქიფანიძის მიწების ჩამორთმევისა.

ამირინდომაც მოასწრო ლორთქიფანიძისეულ მამულიდან ორიოდე ქცევა მიწის მოხვნა, მაგრამ არ გაუვლია რამდენიმე დღეს, რომ ზონიდან სოფელს მოადგა ვიღაც დღონტის მეთაურობით თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული მენშევიკური გვარდიის რაზმი.

აჯანყებულნი ზარბაზნებით გამორეკეს სოფლიდან.

ბერი დააპატიმრეს, მათ შორის ამირინდოც. პატიმრები ჯერ ზონსა და შემდეგ ქუთაისის საჯუბერნიო სატუსალოში გადაგზავნეს სასჯელის მოახდენლად.

რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ამირინდო ბრუნდება სოფლად. შეუდგა ისევ იმავე ძალღური ცხოვრების კაპანის წევას, რომელსაც წინად ეწეოდა. იყო თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული, უნუგეშო.

ოქტომბრის რევოლუციის მზემ საქართველოშიც შემოანათა.

მთელი სოფელი და მასთან ამირინდოც გაიშართა წელში.

ლორთქიფანიძის მამულები, საბჭოთა მთავრობის დეკრეტის ძალით, უდავიდარაბოდ ერთხელ და სამუდამოდ გადავიდა გლეხების ხელში.

სოფელს ღიმი მოუვიდა სახეზე... აპირმცინარდა. უკვე წამოზრდილი ძმების დახმარებით სამი ქცევა მიწვევებზე დასწრებით და იმავე წლის შემოდგომაზე, როცა სიმინდით გავსებულ ნაღიას დახედა, გულში გაივლო: პირველად ეიწვე მთელი წლის სამყოფ სარჩოსა.

გადიოდა წლები.

სოფელში გაიხსნა სკოლა. სალამობით კი მოზრდილებსაც იწვევდნენ წერა-კითხვის შესასწავლათ.

ამირინდომ და მისმა ძმებმაც იწყეს სიარული იქ, რის შედეგად ორი სამი წლის შემდეგ ამირინდო არა თუ გაზეთს კითხულობდა თავისუფლად, არამედ სხვადასხვა წიგნსაც დაეწაფა.

პოლიტიკურ საკითხებში უკვე გარკვეული ამირინდო შედის პარტიაში და ხდება სოფლის ბურჯად და მოჭირისუფლედ. სოფლად კოლმეტივის მოსაწყობად ბევრი შრომა და ჯაფა დასჭირდა, მაგრამ ერთხელ დასახული მიზნიდან არ გადაუხვევია და დღეს ახალ-ბედისეულის კოლმეურნეობა ერთ-ერთ საუკეთესო კოლმეურნეობად ითვლება რაიონში. ამასობაში ამ ლონძგორიის გორაკებაშისავე მოაღწია ბოლშევიკების ბარმა და წერაქემა.

მთელი სოფელი სახტად დარჩა.

მწირი, უნაყოფო, უდაბური ლონძგორია და ბარი!!

ეს რაღაც გაუგებარია!!

სხვებთან ერთად ამირინდოც მიდის ამ ლონძგორიის გორაკებზე გაჩაღებული სამუშაოების დასათვალეირებლად. ბევრმა განაცხადა სურვილი აქ მუშაობაზე. ამირინდოც ჩაითრია ამ საქმეში. რამდენიმე ხნის შემდეგ ქუთაისში ასრულებს სატრაქტორო კურსებს და დღეს, როგორც ვაგვაცნო ის ჩვენმა ამხანაგმა ლევაკამ, ერთ-ერთ საუკეთესო ტრაქტორისტად ითვლება აქ.

— ჩემი მუშაობა, — განაგრძობს ამირინდო, — იმით განსხვავდება სხვების მუშაობისგან, რომ უფრო აზრიანია. აზრიანობა კი იმაში გამოიხატება, რომ ტრაქტორი ისე მოხერხებულად და მარჯვედ გამოიყენო, რომ მთელი ასი პროცენტით მოაკემინო ის, რისი მოცემაც შეუძლია. სანამ მოვლილ, გასუფთავებულ ტრაქტორს შინდგრად გამოიყვანდე, გონება უნდა მუშაობდეს: სად და როგორ უნდა ებღღვნას ის ყამირს. ამგვარი გონებით ამუშავებული რკინის დევი არასდროს არ სცილდება მიზანს და ბოლოს სამუშაო, სათბობი მასალის უაღრესი დაზოგვით, ყოველთვის გეგმაზე მეტი გამოდის შესრულებული. მაგრამ ეს აზრიანობა მარტო ტრაქტორის მუშაობაზე არ ითქმის. ასეთი აზრიანობა საჭიროა ყოველგვარი მუშაობის დროს. ჯერ გონებას უნდა ააზომ-ააწონიო ესა თუ ის საქმე. რამდენჯერმე წინდაწინ უნდა განსჭვრიტო ის, რისი გაცეობაც განგიზრახავს და მაშინ, დამერწმუნეთ, შენს მუშაობას მეტი ზევაი და ზარბაქა ექნება. უფრო მეტიც: ის შესრულების ღირსების შვრივაც პირ-

ველხარისხოვანი გამოვა, რადგან ადამიანის გონება არასდროს მარტო უწყვედება იმ საქმეში, რომლის გაკეთებაც მას სურს სულითა და გულსა. ჩემი გამარჯვებაც ამით აიხსნება და არა იმ გარემოებით, თითქოს მე რაღაც ზღაპრულ დევის ან ჯადოქარის ძალ-ლონე და მოხერხება მქონდეს. მთავარია მონდომება და თუ ეს უკანასკნელი იქნება, გონებაც და ხელებიც თავისთავად ამუშავდებიან.

უფსმენ ამირინდოს და ვივსები სიამაყის გრძნობით, სიამაყით ვივსები მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ეს ხომ ახალი ადამიანია, რევოლუციის მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული.

ვინ იცის, ვინ, ან რა იქნებოდა ის, რევოლუციის რომ არ მოესწრო და არ დაეყენებია ცხოვრების სწორ და ნათელ შარავზაზე.

ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად გარდაიქმნა ადამიანის ფსიქიკაც და დღეს ამირინდოები ერთეულები კი არ არიან — ისინი მილიონობით ითვლებიან.

აი, ქეშმარიტად დიადი საქმე რევოლუციისა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში შექმნა მშრომელთა ფართო მასებისაგან შრომის ნამდვილ-სახალხო გმირები.

მზე უკვე ჩასვლას აპირებდა, როცა მეოთხე უბნის კანტორიდან გამოვედი.

როგორც ზემოთ ვთქვით, მეურნეობის ყველა უბანში რამდენიმე ასი კაცი და ჭალი მუშაობს მუდმივად. მუშების დიდ უმრავლესობას ქართველები და რუსები შეადგენენ.

ქართველები ახლო-მახლო სოფლებიდან მოდიან და ამათგან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ცხოვრობს აქ მუდმივად.

სამაგიეროდ რუსები და უკრაინელები აქ დღე და ღამ არიან და, მაშასადამე, მუშათა მდინარეობის აღსაკვეთად, მეურნეობის დირექციის მიზანს შეადგენს, რომ აქ მუშებს შეუქმნას ცხოვრების ისეთი პირობები, რომ მათ არ აღეძრათ სურვილი სხვა პირობებიანი სამუშაოს ძებნისა.

ამ მიზნით, როგორც ვთქვით, მუშებისათვის აგებულია დროებითი საცხოვრებელი ბარაკები, დროებით მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ მეურნეობის ფინანსიურად მოლონიერების შემდეგ დირექციას განზრახული აქვს მუშებისათვის ცალკე საცხოვრებელი კოტეჯების აგება, მაგრამ სანამ არ მომხდარა, მთელი გულსისყური უნდა მიქცეოდა საცხოვრებელ ბინებში სანიტარიის და ჰიგიენის ელემენტარული პირობების დაცვას. თუ ამ მხრივ შეიძლება სანიმუშოთ მივიჩნიოთ მეორე უბნის საცხოვრებელ ფარდულები, ასევე არ ითქმის დანარჩენი უბნების საცხოვრებელ ბინებზე.

ყველა საცხოვრებელ ბარაკებთან გახსნილია სხვადასხვა სამრეწველო საქონლით სავსე მაღაზიები და მუშები, ხონში სიარულის ნაცვლად პირველი საქირების სამრეწველო საგნებს აქ იძენენ.



ყველა უბანში არსებობს ქსენონი ექიმებით, ექიმის თანამშრომლებით და აფთიაქით.

მოწყობილია საბავშვო ბაგაც, რომელსაც განსაკუთრებული მომელო-ლი ჰყავს მიჩნეული.

მეურნეობის მთავარ უბანში მოეწყო აბანო, მაგრამ ასეთი აბანო უთუ-ოდ საჭიროა დანარჩენ უბნებისთვისაც, რადგან სიშორის გამო ამ აბა-ნოში სიარული მუშებს მეტად უძნელდებათ.

მაგრამ მთავარი, რაც მუშებს ყველაზე უფრო აინტერესებს, არის მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკრები. მიწის ამ ნაკრებზე თავისუფალ დროს მუშები თავიანთი ცოლშვილის დახმარებით იწევენ სხვადასხვა ბოსტნეულს, რასაც მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მიწის ნაკრები იმდენად იტაცებს ზოგიერთ მათგანს, რომ ისინი არც კი ფიქრობენ როდისმე მეურნეობის დატოვებას, მიუხედავად იმისა, რომ შორი ოლქებიდან არიან მოსული.

ყველა ზემოთ თქმულის მიუხედავად, დირექციას ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი, რომ სავსებით დააკმაყოფილოს უკვე კულ-ტურულ გზაზე შემდგარი მუშების მოთხოვნილება.

### დაჯილდოება.

დალამდა უკვე.

აეტოთი მივეჭრით მეურნეობის მთავარ უბნისაკენ.

ამხანაგ მაკარს კვლავ თავის კაბინეტში მოუწვევია ყველა უბნის აგ-რონომებისა და აგროტექნიკოსების კრება.

კრება თითქმის იმავე შემადგენლობისაა, როგორც იყო გუშინ სა-ლამოს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს იხილება საკითხი, თუ რო-გორ გამოიყენეს ის ხუთასი მუშა-ხელი, რომელიც ხონის რაიკომის ბიუ-როს გადაწყვეტილებით მახლობელმა კოლმეურნეობებმა მიაწოდეს ჩა-მორჩენილი სამუშაოების შესასრულებლად.

მაკარი ისმენს აგრონომების მოხსენებას.

გამოირკვა, რომ დღემ საერთოდ კარგად ჩაიარა.

ზოგიერთ უბანში თითქმის მთლად მორჩნენ იმ სამუშაოებს, რომ-ლებსაც, მუშა-ხელის სიმცირის გამო, ვადაზე შესრულების პირი არ უჩანდა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ამ საკითხის გარშემო კამათი. არ გაგრ-ძელებულა იმიტომ, რომ მოხსენებას ადგილებიდან მხოლოდ ინფორმაციის ხასიათი ჰქონდა. რა თქმა უნდა, განვლილი დღის მუშაობიდან აღნიშ-ნულ იქნა ესა თუ ის ნაკლი, მაგრამ, მიღწევებთან შედარებით, იმდენად



მცირე იყო ნაკლი, რომ მასზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტად იქნა მიჩნეული.

გათავდა თათბირის დღის წესრიგის პირველი საკითხი.

მეორე საკითხად დგას მეურნეობის მასშტაბით საუკეთესო დამკვრელებაც სიის შედგენა მათი დაჯილდოვების მიზნით.

სიტყვას იღებს ამხ. გრიგოლ კობეშვიძე.

ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა გრიგოლი მეურნეობის მუშაკთა თათბირს აცნობს იმ საუკეთესო სტახანოველებისა და დამკვრელების სიას. რომელნიც დაჯილდოვებულ უნდა იქნან სხვადასხვა ნივთებით თუ ფულადი საჩუქრებით.

აი ეს პირები:

ვასილ ხოჯავა და ნოე გუბელაძე ახალგაზრდა საბჭოთა აგრონომები. ამ ამხანაგებმა პირველად საბჭოთა ჩაის მეურნეობებში (ეს აკარაში მოხდა) ე. წ. შავ-მუშებად დაიწყეს მუშაობა. იმ დღიდან ისინი სულ ჩაის მეურნეობაში მუშაობენ. ოთხი წლის წინად გადმოყვანილ იქნენ ზონისა ჩაის მეურნეობაში.

თავიანთ ბეჯითი, დამკვრელური და გონიერი მუშაობისათვის ისინი ჯერ კიდევ ზონის მეურნეობაში გადმოყვანამდის დაწინაურებულ იქნენ აგროტექნიკოსებად. ამ ორი წლის წინად კი ისინი დანიშნეს აგრონომების თანამდებობაზე.

ნიკიერმა ხოჯავამ და გუბელაძემ თავიანთ მრავალი წლის პრაქტიკულ საქმიანობაში ისე შეისწავლეს ჩაის ბუჩქის გაზრდისა და მოვლის საქმე, რომ, თუმცა თეორეტიული სწავლა-განათლება არ მიუღიათ, არასდროს არ ტყუედებიან ჩაისათვის შესაფერი ნიადაგის გამოძებნისა და მოვლა-აღზრდის საკითხებში.

ამხანაგი კობეშვიძე ათავენს ამ ორი ახალგაზრდა საბჭოთა აგრონომის დახასიათებას. დარბაზში ერთბაშად ვაისშის ტაშის ცემა. ყველა პირმკინარე, მზიარული უკრავს ტაშს გრძელ მაგიდასთან მიმჯდარ ორ ახალგაზრდას და ესენიც, ერთგვარი უნერხულობით შებყრობილნი წითლდებიან, ოფლში იწურებიან... არ იციან, როგორ მოიქცენ.

შეწყდა ტაშის ცემა. გრიგოლ კობეშვიძე განაგრძობს გვარების ამოკითხვას და დახასიათებას. მესმის გვარები: ამირინდო კინწურაშვილი, ანეტა ჩიხლაძე, შურა ქელბაქიანი, ვახტანგ ლაითაძე, ალექსი ევდოკიმოვი, პელაგია მაქსიმენკო, სტეფანე მელნიკოვი და სხვ. და კანდიტატების დახასიათების შემდეგ კვლავ ისმის ტაშის ხმა და მოწონების შეძახილები.

ვათვალეირებ დარბაზს.

თვალში მხედებიან ამირინდო, ანეტა და სხვები... მათ სიხარულისაგან და სიამაყის გრძნობისაგან სახე აკარხლებიათ, თვალები გაბრწყინებულიათ. ვინ იცის, რა ბედნიერების ცისთვის შიუბჯენიათ მათ ეხლა თავები...

განა როდესმე წარმოიდგენდა აყალოს მიწის გამყიდველი ჩამოხვეული-  
 ჩამოგლეჯილი, სნეული ამირინდო ან საკუთარ წყვეტილ მოფუსფუსე, მაგრამ ანჩხლი დედინაცვლის მიერ შუღამ დღე  
 ნალანძლი და ნატუქსი ანეტა, რომ ასეთ ბედნიერებას ჩაეკვრებოდა  
 გულში?!

გათავდა კობეშვიძის, ასე ვთქვათ, მოხსენება და ტაშის ცემამ ისევ  
 დაადასტურა შერჩეული კანდიდატების სიის სისწორე.

გადაწყდა ხვალ მუშათა საერთო კრებაზე გამოცხადებულ იქნას ამ  
 ამხანაგების საჯარო დაჯილდოება.

სბდომა იხურება.

მე მივდივარ და ვულოცავ გამარჯვებას ამირინდოს...



პროფ. გ. ნანეიშვილი

## ახალი კონსტიტუციის პროექტი და საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა უზღება-მოვადეობანი

საბჭოთა ქვეყნის სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც კომუნისტების იდეების მატარებელმა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელმა ხალხმა მკაფიოდ და ნათლად შეაჯამა მთელი თავისი გამარჯვება, დაიბადა სწორედ მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნები და კაპიტალისტური წესწყობილება ღრმა დაცემისა და გახრწნის პერიოდში იმყოფება, დაიბადა სწორედ მაშინ, როდესაც „ბურჟუაზია აფურთხებს ყველა იმას, რაც მის სახელმძღვანელოებში, მის ლიტერატურასა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ჩაწერილია, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების უმალესი მიღწევა“ (მოლოტოვი).

ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტი დიდი იმით, რომ იგი წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ძირითად კანონს, რომელიც თავისუფალმა მშრომელმა ხალხმა საკუთარი ხელით შექმნა, იმით, რომ მასში, რეალური სახელმძღვანელო პრინციპების სახით, მოცემულია ყველაფერი ის, რისთვისაც საუკუნეების განმავლობაში მშრომელი ხალხი, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი იბრძოდა, იმით, რომ სწორედ ის ამოწმებს თუ რა შეუძლია გააკეთოს განთავისუფლებულ, ბედნიერ ხალხს.

სტალინური კონსტიტუცია არის იმ სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც თვით ხალხმა შექმნა, მაშასადამე, ის პირველი ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუციაა, ამიტომ ყოველი მასში აღნიშნული პრინციპი და დებულება — ბეჭდვის, სიტყვის, კრების თავისუფლება, ისევე, როგორც უფლება შრომაზე, განათლებაზე, და სხვა — სულ სხვა რამეს ნიშნავს და გამოხატავს, ვიდრე იგივე პრინციპები გამოხატავენ იმ კონსტიტუციებში, რომლებიც დაწერილია ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ — თუნდაც იმითომ, რომ ყველა ის უფლება, რაზედაც ჩვენი კონსტიტუცია ლაპარაკობს, იმ ნამდვილი თავისუფლების გამომხატველია,

რომლითაც კაცობრიობის მთელს ისტორიაში პირველად მხოლოდ ჩვენი მშრომელი ხალხი სარგებლობს.

ყველა ამ უფლებით სარგებლობა ჩვენს ქვეყანაში, სახელმწიფოში ხალხურ სახელმწიფოში შესაძლებელი ვახდა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა მშრომელი კაცობრიობისა და თავისი თავის წიხაზე პირხათლად შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება, ამიტომაც ცხადია, რომ თითოეული დასახელებული უფლების საფუძველი არის თითოეული მოქალაქის ის მოვალეობა, რომელიც ამ ხალხის მიმართ მან უნდა შეასრულოს, რათა ეს ნამდვილი თავისუფლება ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივი და ხელუხლებელი იყოს.

ახალი კონსტიტუციის 130 მუხლის თანახმად, „ს. ს. რ. კავშირის თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყრას სოციალისტური თანაცხოვრების წესებს“. ჩვენი კანონები მთელი მშრომელი ხალხის ინტერესების გამოშვებელია. ქმარტივი სიტყვებით შეგვაძებნულია ყველა მისი მიღწევა. ყველაფერი, რაც მშრომელი კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ჩვენს კანონებში სავალდებულო სახელმძღვანელო კონკრეტულ დებულებების სახით არის მოცემული. ეს კანონები აღიარებენ მოქალაქეთა პირად საკუთრებას მათს შრომითს შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და საოჯახო მეურნეობაზე, ისინი უზრუნველყოფენ უფლებას შრომაზე, დასვენებაზე, და განათლებაზე, ანიჭებენ ჭალს შამაკაცთან თანასწორ უფლებას სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ცხოვრების ყველა დარგში, აღიარებენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, სცნობენ მოქალაქეთა სინდისის თავისუფლებას და საერთოდ აკანონებენ ყველაფერ იმას, რაც კაცობრიობის მშრომელი ნაწილებისათვის საუკუნეთა განმავლობაში გახუბორცილებელი ოცნების საგანს წარმოადგენდა.

ასეთი კანონების დაცვა ყოველი მოქალაქის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს. თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველასათვის სავალდებულოდ ზღიან იმ კანონებს, რომლებიც დაიწერა კერძო საკუთრების წინააღმდეგ მებრძოლთათვის აგებულ საბრძოლველთან და რომლებმაც ბედნიერება მხოლოდ მუქთახორებს შეუქმნა, ჩვენში ყოველ მოქალაქეს ვეალება იმ კანონების შესრულება, რომლებიც მთელი მშრომელი ხალხის გამარჯვებით არის დაწერილი და რომლებიც იცავენ ყოველივე იმას, რაც ადამიანს მის ნამდვილ ღირსებაში ამჟღავნებს. ჩვენი მოქალაქე მხოლოდ ამ კანონების ყოველდღიური შესრულებით უნ-





და ამტკიცებდეს, რომ იგი ნამდვილი წევრია იმ სახელმწიფოსა, რომლის ხალხიც კაცობრიობის ისტორიაში პირველი არის ბედნიერი და უფასო საკუთარი ღირსების სრული შეგნებით. ამ ხალხს და მის სახელმწიფოს მართლაც შეუძლიათ უთხრან ყოველ თავიანთ წევრს: ჩვენ შევქმენით შენი ნამდვილი ღირსება, მოგვეით ყველაფერი ნიჭისა და უნარის გამოსამყვანებლად, მოგიტანეთ სიბარული და ბედნიერება, და შენც ვალდებული ხარ შეასრულო ის კანონები, რომლებშიაც ჩვენი ნება გამოცხატეთ და რომლებიც შენი კეთილდღეობის აუცილებელი პირობაცაა.

საბჭოთა მოქალაქე ყველგან ერთნაირ სიმაღლეზე უნდა იდგეს, ყველაფრით უნდა ამტკიცებდეს იმას, რომ იგი სოციალისტური საზოგადოების წევრია. საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის მაღალ სახელწოდებასთან უპირველესად ყოველისა დაკავშირებულია უამრავი მოვალეობა, რომლების ერთნაირი პატივისცემა აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი მოქალაქე იდგეს იმ დონეზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის შეუპოვარი წინსვლით არის მიღწეული. მხოლოდ ამ მოვალეობათა შესრულებით დაამტკიცებს იგი, რომ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი წევრია, დაამტკიცებს მეტსაც, რომ იგი თავის სფეროში მთელი მშრომელი მოწინავე კაცობრიობის სურვილებს ანხორციელებს. შეუძლებელია საბჭოთა ნამდვილი მოქალაქე ერთი რომელიმე მხრით შეეზარდოს ჩვენი საზოგადოების მიღწევებს, ხოლო თავისი სხვა მხარეებით ეშვებოდეს იმ საფეხურამდე, რომელიც ძველი საზოგადოების ჩამორჩენილობას გამოხატავდა.

საბჭოთა ქვეყნის ყოველი მიღწევა თავისთავად ავალდებულებს მის თითოეულ წევრს: ყოველი ახალი გამარჯვება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ხაზით ჩვენს მოქალაქეს მოქმედების ახალ გეგმას უსახავს. მოითხოვს მოქალაქისაგან ახალ დონემდე ამაღლებას. ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ადამიანის ღირსების და მნიშვნელობის დაფასებისა და მისდამი მზრუნველობის საქმეში, თავისთავად ავალდებს ყოველ მოქალაქეს ასეთივე მზრუნველობა და პატივისცემა გამოიჩინოს ცოცხალი ადამიანებისადმი ყველგან და ყოველთვის. საბჭოთა ჰუმანიზმი სწორედ იმაშია, რომ მან ადამიანი თავის ნამდვილ ღირსებაში აღადგინა, და სწორედ ეს ჰუმანიზმი, რომელიც ჩვენი საზოგადოების მიღწევების საფუძველზე გაიშალა, თავისთავად ავალდებს ყოველ მოქალაქეს ღირსეულად მოეპყრას ყველგან და ყოველთვის ადამიანების ღირსებას, მათ დროს, მდგომარეობას, ინტერესებს, სურვილებს და სიბარულს.

რა თქმა უნდა, მანქიანია, როგორც საბჭოთა მოქალაქე, ის მამა, რომელსაც შვილების მიმართ მოვალეობას ყოველი თვის დამღვევს სასამართლოს აღმასრულებელი აგონებს. რა თქმა უნდა, არასასიამოვნოდ უნდა მოეჩვენოს ცხოვრება იმ ადამიანს, რომელსაც თავისი მოვალეობა ვერ გაუგია და რომელსაც ცოლი და შვილი ყოველ წუთს კოდექსებით

ხელში აგონებენ იმას, რაც მათ სასამართლოს გზით შეუძლიათ მიიღონ მისგან.

ის გამარჯვებები, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა მიიღო, სახელმწიფო-სოციალისტური საზოგადოების კანონებს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, აყალიბებენ საზოგადოებრივ მოვალეობას, და ყოველი ჩვენი მოქალაქე ამ წესებს უღრმესი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს, რათა ამ გზით შერჩეს ჩვენი საზოგადოების განვითარების დონეს.

საბჭოთა მოქალაქის უდიდეს მოვალეობას წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების დაცვა, რომელიც სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრებისაგან შესდგება. ეს საკუთრება მშრომელმა კლასმა მოიპოვა ჯერ ბრძოლით და შემდეგ გაზარდა თავისი აღფრთოვანებული დაუღალავი მუშაობით. ამ სოციალისტური საკუთრების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ის ვეებერთელა სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ის ბედნიერი და საამური ცხოვრება, ადამიანის იმ ნამდვილ ღირსებაში აღდგენა, და პირადი საკუთრების გაფართოება იმ მოსახმარ საგნებზე, რომლის მოწმენიც დღეს ჩვენ ყველანი ვართ. თუ ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ წმინდათა წმინდად აღიარა კერძო საკუთრება, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა ხალხის უდიდესი ნაწილის დამონაეება, ყოველი სახის უთანასწორობის დამკვიდრება, სხვისი შრომის შითვისების დაკანონება და სხვა, — აქ, ჩვენში, წმინდათა წმინდად აღიარებულია ის საკუთრება, რომელიც ჩვენი დიდი სამშობლოს სიმდიდრის ძლიერებისა და ყოველი მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყაროა. რაც დღეს ჩვენში მშრომელს აქვს — სიხარული, თავისი სრული ადამიანური ღირსების შეგნება, იმედი, ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მისი ყოველდღიური ცოცხალი განწყობილების აუცილებელი შემადგენელია, ყველაფერი ეს სოციალისტური საკუთრების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

სოციალისტური საკუთრების ნაწილის მოპარვა სამშობლოს ნაწილის ქურდობასაც ნიშნავს, რადგან ყველა ქარხანა-ფაბრიკა, მთელი მიწა, მისი წიაღი, წყლები და ტყეები თავიანთი აუწყრელი სიღამ: ზით და უთვალავი სიმდიდრით წარმოადგენენ ამ სამშობლოს საკუთრებას. ესე იგი საყოველთაო სახალხო საკუთრებას.

მხოლოდ საზოგადოების ნაძირალებს შეუძლიათ სოციალისტურ საკუთრებაზე ხელი ასწიოს, ვინც უფლის ამ საკუთრებას, მან აუ შეიძლება ბედნიერება არ განიცადოს, რადგან გრძნობს, რომ იმ ხალხის ნაწილია, რომელმაც ამდენი რამ შექმნა. თუ ბურჟუაზიული საკუთრების სამსახურით ადამიანი იკეტება პარტიკულიარული ყოფის საზღვრებში, ჩვენში სოციალისტური საკუთრების ერთგული მსახური გამოდის ასეთი ყოფიდან და მჭიდროდ უერთდება იმ მთლიანობას, რომელსაც მშრომელი ხალხი ეწოდება. ასეთი სამსახურით ის თავისავე თვალში იზრდება და უფრო ცხადად

ხედავს თავის ღირსებას და მნიშვნელობას. ვერაფრით ჩვენს მოქალაქე ვერ დაამტკიცებს თავის ხალხთან კავშირში ყოფნას, მსგე უჩინარად სოციალისტური საკუთრების მოვლით. ამ სოციალისტურმა საკუთრებამ შექმნა ჩვენი ხალხის დიდება, ძალა, სიხარული და ბედნიერება, და თავისთავად ცხადია, რომ უპირველეს ყოვლისა მასთან (ხალხთან) დამოკიდებულება უნდა აშკარავდებოდეს ამ სოციალისტური საკუთრებისადმი შოპყრობაში. ამიტომაც ჩვენი კონსტიტუციის პროექტი მოითხოვს, რომ ს. ს. რ. კავშირის თითოეული მოქალაქე გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდა და ხელუხლებელი საფუძველი.

ჩვენი მშრომელი ხალხი პირველია ისტორიაში, რომელმაც თავისი საკუთარი ხელით ლ ე ნ ი ნ უ რ - ს ტ ა ლ ი ნ უ რ ი პარტიის ხელმძღვანელობით თავისი სახელმწიფო შექმნა. ეს ის ხალხია, რომელმაც შექმნა ოქტომბერი, დასწერა 1918 და 1924 წლების კონსტიტუციები და დღეს თავისი გამარჯვება მკაფიო და ნათელი სიტყვებით შეაჯამა ახალი კონსტიტუციის პროექტში. საბჭოთა სახელმწიფოს ხალხი ის ხალხია, რომელმაც საზოგადოებას ნამდვილი თავისუფლება მოუტანა, მოსპო ადამიანის ღირსების ყოველნაირი შეზღუდვა, გაათანასწორა რასები და ეროვნებანი, კაცი და ქალი, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და საერთოდ განახორციელა ყველაფერი ის, რაც მშრომელი კაკობრიობის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს საუკუნეების განმავლობაში ანთებული გულით მოჰქონდა, როგორც განუხორციელებელი ოცნება. ეს ხალხი დღეს ძლიერია უამრავი გამარჯვებით, ძლიერია ნათელი გზით, რომელიც მან კაკობრიობის უდიდესი გენიოსის ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით გაიარა, ძლიერია საკუთარი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პათოსით, იმის შეგნებით, რომ ყველაფერი, რაც საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია, მისია.

ამ მხრივ და ამ მნიშვნელობით ეს ხალხი სულ ახალი თვისებით არის აღჭურვილი. ის არა ჰგავს არც იმ ხალხს, რომელზედაც ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები სწერენ; არა ჰგავს არც იმას, რომელიც მხედველობაში ჰყავდა „კანონების სულის“ გენიალურ ავტორს, მანტესკიეს, არც იმ „ხალხს“, რომელზედაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დღეებში აბატი სეისი და მამლე „ზრუნავდნენ“, მათ შემდეგ კი ათასი სხვა, რომელნიც ხალხს განმარტავდნენ ისე, როგორც მათი პოლიტიკური კონცეპციების ინტერესები მოითხოვდნენ — ხან აღფრთოვანებით, როგორც რუსო, კანტი, ჰეგელი, ხან ზიზლით, როგორც რეაქციის იდეოლოგები დე-მესტრი, ტენი, მორასი, ვალუა, და ხანაც, როგორც ბრაისი, ლერუა, ბოლიე, ფულიე, და სხვები, რომლებიც, ცნობდნენ რა ხალხს ყველაფრის დასაწყისად, არ იზიარებდნენ მის მიმართ ჟან-ჟაკ რუსოს აღტაცებას.

ჩვენი, საბჭოთა ქვეყანაში ეს ხალხი თვითონ ლაპარაკობს და მან პირველად საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიიდან ამცნო, როდესაც მთელ კაცობრიობას, თუ რა იყო ის და რისი თქმა და გაკეთებაც შეეძლო. ჩვენ ხალხის მიერ შექმნილი მუსიკა, ლიტერატურა, მეცნიერება, ყოველი მისი ბრძოლა წყალთან და პაერთან, დროსთან და მანძილთან, ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რისი გაკეთება შეუძლია მშრომელ ხალხს ქვეყნის თვისუფლების პირობებში.

ასეთი ხალხის წევრად ყოფნა ადამიანს ავალდებულებს. მის ნამდვილ წევრს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ თავისი წევრობის პასიური შეცნობით. ასეთი ხალხი მოითხოვს ყველასაგან ყოველ წუთს საკუთარ თვისებებზე მუშაობას, რათა ყოველმა მისცეს, ხალხს, რომელმაც ამდენი რამ შექმნა ნიჭისამებრ. ასეთი განვითარების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია ჩვენი სახელმწიფოს მიერ საყოველთაო-სავალდებულო დაწესებით განათლებით, უფასო განათლებით, უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით. ყოველი ჩვენი მოქალაქე ვალდებულია იმუშაოს საკუთარ ნიჭზე და სტახანოვურად მისცეს ყოველივე ამ ნიჭიდან იმ სახელმწიფოს და საზოგადოებას, რომლებმაც მას ამდენი შემატეს. ჩვენი მოქალაქე მისთვის დაკისრებული ყოველი პატარა და დიდი საქმის გაკეთებით უნდა გრძობდეს, რომ ის „თავისი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეა რომ ის თავისებური საზოგადო მოღვაწეა“ (სტალინი.) ამრიგად, ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია თავისი ნიჭი და ფიზიკური ძალღონე ისე განავითაროს, როგორც ამას ჩვენი სახელმწიფოს და ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს. ყველაფერ ამას თავის-თავად გულისხმობს ახალი კონსტიტუცია.

ჩვენი ხალხი დღეს სულ სხვანაირად ითვისებს თავისი ქვეყნის სილამაზეს, სხვანაირად აფასებს თავისი ქვეყნის სიმდიდრეს. მას ეხლა გარს აკრავს, ყველაფერი, რაც მისად ითვლება, დღეს იგი ყველაფერში თავისი უნარიისა და ნიჭის გაშლის საშუალებას ხედავს. ამ გარემოცულობაში შეუძლებელია თავისუფლად ილაპარაკოს მის მიერ დამორჩილებული ბუნების შესახებ და თავისუფლად მოიგონოს საკუთარ ენაზე ის მწარე და ტანჯვით სავსე გზა, რომელიც წარსულში განელეს მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა. ამ ხალხს ეხლა აქვს ნამდვილი სამშობლო, რომელიც მას სიხარულით უხსნის თავისი მთების, მიწის, წყლებისა და ტყეების უხვ გულს. ამიტომ ძვირფასი სამშობლოს დაცვა ს. ს. რ. კავშირის ყოველი პარტიოვანი მოქალაქის წმინდა მოვალეობაა, ხოლო სამშობლოს ღალატად იცნოს გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლი-

ერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა უცხო სახელმწიფოს ინტერესებ-  
ლოდ ჩვენი კონსტიტუციის პროექტის მიერ (137 მუხლი) განიხილება  
როგორც ყველაზე უფრო მძიმე ბოროტმოქმედება.

საბჭოთა კონსტიტუცია მთლიანად ბურჟუაზიული კონსტიტუციები-  
საგან იმითაც განსხვავდება, რომ ყოველი პრინციპი, რომელიც მის მიერ  
კონსტიტუციაშია აღნიშნული, რეალური პრინციპია, ყოველი მის მიერ  
აღიარებული თავისუფლება ნამდვილ თავისუფლებას ნიშნავს, მაშინ,  
როდესაც ბურჟუაზიული კონსტიტუციის ყოველი პარაგრაფი, როგორც  
ამას მარჯვნივ აღნიშნავს, „თავის თავშივე შეიცავს საკუთარ წინააღ-  
მდეგობას, თავის საკუთარ ზემო და ქვემო პალატას: თავისუფლებას ზო-  
გად ფრაზაში, ამ თავისუფლების გაუქმებას შენიშვნაში“. და მართლაც,  
არ არსებობს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში არც ერთი აღიარებული  
თავისუფლება, რომ მისი ლეგალური უარყოფის საშუალება თავიდანვე  
არ იყოს გათვალისწინებული. და ეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საე-  
სებით ბუნებრივია, რადგან „ნამდვილი თავისუფლება შეიძლება იყოს  
მხოლოდ იქ, სადაც მოსაპოვებელია ექსპლოატაცია, სადაც არ არსებობს  
ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ჩაგვრა, სადაც არ არის უმუ-  
შევრობა, სადაც ადამიანი არ კანკალებს იმისთვის, რომ ხეალ შეიძლე-  
ბა დაქარგოს სამუშაო, ბინა და პური“ (სტალინი). რადგან „თავისუფ-  
ლება, რომელიც არ ემორჩილება შრომის განთავისუფლების ინტერესებს  
კაპიტალის უფლიდან, არის სიცრუე“ (ლენინი). ბურჟუაზიული კონსტი-  
ტუციის მიერ აღიარებული თავისუფლების ლეგალური გაუქმების გზა  
უამრავია: 1) იგი შეიძლება გაუქმებულ იქნას ყოველ წუთს სახელმწიფოს  
მიერ ახალი აქტების გამოცემით; 2) კონსტიტუცია ითვალისწინებს შემ-  
თხვევებს, როდესაც - ეს თავისუფლებანი შეიძლება შეჩერებულ იქნას  
ხელისუფლების მიერ; 3) ან თვით სათანადო პარაგრაფს, რომელიც  
ამ თავისუფლებას აღიარებს, უკეთებენ, შენიშვნას, რომლითაც ის უარ-  
ყოფილია; 4) ან, თუმცა ესა თუ ის მუხლი აღიარებს უფლებებს, მაგრამ  
მოქმედ კანონმდებლობაში უცვლელად რჩება ის მუხლები, რომლებიც  
შასთან შეუსაბამოა; 5) ან, ბოლოს, კონსტიტუციის ესა თუ ის მუხლი, რო-  
მელიც მოქალაქის ამა თუ იმ პოლიტიკურ უფლებას ცნობს, იმდენად  
ზოგადად, განყენებულად არის აღნიშნული, რომ მისით სარგებლობა,  
როგორც კონკრეტ სახელმძღვანელო პრინციპით, შეუძლებელი ხდება.

ა) ცნობილი, მრავალჯერ ქებული ინგლისის Habeas corpus Act-სა  
და შემდეგში მასში შეტანილ უამრავი შესწორების თანახმად, უზრუნ-  
ველყოფილია მოქალაქის პიროვნების ხელუხლებლობა ადმინისტრაციის  
მხრივ. Habeas corpus Act-ის მოქმედების დროს არც ერთი მოქალაქე  
არ შეიძლება შეპყრობილ იქნას მოსამართლის დადგენილების გარეშე  
და არც ერთი მოქალაქის ბინა არ შეიძლება გაიხრეკილ იქნას, გარდა  
იმ შემთხვევებისა, როდესაც ამაზე მოსამართლე იძლევა სპეციალურ ვა-

რიანტს, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნულნი მსჯელობები უნდა იქნას ამოღებული. სანამ ინგლისის მყუდროებას არაქონებოდა და მისი კანონები ხორციელდება, ეს Habeas corpus Act-ი ძალაში რჩება და იცავენ ამ „თავისუფლების“ ილუზიას. მაგრამ რა წუთშიაც ხელისუფლება თავის თავს საშიშროებაში ხედავს, მის პარლამენტს გამოაქვს დადგენილება, რომელსაც ეწოდება Habeas corpus Act-ის „შეჩერების აქტი“, რის შემდეგაც ინგლისის ადმინისტრაციას თავისუფალი თარეშის უფლება ეძლევა. Habeas corpus Act-ი ამ მოსაზრებით ბევრჯერ ყოფილა შეჩერებული და ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ბრიტანეთის პოლიცია იშვიათ თვითნებობის ნიმუშებს იძლეოდა. მაგრამ რათა ამ პერიოდში ადმინისტრაციას უფრო გაბედულად ემოქმედა, ყოველთვის Habeas corpus Act-ის აღდგენასთან ერთად ინგლისის პარლამენტი გამოსცემდა ხოლმე ეგრეთწოდებულ ამნისტიის აქტს, რომელიც გულისხმობდა, რომ ინგლისის ვერც ერთი მოსამართლე ვერ მიიღებდა განსახილველად საჩივარს Habeas corpus Act-ის შეჩერების დროს პოლიციის მოხელის მიერ ჩადენილ თვითნებობაზე. ასე რომ Habeas corpus Act, სანამ ეს შესაძლებელია, ქმნის ილუზიას, რომ იგი მართლაც იცავს „ველეა მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს“, ხოლო მაშინ, როდესაც ამ უფლებებით სცდილობდა ესარგებლა მოწინააღმდეგე კლასს, ბურჟუაზია იხსნა და ნიღაბს და თავის პოლიციას უბრძანებდა — არ დაეხოვა არავითარი საშუალება „წესრიგის“ აღსადგენად. „წესრიგის“ აღდგენა კი ბურჟუაზიას ყოველთვის საჭიროდ მიაჩნდა მაშინ, როდესაც მუშათა კლასი ცდილობს კონსტიტუციური აქტებით აღიარებული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები ფართოდ გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

1920 წლის 11 ივლისის კანონით სახელმწიფო დაცვის შესახებ განსაკუთრებული საშიშროების შემთხვევაში, რომელიც შევსებულ იქნა 1922 წლის სპეციალური კანონით — „Emergency Power Act“, დასახელებული Habeas corpus Act-ის შეჩერების პრაქტიკამ ფაქტიურად მნიშვნელობა დაკარგა. ეხლა უკვე არსებობს, ასე ვთქვათ, სტაბილური კანონი, რომლის საფუძველზედაც ბრიტანეთის ხელისუფლებას მდგომარეობის თავისი შეკავებისამებრ შეუძლია მიიღოს ყოველნაირი უკიდურესი ზომა, იმათ მიმართ, ვინც ბრიტანიის სახელმწიფოს წესრიგს ემუქრება. ანალოგიური აქტებით სხვა ქვეყნებშიაც გადავიღებულ იქნა კონსტიტუციით აღიარებული ეგრეთწოდებული პოლიტიკური უფლებების გაუქმების ტექნიკა. ასეთია მაგალითად, სამხრეთ-სლავიაში 1921 წლის კანონი სახელმწიფოში საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის შესახებ; ჩეხო-სლოვაკიაში — 1923 წლის კანონი რესპუბლიკის დაცვის შესახებ; რუმინეთში — 1924 წლის 19 დეკემბრის კანონით სახელმწიფოს დაცვის შესახებ; იტალიაში — 1926 წლის 29 ნოემბრის კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ; დანიაში — 1929 წლის 27 მარტის კანონი

თავისუფალი შრომის დაცვის შესახებ და სხვ. ეს კანონები უკლებლად წარმოადგენენ იმ „შენიშვნას“, რომელშიაც უარყოფითად არის გამოხატული „კონსტიტუციების“ ზოგად ფარავნით არის ნაბოძები.

ბ) საუკეთესო მაგალითი იმისა, როდესაც თვით კონსტიტუცია შეიცავს დებულებას, რომლის საფუძველზე შეიძლება შეჩერებულ იქნას მის მიერვე აღიარებული თავისუფლებანი, არის 1919 წლის 11 აგვისტოს ვაიშარის კონსტიტუცია, რომელიც, ასე ურცხვად ფეხქვეშ გათელეს სისხლიანმა ფაშისტებმა. დასახელებული კონსტიტუციის მთელი მეექვსე თავი დაწყებული 109 მუხლიდან, განსაკუთრებით 114, 115, 117, 118, 123 და 124 მუხლები, ლაპარაკობენ მოქალაქის პიროვნების, ბინის, კორესპოდენციის ხელუხლებლობაზე და აგრეთვე სიტყვის, სინილისის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებაზე, მაგრამ ამავე კონსტიტუციის 48 მუხლი აღნიშნავდა, რომ გერმანიის პრეზიდენტს უფლება აქვს, როდესაც საჭიროდ დაინახავს, შეაჩეროს ყველა დასახელებული მუხლების მოქმედება. ასე სანამ გერმანიაში გამოვიდოდა 1933 წლის 4 თებერვლის კანონი „გერმანიის ხალხის დაცვის შესახებ“, გერმანიის მთავრობა 48 მუხლის ძალით აკეთებდა იმას, რასაც შემდეგში ამ 4 თებერვლის კანონის საფუძველზე ანხორციელებდნენ. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ყველა ეს „შენიშვნა“.

გ) იმის მაგალითი კი, როდესაც იმას, რასაც კონსტიტუცია იძლევა, სხვა მომქმედი კანონი აუქმებს, უამრავია. ასე, მაგალითად, იმავე ვაიშარის კონსტიტუციის 109 მუხლი აღიარებდა ყველა მოქალაქის თანასწორობას სქესის მიუხედავად. მაგრამ, მიუხედედა ამისა, ძალაში რჩებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1589 — 1906 მუხლები, რომლებიც, ეხებოდნენ რა აღიშნებების, განჭორწინების, ქორწინების, მემკვიდრეობის გაყოფის, ბავშვების აღზრდის საკითხებს, თვალსაჩინოდ აღიარებდნენ მამაკაცის უპირატესობას დედაკაცთან შედარებით. და როდესაც ერთმა გერმანელმა გულუბრყვილო მეცნიერმა ვაიშარის კონსტიტუციის გამოქვეყნებასთან ერთად მოითხოვა მომქმედი კანონმდებლობის ამ ნაწილის შეთანხმება კონსტიტუციასთან, უფრო წინდახედულმა ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა გულახდილად უსაყვედურეს იმ „ელემენტარული ჭეშმარიტების“ უკოდინარობა, რომ კონსტიტუცია მხოლოდ მომავალი პროგრამა და მისი გამოქვეყნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი, რაც მას ეწინააღმდეგება, უსათუოდ მასთან თანხმობაში უნდა იქნას მოყვანილი. ან კიდევ ანალოგიური მაგალითები: იმავე კონსტიტუციის 115 მუხლი ამბობდა, რომ მოქალაქის ბინა ხელუხლებელია, ხოლო უამრავი პოლიტიური კანონისა და 1920 წლის 11 ივნისის კანონის თანახმად, ხელისუფლებას შეეძლო ბინის პატრონის სურვილების წინააღმდეგ ამ ბინაში შეჭრა, მისი განხრევა და მესამე პირისთვის საცხოვრებლად გადაცემა. ან 112 მუხლის მიხედვით ყოველ გერმანელს უფლება ჰქონდა თავისუფლად გასულიყო სახელმწიფოს ფარგლებიდან,

მაგრამ ჯერ 1918 წლის და 1919 წლის 14 ივნისის კანონები ისეთ საგარანტიო თანხებს აწესებდნენ უცხოეთში გამსვლელთათვის, რომელთა ქვეყნურად ამ უფლებით სარგებლობა ყველასათვის, გარდა შიდასაზღვრისა, შეუძლებელი ხდებოდა. 111 მუხლით გათვალისწინებული გერმანიის უფლება — დასახლებულიყო, სადაც მოესურვებოდა, უარყოფილი იყო 1920 წლის 11 მაისის და 1919 წლის 23 ივლისის კანონით ბინების განაწილების შესახებ, რაც განსაკუთრებული სიმძიმით სამუშაოს მაძიებამუშებს აწევბოდა.

დ) იმავე კონსტიტუციის 113 მუხლი აღნიშნავდა, რომ შეიძლება დაშვებულ იქნას სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებში არა გერმანულ ენაზე მოლაპარაკე გერმანელი ქვეშევრდომის დედაენაო. მაგრამ არც ეს კანონი, არც რომელიმე სხვა კანონი არ განმარტავდა, თუ რა პირობებში და რა შემთხვევაში იყო შესაძლებელი გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არაგერმანული ენის გამოყენება. სწორედ იმის გამო, რომ ეს მუხლი ასე ზოგად ხასიათს ატარებდა, იგი ვერასოდეს სახელმძღვანელო კონკრეტ დებულებად ვერ გახდებოდა, მით უფრო, რომ, მიუხედავად ამ მუხლისა, გერმანიის სასამართლო წყობილების დებულების და ცალკე სახელმწიფოების, მაგალითად, პრუსიის 1876 წლის კანონები პირდაპირ ადგენდნენ, რომ ყოველი მიმართვა მოხელეებისა და სახელმწიფოს ორგანიზაციებისადმი უკვეყლად უნდა წარმოებულიყო მხოლოდ გერმანულ ენაზე.

თუ აქ დასახელებულ ამ მაგალითებს დაუკვირდებით, ნათელი იქნება, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მათი კონსტიტუციებით აღიარებული პოლიტიკური უფლებები ფაქტიურად მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს. „ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, თუნდაც ყველაზე უფრო თავისუფალ, და ყველაზე უფრო დემოკრატიულში, „თავისუფლება“ და „თანასწორობა“. — სწერდა ლენინი, — არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო სხვა რამედ, თუ არა საჭონელთმფლობელთა თანასწორობისა და თავისუფლების, კაპიტალის თანასწორობისა და თავისუფლების გამოხატულებად“. მაგალითისათვის ავიღოთ ევროპულად უღებელი „დემოკრატიული“ ამერიკული შეერთებული შტატები. ამ რესპუბლიკის ცალკე შტატების კონსტიტუციები აღიარებენ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას, ხოლო თვით შეერთებული შტატების კონსტიტუცია პირდაპირ უკრძალავს კონგრესს ამ უფლებების შემზღვეველი კანონების გამოცემას. მაგრამ სარგებლობს იქ ყველა მოქალაქე ამ თავისუფლებით? თვით ბურჟუაზიული მეცნიერების განმარტებით, უდაოდ არის მიჩნეული, რომ ეს ძუხლები აღნიშნულ უფლებებს აღიარებენ მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც არსებულ წესრიგს ემორჩილება, ვინც არ იმადლებს ხმას ყველა იმ უსამართლობის წინააღმდეგ. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი Coley მაგალითად, გულუბრყვილად აღნიშნავს „რომ საერთო სამართლის დადგე-





ნიღებანი, რომლებიც პასუხისმგებლად ხდიან პასკვილიანტებს, და ვით, ვინც საზოგადოებრივ მღელვარებისაკენ მოუწოდებს, რა უკმაყოფილო არ უქმდება ჩვენი კონსტიტუციის იმ მუხლებით, რომლებიც ბეკდვისა და სიტყვის თავისუფლებას იცავენო". ამერიკული კონსტიტუციის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში საუკეთესო კომენტატორად მიჩნეული Story აღნიშნავდა, რომ რა თქმა უნდა, ყველა ეს დასახელებული უფლება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველას შეუძლია ყოველი საგნის შესახებ ილაპარაკოს, დასწროს, დაბეჭდოს თავისი აზრები ყოველი შეზღუდვის გარეშე. ყველა ეს უფლება, მისი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „ეს სხვის უფლებებს, პიროვნებას, საკუთრებას არ ეხება და რამდენადაც მას მიზნად არა აქვს დასხული საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევა და მთავრობის გადაყენება“. ერთიც კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ აქ სიტყვისა და ბეკდვის თავისუფლება გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ცენზურით არ იყვნენ შეზღუდული ის „პატრიოტულად განწყობილი მოქალაქენი, რომელთაც თავიანთ თანამემამულეთა განათლება სურთ“-ო.

რომელი ბურჟუაზიული კონსტიტუციის მიერ აღიარებულ „პოლიტიკურ თავისუფლებასაც“ არ უნდა შეეხებოდნენ, სურათი ერთნაირი იქნება. ვაიმარის კონსტიტუცია იქნება ეს, თუ ბელგიის (მუხლი 19), აშშ-ის (10), დანიის (88) იტალიის ძველი კონსტიტუცია (32) ყველა ერთნაირად აღიარებს; რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება თავისუფლად შეიკრიბონ, სადაც სურთ, უკეთუ ამ კრების მიზანს არსებული წყობილების დაცვა წარმოადგენსო. განსხვავება ამ კონსტიტუციებში ის არის, რომ სხვადასხვა კონსტიტუცია სხვადასხვანაირად ეთვლისწინებს, თუ რამდენი ვაფრთხილების შემდეგ შეუძლია პოლიციას იარაღით დაშალოს იმ პირთა კრება, რომლებიც არსებული წყობილების წინააღმდეგ მოუწოდებენ. შვეიცარიის კონსტიტუცია, მაგალითად, აღნიშნავს: „მოქალაქეებს უფლება აქვთ შეაღვინონ საზოგადოება და შეიკრიბონ სადაც სურთ, იმდენად, რამდენადაც მათი მიზანი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ წარმოადგენს საშიშროებას სახელმწიფოსათვის“. საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეთა ჰქონდათ უფლება შეკრების უფლება, ოღონდ „en satisfaisant aux lois de police“ (პოლიციის კანონების დაცვით). მეორე იმპერიის დროს საჭიროდ იყო ცნობილი პოლიციის წინასწარი ნებართვა, თუ 20 ადამიანზე მეტი შეიკრიბებოდა. 1881 წლის 30 ივნისის კანონის თანახმად, ყოველი საჯარო კრების შესახებ მომწყობლებმა წინასწარ უნდა განუცხადონ პოლიციას. ამ კანონის თანახმად, პოლიციას ყოველთვის ჰქონდა, კრებია დაშლის უფლება.

გერმანიაში, 1908 წლის კანონის თანახმად, ნებართვა კრების მოწვევის შესახებ აღებული ღრდა ყოფილიყო 24 საათით ადრე კრების

გახსნამდე. პოლიციას უფლება ჰქონდა არ მიეცა ასეთი ექვემდებარება. მასვე შეეძლო ყოველ ეამს ნებადართული კრება კანონებზე დაყრდნობით შენობებში დაეშალა. ავსტრია-უნგრეთის 1867 წლის კანონის მიხედვით, ვიდრე საჯარო ყრილობა მოწვეული იქნებოდა, სამადლით ადრე პოლიციაში განცხადებული უნდა ყოფილიყო ყრილობის მიზანი, მისი მოწვევის ადგილი და დრო. ყრილობის მოწვევაზე კი პოლიციას შეეძლო მიეცა ნებადართვა, უკეთეს მის მიერ მიჩნეული იქნებოდა, რომ ამ ყრილობის მიზანი არ ეწინააღმდეგება „საჯარო უშიშროებას და საჯარო კეთილდღეობას“ (ყველგან უნდა იკითხებოდეს ბურჟუაზიული საზოგადოების უშიშროებას და მის კეთილდღეობას). მეფის რუსეთში კრებების შესახებ არსებული კანონის თანახმად, შუამდგომლობა საჯარო კრების მოწვევის შესახებ განცხადებული უნდა ყოფილიყო სამი დღით ადრე კრების მოწვევამდე. პოლიციის მოხელეს უფლება ჰქონდა აეკრძალა ყრილობის მოწვევა, უკეთეს მიიჩნეოდა, რომ ის საშიშროებას წარმოადგენს არსებული წესრიგისა და „მშვილობიანობისათვის“. ზედმეტად ლაპარაკი იმაზე, თუ რა და ვინ ყავდა მხედველობაში ყველა ამ კანონს და ვინ მიიღებდა პოლიციისაგან ასეთ უფლებას.

თუ დავუკვირდებით ყველაფერ იმას, რაც ვთქვით, ძნელი არ იქნება იმის დანახვა, რომ 1) ეს ეგრეთწოდებული პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს თავისუფლებას ილაპარაკო, ბეჭდო, მოიწვიო კრება და სხვა მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, 2) რომ ამ პოლიტიკური უფლებების შეჩერებით ბურჟუაზიული კლასი არაფერს ჰკარგავს, 3) საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განაწილების პრინციპის საფუძველზე მოქალაქე (ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელი) სრულებით დაუცველია საკანონმდებლო ორგანოსაგან, რომელსაც ყოველ წუთში შეუძლია ეს პოლიტიკური უფლებები უარყოს და რომელიც „იცავს“ მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან (პოლიციისაგან) მხოლოდ მანამდე, სანამ ისინი (ე. ი. ეს მოქალაქენი) წესიერად ასრულებენ ყველაფერ იმას, რასაც მათგან ბურჟუაზიული სახელმწიფო და სასამართლო მოითხოვს. ასე რომ აღნიშნული პოლიტიკური უფლებები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ატარებენ თვალთმაქცურ ხასიათს. ყოველი ამ უფლებათაგანი გულისხმობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოსადმი აბსოლუტურ მორჩილებას. ყოველი თავისუფლება აქ ნიშნავს უფლებას ისურვო მხოლოდ ის, რასაც შენგან ის კანონები მოითხოვენ, რომლებიც ბურჟუაზიული კლასის მიერ არის დაწერილი.

საბჭოთა მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი გათვალისწინებულია ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-9 თავში. ამ თავში ჩამოთვლილ მუხლებში აღიარებულია უფლება შრომაზე, უფლება განათლებაზე, აღიარებულია სიტყვის, ბეჭდვის, კრებებისა და

ქუჩებში დემონსტრაციების მოწყობის უფლება. ყველა ეს უფლება ჩვენ-  
მა მშრომელმა ხალხმა მოიპოვა იმით, რომ პირნათლად შეასრულეს კონ-  
სტიტუციის და მშრომელი კაცობრიობის წინაშე თავისი მოვალეობა, და,  
ცხადია, ყოველი ამ უფლებით თითოეულს შეუძლია ისარგებლოს იმ-  
დენად, რამდენადაც ის თავის მხრივ პირნათლად ასრულებს თავის მო-  
ვალეობას ამ ხალხის მიმართ. ქურდებისა და სოციალისტური საკუთ-  
რების გამწვანებლებისათვის, სახელმწიფოს სამშობლოს მოლაღატეებისა  
და გამცემლებისათვის, იმათთვის, ვისაც ძველის აღდგენა სურს და ვინც  
სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას ხელს უშლის, იმათთვის, რა-  
თქმა უნდა ეს თავისუფლებანი არ არის დაწერილი. შრომაზე უფლება ჩვენ-  
მა მშრომელმა ხალხმა მოიპოვა იმით, რომ მოსპო კაპიტალისტთა კერ-  
ძო საკუთრების უფლება საწარმოო იარაღზე, სიტყვის, ბეჭდვის და კრე-  
ბების თავისუფლება მიიღო იმით, რომ დაამსხვრია ძველი სახელმწი-  
ფოებრივი აპარატი, ხოლო უფლება განათლებაზე იმით, რომ ერთგულა-  
და დაუღალავი მუშაობით შექმნა დოვლათი, რომლითაც შესაძლებელი  
გახდა ხალხისათვის უფასო სწავლება. აქ დასახელებული უფლება  
თავის ძირითად მოვალეობას გულისხმობს. თითოეული ეს უფლე-  
ბა მოვალეობიდან იზრდება და მასში სდგას. არც ერთ შემთხვე-  
ვაში ეს უფლება ჩვენ ამ მოვალეობებისაგან დამოკიდებულად  
ვერ წარმოგვიდგენია. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ სიტყვის თავის-  
უფლებით შეუძლია ჩვენში ისარგებლოს იმან, ვინც ამ მშრომელი ხალ-  
ხის კეთილდღეობას ებრძვის, ან იმას, ვინც პირადი ინტერესების გამო  
თავის სამშობლოს ღალატობს. მხოლოდ ის მოქალაქე, რომელიც იცავს საბ-  
ჭოთა კონსტიტუციას, ასრულებს კანონებს, იცავს შრომის დისციპლინას,  
პატიოსნად ზეიდება საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით ეპ-  
ყრობა სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, უფროსილდება სოცია-  
ლისტურ საკუთრებას, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათა-წმინდა  
საფუძველს, და მზად არის სამშობლოს დასაცავად.—მხოლოდ ასეთ მოქა-  
ლაქეს აქვს მოპოებული ის თავისუფლებანი, რომლებზედაც ჩვენი კონ-  
სტიტუციის ახალი პროექტი ლაპარაკობს. ყველა ამ მოვალეობის შესრუ-  
ლება ჩვენი სახელმწიფოს და მთელი ხალხის არსებობის და მათი ღირ-  
სების აუცილებელი პირობაა. სიტყვის, ბეჭდვითი, კრებების თავისუფლე-  
ბის ყველა უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სოციალის-  
ტური წყობილების განმტკიცებისა, ხალხის მასების ორგანიზაციული  
თვითმოქმედების და პოლიტიკური აქტივობის განვითარების მიზნით.

ასე, რომ, თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებში თავისუფლებით სარ-  
გებლობს ბურჟუაზიული კლასი, რომლის ინტერესები გამომხატვე-  
ლია მისივე კანონებისა, ჩვენში ნამდვილი თავისუფლებით სარგებ-  
ლობს მთელი მშრომელი ხალხი, რადგან მის კანონებში სწორედ ის წე-  
რია, რაც ამ ხალხის კეთილდღეობას უზრუნველყოფს, რაც თითოეულ

შეგნებულ მოქალაქეს თავისთავად როგორც საკუთარი მფლობელი ჩვენს ან უნდა ჰქონდეს შეგნებული. სწორედ ამიტომაც, რომ მხოლოდ ჩვენ გვაქვს ნამდვილი დემოკრატია და მხოლოდ ჩვენი კონსტიტუციის მიერ აღიარებული თავისუფლებაა ნამდვილი, ჭეშმარიტი თავისუფლების გამოხატულება. ჩვენი ხალხი ჭეშმარიტად იმითაა თავისუფალი, რომ მისი წევრებისათვის სავალდებულოა მხოლოდ ის კანონები, რომლებიც მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველი არიან.

სტალინური კონსტიტუციის მიერ წამოყენებული პრინციპი რეალური პრინციპია და ყოველი მისი დებულება კონკრეტ სახელმძღვანელო მითითებას შეიცავს. არ არსებობს მასში არც ერთი დებულება, რომლის შესახებაც ვინმეს შეეძლოს სთქვას — აი, მუხლი, რომელიც დაწერილია არა შესრულებისათვის, არამედ მოცემულია როგორც უბრალო დეკლარაცია.

რამდენია ბურჟუაზიული კონსტიტუცია, რომელიც, როგორც ვსთქვით, აღიარებს უფლებას განათლებაზე, შრომაზე, აღიარებს კრების და ბეჭდვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს სრულებითაც არ ითვალისწინებს როგორც პირობებს, რომლებშიაც ეს უფლებები შეიძლება გამოჰყენებულ იქნას, რომლებშიაც ეს უფლებები შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს, რადგან თავიდანვე იგულისხმება, რომ ამ თავისუფლებებით ფაქტიურად მეორე კლასმა არ უნდა ისარგებლოს. მაგალითად, ბურჟუაზიული კონსტიტუციებიც ლაპარაკობენ უფლებაზე, შრომაზე, მაგრამ ეს უფლება სრულებით არ არის უზრუნველყოფილი მათი მეურნეობის ორგანიზაციით. ისინი აღიარებენ ბეჭდვის თავისუფლებას, მაგრამ საბეჭდო იარაღი, ქაღალდი და სხვა მხოლოდ ბურჟუაზიის ხელშია, აღიარებენ უფლებას განათლებაზე, მაგრამ განათლება მხოლოდ მდიდართათვის არის მისაწვდომი. ცნობენ, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში, სასამართლოში და სხვაგან შეიძლება მიღებულ იქნას ყოველი მოქალაქე, მაგრამ ამავე დროს ამ თანამდებობის დაკერისათვის ნაგულისხმევია ისეთი განათლების ან ქონებრივი ცენზი, რომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები შეიძლება მოკვდნენ. ან კიდევ აღიარებენ კრების თავისუფლებას, მაგრამ შენობები, რომლებიც საჭიროა კრებების მოწყობისათვის, კერძო საკუთრებაშია. სწორედ ამის შესახებ ამბობდა ლენინი: „კრებების თავისუფლება, რომელიც დაწერილია ბურჟუაზიული რესპუბლიკების კონსტიტუციებში, არის სიცრუე, იმიტომ, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოებში შესაკრებად, სახელმწიფოებში, რომლებსაც ჯერ-ჯერობით ზამთარი არ მოუტყავიათ, ამინდი არ გარდაუქმნიათ, უნდა გვქონდეს კრებისათვის შენობები, საუკეთესო შენობები კი — კერძო საკუთრებაშია. ჯერ ჩამოვართვათ საუკეთესო შენობები და მერე ვილაპარაკოთ თავისუფლების შესახებ. ჩვენ ვამბობთ, რომ კრების თავისუფლება კაპიტალისტებისათვის

— ეს არის უდიდესი დანაშაული მშრომელთა წინააღმდეგ, ეს არის კრების თავისუფლება კონტრრევოლუციონერებისათვის“<sup>1)</sup>. ექვეყნებოდა მშრომელი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით შევხედვით: მტრუჭებამ ზიულ კონსტიტუციებს, პირდაპირ გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კონსტიტუციებში ყველას უფლებად ის არის აღიარებული, რაც ფაქტიურად მშრომელი ხალხისათვის შეუძლებელია განხორციელებულ იქნას კაპიტალისტური წყობის პირობებში. ყველას თავისუფლებად სწორედ ის არის ჩაწერილი, რითაც ამ მშრომელი ხალხის წარმომადგენლები ვერ ისარგებლებენ. ყოველი იქ აღიარებული თავისუფლება ცარიელი სიცრუეა. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში „თავისუფლება და დემოკრატია აქამდე იყო თავისუფლება და დემოკრატია მხოლოდ შეძლებულთათვის, და მხოლოდ ნამცეცხებად მაგიდიდან ღარიბებისათვის“ (ლენინი).

სტალინური კონსტიტუციის პროექტი, გარდა იმისა, რომ გულწრფელად აღნიშნავს მშრომელი ხალხის პოლიტიკურ უფლებებს, კიდევ ითვალისწინებს იმ კონკრეტ ღონისძიებებს, რომლებითაც ეს უფლებება მშრომელების მიერ მართლაც თავის სასარგებლოდ არის გამოყენებული. უფლება შრომაზე უზრუნველყოფილია ჩვენში სახალხო მელწიფობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუზრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების არ არსებობით და უმუშევრობის ლიკვიდაციით. დასვენების უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით 7 საათამდე, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და კლუბების ფართო ქსელით; უფლება კარგად ცხოვრებისა მოხუცებულობაში უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადამცემით, ანდა სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, კრებებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციის თავისუფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ მშრომელთათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, კავშირგამბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა მინიჭებით, რაც კი აუცილებელია მათი განხორციელებისათვის. ან, ბოლოს უფლება განათლებაზე უზრუნველყოფილია, როგორც პროექტის 121 მუხლი ითვალისწინებს, საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, სტიპენდიების სის-

<sup>1)</sup> Ленин: „Об обмане народа лозунгами свободы и равенства“, ст. 21.

ტემით, უფასო საწარმოო ტექნიკური და აგრონომიული სწავლებით და სხვ.

დასაწყისში ვთქვით, რომ ბურჟუაზიული კონსტიტუციის ყოველი მუხლი, როგორც მარქსი ამბობდა, „შეიცავს თავის თავშივე თავის წინააღმდეგობას — თავის ზემო და ქვემო პალატას, თავისუფლებას ზოგად ფრაზაში და მის უარყოფას შენიშვნაში“. ჩვენი კონსტიტუციის პროექტის არც ერთი მუხლი არ ატარებს წინააღმდეგობას, რასაც ყოველი მუხლი აღნიშნავს, უკვე სინამდვილეა. რასაც ერთი მუხლი იძლევა, ის სავსებით გარანტირებულია. ყოველივე ეს იმიტომაა, რომ თვით კონსტიტუციის საფუძველი ნამდვილი დემოკრატიაა, აქ ყველაფერს იძლევა და აწესებს ის. ვინც ამით თითონვე სარგებლობს — ესე იგი შრომელი ხალხი.



აკ. თათარიშვილი

## „მთვარის მოგაცემა“

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „მთვარის მოტაცების“ გარშემო ამას წინათ მწერალთა კავშირში ჩატარებულ დისკუსიასთან დაკავშირებით, საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთ ჩვენ მოსაზრებებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ზოგად დებულებებში გამოვსახოთ ამ მრავალმხრივ საყურადღებო დისკუსიის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნები.

„მთვარის მოტაცების“ გამოსვლას საბჭოთა საზოგადოებრივობა აფასებს, როგორც ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს ამ უკანასკნელ 2—3 წლის განმავლობაში. ის გარემოება, რომ გამოსვლიდან შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, ამ რომანმა ასეთი აქტიური გამომხაურება კპოვა მკითხველ მასებში, ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრივობაში და პრესაშიც—ადასტურებს ამას.

სწორი არ იქნებოდა დადებითად არ შეგვეფასებია კ. გამსახურდიას განზრახვა თანადროულობის მისალაზე აეშენებია თავისი მხატვრული ქმნილება, რაც ჯერ კიდევ ვერ შესძლო ჩვენი საბჭოთა პროზის ზოგიერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა.

კ. გამსახურდიამ ამ რომანით გამოიჩინა მხატვრული ფორმის მრავალფეროვანება, შემოქმედების დიდი შესაძლებლობანი და უნარი, განსაკუთრებული ძალა და ოსტატობა მხატვრული ხერხების შერჩევაში.

თუ თვალს გადავაწვდებთ ავტორის მიერ განვლილ მეტად რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი განვითარების გზას, ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ კ. გამსახურდიამ ამ ახალი რომანით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საბჭოთა ლიტერატურის ამოცანების დაფუძნებისაკენ.

ყოველივე ამის უარყოფა შეუძლებელია.

„მთვარის მოტაცება“ არის კ. გამსახურდიას ერთგვარი იდეურ-შე-

მოქმედებითი გადაიარაღების, თავის წარსული იდეური მარაგის გადაფასების ცდა; ან როგორც ბრა ერთხელ აღინიშნა, გარკვეულ მომენტებზე და ახალს შორის. რამდენად მიაღწია მწერალმა მის მიზანს? ეს კახლდათ სწორედ ჩვენი დისკუსიის მთავარი საგანი.

ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ავტორი მთელი თავისი მსოფმეგრძნებით და შემოქმედებითი ორიგინალობით მოქცეულია ამ რომანში, რომლის ცენტრს მისი მთავარი პერსონაჟი — თარაშ ემხვარი წარმოადგენს. ამიტომაც ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მახვილი სწორედ აქეთვე უნდა იყოს მიმართული.

თარაშ ემხვარი მთელი თავისი დამახასიათებელი მიდრეკილებით პირველყოფილობისაკენ, კულტურის, ტექნიკური ცივილიზაციის უარყოფით, დამპალი და უნიადაგო, ავადმყოფური სკეპსისით, პატრიარქალურ-ფეოდალურ წარსულის იდეალიზაციით — ერთი სიტყვით მისი ფილოსოფიური ვარჯიშობა მთელი რომანის მანძილზე ნიშნავს წვრილბურჟუაზიული ნიპილიზმის დაგვიანებულ გამოძახილს ჩვენს ლიტერატურაში. იგი გამოხატავს გარკვეული ფენის ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციის ნაშთების სულსკვეთებას და იმედებს.

საკმარისია მოვიყვანოთ თარაშ ემხვარის მსჯელობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ადგილი თვით რომანიდან, რომ ამაში დაერწმუნდეთ.

„მთელ ევროპაში ყიალის დროს მე გავეცანი დაწვრილებით ევროპის ყოფაცხოვრებას, პრესას და ინდუსტრიას. მართალი ვითხრა შეგდრკი ეს ყოველივე როს შევიცანი. ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა?“

საშუალო საუკუნოებში მანძილების სივრცე მანქანების პრიმიტიულობა, ბუნების სტიქიონების სიზვიადე შესაძლებელს ხდიდა პატარა ერების დამოუკიდებელ არსებობას.

ახლა დასავლეთის დიდი ერები მოდიან თავიანთი ჰაუბიციებით, ჰეროპლანებით, პრესით, თეატრით და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დაუპირისპიროთ მათ სამაგიეროთ?“

„მე ვამაყობ რომ ჩვენი ხალხი დღესაც მისდევს იმ ჩვეულებებს, რომელნიც თავიანთ მემუარებში შეტანილი აქვთ ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს და მოგზაურებს.“

გახსოვდეთ: ეინც გამოცვლილა, იგი გადაგვარებულა კიდევაც“  
ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს სიტყვები მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური კულტურის და წარმოების საფუძველზე მისი გარდაქმნის წინააღმდეგ.

„ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: იტალიური და გერმანული ფაშიზმი ჩვენი ხალხისათვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გველფების და



გბეღინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმუშავეს და ერთ-ერთი ყოველგვარი ევროპული „იზმი“ იგი უგულვებელყოფს. აქედან გამომდინარე, ნი ხალხის ინტერესებს“

ამ რიგად თარაშ ემხვარის გაგებით ფაშიზმი მხოლოდ პატარა ერებისათვის არის „ზღაბი“ გამოუსადეგარი, თითქოს დიდი ერებისათვის ის მისაღები იყოს!

როდესაც მას ეკითხებიან თუ რომელ გზას აირჩევდა ის კომუნიზმის გზას თუ მუსოლინისა და ჰიტლერისას, ის უპასუხებს ყოყმანით: „მე, მე საერთოდ პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ოდესმე“-ო. „მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საექვეთნა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ“-ო.

ასე მთელი ნაწარმოების გასწვრივ თარაშ ემხვარის პირით ავტორს გამოაქვს მრავალი ჩვენთვის მიუღებელი და ყალბი იდეები ეროვნების, რევოლუციის, რასის, კულტურის და სხვა საკითხების გამო.

საქმე ის კი არ არის, რომ თარაშ ემხვარი აშკარა მტრულ და მანვე შეხედულებებს ატარებს რომანის მთელ სივრცეზე უხვად გაბნეულ სენტიმენტებში და პარადოქსებში. საქმე ის არის, რომ მთელი ამ სამწიგნიან თხზულებების მანძილზე არ სჩანს მკაფიოდ, გამოკვეთილად ავტორის პოზიცია რომანის ამ მთავარი მომქმედი პირის მსოფლმხედველობისადმი.

ჩვენთვის აშკარაა, რომ კ. გამსახურდია სწერს რომანს არა თავის გამირების თავგადასავლის პრაგმატიული თხოვნი მიზნით. მან კარგად იცის, რომ ასე მეთოდით არ შეიქმნება მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები. მას უთუოდ აქვს პრეტენზია ააგოს ის გარკვეულ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე, ყოველ შემთხვევაში მოგვცეს „მთვარის მოტაცების“ საბით იდეებით მდიდარი ნაწარმოები.

თუ ეს ასე არის, მაშინ პირდაპირ უნდა დაისვას საკითხი: სად, რა მხატვრული საშუალებებით და როგორ, ვისი ან რომელი პერსონაჟის პირით მტლავნდება რომანში ავტორის აზროვნება, მისი იდეური კონცეპცია? სად არის ამ უარყოფით ტიპებით გადატვირთულ ნაწარმოებში ის სალი იდეური ხაზი საბჭოთა მწერლისა, რომელსაც უნდა მოჰყვეს საბჭოთა მკითხველი დაინტერესებული რომანის ძირითად იდეებში გარკვევით?

ამ საკითხს ვერაგინ ვაძეგვავ, ვინაიდან ის ვადამწყვეტია ჩემის აზრით. თუ სადმე არის საჭირო სავსებით ზუსტი და მიუკიბ-მოუკიბავი უყოყმანო პასუხი, სწორედ აქ არის ის აუცილებელი.

ან ავტორს რომანისას არ გააჩნია მტკიცე იდეოლოგიური საყრდენი, რომელიც ყოველ ნაწარმოებში უნდა ახასიათებდეს საბჭოთა მწერალს. ან უნდა მივემხროთ იმ აზრს, რომ კონსტ. გამსახურდია კვლავ გვევლინება ისტორიისაგან განწირულ თარაშ ემხვარების გაცვეთილი მსოფლმხედველობრივი ბაგავით. უკანასკნელი რომ სრული სინამდვილე იყოს,

კონსტ. გამსახურდიას ჩვენ უსათუოდ ვკრავდით ხელს. კონსტ. გამსახურ-  
დია სცილილობს გამოეთხოვოს თავის გუშინდელ დღეს, მგერამ, მისი მწვერ  
უმძიმს პროლეტარული მსოფლმხედველობის პოზიციაზე ფეხის მომა-  
გრება.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ კონსტ. გამსახურდიას ვერ გავხდით პასუ-  
ხის მგებელს იმისათვის, რასაც ამბობს თარაშ ემხვარო. არავის მო-  
უვა თავში მოსთხოვოს ავტორს დასავლეთის დეკადენტური კულტურით  
მოწამლული, ნიადაგგამოცილილი ჩია ინტელიგენტის ტიპი ორტოდოქსა-  
ლურ კომუნიზმის ენით ალაპარაკოს.

საქმე იმაშია, რომ კ. გამსახურდიას ამ ახალი რომანის სახით მოცე-  
მული ნასალის ანალიზი არ იძლევა იმის უტყუარ საბუთს, რომ ნაწარ-  
მოებში გაბნეული მანე და მტრული იდეები თვით ნაწარმოების შინა-  
განი ლოგიკით დაძლეულია. კიდევ მეტი: საესებით უდავოა ავტორის  
ერთგვარი იდეური ნათესაობა თარაშ ემხვართან. უკანასკნელის სპეკუ-  
ლიატიური მრავალმეტყველება შეიცავს თვით ავტორის ინდივიდუალო-  
ბისა და აზროვნების დამახასიათებელ ელემენტებს, თუნდაც მისი  
ძველი ნაწერების თვალსაზრისით, რომლებიც მას დღესაც ვეღარ დაუ-  
ძლევია საბოლოოთ.

საჭირო იყო უფრო ვაბედული ჩარევა ავტორისა მისი უარყო-  
ფითი დამოკიდებულების გამოსამქლავებლად თავისივე უარყოფითი  
ტიპისადმი. კარგია თუ ცუდი ამგვარი ჩარევა ეს სხვა საკითხია. ჩვენის  
აზრით უმჯობესია ავტორი არ იყოს ნაწარმოებში, მხოლოდ კი იგრ-  
ძნობოდეს, რომ ის თავის გმირებზე უფრო მაღლა სდგას.

რა თქმა უნდა საქმე არც ისე ტლანქათ წარმოგიდგენია, რომ თითქოს  
მოვითხოვდეთ ავტორმა რომანში სადმე თავად აილოს ზიტყვა და დე-  
კლარატიულად გაემიჯნოს, გაეთიშოს თავის გმირს. ეს ამოცანა მწე-  
რალს უნდა გადაეჭრა მხატვრულ საშუალებათა ე. წ. „მხატვრული  
შიფრის“ ყველა შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენებით. ეს იქ-  
ნებოდა მკითხველისათვის „თავდაცვის“ საუკეთესო საშუალება იმ რეა-  
ქციური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური, ნაციონალისტური შხამის წინააღ-  
მდეგ, რომლითაც გამსჭვალულია თარაშ ემხვარის იდეების სამყარო.

რომანში არის ერთი ადგილი, სადაც ავტორი თითონ მიმარ-  
თავს თავის გმირს, თარაშ ემხვარს, შემდეგი სიტყვებით: „თქვენი ხნის  
რომ ვიყავი მეც თქვენსავით ემსჯელობდი“. ზოგიერთები ფიქრობენ, ეს  
ერთი წინადადება მთელი რომანის ვასალებია.

ავტორის კონფლიქტი თავის ნეგატიურ გმირთან, მისი შეურიგებ-  
ლობა მასთან თავისთავად, სრულიად ძალდაუტანებლად უნდა გა-  
მომდინარეობდეს თვით ნაწარმოებიდან. საბჭოთა მწერლის იდეათა  
სფეროში რაღაც „გასაღების“ ძებნა, ან ავტორის რემარკები ისიც ხე-  
ლოვნურად შემოტანილი, საჭირო არ უნდა იყოს.

ის გარემოება, რომ ავტორი რომანის ბოლოს ღუპავს, არ გამოდგება.

რა გინდ სიმპატიას იპყრობდეს მკითხველის თვალში თარაშ ემზვარი ის მაინც ხომ განწირულიაო; დაუშვათ, რომ კ. გამსახურდიამ სთქვა ყველაფერი ის, რის თქმაც შეეძლო თარაშ ემზვარის დასაცავად, ბოლოს ხომ დაუსვა მას ჯვარი და გადაუძახა ენგურის უფსკრულშიო—გვარწმუნებს ნიკოლოზ მიწიშვილი. მართალია, ავტორმა ბევრი იწვალაო, დიდი და ხანგრძლივი ტკივილები განიცადაო ვიდრე ის ამ თავის წარსულ იდეოლოგიურ ტვირთს მოიშორებდაო — დასძენს ის.

არის ეს საკმაოდ გესლიანი ირონია თუ არგუმენტი რომანის სასარგებლოდ მოტანილი, ჩვენ ძალიან გვეძნელება ამაზე პასუხი. საკმე ის არის: რომ კ. გამსახურდიამ ამ რომანით „სთქვა ყველაფერი რის თქმაც შეეძლო იმ მსოფლმხედველობის დასაცავად, რომელსაც ის ადგა“ და ძალიან მკარედი რამ სთქვა იმით, რომ მის მიერ ასე სათუთად მოვლილ გმირს ბოლოს ენგურის ტალღებს მიანებებს.

თარაშ ემზვარის ენგურში დახრჩობის ეპიზოდი ატარებს შემთხვევით ხასიათს და სრულიადაც არ ხსნის მის სულიერ დრამას. ამავე დროს ის ილუპება არა როგორც სოციალური ხორცკმეტა, არამედ როგორც ბუნების სტიქიასთან შეჯახებაში დამარცხებული რომანტიული რაინდი.

განა შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ კ. გამსახურდიამ თარაშ ემზვარის დაღუპვით მართლაც „მოათავა“ თავის იდეურ-შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი პერიოდი და ამ გვარად სავსებით განიკურნა წარსულის სენისაგან? თარაშ ემზვარი კ. გამსახურდიას აჩრდილია, რომლისაგან სავსებით თავის განთავისუფლება, როგორც სჩანს, მან ჯერაც ვერ შესძლო.

უდავოა, რომ რომანში აზროვნება უნდა იყოს, როგორც გვარწმუნებდა ტიტ. ტაბიძე, კ. გამსახურდიამ შესძლო უამრავი მასალა აეტანა ერთ-ერთ ფილოსოფიურ სისტემამდე, თავისი ნაფიქრი და ნააზრევი წარმტაც მხატვრულ სახეებში მოეცაო.

ჩვენთვის კი მთავარია ამ „ნაფიქრის და ნააზრევის“ გარკვეული თვალსაზრისით განხილვა და შეფასება, მისი მიუღებელი და მანვე ელემენტების დაუწოვავად მხილება, საბჭოთა მკითხველის ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მიერ სწორი ორიენტაცია ავტორის იდეების ვაგებაში. ამაშია საკმე.

ლეო ქიაჩელის მეტად ოსტატური ხელოვნებით დაშიფრულ მსჯელობიდან ჩვენთვის მხოლოდ ის ლა ვახდა ვასაგები, რომ მისი აზრით ავტორი მთელი თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობით და მსოფლვაგებით მთლიანად ჩამდგარია ამ რომანში, რომლის წამყვან ფიგურას თარაშ ემზვარი წარმოადგენს. უკანასკნელი კი არის რომანის ღერძი და

მის გარშემო ტრიალებს ყველაფერიო. არსებითად თარაშ ემხვარის კლასიკური გეგმა მას აგონებს დონ კიხოტის ბედს.

შეიძლება ობიექტურად ეს ასეც იყოს, მგრამ ჩვენის აზრით „მთვარის მოტაცების“ ავტორის განზრახვაში სრულიადაც არ შედის რომანის მთავარი გმირის დონ კიხოტად გამოსყვანა. პირიქით, ავტორი განსაზღვრებული, მეტად მგრძნობიარე, ლირიული სიმპატიით არის განწყობილი თარაშ ემხვარის მიმართ.

ქრისტეფორე რაქველიშვილმა თარაშ ემხვარის ტიპი ვიოტეს ვერტერს დაუახლოვა.

მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანი, ღრმად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც საქართველოს, როგორც წარსული, ისე აწმყო განუცდია და განიცდის განსაზღვრულ ევოლუციას საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

ვერ დავეთანხმებით ამაში რაქველიშვილს. თარაშ ემხვარი რეზონორული ფიგურაა ავტორის მიერ უფრო შეთხზული, ხელოვნურად გაკეთებული, ვიდრე ჩვენი სინამდვილიდან აღებული. მთელი თავისი უზადრუკი ინტელექტუალური კულტურით ის არის ტიპი უქმათ მოხეტიალე, მრლავებ დილეტანტისა, რომელიც, იცის თუ არ იცის ყველაფერს ედება და ევროპის ბურჟუაზიული ცივილიზაციით და რადიკარული კულტურით გულამსუყებულის მართლაც და დონ კიხოტურ პოზაში უფრო ყბედობს ვიდრე აზროვნებს. ასეთია ჩვენი ოქტომბერი „დენდის“ ნამდვილი სახე თუ მას ნიღაბს ავაცლით.

ნუ თუ ეს ავადმყოფური მელანქოლია, შინგანი ხრწნის და დეგრადაციის განწყობილებანი, რომლითაც შეპყრობილია ეს უთუოდ „მისივე შერბის ტარებისაგან დაღლილი“ ნაცარქექია, გამომხატველია ჩვენი ინტელიგენციის სულისკვეთებისა და მისწრაფებისა, თუნდაც იმ პერიოდისათვის, როდესაც თარაშ ემხვარს უბდება ცხოვრება?

თარაშ ემხვარის ვითომდა „იდეოლოგიური სისტემის“ უნიადგობის ცხადყოფა შეიძლება და მხოლოდ „მთვარის მოტაცების“ ამ მთავარი გმირის დახასიათების ჩარჩოებში, ავტორს რომ მისთვის მხატვრულად დამაჯერებლად დაეპირისპირებინა სოციალისტური ქვეყნის რევოლუციონური სინამდვილე, ახალი ეპოქის ახალი ადამიანები.

საგულისხმოა, რომ „მთვარის მოტაცება“ იმდენად ჭარბათ არის დასახლებული წარსულის ლანდათ ქცეული პერსონაჟებით, რომ მასში საცხოვრებელი ფართობი აღარ აღმოჩნდა ნამდვილი ხორცშესხმული საბჭოთა ადამიანებისათვის, სოციალისტური ქარხნების და მინდვრების გმირებისათვის.

არც ერთი ადამიანი ახალი ცხოვრებისა და ახალი ყოფის გამომხატველი, რომანში მთელის სისავსით არ არის მოცემული.

არზაყანი, რომელსაც უქვეყნად დიდის გულმოდგინებით ეკიდებოდა მხატვარი, არ არის ძლიერი მოპირდაპირის ტიპი, რომელსაც უფრო მეტად დასწონოს თარაშ ემხვარ. არზაყან ზემბაიას ახალი ადამიანობა ძალიან საეჭვოა. მისი ზნეობრივი და სოციალური შეგნება სრულიად შეუსაბამოა ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის წარმომადგენლისათვის. ის არ შეიძლება ჩაითვალოს კომკავშირელი ახალგაზრდობის განზოგადოებულ სახეთ, თუნდაც ისეთი კომკავშირელის, რომელიც აფხაზეთის თავისებურ გარემოცვაში ჯერ კიდევ სავსებით არ არის განთავისუფლებული ძველი ფსიქოლოგიის ზოგიერთ ნაშთისაგან.

უდრესი სიძნელეების შემცველია გმირული ეპოქის გმირულ ხასიათთა, სოციალისტური სინამდვილის მრავალფეროვანი ყოველდღიურობის ასახვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებებისათვის შესაბამისი ოსტატობით აღბეჭდილ მხატვრულ ტილოებზე.

ეს გორკიმაც ვერ შესძლო — განაცხადა ტი. ტაბიძემ. სხვა ცნობილი საბჭოთა მწერლების სახელებიც მოიხსენია მაგალითისათვის, ჩვენი მასალა უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ ვართო — „მოხდენილი“ თქმაა, თუმცა არც ეს გვაესებს საბჭოთა ლიტერატურის ღირსებისადმი სიამაყით, როდესაც მისი საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩვენი გმირული ეპოქის სიდიადის პირისპირ თავს კინკრაქად გრძნობენ.

უცნაურია მხოლოდ ერთი რამ: სად იკარგება ეს უთუოდ მისაბამი თავდაბლობა და ზომიერება თუნდაც საბჭოთა საზოგადოებრივობისათვის საყურადღებო ნაწარმოების ჩვენი მწერლების მიერ საჯარო გარჩევის დროს, მსოფლიო ლიტერატურის გენიოსებისაგან შექმნილ უკვდავ სახეებთან ყოველად უსაფუძვლო ანალოგიებით თავს რომ ეობრუებთ? და ეს მაშინ, როდესაც მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან ნათქვამ ყოველ გულწრფელ, საღს და მიუდგომელ აზრს ანგარიშს უნდა უწევდეს და პატივს სცემდეს ავტორიცი და მკითხველიც.

განა ჩვენ მოვითხოვთ ან მოველით კ. გამსახურდიასაგან იმას, რაც ვერ შესძლო გორკიმ? არც იმის მეთაღეს, რაც გორკიზე მთელი თავით უფრო დაბლა მდგომ მწერლებმა შესძლეს საბჭოთა კავშირში საბჭოთა ლიტერატურის შექმნის ინტერესებისათვის, თუნდაც იმავე შოლოხოვმა, ფადეევმა, პამფეროვმა, ფედინმა და სხვებმა.

საბჭოთა საზოგადოებრივობამ, პირველ რიგში ჩვენმა კრიტიკამ, მთელი სიმძაფრით უნდა გაილაშქროს მწერალთა ერთი ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ შენარჩუნებული იმ მანენ ტენდენციის წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატა მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის ლიტერატურული ტრადიციების უგულვებელყოფაში.

ვინც ამას სჩადის ის ობიექტურად მუშათა კლასს ხელიდან აცლის კულტურული მშენებლობის ისეთ ძვირფას იარაღს, როგორსაც წარმო-

ადგენს მარქსისტულ-ლენინურად შესწავლილი და კრიტიკულად შემოწმებული კულტურული მემკვიდრეობა.

შემთხვევითი არ არის ეს სიღუბეჭირე ჩვენი ლიტერატურული სინამდვილისა, როდესაც ა. გაწერელიას და არა მარტო მას ქართული პროზის განვითარების ხაზი მერჩულისა და სულხან საბა ორბელიანიდან მე-19 საუკუნის დიდი რეალისტების გამორიცხვით თითქმის უშუალოთ გამსახურდიასთან მიჰყავთ. „მთვარის მოტაცების“ ავტორის მრავალმხრივ სადაო შემოქმედებითი მეთოდის ქართული პროზის „სათავეებთან“ დაკავშირება — გადაჭარბებაა, თუ სხვას არას ვიტყვით.

არც ჩვენი თანამედროვე ბელეტრისტიკის მხატვრული კულტურა არაფითარ შემთხვევაში არ გამოიყურება იმ გვარად, რომ მისი პროვინციულობის ნიშნის ქვეშ დაყენება მოსათმენი იყოს ან გამსახურდიას შემოქმედების ინტელექტუალურ დონეზე ასეთი ვაზვიადებული ლაპარაკი მართებულად მივიჩნიოთ. თვით. კ. გამსახურდიასათვის, რომელიც უდავოთ ქართული საბჭოთა პროზის მოწინავე ძალების შემადგენლობას ეკუთვნის, არ უნდა იყოს ეს მისაღები.

„მთვარის მოტაცების“ ავტორს ზოგიერთი უსაყვედურებს, რომ კომპოზიციის თვალსაზრისით ის ვერ გვაძლევს მეკრივად შეკრულ სიუჟეტურ მთლიანობის ნიმუშსო. სავსებით მართებულია ეს შენიშვნა.

რომანის შინაგანი წყობა ისეთია, რომ მისი ცალკეული ნაწილები ფრაგმენტების სახით არიან მოცემული, მათ შორის ორგანიული კავშირის მეტი სიმტკიცის დაცვა უთუოდ უმჯობესი იქნებოდა.

მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ მოშვებული სიუჟეტის ეს თავისებური ხერხი ავტორს ხელს უწყობს სოციალისტური ქვეყნის სინამდვილის, მისი მებრძოლი ადამიანების, რეალისტურად ასახვის სიძნელეებს თავი დააღწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით რომანის მსვლელობა, ორგანიულად შეკრულ სიუჟეტის განვითარების შინაგანი აუცილებლობა, აიძულებდა ავტორს უფრო თანაბარი დანაწილება მოეხდინა თავისი მხატვრული ენერჯიის, უფრო მეტი ადგილი და სრულყოფილი ფერები, მეტი მხატვრული ძალა დაეთმო ჩვენი თანადროულობის დადებით გმირებისათვის. ეს მით უფრო სავალდებულო იყო მისთვის, თუ კი მას სურდა უკანასკნელი დაეპირისპირებია რომანში ასეთის გულმოდგინებით განსახიერებულ ძველი სამყაროს წარმომადგენლებისადმი.

რომანის კითხვა არ უნდა იძლეოდეს შთაბეჭდილებას, რომ მწერალს მასალის გამოყენებისა და დაუფლების მხრივ ზოგჯერ მხატვრული ზომის გრძნობა ჰალატობს, რომ ის ამ მოზღვავებული ემპირიული მასალის მორევში სცურავს, არაფერს ელევა, ყველასა და ყველაფრის ჩვენებას სცდილობს.

დიდი მოთმინებით აღჭურვილი უთუოდ ბედეკერით ხელში თან უნდა სდევდეს მკითხველი კონსტ. გამსახურდიას ფსევდო-ფილოსოფიურ,

ეტნოგრაფიულ, პუბლიცისტურ და ტურისტულ ექსკურსიებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სავალდებულო ან გამართლებული რთმანის სიუჟეტური განვითარების ან მისი მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა ეს არ არის ნიშანი იმისა, რომ მწერალი საკუთარი თავის ამოწურვის კარზეა მიმდგარი, არამედ უდავოდ ამჟღავნებს ავტორის მხატვრულ პოტენციას, მისი — თუ შეიძლება ასე ითქვას — ახალგაზრდულ, ჯერ კიდევ მზარდ შემოქმედებით ენერჯიას.

თუ ავტორი უფრო ღრმად ჩასწვდება მოცემულ მასალას, არა მარტო მწიგნობრულს, მეტიც სიღრმით გადაამუშავებს მას, არა მხოლოდ „მარცხენა თვალით“ — ორთავე თვალით შეხედავს ჩვენი ეპოქის გმირულ სინამდვილეს, მაშინ გამოჩნდება ზედმეტი ბარჯი, რომლისაგან უნდა განიტვირთოს „მთვარის მოტაცება“ და ის ხარვეზებიც, რომლებიც აუცილებლივ უნდა შეესებულ იქნან.

როგორია დასკვნა?

„მთვარის მოტაცების“ მხატვრული ღირებულება უდავოა. კ. გამსახურდია ფანატიკოსია სიტყვისა. აკი თავად ამბობს „ყოველ სიტყვის ფესვს უფსკრულამდის მივდექ“ — ო. და ეს მართალიც არის. იშვიათი გულმოდგინებით მუშაობს ის თავისი მხატვრული მეტყველების დახვეწისა და გაღრმავებისათვის.

კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ძლიერია ქართული პოეტური პროზის, ე. წ. „ორნამენტული წერის“ ტრადიციები, რომელსაც ის წარმატებით განაგრძობს ზოგიერთ ჩვენს თანამედროვე ბელეტრისტებთან ერთად.

განსაკუთრებით აღწერილობითი ელემენტი რომანისა დიდი პოეტური ექსპრესიით არის მოცემული. კ. გამსახურდიას პეიზაჟები ფაქიზი გემოვნებით და ოსტატობით შესრულებული ხელოვნური ქმნილების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ჩვენ ამას ვაფასებთ, ეს არ გვაეიწყდება, მაგრამ ყველაზედ უფრო ძვირფასია ჩვენთვის ნაწარმოების იდეური სიწმინდე.

კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ შეფასებაში ჩვენ ვერ გავყვებით უნიადგო აპოლოგიის და უპასუხისმგებლო პანეგირიკის გზას, როგორც ეს სამწუხაროდ ზოგიერთებს მოსდით.

კ. გამსახურდიას სრულიად მართებულად განუზრახავს დაუკავშიროს თავისი უთუოდ ნაყოფიერი შემოქმედება საბჭოთა თანადროულობის თემატიკურ მასალას. თუ ეს ასეა, მაშ ჩვენი ერთად-ერთი საზოში — ჩვენივე სინამდვილე უნდა იყოს, ჩვენი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სახე, ჩვენი გმირული ეპოქის საქმენი და დღენი, სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანები.

ამ მხრივ „მთვარის მოტაცება“ არის მხოლოდ ცდა. რა თქმა უნდა, არა მთლიანად უნაყოფო, მაგრამ ჩვენს თანადროულობას,

ისე როგორც ეს ჩვენ გვინდა და ალბათ ავტორსაც სურს, იგი არ დასახვს.

მით უფრო აშკარა ვახდება ეს ჩვენთვის თუ გავითვალისწინებთ, რომ კ. გამსახურდიამ ჯერ კიდევ ვერ დაახწია თავი ძველ იდეოლოგიურ ტვირთს, რომელიც მას ხელს უშლის სწორად გაიგოს და ასახოს ჩვენი სინამდვილე; განიცადოს და გამოხატოს მისი ძირითადი პროცესები, მისი შემომქმედი ადამიანები. მას ჯერ კიდევ საკმაო მანძილი აშორებს სოციალისტური რეალიზმის პოზიციებს.

მიუხედავად იმისა, რომ კ. გამსახურდიას ამ ახალ ნაწარმოებშიაც არის საკმაოდ სერიოზული იდეური გარღვევები, მიუდგომლად უნდა აღინიშნოს ის ცდა ჩვენი სინამდვილის მხატვრულად ათვისებისა, რომელსაც ავტორი იძლევა „მთვარის მოტაცების“ სახით.





ა. შანიძე

## ვახვანგის მონოგრაფია

ვეფხისტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტის შესწავლისათვის

### I. პირველი გამოცემა პოემისა

ორას ოცდა ოთხი წელია მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა გენიალური ქმნილება რუსთველისა „ვეფხისტყაოსანი“. იგი გამოვიდა ვახტანგ შეეკვესის რედაქციით 1712 წელს სტამბაში, რომელიც მისივე მეცადინეობით იქნა დაარსებული ტფილისში. ეს სტამბა პირველი სტამბა იყო ჩვენში. მისი მოწყობილობა გამოწერილ იქნა რუმინიიდან (ვლახეთიდან), საიდანაც სტამბას სპეციალისტიც მოჰყვა, უნგროვლახელი მიხაილ სტეფანევილი, რომელმაც ერთ-ერთს მის მიერ დაბეჭდილს წიგნზე (კონდაკზე, 1710 წ. გამოვიდა) ბოლოს რუმინული ლექსი მოათავსა ქართული ასოებით<sup>1)</sup>. სტამბა მომარაგებული იყო ორგვარი შრიფტით: ძველი ქართულით (ე. წ. „ხუცური“<sup>2)</sup>) და ახალი ქართულით (ე. ი. „მხედრული“). უკვე 1709 წ. გამოვიდა ამ სტამბიდან ძველი ქართული შრიფტით დაბეჭდილი სახარება და სამოციქულო, შემდეგ მათ მოჰყვა ხუთიოდე წიგნი, ხუცურად და მხედრულად დაბეჭდილები (კონდაკი — 1710 წ., ლოცვანი — 1710 წ., ეამნი — 1710, დავითნი — 1711 წ., სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა — 1711 წ.) და 1712 წელს უკვე „ვეფხისტყაოსანიც“ დაიბეჭდა, — რა თქმა უნდა, მხედრულად.

პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს დიდი ტანის წიგნს, რომელიც რვა-რვა გვერდად არის ნაბეჭდი. თავფურცელზე იკითხება: „ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ეამსა ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა შრომითა, წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა“ (ნ. სურ. გვ. 171)

<sup>1)</sup> ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935).

თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა ქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით შედგენილი ხუთსტროფიანი ტექსტი, რომელიც ლერბის ლექსს მესამე გვერდზე მოსდევს ერთი შაირი სტამბის მოწყობის შესახებ:

სტამბას ბეჭდვად ფრანგი და რუსნი და მერმე ვლახელნი,  
 აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახელნი.  
 გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახელნი.  
 ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლნი მნახელნი.

მესამე გვერდი თავდება ცნობით, რომ ვახტანგმა ვლახეთიდან მესტამზე მოიყვანა და სტამბა „გააკეთა“. მეოთხე გვერდზე თვით ვახტანგის სურათია მოთავსებული (ნ. სურათი 173 გვერდზე). შემდეგ კი იწყება თვით ტექსტი ვეფხის ტყაოსნისა.

პირველ-ნაბეჭდ ვეფხის ტყაოსანს გვერდების სათვალავი (ზემო აშიაზე) და რვეულების სათვალავი (ქვემო აშიაზე) ქართული ასოებით აქვს გაკეთებული: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ და სხვ. ქართული ასოებითვე აქვს გაკეთებული შაირების (ანუ სტროფების) სათვალავი (ნუმერაცია), ყოველთვის გარეთა აშიაზე (ე. ი. რექტოზე მარჯვნივ, ვერსოზე მარცხნივ).

პირველი გამოცემა ვეფხის ტყაოსნისა მხატვრული გამოცემა და ამ მხრივ იგი პოემის ყველა დანარჩენ გამოცემაზე მალა დგას, გ. ქართველი შვილისაზედაც კი. მართალია, შიგ სურათები (გარდა ზემორე მოხსენებულისა) არ მოიპოვება, მაგრამ სულ თავში ტექსტს დადებული აქვს კლიშე (ყვავილების ხლართი) და შემდეგ ყოველ სათაურს მიუძღვის თხუთმეტი სხვადასხვა საბორღურო ფიგურისაგან სხვადასხვა კომპინაციით იშვიათი ხელოვნებით გამოყვანილი სახეები. ეს გამოცემა ყველაფრად ჰბაძავს საუკეთესოდ შესრულებულს ხელნაწერებს მე-XVII საუკუნისას: როგორც ხელნაწერებში წერისას, ისე აქაც ბეჭდვისას ორი ფერია ნახმარი, წითელი და შავი: წითლად დაბეჭდილია სათაურები და შაირების დასაწყისი სიტყვები, შავად კი დანარჩენი ტექსტი. მაგალითად აღნიშნული გამოცემის 186 (რძვე) გვერდზე ხუთი სტროფია მოთავსებული (№№ 1008 — 1013) და ხუთივე სტროფის დასაწყისი სიტყვები წითლად არის დაბეჭდილი, სახელდობრ: **ამას** (1008), **მოახხნა** (1009), **ერთსა** (1010), **ზარი** (1011), **ქალაქი** (1012), **აქა მათ** (1013) [ნახე სურათი 175 გვერდზე<sup>1)</sup>]. საუცხოოდ დაწერილ ხელნაწერთა მიბაძვა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ შაირების სტრიქონები თანაბარი სიგრძისაა. რომ მხატვრული გემოვნება არ დაირღვეს და ყველა სტრიქონი თავიდან ბოლომდე თანაბარი ზომისა იყოს, ორი უკანასკნელი ასო სტრიქონისა სულ ბოლოსაკენ არის გაწეული. ამის გამოისობით ყველა სტრიქონი თა-

<sup>1)</sup> აქ სურათზე წითელი ასოებიც შავად არის გამოსული.

ვეუსის ტყაოსანი:

ან ასაღო ღმრებელური ქართულის ენასა სედა ქაშა ამა  
 დღობულისა საქართველოს მშურბულისა  
 ბუღლისა ბუღლისა ვასტანგისსა:  
 შრომათა წინსაგებელითა მისვე მშურბულისათა:

გამართა ველითა ველიწოლის კარის ღვეანონის შვი  
 ლის მიქელისათა: ქალიწა ცუღლისასა

ქრისტეს აქეთ  
 მის შვილას ღმრებელსა ღსაბამითებან ვიდრე  
 აქამომღე-შვილიათას ბრას ოცნა:



ნაბრად იწყება და თანაბრადვე თავდება და გვერდის ანაწევრები უკვე  
თანაბარია.

სასვენ ნიშანთაგან მხოლოდ ორწერტილი და სამწერტილია გამოყენებული: ორწერტილი ტაეპის შუაში, ცეზურის ადგილას, სამწერტილი კი სტრიქონის დასასრულს.

შრიფტი, რომლითაც დაბეჭდილია ეს პირველი სტამბური ვეფხის ტყაოსანი, მეტად ლამაზია. იგი იმდროინდელი საუკეთესო ხელნაწერების მიხედვით არის დახატული. ცალკეულ ასოებს გარდა შიგ გვხვდება აგრეთვე ლიგატურები: და, მო, შო, თო, ძო და სხვა. ეს შრიფტი ხმარებაში იყო 1722 წლამდე, შემდეგ სტამბა (1723 წ. ოსმალების ტფილისში შემოსევისას) განადგურდა.

არ ვიცით, რამდენ ცალად დაიბეჭდა პირველი გამოცემა ვეფხის ტყაოსანისა. არც ის ვიცით, თუ რამდენი ცალი დაიღუპა ანტონ კათალიკოზის მიერ გამოცხადებული ბრძოლის შედეგად. ვიცით მხოლოდ რომ ამ პირველი გამოცემისა რამდენიმე ცალი-ლა არის ჩვენამდის მოღწეული. მე ვიცნობ და აღწერილი მაქვს სულ 18 ცალი, რომელთაგანაც დიდი უმეტესობა დაგლეჯილ-დაფლეთილია. სავსებით სრული ცალი არც შეგულება ჯერჯერობით. ზოგს თავში აკლია, ზოგს შუაში და ბოლოში, ზოგს იქაც და აქაც. ზოგი ცალი ისე დაფლეთილია და ფურცლებ-დაკლებული, რომ პირდაპირ გული გეტკინებათ. უმეტესობა ამ ცალებისა მუზეუმებს, არქივებს და წიგნთსაცავებს ეკუთვნის, რამდენიმე კი კერძო პირთ. ორი ცალი ლენინგრადშია, აღმოსავლეთმცოდნეობის (ყოფ. აზიის) მუზეუმში, დანარჩენები კი ტფილისში.

მოდრეული ცალების მიხედვით სავსებით შესაძლებელია მთელი გამოცემის აღდგენა. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია და იმედი მაქვს, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ აღნიშნული გამოცემა აღდგენილი სახით გამოვა კიდევ წიგნის ბაზარზე გასასყიდად.

## II. ვახტანგის მონოგრაფია.

პირველ გამოცემას ვეფხის ტყაოსნისას თან ახლავს ბოლოში ვახტანგის მონოგრაფია პოემის შესახებ. მონოგრაფიას სახელად ჰქვია „თარგმანი“, რაცა ნიშნავს ახსნა-განმარტებას, კომენტარიებს. თარგმანს უჭირავს 66 გვერდი (286 — 351) და დაბეჭდილია იმავე შრიფტით, რითაც თვით პოემა. იგი წარმოადგენს სტროფობლივ განხილვას ვეფხის ტყაოსნისას. ვახტანგს აინტერესებს ზოგადი იდეა, რომელიც გატარებულია პოემაში, და ყურადღებას აქცევს ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ხსნის ძნელად გასაგებ სიტყვებს და ხშირად თავისი სიტყვით

გადმოგვეცემს სტროფის შინაარსს (მთლიანად თუ ნაწილობრივ). ვახტანგი კვალ-და-კვალ მისდევს შაირებს (ანუ სტროფებს), და მათ შერწყმ



ვახტანგ მეექვსე.

ვეფხისტყაოსნის კომენტატორი და პირველი გამომცემელი.

ენებს უკეთებს. პირველი შვიდი ათეულის ფარგალში ყველა სტროფი აქვს განხილული, გარდა სამოცდამეათისა. აქედან მოყოლებული ასამდე

შემდეგი ცხრა შაირია აუხსნელად დატოვებული: 70, 77, 79, 80, 84, 90, 95, 96, 97. ასიდან ორმოცამდე უკვე 26 სტროფი დატოვებულია: 103, 105, 107, 108, 117, 123, 124, 139, 142, 144, 145, 153, 159, 171, 172, 179, 180, 182, 184, 185, 192, 193, 196, 198, 200.

შემდეგ და შემდეგ თანდათან მატულობს აუხსნელი სტროფების რიცხვი და თანაც ახსნა-განმარტება, — თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, — მოკლე-მოკლეა. ბოლოსკენ კი ვახტანგი მხოლოდ აქა-იქ ხსნის სტროფებს; მაგ. მეათე ასეულში ესენილაა დამოწმებული: 905, 914, 923, 947. ამ უკანასკნელს (947-ს) უკვე 1002-ე შაირის ახსნა მოსდევს უშუალოდ, თითქო მათ შორის მოქცეულს 54 სტროფში არაფერი იყოს ასახსნელი! <sup>1)</sup> ვახტანგს თავის თარგმანში დამოწმებული აქვს 594 სტროფი <sup>2)</sup>, მაშასადამე, ორი მეზუთედიც კი არაა იმ რიცხვისა, რაც პირველ გამოცემაშია შეტანილი (1587 სტროფი). ვახტანგი თვითონ შენიშნავს: „თარგმანი მრავალი დამირჩაო“, ე. ი. ბევრი შაირი <sup>3)</sup> დამირჩა აუხსნელიო. მიზეზად მას ორი გარემოება მოჰყავს: ერთი — მოუცლელად ვიყავიო და მეორეც ისა, რომ მე მაინტერესებდა, გამერკვია „გზა და რივი“, ე. ი. მეჩვენებინა მეთოდი ვეფხის ტყაოსნის კომენტარიების შედგენისაო, და დასძენს: „ვისცა თარგმანი ვინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთო“. შეიძლება ვახტანგის რჩევას არ ვუზღოთ ყური და მისი მეთოდი არ გავიზიაროთ, მაგრამ მისი მონოგრაფია კი საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ, რადგანაც ამ თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის შესწავლისათვის.

ვახტანგის მონოგრაფია მძიმე სტილით არის დაწერილი და ალაგ-ალაგ ძნელად გასაგებია. იგი შავად დაწერილი თხზულების შთაბეჭდილებას სტოვებს, თხზულებისას, რომელსაც მეორედ გადახედვა და გაჩაღხვა დაჰკლებია. გარდა ამისა ასახსნელი სიტყვები ცალკე არ არის გამოტანილი, რომ სტროფის შინაარსის გადმოცემა უფრო მკაფიო და ნათელი იყოს. არც ახსნელი სიტყვებია ერთად თავმოყრილი და ანბანის რიგზე დალაგებული, ამიტომ გამეორებას ხშირად აქვს ადგილი. ვახტანგი ცდილობს თავისი აზრი ძველისა და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოყვანილი ციტატებით დაადასტუროს. ყველა ეს საკმაოდ აძნელებს „თარგმანის“ კითხვას და მის გამოყენებას სათანადოდ.

<sup>1)</sup> რომ ნათელი იყოს ხარვეზები, მოვიფიქრე შესადაარებლად ცნობას, თუ სად მოდის მეასე-მეასე სტროფი თარგმანისა (ჯერ თარგმანია დასაბეღებელი, შემდეგ კი პოემა პირველი გამოცემის მიხედვით): 100 — 116; 200 — 266; 300 — 442; 400 — 676; 500 — 840; 594 — 1559.

<sup>2)</sup> ამას ემატება 7 სტროფი, რომელიც თარგმანშია დამოწმებული, მაგრამ პოემის პირველ გამოცემაში არ მოიპოვება.

<sup>3)</sup> აქ მე ერთნაირი მნიშვნელობით ვხმარებ შაირსა და სტროფს: იგია ოთხი სტრიქონისაგან შემდგარი 16-მარცვლოვანი ლექსი.



რძე:

ქართული

60	ამს გკალრებ არ ეგებოს : შარტოსიგან წსველსა	6	ა
	თანა ყმათა წაშტატან : იმასსურე იახლე	6	ა
	აბჟარა ჭ საქონელი : ერთი ფორი ერთი ცხე	6	ა
	ღ არ წაიტან გაირფები : ლაწვი ვარღა ცრემლითა შდე	6	ა
61	შასნა თათი შინაი : მისანდობელი გულთა	ა	ა
	სრული აბჟარი საუცო : ქაფითა საბარკულია	ა	ა
	საშკი ლიტრა წითელი : აწონით არ ნაკლიული	ა	ა
	ღ ერთი ტაიჭი უებდო : შით უნაგროთა სრულია	ა	ა
62	ერასა ფორსა წყვე შავარსა : საგებელი აუკი	ღ	ა
	წვიღა ჭ თრიღონ შეჯღა : მისთანავე ვაჭვი	ღ	ა
	აწ გაფრისა შმლოღწესა : ეღებოღა ცეცღლი სწვი	ღ	ა
	ღ მსთქულს თუცა მზე გვიასღა : ხეწნ ზამთარი ვერ ჭ გვხვრიღ	ა	ა
63	ზარი მის ყმისა გაფრიღისა : გაქტღა მიეცა წუსიღო	ს	ა
	შატყღეს შქლოაქენი : ლარსა ვინ სვიღღა თუ სიღო	ს	ა
	წმა ძახიღისა მათისა : გვანღა ბერთა ქუხიღო	ს	ა
	ღ ატყოღეს მზესა შეწრღით : მო თვარინი შიესცეთ წუხიღს	ა	ა
64	ჭლოაქი გავღეს შავიღეს : შიძსა შავიღეს ზღვისა	ს	ა
	მშინ თვრიღონის ნახუღისა : ნასაფლოშეცა შმისა	ს	ა
	შუნ ჭადღენღეს ნაკადსა : სისღისა ცრემლითა ტბისა	ს	ა
	ღ თვრიღონ თუშობს ამბავსა : მის მნათობისა ტყვისა	ს	ა
65	აქა მით ორთა შნათა : შიე შოთყუანეს ნავი	თ	ა
	კბიღო თეთრი ბაგე ბაღასში : სახეღავითა შავი	თ	ა
	ცხენი გავქუსღოე გავაგე : წაგვრა ვლომითა ჭ შკლოავი	თ	ა
	ღ შრს შნახეს აღრე გაშექენეს : ნავი შურინველი ნინღავი	თ	ა

შექ

ვახტანგის კომენტარიების გაგებას კიდევ უფრო ამწვანებს ეს ვარაუზები, რომ

ა) სასვენ ნიშნებად მხოლოდ ორია გამოყენებული: ორწერტილი და სამწერტილი. სამწერტილი ჩვეულებრივ სტროფის ახსნის ბოლოს ზის ხოლმე და, მაშასადამე, წერტილის მნიშვნელობით არის ნახმარი; ორწერტილს კი ერთი რაიმე გარკვეული ფუნქცია არა აქვს, იგი ხან მძიმის ადგილას არის ნახმარი, ხან წერტილისა ხან სხვა ნიშნისა, ხანაც სრულიად უადგილო ადგილას არის დასმული. ამიტომ იგი უფრო უშლის მკითხველს, ვიდრე ეხმარება;

ბ) სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანი ნიშანი (დეფიზი) არსად არ მოიპოვება, ასე რომ გაწყვეტილი სიტყვის დანახვისას სტრიქონის ბოლოს ყურადღება უნებლიედ ჩერდება და წინადადების ერთბაშად და მთლიანად წაკითხვა ფერხდება;

გ) დამოწმებული სტროფების დასაწყისი სიტყვები ნაწილობრივ წითურად არის დაბეჭდილი, ნაწილობრივ კი შავად, მაგ. „მიჯნურობა არის ტურფა“. („მიჯნურობა“ წითლად, „არის ტურფა“ კი შავად);

დ) ასახსნელი სიტყვები არაფრით არ განსხვავდება სხვა სიტყვებისაგან.

დასძინეთ ამას კორექტურული შეცდომები, რომლებიც ბლომად მოიპოვება შიგ, და მიიღებთ თხზულებას, რომელიც უხალისოდ იკითხება სპეციალისტების მიერაც კი.

იმ მიზნით, რომ ვახტანგის მონოგრაფია ვეფხის ტყაოსნის შესახებ (რომელიც ქრონოლოგიურად პირველია ჩვენამდე მოღწეულ კომენტარებს შორის) ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები გახდეს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, მე იგი ტექნიკურად სხვაგვარად გავაფორმე; სახელდობრ:

1. გავამარტივე ვახტანგის მერყევი ორთოგრაფია იმ მხრივ, რომ

ა) ხარების ნაცვლად ყველგან ხანები ჩაესხი: ხელი, ხელმწიფე, ხორცი, დამზობა და მისთ.;

ბ) უმარცვლო უნის ნაცვლად ყველგან ვ გავატარე: აქვს, კვამლი, მოკედეს და მისთ.;

გ) ვ ლიგატურის ნაცვლად ყველგან ვი დაებეჭდე: ჰქვიან, დაუტყვია, სიტყვის და მისთ.;

ბ) „ჰქვიან“ სიტყვა ყველგან ამ სახით წარმოვადგინე: „ჰქვიან“ (პირველ ნაბეჭდში იგი ოთხი სხვადასხვა სახით გვხვდება: ჰქვიან, ქვიან, ჰქვან, ქვან);



2. ვახტანგის ქარაგმები „ღმერთ“ ფუძისაგან ნაწარმოებულ სიტყვებში: ღვთისა, საღვთო და სხვ.;

3. სტროფების სათვალავში ქართული ასოების ნაცვლად ყველგან არაბული ციფრები ჩავსხი შესაბამისად;

4. დამოწმებული შიორების დასაწყის სიტყვებს მთლიანად შავად ვებეჭდავ. თუ აქ სიტყვა შემოკლებულია, დაკლებულს ვავსებ და ფრჩხილებში ვსვამ;

5. კორექტურული შეცდომები ვავასწორებ და პირველ-ნაბეჭდის წაკითხვა სქოლიოებში ჩამოვიტანებ;

[A ლიტერი აღნიშნავს, რომ პირველ-ნაბეჭდში ისე იკითხება, როგორც სქოლიოშია ნაჩვენები];

6. ძველი და ახალი აღთქმიდან დამოწმებული ადგილები მოვძებნე და თავ-თავის ადგილას ვუჩვენებ;

7. ასახსნელი სიტყვები დამარცვლულად (დაყოფით) ავაწყობინებ და დავაბეჭდვინებ;

8. სასვენი და სხვა ნიშნები (მძიმე, წერტილი, კითხვის ნიშანი, ფრჩხილები, ბრჭყალები, ტირე და სხვ.) დღევანდელი ხმარებულობის მიხედვით დავუსხი ყველგან.

სხვაფრივ ძეგლში ყველაფერი უცვლელად დავტოვე, ზოგიერთი ორთოგრაფიული ხასიათის მერყეობანიც კი.

ამ ტექნიკურ ცვლილებათა გატარების შემდეგ ვახტანგის მონოგრაფიამ ასეთი სახე მიიღო:

### თარგმანი პირველი

წიგნისა ამის ვეფხის ტაოხსნისა,

თქმული

გატონის ზვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა.

წინასიტყვაობა<sup>1)</sup>.

მე ვსწერ, ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა, ვახტანგ წიგნისა ამას ამისთვის:

უკოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალავითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა, მსგავსად თვალთა რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჭიჭისა ჭვად პატროსნად სახელ-სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივ-

<sup>1)</sup> „წინასიტყვაობა“. — ვგ სიტყვა ვახტანგს არა აქვს, მე დავუმატებ.

სცემენ; და ესეცა ვთქვა: მსგავსად ჭიისა მის, რომელსა მისსა შევამთა მფრინველისათა, გემოვნებისა და განძღომისა თვისისათვის<sup>1)</sup> სწავს მსგავს-ველსა მას, ჭამითა მით მასცა მოჰკლავს და თვითცა მოკვდების.

აწ მე ამისთვის დავეშვერ: ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესევეთარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყებელად და, რადგან ჭრისტიანი იყო, არცა აღუდგებოდა ესეოდენსა ხანსა ამას წინ. რომელი იტყვის: „რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქმად“ შემოდგომითურ<sup>2)</sup>. მაგრამ ამაღ თქუ: თუმცა არა<sup>3)</sup> ვთქვა წმინდათა წერილთაებრ, ვინ გაუშვებდა გრიგოლის და იქროპირისა<sup>4)</sup> და სხვასა ესევეთარსა და ამას შეიყვარებდა? აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა. უსწავლნი და უშეცარნი სოფლის საშვებლად და სიბრძნელ შე-რაცხს და მით სიხარულად შეიტკბობს, ხოლო რომელნი არიან მეცნიერ, სცნობენ ესრეთ, ვითარ განიშარტვის<sup>5)</sup> და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი და ამით ნამუშავარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება.

და აწ ესე მისმინეთ: ვეფხის ტყაოსანი მე ასე მითარგმნია და, თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია. ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს. რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რა. და ვინც გინდა, იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს. აწ ასრე ესთარგმნე, ვითა მას მოქმელსა ვთქვა. მე თარგმანი მრავალი დამირჩა, არა თუ ამისთვის: თუცა ესე ვიპოვნე, მას ვერ ვიპოვნიდი; მაგრამ ერთად მოუცლელობისათვის. მეორედ გზა და რიგი გამირკვევია. ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეეჭკოდეთ. თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?

და თუცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბძანებს: „არა ისრე არისო“, მე უგბილობაში ჩამომირთმევია, ამისთვის: თავათ რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სორცხვილიც იყო და უკადრისიცა. რა როგორ არ უწყენდა? რა მეორედ: ორი კათალიკოზი, რამთონი სამღვდლო წმინდა და ღირსნი კაცი იყვნენ და ამთონი უღაბო ამენებული იყო. ისინი, თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევიანებდენ და ნათქვამს დაუხვევლს როდის გაუშვებდენ! თარამ ახლა. გასინჯეთ, ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდლობა და ახლანდლობა შორიშორ არის. თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად, კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ!

1) მთვ 5, 28; 2) ეს „არა“ მე დავემატე; 3) A იქროპირისა; 4) A განიშარტვის.

მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს<sup>1)</sup>, თარგმანში მნშმ მსრზე სჯობს! ღვთისა და კაცს წინ, მე ასე მიჯობინებია და ამას<sup>2)</sup> მსრზე ხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხაშს და ამოდ დავშვერ.

### თარგმანი პირველი წიგნისა ამის.

1. რომელმან შექმნა. ღმერთმან შექმნა ქვეყანა, ქვეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეცილამ სული ცხოველი მოჰბერა, რომელნიც მყოფნი ვართ. ხოლო მრავლის ფერის შემკობით კაცთა მისცა სოფელი. და ყოველი ხელმწიფობა, ვითარცა იტყვის<sup>3)</sup> პავლე, ზეგარდმო არს<sup>4)</sup>. აგრეც ესეც ამას უბნობს, რომე ღვთისაგან არის ყოველი ხელმწიფება, იმავ ღვთის მიმზგავსებულობით.

2. ჰე, ღმერთო. ერთმან ღმერთმან, — მამამან, ძემან და სულმან წმინდამან, — შექმნა სახედ ყოველი აგებულება. და მას ეხვეწების დაფარვასა და ძლევასა ეშმაკისასა და დათრგუნვასა სატანისასა. სატანა წინამდევსა ჰქვიან. აქ იხილეთ, კაცო, თუ სიძვაზედ რამ იყოს! რა სათხოვარია სიკვდილამდი ქრისტეს მცნობისა და ამგვარის ფილასოფო-აის კაცისაგან შრუშება?! მაგრამ ამას არა სთხოვს, ამასა სთხოვს<sup>5)</sup>. ძიჯნური არაბულად შმაგსა ჰქვიან, და სურვილი ამას ჰქვიან, რომე მუდამ ნახვის მდომე იყოს. და აწ ამას ამაზედ ამბობს: „მომეც შიჯნურთა სურვილიო“, ვითამ გაშმაგება მუდამ სასუფეველის ნდომისათვის რომ სიკვდილამდი გამყვეს, რომ იქ ცოდვა შემიმსუბუქდეს, თან ის წავიტანო.

3. ვის შვენის. სჭირს რუსთელის ლექსსა სამი ესე საქმენი, სამზედ უბნობს: ერთს სამღვთოდ, მეორეს საცოლჭროდ. მესამეს რასაც ზღაპრის მიზეზზედ<sup>6)</sup> ეს ლექსები უთქვამს. და აწ აქ შესაველში ეს მეოთხე მეფის თამარას ჰება მოუყვანია: წესია პირველად ანდერძა და შესაველში პირველად ჰება ღვთისა და მერმე მეფეთა. აწ თვისსა მეფესა აქებს ესრე. ლომი კაცის ჰებად ითქმის. თამარ ქალი იყო და მეფედ იჯდა და მეფეთაგან კაცობა ხაშს. აწ ამას უბნობს: რომელს ლომსა შვენის ასრე ხმარება შუბისა, ფარისა და შიმშირისა (შიმშირი სპარსულად ხრმალია), რომ ამ ქალს, მეფეს მზეს თამარს, ლაწე-ბადახშ-თმა გიშერს. ხმარება რომ უხდებინო? და ახლა ამას დაღონებით ამბობს: ამისთანა ჰება<sup>7)</sup> როგორ შევმართო?<sup>8)</sup> (შემართვა შებედვის ჰქვიან). ამ-ს მეტი: იმის მჭირეტს (ყანდი შაქრის ყინული არის: ეს შაქრის ყინული რომ კაცს. მის მჭერეტს, წინ ეღვას, იმის ყურება ეყო-

<sup>1)</sup> A იყო; <sup>2)</sup> A იტვის.

<sup>3)</sup> შტრ. რომ. 13, 1; <sup>4)</sup> აქ რაღაც უნდა აღიღეს; <sup>5)</sup> A მიზეზედ

<sup>6)</sup> A ჰებას; <sup>7)</sup> A შევმართო.

ფა) ის მართებს, მშიერსა მისცეს. მშიერად ვინც თამარს ვეყენებოდა, იმას უბნობს; ვინც ნახავს, იმის მნახავს ასე ეუბნება: ამის ნახვევითმ გასაძლიერებლად გეყოფა, შაქრის ყინულს რაღას აქნევთო?!

4. **თამარს ვაქე(ბღეთ).** უბნობს: თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლის ცრემლ დათხევით. ხაშს პატრონის სამსახურისათვის კაცი სისხლის ცრემლითაც ტიროდეს და სისხლსაც აქცევდეს, და აწ ამას უბნობს: თამარს ვაქებდეთ იმისი ყმანი, რომელსაც მისის სამსახურისათვის სისხლის ცრემლი გექცევია და ჭირიც გვინახავს. და აწ უბნობს: ეს თამარის ქება რომ ესთქვითო, არ ავად გამორჩეული არისო. მეღნად იტყვის თამარის თვალსა და გიშრის ტბად გუგასა, რომ ის მეღნად ასრე იხმარა; იმის ქებისათვის სწერს, თვარა, თუ ის თამარის თვალი საქება-რი არ იყოს, მეღნად რად<sup>1)</sup> დასწერს? კალმად, მინარხეულად წამწამებს ამბობს. მინარხეული შერხეულად ითქმის. აწ ასრე უბნობს: ეს წამწამი ასრე მიჭია, ვინც მომისმინოს (წამწამი ლახვრად უთქვამს), რომ გულს ლახვრად დაესოს ქებაო.

5. **მიბძანეს მათ(და).** ამას უბნობს: თამარ მეფემ მიბძანა, იმ გვირგზის საკადრისი ტკბილი ლექსები თქვიო, ქება ნესტანდარეჯანისა და თინათინის თვალისა, წარბ-წამწამისა, თმისა და ბაგე-კბილისა. ბროლად კბილს უბნობს, ბალახშად ღრძილს და ბაგეების მიჯრით მიწყობა კბილის ქება არის. ბადახშანი უმჯობეს ლალსა ჰქვიან. „გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა“ ეს<sup>2)</sup> არი, რომ აღმასს<sup>3)</sup> ტყვიიზედ გასთლიან; ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს. აწ ეს ასრე არის: როგორც ტყვია ღბილი აღმასს<sup>3)</sup> გასთლის, აგრევე (ქალი ხომ რბილი არის! და) ამ ნესტანდარეჯანისა და თინათინის საცოლოდ მონდომებამ გვირის ტარიელის და ავთანდილის სიმაგრე გასთალა, გატეხა და ძალიანი საქმეები აქნევინა. და ამას სხვაზედაც უბნობს: ვინც საცოლედ ქალს მონდომებს, იმისი ცდა ბევრს ვარჯის. მეორე ესეც მგონია: როგორც რომე ტყვია აღმასს<sup>3)</sup> გასტებს, ისრე ტკბილი და გემრიელი სიტყვა გაჯავრებულს კაცს გასტებს და მოალობს. მაგრამ ამას რომ უბნობს: თამარ ტარიელისა და ავთანდილის ქება მიბძანა, იმათი სახელდობ არ უბრძანებია, ქართულად ლექსის თქმა უბძანა. ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა.

6. **აწ ენა.** ამბობს: ახლა ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, რომ, რადგან სამსახური მიბრძანა მეფემ, კარგად ვქნა. და ღმერთს ეხვეწების: ძალი მომეც და შემეწიე, შენგნით რომ გონება მქაქს, იმას მიუგდო და დაეაყრა. იმ თავის მოგონილის ზღაპრის ტარიელისას და ავთანდილისას უბნობს: იმათს ქებაზედ შევეწიოთო, რომ ტურფად სახ-

1) A მეღნად რას; 2) A ეს ეს; 3) A აღმას.

სენებელნი არიანო. იმ სამს, — ტარიელს, ფრიდონს და აეთანდილოს, — გვირად ახსენებს, ერთმანერთის მონად და მორჩილად ამბობს:

7. **მო, დავსხდეთ ტარიელისთვის.** ამას ამბობს: მოდიეთ, დავსხდეთ ტარიელისთვის, ვისაც ცრემლი შეუშრობლად გედის, რომ იმას აქათ დაბადებული იმისთანა ვინ ყოფილა?! ამას ამისთვის ამბობს: იმ ამბავს ზღაპრად ხდის, არც დაბადებულან და არც ვის დაბადებულს იმას უდრის. თვარა დიამც გვირები იმათთანა?) არ ყოფილიყოს! თვარა იმას აქეთ რამდენი წმინდა კაცნი დაბადებულან! იმათ როგორ აჯობინებდა?! მაგრამ უბნობს: ზღაპარია, არა იყვენ რაო. მე, რუსთველმან, გავლექსებ ამთენის ტყუილის თქმისათვის ლახვარ-გულდასობილმა. აქამდის ამბავი იყო, აწ მარგალიტად წყობილად გაეხადე. მარგალიტად ლექსს?) უბნობს და წყობილად ლექსის გაწყობას.

8. **მიჯნურსა თვალთა სიტურფე.** რასაც მიზეზით ეს წიგნი თქვა, ის ამბავი გაათავა. ახლა მეორეთ სამლთოსაე მოჰყვა. აბა, ზოგი ვინმე რომ იტყვის: „რუსთელის ნათქვამში სამლეთო არა ურევია რა“, მაშ ეს რა არის? თუ ხორცის მიჯნურობაზედ თქვა, ეს რომლის ხორციელ კაცი-საგან იქნება: სიმდიდრე და სიყმე ჰქონდეს და მოცლა? ან ეს როგორ იქნება: მოცლილი იყოს, უთმობდეს და მძლეს მტერს ერეოდეს? მძლის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება? ასრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა? მაგრამ ეს საეროდ არ უთქვამს, სამლდელოს კაცზედ უთქვამს, ასე რომ სამლდელო კაცი წირვის იარაღის გაწყობითა, სულიერად ჭკვეითა და მადლით ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს, ტურფად და მზეებრ განბრწყინებული. და სასუფეველის მიჯნურნიც ზომ სამლდელონი არიან! ასრე უთქვამს: სიმძნე მოღვაწეების შემძლებელად, — მადლი ამდენი უნდა ჰქონდეს და სასწაული, რომე უხვად ყოველს კაცს აძლევდეს (როგორც პეტრე იოვანეთურთ, ტადარში რომ საპყარი იხილა და ქველისაქმე სთხოვა, იმათ არ უთხრეს?): „ჩვენ ოქრო და ვერცხლი არა გვაქვსო და რაოდენი გვაქვს, მიგცეო“), იმ უხვეებასა უბნობს); სიმდიდრე — მადლით სიმდიდრეს უბნობს; სიყმედ — რომე ვეკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს; ასე მოცლას ეუბნება, სოფლის ზრუნვა, — სასუფეველის მეტი, — არა ჰქონდეს რა: ენა ქადაგებისა გძელი და კარგი ჰქონდეს; გონება — კეთილის გონებისა, სამლეთო წერილთა სმენისა მოთმინება ჰქონდეს; მძლე მეტრეოლი ეშმაკია, იმას ერეოდეს. თვარა, თუ სამლდელოს ესეები არა სჭირს, სასუფეველის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიად აკლდება.

1) A იმათთან; 2) A ლექს.

3) საქმე მოც. 3, 6

4) A მიტეო.

**9. მიჯნურობა არის ტურფა.** აქა აჩენს ქალის მიჯნურობა, ეტყინელი გვარია. ლოთებმაც იციან, რა საძნელო დასაწერია. მაგრამ მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობს: ძნელი გვარი ის არისო. აქ აჩენს: მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძესო. თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს? მაგრამ უბნობს: მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო. და დიდი სამძღვარი ძესო. და გვხვეწებათ: ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამსო.

**10. ხამს მიჯნური ხანიერი.** ეს გასინჯეთ, თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას: ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და, კაცი, მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება? თუ კაცი არ დაიშლის, არ უნდა ახანიერებდეს; სანამღი ყმაწვილი ზყენენ, მანამღი უნდა ცდილობდენ. მაგრამ საეროდ და სამღვდელოდ ამბობს და ბოზობას უშლის. გმართებთ, რომ სასუფეველის მიჯნური იყენთ ხანგრძლიად და არ შეძაობდეთ და არ ბილწობდეთ. „მოყვარე კაცისა“ კაცე არაა. და ამას ამბობს: რა რომ კაცს მოსცილდეთ, სასუფეველისათვის სულთქმა და უში გქონდესთო. მესამეს ლექს<sup>1)</sup> ერის კაცისათვის ამბობს პავლესავით: „თუ ვინმე ქალწულად დადგება, ისი სჯობსო, თვარემ ზურვებას ქორწინება სჯობსო“<sup>2)</sup>. ახლა ამას გეუბნებათ: გული ერთსა და აჯერეთ, ქუში მოგხვდესთ, თუ კუშტი. მძულს, ამბობს, ამგვარი იჯულო სიყვარული, ხევენა, კოცნა და მტლაშა-მტლუში, კაცი ცოლს ეხვეოდეს და ჰკოცნიდეს და სხვაგან ბოზობდესო. ამას ამბობს საქულველად.

**11. ამა საქმესა მიჯნური.** ესეც სამღვდელოსია. ამ საქმეს, მიჯნურნო, მიჯნურობას ნუ უძახით: დღეს რომ სასუფეველის მიჯნური შეიქნათ, ხეალ სოფლისა და სოფლის სიყვარულით ხეალ მისი გაყრა დასთმობთ (ბედი თი ცუდსა ჰქვიან და მღერა თამაშობასა). და იმას უბნობს: ეს ცუდის ყმაწვილის თამაშობას ვავსო. და „კაი მიჯნური ისაო“<sup>3)</sup>, — იმას ამბობს, — ვინც სოფელს დასთმობს და მუდამ სასუფეველს ეძებსო.

**12. არს პირველი მიჯნურობა.** უბნს მოღვაწეთა, ვითარცა იტყვის ქრისტე: „იხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რათა არა ეჩვენო კაცსა მარხველად“<sup>4)</sup>. ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის, რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს და მოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჯებოდეს, თავს სენაკში იჯდეს, სულ თავის წინ თავის ცოდვას იგონებდეს და მუდამ ხალვა ჰქონდეს (ხალვა მარტობას ჰქვიან) და სასუფეველზედ რომ შორს არის, იმისთვის მუდამ იდაგებოდეს. სურვილის ცეცხლით იაღიბოდეს. რა „დასთმოს წყრომა მეფეთაგან“ და იმ სოფლისა ასეთი შიში და კრძალვა ჰქონდეს, ვერც მეფის წყრომამ და ვერც სიკვდილის შიშმა ვერ გააშვებინოს, აბა, ეს

<sup>1)</sup> A ლექს; <sup>2)</sup> I კორინთ. 7, 8 — 9; <sup>3)</sup> A კაი მიჯნურისაო და; <sup>4)</sup> მათე 6, 17 — 18.

ხორცის მიჯნურს როდის შეუძლია, რომე მეფის წყრომა არ ინკლ-  
ვლოს რა!

13. ხამს თავისხა<sup>1)</sup> ხვაშიადხა. ხამს, კაცი (ხვაშპამტლინსმტმამს  
განდობას ჰქვიან) მოძღვრის მეტთან არვისთან ლაპარაკობდეს (ზმნა  
ქმნასა ჰქვიან) და არც ცუდად ამას იქმოდეს, რომ კაცსა და თავის ამა-  
ხანაკს აეს ხმას არ უყრიდეს (ამას წმინდა სახარებაც ბძინებს<sup>2)</sup>): „რასა  
ხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა?“ წველა ყანის ფხას  
ჰქვიან), არც უჩნდეს მიჯნურობა, არც იფერებდეს. წესი არის: სასუ-  
ფეელისათვის რაც კაცს ჰირი დაემართოს და გაისარჯოს, სიხარულად  
უნდა უჩნდეს და ქრისტესთვის, როგორც წმინდა მოწამენი ცეცხლს  
იკიდებდენ, ისე სხვაც ცეცხლს მოიდებდენ.

14. მას უშმაგო ვით. ამასაც მოძღვრობაზედ ამბობს: თუ არ უშმაგო,  
ასეთს მოძღვარს ვინ დაიჭერს, რომე მოწაფე გაამელავნოს? და იმ მოძ-  
ღვრისათვის უბნობს: ამის მეტს რას ირგებს, კაცს შეარცხვენს და ამით  
აენებს და თავს წასწყენდს და თავს ამით იენებს. რაღა გასახელოვნება  
შეუძლია მოძღვარსა, თუ კაცის ცოდვა ჰვეყანაში თქვა და ავი ხმა  
დაუყარა? მოძღვრისათვის მოწაფე მოყვარე არის. მოძღვარს რა  
გაუფა მოწაფეზედ, თუ შიშს არ დასდებს და არას ასწავლის, არას აწყე-  
ნინებს, ცოდვას არ დაუშლის და მადლს არ მოუწონებს?

15. მე რუსთველი. ხამს, ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიალი უნდა  
იყოს და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს, რომე მისის სამსახუ-  
რისათვის თავს წასახდენლად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს. აწ ამ-  
ბობს: მე, რუსთველი, პატრონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ, იმან  
რომ უბძანა, ამის თქმას იმას იდებს, რომე ამისთვის ვიქ და ამისთვის  
არისო. თამარ მეფეს მორჩილებდა სპაცა და ჯარიცა. და უბნობს: იმის  
სამსახურისათვის ვხელობ და ვკვდებიო და მისის სამსახურის მიჯნურო-  
ბით ასე ვერ გაემადლარეარ და ვერც რომელიც მმართვეს, ის მიმსახუ-  
რებია და უმსახურობის უძღური ვარო, და წამალი არა მაქვს, გავი-  
კურნოო. ან ასრეთი სამსახური მიბძანოს, რომე გამადლოს იმ სამსახურ-  
შაო, და ან მაკლასო. საიფიარსავით ასმენს და ამაში, ვაგს, რუსთველი  
შემძლე და კაი კაცი ყოფილა, რომე ძალიანს სამსახურსა სთხოვს.

16. ესე ამბავი. ეს ამბავი სპარსში<sup>3)</sup> არ არის. და სპარსთ კაი მე-  
ლექსობა იცოდნენ. და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ  
იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდობა, ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო,  
რომე ქართლშიაც არ იყოსო. და უბრძანა მის მდივანს რუსთველს: ქარ-  
თლლის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს (სპარსულის მიბძმვით  
რადგან ათქმევიანა თამარ მეფემ), რომ სპარსთაგან ვთარგმნეო, თვარამ

1) A თავისა; 2) მათე 7, 3.

3) A სპარსში.



სპარსნიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც. იმისთვის უბნობს (რომ სპარსის ლექსის ბაშზედ რომ ჩაქვნიან სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო. როგორც მარგალიტი ნულისს-სქელ სავოგმანო არის (გოგმანი ამას ჰქვიან, ფრინველი რომე ნიადაგ კარგა იარებოდეს), ისე ეს ამბავი მარგალიტისათვის შეუღარებია. და ვპოე და ლექსით სათარგმანოდ და საუოკმანოდ გაეზადეო (კოკმანი საქმე რომ ვერა ექნას კაცსა და დია მქნელისა იყოს, ამას ჰქვიან). „თავის ხელმქნელი“ თამარ მეფეა. ის ხელმქნელი როგორც დამიწერია, იმან დამართაო, ამას უბნობს.

17. **თვალთა მისგან.** ახლა მოჰყვა სხვასა ამბავს, რომ მოლექსეების საქმეს ამბობს. და პირველზედ კიდევ სამღვთო თქვა, რომე თვალთ უწინდელთ ქრისტეს მოსელამდი უნათლოთ უჯობდაო, რომ ახლა ჩენა ენატრათო. აი რამდენი გული გამიჯნურდა ქრისტესთვის, რამთონი ველად გაიქრნენ! მე აჯე მახვეწარსა ჰქვიან. ვინც ეხვეწებიან სასუფეველისათვის, ხორცსა სწვენ, მაგრამ ის კმარა, რომ სულს ღზენას მისცემენ. და „სამს ფერად“ სამებას ამბობს. „ღამის ლექსი“) დაღვენა უნდაო“, — ერთი ეს არის, რომე სამების ქებისათვის ვის ექნება მაქთენი სიბრძნე, რომ არ დაელიოს? მეორედ ეს არის: სხვას ამბავს მოჰყვა და ისომ ვამბობდღი, ზეთი სიტყვა დაილია, ახლა სხვას მოვჰყვე.

18. **რაცა ვისცა ბედმა მისცეს,** როგორც იოვანე ნათლისმცემელი ბძანებს<sup>2)</sup>: „კმა გეყავნ როკიკი თქვენიო“ (როკიკი ჯამაგირსა ჰქვიან). და პავლეც იტყვის: „ნურა რასა უფროსსა“) განწესებულისა თქვენისა იქთ“. ის მოუყვანია. ვისაც რა მოგეცესთ, იმას დასჯერდითო: მუშა მუშაობს, მეომარი გულოვნობს, მიჯნური<sup>3)</sup> რომ სამღვდელონი არიან, მიჯნურობდეთ და გიყვარდესთ და სამღვთო სიბრძნეს იკითხვიდეთ და თარგმნიდეთ. სამღვთო საქმე არცა ვისგან იზრახოს და დაიწუნოს, და არც სხვას სოფლის საქმესა, თუ უსჯულოთ სჯულს შეუღაროს და შეუწონოს.

19. **შაირობა პირველა(დვე).** მოჰყვა ამას, რომ, რადგან ლექსი<sup>1)</sup> უბნობს, ლექსის თქმას აქებს, რომ თავის ნამუშავეს აკეთებს. პირველი: შაირობა სიბრძნისა ერთი დარგი არისო (დარგი ერთს რიგსა ჰქვიან), სამღვთო, რომ საღვთოდ<sup>2)</sup> გაიგონოს და დაისწავლოს, მსმენლისათვის დიდი სარგებელია. ამ თავის წიგნს უბნობს: ვინც კაცი კარგია და მსმენელი, სამღვთოს ამაშიაც ბევრს გაიგონებს და იამების. შაირს აქებს, რომ გძელს ამბავს მოკლედ იტყვის.

<sup>1)</sup> ლექსა.

<sup>2)</sup> ლუკა 3, 14; <sup>3)</sup> A უფროსა; <sup>4)</sup> A მიჯნური.

<sup>5)</sup> A საღვთოდ.





20. ვითა ცხენსა. იგავად მოუყვანია: როგორც ცხენს გძელი ვზა/ და ბევრი რბევა გამოსცდის, მობურთალს მარჯვედ ჩოვანის<sup>1)</sup> და სწორად ბურთის კვრა, აგრევე გძელი ამბვის გალექსეა<sup>2)</sup> მელქესეს<sup>3)</sup> ჩა ამბავი გაუგრძელდება, თუ არ იცის და სიბრძნე და რიტორება არა აქვს, ვაჭირვებაში სიტყვაც შეუმოკლდება და ლექსიც გაუჭირდება.

21. მაშინდა ნახეთ. მაშინდა გასინჯეთ შელექსე და იმისი შაირობა, რა რომ ქართულს ვეღარ მიხედომოდეს და ლექს-ძვირობა დაეწყოს, მაშინ ქართული არ შეამოკლოს და სიტყვა-მცირობა არა ქნასო! (მ ც ი რ ე ცოტას ჰქვიან). როგორც მობურთალმა<sup>4)</sup> ხელ-მარჯვედ ჩოვანი სცეს და დიდი გვირობა ქნას, ისე ამ მოლექსემ.

22. მოშაირე არა. იმას მოშაირედ არ აგდებს, ვინც თვითო-ოროლს ლექსს იტყვის და გძელის ამბვის გალექსეა არ შეუძლია. ყოვლს მე-ლექსეს თავი კარგის მოლექსის სწორი ნუ ჰგონიაო. ერთი-ორი და შორი-შორი, უმსგავსო გაღანამც რომ კიდევ თქვას, ეს არ ჩაიგდებაო. მაგრამ ამგვარი უცოდინარი კაცი კაცს არ შეიცოლებს და ჯორივით ფებს მის-ღვამს: „ჩემი ნათქვამი სჯობსო“.

23. მეორე ლექსი. ეს ლექსობა<sup>5)</sup> სამად გაუყვია: ერთს ხომ ამ თავის ლექსს<sup>6)</sup> ამბობს: მართალი ლექსობა ეს არისო (და მართლაც ამბობს!), და მეორედ ლექსად როსტომიანი და თუ ამგვარი ლექსები ჩაუგდია. და ერთად ესეც მგონია: ჩახრუხაძეც მდივანი იყო და ისიც თავის ამხანაგს ლექსს უწუნებს და თავისას აქებს. და მეორედ ლექსად ესეცა მგონია და არ იღარებს, მოლექსეობაში კაი ნაწილს უდებს და არც სიბრძნის ძალი აქვს იმგვარს ლექსსა და არც გასრულება შეუძლიაო, გულის გასაგმირალი თქვას რამე (გ ა გ მ ი რ ე ა შ ი გ რომ მახვილი რამ გაუყაროს, იმას ჰქვიან). ამად ცუდს მშვილდოსანს ყმაწვილს<sup>7)</sup> უღარის: როგორც იმათ დიდის ნადირის სიკვდილი არ შეუძლიათ და წვრილს ხოცენ, ისე ამგვარს ფილასოფოსებრი და ღრმა არა შეუძლია, ცუდმადს ამბობსო.

24. მესამე ლექსი. ლექსად მესამედ სუფრის შაირობას უბნობს, ამას კარგად აგდებს და მეორეს ლექსს<sup>8)</sup> კი იმას ამჯობინებს. და თავის ლექსს<sup>9)</sup> აჩენს, რომე ეს ჩემი ლექსი არც საცრუო არის და არც სახუმრო და სააშოყო. და ამას უბნობს მესამეს შაირისას: სააშოყოდ<sup>10)</sup>, სალალობოდ, სახუმროდ და ამხანავთ სათრეველად კარგი არიო (ა შ ი ყ ო ბ ა არაბულად ტრფიალობას ჰქვიან და ლ ა ლ ო ბ ა ხუმრობას ჰქვიან). და ახლა უბნობს: ჩვენ კარგს მოლექსეებს სუფრის შაირობაც კარგად გვიამებო, რომელსაც ნათლად იტყვიანო. მაგრამე ოღონ სასიამოვნოდ უბნობს, თორემ მოშაირებში<sup>11)</sup> კი არ აგდებს, ვინც კარგად და გრძლად არ იტყვისო.

<sup>1)</sup> A გალექსეა რომ; <sup>2)</sup> A მობურთალმა; <sup>3)</sup> A ლექს; <sup>4)</sup> A ყმაწვილ; <sup>5)</sup> A საშოყო; <sup>6)</sup> A მოშაირებში.

**25. ხამს მეღეჭე.** ეს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა უთქვამს. ესაია იტყვის<sup>1)</sup>: „ვა მათთვის, რომელნი წერენ სტრუქტურულად ასრე ამბობს იმასავით: მეღეჭე ხამს თავის ნაპირნახულტებს“<sup>2)</sup> მეზო არ აბრკვედეს და ცუდზედ არაზედ უბნობდესო. და თავის ბატონის დაყვედრებაც არის: ისომ თამარ მეფემ ამის თქმა<sup>3)</sup> დაპატივა, რატომ ცუდს საქმეზედ ამ სიტყვას და წიგნს მახარჯვინებსო? „ერთს სამიჯნუროდ“<sup>4)</sup> ღმერთს უბნობს: ერთი ის უნდა უჩნდეს სამიჯნუროდ და იმას ეაშიყებოდეს და ყველას იმისთვის მეღეჭე ხელოვნობდეს, იმას აქებდეს და იმას ამკობდეს და იმის მეტი ნურვინ უნდა საქებრად<sup>5)</sup> და ენას მისთვის ამუსიკებდესო (მუსიკი ბერძნულად მგალობლობას ჰქვია). და აქ გასინჯეთ: რომელი მიჯნური ქებულა მგალობლად, თუ არ ღვთისათვისინ?<sup>6)</sup>

**26. ჩემი აწ.** აწ ვერც<sup>7)</sup> ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს ადებს, — რომე ბატონისათვის ვერ უკადრებია, — და, თუ კაცი გაუსინჯავს, არც თვითონ იდებს და უბნობს: „ჩემი ახლა სცანიტო, ვინც მიქია, მას ვაქებო“, ვითომ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო და იმისი ქება დიდად სახელად მიმანია და არც თავს ვაფიქიქებო (განქიქება გაწბილებას ჰქვია). მაგრამე აწ თავის მეფისას უბნობს, თავისი მეფე სიცოცხლედ უთქვამს (ასე სიცოცხლეა მეფე კაცთათვის, რომე იმითი რჩებიან!) და იმას დაფარვით უბნობს. ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის, ვითა ჯიქა (ჯიქი ბაბრია), რომე ამაზედ არ შემიწყალა, რომე ღვთის ქების თქმა არ მიბრძანა და ზღაპრს მალექსებო. და რადგან ასრე მოუნდა, აწ იმას უბნობს: ვისიც მიბძანა, იმათი სახელი ქვემოთ მითქვამს და შეფრქვევით მიქიაო. შეფრქვევა ხშირად ზედ შეყრას რასამე ჰქვია.

**27. ვთქვა მიჯნურობა.** იმ ზღაპრის თქმას მეფეს აბრალებს და თვითონ კიდემ სამღვთოს მოჰყვა და უბნობს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი“ — ვითამ თუ პირველ სასუფეველის მიჯნურობა<sup>8)</sup> და უბნობს: ჯერ ისი ვთქვაო და მერმე ზღაპარიო. და ამბობსვე, სასუფეველის მიჯნურობის ტომობა და გვარობა რაც არისო, და ძნელად სათქმელად და ენისაგან გამოსაგებლად უბნობს იმის საქმეს, და სიმდაბლითაც უბნობს, — ვითამ დიდი ფილასოფოსი არა ვარო და არ შემიძლიაო. და ასრე ამბობს: ის ზეციერი საქმე არის, აღმა ამაფრენელი; ვინც იმას შეეცდების, ამ სოფლის წყენისა მრავლის მოთმინე უნდა იყოს.

**28. მას ერთსა.** იმ ერთს მიჯნურობას სასუფეველის მიჯნურობაზედ უბნობს და იმას ჰქვიაინი ძნელად იპოვნისო და მრავალთ ენაც დაუშვრა

<sup>1)</sup> შდრ. ესაია 5, 20.

<sup>2)</sup> A საქებრებად; <sup>3)</sup> A ვერც მართლა (წინადადებაში ორჯერ მოდის „მართლა“; ერთი ამოცმალე); <sup>4)</sup> A მიჯნურობა.

და ყურნიც დაუვლიანდა. ახლა თავის ზღაპრისას ამბობს: ეს სოფლიოდ ვთქვი, თორე მე იმას სად მივსწედებოდიო? და <sup>1)</sup> ~~წყვეანაში~~ <sup>2)</sup> ~~აყივნებს~~ <sup>3)</sup> ~~და~~ წყვეანაში არ ისიძავს და ქრისტესთვინ ნდომას დასთმობს და სწორისკოლ-ქრმოზით იქნების, ესეც იმისივ სასუფეველის მიჯნურის მდომის მიბაძვა არისო.

**29. მიჯნური შმაგხა.** მიჯნური (არაბულს ენას სთარგმნის, რომე) შმაგხა ჰქვიანო. და ამას ამისთვინ უძახითო, რომე, ვინც რასმე მოინდომებს და შოენის ნდომა გააშმაგებს, სხვას<sup>1)</sup> ჰქუას აღარ გამოეკიდების და აღარც არას მის მეტს ეძებს. და უბნობს: ზოგთ სამღეთოსა და სასუფეველის ახლო მყოფობა აქვს, მაგრამე ბევრი აღმაფრენაზედ კიდეც დამაშვრალა, ეშმაკის საფრთხით რომე უცდენია და ველარ აუწევიანო, ზოგთ ქვე აქვთ ხორციელთ საქმეზე გუნება, რომე (კეკლუცი ლამაზს ჰქვიან და) რაგინდარას ლამაზს მოინდომებს და იმას შეჰტფრფინავს.

**30. მიკვირს კაცი.** ამას გაკვირვებით უბნობს (საყვარელი ქრისტეს ჰქვიან): ამ ქრისტეს სიყვარულს რატომ იჩემებს კაცი? თუ ეს უყვარს, რატომლა ქვეყანაში აყივნებს მისთვის დაწყლულულს ქრისტეს?<sup>2)</sup> და, თუ არ უყვარს, რასთვინ არა სძულს, არ გაეცლების, რაზედ აყივნებს თავის საძულელს? ისომ მოძულეებულის მოყივნებას არავინ დაუჯერებს! მაგრამე აეს კაცს ავი სიტყვა სულსა და გულს ორსავე ურჩენია.

**31. თუ მოყვარე მოყვრისათვის.** ახლა კიდევ ეს ამბები გაათავა და თავის ზღაპრის გალექსვას მოჰყვა და შესავლად კიდემ სამლოთა დაუწერა. მოყვარე კაცისათვის ქრისტე არის და ქრისტესათვინ კაცი არის. თვითონ ქრისტე არ ბძანებს სახარებაში იუდასთვინ<sup>3)</sup>: „მოყვასო, რისათვის მოსულხარო?“ თუ იუდას მოყვსობას ეუბნების, სხვანი ხომ უფრო მოყვასნი იქნებიან! და აწ იმას უბნობს: თუ კაცი ქრისტესთვის ტირის, ტირილს ემართლებს და ვინც იმისთვის იარების და მარტომყოფლობს, შვენის და გაჰრაც კარგად დაეთვლებს. და გვეწვრთნის: გვიხმს, რომე იმას ვიგონებდეთ, ნუ გამოვეცლებით და ნურც პირიდამ მოვიკლით. და ის სჯობს, რომე, როდესაც კაცს შევეყრებოდეთ, იმის მიჯნურობას არც ვიჩემებდეთ და არც კაცთან ვიჭადებდეთ ფარისევლურადყო.

**32. იყო არაბეთს როსტევან.** რადგან სამღეთო ნახა, რომ არვინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხევდენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა. მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოს: ხელმწიფენი უშვილონი იყვნენო და თვითო ქალის მეტი არა ჰყვანდათ

<sup>1)</sup> A და სხვას.

<sup>2)</sup> A აქ კიდევ გამოვრებით არის დაბეჭდილი: „და ქვეყანაში აყივნებს“.

<sup>3)</sup> მათე 26, 50.

როც და იმათმა<sup>1)</sup> უფროსის ყმის შეიღებმან ისინი ქვეყნის ხელმწიფობის გულისათვის ცოლად მოინდომესო, რომ არც ქვეყანა წაუგდეს და არც მეფობა მოიშალოსო. და იმ ქალებმა თითო სამსახური დასწავლეს, ანუ იმ თუ ხელმწიფობას ღირსაო, გამოაცდევინა. და ამ სამსახურზედ დიდ-როანი სახელი აქნევინა, რომ ქალებს მოანდომა (წესია რჯულში: თუ ქალიც არ იტყვის და კაციც, ერთმანერთი, არ არი რიგი, რომ მისცენ). და ვითამ თავის კაცობა ამთონი აჩვენებინა, რომ რჯულიერად შეყრა და მეორე იმათი ქება სულ კაცის სასიკეთოთ მოიყვანა, რომე, ვინც იკითხვიდეს, ისწავლოს, თუ ქმარს ცოლზე როგორი სიყვარული მართებს, ან ცოლს ქმარზედ, ან ქალს რა საქციელი მართებს, ან კაცსა, ან რა მამაცს კაცს როგორ უნდა სჭირდეს მოყვრობა, თუ რაც კარგია. ამ მიზეზებით დასწერა, რომ კაცმა ისწავლოს. და ახლა მოჰყვა იმათს ამბავს და უთქვამთ: „იყო არაბეთს როსტევიანო“, რომ ამ ერთს ლექსში, რაც ხელმწიფეთ საქმეა, სულ გაუთავებია, რომ მეფეს ესეები<sup>2)</sup> უნდა სჭირდეს.

**33. ხვია ძე არ ესვა.** უბნობს: იმის მეტი შეილი არა ჰყვანდაო. და იმ ქალის ქებას უბნობს: მკვრეტს სულს წაუღებდაო, ბრძენი ხამს მისი მაქებარიო, რომ ენა ბევრად ასული ქონდესო. ა. ს. უ. ლ. ი. მალ<sup>3)</sup> რომ ასულიყოს, ის არი.

**34. მისი სახელი<sup>4)</sup>.** გამოაჩინა იმ ქალისა, თინათინ ჰქვიან და რომ გაიზარდა, მეფემ ვეზირები დაიხზაო, ლაღად და წყნარად ზისო და ამოდ ეუბნება ვეზირებსაო. ლ ა ღ ი მოხუმარსა ჰქვიან; ა მ ო საამოვნოდ<sup>5)</sup>; ს ა უ ბ ა რ ი ლაპარაკია. **როსტევიან უბნო ვეზირნი<sup>6)</sup>.** ხ მ ო ბ ა დაპატრიებსა ჰქვიან<sup>7)</sup> და დაპატრიეა ვეზირთაო. და ფარულად რჩევას (ვით რომ შეილი არა მყავს და რა მმართებსო) ჰკითხავს.

**35. უბრძანა: გკითხავ<sup>8)</sup>.** უბრძანა ვეზირებს: ერთათა გკითხაო ამას, რომ (ვ ა რ დ ა თ თავის თავს უბნობს) როგორც ვარდი რომ დაქცნების,

<sup>1)</sup> A იმისმა.

<sup>2)</sup> A ესეები.

<sup>3)</sup> ასეა A-ში. ალბათ შეცდომაა, თითქო „მალა“ უნდა: „ასული მალა რომ ასულიყოს, ის არი“.

<sup>4)</sup> A-ში აქედან მოყოლებული ექვსი სტროფის დასაწყისი სიტყვების წითური ასოები შეცდომით სხვა გვერდზე დაუბეჭდავთ და იმ გვერდისა კიდევ აქ გადმოიტანათ. ბეჭდვის შეცდომა აქ ყველგან გასწორებულია. კერძოდ ამ სტროფში, მაგალითად, დაბეჭდილია **აღაფობდეს** (რაც **ან** სტროფის თარგმანს უნდა უძღოდეს).

<sup>5)</sup> ამ სიტყვას A-ში მოსდევს „დაუწყო“, რაიცა პოემის ტექსტიდან არის გადმოყოლილი.

<sup>6)</sup> ეს არის დასაწყისი სიტყვები გამოტოვებული სტროფისა, რომლის ახსნა-განმარტება შემთხვევით გადარჩენილა.

<sup>7)</sup> A ჰქვიანო.

<sup>8)</sup> A შეცდომით: **უბრძანა წადი გკითხავ.** („უბრძანა წადი“ 55 სტროფისა)



ის წავა და მერმე სხვა მოვა, ისე მე დავსჯენიო, ახლა სხვა ზნედა მოვიდესო და მზედ თავის შვილს უბნობს — ის ჩაგვისვენდო და მზედ თავის უშვილობას უბნობს და მთვარედაც შვილს უბნობს. უშვილოდ არის და უშვილობას სჭერეტს.

36. მე გარდავსრულვარ<sup>1)</sup>. მე წაველო. და სიბერე კირისაგან უარესად უთქვამს. და თავის ქალს თავის მზედ უბნობს, რომ იმას ვაგახეძმწიფებო.

37. ვაწირთა ჰკა(დრეს)<sup>2)</sup>. ვეწირთა თავაზიანი სიტყვა ათქმევინა: ვარდათ მეფე გახადა და ვითამ რაგინდ რომ ბერი იყო, მიანც თქვენვე სჯობხართ სხვას. ერთობ დაშალეს ვეწირთა<sup>3)</sup>. დაუშალეს თავაზისათვის ვეწირთ, მაგრამ იმ მეფის ძალიანობას აქებს, რომ რაც უნდოდა, ის ქნაო, რომე იმას მეურჩე არ ჰყევანდაო.

38. შავას ნუ<sup>4)</sup>. რადგან აღარ დაიშალა, ვეწირებიც დაემოწმენ: ჯერ ბერი არა ხარო და, ზუ გინდა, რომელიც გინდოდეს, ის ქნო.

39. თუცა ქალია<sup>5)</sup>. მოახსენებენ: ქალი რომ იყოს, ხომ ეგეც ღეთის დაბადებულაო! არ გესათნოებითო: მეფობა კარგა იცის, უთქვენოთაც გვითქვამსო, მისის შუქის დაზად მისი საქმე გამოჩენილი არისო და რა იქნებაო! (მეფეს ლომად ხლიან და) როგორც ლომის ლეკვს ძუსა და ხეადს მამაცობაზე განყოფა არა აქვს, — უბნობენ, — ისე თქვენი შვილიაო.

40. ავთანდილ იყო. ავთანდილ გამოაჩინა, ახლა სახელიც თქვა და რისაც საქმის მკერე იყო, ისიც და თინათინის მოვონება ჰკლევდა, რომ ის ცოლად უნდოდაო.

41. გულსა მისხა<sup>6)</sup>. მის გულსა (ავთანდილისას უბნობს) თინათინის მიჯნურობა იყო და საბრალოდ უბნობს: ვისც<sup>7)</sup> რასაც ფერის სიყვარული ექნება, გულს<sup>8)</sup> მოუკლავსო.

42. რა მეფედ. რა მეფემ მისის ქალის მეფობა ბძანაო, ავთანდილის იამა, რომ მისი ნახვა მალმალ მელიძსებაო, რომ მისთვის ფერ-გამკრთალი იყო.

43. არაბეთს ვასცა. არაბეთს მისის ვახემწიფების ბრძანება ვასცა და თავის ხელმწიფებით მოიხსენა თავის ქალი. ორად უთქვამს: ერთად — ვითამ სხვის ხელმწიფის ყმა არ იყო; და მეორედ — თავის ჯარს ახედებს: რადგან ჩემი ხელმწიფე შეიქნა, სხვას ურჩობა ვილას გმართებსო.

<sup>1)</sup> A შეცდომით: მახ დღე სრულვარ. („მას დღე“ 54 სტროფისა).

<sup>2)</sup> A შეცდომით: მოიხმო მისი ჰკა („მოიხმო მისი“ 52 სტროფიდან არის).

<sup>3)</sup> გამოტოვებული სტროფის დასაწყისი სიტყვებია.

<sup>4)</sup> A შეცდომით: ამა მამისა (51 სტროფიდან).

<sup>5)</sup> A შეცდომით: მეფეთა ქალია („მეფეთა“ 50 სტროფისა).

<sup>6)</sup> A მისა; <sup>7)</sup> A ვინც; <sup>8)</sup> A რომ გულს.

44. **მოვიდეს სრულნი** <sup>1)</sup>. როსტენ ხელი მოჰკიდა და იმას უბნობს, რომ ის მეფობა როსტენ უბოძა, რომ მტკბოლად მიჰყავსო <sup>2)</sup>. თავისას ამას ამბობსო: მე დაებერდი და დავსობუნდიო და რაც ღეთისათვის მიცოდავს, იმის შენანებას ვეცდებიო; რომ სიბერეში სინანულს და ცოდვის მონანებას ასწავლის მკითხველსა.

45. **თინათინ მიყავს**. ისევ თინათინის მამისგან წაყვანას უბნობს, საშეფოსა საცმელის შემოსას <sup>3)</sup>. სკიპტრა ჯოხია, თავზე ბჭე, სკიპტრა მომცრო შეფეთა საჭერი; და შეფეთ შესამოსი: პორფირი ბისონი და დიადიმა, რომ ისეები შემოსაო (პორფირი იისფერსა <sup>4)</sup> ჰქვიან. დიადიმი სამხრეა, მზარს დაფარავს).

46. **უჯღაგეს და თაყვანისცეს**. მეფემ და ჯარით თაყვანისცეს. მეფემ (ერთამ ამაზე უბნობს, რომ თაყვანისცაო) — სხვა რომ ნახეგდა, უფრო დაემორჩილებოდენ. და თინათინის „ქებას სხვაგნით სხვაც უბნობდა“ — ერთამ გარეშემო მეზობელნი აქებდენ არის.

47. **მამისა ტახტა**. ქალს სიმღაბლეს და მორცხობას უჭებს, რომ მამის ტახტზე თავი საჯდომად არ ელირსებოდა და ტიროდაო. და მამა ყოველთა ღმერთთა. და უბნობს: ყოვლისა მამა მეფეს სწვრთნიდაო, იმან აქნევიდაო და ძეს <sup>5)</sup> ქრისტედ უბნობს, ის ითავსებსო. მეფე უბნობს: სანამღი ამას არ ვიქმოდო, დამწველი ცეცხლი არ დამეცებოდაო.

48. **უბძანა: ნუ**, ქალსა აწვრთნევიანებს მამასა და უბნობს: აჭაღამ ეს საშეფო შენი არიო <sup>6)</sup>, სამძღვრები ასწავლა. და მეფეთა ქნა, სიწყნარე და ცნობილობა მართებულთა.

49. **ვარღთა და ნებთა**. მეფეთ ქებად მზეც ითქმის. და იმას უბნობს: რადგან იმას შესდარებია მეფენიო, როგორც ის თავის შუქს არც <sup>7)</sup> ავს და არც კარვს დარიდებსო, ისე შენ გმართებსო, რომ წყალობა არ რიდოო; რომ უხობით, ახსნილი მტერი რომ გყვანდესო, დააბამო, თვით არ დაებმისო. და გაცემას უადვილებს, ასწავლის მეფეთ: როგორც ზღვას შესდის და გაედინებისო, ისე შემოვდის და გაეცო. და ზღვის გადენაც უთქვამს, რომ ბევრმა კაცმა არ იცის, ზღვას გაზდის თუ არაო. — უსწავლებია. და ეს რაც ამ წიგნს უკან მეფეები ყოფილა და იქნებიან, ყველას სწავლა ამ ამბვის მოყვანიით და თქმით <sup>8)</sup> მეფეთ საქციელი უთქვამს, რომ ისწავლონ.

50. **მეფეთა შიგან** <sup>9)</sup>. მეფის სიუხვეს ასწავლის, შენახვა არ ვარგაო, და რასაც მისცემს, სახელი დარჩება და ის არის იმისი, თვარემ რასაც

<sup>1)</sup> ამ სტროფის თარგმანი ჩვენ აღნიშნულია; სწავიეროდ ზღუ მომხელთა შენარსი ისეთი სტროფისა, რომელიც ვახტანგის გამოცემაში შეტანილი არ არის.

<sup>2)</sup> A მოყავსო; <sup>3)</sup> A შემოსას რომ; <sup>4)</sup> A ისფერსო.

<sup>5)</sup> A ძი; <sup>6)</sup> A შინაო არიო; <sup>7)</sup> A არსო; <sup>8)</sup> A თქმით; <sup>9)</sup> A შეცთობით თუცა შეგან (წილურად დაბეჭდილი „თუცა“ 39-ე სტროფისა).



შეინახავს, ის ზომ მოკვდება, ის სხვას დარჩება და იმისთვის დაკარგული იქნება.

51. ამა მამისა <sup>1)</sup>. ახლა სწავლას <sup>2)</sup> ისწავლება: სწავლის მოსმენა ასე ხამსო ამ ამბვის მიზეზით. და უბნობს: ის თინათინი <sup>3)</sup> მზეს სწუნობდაო, მაგრამ მზე თინათინობდაო. თინათინი <sup>4)</sup> სარკეს, თუ წყალს, მზე რომ დაადგეს, ის შუქს გაუშვებს, ის არი.

52. მოიხზო მისი <sup>5)</sup>. ახლა თინათინის გაცემას უქებს, რომ თავის გამზდელი მოიხზო და თავისი რაც უფლის წულობაში ჰქონდაო, გასცაო. ორ რიგით უქია: ერთი — მამის სწავლა რომ დაისწავლა, და <sup>6)</sup> ერთად — გამცემად.

54 <sup>7)</sup>. მახ დღე <sup>8)</sup>. თავის ყმაწვილობიდან მოგებულს საქონელს გასცემსო და მამის სწავლებულს საქმესა იქსო.

55. უბძანა: წადი <sup>9)</sup>. ლარი ფარჩას ჰქვიან; მეკობრე მტაცებელს ჰქვიან; ტაიჭი კეთილს ცხენს ჰქვიან.

56. ალაფობდეს საჭურჭლესა <sup>10)</sup>. ნათურქალობა ამად დაუწერია: ქართლში რომ თურქი მოვიდა დავით აღმაშენებელის მამის ეანში და დავით ის <sup>11)</sup> ალაფა, ვითამ იმისათვის ალაფობდენო, — შესატკობრად უქნია. და ქვე სახელი არის, იმერეთს <sup>12)</sup> სიტყვის მობმაში დატანებენ <sup>13)</sup>, ქვე სიტყვას ვააწყობს.

57. დღე ერთ. ახლა ამ ამბვის მშვილდოსნობის სასწავლად უნდა თქვას და ტარიელიც გამოაჩინოს.

58. თავსა ზის. ჯდომას უბნობს, რომ ავთანდილ თავსა ზისო და ვეზირს ზეითა სვამს, რომ ვითამ <sup>14)</sup> იმის უფროსი არავინ ყვანდა.

59. თქვეს თუ. ამას ისწავლება, ვითამ მოწყენილს მეფეს გასამზიარულებელი სიტყვა ამ გვარის დიდის ყმისაგან მოეხსენებაო, ხუმრობაო.

60. ადგეს სოგრატ. კენარი მე არ ვიცოდღი; ვინც იცოდეთ, სთარგმნეთ <sup>15)</sup>.

61. დაგიღრეჯია <sup>16)</sup>, მეფეო. არც დაღრეჯა ვიცი მართალი.

62. რა მეფემან. მეფეთ სწერთნის <sup>17)</sup>; ამგვარი სიტყვა და მოხსენება არ უნდა იწყინონ ღზინში.

<sup>1)</sup> A შეცდომით: მაგას ნუ (38-ე სტროფის დასაწყისია); <sup>2)</sup> A სწავლებს; <sup>3)</sup> A თინათინის; <sup>4)</sup> A თინათინის; <sup>5)</sup> A შეცდომით: ვაზირთა (37-ე სტროფიდან); <sup>6)</sup> A დასწავლად; <sup>7)</sup> A 53. <sup>8)</sup> შეცდომით: მე გარადე (36-ე სტროფისა).

<sup>9)</sup> A შეცდომით: უბრძანა (35 სტროფისა).  
<sup>10)</sup> A შეცდომით: მისი სახელი საჭურჭლეს (წითურად დაბეჭდილი „მისი სახელი“ 34-ე სტროფის დასაწყისია).

<sup>11)</sup> A და დავითის.  
<sup>12)</sup> A რგოა იმერეთს; <sup>13)</sup> A დატანებენ; <sup>14)</sup> A ვითა.  
<sup>15)</sup> A სთარგმანეთ; <sup>16)</sup> A დაგიღრეჯია; <sup>17)</sup> A სწერთნის.

63. ვგე არ. ამას უბნობს: მეფის სიბერეს აჩენს, რომე იმის საბრძანებელში იმისთანა კაცი არ იყო<sup>1)</sup>. და ავთანდილის<sup>2)</sup> ქებულს, რომე მეფესა და სხვასა ყველასა ავთანდილს ამჯობინებს<sup>3)</sup>.

64. ერთაი მიწის<sup>4)</sup>. სათუთი ნებიერსავით არის. ესეც კიდევ იმის მისამგზავსებლად უთქვამს ამბავის გასრულებინათვის.

65. ყმა მეფისა. ეს ბატონ-ყმობის სასწავლებლად უთქვამს: ბატონის ბძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდევ უნდა რცხვენოდეს და კიდევ უნდა ეშინოდეს.

66. კვლავ უბძანა. ეს იმათს ამბავსაც ამბობს და ამასაც უბნობს: ბატონი რომ ყმას სიტყვას უბძანებდეს, ყმა უნდა ჰკრთოდეს, განა კი იცინოდეს?! და ეს კითხვა წყრომასავით უბძანა: რასათვის დამგემო? ვითამ ყმისაგან, ვაცინება დავგობად თქვა. და ავთანდილც, რადგან იმისთანა ყმა იყო, ამ ცოტას სიტყვით შეაშინა. და ავთანდილ ფარმანი სთხოვა: არ ამიკლოო და მოგახსენებო. ვითამ<sup>5)</sup> ბატონ-ყმობაზედ მოუყვანია: ბატონის ცოტა წყრომა კაცმან უნდა შეიფეროსო.

67. უბძანა: რა(მცა). წელან ყმის ამბავი თქვა: უნდა მკრძალი იყოს; ახლა ბატონისას ამბობს: კაი ყმა ასე უნდა უყვარდეს, რომ ამისთანა სიტყვა უბძანოს.

68. მიწამცა თქვენი. ისივ ამბავი არის და ბატონ-ყმობის ხუმრობას და ლაპარაკს და შექცევას ისწავლება.

71. კვლავ ბძანა. რადგან ავთანდილს აქებს, იმის გაზდილს ყმასაც აქებს, რომე თორმეტს კაცს იმ ერთს ადარებს.

72. მონადირეთა უბრძანა. აქა ნადირობის რიგს ისწავლება და იმათს ამბავსაც უბნობს.

73. დილაბა ადრე. რიდე თავსახვევსა ჰქვიან, რომელსა ინდნი და სპარსნი თავსა იხვევენ, და არაბნი.

74. შეეკაზმა მეფე. სრვა ამოწყვეტას ჰქვიან.

75. უბძანა: მონა. კიდე ნაპირს ჰქვიან.

76. მოვიდა ჯოგი. ქურციკი ჯერანს ჰქვიან, და შრომა — დაღალვას.

78. იგი ველი. ალვის ზე კეიპაროზსა ჰქვიან, ნაძვს რომ გაგს<sup>6)</sup>; ედემი შევებასა ჰქვიან. და საშვებელის ხედ უბნობს ავთანდილის ქებას.

81. მონათა ჰკადრეს. ეს ავთანდილ გამოუჩენია, რომე ბატონის და ყმისათვის ყველასთვის უმჯობინებია.

82. ორთავე ერთგან. ასჯეროცი ორი ათასია.

<sup>1)</sup> A იყო;

<sup>2)</sup> A დავთანდილის;

<sup>3)</sup> მეორე ნახევარი ამ ახსნისა გამოტოვებულ სტროფს ეკუთვნის;

<sup>4)</sup> A ერთია შვისა;

<sup>5)</sup> A ვითა; <sup>6)</sup> A ნაძრომს გავს.





83. მეფეხა ესე. ავთანდილ მეფეს გაეზარდა და იმისი სეკვედვე უჭე-  
როდა. და ამასაც ისწავლებდა: ბატონს კაის ყმის გაზდა ასე უნდა იქცეოდეს  
დარდი თათრულია, წყენას ჰქვიან.

85. ნახეს უცხო. ვარდი ღაწვად უთქვამს. და ახლა ტარიელ გა-  
მოაჩინა.

86. მახ ტანსა. ტარიელ იმ ხანს გარეთ იყო, ფარჩას ხომ ვერ იშოვ-  
ნიდა, გაველურებული იყო, ვეფხის ტყავის ჩაცმას ამბობს.

87. მოვიდა მონა. გია სპარსულად ყვავილსა ჰქვიან და ქართულად  
ტვიცვას ჰქვიან.

88. ვერა ჰკადრა. ტარიელის მავარს კაცობას აჩენს, რომე კაცი შეუ-  
ზარდებოდა მზერასაო.

89. მის მონისა. საუბარი ლაპარაკსა ჰქვიან და გრძობა შეტ-  
ყობას ჰქვიან; ამოცკვნა ტირილით რომ კაცი სლოკინებდეს, ის არი.

91. რა პასუხი. ვარეტება ამას ჰქვიან: კაცს თავში მოხედეს და  
უცნობო შეიქნას.

92. მეფე გაჰკვირდა. ხელმწიფის გულის სათუთობა მოუყვანია: ასე  
კოტაზე იწყენს და სათუთიაო.

93. მონანი მიდგეს. მონა ნასყიდსა ჰქვიან, გინა ნამზითს; ტარიელ  
უბრალოს სისხლს დარიდა და გაეცალა. სანამდი ძალი არ უყვეს, ხელი  
არ გამოიღო.

94. თვალთა ხელნი. კაპარკი<sup>1)</sup> საფეთეს ჰქვიან. და ისწავლება,  
თუ, რა მტერი ნახოს, რა იარაღის მომართვა მართებს.

99. კვალი ძებნეს. არაბისტანში რომ თვალს წინ დაეკარგება (და  
იმის ცხენს აქებს), იმისთანა იყოო.

100. ბრძანა ღმერთსა. ეს ორს საქმეზედ უწყენინებია როსტევეან მე-  
ფისათვის: ერთი ამისთვის — ხელმწიფისათვის<sup>2)</sup> უკადრისია: ერთი საქმე  
ან არ უნდა ბძანოს, და თუ ბძანოს, ქნას; მეორე — ეშმაკის მგზავსად  
რომ დაიკარგა. და ხელმწიფე ეშმაკის საფრზის მორიდალი უნდა იყოს.  
კურნება გამოთლებას ჰქვიან, დაწყლული — დაკრილსა.

101. ესე თქვა. ასპარეზი ორასს მხარის მინდორსა ჰქვიან. ვითამ  
მინდორში აღარ იბურთა და ითამაშაო. ახლა ჯარის ძრახვა რომ დაუ-  
წერია, წესი არის: მეფემ რაც ქნას, ზოგი შეიტყობის და ზოგი ვერა,  
ზოგს მოეწონება და ზოგთა არა.

102. მეფე საწოლს. ბედითი ცუდსა ჰქვიან.

104. ერთაი ახლავს. თინათინ დიდად საყვარელი იყო როსტევეან მე-  
ფისა. და იმას აჩენს: მამის წყენას<sup>3)</sup> შვილი უნდა ერიდებოდესო.

<sup>1)</sup> A კაპრაკი.

<sup>2)</sup> A ხელმწიფობისათვის; <sup>3)</sup> A წვევლას.

106. უბძანა, თუ კმუნეა ასეთი მოწყენა, სიტყვანი <sup>სათქმელად</sup> <sup>შინაღობისად</sup> ზარობდეს.

109. უბძანა: შვილო. მუფარახი მაჯუნსა ჰქვიან, თათრები მუფარახს ეძახიან.

110. უცხოხა და <sup>1)</sup> საკვირველსა. სამყარო იმ ცასა ჰქვიან, ზედ რომ სასუფეველია. თინათინს აქებს და მამა რჩევას აკითხვებს, ვითამ ასე ჰკუიანი იყო <sup>2)</sup>; რომე თინათინის ჰკუას აჩენს და მამა-შვილობასაც ისწავლებს: თუ მამას რა სიყვარული და შვილს რა სათნოება მართებს.

111. მე რა (მნახა). ეშმა ნახევარი სიტყვა იქნება, ქართულში ნახევარი სიტყვად ითქვას; ეშმა ეშმაკია.

112. ტკბილნი მისნი. ნეტარება ეს არის, რომე კაცი ასე კეთილის საქმით იყოს, რომე არა აკლდეს რა. აწ ამას ჩივის: ველარავინ გამნეტარესო.

113. ქალმან ჰკადრა. ყბედი ამას ჰქვიან: კაცს კარგი უთხრა და იმან მაგიერი პასუხი ავი უთხრას. და ამ ლექსში გამოუჩენია: ღმერთი ტკბილი არისო (როგორც მოციქული იტყვის <sup>3)</sup>): ღმერთი ნათელი არის, იმასთან სიბნელე არ არის<sup>4</sup>, იმასაც ამისთვის უთქვამს). ახლა მამამ რომ უთხრა, ეშმაკი ენახეო, ქალი თავაზით მოახსენებს: ღმერთმან რომ შენ ყოველი კეთილით ხელმწიფობა აღგიესო, შენთვის ბოროტს არ დაბადებდაო. ბოროტი აქა ჰქვიან.

114. მე ამას. მფლოზელი რისაც მპყრობელია.

115. მოახხნეს <sup>4)</sup> კაცი. პატივი უპატიურსა ჰქვიან.

116. კაცი წავიდეს. მაშვრალი დაღალულსა ჰქვიან. ხადი თათრულია.

117. ესე თქვა. მგოსანი აფუზი არის <sup>5)</sup>; მოშაითი <sup>6)</sup> ჯამბაზია და შემოხადა შემოიპატივას <sup>7)</sup> ჰქვიან.

120. ავთანდილ ჯდა. ის ამბავი გათავდა, ახლა სხვას მოჰყვა. მანგი მეგრულად მარგალიტსა ჰქვიან და თათრულად — მთვარესა.

121. ავთანდილს მიხვდა. კარგად უთქვამს: იმ ქალის შოენით მეფობას იშოენიდა და ხელმწიფის შვილს ცოლად შეირთევდა. ამაში კაის მეტი ხომ სიძვისა არა არის რა! თუ ბოზობა ნდომოდა, ერთმანერთს ხომ ღამით და დღისით ნახეედენ, ვანა ვერას იქმოდენ?! მაგრამ ქორწინებამდი ამისთვის არა დაუშავებით რა. მაშ, ბოზობის რივისათვის არ უთქვამს! ეს რომ სწერია: „ამოა ჰვრეტა ტურფისაო, [სიახლე] <sup>8)</sup> სა-

<sup>1)</sup> A-ში არ არის „და“;

<sup>2)</sup> A იყო;

<sup>3)</sup> I ეპისტ. თან. 1, 5; <sup>4)</sup> A მოახხნეს; <sup>5)</sup> აფუზარის; <sup>6)</sup> A მოშაითი; <sup>7)</sup> A შემო-

პატივას.

<sup>8)</sup> ფრწილებში ჩასმული „სიახლე“ ჩემ შიერაა დამატებული, იგი A-ში არ არი

ყვარელისაო“, სამლოსა და საეროზედ ორზედვე უთქვამს<sup>1)</sup> „მეცხვენი“  
 უყვარდეს რამე, იმისი ნახვა დიდად იამების.

122. ავთანდილ. ვამი ამას ჰქვიან: მისის ვახსათვის ბევრჯელ  
 ცრემლი სდენოდეს.

125. ყმაშან ჰკადრა. რადგან არჩევიან, ამას მოახსენებს: თქვენის სა-  
 ზაროს მოხსენება ჩემგან როგორ ითქმისო?! როგორც მთვარე, მზის შემ-  
 კრელი, დაღუულია, ისე მე დავილიე თქვენის ხლებითა. ახლა მე სააზ-  
 როდ<sup>2)</sup> სადლა მცალია? ჩემი თავი მეგონებისო. და თქვენვე მიბძანეთ,  
 რაც გეგონებისო.

126. ქალმან უთხრა. კეკლუცი ლამაზია და დუხკირი —  
 გონჯი. ერთი ვამი სამოცი წუთია; და ერთი წუთი სამოცი  
 წამია. და ერთის წამის ხანის<sup>3)</sup> ყოფას ამბობს.

127. ვახსოვს ოდეს. დამხობა პირდალმა დაცემას ჰქვიან, ნუკ-  
 ვა — თხოვას.

128. აქანამდის<sup>4)</sup> ნაუბარსა. დაუტყვი დატყვევებას<sup>5)</sup> ჰქვიან და  
 გულის სიტყვასავით დამძიმებასაც; უტყვება დამუნჯებადაც ითქმის.

129. ასრე ვითხრა. კორი საეკოს ჰქვიან.

130. შენგან ჩემი. დამყარება ასე იყოს, რომ არ შეიძრას; ბილ-  
 წი ფინთსა ჰქვიან.

131. სამხა ძებნე. უბძანა: სამს წელიწადსა ეძებეო. პირობა უბოძა:  
 იპოვნი თუ არა, მაინც შეგიერთაო. მწვე არა გავს ბოზობას: სამს წელი-  
 წადს იარეო და მას უკან შეგიერთაეო!

132. ფიცით ვითხრობ. ქრმოზის სიყვარულს ეუბნება, შორს აჩენს,  
 სხვა არა არის რა. ასაქმარი აქნას ჰქვიან.

133. მოახსენა<sup>6)</sup> ყმაშან. გიშერს წამწამად ამბობს. და ბატონ-  
 ყმობის საქმეს აჩენს: სამსახურისათვის ვეწამებიო.

134. კვლავცა ჰკადრა. თინათინს მზედ ხდის და ზეცის მარსკელა-  
 ებს მზესავით იმას ამორჩილებს. შეწყალება შებრალებას ჰქვიან<sup>7)</sup>.

135. კვლავ შეფიცეს. ცოლ-ქრმოზის შეფიცებას ამბობს. სალი მა-  
 გარს ჰქვიან და ქვირვა<sup>8)</sup> გამოხედვა არის.

136. ერთგან დახზდეს<sup>9)</sup>. ბოლოების სათარგმანო არ მითარგმნია, —  
 ოქვენ თარგმნეთ. შეხვევა რომ სწერია, სხვარიგად არ შეხვეულან.  
 „ხვალ წასვლა“ რომ უთხრა, იმისთვის გამოესალმა<sup>10)</sup>.

137. ყმა წავიდა. მქვერი სხვასა და სხვას სიტყვის გვარსა ჰქვიან.

<sup>1)</sup> უთქვამს; <sup>2)</sup> A საზაროდ; <sup>3)</sup> A წამის ხანის ხანის;

<sup>4)</sup> A აქანამდის; <sup>5)</sup> A დატყვევებას;

<sup>6)</sup> A მოახსენა; <sup>7)</sup> „შეწყალება“ ისეთ სტროფშია, რომელიც 1712 წლის გამო-  
 ცემაში არ არის შესული; <sup>8)</sup> A ქვირვა; <sup>9)</sup> A დაახზდეს; <sup>10)</sup> „ხვალ წასვლაზე“ სუბმა-  
 რია იმავე გამოტოვებულ სტროფში, საიდანაც „შეწყალება“ არის დამოწმებული.

138. თქვა: მზეო. ეს თავსაც დამიწერია და მოყვრობის რიგსა და ცოლ-ქრომობის რიგებს ისწავლება. რაც რამ კარგი რამე მოუყვანია და ზნეობაებს ისწავლება.

140. მოშორება ხაყვარლისა. დაზო შურსა ჰქვიან და ნაზი — სუფთას; და რბაზი მეფის პალატსა ჰქვიან. და ბატონის სახლებლად წავიდა. და ახლა რომ იტყვიან „უდარბაზოთო“, საუფროსოდ ითქმის: უდარბაზოთ ვიუფროსოთო.

141. დარბაზს ეჯიბი. ეჯიბი ქართველს ბატონს ჰყოლია, ხელჯობიანსავეთ თავსა გაუყრელად სდგომია. და მას ეტყოდნენ: ეჯიბო, მეფეს (რაც სიტყვა ჰქონდეთ) ეს მოახსენეო. დღესაც ქორწილობაში კიდევ იციან.

143. მეფესა ეთქვა. ქველი კეთილსა ჰქვიან.

146. გამომართა ავთანდილ. ნივთი ყოელსა საფერს სახმარსა ჰქვიან; კაცისა რომ კაცს ემართოს რამე, ვალი იმას ჰქვიან. ახლა ასე უთქვამს: რადგან ამისთანა მოსახმარისია სოფლისაგან, ვალად აძე ქვეყანასა.

147. რა მივიდა. იეფოს ეს არის, რომე მძიმეს ძღვეს იეფად სძღენიდეს; და სადაფოსა სიხარულით დაფი რომ დაუკრან, ის არის.

148. ქალაქი ჰქონდა. საზარო რომ სწერია, საშიშარი ციხე იყო.

149. ესეა მონა. ამას ისწავლება: კაცმან თავის ზეაშიადი ასე უნდა შეინახოსო. იმისთანა ყმა იყო<sup>1)</sup> და იმანაც არ იცოდა!

150. უბძანა: აშა. პატრიქი უპატურობა არის; სურვილი ნახვის ნდომა არის; ნარგიზად ქუთუთო უთქვამს და ვარდი ხომ დაწვი არის<sup>2)</sup>.

151. მიბძანა მიტან. გასინჯეთ, ბოზობაზე როგორ შორს არის! ყოველგან ქრომობას ამბობს! და დაგვა დაწვას ჰქვიან.

152. პირველ ყმა. ყმას როგორი<sup>3)</sup> ყმობა მართებს პატრონისა, იმას ისწავლება. მური. ცეცხლის კვამლსა ჰქვიან.

154. ლაშქართა და დიდებულთა. გრძნობა შეტყობასა ჰქვიან.

156. <sup>4)</sup> ლაშქრობა და ნადირობა. სახე ამას ჰქვიან, რომე ერთი შეორესა ჰგვანდეს. და თუ გძლად შეტყობა გინდათ, კათილორიაში ნახეთ. არ<sup>5)</sup> დაქნა ხე — ხე არ დააქცნო.

157. მაშინდა ჰკადრე<sup>6)</sup>. აქა გლახათ მოწყალებას ისწავლება.

158. მაშინ უფრო. საურავი გარიგება არის; შევედრება შეხვეწება არის; მომდედრება დედებრივი გულის შეწუხება არის.

<sup>1)</sup> A იყოს; <sup>2)</sup> „სურვილი“, „ნარგიზი“ და „ვარდი“ გამოტოვებული სტროფის სატყვებია.

<sup>3)</sup> A როგორ; <sup>4)</sup> ხუთ ნომერში შეცდომაა: 156 (A 155), 157 (A 156), 158 (A 157), 159 (A 158), 161a (A 160); <sup>5)</sup> ეს „არ“ მე დავემატე; <sup>6)</sup> A ჰკადრეს.

159. რა მონამან. შეზარება შეწუხება არის.

უარყოფითი

161a<sup>1)</sup>. ყმამან უთხრა. ამას იგაესავით ეუბნება, ქრისტეს<sup>2)</sup> სასუფეველს მარგალიტს უდრის და ამას ამბობს: ის ამ სოფლის გაუქრელად არ იშოვებო, მარტო უნდა გაქრა სასუფეველისათვის. ვითამ ცოლქრმობა რომ უცოდველია, მეც ამ მარგალიტისათვის<sup>3)</sup> მარტო გაევიქრებიო. ბოლოს ამბობს: სიცრუე და ლალატობა არც სამღვთოსა და არც საეროში არ ვარგა, თუ არ ლახვრით დასაჭრელად.

161b<sup>1)</sup>. ვისმცა უთხრა. კარგი რიგსა ჰქვიან, ახლა რომ ვეძახით, იმას არაჲ ჰქვიან.

162. ფათერაკი სწორად. ცვა შენახვასა ჰქვიან; დასი ჯარსა ჰქვიან; საბატონო რომ იყოს, ხასი იმას ჰქვიან.

163. დასწერა თუ. საწადელი ნდომას ჰქვიან.

164. მიწაცა თქვენი. ბატონისაგან მიწობა ყმას ხომ არ მიეწერება და არც სატყეპნელს მიწად მიუწერია. ვითამ მიწად, თქვენს მზრდელად და დამარჩენლად, მე ვარო და უჩემოდ თქვენი ყოფნა რა იქნებაო! ამ ლექსილ მშვილდოსნობასაც უქებს.

165. საქმე რაშე. მუდარება ხომ ხვეწნას ჰქვიან.

166. მე შერმადინ. მზეებრ მოფენა ხელმწიფური რიგი არიო. და ვარდს აზრობდესო ვითამ ღაწვს აზრობდეს და სულ ნუ დააქნობს, რომ არ მოკვდესო.

167. თქვენცა იცით. ბატონის სიკვდილისათვის ყმის მგლოვიარობას ისწავლება.

168. ეხე წიგნი. წყლიანი ჯავარიანი<sup>2)</sup> არის; დარიბი არაბულად უცხოს ჰქვიან.

169. ბძანა: წადით. მიწყვიც ნიადაგ არის.

170. იგი ველი. ველი გარეშემო რომ ტყე ჰჭონდეს და შუაზედ მომცრო მინდორი ჰჭონდეს, ის არის; გაკიდება განაპირება არის; კაეშანი მოწყენასავით არის.

173. შერმადინ ერთგან. უსტარი მინაწერი წიგნი არის; დაწყლულება ხორცი გაპრილი და დაბალღმებულაია; დალები დაღურჯებას ჰქვიან.

174. ყოვლთა ჰკადრეს. არამი თათრული არის, ნაუსამართლევს ჰქვიან; გაღანამცა აგრე ჭიტყვის დასამოწმებელი არის.

175. ამ საქმესა. დივანოსე არიოპაგელი დიდი ფილასოფოსი იყო, კერბთა და პავლესაგან მოიქცა და ეფისკოპოსათ აკურთხა. ვისცა იმისის სიკეთის ცნობა გინდათ, იმისის წიგნის კითხვით შეიტყობთ.

<sup>1)</sup> A-ში ნომერი 161 გამოვრებულია; განსხვავებისათვის მე a და b დავუსხი;

<sup>2)</sup> A ჯავარიანი.

აწ იმას მოწმობს და ეზრა წინასწარმეტყველს<sup>1)</sup>. და სამღვდელს დასს რომ ასწავლის, სამღვდელს საქმეს ვ არ და დ ხდის და ამბობს: ვინაა, სამღვთო ვარდი ცოდვით დათრთვილული იყოს და დაზრულიო და რომელიც ლოცვისა და მარხვისაგან ასე გამზდარი იყოს, რომე ფერად ბაღახშს არა გვანდეს<sup>2)</sup> და იმას მარხვით ტანი<sup>3)</sup> რომ ლერწმის ზროსავით გახდომოდეს, ის რომ მადლისაგან ვალარიბებულ იყოს და სასუფეველიდამ გაბეზრებულ იყოს, იმას იბრალებს (ა ბ ე ზ ა რ ი გამდგარსა, თუ შემომწყრალსა ჰქვიან). ვასინჯეთ, თუ ეს ამაზედ კი არ ამბობს დიონოსე, რომელსა სოფლის გამდგარს კაცს გმობს და სოფლიოს ღარიბობისათვის რას უმოწმებს? თუ არ დამიჯერებთ, იმისი წიგნი ნახეთ. თუ ამგვარს საქმეზედ მოწმობდეს, თქვენ რომ გითარგმნიათ, ამას ნუ დაიჯერებთ.

176. ავთანდილ იგი. რუსთველს სჭირს: რამდონიც კარი უთქვამს, ზოგიერთს ადგილს თავს სამღვთო შესავლები არის. ახლა<sup>4)</sup> იმავე ამბავს მოეკიდა. ა ხ მ ა აღებასა ჰქვიან; მ ზ ლ ვ ა რ ი სამზღვარსა ჰქვიან; ზ ი ა რ ი მოწილეს ჰქვიან.

177. ახალმან ფიფქმან. ა ხ ა ლ ს ფ ი ფ ქ ა დ თინათინ უთქვამს, თუ ის ვალარიბება; ვ არ და თ ავთანდილ უთქვამს, რომე დათრთვილა და დანასა; ბ ა რ ბ ი თ ი მულნია<sup>5)</sup>; ნ ე ი გახერეტილი ხე არის, მრუდათ სულის ჩაბერვით დაიკვრის, ყიზილბაშთ იციან.

179<sup>6)</sup>. მუნ ეძებს. ტ ა ხ ტ ი მალალ საჯდომს ჰქვიან, რომე ნახევარ აღლი სიმაღლე რომ ჰქონდეს.

181. მიხვდა რახმე. მ ქ ი ს ი დამშხალული, გინა ხორკლიანი.

183. ზედ წაადგა. ეს რომ სწერია: „ავს კარგად ვერ შესცვლისო“. ეს ხომ<sup>7)</sup> ბევრი ქნილა, ავი კარგად შეცვლილიყოს! თუ კაცზედ უთქვამს, ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს, ეს ხომ ბევრი ქნილა! და ბევრი ქურდი და კაცის მკვლეელი ავს საქმეს მოიკვეთს და აღარ იქს. — ესეც ხომ ქნილა! თუ თვალსა და რაგინდარას იმისთანაზედ, და ან პირუტყვზედ უთქვამს, — თვალი გათლილი რა<sup>8)</sup> კარგა ვასთლი, კარგია; პირუტყვი მკლე რა არის? მსუქანი სჯობს. მაგრამ ამაზედ კი არ უთქვამს, ამას ემოწმება: „რომელი არა იშვას წყლისაგან“, სახარება რომ ბძანებს<sup>9)</sup>. ესეც ამას უბნობს: უსჯულოს კაცს თუ წყლიდამ არავინ შობს, კარგი არ შეიქნება. ესეც იმ ამბვის იგავად მოუყვანია.

186. უამბობს ჩემი. დ ა ვ ე დ რ ე ბ ა დაბარებას ჰქვიან და ი წ რ ო ე ბ ა ვიწრო არის.

<sup>1)</sup> A წინასწარმეტყველის; <sup>2)</sup> A არა არ გვანდეს; <sup>3)</sup> A და ტანი; <sup>4)</sup> A ახლა;

<sup>5)</sup> A მულნია.

<sup>6)</sup> ეს ნომერი A-ში გამოტოვებულია;

<sup>7)</sup> A რომ;

<sup>8)</sup> A არ; <sup>9)</sup> იოან. 3, 5.



187. იტყვის: ღმერთო. გლახ „ქვე“სავით სიტყვა კერძო სტანდებმა იციან; აფხერა ამოთხრას ჰქვიან.

188. კვლაცა იტყვის: გაკვირებულს კაცს ასწავლის: ქირში ასრე მაგრა უნდა იყოსო; განგება გარიგება არის.

189. თავსა უთხრა. ამას ისწავლება: სიკვდილი სჯობს აუციანს სი-  
ცოცხლესაო (აუცი სარცხვენელი არის).

190. ყოღნი არსნი. უღონოდ უსაცლოდ არის.

191. შით ჩამოვიდა<sup>1)</sup>. ეღერა ეტლთა სღვის ხმას ჰქვიან; ბრო-  
ლის ველად ღაწვი უთქვამს; საყენი ახლა უღვაშ-ამომავალს  
შელმა შემართული ჰქონდა და იმაზედ უთქვამს; მაყუ მოედანის სა-  
ბურთალი ქვები არის.

194. ცხენა მიხცა. მეკობრე შტაცებულს ჰქვიან.

197. ავთანდილ. დია ბევრსა ჰქვიან.

199. ჩვენ ხამთა. ვაქილი არაბულად სეინაღროსია, ქართულად  
ვაქილი თან-მოსარჩლედ გამოითარგმნების.

202. ანახდად მოყმე. კუ შტი პირ-მწყრომი არ მრისხანებად<sup>2)</sup>, კუ-  
ში მრულად მწყრალსა ჰქვიან. ნახეთ, თვითანვე როგორ ზღაპრად ხდის  
თავის ნათქვამს! ჯერეთ იმისი მზგავსი შევენებით უნახავი არისო. უნ-  
ახავიც არის და არცა-რა იყო, შემოთვე წერილს ემოწმება.

203. უქვ(რიტეთ). ტარიელ ქვეყანაზედ მზედ გახადა, ცაში ენით  
მზეს რად უბნობთ?

204. მე უხუცესმან<sup>3)</sup>. აქენება ხვეწნა არის; შედგი იმას  
უკანდელი.

205. ბროღმან ლაღსა. მყიფე ადვილად რომ ვატყდებოდეს და  
ფოლადსავით გარდაეარდეს, იმას ჰქვიან; ნატიფი მოზღომილი.

207. შით ერთითა. კაცის მიწიერობას აჩენს.

208. აღარ დაბრუნდა. ოდენ ოღნად<sup>4)</sup> და სრულათაც ითქმის.

209. აპა მიხვდა. ეს ამაზედ უთქვამს: ავთანდილ რადგან ტარიელ  
იპოვნა, აღარ იტირებსო და ღაწვი ცრემლით არ დაეთოვა<sup>5)</sup>, რადგან  
ცულად არ წაუზნა იმისი გარედ ყოფნა. ახლა ის ავთანდილის ამბავი კი  
გათავდა<sup>6)</sup>. ახლა სამღოთ თუ საეროდ ისწავლება: კარგზედ რომ კაცი  
ყანისარჯოსო და იპოვნოს, იმას აღარ მართებს, რასაც გარჯილიყოს, ის  
ღაიხსოვნოს.

210. უთხრა, თუ. ყოლა სრულსა ჰქვიან.

213. მიეწურა, იგონებდა. აგოს მოცდასა, ბევრს ხანს მყოფობას  
ჰქვიან. ამას ისწავლება: კაცმან ძნელი საქმე კარგად უნდა ქნასო, თვარა

<sup>1)</sup> A შით ჩავიდა.

<sup>2)</sup> A არ მრისხანებად; <sup>3)</sup> A მე უხუცესმან; <sup>4)</sup> A ოღნად;

<sup>5)</sup> A დაეთოვა; <sup>6)</sup> A გათავდა.

ადვილს საქმესა უკუეოც იქსო, გონების დაუწყნარებლობა რომ სჭირდეს, მოიძაგოს.

214. რადგან ისი. უცნობო რომე ვერას იცნობდეს, იმას ჰქვიან; ელეტა მრავლის ჩიტის ხოცას ჰქვიან და ლექსის გაწყობისათვის უთქვამს, ორისავე დახოცად მოუყვანია.

215. აეთანდილ იტყვის. ზღუდე გალავანსა ჰქვიან. და ამებეს რჩევად ისწავლებს: ვითამ კაცმან გაუშინჯავათ არა უნდა რა ქნასო.

217<sup>1)</sup>. დღისით ვლეს. ანაყრდენი აყუდებულს ჰქვიან.

219. რა ტყენი. ჯუბა ძველი საცმელი არის, კაბად პერანგსავით ზეთ საცმელი არის.

220. ყმამან უთხრა. ვითამ ხიდი რომ ზღვაში ჩაყვივდეს<sup>2)</sup> და კაცსა მორჩენის იმედი აღარ ექნება, თავეთს საქმეს იმას აღარებს.

222. სული დაიღო. აბჯარი რაც ჩასაცმელი, თუ შემოსაკოავი იარალი არის, ყველას ჰქვიან.

224. მის<sup>3)</sup> მოყმ(ისა). დაღრეჯად ღიდ მოწყენას ჰქვიან; იაჯდა იხვეწებოდა<sup>4)</sup>.

226. მასვე გზ(ასა). ვაავარა<sup>5)</sup> თავი გარეთ გაიყვანაო; მოგვარება შესრულებას ჰქვიან.

227. აწ ამას. ბჭე გამსინჯავს ჰქვიან.

228. ჩამოვიდა, ცხენი. ბაკი მთვარე რომ შემოივლებს, ის არი, მგრგვლათ.

230. მას ყმახა<sup>6)</sup>. ბილწი ფინთსა ჰქვიან; მწე მომხმარო არის.

232. ქალი ეტყოდა. ეს რა დასამალავი სიტყვა იყო, რომე ასმათა ამ საქმეს [უმაღავედა]<sup>7)</sup>? ინდოეთმა იცოდა და ხატეთმა! მაგრამე ამას ისწავლებს: პატრონის უდასტუროთ სიტყვას თქმა არ უნდა. ქალისათვის ასე პირ-შენანულობა უჩემებინებია. კაცს, ნახე, როგორ მართებს!

234. ქალო, არ. ქალი რომ მორცხვი უნდა იყოს, იმას ისწავლება და იმაზედ გაურცხვებას ეუბნება.

235. ქალმან უთხრა. გძელს სიტყვას ამბობს არ ვარგაო, მოკლედ და კარგად უნდა კაცმან თქვასო.

236. კვლაცა ჰკითხა. ზენაარი მოჭირვებული ფიცი არის; დაყრა ბუდიდამ თუ ტარიდამ ვერ<sup>8)</sup> დაყაროს, ის არის. ამას ფილასოფოსურად ისწავლება: კაცი ჯერ ნებით უნდა ეცადოს და, თუ არ იქნას, მერმე ძალი მართებს.

<sup>1)</sup> A-ს ნომერი აკლია; <sup>2)</sup> A ჩაყვივდეს.

<sup>3)</sup> A მის; <sup>4)</sup> A არას იხვეწებოდა. (ეს „არას“ ტექსტიდან არის გადმოყოლილი);

<sup>5)</sup> A ვაავარა; <sup>6)</sup> A ყმას მასა.

<sup>7)</sup> აქ რაღაცა აკლია. ფრჩხილებში ჩასმული „უმაღავედა“ ჩემ მიერ არის დამატებული; <sup>8)</sup> „ვერ“ ტექსტიდან არის გადმოსული.





239<sup>1)</sup>. კვლავ ეტყვის. ბედითი ცუდსა ჰქვიან.

240. ჩემი სიკვდილი. პატიჟი უპატიურობა არის. ეროვნული  
გინგლიწმინდა

241. ყმამან თქვა. ისევე რჩევის საქმეს ისწავლება.

244. უთხრა: ვიცი. შეიდ გზის შენდობას ისრაელთაგან მოწმობს, ძველის რჯულისას; და მერმე ზომ ქრისტეს პეტრემ ჰკითხა<sup>2)</sup>, თვითან სამეოტდა შეიდ გზის უბძანა<sup>3)</sup>.

245<sup>4)</sup>. თავი ჩემი. რუსთელისა წიგნი სულ სასწავლებელი არის და ამბუდ ამბობს: კაცმან შექირვებულს და გაჯავრებულს ასეთი მშვიდი და ტყბილი სიტყვები უნდა უთხრას, რომე იმითი დააწყნაროს.

246. რა ქალხა. ამოხეინჩეა ამოკენესას ჰქვიან.

249. მისი სახე. ხატი სახეს ჰქვიან; ვლქატი გლახაკი არის.

252. აწ რაცა. გაწბილება უკუწბილება<sup>5)</sup> არის.

254. ეგრე უთხრა. მოხმა მოტანასავით არის.

255. აწ, დაო. გეარლი<sup>6)</sup> თივის თოქსა ჰქვიან.

258. გითხრა, თუ. სულთქმა ამოხენესასავით არის.

259. ამის შეტხა. მაჯანი ცუდსა<sup>7)</sup> ჰქვიან.

263. ავთანდილ ქვახა<sup>8)</sup>. ედუმალი დაფარულსა, თუ საჩუმარსა ჰქვიან.

264. ამარტის ფერად. ამარტა ეშმასა ჰქვიან.

265. ავთანდილ სარკმლით. ავთანდილ ტარიელის უპოვნელობით ტყვე იყო; რომ იპოვნა, განთავისუფლებული შეიქნა. ნატა ქვეშაგებს ტყავა ჰქვიან.

266. მან ქალმან. ამას ისწავლება: თუ ტარიელ ცოლის გულისათვის ასე შექირდა, და, ნახეთ, სამლოთო საქმისათვის რაერთს უნდა გაისარჯოს და გასძლოს კაცმან!

274. ქალმან ჰკადრა. ამას ისწავლება: უზომო და ზომის მეტი არც ჰკირი და არც ლხინი არ ვარგა, ღვთის სამსახურის მეტი. და იადონი ბერძულად ბულბულსა ჰვიან; ბულბულა ბალახსა ჰქვიან<sup>9)</sup>.

275. ყმამან უთხრა. გაცხადება შეტყობინებას ჰქვიან; ნუკვა თხოვნა<sup>10)</sup>.

276. ქალმან კვლავ. მოგონება დარიგება და შეტყობა არის. ამებეს<sup>11)</sup> ყველას ისწავლება საქმეს, ასრე უნდა საქმის მოყვანაო.

281. მობრუნდა, ყმამან. სულისღება დაჩუმება არის. ასწავლის: თავს ნუ დაიხოცო, თქვენის დახოცით ის თქვენი მზენი მიჯნურნიც დაბნელდებიან.

<sup>1)</sup> ორი ნომერი წეცდომით არის დაბეჭდილი A-ში: 239 (A 238) და 240 (A 239).

<sup>2)</sup> მათე 18, 21—22; <sup>3)</sup> A უბძანა; <sup>4)</sup> A-ს აკლია ეს ნომერი; <sup>5)</sup> A უკუწბილება;

<sup>6)</sup> A გვრილი; <sup>7)</sup> ცუდსა; <sup>8)</sup> A ავთანდილ ქვა ხ.

<sup>9)</sup> იადონი და ბულბულა ისეთი სტროფიდან არის ამოღებული, რომელიც ვახტანგის გამოცემაში არ არის შეტანილი; <sup>10)</sup> A თხოვნა; <sup>11)</sup> A ამებს.

282. ტარილის ვარდი. ისწავლება: კაცის შეყრა და ამბების კითხვა, თუ ალერსი როგორ უნდა. გაწირული ხელის აღებასა და აღებას.
283. ავთანდილ ვასცა. ავთანდილ თავის გამოჩენის შემდეგ ეუბნება.
284. მე პატრონისა<sup>1)</sup>). აზრი ერთი რამ რომ არ ენახოს და ისრე გონებით სწორეთ მიხედეს, იმას ჰქვიან.
285. შენ მინდორს<sup>2)</sup>). ხაფი მაღალი, ბოხი და საშიშარი ხმა არის.
286. ყველაკასა მათრახითა<sup>3)</sup>). ფეთი კაცს რომ საშიშარი რამ დახედეს და ცოტას ხანს გაშტერდეს და უცნობო იქმნას, იმას ჰქვიან; შეთიანი სნეულსავით ხან დადგეს და ხან დაწვეს და ერთს რიგზედ ვერ იდგეს, იმას ჰქვიან.
287. კმუნვა შექნა<sup>4)</sup>). რუკა შეწყობილსა, თუ მობმულს ჰქვიან; რუკა სხვას ენით სხვარიგადაც ითქმის. ეთერი აერს ზეით ცეცხლი არს გარ მოხვეული.
288. მიბრძანა: მიცან. ახლა ეს გასინჯეთ: ბოზობის საქმე რომელს კაცს სთქმია სამს წლამდი დაპირებით? მაგრამე ცოლ-ქრმოზისა და ბატნობის ნდომის რიგისათვის ეუბნების.
289. აქნამდის მნახავიცა<sup>5)</sup>). მკეახე უმწიფარი ხილი და მაგარი არის; გლახ „ქვე“სავით სიტყვა არის.
290. ტარიელსაც. წაწყმენდა დაკარგვა არის.
293. კაცმან ვერ. დაფახვა დახუჭვა არის; შეწამება კაცმან რომე კაცს დასწამოს რამე.
294. აწ ვაშად. ვაშად ვახ არის; გმირი დიდი და დიად ძალიანი არის; გაწირვა გამომეტება არის.
295. ავთანდილ უთხრა. პათიეი ბევრგან სწერია.
296. ამა დღემან. იაგუნდად თავის ხელმწიფეს და თავის მოსვენებას ამბობს. შინად — ტარიელსა და იმასთან ყოფას.
297. ტარიელ<sup>6)</sup>). ეს იმ ამბავზედ კი მოუყვანია, მაგრამე ჩვენად სასწავლოდ დაუწერია: რის გზით რა საქმეები მართებს კაცს კაცზედ. შენ შენს საყვარელს რომ გაგყარო, ჩემი ნახვა რა იმისი მაგიერი არისო?!
298. წამოსრულხარ. მური ცეცხლის კომლი რომ მოკიდებოდეს, ის არის; ალი ხომ ცეცხლის ალია.
299. ამას დაყმუნდა. ლები დალურჯებულს ჰქვიან.
300. კაცმან ვით. დანაბა ვაყუჩებით რომ მიწას ვაეკრას დასამალავად, იმას ჰქვიან.
301. მაგრა ღმერთმან. ერთი მზე ერთი დღე არის. ახლა ის უთქვამს: ამ ერთს დღეს შენის ცნობით ღმერთმან ეს ორი მოწყალეობა მამ-

1) A ამავეს.

2) A პატრონის; 3) A მინდორ; 4) A მათრახით.

5) A შექნა; 6) A ომნახავიცა; 7) A ტარიელს.

ცა: პირველ ესე, რომ ჩემის პოენითა და ამბვის მიტანით ავთანდილს და თინათინს შეპყროს; მეორე — მე რომ ამ ამბვის თქმე მსმენებელს და სიცოცხლეს მოვრჩებო.

**302. ყმასა უთხრა <sup>1)</sup>.** რა კაცი კაცს გაუმუსაიბდეს და საყვარლად შეეყნას, იმისთვის თავი სასიკვდილოდ არ უნდა დაზოგოს. ეს იგავად მოუყვანია: თუ ღმერთი კაცს არ წასწყმენდს, მეორეს რა შიში ექნება, რომ ცხოვდეს?!

**303. ასმათს უთხრა.** პკურება სასხურებელით, თუ ხელით კაცმა კაცს შეაფრქვიოს, ის არის; თანის თანი კიდეც და კიდეც.

**305 <sup>2)</sup>.** მოხტყვამს: ჰი <sup>3)</sup>. ამას რუსთველი თვითონ მოსტყვამს: „ჰი, ჰი <sup>4)</sup>, საყვარელო ჩემო, ქრისტეც, ჩემთვის ცოდვით დაკარგულო!“ და კიდეც: „იმედო და უკვდავ-მყოფელო, გონებაც და სულო, გულო!“ და უბნობს ადამის ცთენას: „არ ვიცი, თუ ის მცნების ხე ვინ მოგკვეთაო, ედემს დანერგულო“ <sup>5)</sup> და უბნობს ცოდვას <sup>6)</sup> ცეცხლად: „ამთონმა ცოდვის მოქმედებამა რატომ ვერ დაგწვიაო, გულო, რომ ასჯელ ცოდვით დადაგული ხარო?“ და ახლა იმავ ზღაპარს მოპყვა.

**306. ისმენდი, მიეც.** შეცევა ვარ შემოხვევას ჰქვიან.

**307. ინდოეთს შვიდთა.** მფლობელი შემძლებელია; მპყრობელი მპყრავია.

**309. ხალვა მოსძლუდა.** ხალვა ხალვათათ ყოფა არის; კაეშანი ზრუნვა რომ სევდად შესცვალოს, ეს არის; ზიემი გამოჩვენებას ჰქვიან, ზარი — მტრის შეშინებას.

**310. ფარსადანს.** დასკენა <sup>7)</sup> ერთს საქმეზედ დადგომა არის.

**312. ერთი სამეფო.** ამირი არაბულად უფროსს <sup>8)</sup> ჰქვიან და ქართულადაც ეს არის; ამილბარობა უფროსობა მისცა <sup>9)</sup>; სპასალარობა სულ ლაშქრის თავობა არის.

**313. თვით მეფემა.** ზავი დაწყობასავით არის.

**316. ასმათ, მითხრობდი.** ცილი ტყუილი არის; სირი ჩიტი არის; გაოდის უნაღვლელობა <sup>10)</sup>.

**319. ჭება არ.** ნიჭი მისაცემელია თეთრისა, თუ ფარჩისა.

**322. მას ქალსა.** შეფრობა ვერ გავარჩიეთ.

**324. მეფემან ხახლი.** სარაჯი ავზასა <sup>11)</sup> ჰქვიან.

**325. დღე და ღამე.** მუჯამარი ხელმწიფენი რომ სურნელის დასაკმევს წინ დაიდგენ, ის არის.

<sup>1)</sup> A უთრა; <sup>2)</sup> A შეცდომით: 304; <sup>3)</sup> იკითხვ: ჰი; <sup>4)</sup> იკითხვ: ჰი, ჰი.

<sup>5)</sup> A დანერგულო; <sup>6)</sup> A ცოდვა; <sup>7)</sup> A დასკენა; <sup>8)</sup> A უფროს; <sup>9)</sup> ეს „მისცა“ ტექსტის „უბოძა“-ს თარგმანია; <sup>10)</sup> A უნაღვლელობა.

<sup>11)</sup> ან იქნებ ავზანსა? (A-ში დაბეჭდილია: „ავზასა“, რიცა უთუოდ კორ. შეცდომია. უნდა: ან „ავზასა“, ან „ავზანსა“. ნახე ვრცლად ჭეჭმით ვახტანგის ლექსიკონის მიმოხილვაში სარაჯთან).

326. სრა ეღვა. ოქსინო ფარდა არის და შარდერქვეთნაჲ არიე; გაბაონი ქვეყანა არის კარგი.

ნიკოლოზი

327. თხუთმეტისა წლისა. ასპარეზი მოედანია.

329. მამა მომიკ(ვლა). ნიში ნიშანია; ყოვლის სიხარულისა ნიშანი გაუცუდლაო.

330. მე წელიწდამდის. აქ მგლოვიარობას ისწავლება, და მეფეთაგან დაპატიებება, რა დროს უნდა, იმას ამბობს. სულის დაღება დაჩუმება არის; მცნება სწავლებაა<sup>1)</sup>.

331. ჩვენ უფ(რო). კარგი რიგსა ჰქვიან და საკარგავი — ყოველს გასარიებელს.

333. მათ საჯდომთა. ზარი კაცი რომ ნახვით, თუ ამბვის ვაგონებით გასტერდეს და ტანში დააზრზოლოს, — ბევრჯელ დამიწერია. ამბებს<sup>2)</sup> ყველას სასწავლოდ და რიგებად ამბობს.

335. აღარ ვიცი. მუხთალი მოლაღატეს ჰქვიან; მიწყვიც მუდამ არის.

337. ბაზჩა ვნახე. სირინოზი ზღვაში ზის, წელს ზეით ქალია, დიღ ტკბილს ხმას შესტვენს.

341. აწ წახდეს. არე ქვეყნის არეს ჰქვიან.

343. მიმღონი საწუთროსა(ნი). ნიეთი რაც რამ ფერი მოსახმარისი არის.

345. შიგან ვსწევ. ბქლ ზებულსი სახარებაშიცა სწერია, ეშმაკთ მთავარსა ჰქვიან; მუყრნი მოლას ჰქვიან.<sup>3)</sup>

347. სრულნი მუყრნი<sup>4)</sup>. მულამნი<sup>5)</sup> თათრული მკითხავი არის; მუყრნი<sup>6)</sup> აზნას რომ დაიძახებებს მეჩიტში, ის არის.

349. ხამხა დღესა. აპი, აპი, სიტყვის მოსაბმელი სიტყვა არის.

350. ვთქვი, თუ დმერთო. აჯა ხვეწნასა ჰქვიან.

355. მონააო ასმათისა. სააშიკო სააშიყო<sup>7)</sup> ითქმის.

357. დღენი გამოხდეს. მკურნალი ახლა რომ აქიმს ეძახიან, იმას ჰქვიან; აქიმი სხვის ენითა ბრძენსა ჰქვიან და მკურნალი აქიმი არის.

358. მათ ვერა. პატიეი ზეით სწერია.

359. ხელ-გახსნილი. თუ ეს წიგნი ბოზობის საქმეზე უთქვამს, მაშ რა არის, რომ, სადაც ბოზობის საქმეს ამბობს, დიღ ჰგმობს და უზრახავს? მაგრამ ბოზობისა არა არის რა, საცოლქმროდ უთქვამს.

360. მონამან წიგნი. გაკვირებება — ვითამ ასმათ რომ წიგნი მოსწერა, ტარიელ პასუხი რომ მისწერა: დრო კი არის შეყრისა, მაგრამ ამ საქმის ჩემგან დაყოლას უნდა ვკვირობდეთ.

<sup>1)</sup> A სწავლება; <sup>2)</sup> A ამბების; <sup>3)</sup> A მუყარნი; <sup>4)</sup> A მულმანი; <sup>5)</sup> A მუყარნი.

<sup>6)</sup> A სააშიკო სააშიყო.



362. კაცი მოვიდა. კვლავ მასუკან.
- 363 <sup>1)</sup>. დარბაზს <sup>2)</sup> მივე. აბა სიტყვის სამზღვარი და <sup>3)</sup> საბრუნებელი არის; კაპარკი საფთეს ჰქვიან; შაბაში ინდოურად მოსაწონსა ჰქვიან.
364. შინა დავსხე(დით). ღარიბი უცხოს ჰქვიან სხვათ ენით; მუტრიბი მეჩანგე არის.
365. ვეცდებოდი. კრძალვა გაფთხილებას ჰქვიან; ალვად აღსანბობს.
366. მოღარემან შინა(ურმან). ზეწარი ქალი რომ თავზედ გარდაფარებს, ის არის.
367. ავდეგ, მხხლომი. დაზმობა ხანის გამოუსვლელობას ჰქვიან. და, თუ ბოზობისათვის ამბობდეს, აუგად და საკრძალველად რად <sup>4)</sup> მიიჩნივა?
372. ბედითი ბნედა. ხარაჯა თათრულია, მალსა ჰქვიან.
373. შენგან ჩემისა <sup>5)</sup>. შარშანდელსა და გუშინასწინდელსა ძოდან ჰქვიან.
378. ასმათ მითხრა. ნამუსი ქართულად პირის წყალი არის და არაბულად სჯულსა ჰქვიან.
379. მეკეთა ესე. მქისი ხორკლიანი, თუ დამშხალული <sup>6)</sup> არის
380. ასმათს მივა(რთვი). დრამი მისხლისაგან უფრო ცოტა საწონი არის.
384. კაცი გავგზავნე. საწუთრო ამ სოფელს ჰქვიან.
385. პირველ გაქრისა. დიადობა გამრავლებაა <sup>7)</sup>.
386. დღესა ერთსა. სრა სასახლესა ჰქვიან.
387. მონააო ასმათისი. მანა: მიჯნურობის ჯაჭვით რომ მოქირებული იყოს, მანამან <sup>8)</sup> მამიშვაო.
388. ბაღა შევლე. ბაღა თათრულად წალკოტსა ჰქვიან; ვაშავაზ არის და საწადლის აღსრულებისა.
389. ამიგდო ქა(ლმან). მკრთალი კრთომას ჰქვიან, ელვა რომ ჰკრთებოდეს.
390. დიდბან ვდეგ. მოსურვება მუდამ ნახვის ნდომაა.
391. ასმათ გამომყვა. დარამად ერთპირად არის.
392. ასმათ ლხინსა. დახშევა დაკლევტა არის; კრძალვა სიფრთხილე, გინა რიდება არის; ლალი თამამი არის.
393. მე უთხარ. ზენაარობა ზეთის ფიცია.
397. უბრძანე წვევა. მარზაპანი ჯანიშინია.

<sup>1)</sup> ეს ნომერი A-ში არ მოიპოვება; <sup>2)</sup> A დარბაზს.

<sup>3)</sup> „რად“ ჩემ მიერ არის დამატებული; <sup>4)</sup> A ჩემის; <sup>5)</sup> A დაშლილი; <sup>6)</sup> A გამრავლებს; <sup>7)</sup> A მანა მან.



398. ფიცხლავ მოვიდეს. და ზ მ უ ლ ო ბ ა და გვიანებუ  
 399. ავმართე დროშა<sup>1)</sup>. ახლა ლაშქრობისა და ომისა  
 ლება.
400. შინა მიველ. და ღ რ ე ჯ ა დიდი ჳმუნვაა.
401. მონა შემოდგა. ბედი თი ცუდი არის.
404. შევე, წავდეგ. ნოხი ორხოვა არის.
406. მიბრძანა. ძუ ლ ა ნ გუშინასწინდელსა, გინა შარშანდელსა  
 ჳქვიან.
407. თუცა მართებს. ი დ უ მ ა ლ ი საიდუმლოა.
408. ერთმანერთისა. თუ გიცრუო, ცხრას ცითამც ნუ ვზივარო!
410. აწ რასაცა. ი ჩ ქ ი თ ი ვითამ ანაზდათ; ჳვირობა რომ ზედ  
 ჳრტიალებდეს, იმას ჳქვიან.
411. ზედან წიგნსა. მ ტ კ ი ც ე მაგარსა ჳქვიან.
413. მეძნელბოდა. ე თ ' ე რ ი აერს ზეით ცეცხლი არის.
415. დავაგდე მზღვარი. ხანი ოზბეგის ხელმწიფეს ჳქვიან.
418. გვერცა დავიხხენ. გა ნ ზ რ ა ხ ვ ა უწინვე გამორჩევას ჳქვიან;  
 ვ ა გ ლ ა ხ ი ვ ა ი არის.
420. მეკეთა ესე. თ ა თ ბ ი რ ი სხვათ ენით რჩევა არის.
421. მათ ლაშქართავან. და ვ ე დ რ ე ბ ა დაბარებაა.
424. მუნით წასული. ტ ე ვ რ ი დიდი და ხშირი ტყე არის; ტ ა ი ჳ ი  
 კ ა ის ცხენს ჳქვიან.
425. მითხრეს: მეფე. ხ ა რ გ ა ბალნის კარავი არის.
428. რომე ცუდად. ბ ე ვ რ ი ათი ათასი არის.
431. არვის გავენდევე. ჳ ო რ ი ერთი ამბავი რომ დავარდეს და ჯერ  
 შართალი და ტყვილი არ იცოდეს.
435. უბძანე ჩაცმა. ქ ა ფ ი ჯაჳვის ილღის ზონარი და სარტყელი  
 და შესაკრავები; ჯ ა ე შ ა ნ ი ტანსაცმელს ჯაჳეს ჳქვიან.
437. შევხვალე, თუ. ვ ა გ ე ბ ა გარიგება ალი.
439. შუბი ვთხოვენ. უ ტ ე ვ ა ნ ი ასი მხარი არის.
441. შიგან ასრე. ტ ა ნ ა ჯ ო რ ი ერთის წლის ჯორი არის, და  
 ბევერად სხვად იტყვიან.
442. ერთობილნი. მ ა ნ დ ი კ ი ხურჯინი არის.
444. ჩემი ლაშქარნი. ტ ა ბ ლ ა კ ი მცირე ნალარა<sup>2)</sup>.
449. გავგზავნე. ა ლ ა ფ ი ქვეშ საფენი და ჳურჳელია.
450. რამაზს<sup>3)</sup>. ს ი მ უ ხ თ ლ ე ზეით სწერია.
453. მაშინლა. ჩ ა ს ხ მ ა დაჯდომას ჳქვიან.
454. საქურჳლენი. ს ა ჳ უ რ ჳ ლ ე ჯაბახანას ჳქვიან<sup>4)</sup>; ყ ა ბ ა ჩ ა  
 მოკლე კაბა არის; რ ი დ ე თავსახვევია.

<sup>1)</sup> A დროშ; <sup>2)</sup> A ნალარა; <sup>3)</sup> A რაზმი; <sup>4)</sup> A ჳვიან.

455. ვერა <sup>1)</sup> შევიგენ. ლარი ფარჩა არის.

456. იგი საძღვნოდ. არმაღანი შორით მოსულიც <sup>ერკუნული</sup>

457. წიგნი დავსწერე. სვე, ბედი და მარმენიო — სამივ. ერთი იგი არის და სამივე კიდევ ერთად სხვარივად გაირჩევა; ჯერ თავთავისი გზა არ მიგვიცემია. აღაფი ზეით დავვიწერია.

458. რა ყველაი <sup>2)</sup>. აზავერი ასაკიდებელი ხარი არის.

459. ხატავეთისა. გაწბილება <sup>3)</sup>, ერთს კაცს რომ საქმე უნდოდეს და ვერ ქნას; გაწბილება <sup>4)</sup>, კაცმა კაცს საჯაროდ ავი სატყვა წააყვედროს და უკუ-აწბილოს. და ამასაც ისწავლება: თავის ქებაც უმართებულა და გაწბილება <sup>5)</sup> არის.

460. მას შეფესა. ლმოზილი <sup>6)</sup> მტკივნეულია, და ლმოზიერი წყნარია.

464. მე ვჰკადრე. კადრება შებედეა არის.

465. ხარაჯი <sup>7)</sup> დასდევს. დრაკანი ფლურია.

467. მოვიდა კაცი. დაშრომა დაღალვაა.

468. შევეკაზმე. ტურფა უცხოთავეით არის.

469. იღუმაღ. ზოზონა ამბავის გაუბედაობით თქმა <sup>8)</sup>.

470. აწ მითქვამს. მცნება <sup>9)</sup> სწავლება არის.

471. მოვინადირეთ. ეჯი ექვსი ათასი ბიჯი არის. აღარ იბურთეს, ორი თამაშობა დაშალესო; ერთი — რომ ნადირობიდამ ადრე მობრუნდნენ და მეორე — აღარ იბურთეს.

472. ჩემთა მკვრეტელთა <sup>10)</sup>. მემანი წვეულობას ჰქვიან და მენიანი კაბა <sup>11)</sup> — საწვეველო კაბა ეცვაო; კატაბანი ტყუილია.

474. მას მზეხა. ხადუმი საქურისი არის.

476. ახლოს. არამი სხვა ენა არის.

480. აწ თუცა. საკურკლე ზეით სწერია.

482. ავიყარენით. დოსტაქანი დიდი სასმელია; ცნობის თარგმანი ვძლად მოვიდოდა, ბოლო შეტყობავ არის.

483. მონა მოვიდა. აჯილა ჩადრი არის.

485. მიაშბე. სათნები სათნობა <sup>12)</sup>.

487. ღმერთმან თუცა. ბოლოები, ვინც გინდათ. თქვენ თარგმნეთ.

488. თუცა მიგდის. ბოლოები, ვინც გინდა, თარგმნეთ. ერთი სომხური კი არის: არი დენო იქით მოდიო.

491. ასრე წვა. წანწყარი წვრილად წყალი რომ მიდიოდეს და ხმა რამე გამოსდიოდეს.

492. აეთანდილცა. სულთქმა ამოქმენას ჰქვიან.

<sup>1)</sup> A ვერ; <sup>2)</sup> A რა ყველა; <sup>3)</sup> A გაწბილება; <sup>4)</sup> A გაწბილება; <sup>5)</sup> A დავწბილება;

<sup>6)</sup> A ლმოზილი; <sup>7)</sup> A ხარჯი; <sup>8)</sup> თქმა; <sup>9)</sup> A შეცდომით: მოვანება; <sup>10)</sup> მკვრეტელთა;

<sup>11)</sup> ნახე ამაზე ლექსიკონის მიმოზილებაში.

<sup>12)</sup> A სათნობა.

493. ზე წამოვჯდა. სპეტი თეთრია.

496. მიუწერე. ჩაუჭი სიცივეტეა; სიალფე გინა ლამაზი.  
არის; ნატიფი მოხდომილი, გინა ლამაზი.

500. დილასა ადრე. „სახითა ოდენ სამითა“ რომე სწერია, მართლაც არ ვიცი და მე ასრე მგონია: ორნი — მეფე-დედოფალი და მესამე — ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაეწერა: „სახითა ოდენ სამითა“, ლექსი არ გაიწყობოდა. და ერთს კიდევ ამას ვეჭობ, რომე ვითაც ხელწიფენი ღვთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი, ორნი ერთად რომ ისხდენ „სახით სამითა“, ვითამ კინალარ სამების სახედ ისხდენო: ძლიერებასა და საზარელობას უქებს თავის პატრონს. ოდნობა რა არი, ვერ ვაგრძნეთ.

502. აწ ქალისა. სახე თათრები რომ თარს ეძახიან, ის არის; და გამახვა წვერ-გალესილი.

505. რომე პირ(ველვე). სწფებოდა ეს არის, რომე მართალი სიტყვა რომ იყოს.

514. იყო ა(რ ნათლად). პირ-ოქრო პირზედ რომე ოქრომკედი ჰქონდეს ფარჩას, იმას ჰქვიან, ან რიღესა.

515. ქვე წვა. ნაპრალი კლდე რომ გახეთქილი იყოს, ის არის.

516. მიზრძანა. გაწირვა<sup>1)</sup> გამომეტება არის. ეს ლექსები ფიცის გაუტეხლობისათვის მოუყვანია და ფიცის ტეხას აძაგებს, ვითამ სხვა ნურავინ იქსო.

517. ვთქვი. „დიაცურად რად მოვლორდიო“, ვითა სოლომონის სწავლაა<sup>2)</sup>: დედაკაცი მცდარი არისო<sup>3)</sup>.

518. შენ არ<sup>4)</sup>. ხელოვნება<sup>5)</sup> რაცრა ფერი კაცმან რომ იცოდეს და იქმოდეს, იმას ჰქვიან.

519. ვახხონს. მკურნალი აქიმსა ჰქვიან<sup>6)</sup> და აქიმი არაბულად ფილასოფოსსა<sup>7)</sup> ჰქვიან; დასტაქარი ჯარა არის; ყე „ქვე“სავით სიტყვის შემასრულებელი არის. და ამასაც ისწავლებს: მაშაცის სიცრუვეს სხვა რალა შეედარებისო? და ცრუ არ უნდა იყოსო!

520 ამას ვბრძანებ. აზრი მცირეს შეტყობას ჰქვიან.

523. შევხედენ. მუსაფი თათრის წიგნსა ჰქვიან, და აქ აჩენს, რომე ისინი თათარნი იყვნენო.

524. რომე გკადრებ. აქ შეჰფიცა<sup>8)</sup> და მერმე ბოლოს გაასრულა<sup>9)</sup>. ნახე, რუსთველს აქ როგორ მოუყვანია! ვითამ ფიცი არ ატეხინა და გაასრულებინა. ნალიქნია სატყუერად მიფერებას ჰქვიან.

<sup>1)</sup> A გაწირავ; <sup>2)</sup> A სწავლა; <sup>3)</sup> შეადარე; იველი 9, 14; <sup>4)</sup> A არა; <sup>5)</sup> A ხელოვნება; <sup>6)</sup> A ჰქვინ; <sup>7)</sup> A ფილასოფოსა; <sup>8)</sup> A შეჰფიცა.

<sup>9)</sup> A გააკურნა (კორექტურული შეცომა მგონია).





525. კვლავ. შეხება ზედ მიწდომა და წვერის ხელებზე აწევა.
528. ვთქვი: ამითა. გონება სამი არის: პირველად იდეალურად ანგელოზთა და მესამე კაცთა. გონება ანაზღაოთ დიდისა და მრავლისა საქმის შემომღელი არის.
529. სულთ ვიყიდდი. ბაზარი სავაჭრო ადგილი არის.
532. მიბრძანა თუ. ესეები ამ ზღაპრის მიზეზით კაცის სასწავლოდ უთქვამს.
533. კვლავ თუ. ასდენ ასე არის.
536. ასრე ქენ. იმისთანას სასახელოს კაცს თავის მტერს მოპარვით აცვლევენებს და დიდს სისხლს უშლის!
540. ხანი დავშავ. ფიცხელი ძნელი, თუ გინა მაგარი არის.
542. მიბრძანა: ჩემთვის. ძუნწი კაცს ჰქონდეს, ხარჯი მართებდეს და არ იხარჯოდეს; უმეცარი შეუტყობარს ჰქვიან.
545. მოედანს დავდგი. აღვსება<sup>1)</sup> აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქვამს. და ამ ქორწილობის რიგებსაც ისწავლება.
546. ცხენისაგან არ. ვაქილი ზეით დაგვიწერია.
547. შევედით, ვნახეთ. წარბ-შერქმით წარბის შეყრას ჰქვიან.
548. მე შეწყინა. დაყმუნება დაყოყმანებასავეით არის.
550. კარვის კალთა. ჩავაქარაბაკე<sup>2)</sup> დავხიე თუ დავხეთქე არის.
557. ვერ გათნევ. თნევა ზეით დაგვიწერია.
558. შენი ქალი. ამოფხვრა ამოგლეჯას ჰქვიან ძირიანად.
559. ესე კაცი. თვალი ვაგვე თვალი ვამყოფო.
565. ჰკადრეს აქა. შეგნება მიხლომას ჰქვიან.
570. როსკიპო. როსკიპი ურიდად და გამოჩენილად ბოზი არის.
571. ხელი მიჰყო. მედგარი გუნებიდამ რომ კაცის ძვირი კაცმა<sup>3)</sup> არ ამოილოს, სანამღი ჯაგერი არ ამოიყაროს, და მოულონოებასაც ჰქვიან; და შუშვა დაამებას ჰქვიან.
572. რა დავარ. დარაჯა ქეშიკა თუ ამბის შემტყობს ჰქვიან.
575. მე უთხ(არ). ახლა გამოაჩინა: მოყრობა და პირობის გათაეება ასრე უნდაო.
576. მტემან ზარმან. ცხრო კიეება არის.
574. ზედა ჯდა. ფიცხი ჩქარსა ჰქვიან.
574. აწ იგი. ხადილი სამასპინძლო არის.
601. მივედით მიხხა. კოტა რაგინდარა პატარა ხე დაასო, იმას ჰქვიან, და ხლმის ხეტარი რომ დასხმულია, ეს ის არის.

<sup>1)</sup> A აღსება.

<sup>2)</sup> A შეტომით: გაქარვება; <sup>3)</sup> A-ში აქ კიდევ მეორდება „გუნებიდამ“.



602. კვლავ მოვ(ეწონე). ზარქაში სპარსულად ვერცხლს გაწე-  
ულსა ჰქვიან.
604. მათი მესმა. ჩაბალახი ჯაჭვის ქუდია უკვერცხო.
605. კვლავ სხვახა. ქულბაქი დუქანი არი.
606. ზღვა გავიარეთ. ქველი ზეით სწერია.
607. თვით ორნივე. ამაყი ზეით სწერია.
608. მათი ლაშქარნი. ლარი ფარჩაა.
609. ფრიდონ. კაცი რომ კაცს გაეწუბოს, იმას ისწავლებს: ასრე  
უნდა გაწუბაო, რომე ასრე უნდა გაისარჯოსო.
610. მივედით, მოქალა(ქეთა). აჯაბი საკურველი არის.
611. ლაშქარნი ფრიდონს. სეფე უფროსად ითქმის.
616. ამოძვრნეს ორნი. კრთომა სწერია.
618. ცხენი გავჰქუსლე. წრტიალი მტკივნეულია.
619. ესე მესმა. გაკიცხვა უპატიურად აგდება არის.
622. ფრიდონს<sup>1)</sup>. ბასრობა ნამეტნავად გაუპატიურება არის; და  
კიდემ სხვას ამას ამბობს, გარდავარდნილის კაცის პატივი და დახლომა  
როგორ უნდაო.
- 634<sup>2)</sup>. მაშა მე. ფარმანი დასტური არის.
637. მერმე. სახედარი მუდამ სახედნი ცხენია.
639. ფრიდონ<sup>3)</sup>. მხეცი ხორცის მჭამელს ნადირს ჰქვიან.
642. უშენოსა. დაფალი ღონე-მოღებული არის.
644. ესე ქვაბნი. ქაფი ზეით სწერია; ცქაფი სწრაფი არის.
651. ავთანდილ. ტარიელ რომე ცოტას თქმით ავთანდილ გასაჯა,  
მერმე, ნახე, იმან გარჯისათეინ რა დიდი გარჯაები უყო და როგორ მის  
მიჯნურს შეჰყარა!<sup>4)</sup> რჩევებიც გაუშინჯე ავთანდილს!
652. რა აქიმი. კაცმან კაცს უნდა ჰკითხოს რჩევა, — აქ ამას ისწავ-  
ლება.
653. რაცა ვითხრა. ბრძენი დიდს ჰქვიანს ჰქვიან.
656. მან მიუგო. მიგება პასუხის მიცემა არის.
657. პირი შენი. მოლორება მოტყუება არის.
661. აღრე მოვალ. დაზმა დახანება არის.
662. იგი მუნით. გაამხოკლა<sup>5)</sup> ხელის ფჩხილებით რომე ჩამოი-  
ხოკოს, დაიგლიჯოს, ის არის; გაამლოკლა გალოკვა.
666. მოვიდეს. შეება რომ ღხინობდეს, ის არის.
667. შერმანდი(ნს). დაფახვა თვალს ხუჭევდეს ის არის; ხულა  
მომცროს ფიცრის სახლს ჰქვიან; დარბაზი ხომ სამეფო სახლია.

<sup>1)</sup> A ფრიდონს; <sup>2)</sup> ეს და ორი მომდევნო ნომერი შეცდომით არის A ში: 634 (A 635),  
637 (A 638), 639 (A 640).

<sup>3)</sup> A ფრიდონ; <sup>4)</sup> A შეჰყარა; <sup>5)</sup> A გამხოკლა.

669. არცალა დაჯდა. კამათობა ცილება ან დავი არის.

670. შესთვალა. ფლიდი თათარნი რომ „ფლიდს“ ეძახიან, ეს სწორია.

674. რას მიიახ(ლა). ნიშატი მართლა არ ვიცოდი.

676. მას დღე. დრამა მცირე საწონი არის.

678. მას ვახხენებდე. მიწყივე მარადის არის.

681<sup>1)</sup>. რა დაასრულა. დუხჭირი ავ სანახავს ჰქვიან; მოხმა იქილამ რომ აქ მოიტანო, ის არის.

683. უმა წავიდა. ლმოზიერი მშვიდსავეთ მგონია; ხასიათი სხვა ენა არის.

684. მზე უკადრი. ეფრატი წყალსა ჰქვიან; და მქვერი მრავალ გვარად რომ კაცი მეტყველებდეს, ის არის.

685. უმა მზიარული. მქისი და ლალი ზეით დაგვიწერია.

689. ნუ მკითხავ<sup>2)</sup>. ციაგი მზის სხივი არის.

690. წვრილად. წავარნა კლდის ბილიკი; მენა სანიადავოსა სადგომს ჰქვიან.

692. უმა ეტყვის. ცქაფი ზეით სწერია.

693. ხამს მოყვარე. კელაეც დამიწერია: ტარიელ და აეთანდილ ამბავად უთქვამს, თვარა მოყრობასა და ყოელს სასწავლოს ისწავლება. ეს სამღვთოთაც ითარგმნება და საერთოაც ასრე არის.

695. საწუთრო კაცხა. ტაროსი დრო არის.

696. შენ არ. აქ ფიცისა და პირობის საქმეს ისწავლება, თუ როგორ უნდა გასრულება<sup>3)</sup>.

697. უმამან ჰკადრა. „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ ცუდი არისო, — კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს, რა მზის კოცნა არისო?! ვითამ სანამდი ცოლ-ქრომა და გვირგვინის კურთხევა მოგვხვდებოდესო, მანამდის ჩემი სიხარული რა არისო?! „თუ გიახლო, ერთხელ ვაი“ იმიტომ უთქვამს, რომ ჰკერეტას გარდა ვერ შეიყრებოდნენ; და „რა მოგშორდე, ბევრჯელ ვაი“ ამაზედ უთქვამს: ნახეც დამიძვირდებო.

698. ვაი თუ. სამალა ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით გაავლებენ. ის არის; საგანი ისრის ნიშანი არის.

700. უმა ტკბი(ლი). მარგალიტი<sup>4)</sup> ცოლ-ქრომის დაჯერების ნიშნობისათვის მისცა.

703. უმა წავიდა. ცოლ-ქმართ სიყვარულს ისწავლება.

705. ვინ უწინ. სოფლის გმობას ისწავლება და ზლაპარსა მწმამად ამბობს.

<sup>1)</sup> A 679.

<sup>2)</sup> A ნუ მკითხავ.

<sup>3)</sup> A გასწავლება; <sup>4)</sup> A მარგალიტის მიცემა.

706. ამას მოს(თქვამს). სიკვდილი ყველას ცუდად შეიქმნა, სოფელს კი ზრახავს.

708. გული კრულია. კაცის გულის სიხარბეს და გაუძლიერობას ისწავლება. მიზეზად აეთანდრის ათქმევიანებს: ხან თინათინის ნახვა უნდა და მოუშორებლობა და ხან ტარიელთან წასვლა. ახლა მკითხველს ეუბნება: რადგან კაცის გული ხარბი და ერთს საქმეზედ დაუდგომელი არისო და ბრმაცა და ურჩიც არის ზედვისა, რომ საქმეს ვერ გაზომს, ვერც სიკვდილს მეფენი პატრონობდენ. მაშ, კაცმა თავის თავსა უნდა მოუაროს და გუნებას არ აჰყვესო.

709. რა<sup>1)</sup> გულსა. გული სობა გაჯაერება არის; ბი სონი წყალია.

• 710. რა ვათენდა. ნაზი — კაცი რომ კაცს აძლევდეს, „არ მინდაო“ ის<sup>2)</sup> ეუბნებოდეს და ესათუებოდეს, იმას ჰქვიან.

716. ამას მოხთქმიდა. ამას ჰირის გაძლებისათვის ისწავლება.

720. ყმა გარდასვა. აწ მიზეზით კაცს უფროს-უმცროსის მასპინძლობას ისწავლება. ღაფალი ზეით დაგვიწერია.

721. დაჯდა, მისთა. სულთქმა ამოხენწმასავით არის.

722. რა ჯალაბი. საურავი და თნება ზეით სწერია.

726. ყველასავე. ეს ამდენი კაი სწავლა და კაი სიტყვა, მაშ, თუ ამ ამბვით არ ვთქვა, მიწაში უქმად რატომ ჩაეტანა?! ამას კარგად უნდა უსინჯედეთ: სამღეთოსა და საეროშივე კარგად არის სასწავლო!

727. რაცა ვითხრა. ოსტასარ ვეზირის სახელი არის.

730. წასვლა ჩემი. სუფევა დიდს მეფობას ჰქვიან.

732. ვაზირმან უთხრა. აქ ზუმრობასა და აზნაურშვილობას ისწავლება. ყოვლს საქმეში რიგიანი სიტყვა მართებული არის.

735. თუ მეფე. მოლორება მოტყუებას ჰქვიან.

738. მეფე ანუ. ბევრჯელ ვამბობ: ყველა სასწავლო საქმეები უთქვამს და საკარკაცოდ. ვასინჯეთ: ავი არა არის რა!

739. აწ, ვაზირო. რკინა ჩემი მონაცვალე იყოს და ჩემი სასჯელი რომ რკინას სჰირდეს, სანთლად შეიქნება, ვერ გასძლებსო.

741. ვაზირმან თქვა. ეს პავლეს სიტყვაზე მოუყვანია<sup>3)</sup>: „წესიერი ზრახვა, ზომიერი დუმილი“. როგორც ის იტყვის, ამასაც ისე უთქვამს.

744. ჩემი კმუნ(ვა). ფლიდი ზეით სწერია.

747. ვითამც რამე. ღადარი დაუნდობელია.

748. ხამხცა<sup>4)</sup>. ბატონ-ყმობის მოხსენებას ისწავლება. და ბატონს რომე ეწყინებოდეს, მაინც კაის სიტყვით ყმამ უნდა მოახსენოს და არ ღარიდოს.

<sup>1)</sup> A არ; <sup>2)</sup> A ისე.

<sup>3)</sup> პავლესი არ ვიცი და შეადარე ეკლესიასტე 3, 7: „ყამი დუმილისად და ყამი მეტყველებისად“; <sup>4)</sup> ხმაცა.

749. კვლავ უბძანა. შაბაშ ზეით სწერია.

ქარქვეშაჲ

750. დადრკა, სკამნი. ძეწნა ტირიფის ნერგი არის. ზმზღმრმმქქა

751. ვეზირმან გლახ. აქ ენის შენახვას ისწავლება.

754. ქრთამხა სთხოვს. მეჭრთამობის ამბავსაც მოგახსენებს, ვინც უბრალოს ქრთამს ეწყოებით.

755. ვით გამხადა. შლუ შუბლსა და საფეთქელზედ რომ თმა აკლდეს, იმას ჰქვიან. ვითამ როგორც თმა, ისე ჰქუა აკლიაო, — იგადად მოუყვანია.

757. ყმაშან უთხრა. იადონი ზეით სწერია.

761. შეკრა წითელი. ჩახრუხადეს რომ ჩახრუხებული უთქვამს, ეს იმისთვის დაუწერია, რომე ესეც ვიცოდით.

765. იტყვის: როხტენ. უსამართლობას ამბობს, არ ვარგაო.

767. ხაში არის. ეს სამღეთოც არის და საეროც: სამღდელოთაც კარგა ითარგმანება, საეროთაც უთქვამს.

770. მტერთა ჩემთა. ბატონ-ყმობას ისწავლება.

772. ვის ახმია<sup>1)</sup>. ფლიდი ზეით სწერია.

774. თუ მიჯნური. ესეც სამღეთოსა და საეროზედ უთქვამს: რომელიც სამღდელო<sup>2)</sup> განშორებული არის, მარტო ყოფა უნდაო.

775. რა მოგშორდე. სირცხვილისა და აუგის გზას ისწავლება.

776. მე იგი. ესეც ორკეცი კი არის: მოყრობის რიგი ხომ დაგვიწერია და სამღეთოდაც კარგად ითქმის.

778. დაჯდა წერად. აწ ამას იქით გაშინჯეთ, თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ, — სამღეთოდ თუ საეროდ, — როგორ თვითოს რიგით უსწავლებია! და ეს საქმეები ზოგი საცოლქრმოდ, ზოგი საკაცოდ<sup>3)</sup> და ზოგი სალაშქროდ და სანადიროდ, — ყოვლი რიგები უსწავლებია! თვარა ცუდად, საბოზრად არას გარჯილა და არცარა უთქვამს! ამ ანდერძს რომ მოჰყვა, თავის ბატონთან ბოდიშის<sup>4)</sup> მოთხოვნას მოახსენებს.

779. ვიცი, ბოლოდ. მართალს ამბობს, პლატონისაგან კიდევ უკეთესი კაცი სხვანიც ემოწმებიან: სიცრუე და ორპირობა კაცს სულსა და ხორცს ორსავე წაუხდენს.

780. რადგან თავი. უბაღობა ცუდსა ჰქვიან. ამას ამბობს: სიცრუვისათვის მე მოყვარე რატომ დავსთმოო?<sup>5)</sup> და ამასაც ისწავლება: კაცს რომე ცოდნა ჰქონდეს და ვერ ხმარობდეს, დიად უსარგებლო არის. ამასაც ისწავლება: რაც ვისწავლოთ, რომე ზეციერს მწყობრს შევადგოთ. ნეცნიერნო, აქ გაშინჯეთ: რასაც ამბობს, მართებულად და კაცის საქმით ამბობს, თვარ სიცრუეისა და ბოზობისათვის არა უთქვამს რა!

<sup>1)</sup> A ვისა სმია; <sup>2)</sup> A სამღდელო; <sup>3)</sup> A საკაცო; <sup>4)</sup> A ბოდიშ.

<sup>5)</sup> A დავსთმო.

781. წაგვიკითხავ. ამას პეტრესა და იოვანეს და იაკობს<sup>1)</sup> ძმა უფლისას მოწმობის: ისინი ბძანებენ „სიყვარული ღმერთი არის, არ არის, არ უყვარს, ღმერთი არ ეყვარებაო“<sup>2)</sup>. და ის მოუყვანია.

782. ვინ დამზადა. ამას ამბობს: ვინც დამზადა, ძტრის მორევენაც იმან მომცა. მტერი ეშმაკი არის და ამ ეშმაკის მორევენა მომცაო. ეშმაკის მორევენა კაცს მისცა და უნდა მოერიოს: „ძალად უზილავედ, შემწედ მიწიერთად, საწლვარის დამსაზღვრელად, უკვდავად და ღმერთსა ღმერთად“ ღმრთის ქებას ამბობს: იასა შეუძლია, წამის ყოფით ერთსა ასად გახდის და ასს<sup>3)</sup> ერთად. ამით თავს იძებს უღებს, მეც შემადლებინებსო.

783. რაცა ღმერთსა. ქეშმარიტად შაოთალია: რაც ღმერთსა არ სწადს, არაფერი არა იქნება რა. იმას მოახსენებს თავის ბატონს: ამ საქმეს ვეცდები, თუ ღმერთსა სწადს, შემადლებინებს; თუ არ სწადს, ხომ არ იქნება რა უღეთოთაო. მზის შუქად ტარიელს<sup>4)</sup> ხდის და იად თავის თავს ამბობს. უმისოდ გაძლების შეუძლებლობას ამბობს და თავის ბატონთან ბოდიშს<sup>5)</sup> ითხოვს.

784. რაზომცა. თავისი ბატონისაგან შენდობას ითხოვს და ამას მოახსენებს: ღონე არა მქონდა, უმისობა მომემთინაო. ამისი წამალი წასვლა იყო. „სადა გინდ ვიყო, რა მგამაო“<sup>6)</sup> რომ უთქვამს, ეს არის, რომე კაცი სადაც იყოს, ნამუსიანად უნდა იყოს, — ნამუსიანად ყოფნა სანაღლო არ არის.

785. არას გარგებს. სწავლა არის: კაცი უნდა ცდილობდეს და კაის საქმეს იჭიროდესო, თვარა მკმუნვარება და სიმძიმელი რას არგებსო? ღეთის ბძანება რომ არ იქნას, ხომ არ იქნებისო! დ მამაციისაგან გარჯა და ჭირის დათმობა არის წესიო. კაცს ასე შართებს: ჭირიც გასძლონ და კიდევ მოიჭირვოსო, თვარა ხორციელს კაცს განგებულების წინააღმდეგობა ხომ არ შეუძლიაო!

786. რაცა ღმერთსა. ამბობს: რაც ღმერთს ჩემთვის გაუგია, ხომ გარდამხდება და გარდახდას უკან გული დაავლებული<sup>7)</sup> აღარ დამრჩებაო. თქვენ მხიარულად, დიდებით [გნახავ]<sup>8)</sup> და ვლა თათრული სიტყვაა<sup>9)</sup>, დავლათს ჰქვიან. ამას ამბობს: თუ იმას ვარგებ ჩემს გარჯასა, ამდენი<sup>10)</sup> სიარული ჩემი სახელი და სიკეთე იქნებაო.

787. მეფეო. აქ ისწავლება: სიცრუე<sup>11)</sup> და პირობის გატეხა კაცს წასწყემნდსო. და თავის ბატონზე ბოდიშს ითხოვს: წასაწყემნდელი საქმე როგორ მექნაო?!

788. არ დავიწყება. კაცი რომ მოყვარეს არ ივიწყებდესო, ზიანს არ უზამსო. ამას ისწავლება: ასეთს კაცს ვგმობო, ყოლის სიკეთით სრული

<sup>1)</sup> A ივანეს და იაკობს; <sup>2)</sup> I ეპისტ. იოვან. 4, 16; <sup>3)</sup> A ას.

<sup>4)</sup> A ტარიელს; <sup>5)</sup> A ბოდიშ; <sup>6)</sup> A მგამაო; <sup>7)</sup> A დაღებული; <sup>8)</sup> ეს „გნახავ“ მე დავუბატე; <sup>9)</sup> A სიტყვა; <sup>10)</sup> A და ამდენი; <sup>11)</sup> A კაცს სიცრუე („კაცს“ ქვემოთაც არის და აქ ამოვიღე).



იყოს; და ცრუ და დალატინი <sup>1)</sup> იყოს, იმის უფრო რა იქნებოდა? ახლა, რადგან ეს ასრუ არის, მე იმას ვერ ვეცრუვები და ზიზზის ფერს იქნამთ. ისწავლება: მამაცობაზედ რომ სულ-გრძელი იყოს, წასვლის მოზარე იყოს, იმგეარს მამაცობას ზრახავს.

**789. რა უარეა.** მამაცობას ისწავლება და ამას ამბობს: ჯაბანი კაცი დედაკაცს რით სჯობსო? (ჯ ა ბ ა ნ ი ზღალსა ჰქვიან) და სახელი სჯობს ყოვლის მოსახვეჭელსაო. მოხვეჭა ბრძალით და ბორჯღლიანით მოიტანოს რამე, იმას ჰქვიან.

**790. ვერ.** ამას ამბობს: რადგან სიკვდილი არას გზით არ დაიპირვის <sup>2)</sup> და კაცი მოკვდება, ნაზრახს სიკოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობსო.

**791. მერმე.** მეფეს ბოდიშის სიტყვით მოახსენებს: ვინც სიკვდილს ყოვლის წამით არ მოელის, ის კაცი სცდებაო. და თუ, — ვინ იცის, — მოგვედუ, შეწყალებას ეხვეწება.

**792. თუ საწუთრომან.** ესეც ისევ სწავლაა: თუ მოვკვდე, შემობრალეო. ეს იმათ ანდერძად რომ მოუყვანია, თვარა იმათ ანდერძი ხომ არ უთქვამს! როგორც წმინდა წერილი ბძანებს: „კაცი ნიადაგ <sup>3)</sup> სიკვდილს უნდა მოელოდესო“.

**793. მაქვს.** ამას გლახის მოწყალეობად ისწავლება იოვანე ოქროპირის ბძანებასავეთ.

**794. რაცა <sup>4)</sup> თქვენთვის.** ბატონ-ყმობის რიგით მოახსენებს: რაც თქვენი საკადრისი არ იყოს, სამადლოს საქმეზედ დახარჯეთო.

**795. ამას იქით.** კიდევ თავის სულს ახვეწებს: მკვდარს ხომ აღარა გარდამხედვის <sup>5)</sup> რაო, სული შემობრალეთო.

**796. გვედრებ.** ნაკი ნამეტნავს ჰქვიან; ჰმუნვა მწუხარება არის.

**797. გასრულდა.** სუფევა დიდს მეფობას ჰქვიან; კრძალვა მორიდება არის.

**799. ილოცავს.** ამას ისწავლება: კაცს რაც საქმე საქნელი ჰქონდეს, პირველად ღმერთი უნდა ახსენოს, მერმე საქმეს ხელი მიჰყოს.

**800. ღმერთო, ღმერთო.** ამას ახლა თვითან რუსთველი ამბობს: ღმერთო ყოვლის მფლობელო, გეხვეწები, შენ რომ ზეციერი მიჯნურობა დაბადე, შენ რომ იმის წესს აწესებ, მე ამ სოფლიოს ზღაპრობამ საუკეთესოს მზეს — სასუფეველს — მომაშორვაო. და ახლა ამას ეხვეწება: ამ ზღაპრობის თქმით იმ სასუფეველის სიყვარულს ნუ აღმოფხვრიაო.

**801. ღმერთო, ღმერთო.** ამასაც ლოცვად ევედრება, რომე ყოვლს საქმეზედ კაცი ღმერთს უნდა ეხვეწებოდეს.

<sup>1)</sup> A ცუდს დალატინი; <sup>2)</sup> A რაც.

<sup>3)</sup> A დაიპირვის.

<sup>4)</sup> A ნიადაგ; <sup>5)</sup> A რაც.

<sup>6)</sup> A გარდამხედვის.



802. რა ილო(ცა). ესეც მართლა დაუწერია: თავის ბატონის ვერ  
მკვრეტი ყმა ვერას გაიხარებს. ეროვნული  
მუზეუმი

803. აწ ამბავი. ახლა კიდევ ამის წასვლის ამბებს მოაყვა.

804. რა ვეზირი. კაის ყმას რომ უბრალოდ გაუწერეს, მერმე ბოდი-  
შის მოთხოვნას ისწავლება.

805. თუ. რჩევისა და ბატონის მოსახსენებელს სიტყვებს ისწავლება.

806. კვლავ მოახსენა. ლევი თორმეტის ტომის ისრაილის ნათესა-  
ვისაგან იყო; გელევი დაგთმო არის.

807. რა გამოვიდა. ეს მოუყვანია, — კაცმა რომე ერთხელ საქმე და-  
აშაოს, უნდა კულავ აღარა ქნას.

808. რა ვეზირი. გამთავნება გამრავლება არის.

809. თავ-დადრეკით. ფლიდი თალბიზია.

811. რა მეფემან. ამას ისწავლება: თავის გაზდილი ყმა ასე უნდა  
უყვარდესო. და ტირილის რიგსაც ისწავლება.

812. ოდეს გნახავ. მკვერი ბევრის რიგით კაცი რომ კარგ-მოლა-  
პარაკე იყოს, ის არის.

815. ზარი გაიხმა. ზარი საზარელს ჰქვიან.

817. ყოვლნი ტიროდეს. დადუმება დაჩუმება არის.

819 <sup>1)</sup>. რა ანდერძი. დავრდომილი სიკეთისაგან დაცემული.

820. მთვარე მზესა. მთვარე მზის დაშორებით რომ შეიქნება, მაშინ  
განათლდება; თხუთმეტის დღისა რომე იქნება, აქეთ პირს მთვარე იქნება  
და იქით პირს — მზე და, დაპირდაპირებით რომ იქნება, შუქს მისცემს  
და განათლდება; შეშლა რომ მოუა, ახლოს შეეყრება და აღარ გამოჩნ-  
დება; და დაწვად ის უთქვამს. ახლა ამის სახეზედ ესეც მოუყვანია <sup>2)</sup>:  
როგორც ვარდს უმზეობა გაახშობს, ისრე სიყვარული ქრისტესი უთქვამს.  
და იმისი ვერ ჰერეტა ძველს ადამის ცთომას გაგვიახლებს. ბევრჯელ მი-  
თქვამს: მეფეთ ადგილს თვითო სამლთო უთქვამს. ისეც სამღვთო, თვარა  
აქ არაკი დაუწერია: ახლა სხვა ამბავი დავიწყო.

821. აწყა დაეწვებ. ვითამ მზეს თავის საყვარელს ადარებდა და იმის  
ყურებით მის საყვარულს მოითმენდა და სძლებდა.

822. რა მიიახლ(ის) <sup>3)</sup>. ცოლ-ქრმობის საყვარულს ისწავლება, უმისოდ  
ყოფის გაძნელებას ამბობს. დილაჯი წყალს <sup>4)</sup> ჰქვიან.

823. თქვა: ჩემო. თუ სამღვთოდ ეს არ ეთქვას, საყვარელს დაძაბუნე-  
ბული მოყვარე როგორ <sup>5)</sup> ეჯობინებაო?! მაგრამ ესეც სამღვთოთ უთ-  
ქვამს: „თქვა: ჩემო, შენი შორს მყოფი“, — რომ დაუკრულავს, ვინც საყ-  
ვარელს მოშორდეს, უნდა დაჩუმდეს, განა სულ ლაპარაკობდეს? მაგრამ

<sup>1)</sup> A 818; <sup>2)</sup> A მოუყვანია, ესეც მოუყვანია (პირველი „მოუყვანია“ ამოვიღე).

<sup>3)</sup> A რა მიახლ.

<sup>4)</sup> A წყაროს; <sup>5)</sup> A როგორ.





ასრე უთქვამს: კრულ იყოს, ვინც შენ ცოდვით დაგშორდეს, ვინც და-  
ჩუნდეს და სულ იმის ქებას არ ამბობდეს! რადგან კერძოდ შენვე ხარ  
მოვიქცეოთ და გონება ქრისტეს დაჩა, ხამს, რომ კაცთან რამდენიც  
ცოდვა ქნას, გული ისრევ ქრისტეზედ უნდა პქონდეს და დაუბრუნდეს.  
ბევრი კაცი ცოდვას იქს, იტყვის: „მე რაღა მეშველებისო?“ ახლა ეს  
იმაზედ უთქვამს: თვალი რომ ცოდვით მტირალი პქონდეს, კიდევ ის-  
რევ ქრისტეს შეხედვა უნდა სწადდეს და სასო არ უნდა წარიკვეთოს.  
რაც რამ ამ სოფელს კაცს შეუყვარდება, საყვარელი ის არის, და  
მოყვარე ქრისტე არის. ახლა ამბობს: რაგინდარა ქრისტეს?) საწყენი  
რომ ქნას კაცმა და შეუყვარდეს ცოდვით, ქრისტე დაძაბუნებულად  
პყვანდეს. (ის უთქვამს:) მაინც ისევ ქრისტე გიჯობსო და სჯობსო.

824. მე რა. ბევრჯელ მითქვამს: რუსთველს სადაც პირი მოუკრავს,  
სამღეთო ყოფილა კარგი, თუ საკაცო, ორივე დაუწერია. ზეით სასო-  
წარუქვეთელობა მოუყვანია, ახლა ისევ ზღაპარს მოპყვა. ახლა ავთან-  
დილს აჩივლებს ცოლის სიყვარულობას. ასრე რიგად უთქვამს რუსთველს.  
გამშინჯველო! კაცი გასინჯავს, თეარა გაუსინჯავს კაცს სულ ცოლ-  
ქრმობის საქმე პგონია!

825. ტირს. ესეც ცოლ-ქრმობის სიყვარულისათვის უთქვამს და ვინც  
ვაუშინჯავთ, კაის ლექსს?) ამბობს. სათი გიშერს პქვიან.

826. იტყვის. ერთარსებისაგან?) ერთი ხომ ქრისტე არის! და ქრის-  
ტეს ეხვეწება და აქებს: ვისაც ციერნი ერთის წამის ყოფით გამორჩილებ-  
სო. მე ბედს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო. აბა, ქრისტიანი ფი-  
ლასოფოსი საბოზერად ქრისტეს როგორ შეახვეწებს, ხელი მოუმართეო?!

827. ვის ხატად. ღვთის?) ხატად წინასწარმეტყველნი და ფილასო-  
ფოსნი ქრისტეს იტყვიან. იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რა-  
მეო. და თინათინისა და იმის მოშორებას?) შესჩივის. მე ხომ ამას ზეით  
ესეც სამღეთოდ მგონია, მაგრამე ყველას ამიტომ აღარ გამოვეკიდე,  
რომე ეგება ზოგიერთს კაცს ავად ჩამოერთმია.

828. ამას. ცოლის სიყვარულს ისწავლება. და ავთანდილს ვარსკვლა-  
ვებსავეით ამსგავსებინებს.

829. მთვარება. ფილასოფოსობა გამოუჩენია, რომე?) მთვარეს  
მოწყალეთა და სნეულთ ეტლად იტყვიან, რომე სნეულიც ეს არის და  
შესაწყალეებელიც. ამას ეუბნება: შენ გამკორნო.

830. დამე. პაველი მსხვილად რომ დაგრეხილი იყოს, იმას პქვიან:  
წყლის პაველი რომ გარდასციმციმებდეს და გარდასდინდებოდეს და  
ჩაიგრიხებოდეს, ის არის; ნაკადი ისრევ ნაკი არის.

831. მარტო. აქ კიდევ ავთანდილს აქებს და იმის გულს მარხის უდ-  
რის. მარხის მესისხლედ იტყვიან. და გულ-ჯაერიანად მოუყვანია.

1) ქრისტე.

2) A ლექს; 3) A ერთარსებისაგან; 4) A ღვთის; 5) A მოშორებას; 6) A როგ.



882. აწ ვერ. ბ რ კ ა ლ ი: ხელისა და ფეხისა ნებიდან ფრჩხილებით-  
თურთ ბრკვალი არის.

837. გული. აქ მოუყვანია სასწავლებლად ფიცის და სიხის გასტყე-  
ლობა.

840. ჯვრთ მისი. დ ი ლ ა ჯ ი მდინარე წყალსა ჰქვიან. ამებში ერთ-  
მანერთს აღაპარაკებს და ასე უცხოს კაცებს რომ ერთმანერთის გული-  
სათვის ასრე დიდათ რჯის, ვასინჯეთ, მეცნიერთ და ახლოს მყოფთ  
კაცთ ერთმანერთისათვის რა გარჯა მართებსო! და თავის ფილასოფო-  
სობასაც აჩენს.

844. ესე არაკი. ესეები სულ სწავლება არის.

847. პატრონი ჩემი. ეს ნურვის უცხოდ გინსთ, მეფე რომ ღმერთად <sup>1)</sup>  
ცხოვლად უთქვამს. განა მართლა ღმერთად <sup>1)</sup> უთქვამს? მაგრამე ქვეყნად  
ფილასოფოსთ მეფენი ცხოვლად და ღმერთად <sup>2)</sup> დაუწერია, — რაგინ-  
დარა ხორციელზედ შეუძლია.

858. კვლავ იტყვის. რაც ამას დაუწერია, თუ კაის გზით ისწავლით,  
ერთს ოსტატად გეყოფათ.

857. რა შეხედნა. გ რ ი გ ა ლ ი ერთი ქარი არის, რასაც მოხვდება,  
დაამხვრევს.

859. ერთენ უც. ფ ი ც ხ ე ლ ი გინ მბრძოლის ძალოვანება, გინდა-  
ძნელოვნად მაგარი.

860. თვალთა ახმადცა. ნ ო ბ ა ნ ი ზეით დაგვიწერია.

861. ხელითა ცრემლსა. და ფ ა ხ ვ ა ც ზეით სწერია.

862. ესე ყველაი. მართლა ფიცავს: ზეითაც დამიწერია: იმათთანა არა  
შობილა რაო <sup>3)</sup>. დიად ხშირად ხდის ამ თავის წიგნს ზღაპრად!

865. თუ ბრძენი. ზოგიერთი რომ ავათ თარგმნით, რაც დაუწერია, ეს  
დაისწავლოთ, ის არა სჯობს მრუდათ თარგმანს?!

870. ისმინე ჩემი. თ ნ ე ვ ბ სათნოობა არის.

874. მართ გარ(დაწყვეტი). ს ი რ ა რიგსაც ჰქვიან და ოქრომქედ-  
ლის პირით საბერველს ლულასაც, — ორივე კარგად ითქმის.

884. რა შეატყო. მ უ ფ ა რ ა ხ ი იაგუნდის მაჯუნია; და ს ტ ა ქ ა-  
რი ჯარაა <sup>4)</sup>.

888. სამხრე. ა ს ა კ ი კაის დროთ რომ კაცი მოსულიყოს, ის არის

891. დამორჩილდა. ყველასი ასე მგონია: რადგან უღვთოსა <sup>5)</sup> და  
უსწავლს და მიჯნურობით ასე გარეტებულს სწავლამა და ტკბილმა საუ-  
ბარმა ასე [უყო და] <sup>6)</sup> მოაქცია, ნათლისღების შვილს თუ ასწავლი და

<sup>1)</sup> A-ში ეს სიტყვა სამსავე შემთხვევაში შემოკლებულია ქარაგმის ქვეშ. შეიძ-  
ლება ასეც წაეკითხოთ: ღვთად.

<sup>2)</sup> მხედველობაში აქვს, ალბათ, თარგმანი მე-7 შიორის სიტყვებისა: „მისებო მართ-  
დაბედებით ვინმეა ყოფილა შობილი“; <sup>3)</sup> A ჯარა; <sup>4)</sup> A უღვთოსა.

<sup>5)</sup> ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები „უყო და“ მე დავუმატე დარღვეული სინ-  
ტაქსის გამოსასწორებლად.



შეაგონებ, — სიტკობებით, და მის ადგილს რისხვით, — რატომღაც მტკიცეა?! ამაზე უთქვამს და ნახეთ, თუ სასოფლოთ არის! სიტკობით უთქვამს: „ვერა საქებარი ქება ვერ მიგია რაო“, რომე საქებარი არა იყვნენ რაო? და ბოლო ის ერთი სტიქონი წინათქმულისათვის?) უთქვამს.

**905. ხდევხ ?) მიჯნურსა.** სამღეთოზედ უთქვამს: ვინც სასუფეველის მიჯნური შეიქნება, საწუთრო უნდა დაინაღლოს. ბოლოს სასუფეველს იშოვნის, ვინც ამ სოფელს გაირჯება და ზრუნვისაგან გამოვა. სასუფეველის მიჯნურობა მართლა უთქვამს: სიკვილიზე მიახლოებულნიც არის, დიად საქიროც; გასწავლულს, მართალია, გააშმაგებს: ამ სოფლისათვის ტანთ არ ინდომებს, ფეხთ სამოსსა \*) და კამას. როგორც პავლე მოციქული ბძანებს?): „სიბრძენი ამის სოფლისანი უმეცრება წინაშე ღვთისა“. თუ ამ სოფელს სიბრძნე უმეცრებაა \*) ღვთის წინაშე, მაშ იმ სოფლის სიბრძნე ამ სოფლისათვისაც უმეცრება არის! „უსწავლელს ასრე გაასწავლებს“ — მრავალნი უცოდინარნი ღვთის ცნობით ბრძენნი და ფილასოფოსნი შეიქნენ.

**914. ამოა რომე.** მართალია, კაცს რომე ჯაგრი ჰქონდეს, იმისი თქმა დიდი ლხინი არის, მაგრამე, თუ მტერმან შეუტყო, გულში რა უძეს, ის კი არ მოუხდება.

**921. ნეტარ მამაცი.** ესეები სულ ამ ზღაპრით, რაც კარგებია, კაცის სასწავლოდ მოუყვანია.

**928. მან მიბრძანა.** მ ა ხ მ უ რ ი სხვა ენა არის, ჩვენი არ არის.

**947. მიმავალი ცასა.** აქ შეიდი ცდომილნი ვარსკვლავნი მოუყვანია და თავის ცოდნა და სიბრძნე გამოუჩენია. ამ ვარსკვლავებს თვითოსა და თვითოს სხვადასხვა ბუნება-უფლება აქვსთ. ამაების ამბავი გარჩევით ჩვენ სიგრძისათვის არ დავსწერეთ. და ვისაც შეტყობა ვინდოდესთ, საეტლო და სავარსკვლავთრიცხო ნახეთ და იქ შეიტყობთ. და ამაების მოყვანაც უთქვამს, ვიცოდით.

**1002. დახხდეს, შეიქნა.** მ ა ხ ა ლ ი ხურჯინი არის.

**1006. მართალ არს.** ამას ზეით კაცის გაწყობისა და მუსაიბობისათვის ისწავლება. და ახლა მგზავრობის რიგს მოჰყვა.

**1021. გარდახდა.** აქ გასინჯეთ: რუსთველი ცოლ-ქრმობისათვის ამგვარს გაჭრასა და საქციელებს უსჯულოთ აბრალებს!

**1022. ჩვენ აქა.** ლ ა რ ი ბ ი თათრულად უცბოს ჰქვიან.

**1027. ხიამოვნისა.** ბ ა დ რ ა გ ა ვაჭართ რომე მხნე კაცი უძლოდეს და იმათი სისხლი იმან იკისროს, ის არის.

\*) A იმით; \*) A წინათქმულისა თავს; \*) A სედა.

\*) A სამოსს; \*) I კორინთ. 3, 19; \*) A უმეცრება.



1030. თქვენ, ვაჰარნა. ჯ ა ბ ა ნ ი უ ლო ნოს ჰქვიან. უ რ ო ე ნ უ ლ ი
1036. კაცო, ძალსა. რუსთველს აქ გაუსინჯეთ, საღებრს უწინაველებსა  
რაჲმე, თუ არა!
1037. მუნ ავთანდილ. ხო ტ ბ ა ქება არის.
1048. თამამდი ჩემსას. ჯ უ ბ ა ჩ ო ბ ა თათრული არის.
1086. ფატმან. ამას რომე სამეძაოდ სთარგმნიდით, რუსთველს მეძა-  
ვისა როგორიც ქება დაუწერია, ამას ქვეით მოგახსენებს!
1067. ფატმან. სა ლ უ ქ ი შემკობის მოყვარეს ჰქვიან.
- 1069 <sup>1)</sup>. დილხასა. სე ფ ე დიდებულს ჰქვიან.
1071. სჯობს. ლ ი ზ ლ ო ბ ა სიტყვის შეჩვევა <sup>2)</sup> ხუმრობასავით.
1076. შენ. ტ რ ფ ი ა ლ ი ზეით სწერია.
1079. ფატმან. ეს ამაზედ დაუწერია, რომე დასანახავია. ის საბოზრად  
არ დაუწერია, საბოზარი ეს არის!
1081. ესე გვარი. თუ საბოზრად დაეწეროს ეს წიგნი, რატომ ზეით  
იმგვარად ამბობს. და აქ ამას ასე ურიგოთ იხსენებს? მაგრამ არა! ის  
ზეითი საბოზარი არ არის, ბოზობისა ეს არისო. ნახეთ, რას გზით და-  
უშლია ბოზობა! რომე ავთანდილს ნათხოვნი ჰყვანდა და იმასაც რას  
გზით უშლის! ვისაც ხელთა ჰყავს, იმისგან როგორ უფრო დასაშლელი  
და უჭნელი არის! ნახეთ, ფატმანს როგორ ავინებს ბოზობისათვის და  
ავთანდილს როგორ შორ აჭერინებს! ახლა რომე დაყოლია ამ საქმისა-  
თვის, — რადგან ასე დიდ სირცხვილში ვაბივარ. გაჭირებისათვის არც  
სირცხვილისა ანაღვლა, არც ცოდვასლა დარიდა.
1082. იხი დიაცი. გასინჯეთ, იმის ქნას როგორ გაჭირებისათვის ამ-  
ბობს!
1089. ერთგან. დ ა რ ა კ ა ფარსა ჰქვიან. ნახეთ, განა ერთს კაცს შეა-  
ყვარა? მეორესაც შეაყვარა, რომე კახათ ვახადა! თვარა მართალი რო-  
დის იკადრებდა?! <sup>3)</sup>.
1091. გამკიცხე. ესეე თავის მოყვარე როგორ მოეპყრა, ეს გასინჯეთ!
1095. დიაცმან. დ ი ა ც ი დედაკაცია.
1096. ესე გვარი. მეზოზრისა დედაკაცის გინებლისათვის უთქვამს ეს  
ღეჭი. და სასწავლოც არის: ენა-შეტი არ უნდა იყოს კაცი.
1098. თვარა. აქ გასინჯეთ: სამღეთო წერილისთვის უბნობს. რამდენი  
აგი საქმე მოაქვს ბოზობას, იმათვე აამბობინებს.
1099. რა ესე. აქაც აჩენს, რომე არ ყოფილანო.
1144. მოვიყვანე. ხ ა ლ ვ ა თავის წინ რომ კაცი იყოს, იმას ჰქვიან.

<sup>1)</sup> A 1068; <sup>2)</sup> შეჩვევა.

<sup>3)</sup> A იკადრებოდა



1146. ვოქვი, თუ. ავკაცობის საქმით ამზობდეს, ამდენსა ჩემს ვოქვე ამდენ ალაგს ამისთანა ლამაზი ქალი არონინა, რატომ, ჩემს ვოქვე ბინა რა? ლ მ ო ბ ი ე რ ი <sup>1)</sup> შვიდი, თუ წყნარი არის.

1155. უსენ. ა რ ი ფ ი თათრული არის.

1156. რა მეფემან. ფ ა რ ჩ ი საღვინე არის.

1164. შეველ. ი ა ე ა რ ი აფორიაქება <sup>2)</sup> არის; ა მ ო ფ ხ რ ა მოგლეჯაა.

1166. თვალთა. ა ჯ ი ლ ა ჩადრსა ჰქვიან.

1170. ვითა. მ ფ ა ხ ე ე ლ ი დახუქვილია.

1179. უბრძანა. ხ ა დ უ მ ი თათრული არის, საქურისია.

1182 <sup>3)</sup>. ხადუმნი. ქალისათვის გაქირებაში ამისთანა რჩევა უთქმევინებია. ნახეთ, კაცმა რა უნდა ქნას!

1186. მონათა. მექრთამობას აძაგებსო.

1187. რა ოქრო. ეს დიად უსამღვთოდ დაუწერია, — მართალს მოვახსენებ!

1194. მის მთვარ(ისა). რუსთელისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ, იმას საბოზრად კი არ დაუწერია: ბოზებიცა და მისი მღევარიც ნამეტნავად ვაუღანძღავს. დედაკაცის ბოზობა სახელდობით დაუწერია და კაცისა უგულობაც ისიც არის.

1201. ავთანდილ. თვითო-ოროლა, — სადაც მოხდომია, — ადგილს სიტყვაზე სამღვთო ყველგან ჩაურთავს. თუ ეს სამღვთოთ არ ეთქვას, მაშ რომელს სამღვთოს წიგნში სწერია: „მოყვარე მოყვარეს ნუ მიენდობაო?“ მაგრამ ეს იმ საქმის იგავად მოუყვანია და წიგნშიაც ესე სწერია. „მოყვარე მტერი მოყვარისა“: ქრისტე მოყვარე არის და ეშმაკი, იმისი მტერი, კაცისათვის ყოელის მტრისაგან უფრო მტერი არის. ვინც ჰქვიანია და მეცნიერია, ეშმაკის საქმეს ვინა იქს, და ან ვინ მიენდობა? ეს იმისი იგავია, ისომ ეშმაკური საქმე ჩამოგვარდნოდათ, იმისგან ნულარ იშიშვიო.

1203. ვაი ხაწუთორო <sup>4)</sup>. ესეც შესავლად მოუყვანია, რომე სოფლის ნიეთს არ უნდა კაცი შეემსჭვალოს <sup>5)</sup>. და სოფლისათვის უძრახავს: ეს სოფელი მოკლე და უხანო არის.

1209. მათ სხვა(თა). ქ ვ რ ი მ ა ფეტვია, ღომის თავსავით არის, მომცროა.

1213. როშაქ ბრძანა. ნახეთ, ტირილი რას გზით დაუშლია, ვითამ როშაქ მათი ამისთანა სპასალარი იყო და ტირილი სძულდაო. ოქროპირის სწავლაშიაც არად მოსაწონია.

<sup>1)</sup> A ლომბიერი.

<sup>2)</sup> A აფორიქება; <sup>3)</sup> A 1180.

<sup>4)</sup> A ხაწუთორო; <sup>5)</sup> შემსჭვალოს.

1221. არცა რა. ქუში მრუდათ მწყარალსა ჰქვიან.
1240. გულითა ღმერთსა. იჩქითი ანაზღად არის. ეროვნულნი  
გენგაღმრთებანი
1243. ავთანდილ. აქაც გასინჯეთ, როგორ სასიამოვნოდ დაუწვრიოა ბოზობის საქმე!
1260. ფატმან წერს. შეთხზული ერთმანერთში შერეული.
1300. ესე წიგნი. აქ თავის მდივნობა გამოუჩენია. რადგან საცოლოჭრმო მისაწერი წიგნი ასე სცოდნია, ნახე, სხვა წიგნები როგორ ეცოდინებოდა!
1314. ესე უხტარი. ვია ტვიას ჰქვიან.
1317. მოწურვილ იყო. საროსტანი კირჩხიბსა ჰქვიან.
1330. წიგნო. კენ და სალა ორნივ აენი კაცი არიან. ეს ავის კაცებისათვის უნდა შეედარებინა, კარგისათვის არა! მაგრამე შორ ჩანს, სააოდ არ უთქვამს.
1331. ავთანდილ უჰვ(რეტხ). ნიშატი არ ვიცოდი.
1334. მე მოვჰკალ. კაცმან რომე კაცს გასახარული თუ საწყენი ამბავი ანაზღდეულად უთხრას, ესეც უსწავლებია და არ დაუგდია: არ ვარგაო. თვარა ავთანდილ რა აგრე გაუსინჯავი კაცი იყო, რომე, იყო თუ არ იყო, არ სცოდნოდა?! მაგრამე არც ეს დაუგდია.
1345. ქვაბის <sup>1)</sup> კარზა. ქარმაგი თეთრზედ შავით დაწინწკლული <sup>2)</sup> არის. ან იმრიგი ტანსაცმელი ეცვა ავთანდილს, ან ცხენს იჯდა იმრიგს.
1359. კიღობანი გახს(ნებს). ლუსკუმა კიღობანსავით აშენებულს ჰქვიან.
1367. დაიწევს პურობა. ფანოსი ბერძელი არის, სინათლეს ჰქვიან, გასანათებელი რამ არის და ქართულად ფანრად იწოდების. კაი ხუმრობაც სიკეთეთ მოუყვანია.
1381. ამა ფრიდონის. გუშაგი ციხის დარაჯას ჰქვიან.
1383. ფრიდონ თქვა. დახშვა დაგდება.
1384. ჩემზა სიმ(ცროსა). მუშაითისაბელზე გამვლელს მოთამაშეს ჰქვიან.
1386. აბჯრითა გავლა. კისკასი სწრაფსა ჰქვიან.
1394. მავა თათბირსა. აქ რჩევას ისწავლებს: კაცი ყოველს საქმეზე სამჯობინარის რჩევითა და გასინჯვით უნდა იყოს.
1398. კვლავ ერთმან(ერთსა). ჩაბალახი ჯაჭვის ქულსა ჰქვიან.
1424. შორს. ბროლს მთვარესავით ბაკი ევლოს.
1427. ზღვათა <sup>3)</sup>. პერპერ. რაც რამ მოსაკაზმავს გარდა სხვა კიდევ რამ კარგი მოუმატოს.
1433. ტარიელ. ესეები აქ ანათვის მოუყვანია, რომე კაცმან კარაკობა და კაცი ვალდებულობა არგად უნდა დაუმაღლოს და გარდაინადლოს.

<sup>1)</sup> A ქვაბისა; <sup>2)</sup> A დაწინწკლული; <sup>3)</sup> A ზღვითა.



1448. ასმათ. ეს ბატონ-ყმობის სიყვარულისათვის მოუყვანია და ის-  
წავლება.

1445. მოვიდეს და. ამას ამბობს: ვინც ბატონისათვის **ტყვე-შეწყვეტა**  
მართებული საქნელი საქმე არისო, და ცხონებაცა აქვს; როგორც პავლე  
ბძანებს: „ვინც მეფეთ ბძანებას ადგება, ლეთის ბძანებასაც ადგებაო“.

1446. თუცა. ბორიო სადროს ნისლს ჰქვიან.

1455. მოილეს. ალქატი გლახა<sup>1)</sup>, სომხებიც ამას ეძახიან.

1456. კვლავ. ფარღული<sup>2)</sup> ყელსაბამია.

1472. აწ მითხარ. თუ ტარიელ მეძავი ყოფილიყო, უნამუსო იქნებო-  
და და სხვის სათნოსათვის ამთონ ჭირ-გარდახდილი ეჭრობოდა. მაგრამ  
არა! რუსთველს ცოლ-ჭრმობის სიყვარულზე უთქვამს, არა თუ მეძაო-  
ბაზედ. და აქ ესეც უსწავლებია ჩვენთვის: ნამუსისათვის, სასიამოვნო  
რაგინდ უნდოდეს, დაითმოება.

1474. ჩემი. ნახეთ, ხუმრობაც როგორ კარგის გზით ზნეობაში მოუ-  
ყვანია!

1479. რა გამ(ისრულდენ). თნება საქულელი არ არის, მაგრამე  
უგვანოდ თნება ურიგოა.

1473. უამბო<sup>3)</sup>. თვითანვე ისწავლება: ბატონის მორიდება ასე უნდაო.

1475. რისაცა ლამი. ბატონის ლალატობას და მუხანათობას, გასინ-  
ჯეთ, როგორ შლის! და ზოგნი, რაც კარგნი დაუწერია, ამას კი არ უგ-  
დებთ ყურსა და, რაც ვინდათ, ისე თარგმნით!

1482. ამ საქმეხა. აქ დიონოსე არიოპაგელს<sup>4)</sup> მოწმობს. დიონოსე  
იტყვის: „ღმერთს ყველა კეთილად დაუბადებიაო. მაგრამ, თუ კაცი იეს  
იქს, იმისივ ბრალიაო“. შესაველათაცა უთქვამს და თავისი სიბრძნეც გა-  
მოუჩენია: ეს წიგნიც მიკითხავსო.

1498. ტაბლახა. ტაბლაკი მცირე ნალარაა.

1559. მათდავე. სახედ რომ დაუწერია, ვარსკვლავთათვის უმზგავ-  
სებია.



აქ თავდება ვახტანგის „თარგმანი“, რომელიც მრავალმხრივ საყუ-  
რადლებო ძეგლია. მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში.



<sup>1)</sup> A გლახა; <sup>2)</sup> A ფარღული; <sup>3)</sup> A უამბო.

<sup>4)</sup> A არიოპაგელს.

კ. თოფურია

# ზოგადისჯური ვანდენსიების წინააღმდეგ მხავერდობაში

ხელოვნების და კერძოდ ფერწერის შესახებ „პრავდა“-ში მოთავსებული მთელი რაგი წერილები აუცილებელს ხდიან ქართული მხატვრული შემოქმედების გადასინჯვასა და გადაფასებას, იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც საფუძვლად დაედო „პრავდა“-ს წერილებს და შემდეგში ხელოვნების შესახებ გაშლილ დისკუსიას. ამ მხრივ ბევრი რამ შეგვიძინა. კერძოდ, ტფილისში ხელოვნების ოსტატთა კლუბში ჩატარებულმა დისკუსიამ. ამავე დისკუსიამ ცხადჰყო, რომ საჭიროა შემოქმედებითი საკითხების ამომწურავი შესწავლა ცალკე მხატვრების შემოქმედების სპეციალური, კონკრეტული ანალიზის საშუალებით. და ჩვენ გვგონია, რომ ქართველი მხატვრების ჯგუფი — ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი, დ ა ვ ი თ კ ა კ ა ბ ა ძ ე და ე ლ ე ნ ე ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი —თავიანთ მხატვრული სახის გარკვეულობით, შემოქმედებითი ნიშნულების ღირებულებით და იმ გავლენით, რომელიც მათ იქონიეს ჩვენი მხატვრების ახალ თაობაზე, ღირსია ასეთი კონკრეტული განხილვისა პირველ რიგში.

ამ მხატვრების ერთ ჯგუფში მოთავსება გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ ტერიტორიულად ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში პარიზში იმყოფებოდნენ, არამედ იმათაც, რომ ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის და ელ. ახვლედიანის შემოქმედება, შათი ინდივიდუალობის სხვადასხვაობის მიუხედავად, არის შედეგი იმ პრინციპების და მოთხოვნების გავლენისა, რომელნიც ახასიათებენ ევროპულად აღზრდილ პარიზის მხატვრულ სკოლას: 1) განსაკუთრებული ზრუნვა სურათის სრულყოფილ ფორმაზე ტექნიკის სხვადასხვა ელემენტის დაუფლების საშუალებით (პლასტიურად მიზანშეწონილი კომპოზიცია, კოლორიტის სიმდიდრე, ფაქტურის სიუხვე და ნახატის მოხაზულობის სიწმინდე) და 2) საშუალებების გამოყენება ხელოვნების ახალი ფორმის გამონახვის მიზნით, იმ ფორმისა, რომელიც შეეფერება ინდივიდუ-



აღურ ეპოქის სულისკვეთებას. რადგან ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ტენდენცია ეტყობა ამ მხატვრების შემოქმედებას, ეს მხატვრების შემოქმედებას გვაძლევს მოვითავსოთ ისინი ერთ ჯგუფში. შინაარსი

მთავარი, რაც ჩვენ ამ საკითხის გარჩევის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს, არის „პრაედა“-ს მიერ მოცემული მითითებების სწორი გაგება. ამ მითითებების „raison d'être“ კი გამოიხატება ფერწერის ფორმალისტურ ანუ მხატვრულ ფორმალისტურ და ნატურალიზმთან ბრძოლაში, არამედ მხატვრული შემოქმედების ყველა იმ ფაქტთან ბრძოლაში, რომელიც საერთოდ ხელს უშლის დიდი სოციალისტური ხელოვნების სრულყოფილ ნაწარმოებს შექმნას.

ჩვენ გვგონია, რომ შემთხვევითი მოვლენა არ იყო „პრაედა“-ში მოთავსებული ერთ-ერთი წერილის სათაური „მთხუპნელები ფერწერაში“, და ისიც, რომ წერილი უმთავრესად მიმართული იყო ტექნიკურად და მხატვრულად უმწეო ნაწარმოებების წინააღმდეგ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ ამ წერილს წინდა აღმზრდელითი ხასიათი აქვს: ხელოვნების სხვადასხვა დარგის შემოქმედებითი პრაქტიკის კრიტიკა. „პრაედას“ მიერ დაწვებული, მიზნად ისახავს ხელოვნების ამა თუ იმ მუშაკის გარდაქმნას და შემდგომ ზრდას.

რადგან, ზემოთ დასახელებული ქართველი მხატვრების შემოქმედებაში ერთნაირად საგრძნობია ფორმალისტური ტენდენციები, საჭირო ხდება, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაში ფორმალისტების რაობისა და ხასიათის გამოკვლევა და ამასთან ერთად ანალიზი იმ პირობებისა, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ფორმალისტური ელემენტების შენარჩუნება საბჭოთა ხელოვნების პრაქტიკაში.

ხელოვნების ყოველი ნაწარმოები საერთოდ და სურათი კერძოდ, არის სოციალურ-ესთეტიკური კატეგორია.

ამაირად, ხელოვნების ნაწარმოები არის ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი შინაარსით, სუბიექტით, ერთის მხრივ, და ამა თუ იმ მხატვრული საშუალებების — ფორმის შერჩევით, მეორეს მხრივ, გამობატავს თანამედროვე ეპოქის და სოციალური ფორმაციის (წრეების) მსოფლმხედველობას, აგრეთვე ამ ეპოქისა და წრეებისთვის და მახასიათებელი მხატვრული საშუალებების დაუფლებების დონეს.

ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებულ, როგორც ფორმისა და შინაარსის დამოუკიდებელი კატეგორიების სახით არსებობა. ფორმა და შინაარსი არის ორი სახე ერთი და იმავე

ნ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ი ს ა და რ ო გ ო რ ც ე მ ე ლ ე ბ ი, ერთმანეთთან ორგანიულად არიან და ერთმანეთში ირებულნი. ფორმა არის მხოლოდ მხატვრული საშუალება, ენა რომელზედაც ხელოვანი ელაპარაკება საზოგადოებას. ეს ლაპარაკი შეიძლება სწარმოებდეს ყოველგვარ საგანზე. მაგრამ რა საგანზედაც უნდა ლაპარაკობდეს ხელოვანი თავის ნაწარმოებში, იგი ყოველთვის ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას იმ მოვლენებთან და მსოფლმხედველობასთან, რომელნიც ახასიათებენ მის თანამედროვე ეპოქას. ის მხატვრული საშუალება, ენა, რომლითაც სარგებლობს შემომქმედირ ამ საგანებზე ლაპარაკის დროს, მიუხედავად ამ თუ იმ შემომქმედისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მანერის სხვადასხვაობისა და ამ ენის სპეციფიურობისა, შემოქმედებითი მეთოდის მხრივ უნდა იყოს მთლიანი, საერთო და მისი ეპოქისთვის დამახასიათებელი.

როდესაც ხელოვნების ნაწარმოებში, მის შემადგენელ და თანასწორუფლებიან ელემენტებს შორის, შინაარსსა და ფორმას შორის — ირდევთ პარამონიული კავშირი და წონასწორობა, მაგრამ ისე, რომ პრიმატი მაინც ფორმალურ ელემენტებს ეძლევა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ხელოვნების ნაწარმოები ფორმალისტურია. ფორმალისტი კი თვითონ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც იდეოლოგიური კონცეპტია, რომელსაც საფუძვლად ედება ანტიმარქსისტული, განსაკუთრებულად იდეალისტური ხასიათის მსოფლმხედველობა, და როგორც შემოქმედებითი მეთოდი, რომელსაც ახასიათებს: 1) საერთოდ შინაარსის თანასწორუფლებიანობის პრინციპის უარყოფა ხელოვნებაში, ე. ი. მეორე ხარისხიანი ელემენტად ჩათვლა იმისი, რაზედაც შემომქმედი ლაპარაკობს თავის ნაწარმოებში, 2) მტკიცება იმისი, რომ თანამედროვე ხელოვნების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მხატვრული ფორმების შეცვლით, ახალი ფორმების გამოყენებით და რომ ამ ფორმების სრულყოფაში გამოიხატება ის შინაარსი, რომელიც შეადგენს ხელოვნების ნაწარმოების თვითმთავრს და ღირებულებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფორმალისტურ ნაწარმოებში, როგორც ამას ფართოდ გაგრძელებული ყალბი და პრიმიტიული დებულება ამტკიცებს, თითქოს ფორმა, ე. ი. ტექნიკური შესრულების დონე, ყოველთვის მალაღია და „თავის ხარისხით სკარბობს შინაარსს“. ეს არ არის სწორი, რადგან ფორმალისტურა ნაწარმოები გამომხატველია მხოლოდ იმისა, რომ ის შედევია, ფორმალისტური შემოქმედებითი მეთოდისა, მაგრამ ფორმით შეიძლება იგი მაინც სუსტი იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე ფორმალისტებმა (ფუტურისტებმისა და კუბისტების სახით) ფეხი მაგრა მოიკიდეს საბჭოთა ხელოვნების ფრონტზე: პირვე-

ლი რევოლუციური პლაკატები და პირველ გამოცემათა მარქსისტული შესრულებულ იქნა მეტწილად ფორმალისტების მიერ, რაჭვინიძე იყენებ: ბურლიუკი, ლენტულოვი, კუზნეცოვი და სხვები. არც მშრომელთა მასას, არც მხატვრულ კრიტიკას, ადგილი ვასაგებია, საყოველღეო რევოლუციური ამოცანების შესრულების პროცესში დრო არ ჰქონდა გაერჩია შემოქმედებითი პრინციპები და მეთოდები იმ მხატვრებისა, რომელნიც გულწრფელად თუ შემთხვევით მიემზრნენ ოქტომბრის რევოლუციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფორმალისტ მხატვრების უმეტესი ნაწილი (პუნიჩი, ბურლიუკი, ლენტულოვი, კუზნეცოვი, კლიუნი, მალევიჩი და სხვები) თავიდანვე მიემზრო ოქტომბრის რევოლუციას და თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი დამყარების პირველ დღეებიდანვე. შემდეგში საქმე იქამდეც მივიდა, რომ სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, 1919—20 წლებში, ფორმალისტები მთავარ როლს თამაშობდნენ ხელოვნების დარგის ხელმძღვანელობის საქმეში: სუპრემატიზტებმა, კუბისტებმა და სხვებმა „ხელში ჩაგდეს“ განათლების კომისარიატის სახეითი განყოფილება, გაიჩინეს საკუთარი პრესაც — „კომუნის ხელოვნება“, „სახეითი ხელოვნება“ (განსახკომის ორგანო) და სხვ. ამ დროის ფორმალისტების საფუძველს შეადგენდა ორი დებულება: „იდეოლოგიური შინაარსის და იდეური სახეითი კომპლექსის უარყოფა ხელოვნებაში“. \*) გაზეთი „ხელოვნების კომუნა“ სწერდა: „ხელოვნების ყველა მემარცხენე ჯგუფებისთვის გაერთიანებულ პლატფორმად შეიძლება ყოფილიყო აქამდის (ფერწერაში) ეგრეთ წოდებული ფერწერითი მატერიალიზმი, — ცოტად თუ ბევრად მთლიანი პრინციპული დამოკიდებულება სურათთან, როგორც ფორმებისა და ფერების კონსტრუქტიულ სისტემასთან“ (\*\*).

ეს იყო ლოგიკური გაგრძელება ხელოვნებაში იმ ფორმალისტური ტენდენციებისა, რომლებსაც ჰადაგებდა რუსული ბურჟუაზიული ესთეტიზმის ორგანო „მირ ისკუსტვა“ მე-20 საუკუნის დასაწყისში (1908—1916).

აქ საინტერესოა აღინიშნოს ის თავისებურა იდეოლოგიური მიმართა, რომლითაც სარგებლობდნენ პუნიჩი და მისი მეგობრები, როდესაც ცდილობდნენ თავიანთი ფორმალისტური თეორიები მარქსისტულ მოსახამში გაეხეიათ. აი, მაგალითად, როგორ გამოიყენეს მათ მარქსისტული ფორმულა „ყოფა განსაზღვრავს შეგნებას“: „ხელოვნების ნაწარმოების ყოფა მის ფორმაშია, მასადაღმე, სურათში შეგნებას განსაზღვრავს არა იდეა, არამედ ფორმა“ \*)

\*) О. Бескин — „Формализм в живописи“, Москва, 1933 г.

\*\*\*) იქვე.

\*) О. Бескин — „Формализм в живописи“, Москва, 1933 г.

საქართველოს პირობებში ფორმალისტური ტენდენციების მიზეზები, ამ ტენდენციების ჩასაიფრება და გავლენა პრაქტიკაში საგრძნობლად განსხვავდებოდა რუსეთში არსებულ ანალოგიურ მომენტებისაგან. ფორმალიზმი რუსულ ხელოვნებაში საერთოდ და მხატვრობაში კერძოდ, წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო წლებში და ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული მიმართულება, რომელიც ასრულებდა რუსული ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთას, რადგან ეს ბურჟუაზია იმ ხანებში უკვე წარმოადგენდა გავლენიან კლასობრივ ძალას, რომელსაც ჰქონდა თავისი იდეოლოგია, მოქმედების გარკვეული სოციალური გეზი და ესთეტიკური მრწამსი.

საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობა იწყება უფრო გვიან, ვიდრე რუსეთში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში,\*\*) და ისიც პირველ ხანებში რუსეთის და უცხოეთის ბურჟუაზიის კაპიტალის საშუალებით. ქართული ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის ჩამოყალიბება ბევრად უფრო გვიან დაიწყო, მაგრამ მაშინაც იგი მხოლოდ ჩასახვის პერიოდში იყო და არ წარმოადგენდა ისეთ გავლენიან, კულტურულად განვითარებულ სოციალურ ფორმაციას, როგორც იყო რუსეთის ბურჟუაზია. ამიტომაც ვერ აძლევდა იგი ანგარიშს თავის თავს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „მისი“ ხელოვნება. ჩვენს ყოფილ თავად-აზნაურთა და ინტელიგენტთა ათიოდე ოჯახში ორი-სამი სურათი თუ მოიპოვებოდა, ისიც ხშირად ავეჯის მეორეხარისხოვან დამატებას წარმოადგენდა და ძალიან იშვიათად ამ სურათების პატრონთა ესთეტიკური გემოვნებისათვის დამახასიათებელ ნიმუშს. დავით სარაჯიშვილის სურათების კოლექციაც კი ძალზე აქრულებული იყო, რაც გარკვეული და განვითარებული გემოვნების უქონლობას ამჟღავნებდა: გოგო გაბაშვილის ჰაერით და სინათლით სავსე პეიზაჟებთან ერთად ნახავდით შიშვინის პეიზაჟების უმწეო და უწნო ასლებს, ანდა ბანალურად, სტანდარტულად შესრულებულ ნატურმორტებს, რომლებიც რესტორანში ჩამოსაკიდებელ ოლეოგრაფიას მოგაგონებდათ. ჩვენ მოვიყვანეთ ეს მაგალითი იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად გაურკვეველი და განუვითარებელი იყო მაშინ ქართული ეროვნული ბურჟუაზიის მხატვრული გემოვნება.

ასეთ სოციალურად უმწეო და მხატვრულად გაურკვეველ ძალას, აშკარაა, არ შეეძლო არც რაიმე დიდი სოციალური დაკვეთის მიცემა შემოქმედისთვის, არც რაიმე თვალსაჩინო გავლენის მოხდენა მასზე. ამ მერყეობისა და გამოურკვეველობის ნიმუშს, როგორც თემატიკის, ისე, მთლიანი მხატვრული სტილის გამომუშავების მხრივ, იძლევა მაშინ უკვე ჩამოყალიბებული მხატვრების გ. გაბაშვილისა და მრეველიშვილის შემოქმედება: თემატიკაში — ხან წარსულის იდეალიზაცია, ხან ძველი სო-

\*) სტალინი — „მარქიზმი და ეროვნული საკითხი“.



კიალურ-პოლიტიკური წყობილების საწინააღმდეგო პროტექტორული ლობე“), მხატვრულ სტილისტიკაში კი — რყევა მიუხედავად მისი მიზმიდან რუსეთის „პერედვიენიკებისაკენ“.

სწორედ ასეთ პირობებში მოხდა ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და ელენე ახვლედიანის სამხატვრო ასპარეზზე გამოსვლა.

ლადო გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის ამ პერიოდის სურათებში ჩვენ უკვე ვხედავთ ერთნაირ მიდრეკილებას — მიუახლოვდნენ იმ მხატვრულ ფორმებს, რომლებიც გაბატონებული იყო ევროპაში და ნაწილობრივ რუსეთშიც — ეურნალ „აპოლონის“ ირგვლივ გაერთიანებულ მხატვრულ წრეებში (იმპრესიონისტული ტენდენციები). მაგრამ ვინაიდან იმ დროს საქართველოში არ იყო სათანადო სოციალურ-პოლიტიკური პირობები ევროპაში განმტკიცებული მხატვრული ტენდენციების იდეოლოგიის შეგნებული ათვისებისათვის, ამიტომ ამ ტენდენციების გადმოტანა ჩვენი მხატვრების მიერ, საქართველოში, გამოიხატა მათი სუბიექტიური გემოვნების მიხედვით, ამა თუ იმ ევროპელ მხატვრის მანერისათვის წაბაძვაში.

ამგვარად საქართველოში ევროპის მხატვრული (უმთავრესად იმპრესიონისტული) ტენდენციების გადმოტანას მიეცა, ერთის მხრით, ქართული ეროვნული ბურჟუაზიის და ინტელიგენციის მიერ გადმოსროლილი ფორმულის გამოძახილის ხასიათი, მაგრამ ისეთი ფორმულისა, რომელიც თვითონ მოკლებული იყო ვარკვეულ სოციალურ შინაარსს, ხოლო მეორეს მხრით, — სუბიექტური, მხოლოდ ესთეტიკური წამბაძველობის ხასიათი, რამაც ამ მხატვრების პირველი პერიოდის შემოქმედებას ერთნაირი „ეპიგონური სახე“ მისცა. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ლადო გუდიაშვილის შემოქმედების პირველი პერიოდის (1913—1919) შემდეგი სურათები: „კინტოების ქეიფი ეტლით“, „კინტოების ქეიფი დუქანში“, „ფრესკები“, „კაფე ჭიმერიონში“ და სხვ. აქ ჩვენ ვხედავთ იმპრესიონისტულად მოცემულ კომპოზიციას და მოგრებილ ფიგურების ნერვიულ დინამიკას. ამ პერიოდში ლ. გუდიაშვილის იმპრესიონისტულ ტენდენციებს ახასიათებს უმთავრესად გამახვილებული სენსუალობა და სუბიექტიუზმი. გუდიაშვილის პალიტრა ამ პერიოდში იცნობს კიდევ რარი ვაველინის წყაროს: ერთი არის ძველი ქართული საეკლესიო ფრესკები, რომლებიც მან დიდი ინტერესით და ზედმიწევნით შეისწავლა და მეორე არის ქართული დიდი პრიმიტივისტის ნიკო ფიროსმანის შემოქმედება, რომლისაგანაც ლ. გუდიაშვილი სესხულობს თემატიკას, ტიპებს და ზოგიერთ ფორმალურ მხარეს. მაგალითად, სურათის „შავ მუშაბაზე“ შესრულებას. კერძოდ, სახის თვალის და თვალების ხატვის მანერა ამ პერიოდის სურათებში გუდიაშვილს ქართული ფრესკებიდან აქვს გადმოღებული. კინტოების ცხოვრებიდან აღებული სცენები, როგორც სხვადასხვა ყაიდის „ქეიფი“, და ამ სცენების მომქმედი პირების ტიპები ნ. ფიროსმანისაგან არის გადმოტანილი. იმავე სცე-

ნებისა და ტიპების გადმოცემაში ლადო გუდიაშვილი უფრო ნაწილობრივად, მისი ექსპრესიულობა სენსუალურად უფრო გამაგრილებელია, მაგრამ ხანდახან ეს გადაჭარბებული ექსპრესიულობა არღვევს სურათის მთლიანობის შთაბეჭდილებას, მაშინ, როდესაც ნ. ფიროსმანის უშუალო გრძობა და ოსტატობა ჰქმნის მთლიან და სინთეტიური რეალობით გაელენთილ სურათს. ძველი ქართული ფრესკების ფაქტურისა და ხერხების გაელენის ნიმუშს ეხედვით ამ პერიოდის პატარა ეტიუდშიც — „თამარ მეფე“-ში, მაგრამ ამ პერიოდის უველაზე ძლიერი ნიმუში, სადაც შეზავებულია ამ ელემენტების გაელენა და სადაც უკვე გამოაშკარავებულია ლ. გუდიაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ღირსებები: კომპოზიციის პრინციპის სწორი გაგება, ნახატის ხაზის მოქნილობა და პლასტიური დინამიზმი, არის: „კინტოების ქვიფი ეტლით“.

დავით კაკაბაძის პირველი ნაწარმოებები შეეკუთვნება 1913—14 წლებს, იმ დროს, როდესაც იგი ყოფილი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მოწაფე იყო. იმ ხანაში იგი ორი ფაქტორის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა: ერთის მხრივ, აკადემიური სწავლებისა, ხოლო მეორეს მხრივ, იმ მხატვრული ჯგუფებისა, რომელნიც მუშაობდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში და იცავდნენ იმპრესიონისტულ („მირ ისკუსტა“), ფუტურისტულ და კუბისტურ ტენდენციებს („ბუზნოვი ვალეტ“). მაშინ, დ. კაკაბაძეს უმთავრესად ერთი რამ იპყრობდა, სახელდობრ პლასტიკური ოსტატობის დაუფლება, ფორმის, ფერისა, და ხაზის საიდუმლოების გაგება. იგი მიემხრო იმ მხატვართა ჯგუფს, რომელთან ერთადაც იზიარებდა ერთნაირ რაციონალისტურ კონცეპციას ხელოვნების დანიშნულების შესახებ და რომლის მთავარი ფორმულა გამოიხატებოდა შემდეგში: „სურათი კეთდება, შენდება ანალოგიურად იმისა, როგორც ყოველი უტილიტარული ხასიათის საგანი, მაგრამ იმ ფორმით, რომელიც დამახასიათებელია ეპოქისთვის, როდესაც ეს სურათი იქმნება“. ამასთან ერთად ამ მხატვრულ ჯგუფს ახასიათებდა ის, რომ იგი აერთიანებდა სხვადასხვა მიმართულების მხატვრებს (იმპრესიონისტებს, რეალისტებს, ფუტურისტებს და კუბისტებს) და თავის წევრებს მხოლოდ ერთი მიზნის მიღწევას უსახავდა: რა სტილითაც უნდა შესრულდეს სურათი, მისი ფორმა სრულყოფილი უნდა იყოს.

დავით კაკაბაძეს, რომელიც ამ დროს მხატვრული ოსტატობის შეგირდობის ეტაპში იმყოფებოდა, იზიდავდა უმთავრესად ამ ჯგუფის განსაკუთრებული მზრუნველობა ფორმაზე და ინტერესი მისადმი. ამ გაელენით არის შექმნილი კაკაბაძის პირველი სურათები და მათ შორის ორი ავტობიოგრაფიკი, სადაც მხატვრის ფიგურა შესრულებულია რეალისტურად და უკვე დაეაყვაცებული ოსტატობით, ფონი კი ერთ-ერთ სურათზე — ღრუბლები — მოცემულია შეზავებული ეკლექტიზმით, სა-



იდანაც ხოდლერისებური \*) იმპრესიონისტური ტენდენციების შიშველი გამოძახილი ისმის. ამ სურათშივე მხატვარს ემჩნევა ნაციონალიზმის მენტის შეტანის ცდები, რაც გამოიხატა ერთ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში — ეგზოტიკის — ბროწეულის ყვავილების მოცემაში, ხოლო მეორე ავტობიოგრაფიულ უკანა პლანზე იმერული ოდის ჩვენებაში.

1917—19 წლებში დავით კაკაბაძის მუშაობა მიმართულია ახალი ქართული ფორმების ძიებისაკენ, და თუ ამისთვის ლ. გუდიაშვილი მიმართავს მხოლოდ ქართულ ძველ ხელოვნებას, დ. კაკაბაძე მიმართავს ქართველ ძველ ხელოვნებასაც და ქართულ თანამედროვე ცხოვრებასაც. მაგრამ დ. კაკაბაძის ძიების გზა თავისებურია, ძველ ხელოვნებაში ის ეძებს არა მარტო ფორმების თავისებურებას, არამედ თავისი ინდივიდუალობისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმით ცდილობს გაიგოს ნაციონალური ხელოვნების ძირითადი პრინციპები (ბეჟა ოპიზარის შემოქმედების გამოკვლევა \*\*) , ამას შედეგად მოჰყვა რეალისტურ პრინციპზე და ძლიერი პლასტიური გამომეტყველებით შესრულებული „დედის პორტრეტი“, „იმერული პეიზაჟი“ და იმერული „ნატურ-მორტი“.

საკვიროა შევჩერდეთ ამ სურათებზე, რადგან მათ დიდი ადგილი უკავიათ ჩვენი ქართული ფერწერის განვითარების ისტორიაში. „დედის პორტრეტი“, ერთის მხრივ, ძლიერია, როგორც უკვე ვთქვით, შესრულების ტექნიკა: მდიდარი და ოსტატურად შეხამებული ფერადების ფაქტურა, ხაზის სიწმინდე, თანაბარი ყურადღებით და სიყვარულით შესრულებული მთავარი ფიგურა, აგრეთვე მის გარშემო მოთავსებული საგნები. ამასთან ერთად აღსანიშნავია მეორე პლანზე მოცემული ბუნების, იმერული ოდის ტიპიურობა და მთავარი ფიგურის ფსიქოლოგია: ჩვენ წინ არის ღარიბი იმერული ოჯახის პატარა სახლი ფართო დამახასიათებლად სუფთა მწვანე ეზოთი, სადაც ზის და წინდას ქსოვს მოხუცი ქალი, რომლის სახეზედაც თითქოს ეკოთხელობთ ტანჯვის წარსულში და ტკბილ იმედებს მომავალში, თითქოს წინდის ქსოვილის კვანძებში ეჩვენება დედის გულისთვის სანუგეშო მომავლის სურათები... „იმერული პეიზაჟი“ იძლევა ხავერდოვანი მთა-გორაკების და მწვანე მოლით ამბიინებული ეზოების ფონზე წვრილ მეურნეობებად დაქსატულ იმერულ ყანებს, აქა-იქ დაფანტული ტრადიციული საჩაბისის მსგავსი ქოხებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პეიზაჟში დ. კაკაბაძემ შესძლო როგორც იმერული ბუნების, ისე მაშინდელი იმერეთის ეკონომიკის (პარცელარული მეურნეობის) პლასტიკური განსახიერება ბევრის მოქმელია აგრეთვე მისი იმერული „Nature-morte“-ც, რომელიც ასახავს ღარიბი იმერული ოჯახის ჩვეულებრივ ავეჯეულს: დოქი, გოგრიდან გაკეთე-

\*) ხოდლერი — ცნობილი შვეიცარელი იმპრესიონისტია.

\*\*) თურნალი „შვიდი მნათობი“, 1919 წ.

ბული „ზრია“ და ქოთანი თავისი ტიპიურობით და პლასტიკური საშუალებების გამომეტყველებით აღწევენ მხატვრული სიწარმოებულს; თითქო, ამ უბრალო შინაურ საგნებში გამოსჭვივის სიღარიბე და სიღატაკე იმ ოჯახისა, რომელიც ამ საგნებით სარგებლობს.

ელენე ახვლედიანი პირველად სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა 1918 წელს, ქართველ მხატვართა მიერ მოწყობილ პირველ გამოფენაზე. ქალური სინაზით შესრულებული პირველი მისი სურათები მოწმობდნენ, რომ მათი ავტორი ახლად იდგამდა ფეხს, როგორც მხატვარი. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგალითად, მისი „Interieur“-ი, ეტიუდი და ყვავილების „Nature morte“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი მხატვრის შემოქმედების პირველ პერიოდს ერთნაირი მხატვრული დებიუტის ხასიათი ჰქონდა, რასაც ერთსა და იმავე დროს ახასიათებდა ახალი ფორმებისა და საკუთარი სტილის ძიება, მაინც ეს მოკლე პერიოდი საკმარისია ამ მხატვართა ინდივიდუალობის დასახასიათებლად: ეს არის უაღრესად სუბიექტივისტური რომანტიკა ლადო გუდიაშვილისა, ცხოვრების რაციონალისტური შემეცნება დავით კაკაბაძისა და ყოველი წინააღმდეგობისა და გაზეიადებისაგან თავისუფალი ვაესთეტიზმურ რეალიზმი ელენე ახვლედიანისა.

1919 წელს ამ მხატვართა შემოქმედებაში იწყება მეორე პერიოდი, რომელიც გრძელდება 1927 წლამდე, ე. ი. მათი საბჭოთა საქართველოში დაბრუნებამდე.

ამნაირად, ეს სამი გარკვეული ინდივიდუალობის მქონე მხატვარი მოხვდა ერთსა და იმავე სოციალ-პოლიტიკური პირობების გავლენის ქვეშ. ეს იყო დიდი მსოფლიო ომის დამთავრების მომყოლი წლები, როდესაც ევროპა განიცდიდა კაპიტალისტური წარმოების დროებით სტაბილიზაციას. სახეივანი ხელოვნების შემოქმედებითს პრაქტიკას, შემეცნებით კლასის აჭრელებულ გემოვნებასთან დაკავშირებით, ახასიათებდა სტილისა და მიმართულების სიმრავლე და ის გარემოება, რომ ეს მიმართულებანი ერთი მეორეს კი არ სცვლიდნენ, არამედ ერთმანეთთან თანაბრდნენ: ურთხა და იმავე დროს გასაყალი ჰქონდა იმპრესიონიზმს, კუბიზმს, სუბრემატიზმს, დადაიზმს და ნეოკლასიციზმს. ამ მრავალსახიანი შემოქმედებით გაცხოველებულ ატმოსფეროში, ამ სხვადასხვა მიმართულების ნებითი თუ უნებლიეთი გავლენის ქვეშ მოუხდათ მუშაობა ამ ჩვენ სამ მხატვარს. გარდა ამისა, ლ. გუდიაშვილი და ელ. ახვლედიანი რამდენიმე თვის განმავლობაში პრაქტიკულად მეცადინეობდნენ Julien-ისა და „La grande chandiere“-ის კერძო სამხატვრო აკადემიებში.

ლადო გუდიაშვილის პარიზული პერიოდის შემოქმედებას ახასიათებს ნიკო ფიროსმანისა და ქართული ფრესკების გავლენისაგან თანდათან განთავისუფლების ტენდენცია და ფერწერისა და ნახატის ტექნიკის და-





უფლებით საკუთარი მხატვრული სტილის გამომუშავების ცდები. იმავე დროს იგი ეძებს ხელოვნების ახალ ფორმას, სადაც განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქის სულისკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ იგი თო დიპაზონის თემატიკით სარგებლობს, ამ უკანასკნელს მაინც ზოგადი ხასიათი აქვს, იგი კონკრეტული სილამაზის ნაცვლად, ზოგადი სუბიექტების საშუალებით ეძებს სილამაზის აბსტრაქტულ სახეებს. ამიტომია, რომ მისი სურათების მნიშვნელოვანი ნაწილის თემებად აღებულია სუბიექტური ფანტაზიით შექმნილი სცენები, სადაც არ არის მოცემული ისტორიულად ან სოციალურად გარკვეული ატმოსფერო, მაგალითად, ისეთ სურათებში, როგორც არის „ბალში ნადირობა“, „სამი თავი“, „ტყუპი ძმები“ და „ცდუნება“, ვერ იტყვი, რომელ ისტორიულ ხანაში და სოციალურ წრეში იშლება ეს სცენები: მართალია, სურათში გამოყვანილ ფიგურებს აქვთ ეთნიურად გარკვეული ქართული ტიპი, ტანისა-მოსის ზოგიერთი დეტალიც ქართულია, მაგრამ ნაჩვენებ ამბავს ვერ მიაკუთვნებთ ვერც დღევანდელ სინამდვილეს, ვერც წარსულს, იქნებ უფრო უცნაურ სიზმარს მიამსგავსოთ. ამ პერიოდში ჩვენ ვხვდებით რამდენიმე რეალისტურ სურათსაც, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო საინტერესოა „პეიზაჟი“, სადაც მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს ბუნების პოეზია.

პარიზის პერიოდში ლ. გუდიაშვილის ტექნიკური ოსტატობაც მომწიფდა; ძველს, მისთვის დამახასიათებელ თვისებებს მიემატა: უფრო ღია და მდიდარი კოლორიტი, უხვი ფაქტურა. განვითარდა მისი გრაფიკული ნიჭიც, მისი ნახატი უფრო ფაქიზი გახდა, მაგრამ ამავე დროს უფრო ძლიერი, და აქ ხაზი ისე აქვს უკვე დაუფლებული, რომ გგონიათ, თითქმის გრაფიკაში უფრო მეტად მოსჩანდეს მისი მხატვრული სახე. ამ პერიოდში მან შექმნა მალალი ოსტატობით შესრულებული ნახატების მთელი სერია: „ქართული ცეკვა“, „მარჩიელი“, „ქალები და შველი“, „მობანავე ქალები“, „ალერსი“ და სხვა. განვითარების უმაღლეს წერტილამდის აღწევს ლ. გუდიაშვილის კომპოზიციის უნარი, ასე რომ ამ პერიოდის მრავალ სურათში ფიგურებისა და საგნების დალაგება, სურათის ცენტრალური ადგილის და მისი დანაწილნი ნაწილების კავშირი ისეთი პარმონიით და ოსტატობით არის მოცემული, რომ ამ მხრივ ლ. გუდიაშვილი თითქმის უახლოვდება რენესანსის დიდ ოსტატებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საგრძნობლად იზრდება ფრანგულ ფორმალისტურ მიმართულებათა გავლენა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაზე, რაც გამოიხატება ვიწრო პლასტიკური ამოცანების გადაჭრის დროს სურათში ფიგურებისა და საგნების დეფორმაციით: მაგალითად, ადამიანის სახეების არა ბუნებრივი გაგრძელება, უყურო თავებისა და ფიგურებისთვის ანატომიასთან შეუფარდებელი პოზების მოციმა. მიუხედავად ამისა, ლ. გუდიაშვილი ყველა თემას გვიამბობს ისეთი მოხდენილი მხა-

ტვრული ენით (რასაც ზოგჯერ ამხინჯებს პარიზის სკოლის ფორმალისტური აქცენტი) რომელიც ვასაგებია ფრანგული მხატვრობისა და საზოგადოებისთვის და დაფასებულია მათ მიერ, რომელიც გამოვლენებით და ორიგინალობით მდიდარი ოსტატის ენა. ამ მხატვრულად მდიდარი ენის საშუალებით, ლ. გუდიაშვილმა მრავალჯერ ტრიუმფით გაატარა მისთვის ძვირფასი მოქეიფე კინტოებისა და ხავერდთვალა ქართველი ქალების სილუეტები „Grand Palais“-ის, „Gallerie de la Lucorne“-ის და „Gallerie Billiet“-ის სავამოფენო დარბაზებში და ზოგიერთ მის სურათს თვით იგნაციო ზულოაგას, ცნობილ ესპანელი მხატვრის კოლექციაში მოთავსების ბედიც კი ხვდა.

დავით კაკაბაძის პარიზის პერიოდის შემოქმედებას ახასიათებს ევროპის თანამედროვე ცხოვრებასთან დაკავშირებული ახალი მხატვრული ფორმების ძიება. თავის მუშაობაში იგი არ განისაზღვრება მხოლოდ შემოქმედებით ან ცხოვრების ინტელექტური შემეცნებით, ის ცდილობს შეისწავლოს სხვადასხვა სახის ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დააგროვა ევროპამ. დ. კაკაბაძე სპეციალურად მუშაობს ისტორიის, გეოგრაფიის, ეტნოგრაფიის, ეკონომიკისა და არქეოლოგიის დარგში. იგი დიდი ინტერესით ეცნობა მე-20 საუკუნის მილწეებს ელექტროს, ავიაციის, რადიოს და კინემატოგრაფიის დარგში. ამრიგად დაგროვებულ ყველა ფაქტში კაკაბაძე ეძებს მთავარ პრინციპებს, რომლებზედაც აშენდა კაცობრიობის ძველი კულტურა და იმ მამოძრავებელ ძალებს, რომელიც ამოქმედებენ თანამედროვე ეპოქის ადამიანს. ასეთი შემეცნების საფუძველზე იგი ეძებს დღევანდელი ხელოვნების ფორმას, რიტმს და სტილს. ამ ახალი ფორმების ძიების პროცესში არც დ. კაკაბაძე მიემხრო საბოლოოდ რომელიმე არსებულ მხატვრულ მიმართულებას ან სკოლას, მაგრამ არა იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ლ. გუდიაშვილი ხელმძღვანელობდა, არამედ იმიტომ, რომ, მისი აზრით, ვერც ერთი სკოლის ფორმები ვერ ამოსწურავენ საცხებით დღევანდელი ცხოვრების შინაარსს. მაგრამ ეს დასკვნა მარტო დ. კაკაბაძის მიერ ამა თუ იმ სკოლის ნიმუშების ზოგადი დაკვირვების შედეგი როდია, ეს არის შედეგი მისი პირადი შემოქმედებითი გამოცდილებისაც, როდესაც იგი თითონ მიმართავდა ხან რეალიზმს, ხან კუბიზმს და ხან დადაიზმს. დ. კაკაბაძის ამ პერიოდის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რეალისტურად შესრულებული ორი სურათი: მხედველობაში გვაქვს „წურბლების გამყიდველი იმერეთში“ და „მანანების გამყიდველი ქალი პარიზში“. ამ სურათებში არაერთგვაროვანი ექსტრავაგანტობა არ არის, ისინი შესრულებულია თითქმის აკადემიური მანერით, რომელიც იმავე დროს გამთბარია დიდი გრძნობით. პირველ სურათზე მოცემულია ლარიბი იმერელი გლეხი, რომელსაც შემოდგომის დღეს გამოუტანია ბაზარზე გასასყიდად წურბელები, მის უკან მოსჩანს ლარიბი იმერული ქოხები და



ფოთლებდაცვენილი ხეები. ეს გლები იმდენად ლატაკია, რომ მას, სოფლის მეურნეობაში დამუშავებული პროდუქტების ნაცვლად, მანუაზს მხოლოდ წურბელები გამოუტანია. აი ეს არის ძველი დროის იმერული გლებობის მძიმე სოციალური ყოფის თამამი განსახიერება ხელოვნებაში. მეორე სურათზე მოცემულია ბანანების გამყიდველი პარიზელი ქალი. მის წინ დგას ფრანგი მუშა, რომელიც მისგან ნაყიდ ბანანს ფცქენის და სკამს; მაგრამ ერთ-რამეს მაშინვე შეამჩნევს მაყურებელი: ქალის სახეზე არ არის ჩვეულებრივი ყალბი „ვაჭრის ღიმილი“, რის საშუალებითაც საერთოდ ცდილობენ მუშტრის მოტყუებას და მისთვის თავისი საჭონლის ძვირად შეჩვენებას. მუშასაც არ ეტყობა მუშტრის ჩვეულებრივი უნდობლობა და მეგობრულად შესცქერის ქალს. გრძნობთ, რომ ისინი ერთმანეთში ხედავენ არა ვაჭარს და მუშტარს, არამედ ერთისა და იმავე ოჯახის. პროლეტარიატის — შეილებს. ეს ორი სურათი უდაოდ სოციალური შინაარსის ბრწყინვალე ჩამოყალიბებაა მაღალ პლასტიურ ფორმებში.

ამის შემდეგ, დაახლოებით 1924 წელს, დ. კაკაბაძის შემოქმედებაში მოხდა ერთნაირი გარდატეხა. იგი იძლევა სურათების მთელ სერიას, რომელიც შესრულებულია კუბისტური და დადაისტური სტილით. ეს არას ყოველგვარ კონკრეტულ შინაარსს და სათაურსაც მოკლებული სურათები და წარმოადგენენ მხოლოდ ვიწრო პლასტიური ამოცანების გადაჭრის ცდებს, როგორც არის, მაგალითად: სიღრმის, რელიეფის პრობლემა. სურათის საგნობრივი აგების პრინციპი და სხვა. ეს ცდები აინტერესებდა დ. კაკაბაძეს მხოლოდ, როგორც ტექნიკური ხასიათის ვარჯიშობა, რომელიც მიზნად ფორმის სრულ დაუფლებას ისახავდა.

ელენე ახვლედიანის პარიზის პერიოდის შემოქმედების პირველს წყაროს წარმოადგენს, მუზეუმებში მოთავსებული მხატვრული სიმდიდრის შესწავლა (პარიზში ჩასვლამდის მან დაათვალიერა მუზეუმები რომსა, ვენეციასა და მილანოში). შემდეგ კი უკანასკნელი მიმართულებების ფრანგული მხატვრობის უახლოესი გაცნობა. ამ შთაბეჭდილებებით დაგროვილი მასალის საფუძველზე დაიწყო ელ. ახვლედიანმა ინდივიდუალური მუშაობა კერძო სამხატვრო აკადემიაში და შემდეგ ატელიეში საკუთარი შემოქმედებითი სტილის გამოსავლენად. ამ შემოქმედებითი პრაქტიკის პირველი შედეგები იყო სტილიზებული ეტიუდები, მაგრამ ეს ეტიუდები წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა იყო დიდი სურათების შესასრულებლად. პირველი დიდი სურათი მან უძღვნა ძველ ტფილისს. ამ სურათით, რომელიც გამოფენილ იქნა დამოუკიდებელთა სალონში 1924 წელს, მან მხატვრული წრეების ყურადღება მიიქცია კოლორიტის სიმდიდრით და ფაქიზი გრძნობით. ეს სურათი ცნობილმა მხატვარმა სინიაკმა შეიძინა. ელ. ახვლედიანს აინტერესებს აგრეთვე პარიზის პეიზაჟის

სუფეტები. ამ სურათებისთვის ის არჩევს პარიზის უილერსადაქმუნდელურ კუთხეებს: ხან მუშათა უბანს, საფაბრიკო-საქარხნო რაიონებს, ხან ქუჩას პროვინციული დუქნებით. ამ სურათებში დამახასიათებელია არჩეული კუთხის ერთნაირი პოეტური გადმოცემა და სიციცხლის უხვი გრძობა. არც ერთი ქართველი მხატვრის ნაწარმოებში ისე უხვად არა გრძობთ სიციცხლის ძარღვს, როგორც ელ. ახვლედიანის სურათებში. ამასთან რაც უნდა უწოდო და უფერულიც იყოს სურათის სუფეტი, ელ. ახვლედიანს არ შეუძლია შემარიგებელი ესტეტიურობით არ გამოაცოცხლოს იგი და არ გვიჩვენოს მასში ჩამალული სილამაზე. ამას ემატება, როგორც უკვე ვსთქვით, ფერადების მდიდარი სიმფონია, — ეს ის ელემენტია, რომელიც სქარბობს ელ. ახვლედიანის ამ პერიოდის შემოქმედებაში. ამ მხრივ, ყველაზე ძლიერია საქართველოს სამხატვრო გალერეაში მოთავსებული: „ვახაფხული პარიზში“, „მემწიწნილის დუქანი“ და „ქარხნების რაიონი“.

პირველ ხანებში, დაახლოებით 1926 წლიდან 1932 წლამდის, ლ. გუდიაშვილი განაგრძობს თავის ფორმალისტურ ცდებს: ეს არის მისთვის დამახასიათებელი, ირანული მიზნატურისა და ქართული ფრესკების სტილიზებული მანერით და ზოგად თემატიკაზე შესრულებული სურათები და ნახატები. ლ. გუდიაშვილი თანდათანობით იგნებს, რომ ამ ხასიათის შემოქმედებას არა აქვს ორგანული კავშირი დღევანდელ ქართულ სინამდვილესთან, და იწყებს გაუბედავ ცდებს ახალი მხატვრული ფორმის გამოსანახავად. შემდეგში კი იწყება, მართალია, თანდათან, მაგრამ მაინც გარკვევით და შეგნებულად ფორმალისტური პოზიციებიდან დახვეის პროცესი, რაც გამოიხატება საბჭოთა აქტუალური თემატიკის გამოყენებაში და რეალისტურ ფორმებთან დაახლოებაში. ამ უკანასკნელი ტენდენციების აშკარა გამოხატველია სურათი „მუშაობა ანდუზიტზე“, შემდეგ ტფილისის სადგურის დარბაზში შესრულებული ფრესკოები და მთელი რიგი გრაფიკული ნაწარმოებები, საკოლმეურნეო ცხოვრებასადმი მიძღვნილი.

ერთად-ერთი ძველი მოტივი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოუშორებია ლ. გუდიაშვილს, არის ძველი ტფილისის კინტოების ცხოვრება. ვფიქრობთ, რომ ეს, ერთის მხრივ, აიხსნება მისი გამოუწილებელი ძველი ტვირთით — ხანდახან მაინც წარსულის დაზვერვა საინტერესო, თემების მოსანახავად, ხოლო მეორეს მხრივ, ლ. გუდიაშვილის წარმოდგენით, რომ ტფილისის წვრილი ბურჟუაზიის და ლუმპენ-პროლეტარიატის მიჯნაზე მყოფი სოციალური ჯგუფის — კინტოების — პოეზია, რომელსაც მეტწილად ასულდგმულება ერთნაირი პროტესტის სული მაშინდელი ცხოვრების წინააღმდეგ, აუცილებლად სიმპატიურ გამოძახილს მოიპოვებს გამარჯვებული პროლეტარიატის გულში. ასეთი ფორმალისტურ რეციდივების მიუხედავად, ლ. გუდიაშვილის შემოქმედებას უკვე ეტყობა ერთ-



ნაირი გარდატეხა და ლტოლვა დღევანდელ ცხოვრებასთან, მხატვრული ფორმულის მოპოვებისაკენ.

დ. კაკაბაძე, საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლისთანავე დიდი ყურადღებით უყვარდება იმ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოს საშუალო ცხოვრებასა და ქართულ საზოგადოებრივობის შეგნებაში მოხდა. მემარცხენე ფრონტის ე. წ. „ლეფის“ ესტეტიკური კონცეპცია და შემოქმედებითა პრაქტიკა მას თითქოს ხელს უწყობდა გაეგრძელებინა დადასტურე „ეკსერსისები“, რომელნიც ახასიათებდნენ მისი პარიზის უკანასკნელი წლების შემოქმედებას, მაგრამ, შიუხედავად ამისა, იგი ამ გზაზე მაინც არ დგება. ეს იმიტომ, რომ ცხოვრების თითქოს „მეტნიერული“ დაკვირვებით, რომელიც მას თანამედროვე სინამდვილის გაგებას უადვილებს, იგი გრძნობს, რომ „ლეფი“-ს ფორმალისტური ტენდენციები არ შეეფერება ახალი სოციალისტური საზოგადოების სულსკვეთებას, რომ სხვა პირობებიდან გამომდინარე „მხა-მხარეული“ ფორმები ვერ იკავებს ახალი ცხოვრების ესთეტიკას, რომელიც თვითონ მხოლოდ ფორმაციის პროცესში იყო.

ამ პერიოდში დ. კაკაბაძის შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ სათეატრო-დეკორატიულ ფრონტზე. მის მიერ მარჯანიშვილის თეატრისთვის შესრულებული დეკორაციების ესკიზები: „ჰაჰალა ჩვენ ვცოცხლობთ“, „ნინოშვილის გურია“ და სხვა მოწმობს, რომ დ. კაკაბაძე დიდი სიფრთხილით სტოვებს ფორმალისმის ჩახლართულ ბილიკებს. ის ბრძოლა, რომელიც საბჭოთა მხატვრული იდეოლოგიის და შემოქმედების ფრონტზე სწარმოებს სოციალისტური რეალიზმის განმტკიცებისთვის, უფრო უადვილებენ დ. კაკაბაძეს ამ ბილიკების დატოვებას და ახალ გზაზე გადასვლას.

ამის პირველი ნიშნები ვნახეთ ქართველ მხატვართა კავშირის მიერ 1934 წელს მოწყობილ გამოფენაზე, სადაც დ. კაკაბაძემ ვეჩვენა სამსურათი რიონჰესის თემაზე: ეს უკვე რეალისტურად შესრულებული სურათებია. აქ იგი პირველად გამოეხმაურა სოციალისტური მშენებლობის პროცესს, რომელიც ასე ფართოდ გაიშალა საქართველოში. ეს არის დ. კაკაბაძის პირველი მორცხვი პლასტიური სონეტი სოციალისტური მშენებლობისადმი მიძღვნილი. ამ სურათებში საინტერესოა მწვანე ხავერდოვანი იმერული, პეიზაჟისა და გიგანტური ელსადგურის ძლევაშოსილი კონსტრუქციის შერიგება, თითქოს ერთი აუცილებელი დამატება იყოს მეორისა. ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ნაკლი, რომელიც ამ სურათებს აქვს: ეს არის კოლორიტის ერთნაირი სიმშრალე და თვით სოციალიზმის მშენებელთა—ადამიანთა—დაეიწყება. არ ვფიქრობთ, რომ ეს სურათები დ. კაკაბაძის საბოლოო გარდატეხის ნიშანი იყოს, მაგრამ ეს მაინც ახალი გზის ძიების სიმპტომია და თუ ამასთან გავიხსენებთ, რომ მას წარსულში კიდევ „მეწურბლე“ და „ბანანების გამყიდველი“ ჰქონდა

ვიმედოვნებთ, რომ ეს ახალი გზა კაკაბაძეს მიიყვანს იმ ხელოვნებასთან, რომელიც ჩვენ დიდ სოციალისტურ ეპოქას ესაჭიროება.

ელენე ახვლედიანის შემოქმედების ევოლუცია და მისი თანამედროვე ცხოვრებასთან დაახლოვება, მოხდა უფრო სწრაფად და უფრო იოლად. მას არ აწუხებდა, როგორც დ. კაკაბაძეს, ცხოვრების რაციონალისტური ანალიზი, მას არ ბოკავდა, როგორც ლ. გუდიაშვილს, ძველი კართული ფრესკების კანონები და ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ჯადოსნური ძალა. ელ. ახვლედიანი ცხოვრებას უდგება უშუალოდ და თავის შემოქმედებაში მასალად იყენებს ყველაფერს, რაც ყველასათვის უდაოდ ახლობელი და ლამაზია. განა ქართული ბუნების სილამაზე სადავია? განა ეს სილამაზე საბჭოთა საქართველოს შვილისთვის ისეთსავე ძვირფას საუნჯეს არ წარმოადგენს, როგორსაც ის მუშაობა და მშენებლობა, რომელიც ამ ბუნების კალთებზე სწარმოებს? განა ის ქალაქები, სოფლები და წამოწყებები, სადაც მუშაობს, ხარობს საბჭოთა საქართველოს მოქალაქე საინტერესო შემოქმედებითი მასალა არ არის? ელ. ახვლედიანის მხატვრული შინაგონობა ყველა ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა და ამიტომაც იწყებს იგი საქართველოს ბუნების საუკეთესო კუთხეების ასახვას: ბორჯომის ხეობას, აბასთუმნის მიდამოებს, კახეთის მთა-მინდვრებს და აჭარის ზურმუხტოვან ნაპირებს. პეიზაჟი ელ. ახვლედიანისთვის უძვირფასესი ეანრია, აქ მისთვის მონათესავე სტიქიონში თავისუფლად იშლება სიცოცხლის სიყვარული და ფერადოვანი კოლორიტის შექმნის უნარი. მისი პეიზაჟების ბუნება გამოკოცხლებულია ყოველთვის ადამიანის ჩვენებით, და ეს ორი ელემენტი—ბუნება და ადამიანი დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი გრძნობით, სცხოვრობს ერთი ცხოვრებით. ამ მხრივ დამახასიათებელია ისეთი სურათები, როგორიც არის „წვიმის შემდეგ“, „მიტინგზე მიდიან“, „აბასთუმანი“, „ზამთარი“ და სხვა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სურათი „მიტინგზე მიდიან“, სადაც ნაჩვენებია ტფილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალი მუშათა დემონსტრაცია: გრძნობთ, რომ ეს არის გამარჯვებული და ხალისით აღსავსე პროლეტარიატის სვლა და ამ მუშებთან ერთად თითქოს ყველაფერი ხარობდეს: ქუჩა, სახლები, ხეები, წითელი დროშების ფრიალიც კი მძლავრი წითელი ფრინველის ვეებურთელა ფრთების მზიარულ გაშლას მოგაგონებთ. საინტერესოა აგრეთვე ელ. ახვლედიანის ამ უკანასკნელი წლების გრაფიკის ნიმუშები, რომლებიც მეტწილად სახელგამის გამოცემებისთვის იყო შესრულებული („ტომ სოიერი“, „ადამიანი, რომელიც იცინას“—პიტეგორა, „ქალ-პეპელა“ და სხვ.); ამ ილიუსტრაციებში დიდი ევოლუცია უტოვბა ნაბატს, რომელიც უფრო რადიკალიზებულია წარსულთან შედარებით. მაგრამ აქ ელ. ახვლედიანი ჯერ კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე ფერწერაში.

ახალი ცხოვრების მდიდარი, არაჩვეულებრივი შინაარსი, სხვებთან ერთად, ამ მხატვრების გონებასა და შემოქმედებას იპყრობს. ეს განსაკუთ-



რებული ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც პარტეზი და ხელის-  
უფლება იჩენს ხელოვნების მიმართ, ამ მხატვრების ახალმა ცნობიერებამ  
დღი ღრმა ინტერესი და სიყვარული და, ბოლოს, ის ოსტატობა და შემო-  
ქმედებითი პოტენცია, რომელიც ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს  
და ელენე ახვლედიანს აქვთ, ხელს შეუწყობს ამ მხატვრებს საბოლოოდ  
დასძლიონ წარსული ფორმალისტური ტენდენციები და გამოვიდნენ სო-  
ციალისტური ხელოვნების ფართო გზაზე.



პროფ. ი. აბულაძე

## ძველი ღიზეჩაგუჩის ძეგლი

ამ რამოდენიმე ხნის წინად პროფ. კ. ო. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით გამოვიდა ძველი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლი „შვიდი მთიები“ („ბარამ გური“). ვრცელ შესავალში ავტორი ეხება ეპიურ-რომანტიული რაინდული მიმართულების საგმირო სამიჯნურო პოეზიით ვატაცემას ქართულ საერო მწერლობაში და სრულად მართებულად შენიშნავს:

„ხსენებულე დარგის განსაკუთრებული პოპულარობა ქართულ მწერლობაში აიხსნება იმით, რომ ძველი ქართული პოეზია ვაბატონებული კლასის ანუ ფეოდალური არისტოკრატის მონოპოლიას შეადგენდა. აქედან ცხადია „გენეზისი და ბუნება“ მგვარი რაინდული მიმართულების წიგნისა, როგორც არის „ბარამ გურის“ თავგადასავალი, რომლის შინაარსიც განსაკუთრებით მოსაწონი იყო რაინდული სულით გამსჭვალული და ბატონობასა და ფუფუნებაში მყოფი ფეოდალური არისტოკრატისათვის, რომლის განკარგულებაში იყო სხვისი შრომა და ამ შრომით დაგროვილი დოვლათი და რომელიც ამიტომ უზრუნველად და განცხრობით ცხოვრობდა“.

შემდეგ პროფ. კეკელიძე ეხება თვით ძველის შინაარსსა და ინტერესს და იძლევა მის მოკლე ლიტერატურულ მიმოხილვას, საიდანაც სჩანს, რომ ბარამ გურის სამიჯნურო თავგადასავალს, როგორც სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ეპიურ-რომანტიულ ნიმუშს, დიდი პოპულარობა მოუპოვებია მთელს აღმოსავლურ ლიტერატურაში. და დიდი ინტერესი აღუძრავს აგრეთვე ევროპის ახალ ლიტერატურაში. ამასთანავე იგი ეხება აღორძინების ხანის დასაწყისის საკითხს და ფიჭობს, რომ აღორძინების ხანის დასაწყისი მე-16 საუკუნით არ უნდა იწყებოდეს, იგი ცოტათი უკან უნდა იქნას გადაწეული, მაგრამ ის მოსაზრება, რომ სეფევიდების ირანულ მწერლობას არ შეეძლო ხელი შეეწყო ქართული მწერლობის აღორძინებისათვის, ძნელი გასამართლებელია, ვინაიდან თვით ქართული ლიტერატურის აღორძინების ხანის პირველი ნიმუშები, რომლებიც



სახეში აქვს პროფ. კეკელიძეს, კლასიკურ ეპოქასთან შედარებით. ლეკ-რადაციისა და დეკადანსის ხასიათს ატარებენ. ამ შემთხვევაში, ე. ი. ალორძინების, ხანის დასაწყისის გარკვევის დროს, პროფ. კეკელიძე განსწავლეთ ემზრობა დოქ. ალ. ბარამიძის აზრს „შაჰ-ნამეს“ ერთი ნაწილის პროზაულად დამშუშავებლის კედელატურის შესახებ. ეს უკანასკნელი ა. ბარამიძეს ალორძინების ხანის I-ელ მერცხლად ჰყავს გამოცხადებული. ამის მიხედვით პროფ. კეკელიძესაც ალორძინების ხანის დასაწყისი მე-16 საუკ. მეორე ნახევარში გადააქვს და ამას ხანის ეკონომიური მდგომარეობის განვითარებით. ამასთან ერთად დასველეთ ევროპის სახელმწიფოებთან მისვლა-მოსვლისა და დაახლოების ზეგავლენით XV საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დაახლოებისა და კავშირის მიზეზია ჯვაროსნული ომი თურქთა წინააღმდეგ კონსტანტინეპოლისა და მცირე აზიის განსათავისუფლებლად, რომლის დროსაც ქართველებმა ძალაუფლებურად შეითვისეს ჰუმანიზმის მიღწევები. რადგან მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეტადრე თურქთა მიერ ტრაპეზონის იმპერიის დაპყრობიდან (1461 წელს), საქართველო მოექცა თურქეთის გავლენის უშუალო ზონაში. მე-15 საუკუნის დასასრულიდან და მე-16 საუკუნის დასაწყისიდან თურქულ ლიტერატურასაც დიდი ზეგავლენა უნდა მოეხდინოს ქართული მწერლობის ალორძინებაზე, მაგრამ ყველაზე მეტი გავლენა თვით მე-15 საუკუნის მეორე ნახევრის ირანულ ლიტერატურას ჰქონდა. ამ დროს თემურ ლენგის შემოვიდრებების აბუსაიდის (1452 — 1469) და ჰუსეინ ბეიქარას (1469 — 1506) მფარველობით დაიარსდა ე. წ. ჰერატის სკოლა, რომლის ხელმძღვანელებსაც იყვნენ აბდურ რაჰმან ჯამი (+ 1492) და მირალი შირ-ნავაი (+ 1501). ეს სკოლა ემსახურებოდა ირანული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს და იყო როგორც ირანულის ისე, საერთოდ, მთელი შამადიანურ-აღმოსავლური ლიტერატურის ტონისა და მიმართულების მიმცემი. კ. კეკელიძის სამართლიანი აზრით, ამ ლიტერატურული მოძრაობის ჰველი უნდა შემოჭრილიყო ჩვენშიაც იმავეითვე ე. ი. მე-15 საუკუნის მეორე ნახევარშივე.

ამ ჰველის შემოჭრის შედეგად მოაჩნია პროფ. კ. კეკელიძეს მე-16 საუკუნის I-ელ ნახევარში თარგმნილი „იოსებ ზილიზანიანი“, რომელიც უნდა იყოს დასახელებული ჯამის „იუსუფ ოზულენიხას“ თარგმანი, ხოლო მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში „ბაჰრამ გურის“ (თუ „ბარამიანის“) ქართველი რედაქტორი ჯამისა და „შირ-ნავაის“ ლიტერატურული შემოქმედების ერთგვარ შეფასებასაც კი ახდენსო.

ირანული ლიტერატურის გავლენის შემოჭრას ჩვენში კიდევ უფრო შეუწყო ხელი მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფამ. ასეთი დანაწილება-დაქვეყნება პოლიტიკურად დამლუპაველი იყო, მაგრამ ამავე გარემოებამ ხელი შეუწოდა „მნათობი“ № 10 — 11.



ყო მდიდარი ფეოდალური მწერლობის წარმოშობას, და, რა თქმა უნდა, ამ დროის ქართული მწერლობა, მსგავსად ამავე დროის აღმოსავლურ ირანულ და თურქული — მწერლობისა, უმეტესად საკანონმდებლო გან იგი მეფეთა და დიდებულთა სასახლეში აფარებდა თავს: კახეთში პოეზიის სათავეში დგანან მეფე თეიმურაზ პირველი და ქაიხოსრო ომანის-ძე ჩოლოყაშვილი, ქართლში მარიამ დედოფლის კარზე — ნოდარ ციციშვილი და ფეშანგი ფაშვი ბერტყაძე, იმერეთში — ალექსანდრე მეფისა და ნესტან-დარეჯნის მეხოტბე, კახეთიდან გააქვებული თეიმურაზ, სამეგრელოში და ოდიშში ლევან დადიანის კარზე მოღვაწეობენ შეფის მღვდანი მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიშ ვაჩნაძე.

ამნაირად, კ. კეკელიძის აზრით, ქართული მწერლობის აღორძინება ისახება მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, ფაქტად იქცევა მე-16 საუკუნეში, ფეხს იმაგრებს მე-17 საუკუნეში და მწიფდება მე-18 საუკუნეში.

მე-4 წ-ში პროფ. კეკელიძე ებება ბარამ გურის სამიჯნურო თავგადმსავლის სხვადასხვა ირანულ მწერლის მიერ ვალექსის შემთხვევებს, რომლებსაც იხსენიებს თავის შრომის შესავალში ჩვენი ძეგლის ავტორი ნოდარ ციციშვილი; მოჰყავს თითქმის მთელი ლიტერატურა ძეგლის შესავალში მოთავსებული ცნობის შესამოწმებლად იმის შესახებ, რომ „ესე ამბავი... კელაჯ ჯამის უთქვამს სპარსულად მუნვე ჭკუითა ბრძენითა-ო, — ამბობს, რომ „არაფერი ბარამ გურისებური ჯამის არ დაუწერია-ო, და დაასკვნის, რომ ჯამის სახელს ქვეშ აქ ამოფარებული უნდა იყოს მისი დის შვილი ჰათიფი (+1521), რომელიც ჯამის გავლენის ქვეშ იყოფებოდა; ალბათ, სპარსეთშივე ყოფილა გავრცელებული ცნობა ბარამ გურის ჯამის მიერ ვალექსის შესახებ, რაც ჩვენს ავტორს გაუფონია და გაუმეორებია“-ო.

ამის შემდეგ პროფ. კეკელიძე სვამს კითხვას, თუ რა დამოკიდებულებაში იყოფებოდა ნოდარი ამ 4 მელექსესთან.

ადარებს რა ნოდარის ქართულ ვერსიას ნიზამისა და მის მიმბაძველების ნაშრომებს, როგორცაა: ხოსრო დალევის, ნავაის, და ჯამის სახელს ქვეშ ამოფარებული ჰათიფის, იმ ევროპული თარგმანების საშუალებით, რომლებიც მას ხელთ ჰქონია, კ. კეკელიძე აკეთებს შემდეგ დასკვნას: ნიზამის „ჰაფთ-ფაიქარი“ არ შეიძლება ჩაითვალოს ნოდარ ციციშვილის დედნად, რადგან:

1. შესავალი სხვადასხვა ნაირია: ნიზამის პოემას აქვს გრძელი შესავალი (522 მრჩობლელი მესნევით), შედგება ღმერთისადმი მიმართვის, მოციქულისა და მაჰმადის ქების, პოემის დაწერის მიზეზის და მეფის ალ-უდინის ხოტბისაგან, ნოდარს კი ამის მსგავსი არაფერი აქვსო.

2. ნიზამის შედარებით ვრცლად აქვს გადმოცემული ბარამის ისტორია: 984 მრჩობლელი ან 43% აქვს დათმობილი, ნოდარს კი მხოლოდ 372



სტროფი ან 20%. სამაგიეროდ სიმძიმის ცენტრად ციციშვილს გაუხდია 7 ზღაპარი ან ნოველა, რასაც პოემაში უჭირავს 1497 სტროფი, ანუ 33%, ნიზამის კი — 684 მრჩობლელი ანუ 33%.

3. მოთხრობის თანრიგიც სხვადასხვაა: ბარამის დაუდევრობით გამოწვეული ქვეყნის გასაჭირი, ხაყან ჩინელის შემოსევა, ზარის აყვანა კიბეზე ბარამის თანდასწრებით ნიზამის მოთხრობილი აქვს ნოველებამდე, ნოდარს კი — მას შემდეგ.

4. ქართულ რედაქციაში არ არის ვრცელი მოთხრობა ერაცის მმართველის მუნზერის კარზე ბარამის აღზრდის შესახებ, სადაც ბარამი მუნზერის შვილთან ნუმანთან ერთად იზრდება, ეპიზოდები ბარამის მიერ ლომის, კანჯარისა და ვეშაპის მოკვლის შესახებ და მეფე იეზიდჯირდის შვილის სანახავად ერაცს მისვლის შესახებ და სხვა წერილმანები; ამის ნაცვლად ძალზე შეკვეცილია ამბავი ბარამის დაბადებისა და აღზრდის შესახებ და შეტანილი ეპიზოდი თარა ვაზირის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ „ვეფხისტყაოსნის“ გავრძელებიდან, როგორც ზეარაშმშაპ ვეზირს და პლატონის მსგავს ბრძენს.

5. ბარამის საყვარელი ქალის სახელი ნიზამით არის ფითნე, ნოდარით კი დილარამ ჩანვი, რომელიც ნიზამით ტყვე ქალია ჩინეთის თურქესტანიდან, ისე, როგორც სპარსულ წყაროებშია, ქართულში კი იგი არის ჩინეთის დიდვაჭრის ასული, რომელიც ხაყან ჩინელმა ქალის მამისაგან იყიდა ღირძალი ფულით; ბარამმა მწოლარე კანჯარს გატყორცნილი ისრით „ყური ყურს მიუბა“, ნიზამით კი — ბარამის გატყორცნილი ისარი კანჯარს ყურში შეესო, გამძავებულმა მხეცმა ყურთან ფეხი მიიტანა ისრის გამოსაღებად, მაგრამ ბარამის მეორე ისრით ყური ჩლიჭს მიეჭედა.

6. ნიზამით ბარამმა ხეარნაკის ერთ საიდუმლო ოთახში მიაგნო შვიდი ქვეყნის მზეთუნახავების სურათებს; ქართულმა რედაქციამ კი არ იცის ხეარნაკის სასახლე და მისი სურათები; ქართულში, დილარამის თავიდან მოშორების შემდეგ, ბარამი თავისი ვეზირის რჩევით, გამოსთხოვს ქალებს შვიდ იყლიმთა მეფეებს.

ყველა ამის შემდეგ პროფ. კეკელიძე დაასკვნის: 1,4 და 6 ნოველა ციციშვილს აუღია ნიზამისაგან, მესამე — ნავაისაგან; რაც შეეხება დანარჩენებს, მათი წყაროს შესახებ ჯერჯერობით გარკვეულს ვერაფერს ვიტყვითო, და მიჰმართავს სხვადასხვა პიპოთეზას მათ წყაროთა შესახებ: მე-შვიდე ნოველა — მისრეთის მეფის სამიჯნურო თავგადასავალი — ათას ერთი ღამის ზოგიერთი ნოველის ფაბულის შორეული ანარეკლია; მეორე გეგონებს ნიზამის მე-3 ნოველის ფაბულას, მე-5 „შაჰ-ნამეს“ ვერსიების იმ ეპიზოდების მიბაძვა უნდა იყოს, რომლებიც გოსტაშაბისა და ქეთეონის სამიჯნურო თავგადასავალს შეეხებაო.

შემდეგ. პროფ. კეკელიძე განაგრძობს: „ყველა ამით იმსჯელებს: ყო-  
არ გვინდა, რომ ეს ნოველები ციციშვილმა შეთხზა აღნიშნულმა წიგნითა  
ების მიხედვით: ნათქვამი შეეხება მხოლოდ მათ აღმოსავლურს; სპარ-  
სულ თუ თურქულ დედნებს (?), რომლებიც ნოდარს ისევე ექნება გად-  
მოკეთებული და გადმოღებული, შეიძლება ზღაპრების რომელიმე დამო-  
უკიდებელი კრებულიდან, როგორც სხვა 4, რომელთა დედანი მოგნე-  
ბულია“.

ყველა ამის შემდეგ კ. კეკელიძე ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ნოდარი არ შეიძლება ჩაითვალოს მთარგმნელად, ამ სიტყვის ნამ-  
დვილი მნიშვნელობით... მისი ნაშრომი არის არა თარგმანი, არამედ გად-  
მოკეთება... ის არის მიბაძვა და, როგორც ასეთი, წარმოადგენს თავისე-  
ბურ ქართულს რედაქციას, ისეთს, როგორც არის ნიჰამი-  
საგან მომდინარე სპარსულ-თურქული რედაქციები აღნიშნული პოემისა...  
თუ შესაძლებელია, ხოსრო დეკლეს (?), ნევაის, ჰათიფს და სხვათ, რო-  
მელიც ამ პოემის დამუშავებაში ნიჰამის მბაძვენ, ეწოდოს ავტორ-  
იმავე საფუძვლით, და უფრო მეტითაც. — ნოდარ ციციშვილსაც შეგვიძ-  
ლია ვუწოდოთ ავტორი და არა მთარგმნელი... იმდენად თავისებურია  
კომპოზიცია პოემისა, იმდენად მაღალია მხატვრული დამუშავება და  
მოხერხებულადაა ჩაქოვილი ამ მასალაში ეროვნული და ქრისტიანული  
ელემენტი, რომ მიბაძვა ორიგინალბაძვე ადის“.

ასეთია მოკლედ შინაარსი კ. კეკელიძის ამ ფრიად საყურადღებო ნაშ-  
რომისა.

მიუხედავად მრავალი დადებითი მხარისა, რომელიც ახასიათებს პროფ.  
კ. კეკელიძის შესავალ წერილს, იგი მაინც ბევრ გაუგებრობას იწვევს.  
ამ გაუგებრობის ნიადაგზე უნდა აიხსნას ავტორის ახსნა-განმარტება ჩვე-  
ნი ძველის სათაურის შეცვლის შესახებ, სახელდობრ, თუ რატომ მისცა  
მან წიგნს სათაური „შვიდი მთიები“ ასე, მისი აზრით, „სპარსულ მწერ-  
ლობაში ამ თხზულებას ეწოდება „ჰათფ ფაიქარ“ (ნიჰამი) ან „ჰათფ  
ჩანზარ“ (ნავაი), რაც შვიდ მთიებს, მნათობს, მზეთუნახავს, სურათს ნიჰ-  
ნავს. ასეთი სახელწოდება წარმოდგა იქიდან, რომ ბარამ გური. ეს სპარ-  
სეთის დონჟუანი და წინამორბედი დონჟუანის ტიპისა მსოფლიო ლიტე-  
რატურაში, ცოლად ირთავს შვიდი სამეფოს შვიდ მზეთუნახავს, რომელ-  
თა სურათიც მან, ნიჰამის რედაქციით ჭეპარნავის (თუ ზეპარნავის) სასა-  
ხლის ერთს საიდუმლო ოთახში აღმოაჩინა. ვინაიდან მთავარი ინტერესა  
პოემისა ტრიალებს ამ 7 მზეთუნახავის გარშემო, რომელთაც ავტორი  
ძალიან ხშირად „მთიებს“, მნათობს ადარებს ხოლმე, შეორეს მხრით, უდი-  
დეს და უმთავრეს ნაწილს პოემის შინაარსისას ამ შვიდი მზეთუნახავის  
სახელთან დაკავშირებული შვიდი ნოველა შეადგენს, ჩვენც გვერდი აუ-  
არეთ პოემის ძველ სახელწოდებას („ბარამგურიანი“ — [დიდი ბარამი-



ანი“-ი. ა.] და, მსგავსად სპარსული დედნისა, ვუწოდეთ მას „შვიდი მთი-  
ები“-ო.

რამდენად მისაღებია ყველა აქ ნათქვამი?

ჯერ ერთი, სპარსული დედანი ამ ნაწარმოებს არასოდეს არ უწოდებს შვიდ მთიებს; ამასთან არც ნიზამის „ჰაფთ ფაიქარ“-ი, არც ჰათიფის „ჰაფთ მანზარ“-ი არ ნიშნავს 7 მთიებს. ჩვენს მკვლევარს რომ ეთქვა, მე თვით ვაძლევ თხზულებას ასეთ სათაურს, მარტო ქართული ვადმოკეთების ხასიათის მიხედვითო, კიდევ პო, მაგრამ სპარსული ჰაფთ „ფაიქარ ან „ჰაფთ მანზარ“-ი პირველი პნიშნავს შვიდ პორტრეტს (სახეს), მეორეც — შვიდ ფიზიონომიას ანუ სახეს, ასე რომ ერთი და მეორეც მნიშვნელობით ერთი და იგივეა. ერთი სიტყვით, როგორც „ფაიქარ“-ი ისე „მანზარ“-ი ნიშნავს ერთსა და იმავე სახეს ანუ ფიზიონომიას, ფიგურას, პორტრეტს. ასეთი სათაური კი ჩვეულებრივია ეპიურ-რომანტიულ სუვეტებში, სადაც ყოველთვის მიჯნურის ვახელების მიხეზად ხდება მის მიერ შემთხვევით დანახული მზეთუნახავის ან გმირის პორტრეტი. სათაურის ასეთ გადასხვაფერებას შეუძლია სრულიად შეცვალოს წარმოდგენა ამ ნაწარმოების სუვეტის ხასიათისა და მისი წარმოშობის შესახებ. ძეგლის სათაურის შეცვლა მკვლევარის მხრით არც საჭიროა, რადგან მისი ტრადიციული სახელწოდება „დიდი ბარამიანი“ სავსებით გამოჰხატავს წიგნის აზრსა და შინაარსს, ვინაიდან ჩვენი ძეგლი წარმოადგენს ბარამგურის ყველა სამიჯნურო თავგადასავალს, ისეთი ცალკე ეპიზოდების წინააღმდეგ, როგორცაა „ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“.

პროფ. კ. კეკელიძე სვამს საკითხს ნოდარის პოემის ორიგინალობის შესახებ ჩვენი ძეგლის ირანულ და თურქულ „ბარამნამე“-ებთან შედარების შემდეგ, და იმის მიხედვით, რომ მისთვის ნაცნობი თარგმანები ირანულიდან ნიზამისა და ჩალათურიდან ნავაის ძალიან დაშორებულია ქართულ ტექსტს, იგი დაასკვნის, რომ „ნოდარის პოემა არის თავისებური გადაკეთება (op. cit., XXVI) და არა თარგმანი, და როგორც ამგვარი, ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული“.

კიდევ რომ იყოს დასაჯერებელი კ. კეკელიძის მიერ შემთხვევით გამოთქმული აზრი ჩვენი ძეგლის ირანულ დედანზე ან თურქულ ვერსიაზე დამოკიდებულების შესახებ, ის ჰკარგავს ყოველ მნიშვნელობას წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, როგორც არა სათანადოდ შემოწმებულ-შესწავლილი. ყოველგვარი დასკვნა იმ საკითხის შესახებ — ორიგინალია თუ თარგმანი ჩვენი ძეგლი, ან როგორია მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ დედანთან, მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები, როცა შევეუდარებთ მის ტექსტს როგორც ნიზამის და მისი ირანული მომბაძველების ტექსტებს, ისე თურქული ვერსიების ტექსტს. ამისათვის კი საჭიროა ყველაზე უწინარეს ირანული ენის ცოდნა და ყველა საჭირო საგნის მოპოება, სახელ-

დობრ, საქიროა, როგორც ირანული ისე თურქულ-ჩალათურის ტექსტების მოპოება და ჩვენი ძველის ტექსტის მითთან შედარების ამგვარი ინტერესის აღძვრას ერთ დროს ჩვენც ვუწყობდით ხელს.

ასე, მაგ., 18 წლის წინათ მე განსაკუთრებით დავინტერესდი თურქული ლიტერატურის ქართულზე გავლენის საკითხით, სწორეთ ამავე ქართული „ბარამგურიანის“ შესწავლის დროს. რადგან თურქულ. ვერსიების შესახებ მე არ მომეპოებოდა არავითარი ცნობა, არც ლიტერატურა. მე მივმართე ერთ ჩემ ძველს სტუდენტობის მეგობარს ი. მ. გრეკოვს, რომელმაც მომაწოდა ცნობები და ნაწყვეტი შირ ნავაი ჩალათურა ვერსიის შესახებ. ეს ნაწყვეტი მას გადმოეწერა პროფ. იაკობ სმირნოვთან საკატალოგო მუშაობის დროს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში სტუდენტი გროზდოვთან ერთად. ეს ცნობები გრეკოვს ამოუწერია თავისი საკუთარი რეკულიდან.

ჯერ კიდევ სტუდენტ მიხეილ აბულაძის მიერ აღმოჩენილი „ბარამგურიანის“ ხელნაწერის გამოქვეყნების დროს მე აღვნიშნე ის გარემოება, რომ „აღორძინების ხანის მწერალთათვის თურქული ლიტერატურის ნიმუშებიც ადვილი ხელმისაწვდომი ყოფილა“; იგივე დაბეჯითებით გავიმეორე „შაპ-ნამეს“ ვერსიების შესავალში.

ამჟამად, პროფ. ქ. კეკელიძის მიერ „ბარამგურიანის“ ტექსტის გამოქვეყნებისთანავე, ჩემთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი შეიქნა ქართული ტექსტი და მასთან ერთად შედარებული ლექსიკონიც, სადაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ ადგილას ხმარებულმა თურქულმა სიტყვამ „სანდალა-მზ, რომელიც ირანულშიც იხმარება „საჯდომი“-ის ანუ სკამის მნიშვნელობით, აქ კი ჩალათურ ტექსტში „აურანგ“-ის ადგილას, აურანგი კი ნიშნავს ტახტს — მეფის საჯდომს (ძვ. საყდარს).

ეს სიტყვა პროფ. ქ. კეკელიძეს თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს ამ სახით: „სანდალი 152: შანდალი, სასანთლე.“

ვინაიდან მე მჭონდა სწორედ ამ ადგილის ერთი ნაწყვეტი შირ ნავაის ჩალათური ვერსიიდან, რომელიც ბარამ მეფის ბრძანებით გიშრისფერის დარბაზის მოფენას და ინდოეთის ხელმწიფის ქალთან შეუღლებას შეეხება (ნ. ქ. კეკელიძის გამ., გვ. 23, თ. VIII), მე შევეუდარე იგი ჩვენი ძველის შესატყვის ადგილს და დავრწმუნდი, რომ სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ჩალათური ფრაზა, რომელშიაც შედის სიტყვა სანდალი. მოგვყავს ამ ადგილის რუსული თარგმანი:

„В субботу, рано утром, когда поднялось восходящее солнце, чтобы звезды покорить, в украшенном душистом (-მუშკის) дворце был поставлен трон...“

ეს ადგილი ქართულში ასეა („შვიდი მთიები“, ქართ., ტ., 152):



„მოკვინეს ვიშრის დარბაზი ოქსინოს ფარდაგებითა, მას შიგან დადევს სანდაღო მურასა თლილის ქვებითა, ცამდის ვიშრისა და მურისა სარასრებითა. და რომე მას ჰქონდა შეენება ენა დაშვრების ქვებითა“.

ასეთმა თუმცა შორეულმა, მაგრამ ადგილის მაინც მსგავსებამ ქართულსა და ჩაღათურში ძალზე დამაინტერესა და გადავწყვიტე, შემედარებინა, თუ არ სავსებით, ნაწილობრივ მაინც შირ-ნავაის ჩაღათურ ტექსტთან ჩვენი ძეგლის ესათვის ადგილი. შევამოწმე შირ-ნავაის „ჰაფთ მანზარ პაპრაჰის“ ჩაღათური ტექსტის ტაშკენტური ლიტოგრაფიული გამოცემის შესატყვისი ადგილები და დაერწმუნდი, რომ ჩვენი ძეგლის ტექსტი არა თუ მისდევს ნავაის „ჰაფთ მანზარ“-ს იგი იმდენად დაშორებულია ამ უკანასკნელს, რამდენადაც „შაჰ-ნამეს“ მიბაძევთა ქართ. ლექსითი ვერსიები ფირდოუსის ირანულ დედანს: ამ შემთხვევაშიაც მელქსე ძალიან იშვიათად მისდევს სიტყვა-სიტყვით ორიგინალს და მეტწილად იგი, ორიგინალის ზოგჯერ ადგილის შეკვეცასთან ერთად, სრულიად სცელის და ასხეფაფერებს მუსულმანური ცხოვრებისა და კულტისათვის საჭირო სახეებს წმინდა იროვნული და ქრისტიანული სახეებით, რაც სამართლიანად აქვს აღნიშნული პროფ. კ. კეკელიძესაც. XXVI.

მაგრამ აქ თითქოს დასტურდებოდეს იგივე, რაც „შაჰ-ნამეს“ ვერსიების შესახებ იყო ჩემ მიერ აღრევე ნათქვამი, სახელდობრ ის, რომ ნოდარსაც ისევე, როგორც „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ავტორებს, შეთვისებული ჰქონია ხალხისთვის გადმომკითებელთა მანერები. თითქო ისიც. — ისევე, როგორც „შაჰ-ნამეს“ გადმომღებლები სარგებლობენ ფირდოუსის და მისი მიმბაძველების ნაწერებით რა შაჰ-ნამესავე თურქული წყაროდან გამომდინარე პროზული ვერსიებით. — სარგებლობიეს ნიშანის რა ნისი თურქულ-ირანული მიმბაძველების ნაშრომებით. მაგრამ აქ პირველ რიგში თავს იჩენს ერთი ფაქტი, რომელიც არა აქვს ვათვალისწინებული პროფ. კორნ. კეკელიძეს.

ასე, ჩვენს აზრით, ერთი შეხედვითაც შეიძლება დარწმუნდეს „შაჰ-ნამეს“ ვერსიებზე მომუშავე, რომ აქ მდგომარეობა სრულიად იმგვარივეა, როგორც „შაჰ-ნამეს“ მიბაძევაში. სახელობრ, ეს ჩინი ძეგლიც თანაბრად უნდა იყოს ერთ-ერთ პროზულ ვერსიაზე, რომელიც უნდა მომდინარეობდეს თურქულ წყაროდან, რადგან აქაც, ისევე, როგორც „შაჰ-ნამეს“ მიბაძევაში, სქარბობს ქართულისთვის უცხო თორქული სიტყვები, ზოგორივით: შარვა, სუბა, სანდალი, ყიშლალი, ყირმიზი. ეშყი რა სხია ამგვარები, რომლებიც შირ ნავაის ჩაღათური ვერსიის შესატყვის ადგილებში არ გვხვდება, თომცა ისინი შირ ნავაის ჩაღათურ ტექსტსაც არ ეუცხოება, და რომლებიც, ამავე დროს, თავისი იშვიათობით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომ მათი შიმციელი ამბები ირანულ-თურქული ერთობის ნიადაგზე შექმნილ მოაზრულ ამბებიდან უნდა გამომდინარეობდენ. ჩვენ, მართლაც, მოგვეპოება არა ერთი და ორი საყურადღებო

ლიტერატურული ცნობა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწყებული აღორძინების ხანის ლიტერატურაში არსებულ ენიკო-რომანტიკულ ნიმუშებამდე ყველა თითქმის საქართველოში გავრცელებული მართალი ამბის გალექსეას წარმოადგენს. ასეთებია: „ვეფხისტყაოსნის“, „შაპ-ნამეს“ მიმბაძველების („ზაქიანის“, „საამიანის“) „ბარამგულიჯანიანის“, „ბარამგულანდამიანის“, „ბარამგურიანის“ და სხვა პროზული ამბების ლექსად გარდაქმნის შესახებ ცნობები.

ეს კიდევ ცოტაა: როგორც მე დროზე გამოეთქვი, ხსენებულ პროზულ ვერსიებში აშკარად ჩანს თურქულ-ჩალათური ელემენტი. მაშასადამე, თავის თავად ცხადია ყველა ამის შემდეგ, თუ რამდენად რთულია საკითხი ჩვენი ძველის ორიგინალობის თუ არაორიგინალობის შესახებ. რომელსაც ასე ნაადრევად სწყვეტს პროფ. კ. კეკელიძე ნოდარის პოეტური შემოქმედების ორიგინალობის სასარგებლოდ.<sup>\*)</sup>

აქ არ შეიძლება სიჩუმით ჩაებატაროთ ერთი გარემოება, რომელსაც უყურადღებოდ სტოვებს პროფ. კეკელიძე, სახელდობრ ის, რომ ჩვენ ადრევე შივაქციეთ ყურადღება თურქული ლიტერატურის გავლენის სფეროს ანუ იმ ფაქტს, რომ აღორძინების ქართულ მწერლობას ატყვია თურქული ლიტერატურის აშკარა გავლენა: ასე, მგალითად, ჩვენ ვუჩვენეთ თავის დროზე, „შაპ-ნამეს“ ვერსიების გამოჭვეყნებასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეპყრობა მთარგმნელი ან გადმომღებელი სათარგმნ ან გადმოსაღებ მასალას, და თანაც აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ აღორძინების ხანის მელექსე სრულიად სცვლის „შაპ-ნამეს“ პროზული მოთხრობის ამა თუ იმ ადგილს და ამდიდრებს თურქულ არაბულ სიტყვებით თავის შრომას<sup>\*\*)</sup>. იქვე ნაჩვენებია, ისიც, რასაკვირველია ისეთი ფაქტების მიხედვით, როგორცაა თურქული ელემენტები ვერსიების ენაში, რომ „თურქული ლიტერატურისა და ცხოვრების გავლენის ჰაერები შეზოიჭრა ჩვენში აღორძინების ხანის იმთავითვე ანუ, სახელდობრ, მე-16 საუკუნის პირველსავე წლებში“, და ამგვარი მოსაზრების დასადასტურებლად ჩვენ მოგვყავდა სწორედ ის გარემოება, რომელიც თავის მსჯელობის ჭკაყუთხედად გაუხდია პროფ. კეკელიძეს, სახელდობრ ის, რომ „აღორძინების ხანის ქართველებში, სპარსული ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, იცნო-

\*) არსებითად ქართულში შემოჭრილი ზბარამიანების საკითხი ჩვენ გამოყოფილი გვაქვს ცალკე თემად და ვამუშავებთ მას სათანადო ცნობების მოპოების პროცესში; ირკვევა, რომ ისეთი თარგმნითი ძეგლები, როგორცაა: „დიდი ბარამიანი“, „ფარხად შირინიანი“, „ლეილ მეჯნუნიანი“ და „სიკანდერ-ნამე“, რომლებიც შედიან შირ-ნავის „სამა“-შიაც, როგორც თავიანთი არქიტექტონიკით, ისე ამა თუ იმ დეტალით, ძალიან ახლო დგანან შირ-ნავის ხსენებულ ნიმუშებთან. ამავად კი ჩვენ მხოლოდ ვებნებით მოკლეთ იმ საკითხს, თუ რა ფორმით აქვს გამოჭვეყნებული პატივიმულ პროფესორს ხსენებული ძეგლი.

\*\*) „შაპ-ნამე“-ს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, გვ. 23.



ბენ აგრეთვე თურქულ ლიტერატურის ოქროს ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელს შირ ნავაის (ყვ. ნევაი). ასე, მაგ., „ბარამჯურანის“ შესახებ ნასიტყვაობაში პოეტი ნოდარ ფარსადანის ძე (ციციშვილი) გვაუწყებს შემდეგს: ნ ა ვ ა ი ს ე ს ე ა მ ბ ა ვ ი ჩ ა ლ ა თ უ რ ი ს ა ე ნ ი თ ა უ თ-ქ ე ა მ ს და მ ი ს ე ბ რ მ ე ლ ე ქ ს ე ს ხ ვ ა ვ ი ნ მ ც ა ვ ი ა ზ რ ე ნ ი თ ა...“ საითგანაც ჩანს, რომ აღორძინების ხანის მწერალთათვის თურქული ლიტერატურის ნიმუშებიც ადვილხელმისაწვდომი ყოფილა და სხვა. (op. citat. XXI—XXII).

ამ ჩვენ მიერ აღნიშნულმა ფაქტმა თავის დროზე მიიქცია ისეთი ავტორიტეტის ყურადღება, როგორც იყო აკად. ნ. ი. მარჩი, რომელიც ამბობდა:

„Особенную важность и желанную новость в этих наблюдениях представляет чреватое для истории грузинской литературы указание, что в возрождении грузинской литературы в начале XVI-ого в. видную роль сыграла турецкая литература“ \*) (стр. XXI op. cit.).

იქვე შემდეგ გვარღზე:

„Указания и догадки Ю. И. Абуладзе о возможности турецкого литературного влияния на грузинскую литературу заслуживает самого серьезого внимания, при чем требуется начать уже прямо с дела, т. е. со сличения самых литературных памятников“ \*).

სწორედ საკვირველია ამის შემდეგ, რომ პროფ. კორნ. კეკელიძე, რომელიც პროცენტობით ანგარიშობს ყველგან მსგავს შემთხვევებში, თუ ვის და ვისგან უსესხებია ესა თუ ის ადგილი, ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავს ამ ჩვენ მიერ დასახელებულ გარემოებას და ამავე დროს, როგორც თურქული ლიტერატურის, ისე აღორძინების ლიტერატურის საკითხებში სიტყვა-სიტყვით მისდევს ჩვენს დასკვნებს, როგორც აღორძინების ხანის ქართული საერო ნიმუშების, ისე ჩვენი ძეგლის შესახებ.

ამ ზემორე მოტანილ საკითხებთან დაკავშირებით პროფ. კ. კეკელიძე ეხება აღორძინების ხანის დასაწყისს და ამბობს: აღორძინების ხანის დასაწყისი ცოტათი უკან უნდა იქნას გადაწეული“-ო \*\*). მასს ამ შემთხვევაში სახეში პყავს უცნობი კედელაური, რომელსაც „შაპ-ნამეს“ ნაწილი უთქვამს პროზით და რომელიც აღორძინების ხანის გამოწვები მელექსეების ერთ-ერთი წინამორბედი უნდა იყოს“-ო. ამასთან დაკავ-

\*) Записки Вост. Отд. Русского Археол. Общ. т. XXVI. Н. Марр. „Из грузино-персидских литературных отношений“ (Памяти трех учителей. В. Б. Розена, К. Г. Залемана и В. А. Жуковского), стр. 113.

\*\*) *ibid.*, стр. 115.

\*\*) *Op. citat.*, V, § 2, стр. 10—11.



შირებით შენიშნავს: „სეფევიდების დროის სპარსეთის ლიტერატურაში არ შეეძლო შეეწყო ხელი ჩვენში აღორძინებელ მწერლობის განვითარებასთვის, რადგან თვით სეფევიდთა მწერლობა თანდათანობით დაცემის სურათს იძლევა: ორიგინალობას მოკლებული და უშინაარსო, ის არ იძლევა არც ახალ აზრებს, არც ახალ ფორმას“-ო და სხვა \*\*\*).

პროფ. კორნ. კეკელიძის ეს სიტყვებ. ლამაზად და მოსწრებულად არის გამოთქმული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ აზრი და შინაარსი ძალიან ცოტა აქვს, ვინაიდან მკვლევარს ამ შემთხვევაში ავიწყდება, რომ აღორძინების ხანის წინამორბედი ქართული მწერლობაც და თვით აღორძინების ხანაც კი ძალიან ხშირად არ იძლევიან არავითად ახალ აზრს, არც ახალ ფორმას \*), და, მაშასადამე, ისეთი ნიმუში, რომელსაც იძლევა ამ შემთხვევაში აღორძინების ხანის მწერალთა წინამორბედი მწერალი, არის უფრო მეტად მწერლობის დაცემისა და არა აღორძინების დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გაიმიჯნოს დაცემის ხანის შემოქმედების ხასიათი აღორძინების ხანის შემოქმედებისაგან.

პროფ. კ. კეკელიძის მიერ ჩვენი ძველის ტექსტის გამოცემისათვის წამძღვარებული ისტორიულ-ლიტერატურული ეტიუდის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ჩვენი აზრით, ღუმილი მეცნიერის მხრით იმაზე, იყო თუ არა ძველის შესახებ ცნობები ამაზე ადრე ჩვენს მწერლობაში, რის გამოც მის მიერ წარმოდგენილ ცნობებს ძველისა და მისი ავტორის შესახებ ეძლევა სრულიად ახალი აღმოჩენის ხასიათი. საზოგადოდ, მეცნიერებაში მიღებულია, — აღინიშნოს ზოლმე ყოველი ახალი საყურადღებო ფაქტი, მოპოებული ამა თუ იმ ძველის შესახებ, და ყველა ამას, თუ საპატიო ადგილი არა, ორიოდ სიტყვა მაინც უნდა დაეთმოს, და ჩვენ გვაოცებს მკვლევარის ღუმილი და აშკარა უგულუბელყოფა ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტისა, რომელიც ჩვენი ძველის საუკეთესო ხელნაწერის აღმოჩენასა და მის შედეგებს შეეხება.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ რუსეთში ხარკოველ ბუკინისტთან „ბაჭააფურიანის“ ახალი ხელნაწერი აღმოაჩინა გრალიკოლად დაღუბულმა სტუდენტ-ფილოგმა მიხეილ ანდრიას-ძე აბულაძემ მის სტუდენტად ყოფინასა, 1913 წლის გაზაფხულზე, ეს ამბავი მიხეილ აბულაძემ მაცნობა შე, როგორც საისტ. და საეთნ. საზოგადოების მოუხეუმ-ბიბლიოთეკის გამგეს, და ხელნაწერიც დაუყონებლივ იქნა შეძე-

\*\*\*) Oper. citat., V, стр. 14.

\*) ყოველ შემთხვევაში, აქ ყველგან ადგილი აქვს კონსერვატიული ხასიათის სპარსული მწერლობის ნიმუშთა გადმოღებას, და „შა-ნამეს“ ვერსიების უდიდესი ნაწილი, რომელიც მე-2 ტომის სახით გამოდის ამჟამად, სწორედ მწერლობის დეგრადაციისა და დეკადანსის საუკეთესო დამახასიათებელია, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.



ნილი ჩემ მიერ ამავე საზოგადოების საფასით ხსენებულ მუზეუმ-ბიბლიო-  
თეკისათვის. წერილი ხელნაწერის მოპოებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ  
ჩვენ გამოვაქვეყნეთ დაუყონებლივ (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913  
წ., № 818 „ბარამგურიანი“). ცნობები ხელნაწერის, ჩვენი ძეგლისა და  
მისი ავტორის ნოდარ ციციშვილისა და მისი მამის ფარსადანის შესახებ  
იქ მოცემულია უმეტესაქლებოდ და დაწვრილებით. ბოლოს ვაშბობთ შე-  
დეგს:

„არც საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერს და არც წერა-კითხვის გამა-  
ვრცელებელ საზოგადოების ხელნაწერებს არ შემოუნახავს ჩვენთვის  
იხ. ძვირფასი ცნობა, რომლითაც ირკვევა „ბარამგურიანი“-ს ავტორის ვი-  
ნაობა. ეს ცნობა დატულია იმ ბოლომინაწერში, რომელიც მისდევს მე-  
ლექაის ბოლოსიტყვაობას ჩვენს ხელნაწერში, სადაც სავსებით გადარ-  
ჩენილა ეს ბოლოსიტყვაობა. აი ეს ცნობაც: „დასრულდა წიგნი ესე ბა-  
რამიანი ბრძანებითა ნოდარ ციციშვილისათა, მისგანვე სპარსული ქარ-  
თულად ნათარგმანები და ნათქვამი ლექსად... მწერალთა მე უღირსისა.“

მინაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ხელნაწერის გადაწერა დასრულე-  
ბულა ნოდარ ციციშვილის ბრძანებით. ამ ნოდარ ციციშვილსა-  
ვე უთარგმნია ირანულიდან ქართულად და ლექსად გამოუთქვამს „ბარამ-  
გურიანი“, და ამის შემდეგ დაწვრილებით არის მოცემული სათანადო  
ცნობები ჩვენი ძეგლის, მისი ავტორის ნოდარ ციციშვილის და ამ უკა-  
ნასკნელის მამის ფარსადანის შესახებ, სათანადო ცნობების ამონაწერით  
მატეანედან. იქვე მე-4 სვეტზე შენიშვნაში ჩვენ მოთავსებული გვაქვს  
შემდეგი ცნობა: „აღ. ხახანაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერე-  
ბში „ფარსადანის ძემ“ ორ განცალკევებულ სიტყვად არის წარმოდგე-  
ნილი, კოთხელობდა „ფარსადანისძე“-დ (იხ. Очерки, вып. 4, стр. 98),  
ე. ი. ერთ სიტყვად, რის გამოც ბ-ნ ე. თაყაიშვილის „Описание“-ში,  
სადაც ეს სიტყვები სრულად არის თარგმნილი, ფარსადან ციციშვილის  
შვილი ნოდარ გადაქცეულია ნოდარ ფარსადანიძე-დ“.

იქვე პირველად არის მითითებული ჩვენ მიერ პირველადვე მიგნებულ  
საინტერესო ანთოლოგიური ხასიათის ცნობაზე დ. გურამიშვილის  
„დავითიან-ში“, სახელდობრ, იმ კონცერტზე, რომელშიაც მონაწილეო-  
ბას ლებულობს, ნოდართან ერთად, დავით გურამიშვილის დრომდე ცნო-  
ბილი ყველა შესანიშნავი მელექაე შოთადან დაწყებული მეფის მდი-  
ვან მამუკა თავაქალაშვილამდე. ყოველივე ეს ციტატებით სიტყვა-სიტყვით  
გადაწერილი აქვს პროფ. ვ. კეკელიძეს. მიუხედავად ამისა, ეს თავისი  
ნაშრომი მას წარმოდგენილი აქვს, როგორც დამოუკიდებელი ხასიათის  
კვლევებიცა.

ნუსხების მიმოხილვის დროს პროფ. ვ. კეკელიძეს არ ეტყობა არავი-  
თარი ცდა ვარიანტების გამოჩვენებისა და მათ შესახებ საკითხის გაშუქე-  
ბაში, ამის ნაცვლად მას წარმოდგენილი აქვს ვარიანტები სბოლიოში გა-

უშუქებლად. ასე, მაგ., იგი უპირველესობას აძლევს ისეთ წაკითხვას, როგორცაა: „მინახენ“, 1683,3; მაშინ როდესაც აქვე ვარაუდობთ „მინახენ“, როგორც უმჯობესს. უპირატესობა უნდა მისცემოდეს. 39 ხანის მე-3 ტაეპში ვკითხულობთ: „ყმას ჰშვენოდა ლაწეთა ელეა, კბილთა ლელეა, საუბარი.“ მაშინ, როდესაც ვარიანტების AD მიხედვით, უფრო სწორია წაკითხვა: „ყმას ჰშვენოდეს ლაწეთა ელეა, კბილთა ლელეა, საუბარი.“ ეს უკანასკნელი, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, სრულიად შეგნებულად ათის უარყოფილი პროფ. კეკელიძის მიერ, მაშასადამე, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით შეცთომად ან ლაფსუსად.

საჭირო იყო აგრეთვე; პროფ. კეკელიძეს განემარტა, რომ 1173,3 ტაეპის წაკითხვა „ვამსგავსომცა“ სწორი არ არის, უნდა ყოფილიყო „ვამსგავსემცა“, რადგან მას უკეთ მოეხსნება, რომ „მცა“ ნაწილაკი მოითხოვს ინდიკატივის ფორმას, და ფორმა „ვამსგავსემცა“, თუ მაინცა და მაინც ამ უკანასკნელს ვამჯობინებთ, დამახასიათებელია ენის დაქვეითებისა, როგორც დაცემის, ისე აღორძინების ხანაში, რადგან კლასიკური ხანის შემდეგ დავიწყებას მიეცა ეს სწორი ფორმა „მცა“ ნაწილაკით. \*)

ამგვარივე ხასიათისაა 419,2 ტაეპის წაკითხვა: „დაბადოს ლა ლმერთმან რამცა“, მაშინ, როდესაც „მცა“ ნაწილაკის მოთხოვნით უნდა იყოს: „დაბადა-ლა ლმერთმან რამცა“, აგრეთვე: „ენახომცა (1148,2 და სხვები), ნაცვლად უნდა იყოს „ენახაპცა“, და ეს მით უფრო საჭიროა, რომ მეორე შემთხვევაში ჩვენი პოეტი ამ ფორმას სრული სისწორით ხმარობს (შეად. ხანა 939,1: ჭყმას უქვერეტდა მალვით ჭალი, სხვა მისებრი რამც ენახა“).

შეცთომით აქვს აგრეთვე მიცემული უპირატესობა 115 ხანაში (ტ. მე-2 წაკითხვას: „დასტაქანნი“ — D ვარიანტის წინააღმდეგ, სადაც ვკითხულობთ ამ ტერმინს ფორმით „დოსტაქარნი“, ხოლო რადგან „დასტაქანნი“-ში გვაქვს წარყვნილი წაკითხვა სწორი ფორმის „დასტაქარნი“ (სპარ. dastaqar), უნდა გამოვიყენოთ ორივე ვარიანტი, როგორც „დასტაქანნი“, სადაც რ დაბოლოების წინ წარყვნილა ნ-არად, ისე „დოსტაქარნი“, რომელშიაც სპარსული dast (ხელი) ძირეული a, ქართული პროვინციალიზმის მიხედვით, შეეცვლილა ო-ნად და შეეასწოროთ ყველა ამის მიხედვით „დასტაქანნი“ „დასტაქარნი“-ს სახით.

პროფ. კეკელიძემ კარგად უნდა იცოდეს აგრეთვე, რომ წაკითხვა „მას დღეს“ — ვარიანტებით 138,1; 146,3; 1598 და სხვებით არ არის სწორი და უპირატესობა უნდა მიეცეს ყველგან სწორ ფორმას „მას დღეს“ უკანასკნელი სწორი ფორმა ნაანდერძეცა შოთასავან, რომე-

\*) ამ ფორმას „მცა“ ნაწილაკით პირველად ჩემ მიერ ჰქონდა გავლებული ხანი „ეფესის-ტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობის პროცესში, ხოლო შემდეგში იგი შედარებით გააზრებულ იქნა პროფ. ა. შ. იძის მიერ.



ლიც მუდამ იცავს მას ყველა საუკეთესო ხელნაწერის მიხედვით, და სხვე-  
ბიც ზუსტად ჰბაძავენ მას. კეკელიძე კი მუდამ შეგნებულად ფორმით  
ფორმით „მას დღეს“, მაშინ, როდესაც სამი ნუსხის ვარიანტი ABC  
ერთის C-ეს წინააღმდეგ მას სრულიად სწორად ჰკითხულობენ (შეად. ვტ.  
ჩენი გამ., 22,1; 99,3; 783,3 და სხვები).

1467 ხანის მე-3 და მე-4 ტაბებში ოთხივე ნუსხის ABCD მამაძულ-  
ვა და მამაშორვა გასწორებულია ფორმით „მამაძულვა“ და „მამაშორვა“.  
აგრეთვე 1468 ხანის I-ელი ტაბის „მამიშორნეს“ ფორმით „მამაშორ-  
ნეს“, აგრეთვე 1472 ხანის მე-2 ტაბის დროის დამახასიათებელ ფორმას  
„მამიძულნეს“ ABCD ვარიანტებისას, პროფ. კეკელიძე ამჯობინებს შეს-  
წორებულ ფორმას „მომიძულნეს“. სრულიად უსაფუძვლოდ ეძლევა აგ-  
რეთვე უპირატესობა ფორმას „დაეშვენა“ (სრასაჯდომნი), წინააღ-  
მდეგ ოთხისავე ნუსხის თანახმად არსებული სწორი წაკითხვისა „დაეშვენ-  
ნეს სრასაჯდომნი“.

მსუველს ერთი თვალის გადავლებითაც შეუძლია იმის დანახვა, რომ  
ყველა აქ მოტანილი ვარიანტები. წინააღმდეგ ამ ნაშრომში მოცემულ  
წაკითხვისა, უშეღობესია და დროის დამახასიათებელი.

ორიოდე სიტყვა ლექსიკონის შესახებაც.

უფრო მეტ გაოცებას იწვევს ჩვენში ის წინდაუხედაობა, რომელსაც  
აღგილი აქვს მკვლევარის მიერ ტექსტისათვის დართულ სიტყვათა გან-  
მარტებაში, — პოემის ლექსიკონში.

ამიტომაც მის ლექსიკონში სიტყვა „სანდალი“ იმ შემთხვევაში, რო-  
დესაც ის ნახმარია საჯდომის ანუ ტახტის (საყდრის) მნიშვნელობით,  
მას განმარტებული აქვს, როგორც შანდალი, მაშინ როდესაც ამიტყვის  
შესატყვისად ნიშანის „ჰაფთ . ფაიქარ“-ში ვხვდებით — ტახტს, ნაეის  
„ჰაფთ მანზარ ბაჰრამი-ში“ კი — აურანგ-ს. ერთიც და მეორეც აღნიშნა-  
ვენ საჯდომს, ტახტს. თუმცა დალი განმარტავს ამ სიტყვას სიტყვით შან-  
დალი, სასაბთლე, მაგრამ აქ ასეთი განმარტება შეუსაბამოა. პროფ. კ. კე-  
კელიძეს ბევრი სხვა სიტყვაც არა აქვს სწორად განმარტებული. ყველას  
აქ ჩვენება ძალიან შორს წავიყვანს, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ ზო-  
გიერთს:

არ არის საყვებით სწორად განმარტებული არაბული სიტყვა რამალი,  
რომლის შესატყვისადაც ავტორს აქვს მიწერილი სიტყვები: რამალი — სა-  
კითხაო სილა და მხოლოდ მესამედ სწორი განმარტება — მკითხავი. რამლი  
და რამალი ერთი არ არის მნიშვნელობით, თუმცა ერთისა და იმავე  
ზმნის რამალა-ს ფორმებია. აქ „რამლ“ არის მასდარ-ის ფორმა raml  
რომელიც აღნიშნავს, მართლაც, სამკითხაო სილას, რამალი, არაბ. rammal  
კი არის მიმღობა და აღნიშნავს მკითხავს, ასეთი სწორი განმარტება კი  
კეკელიძეს სულ ბოლოში აქვს მოქცეული.



შეცდომით არის განმარტებული სიტყვა ჩოლი, თათრ. *ლი* — უღამზო, ურწყული ადგილი, რომელსაც ჩვენი შველევარი განმარტავს სიტყვით: „დაბალი, სწორი და დამუშავებული ადგილი, მინდორი“ სტ. 111. სიტყვით ადგილს, სადაც კი ხედება ეს სიტყვა, ასეთი განმარტება არ უდგება.

პირდაპირ სამწუხაროა ისეთი ხასიათის შეცდომა, რომელიც ენის აშკარა უცოდინარობის შედეგია. ჩვენ სახეში გვაქვს სწორედწინადა სპარსული სიტყვის *hamdard*-ის განმარტება (იხ. *oper. citat.*, ლექს., გვ. 246, სვეტი b) ჰამდარდი — საამოდ საფიჭრებელი, საზრუნავი; პროფ. კეკელიძეს ჰგონებია, რომ ჰამ ნიშნავს ამოს, სასიამოვნოს და, შემდეგ სიტყვა დარდთან დაკავშირებით, უფიქრია, რომ ეს უნდა იყოს: „საამო დარდი, ან საამო საზრუნავი“-ო, მაშინ, როდესაც ეს ჩვეულებრივად შედგებილი რთული სპარსული სიტყვაა, რომლის პირველი ნაწილი არის *ham* თახა, ხოლო მეორე — *dard* ტკივილი, სენი და, მაშასადამე, ზუსტად რომ ეტყვათ, იგი ნიშნავს თანადარდს, თანატკივილს, პირისთვის მიკუთვნებით კი — გულშემატკივარს, კირისუფალს, თანამგრძნობელს, და არა საამოდ საფიჭრებელს.

უსაფუძვლოდ შეაქვს აგრეთვე ავტორს ზედმეტი მნიშვნელობა სიტყვის „ლაფალის“ განმარტებაში: ასე, მაგ., მას შეაქვს, სვითა შორის, ლექსიკონში ამ სიტყვის განმარტება სიტყვით ცდუნება, რაც სრული გაუგებრობის მიზეზებელია.

არ არის დამაკმაყოფილებელი აგრეთვე, კ. კეკელიძის მიერ მათი ეტიმოლოგიის უცოდინარობის მიზეზით, შემდეგი სიტყვების განმარტებები: „ყიასი“ (159), რომელსაც პროფ. ასე განმარტავს: არაბ. „ყიას“ — შედარება, მსგავსება, აქედან: ჩვენს კონტექსტში — შეუდარებელი, ან ოურკ — სპარ. „ყიასი“ — ტერამი, მაშინ, როდესაც არაბ. *kiasy* — მსგავსი, ანოლოგიური, მსგავსივე, გინა მსგავსადვე და აქედან „ყიასი ძვირნაფასები“ ნიშნავს: აგრეთვე ძვირფასი ან და: ამგვარივე ძვირფასი (მსგავსადვე ძვირფასი).

კ. კეკელიძე თითქო გაურბის ან და გვერდს უხვევს ზოგიერთი ტერმინის ზუსტ განმარტებას: ასე, მაგ., ყანუნი — მუსიკალური სიმებიანი საკრავის სახელწოდება — მას ლექსიკონში სრულებით შეტანილი არა აქვს. მეორე ოთხსიმიანი საკრავის ჩართარის შესახებ მას აქვს აღნიშნული მხოლოდ, რომ იგი არის მუსიკალური ინსტრუმენტი, მაშინ, როდესაც იგი არის იგივე ჩონგური.

სიტყვა „მთულობდა“ (252,3) კ. კეკელიძეს განმარტებული აქვს სიტყვებით — შთასავით იდგა თუ იჯდა (?!), „მთის შთაბეჭდილებას ახდენდა“-ო, მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ თვით მკვრეტელთათვის მთულობდა აღნიშნავს — მკვრეტელთათვის ანათებდა, ნათობდა, „ანუ მნათობის (მთიების) მაგიერობას ასრულებდა“-ო.



დასასრულ, არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული კიდევ ერთი ანკარა დეფექტი. სახელდობრ, პროფ. კეკელიძე ვერ ახერხებდა უკვე ერთი არაბულ-ირანული ფორმის სწორად გადმოცემას ქართულ ტრანსკრიპციით. არაბ.-ირანული სიტყვა „ხამსა“ — ხუთეული არაბული აკრიბი ხ-ანიტ, კ. კეკელიძეს ყველგან ხვდება ფორმით „ჰემსე“ (XIV, 21; XV, 30; XX; XXIII, 3), სადაც ორგვარი შეცთომავა: ჯერ ერთი, აქ უნდა იყოს ჰ-აეს ნაცვლად ხ-ანი. მეორეც — ამ ბგერის შემდეგ როგორც არაბულში, ისე ირანულში სუსტი ა გამოითქმის მკაფიოდ სრულ ა-დ, მაშასადამე უნდა იყოს აქ „ხამსა“ და არა „ჰემსე“. აგრეთვე შეცთომით აქვს გადმოცემული პროფესორს ბარამის სასახლის ხაეარნაკის სახელწოდება ფორმით ქაეარნაკი (XVIII, 3 და 11), რაც უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ პროფ. კეკელიძე ინგლისურ q-ს ქართულ ქ-ანად კითხულობს. აგრეთვე სრულიად მიუღებელია ფორმები დეჰლეეს, ჰათიფს (XXVI, 11), რადგან სახელებში „დეჰლეეი“, „ჰათიფი“ ბოლო ასო ი-ნი თანხმოვან საფუძველის შემდეგ მდგარ ი-ნად კი არ უნდა იქნას გაგებული, არამედ იგი არის ქ ნისბეთის ანუ წარმოშობის იაი-ს ნაცვალი ი-ნი, და, მაშასადამე, „დეჰლეეი“ აღნიშნავს დეჰლეელ-ს, დელიდან, მაშასადამე, უნდა იყოს დეჰლეეის, აგრეთვე ჰათიფის და არა ჰათიფს. მიუღებელია აგრეთვე პროფ. კეკელიძის წაკითხვა „მულანა“, ნაცვლად სწორი წაკითხვისა — „მეულანა“, რასაც აძლევენ ტიტულად განთქმულ ღვთისმეტყველებს და მასწავლებლებს. „მეულანა“ კი არაბულია და ნიშნავს: „ჩვენი ბატონი“, „ჩვენი მასწავლებელი“. აგრეთვე „სეზაი, სეიიარე-ს (შეიდი ცთომილი) ნაცვლად, ჩვენი მეცნიერი „ბარამგურიანის“-ს არაბულ სახელწოდებას კითხულობს სეზაი, „ზიიარეს“ სახით (XXI, 30), რაც სწორი არ არის. ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს.



# შინაარსი



ქართული ენის  
მეცნიერება

ლავრენტი ბერია — უძრავი მებრძოლი ლენინ-სტალინის  
ტიის საქმისათვის . . . . . 3

## მხატვრული ლიტერატურა

ტიციან ტაბიძე — ალავერდობა (ლექსი)	12
ლევო ქიაჩელი — გვადი ბიგვა (რომანი. გაგრძელება)	15
ილიო მოსაშვილი — ბელადს (ლექსი)	31
ვლ. მიაკოვსკი — საიუბილეო (ლექსი) თარგმანი გივი გაჩეჩი- ლაძისა	33
მიხეილ ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი. დასასრული)	43
გიორგი ქუჩიშვილი — შთა-პანთონი (ლექსი)	75
მ. გორკი — იტალიური ზღაპრები. თარგმანი ი. შაქავეარიანისა	77
პეტრე სამსონიძე — სალი თვალით (ნარკვევი)	113

## სტალინური კონსტიტუცია

პროფ. გ. ნანეიშვილი — ახალი კონსტიტუციის პროექტი და საბ-  
კოთა ქვეყნის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი . . . . . 143

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აკ. თათარიშვილი — „მთვარის მოტაცება“ . . . . . 159

## ლიტერატურის ისტორია

ა. შანიძე — ვახტანგის მონოგრაფია . . . . . 169

## მხატვრობა

კ. თოფურაძე — ფორმალისტური ტენდენციების წინააღმდეგ მხატ-  
ვრობაში . . . . . 224

## გიგლიოზგრაფია

ი. აბულაძე — ძველი ლიტერატურის ძეგლი . . . . . 240

## შედეგის განმარტება

ტექნიკური მიზეზით დაშვებულია შეცდომა. 72 გვ. შემდეგ უნდა იკითხოებოდეს  
არა 75 გვ., არამედ 73 გვ. და ა. შ.

